რევაზ

მიშველაძე

დრამატურგია

ტომი

XVI

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2013

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-330-2 (XVI ტომი)

სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის

ორმოქმედებიანი პიესა

რედაქტორი **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **მავრა ბანცური**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

მოქმედნი პირნი

სოსო კახაძე – კვლევითი ინსტიტუტის მეცმუშაკი.
ნანა – სოსოს მეუღლე.
ლერი – შვილი; ფილოსოფიური დაამთავრა და სამსახურს ეძებს.
მიმოზა – ნანას ნათესავი, სტუდენტი გოგონა.
ლილი – სოსოს საყვარელი.
შიო – კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოსოს თანაკურსელი.
რეზო კოპაძე – სახლმმართველი.
ელდარ ქიქოძე – ლოთი.
დათუნია ბუხაიძე – სოსოს შორეული ნათესავი.
ნადია – მემაწვნე ქალი.
სანდუხაძე, ჯიჭონაია } სამეცნიერო ცენტრის ინსპექტორ-ინსტრუქტორები
სალდაძე, ვაჩაძე } პენსიონერები.
ტყავისპალტოიანი კაცი

პირველი მოქმედება

მესამე ზარის შემდეგ როგორც კი დარბაზში სინათლე ჩაქრება, სცენიდან მქუხარე ტაში და ოვაციები მოისმის. ტაშის გრიალში იღება ფარდა. სცენაზე თხუთმეტიოდე კაცი ზის და აღტაცებული სახეებით წინ იმზირება. მათ შორის, ოდნავ განზე მჯდარი მოჩანს სოსო კახაძე. ორმოცდაათიოდე წლის სიმპათიური, ინტელიგენტური გარეგნობის კაცი. სოსო იმით განსხვავდება დარბაზში მყოფთაგან, რომ ტაშს არ უკრავს. მკლავები ერთმანეთში ჩაუხვევია და მასაც სხვებივით ერთ მხარეს მიუპყრია მზერა როგორც იქნა, დაცხრა ტაში, დიქტორის მკაფიო მაჟორული ხმა:

დ ი ქ ტ ო რ ი – ნება მიბოძეთ, ეს ტაში ჩავთვალო ჩვენი ერთსულოვნებისა და არნახულ მიზანდასახულებათა მხარდაჭერის გამოხატულებად!
ისევ ტაში.
არის წინადადება შეწყდეს კამათი!
ისევ ტაში
წინააღმდეგი ხომ არავინ არის?
ისევ ტაში.

რამდენიმე კაცი კრებიდან გაპარვას აპირებს, მაგრამ გვერდითა კარებთან მდგომი, წითელსამკლაურიანი მორიგე უკან აბრუნებს.

თავი ხომ არავის შეუკავებია?
ისევ ტაში.
რაკი განცხადებისათვის სიტყვას არავინ ითხოვს, წავიკითხოთ რეზოლუციის პროექტი!
ისევ ტაში.

სოსომ ხელი ასწია. დარბაზი გაისუსა.

ს ო ს ო – თუ შეიძლება!

დ ი ქ ტ ო რ ი – განცხადებისთვის სიტყვა ეძლევა მეცნიერ-
თანამშრომელს – სოსო კახაძეს.

სოსო წამოდგა და ტელევიზორის ეკრანის მსგავს ჩარჩოში დადგა. სოსო გაურკვეველი სიტყვებით, ბგერების უაზრო წამოძახილით იწყებს სიტყვას. ტელევიზორის ჩარჩოს წინ ქალი ზის და, როგორც მუნჯებისთვის გადაცემაშია, ხელებითა და მიმიკით უხსნის დარბაზს სოსოს ნათქვამს. დარბაზმა ამოიგმინა. გამორბიან სკამებით. ყველას სურს მოუსმინოს. სცენა ივსება. კარ-ფანჯრიდან სახეები იჭყიტებიან, სოსომ დაამთავრა. ტაში. სოსო დაჯერებული ნაბიჯით ავანსცენაზე მიდის, უკან მიჰყვებიან. სცენა ბრუნავს.

მწუხარების, უბედურების მაუწყებელი ქორალი ან მაჟორული სამგლოვიარო მელოდია გაისმის. იხსნება ფარდა, შემაღლებულ ფიცარნაგზე თეთრ კვართსაწმერთულში გამოწყობილ სოსო კახაძეს ანათებს რამპის შუქი. ირგვლივ წყვდიადია. სოსოს წინ ტყავის პალტოიანი კაცი დგას ზურგით მაყურებლისაკენ.

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – მოქალაქე კახაძევ, კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გიმეორებთ: ჩაიცვით და წადით შინ. ამაოდ გაისარჯეთ; გმირად გახდომის ოპერაცია ჩაიშალა. საწყობში ეკლის გვირგვინი აღარ აღმოჩნდა.

ს ო ს ო – მაინც უფრო მეტად გშინებიათ ჩემი, ვიდრე მეგონა.

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – სამწუხაროდ, ჩვენ ორნიღა ვართ ამ ოთახში. ჩვენი საუბარი არავის ესმის. მე თქვენ ბიოგრაფობას არ ვაპირებ. ჩემი საზრუნავიც მყოფნის.

ს ო ს ო – მაგრამ თქვენ უკვე შეხვედით ისტორიაში; სრულიად უმიზეზოდ და უსაბუთოდ ერთხელ და სამუდამოდ გამწყრალო იუპიტერო.

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – ისტორიას ჩვენ ვწერთ. და ისინიც, ხვალ თქვენს ცრემლიან სიტყვას რომ მოისმენენ, შევცდი, მაპატიეთ, მომეცით ვადა იქნებ გამოვსწორდეო. ამას თქვენ იტყვით, გაბედული სოსო კახაძე, ვაი სირცხვილო.

ს ო ს ო – ვინ იცის, იქნებ ასეც მოხდეს, მაგრამ რაკი აქ ორნი ვართ, მინდა თქვენ იცოდეთ; ეგ მხოლოდ თავის გადარჩენის ხერხი იქნება.

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – რაშიც ვერავის დაარწმუნებთ თქვენი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

ს ო ს ო – რა დაგიშავეთ?

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – ჩვენ ვერაფერი.

ს ო ს ო – მე ხომ თქვენი დახმარების სურვილი მქონდა. ხომ შემეძლო, არ მეთქვა, ყუჩად მევლო როგორც აქამდე. ესეც არ იყოს, გულით მჯეროდა, რომ სხვაგვარი ფიქრით თქვენს რისხვას არ დავიმსახურებდი.

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – მაგრამ თქვენ ხომ გულწრფელი თითქმის არასოდეს არა ხართ. თქვენ მხოლოდ სახელის განთქმა გსურდათ. ახლაც იმიტომ დგახართ აღდგომის კრავივით და ყელმოღერებული გამომწვევად მესაუბრებით, რომ დიდი სურვილი გაქვთ, მოთმინებიდან გამოგვიყვანოთ. მაგრამ არ დაგსჯით. წადით. მოიქეცით, როგორც გსურდეთ. წამებულის ყველა ვაკანტური ადგილი დაკავებულია.

ს ო ს ო – თქვენ დემაგოგი ხართ.

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – აბა თქვენს სულში ჩაიხედეთ. განა საქმის კაცი და, როგორც თქვენ ამბობთ, „დახმარების სურვილით ანთებული“, ასეთ დროს ტრიბუნაზე დადგებოდა და ტალახს გვესროდა?

ს ო ს ო – თქვენ ვერ გამიგეთ, მე თქვენს მხარდასაჭერად გამოვედი. მინდოდა სხვებისთვის დამემტკიცებინა, რომ დიახაც ძალგიძთ მცდარსაც მოუსმინოთ და ეკამათოთ. თქვენთვის რომ მოთმინების უნარს არ ეღალატნა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – მოქალაქე კახაძევ. ჩვენ თქვენმა „სხვა აზრმა“ კი არ გაგვაღიზიანა, თქვენმა სურვილმა შეგვზარა. ერთბაშად რომ გადაწყვიტეთ ხელი დაგექნიათ, გამოგვყოფოდით და საღამოხანს, შინ მისულს, ტელეფონით ბრბოს კომპლიმენტები გესმინათ. გვაპატიეთ, რომ ვერ შეგიწყვეთ ხელი. ხვალ არცერთი თქვენი თანამოაზრე არ გამოვა თქვენს დასაცავად.

ს ო ს ო – მაგრამ ყველა მათგანს ეცოდინება, რომ სოსო კახაძე მოღალატე და ავადმხედვარი არ არის.

ტ ყ ა ვ ი ს პ ა ლ ტ ო ი ა ნ ი – წადით შინ. თუ ოდესმე დაგვჭირდით, დაგიძახებთ!

საღამო სოსო კახაძის ბინაში. კუთხეში წინა პლანზე ტელევიზორი დგას (ნამდვილი ტელევიზორი, რომელიც ხშირად ჩაირთვება და გამოირთვება სპექტაკლის მსვლელობის დროს). ერთ კარებს აბაზანის მიმნიშნებელი ნახატი („დუში“, ვთქვათ), ამშვენებს და შიგნით სინათლე კიაფობს, მთელი პირველი მოქმედების მსვლელობაში სოსოს მეუღლე – ნანა აბაზანაშია და იქიდან ისმის მისი ხმა. მაგიდასთან თავდახრილი ზის მიმოზა და მეცადინეობს. ზარი. მიმოზა კარს აღებს. შემოდის სოსო კახაძე, უკან სახლმმართველი რეზო კოპაძე მოსდევს. სოსომ ჩანთა დივანზე მიაგდო, ჰალსტუხი მოიხსნა და მიმოზას შეაჩერა. ისინი დაწყებულ საუბარს განაგრძობენ. სოსო ოთახს გარშემო უვლის და რეზოც ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება.

რ ე ზ ო – თქვენ არ გეკადრებათ, სოსო ბატონო, თქვენ რომ ამას აკეთებთ, შეგნებული, შეუგნებელს რა უნდა მოვთხოვოთ.

ს ო ს ო – არ ვიზამ მაგ საქმეს, მორჩა და გათავდა.

რ ე ზ ო – არის ახლა ეგ ლამაზი სტუმრების თვალში?

ს ო ს ო – არ ვიცი. რომელი დელეგაცია გაივლისო, რა მითხარი?

რ ე ზ ო – ნამიბიის.

ს ო ს ო – მერე, ნამიბიაში შარვლებს არ რეცხავენ?

რ ე ზ ო – ალბათ. კი.

ს ო ს ო – თუკი რეცხავენ, ჩემო რეზო, ალბათ აშრობენ კიდეც, ხომ?

რ ე ზ ო – მე სულ არ მიშლის თქვენი შარვალი ხელს. ახლავე ჩამოახსნევინე მთელ სახლს სარეცხიო, უფროსმა.

ს ო ს ო – შენც უთხარი: სოსო კახაძე პრინციპის გულისთვის უარს ამბობს-თქო.

რ ე ზ ო – რა პრინციპიაო, რომ მკითხოს?

ს ო ს ო – რა და, დაღალა, ბატონო, სოსო კახაძე სტუმრების დასანახავად ძალად გალამაზებამ-თქო.

რ ე ზ ო – ღირს მერე, ასეთ უბრალო საქმეზე ამხელა ამბის ატეხვა?

ს ო ს ო – ამბავს თქვენ ტეხთ, მე კი ვამტკიცებ, რომ ჩემი სველი შარვალი საერთაშორისო ურთიერთობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს. გაიაროს ნამიბიის დელეგაციამ და ნახოს, რომ ჩვენ შარვლები გვაქვს და ხანდახან ვრეცხავთ კიდეც.

რ ე ზ ო – არ იქნება ლამაზი.

ს ო ს ო – რაზე ვლაპარაკობთ ახლა, რეზო, მე და შენ. შენც ხომ კარგად იცი, შარვალს რატომ არ ვხსნი. ძლივს, ამ ათ წელიწადში რაღაც სათხოვარი გაგიჩნდათ შენ და შენს უფროსს ჩემთან და არ გაგაწვალებთ? როგორ ფიქრობ შენ.

რ ე ზ ო – ნუ გვემუქრები, ბატონო სოსო, ბოლოს და ბოლოს თქვენ ერთი მოქალაქე-მობინადრე ხართ.

ს ო ს ო – ააა, გამარჯობა შენი. ახლა გავხდი მოქალაქე და მობინადრე? მთელი ცხოვრება რომ ხარივით ვზმუი და ჩემკენ ერთხელაც არ გამოიხედავთ, მაშინ არა ვარ მობინადრე?

რ ე ზ ო – ეს ჩვენი ურთიერთობა კერძო ამბავია. ეს კერძო ამბავი სულ არ აინტერესებს ნამიბიის დელეგაციას, წავა ის კაცი და ამბავს წაიღებს.

ს ო ს ო – თუ გიფიქრიათ, შენ და შენს უფროსს სწრაფად და იაფად რომ სახლებს აშენებთ, სად უნდა გააშროს ხალხმა შარვლებიო?

რ ე ზ ო – ჯერ ერთი, ჩვენ სახლებს არ ვაშენებთ და მეორეც, რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, მაგალითად, ათ წუთს. გაივლის დელეგაცია და გაკიდეთ მერე. ვინ დაგიშალათ.

ს ო ს ო – (მაგიდას მიუჯდა, გაზეთი გაშალა, მიმოზას მიუბრუნდა). დარეკა ვინმემ?

მ ი მ ო ზ ა – ქალმა დარეკა ერთმა, სოსო ბიძია.

ს ო ს ო – რა უთხარი.

მ ი მ ო ზ ა – მალე მოვა-მეთქი. კიდევ ვილაცეები რეკავენ და ხმას არ იღებენ.

ს ო ს ო – ელდარი ხომ არ მოსულა?

მ ი მ ო ზ ა – ჯერ არა, სოსო ბიძია.

რ ე ზ ო – ჰე, რას მიშვრებით ახლა მე, ბატონო სოსო?

ს ო ს ო – მე ჩემი უკვე გითხარი, ბატონო რეზო. სხვებმა ჩამოხსნეს?

რ ე ზ ო – კი.

ს ო ს ო – მით უმეტეს. იფართხუნოს ერთმა შარვალმა, გამონაკლისის წესით, არ დაიქცევა ქვეყანა.

რ ე ზ ო – ქვეყანას რა დააქცევს, მაგრამ არ ივარგებს ასე.

ს ო ს ო – (სკამზე შემოტრიალდა). რაღაცაშია საქმე. როგორც ყოველთვის, რაღაცას მიმალავთ, თორემ ასე არ გაჭიჭინდებოდით შენ და შენი უფროსი. მეათე სართულზე ლურჯი შარვალი ნამიბიის დელეგაციისთვის რაიმე საიდუმლო ნიშანი ხომ არ არის, მითხარი, თუ გიყვარდე?

რ ე ზ ო – დაგვცინით კიდეც, ბატონო სოსო?

ს ო ს ო – ახლა, თუ კაცი ხარ, ნერვების მოშლა არც შენ გაკლია დღეს და არც მე.

ნ ა ნ ა – (ხმა აბაზანიდან): სოსო!

ს ო ს ო – ბატონო.

ნ ა ნ ა – ვის ელაპარაკები?

ს ო ს ო – რა მნიშვნელობა აქვს, მეგობარია! (რეზოს მიუბრუნდა). რაზე შევჩერდით? საორჭოფო სიტყვა არ მითქვამს შენთვის. ახლა იმოქმედე ისე, როგორც საჭიროა, მიდი უფროსთან და მოახსენე: პრინციპულ უარს ამბობს შარვლის ჩამოხსნაზე-თქო.

რ ე ზ ო – მერე?

ს ო ს ო – რა მერე? ჩამომახსნევინებენ, ალბათ, ადმინისტრაციული წესით. ძალა თქვენ ხელშია და უფლება.

რ ე ზ ო – აბა, რაკი ასე წავიდა საქმე, ეს დღე და ეს საათი დაიმახსოვრე, ბატონო სოსო.

რეზო კოპაძე კარისკენ მიდის გაჭიმული. სოსო მიაცილებს.

ს ო ს ო – დამახსოვრებული მაქვს.

რ ე ზ ო – არ მინდოდა ცუდის გაკეთება.

ს ო ს ო – ნუ მემუქრები, თუ ძმა ხარ, ყველანაირ მუქარას მიჩვეული ვარ.

რ ე ზ ო – არ მოგიხდებათ ბოლოს ეგ შარვლის ამბავი თქვენ, თორემ მე რა, მე პატარა კაცი ვარ. ნამიბიის დელეგაცია გაივლის, და ჩვენ აქ ვრჩებით, იცოდე.

ს ო ს ო – ვიცი, ბატონო, ვიცი.

რ ე ზ ო – თქვენ რომ ამას იზამთ, – შეგნებული, შეუგნებელს...

ამ დროს ქუჩაში სირენების ხმა და ავტოინსპექციის მანქანის რუპორის ხმა გაისმის – „ყურადღება, ყურადღება, გადადით მარჯვნივ და გააჩერეთ, დელეგაცია მოდის, დელეგაცია მოდის!“ რეზო კოპაძე ფაცხა-ფუცხით გავარდა. მიმოზა წამოხტა. საიდანღაც პატარა ბაირაღი გამოიტანა და ფანჯარას გადაეკიდა, ბაირაღს იქნევს. საორკესტრო, საზეიმო ლაიტმოტივი ქუჩიდან შინ შემოდის. წამის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. სოსო თავჩაქინდრული ზის მაგიდასთან და გაზეთს ჩაჰკირკიტებს.

ნ ა ნ ა – (ხმა აბაზანიდან): სოსო!

ს ო ს ო – ბატონო.

ნ ა ნ ა – რა მოხდა?

ს ო ს ო – არაფერი, დელეგაციამ ჩაიარა.

ნ ა ნ ა – რომელმა დელეგაციამ?

ს ო ს ო – ნამიბიის! (ხაზგასმულად ხმამაღლა, გაღიზიანებულად ამბობს).

ტელეფონი რეკავს. მიმოზა და სოსო ერთდროულად წამოხტებიან და ელვის სისწრაფით გარბიან. მიმოზამ მოასწრო და ყურმილი აიღო. სოსომ ხელები გაასავსავა.

მ ი მ ო ზ ა – გისმენთ, გისმენთ. (ყურმილს სდებს)

ს ო ს ო – მიმოზა, კი არ გეწყინოს, მარა, რამდენჯერ გითხარი, შვილო, როცა მე სახლში ვარ, ტელეფონს მე ავიღებ-მეთქი.

მ ი მ ო ზ ა – ბოდიში სოსო ბიძია, დამავიწყდა.

მიმოზა თავის მაგიდასთან ჯდება და ისევ წიგნს ულრმავდება. ხანდახან სულელივით თავისთვის ჩაიცინებს. სოსომ ტელევიზორი ჩართო. გადართო ერთ არხზე, მეორეზე, მესამეზე, მერე საერთოდ გამორთო.

კარის ზარის ხმა გაისმა. სოსომ მიმოზას ანიშნა და თვითონ ფეხაკრეფით სამზარეულოსკენ გააბიჯა. მიმოზაც ფეხაკრეფით მიდის კართან და სათვალთვალოში იხედება.

ს ო ს ო – ელდარია?

მ ი მ ო ზ ა – არ არის ელდარი, სოსო ბიძია.

სოსომ შვებით ამოისუნთქა და წელში გაიმართა.

მიმოზამ კარი გააღო. შემოდის შიო – სოსოს თანაკურსელი, ამჟამად იმ კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სადაც სოსო მუშაობს. სოსო და შიო მარტო რჩებიან.

სოსო ზის, შიო წინ და უკან დააბიჯებს, ცოტა ხნის შემდეგ როლები იცვლება – შიო ზის და სოსო წინ და უკან დააბიჯებს.

შ ი ო – სოსო, ჩვენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ.

ს ო ს ო – კი, ბატონო.

შ ი ო – არ გინდა, არ გჭირდება ეს ამბავი, სოსო, შენ. არ არის ახლა ამის დრო.

ს ო ს ო – რისი დრო?

შ ი ო – ვილაპარაკოთ გულახდილად, თუ ძმა ხარ, მიამიტობის თამაში მინდა ახლა მე?

ს ო ს ო – პირდაპირ მითხარი, შიო ბატონო.

შ ი ო – განყოფილების სხდომაზე გამოსულხარ.

ს ო ს ო – გამოვედი.

შ ი ო – მერე?

ს ო ს ო – რა მერე?

შ ი ო – სწორად მოიქეცი?

ს ო ს ო – ორმოცდაათი წლის კაცი ვარ, შიო მე და ლამის პირველად ვთქვი სიმართლე კრებაზე.

შ ი ო – როგორ ამბობ მაგას, არ გრცხვენია მაინც? აბა დაფიქრდი. აქამდე მაიმუნი ვიყავიო, ეს გინდა თქვა? ეს ასეც რომ ყოფილიყო, ახლა ამხელ? არის ახლა ამის საჭიროება?

ს ო ს ო – სწორად გამიგე, თუ ძმა ხარ, მე ვიღაცას კი არ ვბაძავ, რასაც ჩემი სინდისი მკარნახობს, იმას ვაკეთებ.

შ ი ო – თავი გავანებოთ იმას, რომ მართალი არა ხარ. როგორ ფიქრობ, დაგვიანებული არ არის? ახლა რომ აკვინტილდი, შენ არ იყავი მთელი ცხოვრება ამას, ამას და ამას ტაშს რომ უკრავდიო, არ გეტყვიან? ახლა რა ბზიკმა გიკბინაო, არ გეტყვიან? მთელს შენს ცხოვრებას არ დაგიდებენ მაგალითებად?

ს ო ს ო – ვინ მეტყვის?

შ ი ო – ვისაც ახლა, ვითომ ექომაგები, ვისთვისაც ახლა გმირობანას თამაშობ.

ს ო ს ო – მე არაფერს არ ვთამაშობ, კიდევ გიმეორებ, ბატონო შიო, მეტი ველარ გავუძელი, ზოგი, შეიძლება, ისე მოკვდეს, ერთხელაც არ წამოცდეს სიმართლე. შენ ლექსები გიყვარს?

შ ი ო – რა შუაშია ლექსები, სოსო. მე საქმეზე გელაპარაკები.

ს ო ს ო – მოიცა, ა, თუ მოვძებნე... აგერ არის, დაუგდე ყური, რას წერს მორის ფოცხიშვილი:

„არც რას გეტყვი, არც რას გკითხავ,
მაგრამ მინდა დარდად გქონდეს. –
ერთხელ მაინც უნდა ითქვას,
რაც არ თქმულა არასოდეს!

სიცოცხლეში ერთხელ მაინც,
ერთხელ მაინც, ერთხელ,
ერთხელ მაინც უნდა შეხვდე

ღმერთებს, როგორც ღმერთებს.
ერთხელ მაინც სიცოცხლეში,
ერთხელ მაინც, ერთხელ!

ერთხელ ტყვიაც უნდა მოგხვდეს,
უნდა ჟღერდე რისხვის ზარად, –
ერთხელ მაინც უნდა მოხდეს
რაც არასდროს არ მომხდარა!

სიცოცხლეში ერთხელ მაინც,
ერთხელ მაინც თურმე,
უნდა ასწვდე, როგორც ქარი
აღზევებულ ღრუბლებს,
ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც,
ერთხელ მაინც, თურმე.

ერთხელ მაინც უნდა იცნო
მტერი მტრად და აჰყვე სინდისს,
ერთხელ მაინც უნდა სტკიცო
სილა მას, ვინც ურცხვად გვყიდის!

ერთხელ მაინც უნდა აღსდგე,
ან არადა, მოკვდე მაინც,
ერთხელ მაინც უნდა ჰგავდე
რწმენის ჯვარზე გაკრულ რაინდს!

სიცოცხლეში ერთხელ მაინც,
ერთხელ მაინც, ერთხელ!

შ ი ო – მშვენიერი სიტყვებია, მაგრამ მხოლოდ სიტყვებია და მეტი არაფერი.

ს ო ს ო – სხვა ვერაფერი ნახე, მეცნიერმა კაცმა ამ ლექსში, შიო?

შ ი ო – რაო, მაინც, რა მინდაო?

ს ო ს ო – რა მინდაო და ასე არ შეიძლება ცხოვრებაო.

შ ი ო – როგორო?

ს ო ს ო – როგორო და როგორც მე და შენ ვცხოვრობთო.

შ ი ო – მე ვიცი მარტო ეგ ამბავი, სხვა ვერ ხვდება ვითომო?

ს ო ს ო – რა შუაშია, შიო, ის კაცი თავისას ამბობს. პოეტია და ჩვენზე შორს იხედება, გვაფრთხილებს; ზარს რეკავს, მეტი რა ქნას?

შ ი ო – ლექსი იქით იყოს და შენ ჩემზე სულ არ ფიქრობ?

ს ო ს ო – შენ რა გიჭირს?

შ ი ო – არ იცი ვითომ, შენ ერთი უფროსი გყავარ, ბიჭო მე, – შენი კურსის ამხანაგი და მე ათასი უფროსი მყავს.

ს ო ს ო – ნუ მამადლი, თუ ძმა ხარ, შენ თვითონ რომ არ გდომებოდა დირექტორობა, კალთას არავინ დაგახევდა, ნუ გეშინია.

შ ი ო – მაგას არ გეუბნები. ვინც შენ განყოფილების კრებაზე ტაშს გიკრავდა, სწორედ იმან დაგასმინა ჩემთან და ის წაიღებს ამბავს ზევითაც.

ს ო ს ო – ატაროს და იყოს. მე ჩემი სიმართლე მაქვს. ამ სიმართლეს გულში შენც ეთანხმები და ზევითაც ბევრი უჭერს მხარს.

შ ი ო – მითუმეტეს, სოსო. თუ თვითონვე იცი ახალს რომ არაფერს ამბობ და ჩვენც მაგ აზრის ვართ, რატომ იგდებ თავს საფრთხეში და რატომ გვაგდებ უხერხულ დღეში?

ს ო ს ო – რა მოგივიდათ, რაშია საქმე, იქცევა ქვეყანა? რამ შეგაშინათ ასე. როდის იყო სოსო კახაძის სიტყვა ასე გაშინებდათ? ვიტყვი ხვალ ჩემ სათქმელს. გამოდით, გამაკრიტიკეთ. შეაჯამებ შენ კრებას, იტყვი: ცდება ამხანაგებო სოსო კახაძეო. დაიწერება ოქმი და გათავდა. შეიძლება უკეთესიც იყოს. ამხელა კრებაზე ერთს მაინც განსხვავებული აზრი ჰქონიაო, იტყვიან. სირცხვილია შიო, ამდენი წლის განმავლობაში ყველანი ერთნაირად ვფიქრობდეთ, ერთნაირად მოგვწონდეს, ერთნაირად გვიხაროდეს.

შ ი ო – რატომ გინდა წამოგესიოს ჩემიანად ეს ამდენი კაცი და, არ ხარ მართალიო, გიძახონ?

ს ო ს ო (ირონიული ღიმილით). შენ ჩემი დარდი კი არ გაწუხებს, იმის გეშინია, რომ მართალი ვარ.

შ ი ო – დავუშვათ, ასეა.

ს ო ს ო – არც იმის ჯავრი გკლავს, რომ საყვედურს გეტყვიან, უფროსი მეცთანამშრომელი წინამასწარა გყოლიაო.

შ ი ო – ჩემს თავს არ დავეძებ. აზრი რომ ჰქონდეს სასწორზე შენ შედგომას, პირველი მე გამოგყვებოდი.

ს ო ს ო – არ გინდა ახლა ჩემთან თხა თხაზე ნაკლების ქარაგმა. შენ ვერ გამომყვებოდი.

შ ი ო – რატომ გგონია, შენ იფიქრე პირველად იმაზე, რაც განყოფილების სხდომაზე გითქვამს?

ს ო ს ო – სულაც არა მგონია, შენ მაღლა ხარ და ჩემზე უკეთ ხედავ, რაც ხდება, მაგრამ, უცნაურია, შენისთანა ენერგიული ხელმძღვანელები ისტორიის ბორბალს ებღაუჭებიან და მის უკან დაბრუნებას ამაოდ ცდილობენ. რაც ხდება, ყველაფერი კანონზომიერად ხდება, დროს ნუ გაუძალიანდებით, დროს. კარიერისთვის თქვენი ჯაჯგური მხოლოდ დროებით შეაფერხებს ისტორიას. სხვა არაფერი გამოვა.

შ ი ო – ახლა ამ მაღალ ფრაზებს მოვეშვათ და ადამიანურად ვილაპარაკოთ. ჩამოვთვალო ახლა ფაქტები იმის დასამტკიცებლად, რომ როცა საჭიროა, მე შენზე ნაკლებად გაბედული არა ვარ?

ს ო ს ო – ხომ გაგიგონია „ქოფაკმა ძაღლმაც კაი ძებნა იცის, მაგრამ ცხვირში ეკალი ეჯავრებაო“.

შ ი ო – მაგით რა გინდა თქვა?

ს ო ს ო – შენ ყოველთვის შენს სკამს გაუფრთხილდები.

შ ი ო – ეშმაკსაც წაუღია სკამი. მე შენ გიფრთხილდები, სოსო და (შიომ ღრმად ჩაისუნთქა) – ჩემს თავსაც.

ს ო ს ო – ჩემი გაფრთხილებისთვის დიდი მადლობა. ნუ გეშინია, ბოლოს და ბოლოს, მომხსენი და ეგ იქნება.

შ ი ო – შენს ცოლ-შვილს რა პასუხი გავცე?

ს ო ს ო – დღეს მშიერი არავინ მოკვდება. გულის გასივებით კი ბევრი კვდება, იცოდე.

პაუზა. შიო წამოდგა, ფანჯარასთან ზურგშექცევით დადგა, მერე ნერვიულად შემობრუნდა და თავის სკამს დაუბრუნდა.

შ ი ო – სოსო, შოლტი ისე უნდა მოიქნიო, რომ შენვე არ მოგხვდესო, ნათქვამია.

ს ო ს ო – სწორედ მაგ სიფრთხილემ და შიშმა დაგვამონავა და დაგვაცვედნა ჩვენ.

შ ი ო – დაფიქრდი, სოსო, ცეცხლს ეთამაშები.

ს ო ს ო – მე საკმაოდ ვიფიქრე, მეტი აღარ შემიძლია, ხომ შეიძლება, მეტი აღარ შემეძლოს?

შ ი ო – გითხრა რამ შეგასხა ფრთები და რამ წაგათამამა?

ს ო ს ო – აბა.

შ ი ო – ჩემმა დირექტორობამ. იცი რომ მიყვარხარ და უკანასკნელ წუთამდე დაგიცავ.

ს ო ს ო – პირიქით, შენმა დირექტორობამ დიდხანს მაგუბებინა პირში წყალი.

შ ი ო – იცი, რისი იმედი გაქვს?

ს ო ს ო – რისი?

შ ი ო – შენ გგონია, იშხუვლებს მთელი კრება და, სოსო მართალია! სოსოს გაუმარჯოსო, ხელში აგიტაცებს? შენ არ მომიკვდე, ტაშსაც არავინ დაგიკრავს. ხალხი ისეა დამფრთხალი, რომ შენ მხარდასაჭერად არავინ გამოვა.

ს ო ს ო – ვიცი.

შ ი ო – სოსო, ერთი სხვა მხრიდან შევხედოთ შენ საქციელს. დღეს, როცა ამხელა საქმეებს ვეჯაჯგურებით, შენი გამოსვლა ზურგში ხანჯლის ჩაცემას არ ჰგავს?

ს ო ს ო – რატომ, რატომ თუ ძმა ხარ? პირიქით, რა ვთქვი იცი? კუს ნაბიჯით მივდივართ-მეთქი. თუ უფრო ენერგიულად არ გავაბიჯებთ, არაფერი გამოგვივა-მეთქი.

შ ი ო – უცნაური ხალხი ხართ. სამოცდაათი წელი მიტოპავდით და ახლა ერთ კვირაში გინდოდათ აშენება?

ს ო ს ო – აშენება კი არა. დროზე ჩავუღრმავდეთ ჩვენს საქმესმეთქი. სხვისი აზრის მოსმენა რომ დავივიწყეთ, იმი-

ტომ იყო ოცდაათწლიან შეცდომებს რომ მივეჩვიეთ. გავუყვებოდით იმ მცდარ გზას და მერე უკან ვეღარ გამოვაგნებდით ხოლმე.

შ ი ო – რატომ? ეს სამეურნეო ანგარიში, სახელმწიფო მიღება, კოოპერატივები, ხელმძღვანელი კადრების არჩევნები არაფრად მიგაჩნია? ოქროს თევზის და მებადურის ზღაპარივით ხომ არ მოგდის?

ს ო ს ო – რა კოოპერატივები, თუ ძმა ხარ. ქრთამით გახსნილი ხუთიოდე კოოპერატივი გაუთავებელი რევიზია-კომისიებით შეწუხებული, სულს რომ ძლივს ღაფავს? გარდაქმნას ეძახი ამას შენ? ავირჩიეთ ორიოდე თავმჯდომარე და მეურნეობის დირექტორი და შევჩერდით. თქვენ თავისუფალი არჩევნები ხელს არ გაძლევთ. დანიშვნა და მისი ჯანი!

შ ი ო – სოსო.

ს ო ს ო – გისმენ.

შ ი ო (მუდარის კილოთი). შენთვის ხომ არაფერი მითხოვია. გაიხსენე აბა, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში კარგის მეტი რამე გამიკეთებია?

ს ო ს ო – არა.

შ ი ო – გამოხვალ ხვალ კრებაზე და ბოდიშს მოიხდი. ავჩქარდი-თქო, გამოუცდელობით მომივიდა-თქო. თუ ძმა ხარ, ასეა საჭირო.

ს ო ს ო – ჩემი თავი შემძულდება, ასე რომ მოვიქცე და, დრო რომ გავა, შენც შეგზიზღდები.

შ ი ო – დამიჯერე სოსო, არაა ვაჟკაცობა, რასაც შენ აკეთებ.

ს ო ს ო – მერე ვინ გითხრა, რომ ვაჟკაცობაზე ვდებ თავს? შიო, რატომ არ გინდა გაიგო, მე დავიღალე, ჩემგან საკმარისია. მე სხვანაირად აღარ შემიძლია.

შ ი ო – კარგად დაფიქრდი, უკანასკნელად გაფრთხილებ, თითზე საკბენად არ გაიხადო საქმე.

ს ო ს ო – ბაბუაჩემი იტყოდა: ვირს რომ საპალნე მოუნდება, წისქვილში შეიხედავსო.

შიომ წონასწორობა დაკარგა. ერთხანს ბოლთას სცემდა, მერე შეჩერდა შუა ოთახში. ზარის ხმაა. აფორიაქდა სოსო. კართან მიირბინა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მიმოზამ მოასწრო. გარბი-გამორბიან აქეთ-იქით სოსო და შიო.

ს ო ს ო (მიმოზას). ელდარია? (მიმოზა სათვალთვალოს არ შორდება.)

შ ი ო (არ იცის, სად დაიმალოს, სოსოს ეკითხება). ვინაა ელდარი, ვინ?

მ ი მ ო ზ ა – ელდარი არ არის, სოსო ბიძია.

ყველაფერი წყნარდება. შემოდის ოცდაათიოდე წლის ლამაზი ქალი – ლილი. სოსო შეცბა.

შ ი ო – წავედი ახლა მე. სოსო, არ დაგავიწყდეს, თუ კაცი ხარ.

ს ო ს ო – არა, შიო ბატონო.

ლ ი ლ ი – ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინათ, ბატონო?

შ ი ო (ღიმილით) – როგორ გეკადრებათ. ნახვამდის.

შიო კარებისკენ წავიდა. სოსომ გააცილა და შემობრუნებისას ლილის დაბნეულად შეხედა.

ს ო ს ო – შეენ? (აბაზანისკენ გაიხედა) კი მაგრამ...

ლ ი ლ ი (მიმოზას გახედა და მის გასაგონად ჩაილაპარაკა). თქვენთან პატარა სასაუბრო მაქვს, ბატონო სოსო, თუ მიმიღებთ, საკითხი თქვენი ნაშრომის გამოცემას შეეხება.

ს ო ს ო – მობრძანდით.

ორივენი მიმოზას შეჰყურებენ, მიმოზა მეორე ოთახში გადის. ორივენი სოსოს საწერ მაგიდას მიუსხდნენ.

ლ ი ლ ი – მართალია, რასაც ამბობენ?

ს ო ს ო – რას?

ლ ი ლ ი – დღეს ვიღაცეებისთვის ხელთათმანი გისვრია.

ს ო ს ო – დაახლოებით.

ლ ი ლ ი – არ ინერვიულო. მე ეგ ძალიან გამეხარდა.

ს ო ს ო – რატომ?

ლ ი ლ ი – რაღაც შეიცვლება შენს ცხოვრებაში. რაღაცა დაიძ-
ვრება ადგილიდან.
ს ო ს ო – რა ვიცი.
ლ ი ლ ი – სად არის?
ს ო ს ო – აბაზანაშია.
ლ ი ლ ი – არ მელოდი?
ს ო ს ო – არა.
ლ ი ლ ი – ყურმილს რატომ არ იღებ?
ს ო ს ო – ვინ მაცლის.
ლ ი ლ ი – გარდა იმისა, რომ მომენატრე, თუ მიხვდები, რატომ
მოვედი შენთან.
ს ო ს ო – უნდა გენახა, სად მძინავს, როგორ ვცხოვრობ.
ლ ი ლ ი – ეგ ძველი სიმღერაა, კიდევ?
ს ო ს ო – რაღაც აუცილებელი საქმე გქონდა, რასაც ტელე-
ფონში ვერ მეტყოდი.
ლ ი ლ ი – გარდა მაგისა, მაინტერესებდა, რა სახეს მიიღებდი,
შენი სახლის პარმაღზე რომ დამინახავდი.
ს ო ს ო – კმაყოფილი ხარ?
ლ ი ლ ი – არც მაინცდამაინც. შეშინებული კურდღლის თვა-
ლები გქონდა.
ს ო ს ო – ლილი, იმაზეც იფიქრე, რომ ყოველ წუთს შეიძლება
ჩემი ცოლი აბაზანიდან გამოვიდეს.
ლ ი ლ ი – ის მხოლოდ შენი ცოლია, ჩემი არაფერი არ არის და,
თუ შეიძლება, ისიც ეყოს, რომ შენი ცოლი ჰქვია.
ს ო ს ო – გამაგებინე, რა ხდება?
ლ ი ლ ი – არაფერი. მე შენს ცოლს ცხრა წელია ვემალები და
საკმაოდ ოსტატურადაც.
ს ო ს ო – მერე, კონსპირაციისთვის მადლობა გითხრას?
ლ ი ლ ი – რატომაც არა, ამდენი ხანი ერთხელაც რომ არ
ვანერვიულე და ქმარი უფათერაკოდ შევუნახე, პატარა
საქმეა? იატაკს რით აპრიალებთ?
ს ო ს ო – ვერ გეტყვი.

ლ ი ლ ი – ეს შენა ხარ? (ლილიმ კედელზე გაკრულ, ფანქრით
დახატულ სოსოს პორტრეტს დაადგა თვალი).
ლ ი ლ ი – არა გგავს. ვინ დაგხატა?
ს ო ს ო – პარიზში, მონმარტრზე, ქუჩის მხატვარმა, ერთ ბოთლ
კონიაკად.
ლ ი ლ ი – რა საინტერესოა, დიდხანს გხატავდა?
ს ო ს ო – ლოთი იყო. ხელები უკანკალებდა.
ლ ი ლ ი – თვალებით გგავს, იცი? მარტო თვალებით?
ს ო ს ო – მაშინ უფრო მგავდა. ეგ ათი წლის წინათაა დახატუ-
ლი, რაც დრო გადის, უფრო ვშორდები.
ლ ი ლ ი – ჩემს თვალში შენ სულ არ შეცვლილხარ.
ს ო ს ო – შენს თვალში... ახლა მე ორმოცდაათი წლისა ვარ.
ლ ი ლ ი – დედაა?! (გაიოცა). ორმოცდაათი ბავშვობაში რა
ბევრი მეგონა. ალბომი არა გაქვთ?
ს ო ს ო – რა ალბომი (ნერვიულობს, დაბმულივითაა სკამზე).
ლ ი ლ ი – საოჯახო.
ს ო ს ო – მგონი, იყო სადღაც.
ლ ი ლ ი – გეხვეწები, მოძებნე.
ს ო ს ო – ლილი! (უჯრიდან მოთმინებაგაწყვეტილმა ფოტოალ-
ბომი ამოქექა და ლილის მუხლებზე დაუდო.)
ნ ა ნ ა ს ხ მ ა ა ბ ა ზ ა ნ ი დ ა ნ – მიმოზა!

სოსომ მიირბინა აბაზანის კარებთან.

ს ო ს ო – რა იყო?
ნ ა ნ ა – მიმოზა სად არის?
ს ო ს ო – მეცადინეობს.
ნ ა ნ ა – უთხარი ლობიოს დახედოს.
ს ო ს ო – მე თვითონ დავხედავ. (სოსომ სამზარეულოში გაირბინა,
ლილი სურათებს ჩაჰკირკიტებს, სოსო გამოვიდა და სკამს
ცალი მუხლით დაეყრდნო).
ლ ი ლ ი – სკოლაში მაინცდამაინც არაფერი.
ს ო ს ო – მაინცდამაინც კი არა, ჭინკას ვგავდი. ყველა მასწავ-
ლებელს ვძულდი დასანახავად.

ლ ი ლ ი – მამაშენს რა თმები ჰქონია!

ს ო ს ო – მაშინ ოცდაექვსი წლის იყო.

ლ ი ლ ი – ოჰო, პოზა ნახე! (სხვა სურათს დასცქერის).

ს ო ს ო – არ იცნობ შენ. ჩემი სიდედრის მეგობარია.

ს ო ს ო – შენი სიდედრი მაჩვენე რა.

ს ო ს ო – რად გინდა (აბაზანისკენ გაიხედა). ლილი!

ლ ი ლ ი – რა მოხდა. გამოვა და ეტყვი გამომცემლობის მუშაკია-თქო. შენთან ქალი სტუმრად არ მოსულა? ნუ გეშინია, სცენების გამართვას არ ვაპირებ. რომელია სიდედრი? (სურათს უჩვენებს).

ს ო ს ო – აი, ეს, ლომს რომ ჰგავს.

ლ ი ლ ი – სულაც არა. სიმპათიური ქალია. შენს ცოლს ახლა სჯობია (სხვა სურათს დახედა). აქლემი! რამხელა დრუნჩი აქვს, როგორ ახვედი?

ს ო ს ო – არაბი, აგერ რომ დგას, ერთ სიტყვას ეტყვის და ეს ამხელა ცხოველი ოთხად მოიკეცება. მუცელზე წაწვება და სანამ კარგად არ მოკალათდები, ყურსაც არ გაიბერტყავს.

ლ ი ლ ი – რა ღირს ეს სიამოვნება?

ს ო ს ო – რა? (აბაზანისკენ იხედება).

ლ ი ლ ი – აქლემით გასეირნება.

ს ო ს ო – ერთ დოლარამდე. ზუსტად არ მახსოვს.

ლილი წამოდგა. შუა ოთახში დადგა. ფეხი ფეხს გადააჯვარედინა, ხელები თმებქვეშ ამოიდო კეფაზე და ტანი ლამაზად გაარწია.

ლ ი ლ ი – შენი სახლი... (მერე კარადასთან მივიდა, უჯრა გამოსწია და ისევ დაკეტა).

ს ო ს ო (ცოტა არ იყოს, ირონიულად) – საწოლ ოთახსაც ხომ არ დაათვალიერებდი?

ლილი ნერვიული ნაბიჯით მობრუნდა და მაგიდას მიუჯდა.

ლ ი ლ ი – არა, აქ ვიყოთ, შენს მაგიდასთან, შენს ტერიტორიაზე უფრო მშვიდად ვარ.

ს ო ს ო – ლილი.

ლ ი ლ ი – სოსო, მომისმინე. სულ მეგონა, რომ აქ სტუმრად იყავი. შენ ხომ იცი, არასოდეს მიფიქრია სერიოზულად იმაზე, რომ სხვას ჩემზე მეტად სჭირდები. შენი ბუდე და შენი სამტრედე გაქვს. მაპატიე, არეულად ვლაპარაკობ. აქ არის შენი ცოლის დაუთოებული თეთრეული კარადაში ჩაწიკწიკებული, შენ მიერ გამონგრეული კედელი და სამუდამოდ გაკეთებული წიგნის თარო. ალბომში დიდის გულმოდგინებით, ქრონოლოგიის დაცვით ჩაწებებული სურათები. შენ აქ ცხოვრობ, გესმის ეს რა უბედურებაა?

ს ო ს ო – ეს ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს – მე შენ მიყვარხარ, ლილი.

ლ ი ლ ი – შემეშინდა სოსო, რა სისულელე გავაკეთე, რომ მოვედი. შეიძლება გავგიჟდე, როცა აი აქ, ასე წარმოგიდგენ.

ს ო ს ო – ძალიან გთხოვ, წადი ახლა, აქ სენტიმენტების დრო არ არის, ხვალ მოვალ შენთან და ვილაპარაკოთ.

ლ ი ლ ი – დამაფარე ჰო, როგორმე ხელი დამაფარე და მიმმალე სადმე, არსად არ წავალ.

ს ო ს ო – ლილი.

ლ ი ლ ი – ჰო, კარგი, ნუ გეშინია, წავალ, იცი რის სათქმელად მოვედი?

ს ო ს ო – ჰო.

ლ ი ლ ი – ბავშვს ველოდები.

ს ო ს ო (ანგარიშმიუცემლად) – ძალიან კარგი, ა?

ლ ი ლ ი – ბავშვს ველოდები, შენს შვილს.

ს ო ს ო (ახლაღა მიხვდა). ძალიან კარგი... მერე რა მოხდა... შარშანწინაც ხომ ელოდებოდი...

ლ ი ლ ი – ახლა განსხვავება ის არის, რომ აღარ დაგჭირდება ერთ სახლამდე ჩემი მიცილება და ხელების მტვრევით გარეთ ლოდინი. შენს ჭკვიანურ რჩევებს მხედველობაში აღარ მივიღებ, გადავწყვიტე ბავშვის გაჩენა.

ს ო ს ო – ლილი, რაღა დროს ჩემი ბავშვია.

ლ ი ლ ი – ჰო, შენ რასაკვირველია ახალგაზრდა მამიკო ვერ იქნები, და მეც, იქნებ, დიდი ბედნიერება ვეღარ მომიტანოს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი ახლობლების თვალში, მაგრამ ბავშვს ვაჩენ ჩვენი სიყვარულის დასტურად. შენი მოპოვების სხვა ძალა მე აღარ გამაჩნია. ცხრა წელიწადია გებრძვი და ვერ მოგწყვიტე ამ... ამ... ამ შენს ბუნაგს.

ს ო ს ო – აქამდე რომ ყველაფერი კარგად იყო?

ლ ი ლ ი – ეს შენთვის იყო ყველაფერი კარგად. გამოივლიდი სამსახურიდან. საყვარელი ქალის საწოლში ცოტა ხანს ინებივრებდი, მერე რაღაც სისულელეს მოიმიზეზებდი, წამოხტებოდი, თმას დაივარცხნიდი და გარბოდი შინ. შენ ჩემზე არც გიფიქრია. მე რომ თვალებდასიებული, ჭერსმიშტერებული ვათევდი უშენო ღამეებს.

ს ო ს ო – მაგრამ შენ ხშირად გითქვამს, რა ბედნიერი ვარო.

ლ ი ლ ი – ჰო, როგორც ჩანს, გაუთავებელი წუწუნი უნდა დამეწყო და სამსახურში ნერვული მოვარდნები, როგორც სხვა საყვარლებმა იციან.

ს ო ს ო – ეს შენა ხარ, ეს შენ ლაპარაკობ, ლილი?

ლ ი ლ ი – ყოველ შემთხვევაში, ის ოცდაორი წლის გულუბრყვილო გოგო აღარა ვარ, ცხრა წლის წინ ხბოსავით რომ ჩაგივარდი ხელში.

ს ო ს ო – ლილი!

ლ ი ლ ი – შენ მე მჭირდები, გესმის?! რა „ლილი“, ნუთუ ძალიან დიდ დანაშაულს ჩავდივარ, ნუთუ ცხრა წლის ჩემი გაგიჟებული სიყვარულით ამის უფლება არ მომიპოვებია.

ს ო ს ო – მერე, სიყვარულთან ეს ანგარიშები რა მოსატანია?

ლ ი ლ ი – ის მოსატანია, რომ შენ რომეოს ასაკი კარგა ხანია გაგივიდა. ბერდები. ჩემს ფანჯრებს კი მარტოხელა ქალის საშინელი აჩრდილი უახლოვდება. და მე სრული უფლება მაქვს ბედნიერებისათვის უკანასკნელად გავიბრძოლო.

ს ო ს ო – ცოტა ჩუმად... უფლება როგორ არა გაქვს, მაგრამ ამ ცხრა წელიწადში შენ ერთხელაც არ გითქვამს და, კაცმა რომ თქვას, ჩვენ ერთმანეთს... (დაბნეულობისგან ყელი უშრება). მე შენ არაფერს გპირდებოდი და ცოლქმრობის ვექსილი არ მომიცია.

ლ ი ლ ი – თქმა რა საჭირო იყო. ამ სახლში შენ ჩემზე მეტად არ უყვარხართ, სოსო.

ს ო ს ო – მაგრამ არსებობს სხვა რაღაცები, რის გამოც, მე ამ კერასთან სამუდამოდ, დიდი ჯაჭვით ვარ დაბმული, ეს წეღან შენც წამოგცდა.

ლ ი ლ ი – გეჩვენება.

ს ო ს ო – ბოლოს და ბოლოს... შენ იცი... მე არა ვარ ისე სუსტი მამაკაცი, ცოლებს ვიცვლიდე და ერთიდან მეორისკენ გავრბოდე.

ლ ი ლ ი – უკეთესი იყო გეთქვა, ისე ძლიერი მამაკაცი-თქო. ისინი სიყვარულისთვის ყველაფერს აკეთებენ.

ს ო ს ო – ლილი, ახლა შენ აღელვებული ხარ. წადი სახლში. მოვალ ხვალ და ვილაპარაკოთ.

ლ ი ლ ი – არა, სოსო, შენ ჩემთან უკანა კარიდან, ფეხაკრეფით აღარ მოხვალ, მეზობლებმა არ დამინახონო, შენ ჩემთან მოხვალ როგორც ჩემი ბავშვის მამა, დინჯად, წელგამართულად ამოივლი კიბეებს.

ს ო ს ო – რა ულტიმატუმია ლილი. გკითხო? თუ ასე არ მოვიქცევი-მეთქი?

ლ ი ლ ი – თუ არ მოხვალ, შიში ნუ გაქვს. შენს მეცნიერულ რეპუტაციას და ოჯახურ იდილიას ჩემის მხრივ ზიანს არ მივაყენებ. ბავშვს გავაჩენ და გავზრდი. ხომ იზრდებიან უმამო ბავშვები. როცა წამოიზრდება, მე მას ვუამბობ, რომ მამა ავიაკატასტროფაში დაეღუპა (ლილის ნელ-ნელა ტირილი ერევა). მას ექნება გამოგონილი გვარი და ეყოლება მამა, რომელიც აქვე ცხოვრობს, მეორე ქუჩაზე, რომელიც თავის შვილს არასოდეს

მიესალმება და თავზე ხელს არ გადაუსვამს. ეს იქნება სულ. მე სხვანაირად დასასჯელად ვერ გაგიმეტებ. ახლა შენ იფიქრე და როგორც სინდისმა გაგიჭრას, ისე მოიქეცი... (ლილი წამოდგა... კარის ზარის ხმა: სანამ სოსო კართან მივიდოდა, მეორე ოთახიდან გამოვარდნილმა მიმოზამ მოასწრო და სათვალთვალოში გაიჭვრიტა, სოსო ფეხაკრეფით მიდის სამზარეულოსკენ).

მ ი მ ო ზ ა – ელდარი არ არის, სოსო ბიძია. (მიმოზა კარს აღებს, შემოდის დათუნია ბუხაიძე, მიმოზას გაუღიმებს და ხელს ჩამოართმევს. სოსოსკენ წამოვა და გადაეხვევა. ლილის დაინახავს, ბოდიშს ეტყვის და ხელს რომ ჩამოართმევს, მონუსხულივით თვალს არ აცილებს).

ლ ი ლ ი – მე გეახლებით, ბატონო სოსო, მე მგონი წიგნთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია.

ს ო ს ო – (დაბნეული) ყველაფერი არა. შეიძლება ბოლო პარაგრაფი შეიცვალოს. ხვალ გამოვივლი გამომცემლობაში.

ლ ი ლ ი – კეთილი. კარგად ბრძანდებოდეთ.

ს ო ს ო – კარგად ბრძანდებოდეთ.

ლილი გავიდა. მიმოზა წიგნს დაუბრუნდა, ხანდახან დათუნიას გამოხედავს და გაუღიმებს. აშკარად ჩანს სტუმრის მიმართ გულგრილი არ არის.

ნ ა ნ ა ს ხ მ ა ა ბ ა ზ ა ნ ი დ ა ნ – მიმოზა!

ს ო ს ო – ბატონო.

ნ ა ნ ა – ვინ მოვიდა?

ს ო ს ო – დათუნია, ჩვენი, ბუხაიძე.

ნ ა ნ ა – როდის ჩამოვედიო?

ს ო ს ო – არ მიკითხავს.

ნ ა ნ ა – მამიდა როგორ არისო?

ს ო ს ო – არც ეგ მიკითხავს.

ნ ა ნ ა – აბა, რა ჰკითხე. მეტი რა ეცოდინება დათუნიას.

ს ო ს ო – ამ წუთში შემოვიდა, ჯერ არ დავლაპარაკებივარ.

დ ა თ უ ნ ი ა (ლილის თვალი რომ გააყოლა, ჯერ კიდევ იმ შთაბეჭდილების ქვეშაა) – ვინ იყო, სოსო, ე ჯანმრთელი ქალი?

ს ო ს ო – თანამშრომელია ჩვენი (ეშმაკურად გაიღიმა).

დ ა თ უ ნ ი ა – თანამშრომელი და ახლობელი იქნება, თვარა მტერს რა უგავს მაგას. თუ შრომობს კარგად, ქე მაინც?

ს ო ს ო – მოგეწონა?

დ ა თ უ ნ ი ა – მომეწონა კი არა, გელაპარაკები, ვუტოვებდი თელათ ამ ხელს, მარა არ ჭამა ხომ იცი შენ, იმ წუთშივე უკან დამიბრუნა. თვითონ თუ იცის, ნეტავი, ასე კაი რომაა.

ს ო ს ო – ეცოდინება.

დ ა თ უ ნ ი ა – მე ქე არ დევიბან ამ ხელს ერთ კვირას და. რავა გამოგაშტერებს კაი ნაჭერი ადამიანს. (მიიხედ-მოიხედა). ლერი რას შობა?

ს ო ს ო – დაამთავრა და დადის უსამსახუროდ.

დ ა თ უ ნ ი ა – რა დაამთავრა სოსო მაგან?

ს ო ს ო – ფილოსოფიური. ფილოსოფია.

დ ა თ უ ნ ი ა – (გაეცინა) მართლა გეკითხები.

ს ო ს ო – ლერის გეფიცები.

დ ა თ უ ნ ი ა – არ ჭირდებათ მერე ფილოსოფოსებიც, სოსო?

ს ო ს ო – რაც ჭირდებათ, იმდენი ჰყავთ. გამოჩნდება, ალბათ, სადმე რაღაცა და მოვაკიდებინებ ფეხს.

დ ა თ უ ნ ი ა – შენ მაგი არ უნდა გაგიჭირდეს, სოსო.

ს ო ს ო – რა ვიცი, შენსკენ ხომ მშვიდობაა, დათუნია?

დ ა თ უ ნ ი ა – რა მშვიდობა იქნება ახლა, შენ მითხარი, სახლში რომ ხუთი პირდაღებული ღლავი გეყოლება და გარეთ რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისე დაგსდევენ, რავარც კალოზე შევარდნილ კურდღელს.

ს ო ს ო – ხუთი გყავს ბავშვი? ყოჩაღ, ჩემო დათუნია.

დ ა თ უ ნ ი ა – (იცინის) მაგაში კი მაქვს იღბალი. ხელი წამივამეთქი და დროს არ ვაცდენ. (მიიხედ-მოიხედა, მიმოზამ გამოიხედა და გაუღიმა). ე ბოვში, სოსო?

ს ო ს ო – ნანას ნათესავია. სტუდენტი გახლავს.

დ ა თ უ ნ ი ა – და აქანაა თქვენთან?

ს ო ს ო – ჰო, სტუდქალაქს ვერ ენდო დედამისი და გვთხოვა...

დ ა თ უ ნ ი ა – ახლაა თუა, მაგი სამწყემსავი.

ს ო ს ო – კარგი მეცადინი გოგოა, სხვათა შორის.

დ ა თ უ ნ ი ა – გოუმარჯოს გამჩენმა.

ს ო ს ო – რა კურდღელივით დამსდევენო, რას ამბობდი?

დ ა თ უ ნ ი ა – ნამეტანი გამიჭირდა, სოსო, და უნდა მიშველო, თვარა აგერ შენ თვალწინ გამევიჭრი ყელს და დაგიტოვებყენ ნათესავებს ხუთ ვეშაპს სარჩენად.

ს ო ს ო – ჰო.

დ ა თ უ ნ ი ა – არ იცი, ახლა, რაზე შეგაწუხებდი? უნდა დამირეკო ხუროძესთან, შენს მეტი პატრონი ვინ მყავს. უნამუსო და გვარის შემარცხვენელი არ ვარ, ჩემო სოსო, მე. მარა ხუთ ბოვშს ჭამა არ უნდა? რომ გაიგებ, რაზე ვმუშაობ, გაგეცინება: განვადებით გაცემული ნივთების ინსპექტორ-კონტროლიორი ვარ. რა არი, ხომ იცი, ჩემი საქმე: ურჩი გადამხდელები რომ არიენ, იმგენს ვაკითხავ სახლში და ვანამუსებ.

ს ო ს ო (იცინის) – რანაირად ანამუსებ?

დ ა თ უ ნ ი ა – ჯერ ვეკითხები – სესხს რატომ არ იხდითქვა, მერე ვაშინებ, ვითომ, ჩემი ჭკუით, მილიციით და სასამართლოთი, მერე ხვეწნაზე და დაფიცებაზე გადავდივარ. ჩვენებურ კაცს ათასნაირად თუ არ მიუდექი, არ შეგჭამოს ტარაკანამ, არ გამოვა არაფერი.

ს ო ს ო – საქმე, მართლაც, ძნელი გქონია, ჩემო დათო. გაგიჭირდება, რა თქმა უნდა. რა გრჩება მაგ წანწალით?

დ ა თ უ ნ ი ა – ოცდაცხრამეტ მანათს ვიღებ ნახევარი თვისას.

ს ო ს ო (დაფიქრდა) – რა გიშველო ახლა. რა ვიცი, თქვენი სისტემის ხალხი ცოტა სხვანაირი ხალხია, ხომ იცი. შენ სპეციალობა არაფერი გაქვს, დათუნია?

ნ ა ნ ა (ხმა აბაზანიდან) – მიმოზა!

მ ი მ ო ზ ა – ბატონო!

ნ ა ნ ა – დათუნიას ჩაი გამოუტანე!

მიმოზა სამზარეულოში გავარდა.

დ ა თ უ ნ ი ა (აბაზანას გასძახის). არ მინდა, ნანა, დიდი მადლობა. ამ წუთის ნასამხრი ვარ. შამევირბინე სოსოსთან, პატარა საქმე მქონდა. ქე უნდა გავყვე ავტობუსს.

ნ ა ნ ა – მამიდა, როგორაა დათო, მამიდა!

დ ა თ უ ნ ი ა – ავადმყოფობს ხანდახან. ისე, ქე დაღოღიალობს ჯერ (გაეცინა). ტანსაცმელს თვითონ იცვამს, ესაა ჩვენი შეღავათი! (სოსოს მიუბრუნდა). სპეციალობა არაფერი გაქვსო? რავა არა მაქვს, სატყეო ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული.

ს ო ს ო – დავურეკავ, აბა, ხუროძეს და ვთხოვ სპეციალობით რამე ადგილი მოგიძებნოს.

დ ა თ უ ნ ი ა – არ დამღუპო, სოსო, ტყეში წანწალი მინდა ახლა მეე? შენ მაინც მიცნობ, მე დიდი მპარავი არ ვარ, მე წვრილმანებზე ვარ დასპეციალებული. იქანა დიდი ქურდი უნდა. შენ მაგივრადაც უნდა მეიპარო და სხვის მაგივრადაც. მერე, რომ ჩავარდები, ყველა ხელს დეიბანს და გაგეცლება.

ს ო ს ო – რომ არ მოიპარო?

დ ა თ უ ნ ი ა – აბა, რა უნდა ქნა. შენ მე სულელი ხვარ გგონივარ. მოუპარავად ვინ გაგაჩერებს. ვითომ არ იცი, რა დროა. მთელი ცხოვრება გასწავლიან ქურდობას და კარგად რომ ისწავლი, მაშინ დაგიჭერენ სწორედ. დაგიჭერენ და მერე დაიწყებენ მკითხავობას გაზეთებში: ვინ ასწავლა, სად ისწავლა, ეს მურტალი საქმეო.

ს ო ს ო – ესე იგი, შენ ისეთი სამსახური გინდა, მარტო შენთვის იპარავდე?

დ ა თ უ ნ ი ა – კიე. დიდი ქურდობის ვაჟკაცობა მე არ მაქვს, თვარა მაშინ სხვანაირად წევიდოდა ჩემი საქმე. პატარას რო ეციცქნები ლიფსიტასავით შენთვის, მაინცდამაინც

არ ეჩხირები თვალში არც ხალხს და არც მთავრობას. ჩემნაირ პატარა ქურდზე ვინ გაისვრის ხელს. სხვა კი არა, მეც არ დევიჭირე ამას წინათ ჩემი საწყალი ქურდი. მოგიყვე? ამ ორი კვირის წინ გამევედი ჩემს კაცურ საქმეზე შუაღამისას გარეთ და მთვარის სინათლეზე ვხედავ სარდაფის კარი მოღიავებულია. დატოვეს, ალბათ, ღია-მეთქი, ქურდზე არც მიფიქრია, მაგრამ სანამ კოინდარს გავივლიდი, ფაჩუნი მომესმა და იმ ფაჩუნმა დამაეჭვა; ძაღლი შევიდა ალბათ-მეთქი, ყოველ შემთხვევაში, ხეს ილინცურად ამოვეფარე. ერიჰაა, ჩემს სარდაფში ქურდია. ის ვერ მხედავს, რასაკვირველია, და მე მშვენივრად ვხედავ, როგორ საქმიანობს იმ ჩემს სარდაფში. გადაქექ-გადმოქექა იქაურობა, ჩაალაგა აბგაში, რაც მოხვდა ხელთ და გამოვიდა. სხვას ჩემ ადგილზე, შეიძლება, ეყვირა, არიქა, ქურდიო, შეეყარა მეზობლები, გამოკიდებოდა, დაეჭირა და იმაზე უფრო დიდი ქურდებისთვის ჩაებარებინა. მაგრამ მე ეს არ გავაკეთე. გავყევი უკან ნიფხავ-პერანგისამარა. მივაბიჯებთ ორნი ნინოშვილის ქუჩაზე. მამლის პირველ ყივილამდე დიდი დრო არაა დარჩენილი. გრძნობს, რასაკვირველია, რომ მივყვები. კაიხელა აბგას მიათრევს და უჭირს სიარული. მოუმატებს ნაბიჯს, მოვუმატებ მეც, გაჩერდება – გავჩერდები. ასე მივაცილე სადგურამდე. სადგურში აღარ შევყოლივარ, შემრცხვა, ვინმე დამინახავდა და გიჟი ვეგონებოდი. რატომ არ დევიჭირე თუ იცი, ჩემი სარდაფის ქურდი?

ს ო ს ო – რატომ?

დ ა თ უ ნ ი ა – რატომ და ჯერ ერთი, ჩემსავით წვალობს და ჯახირობს ისიც, სხვის სარდაფში შეპარვას პატარა ამბავი უნდა? მეორეც, რას ვინახავ ახლა, კაცმა რომ თქვას, სარდაფში? ძველი შიბლეტები მქონდა, დაცვეთილი ტანსაცმელი, ბავშვების თავყურმოგლეჯილი თოჯინები და ორიოდე ქილა მწნილი. მტვერი რაღაცას ხომ უნდა ეყრებოდეს. სიბნელეში ისეთი გულმოდგინებით ტენიდა აბგაში ამ ჩემს ურგებ ხარახურას, რომ შემეცოდა პირდაპირ. არ დარჩებოდა, თორემ იმ შუაღამისას სახლში ამოვიპატიჟებდი და ღვინოს დავალევინებდი.

ს ო ს ო – სადგურზე რაღატომ გააცილე?

დ ა თ უ ნ ი ა – რა ვიცი. გზაზე რამე ფათერაკს რომ არ გადაყროდა. სანამ სახლში მივიდოდეს, ხომ კაცია, ხომ ჰგონია, რაღაცა მევიპარეო. მართალია, ცოტა კი ვანერვიულე რომ მივაცილებდი, მარა თავისი მაშინ ეყოფა, შინ რომ მივა და ჩემს ნაყარ-ნუყარს რომ ამოალაგებს. რაც მაგან წეიღო, ყველაფერში ერთად მეძველმანე ებრაელი მანათს არ მომცემდა.

ს ო ს ო (იცინის) – შენგან წასული სხვის სარდაფშიც რომ შესულიყო?

დ ა თ უ ნ ი ა (გულუბრყვილოდ) – მაშინ, ალბათ, დავიჭერდი. ნამეტანი არ უნდა გაღორდე კაციშვილი. ერთ ღამეში რომ მეინდომებ გაკეთებას, მაშინ წაგივა გლახათ საქმე. ბევრმა ზომა დაკარგა ამ ბოლო დროს, ნამეტანი არ უნდა ქნა, თვარა ნორმალური ქურდობა, მე მგონია, ზევიდანაცაა დაშვებული.

ს ო ს ო – (იცინის)

დ ა თ უ ნ ი ა – რა გაცინებს. დაშვებული ქურდი არ ვარ მეე? აბა, რა ვარ. შენ გგონია არ იცის მთავრობამ, ოთხმოცდასამი მანათით თვეში ხუთი ბავშვის რჩენა რომ არ შეიძლება?

ს ო ს ო – განვადებით გაყიდულ საქონელს რა უნდა გამორჩე, დათუნია?

დ ა თ უ ნ ი ა – არი პატარა რაღაცა. ხან დისპეტჩერი გადმოგიგდებს ერთ ორ კაპიკს, ხან გამყიდველი. პურის ფულს მაინც ვაკეთებ, დღეში, რომ არ დაგიმალო. ყველაფერს რომ თავი დავანებო, თავის ფასში რომ რაღაცას ჩაიგდებ ხელში, პატარა საქმეა?

ს ო ს ო – რა ვთხოვო ხუროძეს აღარ მეტყვი? სად გინდა გადაყვანა?

დ ა თ უ ნ ი ა – ეგ არ მინდა სწორედ. ხუროძეს უნდა დაურეკო, შენ შემოგევლე, და უნდა შეეხვეწო: დამტოვონ ჩემს ადგილზე.

ს ო ს ო – გეცილება ვინმე შენს თანამდებობას?

დ ა თ უ ნ ი ა – კი არ მეცილება მარა, ხომ იცი, ხუროძე ახალი კაცია. ახლა დაიწყება თავთავისი ხალხის წაყვან-წამოყვანობია. ზოგს დეიჭერენ და ზოგს დაჭერილს გოუშობენ.

ტელეფონის ზარი. ისევ მიმოზამ მიასწრო.

მ ი მ ო ზ ა – სოსო ბიძია (ყურმილი გადასცა).

ს ო ს ო (დათუნიას) – ბოდიში. გისმენთ, ბატონო. დიახ. რომელი ბრძანდებით? პარკში? რომელ საათზე? კი მაგრამ, როგორ უნდა გიცნოთ? გასაგებია. კი ბატონო. (ყურმილი დადო, დაბრუნდა). მერე დათუნა?

დ ა თ უ ნ ი ა – ჰოდა, მე არაფერი მინდა, სოსო. არაფერ საქმეში არ ვერევი. ენაზე კბილი მაქვს დაჭერილი და ვარ ჩემს სოროში თაგვივით. დამტოვონ ჩემს ადგილზე და დამანებონ თავი. ღმერთმა ნუ ქნას, ახლა დამაწინაურონ. ჩვენს დირექტორს წამოცდა გუშინწინ, შენ დიდიხანია მუშაობ და სექციონერად უნდა დაგაწინაუროვო. ამის თაობაზე შეგაწუხე. შეეხვეწე ხუროძეს, დათუნია არაა გლახა ბიჭი და დავტოვოთ მის ადგილზე-თქვა. მე ვიცი, რას ნიშნავს მაგენის წინ წაწევა. რავარც აგწევენ ცოტას, იმ წუთშივე დაგემიზნება მილიონი თოფი. ისე სიმღერ-სიმღერით მიგიყვანენ დანაშაულამდე, ვერ გეიგებ. ბოლო ქე იცი, რაც არის. ახლა რაც ქვევით ხარ, ფუჩეჩში, მით უკეთესია.

ს ო ს ო – ნამეტანი დაუშინებიხარ ცხოვრებას.

დ ა თ უ ნ ი ა – რა დაგიმალო და დავშინდი, სოსო. ვისაც არ ეშინოდა, ქე გააკრეს ჯვარზე და ახლაც ბარე ორს უპირებენ. ე, ხუთი ბოვშის დარდია რომ მაფხიზლებს, თვარა თავზე ხელის აღებას რა უნდა. დავტოვოთ თავის ორკაპიკიან ადგილზე-თქვა. არ ჭირდება ფული დათუნიას-თქვა. გააფუჭებს ფული მაგას-თქვა, ასე უნდა უთხრა ხუროძეს, თვარა დაწინაურებას მიპირებენ და დავიღუპები.

ს ო ს ო (იცინის).

დ ა თ უ ნ ი ა (დგება) – შენ იმედზე ვარ, სოსო და არ დამღუპო იცოდე.

ს ო ს ო – ჩემო დათუნია, დავურეკავ აუცილებლად.

დ ა თ უ ნ ი ა – აბა, კარგად მეყოლეთ ახლა.

ს ო ს ო – რა გეჩქარება დათუნია (აბაზანას გასძახის). ნანა, დათუნია მიდის!

ნ ა ნ ა – არ გაუშვათ, გამოვალ ახლავე!

დ ა თ უ ნ ი ა – დიდი მადლობა. ავტობუსი გამასწრებს, თვარა თქვენთან ჭუკჭუკს რა სჯობია. (ყველას ხელს ართმევს ღირსეულად, პროვინციულად, აბაზანას გასძახის). კარგად, ჩემო ნანა!

ს ო ს ო (მიმოზას) – დათუნიას გავაცილებ და ცოტა ხანს პარკში გავივლი.

დათუნია და სოსო გადიან.

გავიდნენ თუ არა შიო და სოსო, მიმოზამ კარებთან მიირბინა, ჭუჭრუტანაში გაიხედა, ფრენით შემოტრიალდა, მაგნიტოფონი ჩართო და ცეკვა დაიწყო. მაგნიტოფონი მთელი ხმით უკრავს. მიმოზა ცეკვავს აერობიკის სტილში. მალე კარი იღება და ლერი შემოდის. მიმოზა მალაყის პოზაში ქვავდება. ლერიმ ყურადღება არ მიაქცია. მიმოზამ მაშინვე გამორთო მაგნიტოფონი. ლერი ტელევიზორთან მივიდა, ჩართო პირველი პროგრამა, მეორე, მესამეზე შეჩერდა. ტელევიზორთან მოკალათდა და შეჰყურებს. მიმოზა გვერდით მიუსკუპდა. მიმოზამ ლერის ურჩ ქოჩორზე შეავლო ხელი და მოუქიჩავა.

ლერიმ თავი გასწია, მიმოზამ ისევ აუბურდა ქოჩორი.

ლ ე რ ი – კარგი ჰო, გეყოფა.

მიმოზამ კვლავ გაუჩეჩა თმა.

ლ ე რ ი – გაილახები, მიმოზა.

მ ი მ ო ზ ა – ისევ ცუდ ხასიათზე ხარ?

ლ ე რ ი – არავითარ ხასიათზე არა ვარ, არც ცუდზე და არც კარგზე.

მ ი მ ო ზ ა – რა ჰქენი შენი საქმის?

ლ ე რ ი – დღეს არ მივსულვარ.

მ ი მ ო ზ ა – ხომ გითხრეს იმ კვირაში გამოიარეო.

ლ ე რ ი – ჯერ ერთი, ის კვირა დღეს დაიწყო და მეორეც, შენ უნდა იცოდე, „იმ კვირაში გამოიარეზე“ უფრო ყალბი და ბუნდოვანი ფრაზა არ არსებობს.

მ ი მ ო ზ ა – გეხვეწები, ნუ ხარ ცუდ ხასიათზე. აერობიკა რატომ არ გიყვარს?

ლ ე რ ი – რა ჩერჩეტი გოგო ხარ, მიმოზა, შენ შეგიძლია გამოუგონო შენს თავს აერობიკა, ფრიადებზე სწავლა, კულტმასობრივი საქმიანობა. რა ბედნიერი ხარ, რომ არ იცი, რომ ეს ყველაფერი ყალბია, პოზაა.

მ ი მ ო ზ ა – მაინც? რატომ არის პოზა?

ლ ე რ ი – არავის არ სჭირდება. უბრალოდ დიდ თამაშობებს გათამაშებენ, რომ სერიოზულად არაფერზე იფიქროთ. შენ თვითონ არავის არ სჭირდები. აი, დაამთავრებ და ერთბაშად იგრძნობ, რომ ყველაფერი ტყუილი იყო.

მ ი მ ო ზ ა – ისევ ძველ კამათს ვიწყებთ. ლერი, რასაც ახლა შენ მეტყვი, ყოველ საღამოს ამაზეა ლაპარაკი ტელევიზორში და რადიოში.

ლ ე რ ი – მითუმეტეს.

მ ი მ ო ზ ა – დავიღალე ამის მოსმენით.

ლ ე რ ი – და მაინც, ხომ ხედავ, არაფერი შეცვლილა. პატარა კამათის ნება დაგვრთეს და, ვინ იცის, სასაცილოდაც არ ჰყოფნით ჩვენი კამათი.

მ ი მ ო ზ ა – იმ დღეს რომ მეუბნებოდი, ინსტიტუტში ბევრ ისეთ საგანს გასწავლიან, ცხოვრებაში აღარასოდეს რომ აღარ დაგჭირდებაო, ჩვენ ვიცით ეს და იმათ არ იციან?

ლ ე რ ი – ჯერ დავაზუსტოთ „იმათში“ ვის ვგულისხმობთ.

მ ი მ ო ზ ა – ვთქვათ, ვისაც სწავლის მოწესრიგება ევალება.

ლ ე რ ი – როგორ არ იციან, მაგრამ სიახლის ეშინიათ. მინისტრები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ყურადღება არ მიიპყრონ. ყოველგვარი სიახლე ჩვენში სიგიჟის ზღვარზე გადის. თუ მართალი აღმოჩნდი, მადლობას მაინც არ გეტყვიან, რადგანაც სიახლე რაღაცის შეცვლასთანაა დაკავშირებული, შეცვლა ფინანსებთან, ფინანსების გაცემა კი, მოგეხსენება, არავის უნდა. თუ მართალი არ აღმოჩნდი, მთელი ქვეყანა გახარებული დაგესევა და გიჟად გამოგაცხადებენ.

მ ი მ ო ზ ა – არ უნდა იყო მართალი, სიგიჟედ რატომ ჩაეთვლება ვინმეს სახამბერიძის საგნის გაუქმება. შენ გიკითხავდა?

ლ ე რ ი – კი.

მ ი მ ო ზ ა – მეორე სემესტრია გვმოძღვრავს. რას გვასწავლის, მე მგონი თვითონაც არ იცის. არავითარი სისტემა. იტყვის რამეს და თვითონვე მოაყოლებს ეს დოგმა არ გეგონოთ, სამწუხაროდ, გამონაკლისი ბევრიაო.

ლ ე რ ი – ეგ რატომ, იცი? სახამბერიძე პატიოსანი კაცია და რცხვენია, რომ სამსახურებრივი მოვალეობის გამო იძულებული ხდება მოგატყუოთ. კანში ძვრება რომ თქვენს თვალში ყალბ კაცად, ცრუმეცნიერების მქადაგებლად არ გამოჩნდეს.

მ ი მ ო ზ ა – რა ძალა ადგათ, გააუქმონ, ან სხვა რამით შეცვალონ სახამბერიძის საგანი.

ლ ე რ ი – სათქმელად იოლია. ეს იმას ნიშნავს, – სკამი გაუუქმონ ჩვენს ქვეყანაში ათასობით სახამბერიძეს. სახამბერიძეებს კი ცოლ-შვილი ჰყავთ და ისინი, როგორ ფიქრობ, მოისვენებენ? რკინის ქალამნებს ჩაიცვამენ და მანამ ივლიან, სანამ ამ „ტრადიციული საგნის“ გამაუქმებელს ხალხის მტრად არ გამოაცხადებენ. ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმულ-გადაჯაჭვული.

მ ი მ ო ზ ა – რაღაცაშია საქმე და ვერ ვხვდებით. ყველგან წუწუნი მესმის, წუწუნი და მეტი არაფერი.

ლ ე რ ი – წუწუნიც საქმეა. წუწუნი რომ არ ვიცოდით, სწორედ იმის გამოა, კინაღამ ჩიხში რომ მოვექეცით.

მ ი მ ო ზ ა – რას ეძახი შენ ჩიხში მოქცევას?

ლ ე რ ი – რას და რამდენი ხანია ვსწავლობთ და პერანგზე სახელოს მიკერება რომ ვერ ვისწავლეთ.

მ ი მ ო ზ ა – მერე? ეგ ჩვენი ბრალი არ არის?

ლ ე რ ი – ვისი, ჩვენი?

მ ი მ ო ზ ა – ჩემი და შენი.

ლ ე რ ი – მე და შენ ჯერჯერობით „აღზრდის ობიექტები“ ვართ, ჯერ ჩვენთვის საქმე არ მოუნდვიათ, მაგრამ ყველაფერი ისე კარგად მოახერხეს, რომ სისულელის სისულელედ გამოცხადების უნარი დაგვიჩლუნგდეს. ასე რომ, ჩვენც მშვენიერი, დამჯერე და თვინიერი თაობა ვართ.

მ ი მ ო ზ ა – მე მაგალითად ფუჭ ლაპარაკს საქმის გაკეთებას ვარჩევ. ცხვირის აბზუება იოლია, უკმაყოფილო კაცის იერი ცხოვრებას უფრო დაამძიმებს.

ლ ე რ ი – რა საქმეს აკეთებ შენ, მაგალითად, მესამე კურსის სტუდენტი?

მ ი მ ო ზ ა – ვსწავლობ, ვცეკვავ.

ლ ე რ ი – ოჰოჰო, არ აგიშენებია ქვეყანა?

მ ი მ ო ზ ა – ერთი კვირის წინათ ყურძნის საკრეფად გახლდით.

ლ ე რ ი – აი, ყურძნის კრეფიდან დავიწყოთ. შეგკრიბეს სტუდენტები დიდ მოედანზე და ფიცი დაგადებინეს, რომ ყურძნის მკრეფავთა რაზმის მებრძოლები ხართ და სამასი სტუდენტი მიგაყენეს კახეთის ერთ სოფელს ყურძნის საკრეფად, როგორ შეგხვდნენ?

მ ი მ ო ზ ა – იქაც მშვენივრად. მიტინგი გაიმართა, მოგვესალმნენ.

ლ ე რ ი – კეთილი და პატიოსანი. მიტინგი დამთავრდა, ახლა ყურძნის კრეფას შევუდგეთო, გამოგიცხადათ, ხომ თქვენი მკრეფავთა რაზმის მეთაურმა?

მ ი მ ო ზ ა – კი, მაგრამ... ჯერ დასვენება გვინდოდა, ნამგზავრი ვიყავით და, რა დაგიმალო, გვშიოდა კიდეც.

ლ ე რ ი – მოგშივდათ კიდეც? მასპინძლებმა სტუმრების პატივსაცემად სადილი გამართეს და როგორც გაზეთებში სწერენ ხოლმე, „სადილმა, გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა“. ეს გარეგნულად, ახლა ცოტა შიგნით შევიხედოთ. რაიკომის მდივანმა სოფლად ინსტრუქტორი აფრინა. ზეგ სამასი სტუდენტი უნდა მიიღოთ, ყურძნის კრეფაში დასახმარებლად მოდიანო. თავმჯდომარეს პირში სიტყვა შეაცივდა, რა დროს სამასი სტუდენტია ამ გახურებულ რთველშიო, მაგრამ განკარგულება განკარგულებაა. სად უნდა დააწვინოს სოფელმა სამასი სტუდენტი? კარვები გაშალეს ალაზნის პირას. კარვები, მაგრამ სტუდენტები ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები არიან. საწოლი? რაში დააძინოს სოფელმა სამასი სტუდენტი? გავარდნენ-გამოვარდნენ აქტივისტები. მოარბენინებენ ოჯახებიდან საბანს და ლეიბს, ზეწარს და მუთაქას. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ სამას სტუდენტს სულ მცირე სამოცდაათი კარავი მაინც სჭირდება, ხოლო სამოცდაათ კარავს, შესაბამისად, ხელ-პირის დასაბანი. ალაზანში დაიბანთ ახალგაზრდები ხართ, რა გიჭირთ, მაგრამ პირის დაბანვის გარდა ზოგი ისეთი ბუნებრივი მოთხოვნილება გააჩნია ადამიანს, ველად გასვლა, ან მდინარისპირას ჩასეირნება შენისთანა თავმომწონე გოგონასთვის მთლად მოსახერხებელი რომ არ არის. სამას მადაგაღვიძებულ სტუდენტს ერთ ჭამაზე ერთი ძროხა არ ეყოფა. მაგრამ რაკი დღეში სამჯერ ჭამა დააწესა უფალმა (დავუშვათ მკრეფავი რაზმის მებრძოლები ორჯერ ჭამაზეც ყაბულს აღმოჩნდნენ) დღეში ორი ძროხა ხომ არის? სხვას რომ თავი დავანებოთ? თქვენ, რამდენადაც მახსოვს, ერთ კვირას დარჩით სოფელში. შვიდი დღე – თორმეტი ძროხა. განა რა სარგებელი მიეცით

სოფელს ამის ფასი? მე ხომ ვიცი, თქვენი ნაზი ხელები ყურძნის საკრეფად მთლად მოწყობილი რომ არ არის? და ისიც ხომ ვიცი, რომ ზოგი ჩემი დაი და ძმაი უფრო დროს გასატარებლად იყო ჩასული. ასე იყო თუ არა, დედას გაფიცებ?

მ ი მ ო ზ ა – თითქმის. ჩვენც გავწვალდით და მასპინძლებიც გაწვალდნენ.

ლ ე რ ი – მე ეს დეტალები შენგან ვიცი. მაგრამ შენ იქნებ ის არ იცოდე, რომ თქვენი ერთკვირიანი მეჯლისი სოფლად, არც მეტი, არც ნაკლები, სოფელს დააწვა კისერზე. სამასკაციანი, თუნდაც მკრეფავთა რაზმის შესვლას სოფლად გაგანია რთველის დროს, რაზმისა, რომელშიც ტაშ-ფანდურის ხასიათზე მდგარი გამოუცდელი სტუდენტები შედიან „წამყვან მებრძოლებად“, რა უნდა დავარქვათ? არ იყო ეს სისულელე? იყო. რომელმა თქვენგანმა თქვა, თუნდაც ჩამოსვლის შემდეგ, რომ ეს, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო სოფლის დახმარების ქმედითი ფორმა? არც ერთმა. აი, რას აკეთებთ თქვენ.

ნანა გამოვიდა აბაზანიდან.

ნ ა ნ ა – არ გცემთ ჩამწვარი ლობიოს სუნი? ეჰ, თქვენ რა გითხრათ ბავშვებო? (სამზარეულოში შევარდა და გამოვარდა).

ნ ა ნ ა (ლერის) – გაიხადე, ბიჭო, ეს ჯინსი, ნუ ხარ გამოკრული, გული შემიწუხდა.

ლ ე რ ი – გავიხდი, ჰო, დამაცალე, ადამიანს ველაპარაკები.

ნ ა ნ ა – რა უხეში გახდი, დედიკო, რა გეშველება შენ. ჰო, რაზე ფილოსოფოსობდით, შეიძლება თქვენს საუბარში ჩავერიო?

მ ი მ ო ზ ა – რაზე და ვერ ვიტანთ, როცა გვატყუებენ.

ნ ა ნ ა – სად გატყუებენ, რატომ?

ლ ე რ ი – ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

ნ ა ნ ა – მაგალითად?

ლ ე რ ი – მაგალითად ის, რომ აკვარიუმის თევზებივით გვზრდიან. ცხოვრება სულ სხვაგვარადაა მოწყობილი, ჩვენ სხვას გვასწავლიან.

ნ ა ნ ა – ეგ მამაშენის სიტყვებია. მაინც როგორ დაემსგავსე ასე მამაშენს. სულ ბუზღუნა, სულ უკმაყოფილო. ჯერ თქვენ რა ნახეთ, თქვენ რა იცით ცხოვრება, რომ ასე გადაგიწყვეტიათ.

ლ ე რ ი – დედიკო, ძალიან გხოვ ფრაზებით არ მელაპარაკო, ფრაზებს ისედაც ყოველ ნაბიჯზე ვისმენ.

ნ ა ნ ა – ვინ დაგარწმუნათ, რომ თქვენ შაშვის ბარტყები ხართ და მზამზარეული ლუკმის მოტანისას მხოლოდ პირს უნდა აღებდეთ.

მ ი მ ო ზ ა – რატომ, ნანა დეიდა. არც ისე ყრუ ბავშვები ვართ, როგორც ზოგიერთს ეჩვენება. თუ გახსოვთ, როცა საქმემ მოითხოვა, სწორედ ჩვენ, „შაშვის ბარტყები“ დავდექით რუსთაველზე ყოველგვარი მოწოდებისა და დამრაზმავი სიტყვების გარეშე. და თუ გაჭირდა, ისევ გამოვალთ და დავდგებით.

ნ ა ნ ა – სანამ დადგებოდეთ, ცოტა თქვენს თავსაც უნდა შეხედოთ. თქვენ ცხრა ძმა ხერხეულიძე, ან სამასი არაგველი გაგიგონიათ?

ლ ე რ ი – მერე?

მ ი მ ო ზ ა – კი, რა თქმა უნდა.

ნ ა ნ ა – არასდროს დაფიქრებულხართ, რანაირები იქნებოდნენ ისინი თქვენ ასაკში? რანაირად იქცეოდნენ, რას ლაპარაკობდნენ?

ლ ე რ ი – ვთქვათ დავფიქრებულვართ.

ნ ა ნ ა – როგორ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ისინიც შენსავით წუნია და გულგატეხილი, ბუზღუნა და ამრეზილი, ასე გამხდრები და გალეულები იქნებოდნენ. ცხოვრებაში რაღაც დროებითმა წინააღმდეგობამ დაგაბნია. შენი ადგილის პოვნა ასე იოლი რატომ გეგონა?

ლ ე რ ი – წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვაც შეიძლება, იქნებ საჭიროც იყოს, ცხოვრებას მეტ ლაზათს აძლევს. მაგრამ გადაულახავი წინააღმდეგობანი საშინელებაა. თქვენ დროს სხვა იყო, თქვენ გელოდებოდნენ, გეძახდნენ. ჩვენ არ გველოდებიან. ყველა დაწესებულების დირექტორს ახალგაზრდა დიპლომიანის დანახვისას სახე უძმარდება. კადრები თავზე საყრელადაა.

ნ ა ნ ა – საიდან მოიტანეთ, დედაქალაქში იქნებ ჰო, მაგრამ დღედაღამ იხვეწებიან სპეციალისტები რაიონებში წადითო.

ლ ე რ ი – ესეც ფრაზაა. ჯერ ერთი არც სოფლადაა ბევრი თავისუფალი ადგილი „სპეციალისტისთვის“ და მეორეც, ვინც ამას ქადაგებს, არც ერთი მათგანის შვილი რაიონში არ მუშაობს.

ნ ა ნ ა – უცნაური ბავშვები ხართ. ასე რომ ეფიქრათ, ასე რომ გაეტეხათ გული იმათ, ვის ბეჭებზეც ჩვენ ამოვიზარდეთ, რა ვიქნებოდით დღეს?

ლ ე რ ი – თქვენ ფიქრის დრო არ გქონდათ, ამიტომ, სანამ ბოლოში არ გავედით, ვერავინ მიხვდა, რომ სხვა გზით მივდიოდით. სულ სხვას აშენებდით და სხვა გამოვიდა.

ნ ა ნ ა – გვეყოფა კამათი. ახლა, ჩემო სოსო (ირონიულად მამამისის სახელით მიმართავს) უფრო მარტივ საუბარზე გადავიდეთ. აი, მიმოზა, რა არის მაგალითად შენი იდეალი?

ლ ე რ ი – ამ შეკითხვით მერვეკლასელებს მიმართავენ.

ნ ა ნ ა – აცალე.

მ ი მ ო ზ ა – ჩემი იდეალი ადამიანური ცხოვრებაა.

ნ ა ნ ა – არც ისე ორიგინალურია, მაგრამ მაინც არა უშავს. ახლა შენ შვილიკო (ლერის მიუბრუნდა), მესამე წელია ავტობუსით და ტროლეიბუსით არ გიმგზავრია. ქალაქში ფეხით დადიხარ. რას მივაწერო შენი ახირება ამ მოტორიზებულ საუკუნეში ტრანსპორტის მიმართ?

ლ ე რ ი – ერთხელ უკვე გითხარით. ფეხით მოსიარულეთათვის ეს ქვეყანა, სხვაგვარად მოჩანს.

კარის ზარის ხმა გაისმა. მიმოზამ ჭუჭრუტანასთან მიირბინა. მიმოზა შემობრუნდა და გამშრალი ხმით ამბობს: – ელდარია. ნანა და ლერი წამოხტნენ. იქით აქეთ გარბიან. მუსიკა. ნანამ სამზარეულოდან ბოთლით არაყი და ჭიქა გამოიტანა. კარებთან მდგარ მიმოზას შეაჩეჩა და თვითონ აბაზანაში გაუჩინარდა. მიმოზა დგას კარებთან არყის ბოთლით და ჭიქით ხელში.

მ ი მ ო ზ ა – ვინ ბრძანდებით?

ე ლ დ ა რ ი (ჩახლეჩილი ხმით). მე ვარ, ელდარი ვარ.

მ ი მ ო ზ ა – სოსო ბიძია, შინ არ არის.

ე ლ დ ა რ ი – ვიცი, ვიცი... არ იქნება... შენ მიმოზა ხარ?

მ ი მ ო ზ ა – დიახ.

ე ლ დ ა რ ი – გამიღე მერე, ბიძიკო, სიტყვა მაქვს შენთვის სათქმელი.

მიმოზამ კარი გააღო. კარებში დგას დაჭმუჭვნილ სახე-შლაპიანი, წვერგაუპარსავი, ლოთის ცხვირპირიანი ელდარ ქიქოძე.

ე ლ დ ა რ ი (იდუმალი ჩურჩულით). მეორედ მოსვლაა საჭირო... მეორედ მოსვლა. ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ... ღმერთი სულგრძელია. ერთი ცდის უფლებას კიდევ მოგვცემს. მერე რა ვუყოთ, ექსპერიმენტი არ გამოვიდა... ვთქვათ, ვაღიაროთ და ახალი დავიწყოთ... სადაა სოსო?

მ ი მ ო ზ ა – ვერ გეტყვით, ელდარ ბიძია.

ე ლ დ ა რ ი – სოსო დიდი კაცია. თქვენ არ იცით სოსოს ფასი. მარტო სოსომ იცის, რა ეშველება ამ ქვეყანას... სხვამ არავინ... სხვამ არავინ... დამისხი, დამისხი...

მიმოზამ არაყი დაუსხა. ელდარმა ჭიქა დაიჭირა და მაღლა აიხედა. ხელი უკანკალებს, მაგრამ მაინც სულმოუთქმელად დაცალა. პირზე ხელი მიირტყა, ჭიქა დაუბრუნა მიმოზას.

ე ლ დ ა რ ი – (მიმოზას თმაზე ხელი ჩამოუსვა) მე დასალევად არ მოვსულვარ, ბიძია. კაცს ვეძებ, კაცის სანახავად, სამუსაიფოდ მოვედი. საიდუმლო მაქვს სოსოსთვის გასამხელი. მხოლოდ სოსოს ვეტყვი, სხვას არავის... (ხელი ჩაიქნია, შებრუნდა და გადის).

მეორე მოქმედება

პარკი. წინა პლანზე გრძელ მაგიდას უსხედან მოჭადრაკენი. უკანა პლანზე მოჩანან ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნე პენსიონერები, სახეშეყვითლებული შუახნის მამაკაცნი, ხეიბრებიც, რეპროდუქტორი მუსიკის მსგავსი ჰანგებით ხრიალებს. ხანდახან რეპროდუქტორი გაჩერდება და უხვი მოსავლისა და საამური ცხოვრების ფაქტებით უმასპინძლდება რადიომსმენელებს. მოჭადრაკენი ანტიკური ქოროს მსგავსად თავებს ერთდროულად სწევენ და იმ მხარეს ატრიალებენ, სადაც რამე ხდება. საჭადრაკო მაგიდის გასწვრივ სკამზე სამი კაცი ზის. ერთ-ერთი მათგანი სოსო კახაძეა. მოძრავი შუქი ხან სკამზე მჯდომთ დაადგება, ხან მოჭადრაკეთ. რეპროდუქტორის პაუზის დროს სამეულის საუბარი ისმის.

ს ა ლ დ ა ძ ე – არ დაგღალათ წვრილმანებზე ლაპარაკმა, ბატონებო? აღარ მოგწყინდათ? რა დროს ანკესზეა ლაპარაკი, როცა მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ სამი ენა და შესაბამისად სამი ერი ქრება.

ვ ა ჩ ა ძ ე – რატომ, რა მიზეზით?

ს ა ლ დ ა ძ ე – მე ოცდაათი წელი შევალიე ამ მოვლენის შესწავლას და იმ დასკვნამდე მივედი, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება. რომელიღაც ეტაპზე ერი ამოწურავს თავის შესაძლებლობებს. ენა ღარიბდება, ენაში ჩნდება შინაგანი კრიზისი და იგი აღარ არის გაგებინების მოქნილი საშუალება. ასეთ შემთხვევაში მოდის მეორე უფრო დიდი კულტურა, რომელიც ბუნებრივად შეიწოვს მასზე დაბალ კულტურას, ამის გამო ქრება ერიც და ოდესღაც მისი არსებობა მხოლოდ თავგადაკლულ მეცნიერებათა ლაბორატორიებში დასტურდება.

ს ო ს ო – ესე იგი, ობობის წესით?

ს ა ლ დ ა ძ ე – რატომ ობობის? ასე მაქსიმალისტურად ნუ დავსვამთ საკითხს. ბუნებრივი შერჩევის წესით – სუსტის ადგილზე უფრო გამძლე მოდის.

ს ო ს ო – ბატონო ვასო, უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ. სად არიან ფინიკიელები? დავიჯერო მათი ადგილი უფრო მაღალი კულტურის ხალხებმა დაიჭირეს? ძველეგვიპტელთა ნაცვლად რა მაღალი კულტურა გაჩნდა ჩრდილო აფრიკის კონტინენტზე? ან, იქნებ, ანტიკური ბერძნების კულტურა იყო ისე სუსტი, რომ ეპოქას ვერ უძლებდა და რომელიმე სხვა კულტურას უნდა შეეწოვა?

ს ა ლ დ ა ძ ე (შეიშმუშნა) – უმნიშვნელო გამონაკლისები არის, რასაკვირველია. მე შემიძლია ჩემი თეორიის სასარგებლოდ უამრავი ფაქტი დაგისახელოთ. ეჭვი ხომ არ გეპარებათ იმაში, რომ ულოგიკოდ არაფერი ხდება და ჩემ მიერ დასახელებული ციფრი „სამი“ ჭეშმარიტებაა?

ს ო ს ო – ამ შემთხვევაში სწორედ რომ ზოგი რამ ულოგიკოდ ხდება. წელიწადში რომ მსოფლიოში სამი ენა ქრება, თქვენ სანუგეშო რამ გგონიათ კაცობრიობის მომავლისთვის? ეს იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიოს ნიველირების ცხელი უთო საბედისწეროდ მოქმედებს. საქმეში ერევა დაპყრობითი ომები, რასობრივი დისკრიმინაციები, ეროვნული ჩაგვრა. ასე რომ, ერთა და ენათა გაქრობაში ისტორიაა დამნაშავე და არა რაღაც გამოგონილი შინაგანი კრიზისი, ან შესაძლებლობათა ამოწურვის მცდარი თეორია.

ს ა ლ დ ა ძ ე – რაც მე ეს დილეტანტური კამათი მძულს. რატომ მეკამათებიღ, ბატონო სოსო, თქვენ რომ ამ დარგის სპეციალისტი არა ხართ.

ს ო ს ო – რაზეც თქვენ ასე მშვიდად ლაპარაკობთ, ჩემთვის მეცნიერება კი არა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. თქვენ ჩემს ხმაში შერეული ათასების ხმა უნდა გესმოდეთ, ათასი წლის წინათ დარხეული და მოთქმავაებად მოსული მეოცე საუკუნემდე. თქვენ ბევრი

ენა იცით, მაგრამ მშობლიური ენა უფრო მეტია, ვიდრე თქვენი მეცნიერების სასინჯი ქვა. მშობლიური ენა მარტო ის კი არ არის, რომელზეც ლაპარაკობ, ისაა რომელზეც ჩუმად ხარ, რომელ ენაზეც ფიქრობ, რომელ ენაზეც სიზმრებს ხედავ.

ვ ა ჩ ა ძ ე – რა უნდა გააკეთოს მცირე ერმა რომ არ გაქრეს?

ს ო ს ო – უპირველეს ყოვლისა, თავისი თავი უნდა შეიცნოს, ეპოქას უნდა გაუსწოროს თვალი, არ უნდა შედრკეს და ფარხმალი არ უნდა დაყაროს. უნდა გამრავლდეს და ყოვლის ღონისძიებით შეინახოს ძველი და შექმნას ახალი, მაღალი კულტურა.

ს ა ლ დ ა ძ ე – რას ჰქვია, თქვენის აზრით თავის შეცნობა? იმას ხომ არა – ქვეყანას ყურები გამოუჭედო შენს უნიკალურობაზე და გამოგონილ ღირსებებზე?

ს ო ს ო – გამოგონილზე სრულიადაც არა, მაგრამ ურიგო როდია სხვამაც იცოდეს, ვინა ხარ შენ, საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ.

ს ა ლ დ ა ძ ე – შორს ნუ წავალთ. იმ ციხეს ხომ ხედავთ, მთის წვერზე. ხვიჩას ციხე ჰქვია, მოგეხსენებათ. მითხარით, რა დანიშნულებისთვისაა ეს ციხე აშენებული?

ვ ა ჩ ა ძ ე – ციხის დანიშნულება, პატივცემულო, რა გასარკვევია, ყველამ იცის.

ს ა ლ დ ა ძ ე – მაინც, მაინც?

ს ო ს ო – გარეშე თუ შინაური მტრებისგან თავდასაცავადაა ეს ციხე აშენებული.

ს ა ლ დ ა ძ ე – ალმანახის სიტყვებით ნუ მელაპარაკები, თუ ძმა ხარ. რას ჰქვია „მტრებისგან თავდასაცავად“. მაინც როგორ უნდა დაეცვა სოფელს ციხით თავი?

ვ ა ჩ ა ძ ე – სერიოზულად გვეკითხებით, პატივცემულო?

ს ა ლ დ ა ძ ე – ძალიან სერიოზულად.

ვ ა ჩ ა ძ ე – მტერი რომ მოვიდოდა, სოფელი ამ ციხეში გამაგრდებოდა.

ს ა ლ დ ა ძ ე – და რომ წავიდოდა, გამოვიდოდა ხომ ციხიდან? უფ, რა მშვენივრად ჰქონიათ აწყობილი საქმე? მე თქვენ სულელი ხომ არ გგონივართ, ჯერ ეს მინდა გავარკვიო.

ს ო ს ო და ვ ა ჩ ა ძ ე (ერთდროულად) – არა.

ს ა ლ დ ა ძ ე – აბა, თქვე კაი ხალხო, თქვენ გგონიათ, რაც მომადგება ენაზე იმას ვამბობ? არ დაიჯეროთ ეგ ამბავი. რაც მე გკითხეთ, ამ საგანზე თქვენ კი არა, ვერც ერთმა ისტორიკოსმა ვერ მიპასუხა. ენციკლოპედიებიც ვქექე, მაგრამ ამნაირი ციხეების დანიშნულებაში ვერავინ გამარკვია.

ვ ა ჩ ა ძ ე – ხომ გითხარით, მტერი რომ მოვიდოდა, ხალხი ამ ციხეში გამაგრდებოდა.

ს ა ლ დ ა ძ ე – კარგი. აბა, გავუსინჯოთ კბილი შენს ნათქვამს. რა ძნელი ასავლელია ხვიჩას ციხეზე, ვიცით, იგი მუდმივ საცხოვრებლად არ გამოდგებოდა, ხომ მართალია?

ს ო ს ო – მუდმივ საცხოვრებლად არც იყენებდნენ, თავშესაფარი იყო.

ს ა ლ დ ა ძ ე – ხალხი, რასაკვირველია, ქვევით ჭალაზე, ანდა ფერდობზე ცხოვრობდა, ხომ?

ვ ა ჩ ა ძ ე – კი ბატონო.

ს ა ლ დ ა ძ ე – მოვიდა მტერი. ჯერ ერთი, სოფელს მტერი ბუკითა და ნაღარით არ დაესხმოდა. ისინი ჩუმად შემოიპარებოდნენ არა?

ს ო ს ო – ვთქვათ.

ს ა ლ დ ა ძ ე – როგორ მოასწრებდა ქვევით მცხოვრები კაცი ამ ციხეში თავის შეფარებას, ასე ჩქარა? მარტო თვითონ ხომ არ იყო; წვრილ-შვილი, სიდედრ-სიმამრი და მოხუცი მშობლებიც ხომ ჰყავდა? ქალ-ბავშვი და მოხუცი როგორღა ამოყუნცულდებოდა ამ სიმაღლეზე?

ს ო ს ო – სოფელს დარაჯები ჰყავდა, ცეცხლს დაანთებდნენ და მტრის მოახლოებას შორიდანვე ამცნობდნენ ხალხს.

ს ა ლ დ ა ძ ე – კეთილი და პატიოსანი. ვთქვათ, დარაჯებმა დროზე „გვამცნეს“ მტერი მოდისო და დაიძრა სოფელი ციხისკენ. გამაგრდნენ ციხეში და თავი ქუდში აქვთ. ასე არ არის?

ვ ა ჩ ა ძ ე – დიახ.

ს ა ლ დ ა ძ ე – მტერს რომ ეძახი შენ, იცი რა უნდოდა? შენს სანახავად კი არ იყო ჩამოსული ამხელა გზაზე. იმას უნდოდა შენი ავლა-დიდება, სარჩო-საყოლი, ჩასაცმელ-დასახურავი, უძრავ-მოძრავი ქონება. ამას რომ გაინაღდებდა, სალოცავს შეგიბილწავდა – ეს იყო მტერი. თქვენ რომ ამბობთ, ციხეში გამაგრდებოდა სოფელიო, აგერ არაა ეს ციხე? ჯერ ერთი, ხომ ასულხართ, ციხეში დიდი-დიდი ასი კაცი დაეტეოდა. ასი მარტო მეციხოვნე იქნებოდა – ციხეს დამცველი ხომ სჭირდებოდა. დანარჩენი? სად დაატევდი ქალრძალს, სად დამალავდი ბავშვებს? რაღაც არ ეწყობა თქვენ ნათქვამს ეს ციხე.

ვ ა ჩ ა ძ ე – ვინც შეასწრებდა, შეასწრებდა.

ს ა ლ დ ა ძ ე – შესწრებაზე იყო, შე კაცო? არაფრით არ შეიძლება ეგ ამბავი. ერთი მეხუთედი დაიმალებოდა და ცეცხლის კოხში დატოვებდა დანარჩენს? ასე არ წირავდა ქართველი კაცი. არც ეგ არის მართალი.

ვ ა ჩ ა ძ ე – აბა, უსარგებლო ყოფილა ეს ციხე, თქვენი აზრით.

ს ა ლ დ ა ძ ე – ნუ ჩქარობ, ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ, აგერ არა ვართ? იქნებ რაღაც აზრს დავადგეთ. მე ამ ციხის აშენება უაზრობა მგონია. თქვენ არ გჯერათ ჩემი. ასეთ შემთხვევაში რაღაც უფრო ჭკვიანური ხომ უნდა მითხრათ? ხომ საბუთებითაა კამათი? საბუთებით არ არის?

ვ ა ჩ ა ძ ე – დიახ.

ს ა ლ დ ა ძ ე – მტერმა თუ სახლი გაგიძარცვა, საქონელი გარეკა და სალოცავი შეგიგინა, რაღად გინდა ამ ციხეში რომ გამაგრდი და ზევიდან დასცქერი შენს გადამწვარ სახლ-კარს? ამას მოითმენდა ქართველი?

ს ო ს ო – ეს ციხე გაჭირვებისა იყო. ოღონდ ცოცხალი გადავრჩე ჩემი ჯალაბიანად და წელს ისევ წამოვიდგამ, სახლსაც შევჭედავ და ქათამსაც დავსვამ საბუდარზეო, ასე ფიქრობდა ჩვენი სვეგამწარებული წინაპარი.

ს ა ლ დ ა ძ ე – შენ როგორ ფიქრობ, რამდენ ხანს გაძლებდა ამ ციხეში სოფელი? ერთ კვირას, ორ კვირას, მეტს ხომ ვერა? წარმოიდგინე ერთი, ვთქვათ, საჭმელი მოიმარაგე, წყალი? წყალს რამდენს აიტან? ყველა ციხეს ხომ არ ჰქონდა მიწისქვეშა ხვრელი წყალზე ჩასასვლელად? კიდეც რომ ჰქონოდა, რამდენი წყალი უნდა ამოეტანა? წარმოიდგინე ხალხით სავსე ციხის ეზო. ორ კვირაზე მეტს იქ ვერავინ გაძლებდა, ხომ მართალია?

ვ ა ჩ ა ძ ე – ვთქვათ ასეა.

ს ა ლ დ ა ძ ე – ჰოდა, შე კაი კაცო, მე რომ მტერი ვარ, რაზე შეგაკლავ კედლებზე თავს? დავჯდები ციხის კარებთან და დაგელოდები, ორი კვირის შემდეგ შენ თვითონ გამოხვალ მოშივებული, შერცხვენილი და ილაჯგაწყვეტილი. გამოხვალ და შენი ხელით ჩამაბარებ ციხის კლიტეს. არ გამოხვალ და ამოწყდები მშიერი!

სამთა საუბარს მოჭადრაკეთა ქორო არაჩვეულებრივი ინტერესით ადევნებს თვალს. ისინი ნელ-ნელა ირგვლივ შემოუდგებიან მოსაუბრეებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი ექსტაზში შედის, მაგრამ საკმარისია ვაჩაძემ მიიხედოს მათკენ, რომ ისინი სწრაფად იშლებიან და თავიანთ ადგილებს უბრუნდებიან.

ს ა ლ დ ა ძ ე – უაზრობაა-მეთქი ციხეში გამაგრება. მტერს მისამართს აძლევ – აქ ვარ გამაგრებულიო. ამას აჯობებს – სტაცო ხელი, რასაც მოასწრებ და შენი ნაგრამიანად ტყეს მისცე თავი. იქ უფრო ვერ გიპოვის მტერი. მერე, ქვევით რომ მოიბალახებს მომხდური, იქნებ შეეშინდეს და ამ ცარიელ ციხეში თვითონ გამაგრდეს. მაშინ შეგიძლია ტყიდან გამოხვიდე და შენვე შემოარტყა ალყა ციხეში გამომწყვდეულ დუშმანს.

ს ო ს ო (ღიმილით). აბა, ჭკვიანი კაცი სხვა დანიშნულებას ვერ უპოვის, თქვენ რომ კინოფილმებში გინახავთ და წიგნებში წაგიკითხავთ, ციხის კედლებზე მეომრები რომ მიბობღავენ და ზევიდან მეციხოვნეები ქვებს აყრიან, ან ცხელ წყალს ასხამენ, ეგ სულ ტყუილია, ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი. რატომ კაცო? რა აუცილებელია დღეს ავიღო ეს ციხე, როცა, გითხარი, მისი არ იყოს, ერთ კვირაში შენ თვითონ გამოხვალ გარეთ.

ვ ა ჩ ა ძ ე (ქოროს მიუბრუნდა, მოჭადრაკენი ფაცხა-ფუცხით დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილს, იდუმალი ჩურჩულით): იცით რა აზრი მომივიდა? ციხეს ტყუილუბრალოდ რომ არ აშენებდნენ, ეს ფაქტია, შეიძლება მაშინაც ის დანიშნულება ჰქონდა, რაც დღეს აქვს ციხეს საერთოდ, დამნაშავეებს ამწყვდევენ შიგ.

ს ა ლ დ ა ძ ე – თქვენ ფიქრობთ, აუცილებელი იყო დამნაშავეების ამ სიმაღლეზე, სუფთა ჰაერზე ამოყვანა?

ს ო ს ო – ჩემი ვარაუდი ასეთი გახლავთ: მტრის მოახლოებას რომ შეიტყობდნენ, იარაღს ისხამდნენ ვაჟკაცები, ქალ-ბავშვს და მოხუცებს თავს მოუყრიდნენ. იქ შეაფარებდნენ სუსტებს, თვითონ კი ქვევით ხვდებოდნენ მტერს. არ უშვებდნენ ციხემდე.

ს ა ლ დ ა ძ ე – რა ვიცი, არც ეგ ჰგავს მართალს. ჯერ ერთი, იქ რომ მოხუცი და ქალი აირბენს, ის არც მოხუცია და არც სუსტი არსება. თუ ამდენი შეუძლია, ქვევით იქნიოს ხმალი და მეორეც – გითხარი, მისი არ იყოს, რაღა მაინცდამაინც ამ სიმაღლეზე ააშენებენ ციხეს (თუ მაგ მიზნით იყო). დალოცვილები? ქალების და მოხუცების თავშესაფარი სწორედ რომ ქვემოთ უნდა ყოფილიყო სოფლის ცენტრში. უფრო დაიცავდნენ და ასვლაც არავის გაუჭირდებოდა. წყალსაც უფრო ადვილად მიაწვდიდნენ და საკვებსაც. ასე არ არის?

ს ო ს ო (წამოდგა, მარჯვნივ მიიხედა, სახეზე მთვარის ათინათი დაჰქათქათებს. მაღლა იხედება, უკან ახლოს უდგანან ვაჩაძე და სალდაძე, ორი ნაბიჯის დაშორებით ყვავებივით შემოჯარულან დაინტერესებული მოჭადრაკენი) იქნებ ჩვენმა წინაპრებმა ეს ციხე უბრალოდ სილამაზისთვის, გადმოსახედად გააკეთეს. ისინი ხომ ბუნებით პოეტები იყვნენ. არ შეიძლება ასე ყოფილიყო?

ს ა ლ დ ა ძ ე (ხელები გაასავსავა). მე თქვენ სერიოზული კაცი მეგონეთ. (ამ სიტყვებზე პირველად მოჭადრაკეთა ქორომ ხმამაღლა გაიცინა. ვაჩაძე ქოროსკენ შებრუნდა, სალდაძე და სოსო ავანსცენაზე გამოვიდნენ).

ს ა ლ დ ა ძ ე – თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

ს ო ს ო – ვიცი.

ს ა ლ დ ა ძ ე – მე გიხმე, ტელეფონით, ხმაზე მიცანი?

ს ო ს ო – არა. ამ კამათიდან.

ს ა ლ დ ა ძ ე – ჩემი მაქსიმალიზმი არ გაგიკვირდეს. ცხოვრებამ მასწავლა – ყველაფერს ეჭვის თვალით შევხედო (მცირე პაუზის შემდეგ). რას აპირებ?

ს ო ს ო – არაფერს, წარმოუდგენელს და გაუგონარს.

ს ა ლ დ ა ძ ე – იცი რისთვის ვიჯექი თერთმეტი წელი? ოცი წლის ბიჭი დამიჭირეს – ანეკდოტის მოსმენისთვის. შექმნისთვის ან გავრცელებისთვის კი არა, მოსმენისთვის.

ს ო ს ო – ჩვენ აღარ ჩავჯდებით.

ს ა ლ დ ა ძ ე – არც ჩვენ ჩავმჯდარვართ ჩვენი ნებით, ჩაგვსვეს.

ს ო ს ო – მერე ბევრიც ინანეს.

ს ო ს ო – ყოველ შემთხვევაში, ეგ „ბოლოჟამს დანანება“ ჩვენთვის ვერაფერი შეღავათია.

ს ო ს ო – ახლა სხვა დროა. ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება. (ჯიბიდან გაზეთი ამოიღო) ეს წაიკითხეთ?

ს ა ლ დ ა ძ ე – წავიკითხე. მერე? რატომ არ ფიქრობ იმას, რომ შეიძლება ეგეც ხაფანგი იყოს.

ს ო ს ო – ფაფით შეშინებული, დოს უბერავდაო. არ შეიძლება ასე. ხომ ხედავთ უნდა გარდავიქმნათო.

ს ა ლ დ ა ძ ე – რად უნდა გარდავიქმნათო?!

ს ო ს ო – უკეთესებად.

ს ა ლ დ ა ძ ე – შენ შეგიძლია მომიძებნო რომელიმე პლენუმის მასალა, სადაც, თუნდაც მინიშნებით, ეწეროს, ნაკლოვანებები არ გამოვასწოროთ, ადამიანის უფლებები დავთრგუნოთ, უკეთესი მომავლისთვის არ ვიბრძოლოთო.

ს ო ს ო – ახლა სხვა დროა-მეთქი. არ შეიძლება ურწმუნო თაობებით გაივსოს ქვეყანა.

ს ა ლ დ ა ძ ე – თუ ჩემზე ამბობ, მე ის ნახაფანგარი მელა ვარ, მახეს შორიდან რომ უვლის. შენ გადაწყვეტილი გაქვს, ადგე ხვალ და რაც გულში დაგიგროვდა თქვა, პირდაპირ, გადაჭრილად?!

ს ო ს ო – დაახლოებით.

ს ა ლ დ ა ძ ე – იქნებ, შვილო ჩემო, სწორედ იმიტომ გათამაშებენ პატარა დემოკრატობანას, რომ შენნაირი „თავდადებული მოაზროვნეები“ გამოავლინონ და მერე ყველას ერთად მოკიდონ ხელი ქეჩოში.

ს ო ს ო – ის ქეჩოში ხელისმომკიდებლები, შენ რომ გულისხმობ, კარგა ხანია წავიდნენ ასპარეზიდან, ახლა იქ ჩვენი ამხანაგები სხედან.

ს ა ლ დ ა ძ ე – არც ჩვენ დასასჯელად ჩამოუყვანიათ მადაგასკარიდან, ჩვენც ჩვენმა ამხანაგებმა „გვასწავლეს ჭკუა“ ასატანზე უფრო მკაცრი მეთოდებით.

ს ო ს ო – სწორედ მაგ მწარე გაკვეთილებზე გავიზარდეთ ყველანი და აღარ გავიმეორებთ.

ს ა ლ დ ა ძ ე – მე მაინც სიფრთხილე მირჩევნია.

ს ო ს ო – გასაგებია, ბატონო, მაგრამ მე დავიღალე ამ სიფრთხილით. ხომ მაქვს უფლება დავღლილიყავი? დამღალა ქარაფშუტულმა დაპირებებმა, ზეიმიდან ზეიმამდე ცხოვრებამ.

ს ა ლ დ ა ძ ე – რატომ განიცდი ასე ნერვიულად ყველაფერს? არ შეგიძლია შენთვის იჯდე წყნარად? მსოფლიოს ადამიანთა უმეტესობა პოლიტიკის გარეშე ცხოვრობს.

ს ო ს ო – რას ეძახით თქვენ პოლიტიკის გარეშე ცხოვრებას? აიტანო სიყრუე შენი გასაჭირის მიმართ, ტაში დაუკრა მოჩვენებით კეთილდღეობაზე გაშანშალებულ მოხსენებებს?

ს ა ლ დ ა ძ ე – გამოშორდი, სულ გაანებე თავი. ნუ მიიტან გულთან. მე მაგალითად, იმ თერთმეტ წელიწადში მასწავლეს ჩემთვის მშვიდად ყოფნა.

ს ო ს ო – ყველამ დავიგუბოთ პირში წყალი? სწორედ ეგ არის ბოროტება. თქვენგან მოდუნებული, გულგრილი კაცი გააკეთეს.

ს ა ლ დ ა ძ ე – თუ ჭკვიანად არ იქნები, შენგანაც გააკეთებენ. რწყილი გინახავს თუ არ გინახავს გაგონილი მაინც გექნება. რწყილებს ერთი თვისება აქვთ: თუ დაიჭერ და ჭიქაში მოაგროვებ, წამდაუწუმ ხტიან, ჭიქის კედლებს აწყდებიან, მერე ნელ-ნელა მშვიდდებიან და ბოლოს ჭიქას რომ ააცლი, ადგილზე რჩებიან. ეჩვენებათ, რომ ისევ ხუფის ქვეშ არიან.

ს ო ს ო – ჰოდა, რწყილებისგან ხომ უნდა განვსხვავდებოდეთ. ხომ ხვდები, რომ ის ხუფი უკვე აგვაცალეს.

ს ა ლ დ ა ძ ე – ჯერ ვერაფერს ვხვდები, ჯერ მარტო სიტყვები მესმის. ესეც არ იყოს, ჯერ სხვებს დავუცადოთ. ნუ იქნები ის პეტრე, პავლეს მოსვლამდე ტყავი რომ გააძვრეს. ბედაურებს ჭედდნენ და კურდღელი გარბოდა, შენ სადღა გარბიხარო, შენ ხომ ბედაური არა ხარო, დაგჭედავენ და მერე ამტკიცე, რომ ბედაური არ იყავიო, ყურცქვიტამ. ჰო, ნუ გეცინება, შენნაირ ბედაურებთან ერთად შენნაირი კურდღელიც ბევრი დაჭედეს.

ს ო ს ო – მე მაინც უნდა ვთქვა!

ს ა ლ დ ა ძ ე – არ იტყვი. თუ ჭკუის ნატამალი შეგრჩენია, არ იტყვი. შენი თავი შეიცოდე. იცოდე ჩვენ ძალიან წინ წავედით. შენს წინააღმდეგ უფრო დახვეწილი მეთოდებით იმოქმედებენ.

ს ო ს ო – მე მზადა ვარ!

ს ა ლ დ ა ძ ე – შენ იქნებ მზადა ხარ, მაგრამ ჩვენ არა ვართ მზად. შენ ირგვლივ დაშინებული თაობა ცხოვრობს.

ს ო ს ო – თქვენ გეჩვენებათ, შიში მანამდე სახლობს ადამიანებში, სანამ ჯერ კიდევ შეუძლიათ მოთმენა. ჩემს გულში შიშის ადგილი აღარ არის. კარგად ბრძანდებოდეთ.

ს ა ლ დ ა ძ ე – ნახვამდის.

ორივენი სხვადასხვა მხარეს გადიან. სცენა ბნელდება. შემობრუნდება და მაშინვე ნათდება. ლერი, მიმოზა და ნანა ტელევიზორთან სხედან. კარი ნანამ გააღო. კარებში სოსო დგას. ნანა ისე გაოგნებული და შემკრთალი შეჰყურებს ქმარს, თითქოს ათი წელია არ ენახოს. სოსო თავისი მაგიდისკენ მიდის, ნანა მიჰყვება. მიმოზა და ლერი მეორე ოთახში გადიან.

ნ ა ნ ა – სოსო.

ს ო ს ო – ჰო.

ნ ა ნ ა – რა ვქნათ, სოსო, რა გადაწყვიტე?

ს ო ს ო – ბავშვებმა იციან?

ნ ა ნ ა – არა. ახლა დარეკა ვიღაცამ. თქვენაო, ქალბატონოო, გმირის ცოლი ბრძანდებითო. თქვენი მეუღლის გამოსვლაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობსო. გადაეცით, გამაგრდესო. რა თქვი ასეთი?

ს ო ს ო – რა ვთქვი, არაფერი. ძალიან შორს მოგვიწია ინერციის ასაღებმა უკანსვლამ და წინა კლდეზე გადახტომა რომ გვინდა, უნებურად, უკანა ხრამში არ ჩავცვივდეთ-მეთქი. ჯერ მარტო საგაზეთო დაპირებებია და სხვა არაფერი, გამბედაობა არ გვყოფნის, საქმის დასაწყებად-მეთქი. საქმე კი ის არის, რომ ძველ, დამყაყებულ ცხოვრებას ერთხელ და სამუდამოდ შევეღიოთ-მეთქი. ისე როგორც ნახევრად დაორსულება არ შეიძლება, არც ნახევრად გარდაქმნა და ნახევრად საჯაროობა დაგვაყრის ხეირს-მეთქი. ხალხს იმედს ნუ გავუმტყუნებთ, თორემ ეს მათი ბოლო შემართებაა. მერე სამუდამოდ ზურგს შეგვაქცევენ და აღარ დაგვიჯერებენ-მეთქი. ესაო, ზურგში ხანჯლის ჩაცემა არისო, შიომ. რატომაა თუ ქალი ხარ, ზურგში ხანჯლის ჩაცემა?

ნ ა ნ ა – სოსო, რა ბზიკმა გიკბინა. ჯერ გეცლია სხვისთვის. რაღა შენ მოგცა სიტყვა იმ ჩვენი ცოდვით სავსე თავმჯდომარემ. რა ვქნათ ახლა?

ს ო ს ო – ხვალ კრებაა დანიშნული ჩემ გასაკრიტიკებლად, მე ჩვენი განყოფილების კრებაზე გამოვედი, ხვალ მთელი ინსტიტუტის კრებაზე გამაქიაქებენ. რაც ვთქვი, იმას არავინ გააგებინებს ხალხს. ცალ კარში თამაშივით იქნება. დემაგოგს, მოლაყბეს, მოღალატეს დამ-

იძახებენ და უნდა ვიჯდე ჩუმად. თუ ბიჭები არიან, მათქმევინონ, რასაც ვფიქრობ ბოლომდე და მერე მაკრიტიკონ.

ნ ა ნ ა – შიომ რაო?

ს ო ს ო – თუ შენი თავი, ცოლ-შვილი და მე ცოტათი მაინც გეცოდებით, ბოლომდე მუნჯივით იჯექი კრებაზე, ბოლოს გამოდი და თავზე ნაცარი წაიყარე, შეცდომისთვის ბოდიში მოიხადე და პატიება ითხოვეო. ეს ყოფილა სულ მათი დემოკრატია.

ნ ა ნ ა – შენგან არ მიკვირს, სოსო? რისი იმედი გქონდა. სხვას რას ელოდი?

ს ო ს ო – ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი. ვიცოდი, ჯერ დემოკრატიის მოსამზადებელ ჯგუფში რომ ვსწავლობდით ყველანი და სხვისი აზრის პატივისცემის შეგნებამდე გრძელი გზა გვედო, მაგრამ რაკი თვითონ წამოსცდათ თავისუფლად ვიკამათოთო, მეც სიტყვაზე დავიჭირე და აღარ მოვეშვი. ხერხი უნდა ვიხმაროთ: ახლა ყველამ უნდა დავაღოთ პირი და ვიძახოთ, რა მადლობელი ვართ, რა დიდებული საქმე გაკეთდა, აყვავდა ჩვენში დემოკრატიაო. შერცხვებათ მერე ნათქვამის უკან წაღების. ჩვენ თვითონ უნდა დავიბრალოთ და გამოვიგონოთ რაღაც-რაღაცები.

ნ ა ნ ა – რა პასუხი მიეცი შიოს?

ს ო ს ო – რას ვეტყოდი. შენ ეჭვი გეპარება, რომ სოსო კახაძე ხვალ ტრიბუნაზე არ დადგება და ბოდიშს არ მოიხდის? შიოს თავისი ტყავის ეშინია. თანამშრომლის უღირსი საქციელისთვის ჯერ კიდევ ხსნიან დირექტორებს. ჩვენ ხომ ერთადერთი სახელმწიფო ვართ მსოფლიოში, სადაც სხვისი დანაშაულისთვის პასუხს აგებინებენ, სად იყავი აქამდე, რატომ ვერ შეატყვე, მარჯვნივ რომ იფხანდაო.

ნ ა ნ ა – იქნებ, ახლა ასე სჯობდეს. იქნება სწორად გირჩევს შიო. მეშინია სოსო. ჩვენ მარტო რომ ვიყოთ, ჯანდაბას ჩვენი თავი. ლერი დაიჩაგრება. თქვი, შევცდითქო. ჩაიაროს ამ ქარბორიამ.

ს ო ს ო – ღმერთო რა საშინელებაა. როგორ აგიხსნა, რომ ჩემი უკანდახევა ახლა, მართლაც რომ ღალატი იქნება სიმართლის სათქმელად გამზადებული მილიონი კაცის წინაშე.

ნ ა ნ ა – მაგრამ ის მილიონი კაცი თავის ბინას მიაშურებს, როცა შენ, უკეთეს შემთხვევაში, სამსახურიდან გაგაგდებენ და ულუკმაპუროდ დაგსვამენ, უარეს შემთხვევაში კი გიჟად გამოგაცხადებენ, ან ავტოკატასტროფაში მოგაყოლებენ.

ს ო ს ო – ისევ შიშის კარეტაში ვზივართ და შიშის ცხენებს მივერეკებით. შეიძლება თუ არა ერთხელ მაინც შენში ცოლმა, ოჯახურ სიმშვიდესა და იდილიას დახარბებულმა ქალმა არ ილაპარაკოს?

ნ ა ნ ა – ძალიანაც რომ მსურდეს, ალბათ, ვერ მოვახერხებდი. ყოველთვის მეგონა რომ ჟანა დ'არკების მსგავსნი მხოლოდ წიგნში ცხოვრობდნენ. ასე სულელური სურვილია, რომ არ მინდოდეს ჩვენი ბედნიერება კრებაზე შენს მოუზომავ გამოსვლას გადავაყოლო? თანაც მშვენივრად იცოდი, რომ შენი თუნდაც ყველაზე რიხიანი გამოსვლა, საბოლოო ჯამში არაფერს შეცვლიდა.

ს ო ს ო – არ არის ასე, ნანა. შეიცვალა. რომ იცოდე, უკვე შეცვალა.

ნ ა ნ ა – კაცი ხარ. ცოტა უნდა ითამაშო. ბრმად თავის წაგება გამიგონია? რაო დათუნიამ?

ს ო ს ო – ნანა, მე ავუხსენი, რომ არაფერი შემიძლია.

ნ ა ნ ა – ახსნა ასეთ სიტუაციაში ყველას მშვენივრად შეუძლია, სოსო – კაცი შენი ახსნა-განმარტების მოსას-

მენად კი არ მოსულა. უჭირს და დახმარება უნდა. საქმე უნდა, საქმე.

ს ო ს ო – თუ არ შემიძლია?

ნ ა ნ ა – სხვათა შორის, მართალი გითხრა, მის მდგომარეობაში მყოფ კაცს მცირე, ტყუილი იმედი მაინც უნდა გაატანო.

ს ო ს ო – შენ ხომ იცი, მე თვალთმაქცობა არ შემიძლია.

ნ ა ნ ა – თვალთმაქცობას არც არავინ გთხოვს. შენი სიჯიუტემდე მისული თავმოყვარეობითაა ეს ერთადერთი შვილი, რომ უსამსახუროდ დაგვიდის.

ს ო ს ო – კარგი, თუ ქალი ხარ. (სოსომ ტელევიზორი ჩართო. ტელევიზორში პროგრამა ვრემიას უჩვენებენ. სახეგაბადრული დიქტორები ამაყად საუბრობენ „საბჭოთა ადამიანების შრომითს მიღწევებზე“. ყველანი ტელევიზორს შესცქერიან. ზარის ხმა. აფორიაქდნენ. მიმოზამ ჭუჭრუტანაში გაიხედა. შემობრუნდა მხრებაწურვით).

მ ი მ ო ზ ა – მოხუცი ქალია, შავები აცვია.

ნანამ გაიხედა სათვალთვალოში.

ნ ა ნ ა – ახლავე ქალბატონო ნადია. (სოსოს და ოჯახის სხვა წევრებს მიუბრუნდა). ნადიაა საგარეჯოელი.

ს ო ს ო – ნადია?

ნ ა ნ ა – ჩვენთან მაწონი რომ დაჰქონდა (ნანამ კარი გააღო), მობრძანდით, ქალბატონო ნადია.

კარებში ცისკენ ხელაპყრობილი შაოსანი მოხუცი ქალი დგას.

ნ ა დ ი ა – ღმერთო, ნინოწმინდის ხატო და ცხრაკარის მთავარანგელოზო, მუხლმოდრეკილი გევედრები, შენ გადააფარე შენი მოწყალე კალთა, აწ და მარადის ნურაფერს გაუჭირვებ ჩემი სოსოს და ჩემი ნანას ოჯახს (მერე ხელებდაუშვებლად გადახედა მასპინძლებს), რამდენჯერაც, შვილო, ცისკარზე, მე უთქვენოდაც, ეს ლოცვა მეთქოს, ღმერთმა ისე გაუმარჯოს და დამიბრუნოს ჩემი ლევანაი, სადაც არის, იქედანა.

ნ ა ნ ა – გვჯერა, ქალბატონო ნადია, გვჯერა, შემობრძანდით.

ნ ა დ ი ა (შემოვიდა, ყველას სათითაოდ გადაეხვია) – ლერი შვილო, რამოდენა ვაჟკაცი გამხდარხარ, აბა, თუ იცნობ თუ არ დაგავიწყდა ნადია ბებოი, კაკა რათ არ მომიტანეო, კარებში რო დამხვდებოდი (მიმოზას შეაცქერდა). ე, თვალმაყვალა გოგოი?

ს ო ს ო – ჩვენი ნათესავია. სტუდენტია.

ლ ე რ ი – ფრიადოსანი.

ნ ა დ ი ა – ღმერთმა გაბედნიეროს, შვილო, შენი ფრიადებითა და შენი პატარქალობითა. ნანა გენაცვალე (ტელევიზორისკენ გაიხედა). თქვენ ხელი არ შაიშალოთ. ჩემ სოსოსთან პატარა სათხოვარი მაქვს, ეგერ მივჯდებით მე და სოსოი. ორ სიტყვას ვეტყვი და ამ წუთში გეახლებით, დასარჩენად სადა მცალიან; სახლეული ოხერ-ტიალად დავაგდე და ქალაქს წამოვედი (ნადია და სოსო მაგიდის სიახლოვეს დასხდნენ, ოჯახის დანარჩენი წევრები ტელევიზორს შესცქერიან. სინათლის წრეში მხოლოდ ნადია და სოსო არიან).

ს ო ს ო – სად დაიკარგეთ, ქალბატონო ნადია, სულ დაგვივიწყეთ.

ნ ა დ ი ა – ვეღარ დავდივარ, შვილო. საქონელიც აღარა მყამს. შანახვა ძალიან გაჭირდა, საძოვრები აღარ არი. ორიოდე ძირ ვენახს ვუვლი და მივაჯახირებ ამ წუთისოფელს. შენ რასა იქმ, როგორა ხარ, ჩვენო საამაყო, შვილო სოსო.

ს ო ს ო – არა მიშავს (მხარზე ხელი ჩამოისვა), ცოტა მარცხენა მხარი მტკივა.

ნ ა დ ი ა – დამიდგეს თვალი. ეგა შვილო, ნერვის გაციებამ იცის. ოფლიანზე ნიავი დაგკრავდა. საქონლის შარდით რომ სამი-ოთხჯერ შაიზელდე, იმ წუთშივე გაგივლის, ჩემი ლევანას მზემა. აბა, რო მცოდნოდა, ხო თან წამოვიღებდი. რა ვიცოდი შვილო, თუ მხარი აგტკივდებოდა, ღვთის წყალობით ჯანმრთელი კაცი ხარ. ძროხის შარდი, შვილო, დამიჯერე, დროული ქალი ვარ! შაგიძლია ჩვარში დაასველო და ღამით ბეჭზე დაიდო.

სოსოს უნდობლად გაეცინა.

ნ ა დ ი ა – ახლა თქვენა აღარაფრისა გჯერათ. ი, ძველი ხალხი ყველაფერს მართალს ამბობდა, მამიჩემის ცხონებამ.

ს ო ს ო – ხომ გაგიგონიათ, ქალბატონო ნადია, ჩვენც მართალი ვიქნებით, როცა აღარ ვიქნებითო.

ნ ა დ ი ა – ეგრე არ არი შვილო, ჩვენა ზოგჯერ მეტისმეტი სიჩქარითა, ცუდსა კარგიც გავაყოლეთ. ვერ შავინახეთ ძველების სიტყვაი. ვერ გადავარჩინეთ. თუ ასე ვიარეთ და ხანდახან უკან არ მოვიხედეთ, რაღაც უბედურებას გადავეყრებით. ჩვენ სულელი წინაპრები როდი გვყავდნენ. რაკი ხალხი იქმოდა, ალბათ საჭირო იყო. აგრეც ხომ არ შეიძლება, მე მოვედი, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. სხვას თავი დავანებოთ, ე ავადმყოფობები რომ გახშირდა, თქვენ როგორა ჰფიქრობთ, რის გამოა? ამტოლი წამალი და ექიმი სად იყო ძველადა: განა ძველად არა კვდებოდა კაცი, მაგრამ ვინ რა იცოდა. მოკვდაო იტყოდნენ, მორჩა

და გათავდა. ახლა ზუსტად იციან, რისაგანა კვდება, წნევაო, გიპელტონიაო, ასეც კიბო შაეყარაო. ეს ყველაფერი ზეპირად იციან, მაგრამა როგორ უშველონ ამაზე კი უკაცრავად გახლავან. თუ მოვკვდები, კაცო, სულ ერთი არ არი რა მამკლავს? მთავარია არ მამკლა, მიშველო. ძველადა ერთს გეტყოდნენ, ახლანდელი დოხტურებივით მკითხაობას ვინ დაგიწყებდა, ექიმს როგორ დაცდებოდა – მე ამ სენის არა მესმის რაო. თუ ექიმს მიაგნებდი, ეგ იყო თავი ქუდში გქონდა. არა და სოფლის ექიმბაშები ჰკურნავდნენ ხალხსა. ყური დამიგდე: ჩემი უფროსი დაი თელეთს იყო გათხოვილი, ორმოცი წლისას რაღაც სახადი შაჰყროდა, დაკუტულიყო, ხელ-ფეხს ვეღარა ჰხმარობდა. მე და მამაჩემი ჩავედით ურმითა. ორივენი ხარებივით ვბღაოდით, ისე დაგვწვა მაგ ქალის საცოდაობამა. კუნძივით დაუდეთ ურემს და ჩამავიყვანეთ. ჰაი ექიმი, ჰაი წამალი, საქმეში ხარ? არაფერმა უშველა. სოფლის ბოლოს თულუხჩი ცხოვრობდა. მაშინ თულუხჩობა იყო. შავ კოლას ეძახდნენ. იმ დღეს ჩვენს ჭიშკარზე ჩამაევლო, რას აწვალებთ მაგ ქალსაო, თიანეთს გადით, ერთი ურემი ცხვრის კურკლი მაიტანეთო. ოღონდ ახალი უნდა იყოსო, ამ კვირისაო. კასრში ჩაყარეთ. თვით რომ კარგად ჩახურდება, როგორც ქვის აბანოი, იგრე სცოდნია ჩახურება, ცოტაც ცხელი წყალი ჩაასხით და ყელამდე ჩასვით ავადმყოფიო. სანამ გაუძლებს, იყოს, მერე ნაბადში შაახვიეთ და ორ საათს არ დაბანოთო. უთქვამს და წასულა თავის გზაზედა. მეორე დღესვე თიანეთს გამიყენა მამაჩემმა. იგრე მოვიქეცით, როგორც დაგვარიგა თულუხჩმა. როგორ ggონია? ლევანას გეფიცები, ოთხჯერ ჩახურდა კასრში ჩემი და და,

მეხუთედ, გაუარა. შარშან გარდაიცვალა ოთხმოცდასამი წლისა, რი დახუთვა, რა ქარები – მისმა სახსრებმა, ეგ იყო და ეგა, ტკივილი არ იცოდნენ.

ს ო ს ო – მაინცდამაინც თიანეთური ცხვრის კურკლი იყო საჭირო თუ თუშური ცხვრისაც გაჰკურნავდა, ქალბატონო ნადია?

ნ ა დ ი ა – არა გჯერა. მაინც საიდამ გაჩნდით, კაცო, ამდენი ურწმუნო თომა ამ ქვეყანაზე? ჩემ კბილებსა ჰხედამ? (კბილები დაკრიჭა და კურდღლისა და მგლის მულტფილმის პერსონაჟივით შეაცქერდა სოსოს).

ნ ა დ ი ა – თქვენა როგორც კი კბილი აგტკივდებათ, მაშინათვე ექიმთან გარბიხართ. ეგრე არ არი? ახლანდელებსა მოთმინების ჭიპი მოჭრილი გაქვთ. ექიმი კიდენა, არც აციებს არც აცხელებს, ბურღამს და ბურღამს კბილსა, ბურღამს და ბურღამს. ნერვი უნდა მავჰკლაო. რათ უნდა მაჰკლას ნერვი კაცო? ე ნერვი რო საჭირო არყოფილიყო, ღმერთი არც დააყოლებდა კბილსა. ნერვმკვდარი კბილი კიდე ერთ წელიწადში მოფალფალდება; დაავლებს ექიმი რკინის გაზსა და ამოგთხრის. ამაი ეძახიან მკურნალობასა. პაპიჩემმა მასწავლა თორმეტი წლის ბავშვსა იგრე და იგრე ჰქმენი კბილი რო აგტკივდებაო. აი, შახედე ჩემს კბილებსა. ახლა წადი და სხვების კბილები ნახე, ჩაბურღულ-ჩაუბედურებული, შაგეცოდება პირდაპირ. თუ კბილი არ გივარგა, საჭმელ თივის გემო აქვს, ეგრე არ არი?

ს ო ს ო – მაინც რა გასწავლათ პაპათქვენმა?

ნ ა დ ი ა – ძნელი არ არი: შავი და წითელი პილპილი, გამხმარი ქინძი, ნედლი ოხრახუში და ზაფრანი ერთმანეთ უნდა შეანაყო და თაფლით შაზილო. ორჯერ დაიდებ მტკივან კბილზე და მეტიც აღარა უნდა. ღრძილსაც ამაგრებს და კბილსაცა.

ს ო ს ო – მჯერა, ქალბატონო ნადია, მჯერა.

ნ ა დ ი ა – შენ ეს მითხარი, ეხლანდელი დოხტურები სურდოს თუ არჩენენ?

ს ო ს ო – რასა?

ნ ა დ ი ა – სურდოსა, უბრალო სურდოსა. მე გეტყვი: ვერა შველიან. ჰაი ასკოფელიო, ჰაი სტეპტოციდიო, ჰაი პენიცილინიო! სურდო კი თავისას სანამ არ ამოიჭამს, არ მოგეშვება, ეგრე არ არი?

სოსო თავს უქნევს.

ნ ა დ ი ა – იქნებ არ არი ეგრე. იქნება უკვე გაიმარჯვა ექიმობამ, გრიპსა და სურდოზედა? შენ არ მამიკვდე. რა კიბოს მორჩენაზე კვინტილიანობთ, როცა უბრალო სურდოი, გაციების სურდოი მოგვრევია. დამიგდე ყური და დაიხსომე: თუ სურდო შაგეყრება, ექიმ ნუ შააწუხებ. გასინჯვა-გაშუქებაში უფრო ცივდება კაცი. დაწექი თბილადა, ყელში ბროწეულის ან ოსპის წვენი გამაივლე. ცოლს ფეტვი გააცხელებინე, ჩვარში გამაჰკარ და კეფაზე დაიდე. გედოს, სანამ არ გაგრილდება. მერე ისევ გააცხელებინე და ისევ დაიდე. ხორციანს ნურაფერს შასჭამ. ქერის კორკოტი და შემთბარი ღვინო მიირთვი. იმ ღამეს ეგრე. დილით კიტრივით იქნები, ქორფა კიტრივითა.

ს ო ს ო – დიდი მადლობა. სათხოვარზე ბრძანებდით, წეღან, ქალბატონო ნადია.

ნ ა დ ი ა – შვილო სოსო, სერიოზული სათხოვარი მაქ შენთანა. შორ გზას ვადგევარ, ივრესკში უნდა ჩავიდე. ჩემი ლევანას კვალს მივაგენ, იგეთი გრძნობა მაქვს, უსათუოდ ვნახამ ლევანას. ხომ იცი, ამოტოლა გზაა. ამ ბებერ დედაკაცსა, მანდ რამე არ დამემართოს, სადმე გზის მტვერში არ ჩავნელდე უპატრონოთა.

გული რომ შამიღონდეს, კაცმა ხომ უნდა გაიგოს, ვინა ვარ, ვისი მკვდარი ვარ და ვის დავეკარგე. ქაღალდი უნდა ეგრე დამიწერო: ამ ქაღალდითა-თქო, ნადია შავყურაშვილი აცხადებს-თქო, მითამ მე ვაცხადებ, რომა, ეგა ლევანა სამადლიშვილი რჯულიერი ცოლი გახლავს-თქო და თავი უძრავ-მოძრავ ქონებას-თქო, ამ ორმოცი წლი ნაჯაფ-ნაოხრალს-თქო, უკლებლივ, თუ ცოცხალია, თავი ქმარ-ლევანა სამადლიშვილს უტოვებს-თქო, რათა იმან გაიხმაროს და გაიხაროს-თქო თავი ცოლშვილშია. ხოლო თუ ლევანა არ გამოჩნდეს-თქო, არც მისი ნაგრამი გამოჩნდეს-თქო, მაშინ ე უბედური ნადიას დანატოვარი მის მაზლსა და ახლო ნათესაობას ჩაბარდეს-თქო. ეგრე დამიწერე, შენს მუხლებს ვენაცვალე.

ს ო ს ო – ივრესკში რა გინდათ, ლევანას კვალს როგორ მიაგენით?

ნ ა დ ი ა – ემ საათში გიამბობ, შვილო სოსო, ემ საათში მოკლედ და გასაგებათა, ეგრემც ჩემი ლევანა ღმერთმა დამიბრუნოს. შარშან, დეკემბერში (თითებზე ითვლის) მალე შვილო თვე გასრულდება, მივიღე დეპეშაი. როცა მამითარგმნეს მეზობლებმა, სუ ფრენით ჩავვარდი ფოსტაშია, ე დეპეშა ჩემი ლევანასგან არიმეთქი, კაცო. ატრიალა, ატრიალა და საიდამა ჩანს, რო, არც მეტი, არც ნაკლები, შენი ლევანას გამაგზავნილიაო? ფოსტი გამგემა!

ნახე, შვილო, ნახე მიზეზი ჩემი ძილკრთომისა. „პრასიმ სააბჩიტ ზდოროვიე და მესტონახაჟდენიე ნადია შავყურაშვილისაო“, ვასილიიი კარავაევი სწერამს. ივერსკიდანაა გამაგზავნილი. ნადია შავყურაშვილი კიდე მე გახლავარ. შვილო, თუ გინდა, ცხრა ხატზე დევიფიცებ, რო ეგ სუ ჩემი ლევანას

ოინებია. თუ ნამდვილად შენი ლევანაა, თავისი სახელით რად არა გწერამს დეპეშასაო. გულზე გამხეთქა იმ დღეს წოწლიკაანთ ლიზამა. ვინც ლევანას იცნობდა, მისგან არაფერი გაუკვირდება, აქაც ეგეთი ანცი და ღვთის პირიდან გადავარდნილი იყო. რა ვი, რა შაემთხვა; კაცია, განა მინდვრი ნიავია შაუმჩნევლად გაილიოს ვენახბოლოშია. იქნება ჰრცხვენიან კიდეცა, შვილო, ყველა რო წაიდ-წამავიდა და ეგ კიდევ ამტოლხანს შაჰრჩა ივრესკშია. იქნება ნელ-ნელა უნდა შაგვაჩვიოს თავის მოსვლასა, სიხარულის ელდაი რო არ შაჰყაროს თავის გადაღრჯუებულ დედაბერსა. მაშ, ჭკვიანი კაცია, იცის თავისი საქმეი.

ცხრამეტისა გავთხოვდი, შვილო. სამი დღე ვიყავით ერთადა ცოლ-ქმარი. ორმოცი წელი გავიდა ამ ლოდინშია. ზოგჯერ ვიფიქრებ, ეგ რო აქა ყოფილიყო, ნეტა როგო გავიდოდა-მეთქი წლები. ყველა თავისებურად ბედნიერია, შვილო, განა ლოდინი არ არის ბედნიერება. ორმოც დღესავით გაირბინა ამ ორმოცმა წელმა და მთელმა სიცოცხლემ. არც ერთი წუთით არ დავიჯერე ლევანას სიკვდილი. იმ დღესაც, როცა შავი ქაღალდი მოვიდა და დედა-ბუდიანა ღაწვებს ვიხოკდით, გავიდოდი ჩემს ოთახში, სარკეში ჩავიხედავდი და ჩემს თავს ვეტყოდი! ნეტავ რა გაღრიალებს, განა ვერ ხვდები, რო ეგ ქაღალდი ეშმაკის შეთხზულია, იქნებ სულაც გულში ჩაუვარდი ვინმეს და ჩემს მოსაღორებლად მოჩმახა-მეთქი ლევანას სიკვდილის ამბავი. ლევანა ისეთი მკრჩხალი და ცაგამწევი იყო, ტყვია როგორ მოჰხვდებოდა-მეთქი, ქა. სუ ამ ფიქრებში ვიყავი, ეს წლები, აკი მართალი ვჰყოფილვარ, აკი ცოცხალია ჩემი ლევანა, შვილო, ეგრემც თვალიჩინი ნუ მოაკლდება შენს მოყვარ-მოახლესა.

ჩემი საქმე ეგრეა, შვილო; მე ამათ ვეღარ დავუცდი. გული გამიწყალა ფოჩტა-კომისარიატში სიარულმა. სანამ მუხლში ჯერ კიდევ წვენი მიდგა, ბზი კეტი უნდა დავიჭირო და გავუდგე ივერსკი გზასა. კითხვა-კითხვით კაცი ერუსალიმს ჩავიდაო. თუნდ ქვეყნის დასალიერს იყოს ივრესკი, უნდა ჩავიდე. ე ხუთიოდე ცხვარ-ბატკანს მივაყიდი, რვაჩაფიანი მიდგას, იმასაც გზას მოვუნახამ, ორიოდე გროშს მოვაქუჩებ და როგორც კი დათბება, ყინულეთში იქეთ გზა აღარ არიო, ავდგები და წავალ.

რამ აგაცუნდრუკაო, ეგ ბებერი ძვლები აქ დაატიეო, წოწლიკაანთ ლიზამა, იმაი ახლა ცოლ-შვილიც ეყოლება და ვინ იცის, იქნებ შვილიშვილებიც ასევია ბუზივითაო. შენი დანახვა რაში უნდა, რა ტალიკა ბიჭები შენ გაუჩინე და დაუზარდე აქაო.

ჰყვანდეს, ქა, ცოლ-შვილიცა ჰყვანდეს, თუნდა ჯაჭვით იყო მიბმული იმ თავის ივრესკზედა, მე ჩემი დარდი და ინტერესი მაქვს. აბა, ლიზა რას გაიგებს, შვილო, ჩემს წუხილსა. ოცი წლის ბიჭი იყო, მას უკან არ მინახავს. ნეტა როგორია, ნეტა თუ მაუხდა სიმძიმე, ნეტა ჭაღარა თუ შაჰრევია იმ გრუზა თმაშია: ნეტა ლამაზად თუ დაბერდა. ერთხელ თვალ შევავლებ და დავბრუნდები ჩემს კოჟრეთშია. უნდა ვნახო, რომ არა ვნახო ქა, სიზმრები შამშლის. რაც ეს დეპეშა მივიღე, ყოველ ღამე ფანჯარასთან დგა და მეძახის: „ნადი იგრე რამ დაგაძინა ქალო, ერთი რო აღარ გამეპასუხე, არაქათი გამითავდა ძახილითაო“. წამავხტები, ერთ გაიღიმებს თავისის ალალი ღიმილითა, ოცის წლის ბიჭის ღიმილითა და სანამ ფანჯარასთან მივფამფალდებოდე, გაიწევა და სიბნელეს შეერევა,

არა, არა, უნდა ვნახო. წლებდამძიმებული, ქარშეცვლილი, დაჰბერებული უნდა ვნახო ჩემი ლევანა, თორო ოცი წლი ბიჭის სიყვარული ჩემ ასაკში სირცხვილია, ქა. ნაზამთრალს რო დათბება, ვაზს ფოფოლი გაუმაგრდება, პირველი ფურჩვნას მოვრჩები და წავალ.

პაუზა. სოსო ქაღალდზე რაღაცას წერდა მთელი ამ მონოლოგის განმავლობაში, ხანდახან თავს აიღებდა, უსმენდა ყურადღებით, ახლა როცა ამბავი დამთავრდა, თითებით თვალსმომდგარი ცრემლი შეიწმინდა დ თავი ჩაჰქინდრა.

ს ო ს ო – უნდა წახვიდეთ, ქალბატონო ნადია, თუ გული გთხოვთ, უნდა წაბრძანდეთ.

ნ ა დ ი ა – შენს მუხლებს ვენაცვალე, შვილო, სოსო. ეგეთი ბრძენი და ჭკვიანი რომ მყავხარ. შენს გარდა მთელმა ქვეყანამ დამიშალა ივრესკში წასვლაი. არ გირჩევთაო, ნადია ძალო, აბა იმათ რა იციან, გულის ძახილისა.

ს ო ს ო (ქაღალდი გაუწოდა) – აქ ყველაფერი ისე სწერია, როგორც მითხარით. ერთი ცალი ქართულადაა, ერთიც რუსულად, ივრესკში, იქნებ, დაგჭირდეთ. ოღონდ ნოტარიუსს უნდა დაამოწმებინოთ, თორემ ძალა არ ექნება.

ნ ა დ ი ა – კი შვილო, ხვალ რაიონში მივადგები ჩვენ ნატარუსს, დავარტყმევინებ ბეჭედსა. განა არ ვიცი, ბეჭდი გარეშე ახლა ქაღალდ ძალა არა აქვს (ქაღალდები თავის დეპეშასთან ერთად შეახვია და უბეში ღრმად შეინახა). დიდი მადლობა გენაცვალოსთ ნადიაი (ხელები აღაპყრო), როგორც მე შენ გამახარე შვილო, სოსო, აგრემც გაგიხაროს და გაგიმრავლოს შენი ვაჟკაცი. ეგრე მგონია ქა, ჩემი ლევანა უკვე შინ არი და დირეს

მიყრდნობილი მელოდება-მეთქი. შინ ვერც კი შავიდოდა, იმაი მოუკვდა ჩემი თავი, გასაღებით ვკეტავ სახლსა (დაფაცურდა), უნდა გავიქცე, კაცს გული არ შაუღონდეს, ამოტოლა გზა ექნება გამოვლილი (ყველას ჩამოუარა და გადაკოცნა).

ს ო ს ო – რომ დაბრუნდებით, შეგვატყობინეთ ამბავი, ქალბატონო ნადია.

ნ ა დ ი ა – მაშ, შვილო სოსო, მაშ უთქვენოდ როგორ იქნება (კარებში გასული ნადიას ხმა ისმის, ვიღაცას ესაუბრება). სახლშია შვილო, შინა ბრძანდება.

წამიც და კარებში ელდარი გამოჩნდება. ალკოჰოლით დაღლილ-დაჭმუჭვნილ, მაგრამ მაინც სანდომიან სახეზე არაამქვეყნიური ციაგი დაჰნათის, ყველანი სათითაოდ შეათვალიერა, არცთუ მაინცდამაინც მთვრალია.

ე ლ დ ა რ ი – საიდუმლო მაქვს შენთვის გასამხელი, სოსო.

ს ო ს ო – მოდი ელდარ, მოდი.

ელდარი სწრაფად გაშინაურდა. სოსოს ხელკავი გამოსდო და მაგიდისკენ წაიყვანა. მიიხედ-მოიხედა. სხვები ტელევიზორს დაუბრუნდნენ.

ე ლ დ ა რ ი (საიდუმლო ჩურჩულით) – კარგად დამიგდე, თუ კაცი ხარ ყური. თუ გაგეცინოს, გამცინე, თუ სისულელედ მოგეჩვენოს ჩემი საქციელი, მითხარი – სულელი ყოფილხარ-თქო. შეწყვეტით არ შემაწყვეტინო, ამას გთხოვ ძალიან, შენთან (მიიხედ-მოიხედა) ისეთი ხომ არავინაა?

ს ო ს ო – ნუ გეშინია.

ე ლ დ ა რ ი (სკამი უფრო ახლოს მოაჩოჩა) – ორი წელი გახდება მალე, რაც ამ საქმეს მივსდევ. არაა გლახა საქმე, ზოგი, შე კაცო, მარკებს აგროვებს და ზოგი ცარიელ ბოთლებს, მაგრამ დაძრახვით, მათაც არავინ ძრახავს. მე საჰობავოთ და საღადავოდ არა მცალია, კაცურ საქმეს ვაკეთებ. აჩემებული როდი მაქვს. სხვანაირად არ შემიძლია. ჯერჯერობით დაშლითაც არავინ მიშლის. შენ გიტყდები პირველად, ჯერ არავისთვის გამიმხელია. თუ გამიგეს, მე მგონი, მადლობას არ მეტყვიან. შენ რატომ გიტყდება იცი? სხვა კაცი ხარ, სუფთა და გემრიელი. თუ გამცემ, ალალი იყოს შენზე. ბოლოს და ბოლოს, ათასი ჯურის თვალთმაქცი დადის ამ ქვეყანაზე. იმ დიდ თვალთმაქცობებში ამ ჩემს შეცოდებას ყველაზე უმტკივნეულო თვალთმაქცობას დაარქმევენ. ბოლოს, ალბათ, მეც მომწყინდება და თავს გავანებებ. ჯერ კი ძალიან გამიტაცა და გითხრა სიმართლე, ნამეტანი გავერთე, ვერ ხვდები, რაშია საქმე?

ს ო ს ო – ვერა.

ე ლ დ ა რ ი – გადავეჩვიეთ ერთმანეთის მოფერებას და პატივისცემას ადამიანები, ჩემო სოსო. არ ვიცი რამ მოიტანა ეს ამბავი, მაგრამ ძალიან გავუტურამგელდით ერთმანეთს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძნელი ხდება ავისაგან კარგის გამიჯვნა, რომ იცოდე, რა დახვეწილი მანერებით, რა მორგებული ანგელოზის ნიღბებით დააბიჯებენ მგლები ცხვართა შორის. შენ არ იცი, რა ცუდ გუნებაზე მაყენებს, აგერ შენ გვერდით რომ კაცი ცხოვრობს და ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოგიცხადებენ – ჟულიკი აღმოჩნდაო. ძალიან ბევრი დამნაშავე ხომ არ დავგროვდითმეთქი, ხანდიხან ვეტყვი ჩემს თავს. გუშინ ის იმას იჭერდა და ასამართლებდა. იმ გამსამართლებელს კი დღეს, სრულიად კანონიერად, თვით ასამართლებენ. ეს რატომ ხდება იცი? ბევრმა დაივიწყა, რომ ერთი ანგარიშის ჩაბარება, სამსჯავროზე ერთი წარდგომა, თუ გინდა ერთი განკითხვის დღე ყველას ელის.

ყოველდღე იმდენი უსიამოვნო ამბავი მესმის, იმდენი ავაზაკი ტრიალებს ქვეყანაზე, რომ გადავწყვიტე, მართალი, კეთილი ადამიანების ლაშქარი შევქმნა. მართალი კაცის აღმოსაჩენად ასეთ მუღამს მივაგენი: რაღა ქურდობაზე და სიგლახეზე იყოს, ეწეროს ჩვენებური კაცი გაზეთში კაი საქმეზე-მეთქი. ასეთი ამოცანა დავუსვი ჩემს თავს. რას ჩავდივარ, თუ იცი, ახლაც ვერ მიხვდი?

ს ო ს ო – ვერა.

ე ლ დ ა რ ი – რას ვაკეთებ და კაი კაცის აღმოჩენაზე ვმუშაობ. ჩემი ფანარი ასეთია: დავდივარ ამ ქვეყანაზე მიამიტი კაცის ნიღაბით და ხალხს საგმირო საქმეების ჩადენის პირობებს ვუქმნი. ძნელი არ არის, მაგრამ არც მთლად იოლი საქმეა. რამდენჯერმე ტაქსში განზრახ ჩავტოვე ფული და საბუთები, მაგრამ ამ ხერხმა ბოლომდე ვერ გაამართლა; ორმა ტაქსის შოფერმა გარაჟში რომ მიიტანა „დარჩენილი“ ნივთები და მადლობაც მიიღო, მესამემ ქე მიითვისა მშვენივრად ჩემი ხუთი თუმანი, საბუთები კი ფოსტით შინ გადმოგზავნა (მიმოზამ არყიანი ბოთლი და ჭიქა მოიტანა, ელდარმა დაისხა და დალია).

ახლა უფრო მარტივ ილეთებზე ვარ გადასული. დავდგები წყლის პირას და, რომ გამისწორდება კაცი, ვისკუპებ ტანსაცმლიანად. ზოგს არც უნდა საშველად მოხმობა, დაუფიქრებლად გადმოგყვება. ზოგი, თუ შეეშინდა, ყვირილს მაინც ატეხავს. ერთმა, ამას წინათ, კაი ხანს მაყურყუმალავა წყალში. ახალი ხიდიდან გადავხტი, ამოვყავი თავი და მიშველეთ-მეთქი შევბღავლე. დგას და ჩამომჩერებია ზემოდან. შენ არ მომიკვდე, არც ინძრევა, ხმასაც არ იღებს. ბოლოსწინა ჩაყვინთვის დროს მიიხედ-მოიხედა, ხელი ჩაიქნია და წავიდა. კაცია მაგი?

ს ო ს ო – მერე, შენ ?

ე ლ დ ა რ ი – რა მე. გამოვცურე და გამოვედი. ერთხანს ხანძარზე ვაპირებდი დასპეციალებას, მარა ჯერ ერთი, ხანძარი იშვიათადაა, და მეორეც – ხანძარში მუშაობა ჭირს მოგეხსენება, ცეცხლში უნდა შევარდე, რომ კაცს გადაარჩენიო თავი. წარბების და ულვაშების გატრუსვას თავი დაანებე, ვაი თუ ვერ გადაგარჩინოს, სად მიდიხარ მაშინ. იმ დღეს რკინიგზაზე პირველად გავედი და გაამართლა. გავწექი გარდიგარდმო რელსებზე: მოდის მატარებელი. დამინახა, როგორც ჩანს მემანქანემ, დაამუხრუჭა ლოკომოტივი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გააჩერა. ჩამოხტა ის დალოცვილი, გამოიქცა, გამოასწრო მატარებელს და ვითომ გულშემოყრილი, გადამათრია რელსებიდან. შენ როგორ ფიქრობ? ორ კვირაში საპატიო რკინიგზელის ნიშანი მიიღო და გაზეთშიც გაწერეს, როგორც მამაცი მემანქანე.

ს ო ს ო (გაოცებით და სიცილით) – კი მაგრამ, რომ არ ჩამომხტარიყო და არ გამოერიდებინე?

ე ლ დ ა რ ი – ცალი თვალი იქეთ მქონდა. როგორც კი მომიახლოვდებოდა ლოკომოტივი, მაშინვე გავგორდებოდი განზე. აბა მას მოვაკვლევინებდი თავს? შენ მითხარი, რით გაკეთდა ცუდი საქმე? ერთი კაი კაცი ხომ ამოვატივტივე ამ ქვეყანაზე, მან ხომ თავისი საქმე გულით გააკეთა. ხომ არ იცოდა, რომ ეს სცენა ჩემი დადგმული იყო. ესე იგი მართალი კაცია, მისთვისაც ხომ კარგია, სხვა თვალით შეხედავს უფროსობა საპატიო რკინიგზელს. ა, ეს საიდუმლო მინდოდა გამემხილა სოსო შენთვის.

ს ო ს ო – აგაშენა ღმერთმა.

ე ლ დ ა რ ი (დაისხა და კიდევ ერთხელ დალია, უკვე საკმაოდ შეზარხოშებულია, წამოდგა და კარებისკენ მიდის,

კარებში შემობრუნდა). ჩემი არ შეგეშინდეს, სოსო, მე ჩემი ფუნქცია ნაპოვნი მაქვს. შენ სხვებს მიხედე... სხვებს მიხედე, ცოდვიანებით აივსო ქვეყანა. იქნებ, როგორმე შევაგროვოთ მართალი ხალხი და გადავარჩინოთ, გავიყვანოთ გაღმა ნაპირზე... ვიცი, დღევანდელი ამბავით არ უნდა მოიცალო შენ ამათთვის. ხერხემალში გადატეხავენ და მერე რეაბილიტაციის ქაღალდს მიართმევენ შენს შთამომავალს. შენ სხვა საქმისთვის ხარ გაჩენილი. არ შეაჭმევინო თავი. გესმის შენ?! (გააცილა სოსომ ელდარი და ლიფტის სიახლოვეს ისმის მისი ლაპარაკი).

ს ო ს ო – ჩემთან ბრძანდებით?.. რატომ არ გამაგებინეთ... ზარი დაგერეკათ... დიდი ხანია იცდით? – მობრძანდით, შემობრძანდით...

შემოდის ორი ელეგანტურად ჩაცმული მამაკაცი. შემოდგომის თბილი დილისთვის ცოტა არ იყოს, შეუფერებელია მათი ჩაცმულობა. ორივენი ჰალსტუხებსა და კოსტუმებში არიან გამოწყობილი. ერთ-ერთს, შედარებით დაბალს და უფრო ენერგიულს, პატარა შავი ჩემოდანი („დიპლომატს“ რომ ეძახიან) უჭირავს. მეორე უფრო მაღალი გრძელ, ყინტორა კისერს ხშირად ატრიალებს, თითქოს კისრიდან თავის ამოძრობა (ან კისრის დაგრძელება) სურდეს. კატის ნაბიჯებით, ფეხაკრეფით შემოვიდნენ, ბოდიშ-ბოდიშ, თავებს ლოკატორებივით ატრიალებენ, უკვე მოასწრეს ყველასი და ყველაფრის დათვალიერება.

ს ო ს ო (მაგიდისკენ მიუთიებს) – აქეთ მობრძანდით (ორივენი სწრაფად მოსწყდნენ ადგილს და სინქრონული ნაბიჯით წავიდნენ მაგიდისაკენ, დასხდნენ სკამებზე, დაბალმა „დიპლომატი“ სკამის ფეხს მიაყუდა).

დ ა ბ ა ლ ი – ათას ბოდიშს გიხდით, ბატონო სოსო, ასე გვიან შეწუხებისთვის.

მ ა ღ ა ლ ი – გვარიანი ხანს ვიდექით გარეთ. ვერ გადაგვეწყვიტა შემოსვლა. თანაც ტანი გვიგრძნობდა, რომ სტუმარი გყავდათ.

ს ო ს ო – როგორ გეკადრებათ, რაა საბოდიშო, არც ისე გვიანია.

დ ა ბ ა ლ ი – ეს (კარებისკენ ანიშნა) ელდარი იყო ხომ? დიდი ხანია თქვენთან დადის?

ს ო ს ო – ძველი მეგობრები ვართ.

მ ა ღ ა ლ ი – სულ წავიდა ხელიდან, ეგ უბედური.

დ ა ბ ა ლ ი – აწუხებს ხალხს.

მ ა ღ ა ლ ი – ნეტავი ის ჩანგლის ამბავი თუ მართალია.

ს ო ს ო – რა ჩანგლის?

დ ა ბ ა ლ ი – ცოლისთვის ჩანგალი დაურტყამს ერთ საჩოთირო, უკანა, რბილ ადგილას.

მ ა ღ ა ლ ი – ამ მიზეზით გაექცა ცოლი, არ გაგიგიათ?

ს ო ს ო – არ გამიგია, სიმართლე გითხრათ. იქნებ ტყუილია, მოუგონეს.

დ ა ბ ა ლ ი – შეიძლება ტყუილიც იყოს.

მ ა ღ ა ლ ი – ტყუილი იქნება ნამდვილად.

დ ა ბ ა ლ ი – ჩვენ, პატივცემულო სოსო, თქვენი თაყვანისმცემლები ვართ. სამეცნიერო ცენტრის აპარატში ვმუშაობთ ორივე. ინსპექტორ-ორგანიზატორები ვართ. მე სანდუხაძე ვარ, ეს ჯიჭონაიაა.

ს ო ს ო – რომ არ მახსოვხართ? თუმცა, თქვენთან სულ ერთხელ ვარ ნამყოფი, ისიც ამ რვა წლის წინათ.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – ახლები ვართ ჩვენ, პატივცემულო სოსო, არ გემახსოვრებით.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – სამაგიეროდ, თქვენ სულ გვახსოვხართ და სულ ჩვენი ყურადღების ქვეშ ბრძანდებით.

ს ო ს ო – დიდი მადლობა.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – თქვენ, ალბათ, ახლა მუშაობდით და ხელი შეგიშალეთ, ხომ?

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – ასეა ნამდვილად.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – მეცნიერული მუშაობა, ა? როგორია (ჯიჭონაიას შეხედა). მარტო ყოფნა, მოვლენებში ღრმად ჩახედვა, წიგნები, ფიქრები... რა აზრი არ მოგივა ადამიანს თავში.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – აჰ, არ მითხრა, არ მითხრა, თუ კაცი ხარ.

ერთმანეთს სიტყვებს ართმევენ პირში, შეთანხმებულებივით ხაზგასმული მლიქვნელობით ლაპარაკობენ. სანდუხაძე ხან აიღებს პატარა ჩემოდან და მუხლებზე დაიდებს, ხან ისევ სკამის ფეხებს მიადგამს.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – აღფრთოვანებულები ვართ თქვენი პიროვნებით, პატივცემულო სოსო და ამიტომ შეგაწუხეთ ასე გვიან.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – სალაპარაკოდ აქვს მთელს ქალაქს თქვენი გამოსვლები, თქვენი პრინციპულობა, თქვენი გამბედაობა.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – ასე უნდა, აბა რა, კაცი ერთხელ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, აბა, ჩვენ ვართ კაცები?

ს ო ს ო – რა ვიცი, რაღაც ვერ ავაწყეთ ეს ჩვენი ცხოვრება, მთლად ისე არ გამოგვივიდა, რომ გვეგონა...

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – აჰ, შენ გენაცვალე, თქვენ ამას რომ ამბობთ, არ გეშინიათ ხომ სრულებით, პატივცემულო სოსო?

ს ო ს ო – რა მოგახსენოთ, მაგრამ, შე კაცო, შენ თუ არ თქვი, მე თუ არ ვთქვი, ზარი თუ ვინმემ არ ჩამოჰკრა, ხომ დღითიდღე უკან წავა, ისედაც დაქანებული საქმე. ოდესმე ხომ უნდა შეიცვალოს რაღაც, ვინმემ ხომ უნდა შეუჩუჩხუროს ღადარს. თავი ვინმემ ხომ უნდა აიტკივოს.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – მართალია, პატივცემულო სოსო, მაგრამ ისიც ხომაა დასაფიქრებელი, ამ თქვენი გაბედვით ეშველება ვითომ საქმეს?

ს ო ს ო – თქვენ როგორ ფიქრობთ?

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – მე მგონი, არ ეშველება.

ს ო ს ო – არა, ჩემო ძვირფასო, იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, ვისაც იმედი დაკარგული აქვს, გადადგეს და სხვას დაუთმოს სკამი.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – ვის?

ს ო ს ო – ვისაც სჯერა. ვისაც სუფთა ხელები და სინდისი აქვს.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – რა გარანტია გვაქვს, რომ ერთი რომ გადადგება, მის ადგილზე მეორეც იმნაირი არ მოვა?

ს ო ს ო – მოდიან კიდეც, მაგრამ პატიოსანიც ხომ ბევრია.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – თქვენ მაგალითად, რამდენი ხანია, რაც ასე ხართ.

ს ო ს ო – როგორ?

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – ასე გაბედულად რომ ხედავთ ყველაფერს.

ს ო ს ო – ბევრი ვიფიქრე, და ამ ბოლო დროს ასეთ დასკვნამდე მივედი: როგორ შეიძლება ანგარიშმიუცემლად აკეთო მთელი ცხოვრება, რასაც გიბრძანებენ. აღარ არის ახლა ის დრო... წავიდა. შენი უფროსები შეუმცდარი ადამიანები რომ არ არიან, კარგად ხედავ, ადექი და ხანდახან გაბედე – ასე არ ივარგებს, არ გამოვა-თქო. ჩამოგახრჩობენ ამის გულისთვის? მე მგონი არა – აი, ასე ვუთხარი ჩემს თავს.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – აჰ, „მალადეც“.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – ეს, მართლაც, კარგად გითქვამთ თქვენი თავისთვის, მაგრამ გაიგებენ სწორად ამ თქვენ გაბედულებას?

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – ვაი თუ, ავი მუსაიფი დაინახონ თქვენს სიტყვებში.

ს ო ს ო – ესეც მართალია. ზოგი ხელმძღვანელი სარჩევად მოსულს ახლოს არ იკარებს. არ გვენდობიან. ხანდა-

ხან ჩვენკენაც უნდა გადმოიხარონ, უნდა მოგვესაუბრონ. რა იქნება, ადამიანურად წამოსცდეს ვინმეს, ცოტა გაგვიჭირდა ამხანაგებოო, ვინ არაა დღეს ამის გამგები? რატომ უნდა მიიჩნიო მტრულად, თუ მე შენგან განსხვავებული აზრი დამებადა?

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – ჯერ ერთი, მტერი რად უნდა იყო და რომც იყო, რას წაიღებ. ჩვენ, ჯერჯერობით, იმაზე უფრო მაგრად ვდგავართ მიწაზე, ვიდრე ზოგიერთს ეჩვენება. სიტყვაზე მოგახსენებთ, მაგალითად.

ს ო ს ო – მეც მანდა ვარ. შეიძლება მე თვითონ იმ კუდა ხარს ვგავარ, სხვებს რომ ბუზებს უგერიებდა, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – მაინც ხომ?

ს ო ს ო – ჯერ ეს უნდა გავარკვიოთ, მართლა უნდათ ქვეყნისთვის სიკეთე, ვისაც ვგულისხმობ, თუ ყასიდად ლაპარაკობენ.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – ვთქვათ, უნდათ.

ს ო ს ო – თუ ასეა, უფრო ღონიერი, თამამი ნაბიჯები უნდა გადავდგათ ისტორიის გზაზე. ყალბ სიტყვებს, ხმამაღალ ფრაზებს უნდა მოვეშვათ, ჩვენზე წინ წასულ ქვეყნებს დავუთბეთ და დავუზავდეთ. ხალხის გულისთქმას მივყვეთ, ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისთვის საჭირო თეორიები ძვირფას რელიკვიებად გამოვაცხადოთ და მუზეუმებს დავუთმოთ, ახალ, ეპოქის შესატყვის ფიქრებს დავუწყოთ ძებნა.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – იქნებ, ვისაც თქვენ ზოგჯერ გულისხმობთ, ცოტა მეტსაც ფიქრობენ და ცოტა უკეთესადაც.

ს ო ს ო – არა, ჩემო ძვირფასო, სამწუხაროდ ვერ არის ასე. მართალია, ვეძებთ გზებს, მაგრამ ისე ვეძებთ, რომ უკლებლივ ყველას თეთრი ხელთათმანები და გაუთოებული შარვლები შეგვრჩეს, ასე არ გამოვა. მე

რომ ვინმე დამავალებდეს, ხვალვე მივართმევდი სიას – გამოგონილი, ათასობით სკამის გასაუქმებლად. სიას იმისას, თუ რამდენი უფროსი უნდა დარჩეს აღმასკომ-სამმართველოებში და ვინ უნდა მოკიდოს ძროხის ბაწარს ხელი. ხვალვე გაივსება მუშაკაცით ეს ქვეყანა და ცხოვრებასაც სხვა ხალისი მიეცემა.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – აჰ, შენ გენაცვალე. აი, მესმის გაბედულება. მაგრამ ხომ მიდის გარკვეული მუშაობა ამ მიმართულებით, პატივცემულო სოსო? ხომ იჭერენ დამნაშავეებს?

ს ო ს ო – განა ეს კომპანიური დაჭერები და პოტენციურ დამნაშავეთა ერთი სკამიდან მეორეზე გადასმა რაიმეს შეცვლის?

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე. თქვენ ობიექტურ კაცად მიგაჩნიათ თავი ხომ? აბა ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი რომ გაუმჯობესდა, ეს ხომ დიდი ძვრაა.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – აბა, მართლა ისე ხომ არ არის საქმე, პატივცემულო სოსო, მექრთამეობა ხომ მოისპო? მოისპო, ბაზარი ხომ გაიაფდა? გაიაფდა.

სოსოს გაეცინა.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე (ჯიჭონაიას შეუბღვირა). მაცალე ლაპარაკი, ჯიჭონაია, თუ შეიძლება, ერთი რამ უნდა გითხრათ, პატივცემულო სოსო. ჩვენ ხომ ასე გვიყვარხართ და გვიყვარხართ, ჩვენს თავმჯდომარეს შეუყვარდით, ამ ბოლო დროს, ძალიან.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – კი, ნამდვილად, სულ თქვენ ხსენებაშია.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – ასე ამბობს, ვინ გვყავს პატივცემული სოსოსთანა მართალი და გაბედულიო. პატივცემულ სოსოს ყოველგვარი პირობები უნდა შევუქმნათო.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – ასე ამბობს კი. მიკვირს პირდაპირ, რამ შეაყვარა თქვენი თავი ასე.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – მაგრამ, როგორც ყველა კაცს, მტრები, თურმე თქვენც გყოლიათ.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – აბა, არ მოველოდი სიმართლე გითხრა.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე, ამას წინათ ერთი ქაღალდი მოვიდა: სოსო კახაძე რომ სიმართლეს ქადაგებს, კითხეთ ერთი ჩვიდმეტი წლისამ თავის ბიძაშვილს – მაქსიმეს თოფი რატომ ესროლა და რატომ არ დაისაჯაო.

ს ო ს ო (შემცბარი ღიმილით). ეგ იყო, მართლაც... გამივარდა... გადარჩა კაცი და აღარ მიჩივლეს...

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – კიდევ ეწერა იმ წერილში: ლაფსანის საშარვლე რომ მიიღო ქრთამად მისაღებ გამოცდებზე, ის სოსო კახაძეა ახლა თავს მამა აბრამის ბატკნად რომ აცხადებს და ქვეყნის გასწორება რომ უნდაო?

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – აბა, ეს რა გასახსენებელი იყო არც კი რცხვენია ზოგიერთს.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – ქალის საკითხზე იყო კიდევ რაღაც უსიამოვნო ფაქტი, აღარ მახსოვს (ჯიჭონაიას შეხედა). ჰო, აბა, ცხრა წელიწადია საყვარელი ჰყავს და (ხმას დაუწია) მგონი, ფეხმძიმედ უნდა იყოს ახლა ის ქალიო?

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – აბა, ასეთი ცილისწამება შეიძლება? მაგრამ უსაქმობის და მახათის არაკივითაა, ზოგს საქმე რომ შემოელევა. მაშინ იწყებს სხვის ბედში ხელების ფათურს და ამას მხილებას და გაბედულებას ეძახის.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – სახლშიო ლოთი და აფერისტი დაუდისო. საეჭვო საქმიანობის კაცთან კადრულობს ლაპარაკს და ჭიქის მიჭახუნებასო, ვინ ჰკითხავს სხვას, ვინ შემოვა ჩემს სახლში.

სოსო ყველაფერს მიხვდა, თითქოს დაილია, ისე მოიკუნტა თავის სავარძელში, ჯიჭონაიამ და სანდუხაძემ ერთმანეთს გადახედეს.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – ჩვენ თქვენი თაყვანისმცემლები და გულშემატკივრები ვართ, პატივცემულო სოსო.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – ჩვენ ის წერილი, არ მივიტანეთ თავმჯდომარემდე, ჩვენთან ინახება.

ს ო ს ო (ირონიულად, გამშრალი ხმით). დიდი მადლობა.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – ახლა იმის გვეშინია, კიდევ არ დაწეროს იმ გათახსირებულმა და თვითონ არ მიართვას ხელებში ჩვენს თავმჯდომარეს.

ს ა ნ დ უ ხ ა ძ ე – რას იფიქრებს, თავმჯდომარე, სოსო კახაძე ანგელოზი კაცი მეგონა და რაების მოქმედი ყოფილაო.

ჯ ი ჭ ო ნ ა ი ა – ბოლოს და ბოლოს, ასე კი არაა საქმე. ბატონი სოსო დაამტკიცებს, რომ ეგ ყველაფერი ტყუილია და გაბრაზებული კაცის მიერაა მოჩმახული.

პაუზა. ერთმანეთს თვალებით ზომავენ.

ს ო ს ო (ამოხვნეშით). არა, მოქალაქენო, ეგ ყველაფერი, სამწუხაროდ, მართალია. (სოსო დგება, სანდუხაძე და ჯიჭონაია, როგორც შემოვიდნენ, ისე მელიასავით ფეხაკრეფით, ბოდიშ-ბოდიშ გადიან, სოსო კარებიდანვე შემობრუნდა და ქანდაკებასავით გაქვავდა. ოჯახის წევრები წამოდგნენ და მას შესცქერიან შეძრწუნებული სახეებით. სოსო ნელა მიდის ფანჯარასთან და დარაბებს კეტავს. შემობრუნდა, ტუჩზე ხელი მიიდო). სუუ... ჩუმად (სოსო ახლა მეორე ფანჯარასთან მიდის და იქაც დარაბებს კეტავს, ისევ გამოიხედავს და „სსუ ჩუმადო“, იტყვის, მერე ავანსცენაზე გამოდის ელექტროჩამრთველებთან დგება „სსუ, ჩუმად, ბატონო ჩუმად“, ეტყვის მაყურებელს, სინათლეს აქრობს და მეორე ოთახში გადის. მკვდრული, ავისმომასწავებელი სიჩუმე ისადგურებს სცენაზე და ამ დროს მოისმის ლერის შემაძრწუნებელი ყვირილი).

ლ ე რ ი – მამა!

ძლიერი, მაჟორული, თმა-ბეწვის ამშლელი მუსიკა, შუქ-ჩრდილთა ციალიც განგაშს მოასწავებს. ნანა, ლერი, მიმოზა წამოხ-ტებიან და იმ ოთახში შერბიან, სადაც სოსო შეიკეტა. სცენაზე ერთმანეთის მიყოლებით შემორბიან ლილი (სოსოს საყვარელი), შიო (კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი), რეზო კოპაძე (სახლმ-მართველი), სალდაძე (პენსიონერი) და საკაცით ხელში ამჯერად თეთრ ხალათებში გამოწყობილი ინსპექტორ-ინსტრუქტორები – სანდუხაძე და ჯიჭონაია. ყველანი ცდილობენ საერთო არეულო-ბაში როგორმე ოთახში შეაღწიონ, მაგრამ კარები შიგნიდანაა ჩა-კეტილი. ისინი ნერვიულად მიმოდიან, ხანდახან მუშტივით ერთად შეიკვრებიან, თითქოს რაღაცას ჩურჩულებენ, მერე ისევ შორდები-ან ერთმანეთს. ცალკე დგას ელდარი და რაღაცას ლუღლუღებს. კარები იღება და სოსოს შვილი ლერი გამოდის. სამარისებური სი-ჩუმე ჩამოწვა.

ლ ე რ ი – მადლობა ღმერთს, გადარჩა. მნახველებს სამედი-ცინო კონსილიუმი ბოდიშს უხდის. ვერ შეგიშვებთ, ავადმყოფს ახლა სიმშვიდე და მოსვენება სჭირდება.

სანდუხაძე და ჯიჭონაია საკაცით ხელში საეჭვოდ ამოძრავდ-ნენ. წინ წამოვიდნენ. აშკარაა, ოთახში შეღწევა უნდათ.

ლ ე რ ი (სანდუხაძეს და ჯიჭონაიას) – დავალებული მაქვს გაუწყ-ოთ, ბატონებო, რომ სპექტაკლის ფინალი შეიცვალა. ბოლო სურათში თქვენ აღარ მონაწილეობთ!

სინათლე ქრება, სცენა შემობრუნდება, ცისფერი ციაგი დაჰნა-თის თეთრ მოსასხამში გამოწყობილ სოსო კახაძეს. ნელა მოაბი-ჯებს იგი სცენის სიღრმისა და შუაგულისაკენ. შემაღლებულზე ადის და მიკროფონთან დგება, მარჯვნივ ელდარ ქიქოძე მოჩანს.

ს ო ს ო – დრო გავა და იქნებ მოგონებად მაინც ღირდეს ამბავი პატარა კაცისა, რომელიც ერთხელ მაინც მი-

წვდა ჟანგისგან ლამის შეჭმულ ზარს და როგორც შეძლო, ისე შემოჰკრა.

მე თქვენ არ მიცნობთ. ჩემკენ გამოსახედად არ გცალიათ. ყველანი თქვენ-თქვენ ზანზალაკებს მია-ჟღარუნებთ ცხოვრების მოსაწყენ ქარავანში. ყვე-ლაზე მახლობლებიც ავტობუსში დამგზავრებული-ვით მესაუბრებიან.

ბედს არ ვემდური, ჩემი ზარის ხმა ყრუდ მაინც მოგ-წვდათ, წამით ხომ მაინც შეყოვნდით და გაირინდეთ.

იმ გარინდებისთვის, იმ წამისთვის ღირს სიცოცხლე.

როგოც ჩანს, დროთა განმავლობაში ადამიანები ივიწყებენ ისტორიის ცეცხლოვან გაკვეთილებს, ანდა ძალით ავიწყებინებენ. ყველაფრის დაწყება თავიდან მოგვიწევს. ამ ბრძოლაში ერთი მერცხალი რომ ვე-რას გახდება, მოგეხსენებათ. ყველამ უნდა ასწიოს თავი და, თუ ბევრს ვერაფერს შეძლებს – „ჰეი“ მაინც უნდა დაიყვიროს, რათა ჩვენს თავზე ავად მორიალე ყვავებს აუქშიოს.

თქვენ ისე ცხოვრობთ, თითქოს ორი სიცოცხლე გქონდეთ; თითქოს ეს პირველი სიცოცხლე სასწავლ-საწვრთნელად, შეცდომათა დასაშვებად გაქვთ მოცე-მული და შეგიძლიათ ისე მოექცეთ, როგორც ძველ ეტლს, ადრე და მალე ახლით შესაცვლელს.

სამწუხაროდ არ არის ასე. „ცდების და ცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“.

სცენა ერთბაშად ნათდება. სოსო კახაძის წინ მსმენელთა მრევ-ლი დგას. ეს მრევლი საბრძოლველად გამზადებულ, ტუჩმოკუმულ და მუშტშეკრულ ლაშქარს წააგავს.

ს ო ს ო – მე ბრალს ვდებ ყველას, ვისაც ესმის ხმაი ჩემი, მაგრამ დროით დამტვერილ გულს არ აკარებს.

მე ბრალს ვდებ ყველას, ვისაც ძალუძს გულგრილად უცქიროს ატმის ხეს აყვავებულს, ან კალმახს ჩქერში მოდგაფუნეს.

მე ბრალს ვდებ ყველას, ვისაც სინდისი დაუკარგავს და თხუნელასავით სინათლეს ემალება.

გვეყო ყოყმანი და თავის მოტყუება. ჩვენი ყველაზე საშიში მტერი დღესვე უნდა ვიპოვოთ. რესპუბლიკის პროკურორს ვთხოვ კარებში ჩადგეს და გასვლისას ყველას თვალებში ჩახედოს! (სოსო იწყებს ომახიან მაჟორულ სიმღერას, დაახლოებით ისეთს, სამოქალაქაო ომის ეპოქას რომ ახასიათებდა. ნელ-ნელა ყველანი აჰყვებიან, სიმღერა მაყურებელთა შორისაც დაირხევა, მთელი თეატრი გუგუნებს).

გალმა-გამოღმა

ერთმოქმედებიანი სატირა

მოქმედი პირნი:

ჩ ი კ ა გ ო ს დ ე ლ ე გ ა ც ი ა:
ტ ო მ – პროგრამის წამყვანი
რ ო ბ ი ნ
მ ა ი კ ლ
კ ე ტ რ ი ნ
დ ე ვ ი დ
ჯ ე ნ ე ტ
ვ ი ლ ი

ჩ ვ ე ნ ი დ ე ლ ე გ ა ც ი ა:
ლ ე ო – პროგრამის წამყვანი
კ ა კ ო
ს ა ლ ო მ ე
გ ე ნ ო
მ ო შ ე
ბ ე ნ ო
გ ი ო რ გ ი

სცენის შუაში დიდი ტელეეკრანია. მასში რამდენიმე კაცი თავისუფლად მოთავსდება. ეკრანის მარჯვნივ და მარცხნივ, შემაღლებულ ფიცარნაგზე, ორ-ორად ექვსი სკამი დევს. თითო სკამი კი განცალკევებითაა. მარცხნივ ზის ამერიკელთა დელეგაცია, მარჯვნივ ჩვენი. ამერიკელები ამერიკულად, მოშვებულად სხედან, ჩვენები გაჭიმულნი, სამკერდე ნიშნებით და ჟეტონებით დამშვენებულნი. მითითებულ თითო სკამზე პროგრამის წამყვანები – ტომი და ლეო სხედან თავიანთ დელეგაციებთან ახლოს და ხელში მიკროფონები უჭირავთ. იხსნება ფარდა. ამერიკის დელეგაცია ფეხზე დგება და მღერის ტემპიან ამერიკულ სიმღერას. მერე ჩვენი დელეგაცია დგება ფეხზე და მღერის ძნელადგასაგებ სიტყვებიან და უფრო გაურკვეველ შინაარსიან ხალხურ სიმღერას – „ერეხელი“. პროგრამის წამყვანები მიკროფონით ხელში თავიანთი დელეგაციების წინ გამოდიან.

ლ ე ო – ჰელოუ ტომ!

ტ ო მ (ამერიკული აქცენტით) – გაგიმარჯოს ლეო.

ლ ე ო – გვიხარია, რომ ტელევიზიამ საშუალება მოგვცა, ბოლოს და ბოლოს, ამერიკელ მოქალაქეებს პირისპირ შევხვედროდით.

ტ ო მ – რა ენაზე წარვმართოთ ტელეხიდი?

ლ ე ო – რა ენაზეც გაგეხარდებათ.

ტ ო მ – იქნებ ჩამოთვალოთ რა ენები იცით და შევარჩევთ.

ლ ე ო (ცოტა დაბნეული) – ხომ არ აჯობებს ჩამოვთვალო, რა ენებიც არ ვიცი...

ტ ო მ (სიცილით). გასაგებია, გასაგები. ჩვენ გაგვიჭირდება, მაგრამ ქართულად ვისაუბროთ.

ლ ე ო – როგორც გენებოთ. გნებავთ ქართულად ვისაუბროთ. რაკი აგრეა, ქართულად ვისაუბროთ. ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით. ჩვენ დამთმობი ხალხი ვართ.

ტ ო მ – სანამ საუბარს დავიწყებდეთ, ერთი პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ. მე მითხრეს, რომ მიუხედავად თეატრის ადმინისტრაციის წინააღმდეგობისა, მაყურებელთა შორის მაინც გაგვეპარა სამი მოქალაქე, ვისაც იუმორის გრძნობა არ გააჩნია.

ლ ე ო – ისინი ალბათ ბილეთიან მაყურებელთა რიცხვს ეკუთვნიან. უბილეთოებს ყოველთვის ჭარბად აქვთ იუმორის გრძნობა.

ტ ო მ – თუ ის სამი სერიოზული მოქალაქე არ აღმოვაჩინეთ, ჩვენს სპექტაკლს ლაზათი დაეკარგება.

ლ ე ო – ექსპერიმენტს მივმართოთ, ექსპერიმენტი ახლა მოდაშია.

ტ ო მ – რა ექსპერიმენტს?

ლ ე ო – ორ სასაცილო ამბავს მოვყვები, შენ დარბაზს დააკვირდი, ვინც არ გაიცინებს, ან გაღიმებით მაინც არ გაიღიმებს, სწორედ ის არის, ვისაც ვეძებდით.

ტ ო მ – მოიცა, მერე? ვთქვათ აღმოვაჩინეთ გაუცინარი სამეული.

ლ ე ო – არაფერი. ვთხოვთ დასტოვონ დარბაზი. სალაროში ფულს დაუბრუნებენ და შესთავაზებენ ბილეთებს ლექციების ციკლისათვის ათეისტური აღზრდის თემაზე.

ტ ო მ – დაიწყე (თვითონ გაფაციცებით ათვალიერებს დარბაზს).

ლ ე ო – ორი კაცი შეხვდა ერთმანეთს. ერთს ცხვირ-პირი ჩამოსტირის.

– რა მოგივიდა? ჰკითხა მას იმან, ვისაც ცხვირ-პირი არ ჩამოსტირის.

– უბედურება! – მიუგო მან, ვისაც ცხვირ-პირი ჩამოსტირის.

– მითხარი, თუ ღმერთი გწამს, – მოთმინებას კარგავს ის, ვისაც ცხვირ-პირი არ ჩამოსტირის.

– ძაღლი მყავდა, დავიღუპე, მე შენ გელაპარაკები, ძაღლი მყავდა, გელაპარაკები, ძაღლი კი არა ვეფხვი იყო, პირდაპირ, ვეფხვი კი არა ლომი იყო პირდაპირ, მისი შიშით ჭიანჭველა ვერ შემოძვრებოდა ჩვენს ეზოში, ჩიტი ვერ დაფრინდებოდა ჩვენი სახლის სახურავზე. ოც მეტროში ჩემ გარდა არავის უშვებდა ახლოს. ძაღლი კი არა ვეფხვი იყო პირდაპირ. მთელ ქუჩას კი არა, მთელ ქალაქს ეშინოდა მისი.

– მერე? მოგიკლეს?

– არა, მომპარეს!

დარბაზში სიცილი. ტომი ენერგიულად ცდილობს აღმოაჩინოს გაუცინარი მაყურებელი.

ლ ე ო (ტომს) – როგორაა საქმე?

ტ ო მ – ყველამ გაიღიმა. ზოგმა გაიღიმა კი არა, გაიცინა კიდეც.

ლ ე ო – ახლა მეორე ამბავს ვიტყვი. დააკვირდი მეტი ყურადღებით. ბაზარში კაცი იდგა და კაკალს ჰყიდდა. საქმე იმაში იყო, რომ იქვე, ბაზარში ყიდულობდა კილოგრამს ათ მანეთად და იქვე ბაზარშივე ყიდდა კილოგრამს ათ მანეთად. ვანო, რატომ იქცევი ეგრე უცნაურად? – ჰკითხეს კაკლის გამყიდველს, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე გამოდის. თუ სარგებელი არ დაგრჩება, რაზე იკლავ თავს ბაზარში დგომითაო. – ეჰ, შვილოსა, ყველას თავისი ეშხის ოფოფები ჰყავს. მე ფულის მოგება კი არ მაინტერესებს, კაკლის ჩხრიალი მიყვარსო – მიუგო ვანომ.

დარბაზში კვლავ სიცილი, ტომი კვლავ გაფაციცებით ათვალიერებს მაყურებელთა სახეებს.

ტ ო მ – როდის მოხდა ეგ ამბავი?

ლ ე ო – ვერ გეტყვი. ალბათ მანამდე მოხდებოდა, სანამ ჩვენს ბაზრებზე ვაშლის ფასი კამჩატკაზე ვაშლის ფასს გაუტოლდებოდა. ახლა ვინღა დგას ბაზარში მხოლოდ კაკლის ჩხრიალის სიყვარულით. შენ ეს მითხარი, იპოვე?

ტ ო მ – ვერა, ჩემ გარდა, ყველამ გაიცინა. ძვირფასო მაყურებლებო, ისედაც გაგვიჭიანურდა, იძულებული ვართ დავიწყოთ სპექტაკლი და ორი სათხოვარი გვექნება თქვენთან.

ლ ე ო – პირველი: დააკვირდით გვერდით მჯდომ მაყურებელს. მთლად ნუ მიაჩერდებით. ისე, შიგა და შიგ გახედეთ ხოლმე. თუ არ იცინის და არც იღიმება, ხელი ხელზე აქვს დადებული და პირმოკუმული, მკაცრი, სერიოზული სახით შესცქერის სცენას, სწორედ ის გახლავთ ჩვენს სპექტაკლზე შემთხვევით მოხვედრილი. ფეხაკრეფით ამოიპარეთ სცენაზე და შეგვატყობინეთ. მერე ჩვენ ვიცით.

ტ ო მ – მეორე სათხოვარი ასეთი გვექნება: მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოსვლაში მე და ჩემი კოლეგა საკმაოდ სოლიდურ ჰონორარს ვიღებთ, ყველაზე დიდი საჩუქარი მაინც ტაშია. ამიტომაც ტაშის დაკვრას ნუ დაიზარებთ. მიჩვეული არ ვართო, ვერ იტყვით, თქვენთან ტაშის დაკვრას აკვანშივე ასწავლიან.

ლ ე ო – ახლა კი დავიწყოთ ტელეხიდი!

სპექტაკლის მუსიკალური ლაიტმოტივის ფონზე ორივენი თავიანთ ჯგუფებთან მიდიან.

ტ ო მ – ჩვენ დავიწყოთ თუ თქვენ დაიწყებთ?

ლ ე ო – როგორ გეკადრებათ, თქვენ რასაკვირველია.

ტ ო მ – იქნებ თქვენ დაგეწყოთ?

ლ ე ო – არავითარ შემთხვევაში (ისეთი ქართული სტუმართმოყვარეობით თქვა, რომ კინაღამ გაიქცა სცენიდან). თქვენ დაიწყეთ ბატონო.

ტ ო მ – კიდევ ერთი სათხოვარი გვაქვს. თუ ნებას მოგვცემთ, ამერიკის ტელევიზიის ჩვეულების თანახმად, ალაგ-ალაგ რეკლამებს ჩავრთავთ (ლეო მოსათათბირებლად თავის დელეგაციასთან დაიხრება).

ლ ე ო – კეთილი და პატიოსანი. მაშინ ჩვენც ჩავრთავთ სარეკლამო ნომრებს.

ტ ო მ – მაშ ასე, პირველი შეკითხვა, მისის კეტრინს! (მიკროფონი გადასცა).

კ ე ტ რ ი ნ – თუ არიან საბჭოთა კავშირში უბინაოები?

ლ ე ო (გაფაციცებით თავის დელეგაციას) – აბა, ამ შეკითხვაზე ვინ მეცადინეობდა, ჩქარა ჩქარა.

გ ი ო რ გ ი – სანთლით საძებარია!

ტ ო მ – როგორ, როგორ?

ბ ე ნ ო – აქა-იქღა შემოგვრჩნენ. ცოტანი დარჩნენ.

კ ე ტ რ ი ნ – სად წავიდნენ?

გ ი ო რ გ ი – არსად წასულან, გამზადებულ კოოპერატიულ ბინებს ტეხავენ და შედიან.

ჩიკაგოელებმა პასუხი ვერ გაიგეს.

კ ე ტ რ ი ნ – უბინაოებს როგორ ეხმარებით?

ს ა ლ ო მ ე – აღრიცხვაზე აგვყავს.

დ ე ვ ი დ – ეს როგორ გავიგოთ, აღრიცხვაზე აგყავთ და მერე ბინას აძლევთ?

ლ ე ო – თქვენ გინდათ აღრიცხვაზეც ავიყვანოთ და ბინაც მივცეთ? ბინას მხოლოდ იმათ ვაძლევთ, ვინც აღრიცხვაზე ვერ აგვყავს.

სიცილი

ახლა ჩვენი რიგია (მიკროფონი კაკოს გადასცა).

კ ა კ ო – არ გწყინდებათ?

ტ ო მ – რა?

კ ა კ ო – არ გწყინდებათ-მეთქი ამერიკის მოქალაქეობა?

ტ ო მ – რატომ უნდა მოგვწყინდეს?

გ ე ნ ო – თქვენ ხომ ვერასოდეს გამოცდით იმ სიხარულს, რასაც საბჭოთა მოქალაქეები განვიცდით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. თქვენ ხომ არ იცით იმ ელექტროშუქის ფასი, რომელიც გამოთიშულ ლიფტში ერთსაათიანი ჯდომის შემდეგ გაგინათებს სახეს.

ბ ე ნ ო – თქვენ ხომ ვერასოდეს გაიგებთ იმ სიამოვნებას შვიდწლიანი რიგისა და ოცდაცამეტი საჩივრის შემდეგ „ჟიგული“ რომ მოგიწევს, მერე რა, „ფურგონი“ რომ აღმოჩნდება, თქვენ რა, „ფურგონი“ მანქანა არ გგონიათ?

კ ა კ ო – თქვენ ხომ ვერ წარმოიდგენთ სახლში შემოჭრილი, სახეგაბადრული სიდედრის აღტაცებულ ძახილს – ჩქარა ფული! ბუდიონის ქუჩაზე, მეშვიდე მაღაზიაში თევზს არიგებენ!

ლ ე ო (კმაყოფილი პასუხებით) – დიახაც რომ მოსაწყენია თქვენი ცხოვრება, ჩიკაგოელო ბატონებო. გისმენთ.

ვ ი ლ ი – რატომაა თქვენს კრებებზე ყველაფერი ერთხმად მიღებული. არ კამათობთ?

ლეო ჩვენს დელეგაციასთან დაიხარა, სანამ პასუხის გამცემს დამოძღვრავდა, გიორგიმ სტაცა მიკროფონს ხელი.

გ ი ო რ გ ი – ვკამათობთ, მაგრამ ვინც წინააღმდეგია, იმათ ხმის უფლებას ვართმევთ. დეპუტატებად და დელეგატებად მხოლოდ იმათ ვირჩევთ, ვინც ყველაფერზე თანახმაა.

ამერიკელებმა გაიცინეს.

ლ ე ო – არ არის ასე. მოსმენით ჩვენ ყველას ვუსმენთ და სიტყვასაც ყველას ვაძლევთ!

მუსიკა, სინათლე ქრება, რეკლამა დაიწყო. ტელევიზიით გადმოსცემენ კრების მსვლელობას. ლეო კრების თავმჯდომარეა. იქვე დგას გიორგი. შეიძლება ორივეს შეცვლილი პარიკები ჰქონდეთ.

ლ ე ო – სიტყვა ეძლევა გიორგი ნერგაძეს!

გიორგი ტრიბუნაზე შედგა.

ლ ე ო – რას იტყვიან ახლა ისინი, ვინც წინასწარმეტყველებდა, არ მისცემენ სიტყვას გიორგი ნერგაძესო. არ მივეცით? მე პირდაპირ უნდა ვთქვა იმ ამხანაგების მისამართით, თუნდაც საწყენად დარჩეთ, უნდა ვთქვა – არ ვარგა ასე, ამხანაგებო. ჩვენ ხელს არავის ვუშლით. ასე გვესმის ჩვენ დემოკრატია. ჩვენ ყველას ვაძლევთ საშუალებას გამოთქვას თავისი საკუთარი აზრი. ასე არ არის ამხანაგო გიორგი?

გიორგი თავს უქნევს და სიტყვის დაწყებას აპირებს.

ლ ე ო – რატომ არ მივცემდით, მაგალითად, სიტყვას გიორგის? რა უნდა თქვას ახლა მან ისეთი, რაც ჩვენ შეგვაშინებს, ან ხელს შეგვიშლის? ჰქონდეს ამ კაცს თავისი აზრი. მერე რა მოხდა. თუნდაც არ იზიარებდეს იგი ჩვენს თვალსაზრისს. მერე რა. გიორგის სიტყვა უნდა მივცეთ და ხომ ხედავთ, მივეცით კიდეც. მე ვეკითხები ახლა იმ ამხანაგებს, ვინც ამტკიცებდა ჩვენი კრების კულუარებში, სულ ერთია გიორგი ნერგაძეს სიტყვას მაინც არ მისცემენო. არ მივეცით? არ დგას ახლა თქვენ თვალწინ ამხანაგი გიორგი? ჩვენ ასე გვესმის საჯაროობა. საერთოდ სიტყვა, თუ იგი

გონივრულად, ფაქტებზე იქნება აგებული, უნდა ითქვას, ვინც არ უნდა იდგეს იმ სიტყვის უკან. დღეს ეს გარემოება განსაკუთრებით საჭიროა. დაბრძანდით, ამხანაგო გიორგი!

გიორგი ტრიბუნას შორდება. ამერიკელები იცინიან. ტელეხიდი გრძელდება.

გ ე ნ ო (ამერიკელებს). შეგიძლიათ თუ არა სასამართლოში უჩივლოთ თქვენს პრეზიდენტს?

დ ე ვ ი დ – რა თქმა უნდა.

ბ ე ნ ო – ჩვენც შეგვიძლია.

ტ ო მ – რა შეგიძლიათ?

ლ ე ო – ვუჩივლოთ თქვენს პრეზიდენტს.

მუსიკა, სიმღერა, ამერიკელთა რეკლამა იწყება. ტომი მიკროფონით ხელში ტელეეკრანზე.

ტ ო მ – რიჩარდი ლეკვს წვრთნიდა.

გადააგდებდა რიჩარდი ჯოხს, დაოთხილი გაიქცეოდა, პირს დაავლებდა, მოარბენინებდა და მთქნარებისაგან ყბაატკივებულ ლეკვს წინა ფეხებთან დაუგდებდა. ლეკვი იდგა და თავისი ლეკვური თვალებით შესცქეროდა, როგორ გადააგდებდა რიჩარდი ჯოხს, მერე როგორ გაიქცეოდა დაოთხილი, რათა პირი დაევლო და მოერბენინებინა.

რიჩარდი დაიღალა. ერთხელ კიდევ გადააგდო ჯოხი, ერთხელ კიდევ გაიქცა და, რადგან ოთხზე დგომა ვეღარ შეძლო, ხოხვით მოუტანა თავის ერთადერთ მოწაფეს. მოწაფე კი სრულიად ჩვეულებრივი ლეკვი იყო და ვერაფრით ვერ გაეგო, რომ მას წვრთნიდნენ, რათა გადაგდებული ჯოხის მოტანა ესწავლებინათ. ლეკვს უკვირდა კიდეც; რა საჭირო იყო ჯოხის გადაგდება, თუ ისევ უკან უნდა მოეტანა.

რიჩარდმა კიდევ ერთხელ მოისროლა ჯოხი და მუდარით სავსე თვალებით ლეკვს შეხედა. ლეკვი ჯოხისკენ გაიქცა, პირი დაავლო, ფიქრის დრო არ იყო. რიჩარდმა სწრაფად გაიკრა ჯიბეზე ხელი და ლეკვს წახალისების ნიშნად შაქრის ნატეხი გაუწოდა.

რიჩარდმა ჯოხი ცხვირთან მიუტანა ლეკვს, – მიდიო, უთხრა და გადააგდო. ლეკვმა კვლავ წინანდებური ერთგულებით მოარბენინა ჯოხი. თავისი წვრთნის შედეგებით აღფრთოვანებულმა ონისიმემ დაუძახა ცოლ-შვილს, მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს. პატრონი წამდაუწუმ ისროდა ჯოხს. ლეკვს უკვე აღარ სჭირდებოდა დამამცირებელი „მიდი“. ცირკის ძაღლივით ორ ფეხზე შემდგარი, კუდის რხევით მოარბენინებდა ჯოხს.

რიჩარდმა წვრთნა დაამთავრა და ჯოხი გადააგდო. ლეკვმა, რა თქმა უნდა, მოურბენინა.

ცოლ-შვილს, მეზობლებს, მეგობრებს და ნათესავებს მოსწყინდათ და წავიდ-წამოვიდნენ თავიანთი მეზობლური, მეგობრული და ნათესაური საქმეების მოსაწესრიგებლად.

რიჩარდმა ლეკვს კატეგორიულად განუცხადა, დღეს ამით დავამთავროთო და ჯოხი უფრო შორს გადააგდო. ლეკვმა მაშინვე მოურბენინა.

რიჩარდმა მამაშვილურად სთხოვა ლეკვს: – კარგი ბიჭი ხარ, ოქრო ხარ, მაგრამ ახლა რომ ჯოხს გადავაგდებ, ნუღარ მომიტანო. ლეკვმა თავი კი დაუქნია, მაგრამ ჯოხი მაშინვე უკან დაუბრუნა.

რიჩარდი გაბრაზდა და ძალიან შორს გადააგდო ჯოხი. ლეკვი ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გაიქცა და ძალიან შორს გადაგდებული ჯოხი თვალისდახამხამებაში ფეხებთან დაუგდო სიბრაზისაგან აკანკალებულ პატრონს.

ზის ახლა ჯირკზე რიჩარდი, თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლი, კბილებში თავისი დამღუპველი სასწავლო ჯოხი უჭირავს და ენერგიულად ღრღნის ისედაც მოფამფალებული კბილებით.

ვ ი ლ ი – რას აკეთებს თქვენთან რაიკომი?

ჩვენი დელეგაცია შეჯგუფდა. თათბირობენ, მერე მოშე დგება მიკროფონით ხელში.

მ ო შ ე – ავალებს, ამოწმებს, საყვედურს აძლევს, ხსნის, ნიშნავს, პასუხისგებაში აძლევს, შიგა და შიგ ქრთამს ღებულობს.

ჯ ე ნ ე ტ – აღმასკომი რაღას აკეთებს?

მ ო შ ე – ავალებს, ამოწმებს, საყვედურს აძლევს, ხსნის, ნიშნავს, პასუხისგებაში აძლევს, შიგა და შიგ ქრთამს ღებულობს.

ვ ი ლ ი – ეს რა, თქვენთან ორხელისუფლებიანობაა?

ბ ე ნ ო – ორხელისუფლებიანობა რომ იყოს, რა გვიჭირდა. ჩვენთან ცხრახელისუფლებიანობაა. გარდა ამ ორისა ჩვენი უფროსია – სამინისტრო, სამმართველო, მილიცია, პროკურატურა, სახალხო კონტროლი, სახალხო რაზმი, ამხანაგური სასამართლო და სახლმმართველობა.

სინათლე, მუსიკა, კაკო მიკროფონთან მიდის.

კ ა კ ო – „რაიკომის მდივნის ერთი საათი!“

სინათლე ქვრება, ტელეეკრანში მაგიდას უზის რაიკომის მდივანი – ლეო, შემოდის გენო – მდივნის თანაშემწე. ისინი საუბრობენ. კულისებიდან ისმის სიმღერა – „არამი და შარიქა“. სიმღერა შეწყდა.

ლ ე ო – ჩამოვიდნენ უკვე?

გ ე ნ ო – მატარებლით წამოსულან. რომ მოვედი, კარებთან დამხვდნენ.

ლ ე ო – რამდენი არიან?

გ ე ნ ო – სამი.

ლ ე ო – სამი. საიდანო, რა მითხარი?

გ ე ნ ო – კანაფქსელი.

ლ ე ო – სად ვასაუზმოთ?

გ ე ნ ო – მეორეში.

ლ ე ო – დარეკე?

გ ე ნ ო – არ დამირეკია ახლა დავრეკავ.

ლ ე ო – რას უცდიდი? დარეკე. ეგ გათიშულია, ამით.

გ ე ნ ო – რამდენ ხანში ვუთხრა?

ლ ე ო – ნახევარ საათში მანდ ვიქნებით-თქო. მოიცა. თათბირი რომელზე დანიშნე?

გ ე ნ ო – ორზე. ასე არ მითხარი?

ლ ე ო – თათბირს ეგენი?

გ ე ნ ო – არა მგონია. საუზმიდან ჭლაკვაძეს წავუყვანთ. გაართობს ცოტა ხანს.

ლ ე ო – როდის მიდიან?

გ ე ნ ო – მე მგონი დღესვე.

გენო გადის და იმ წამსვე ბრუნდება.

გ ე ნ ო – ორი კაცი გრეხილტრესტიდან.

ლ ე ო – გრეხილტრესტს ჩვენთან რა უნდა?

გ ე ნ ო – ფილიალის გახსნა რომ უნდოდათ, უარი რომ უთხრეს.

ლ ე ო – მერე, ხომ გათავდა ეგ საქმე!

გ ე ნ ო – ახლა დავალებით ვართო. რეეტსამმართველომ დაგვავალაო.

ლ ე ო – რეეტსამმართველო?

გ ე ნ ო – ეგენი ხომ მაგათთან შედიან ახლა.

ლ ე ო – რამდენიაო, რა თქვი?

გ ე ნ ო – ორი კაცი. შემომყავს.

ლ ე ო – მოიცა.

გ ე ნ ო – ხნიერი რომელიცაა იუზა მქვიაო. ადრე „წყალარხში“ მუშაობდა. ქალის გამო გამოუშვეს იქიდან.

ლ ე ო – რა ქალის?

გ ე ნ ო – ცოლ-შვილს გაშორდა და დამლაგებელი შეირთო. მეორე ჩვენებურია – ხისკევაძე.

ლ ე ო – ხისკევაძე?

გ ე ნ ო – ამაზმშენში რომ იყო. შარშან გადაიყვანეს.

ლ ე ო – არ მახსენდება. რა ქვია მაგ ხისკევაძეს?

გ ე ნ ო – თათაში. შემომყავს.

ლ ე ო – მოიცა. დარეკე მეორეში. აალაგონ ყველაფერი და ახალი გააწყონ, ოც წუთში მანდ ვიქნებით-თქვა. იქნებ მაწონი იშოვონ კამეჩის. პირდაპირ იქ წაიყვანე.

გ ე ნო. მელხიორიძეს მივუყვანოთ. აჯობებს.

ლ ე ო – აქვთ მაგათ ადგილი?

გ ე ნ ო – პავილიონი გააკეთეს ახალი. შეიწუხონ ცოტა თავი. მე ვიტყვი, რომ თათბირი გაქვს და ერთ საათში მოვრჩებით, მე მგონია.

ლ ე ო – ვაი თუ...

გ ე ნ ო – არა თათბირს ეგენი რაზე დაესწრებიან. რაში აინტერესებთ.

ლ ე ო – მოიცა. როდის მიდიან?

გ ე ნ ო – ვერ გეტყვი. არ დარჩებიან დიდხანს (გენო გადის და იმ წამშივე უკან შემოდის). მურთაზი მელაპარაკა. ჩიჩახვაძე გამოვიდა, ორის ნახევარზე მანდ იქნებაო.

ლ ე ო – არ მომკლა?!

გ ე ნ ო – ნამდვილად.

ლ ე ო – ზეგამდე ჩემთან იქნებაო, ხომ თქვა გუშინ?

გ ე ნ ო – თვითონ მოუსურვებია. დავამთავრე თქვენთან ყველაფერიო. ამ დილას გამომიცხადაო, მურთაზმა. სამ საათს დავაკავე, მეტი აღარ გაჩერდაო.

ლ ე ო – მოდის უკვე?

გ ე ნ ო – გზაშია.

ლ ე ო – ეგ შოფრით იქნება.

გ ე ნ ო – კი.

ლ ე ო – დაურეკე სასტუმროს, ჩემს „ბრონში“ არავინ შეუშვას.

გ ე ნ ო – რად უნდა დარეკვა. ისედაც დაკეტილი იქნება, ვინ შევიდოდა.

ლ ე ო – მიალაგონ კარგად. იმ დღეს ონკანი არ იკეტებოდა. რას მოიკითხავს, შენი ჭკუით, ჩიჩახვაძე?

გ ე ნ ო – მაჩვენებლები ჩაიწერაო მურთაზმა და მშრომელთა წერილებზე რეაგირება აინტერესებსო.

ლ ე ო – მაჩვენებლები ახალი გვაქვს?

გ ე ნ ო – ვკითხავ სონიას.

ლ ე ო – ცოტა მოუმატონ, მაშინდელივით ნუ გაბერავენ. გეგმები სრულდება, მაგრამ უამინდობამ ხელი შეგვიშალა-თქო. ასე სჯობია. ტყუილს ახლა აღარ ჭამს ჩიჩახვაძე. იმ დღეს თათბირზე ყველანი გაგვაფრთხილეს, ცუღლუტობას თავი გაანებეთო. ადგილებიდან გამოგზავნილი ცნობები ცა და მიწასავითაა რეალურ მაჩვენებლთანო.

გ ე ნ ო – წავედი.

ლ ე ო – აქ დავხვდე? (აწრიალდა).

გ ე ნ ო – აქ არ ივარგებს. სჯობია კვახაძის ბრიგადაში ადი. მე დავხვდები და ვეტყვი, დილიდან სიმინდის გამოროდებას ხელმძღვანელობს-მეთქი.

ლ ე ო – იქ ამოიყვან?

გ ე ნ ო – კაცს გამოვგზავნი.

ლ ე ო – თუ კაცს გამოგზავნი, უთხარი, ზევით აღარ ავალ. ქვევით ვიქნები ბჟოლებთან და დამიძახოს.

გ ე ნ ო – კეთილი.

ლ ე ო – გავედი აბა.

გ ე ნ ო – ვილისით რომ წახვიდე, აჯობებს.

ლ ე ო – ვილისით წავალ. თვითონ ზის რულზე-თქვა. იმ დღეს რომ უთხარი, კარგი იყო, ხომ ხედავდი იმწუთას ჩაინიშნა კორესპონდენტმა.

გ ე ნ ო – წადი დროზე, თორემ მოგისწრებს.

ლ ე ო – სად ვასადილოთ?

გ ე ნ ო – მეორეში აღარ ივარგებს. ცაცხვებში უნდა ავიყვანოთ.

ლ ე ო – რამდენი ვიქნებით?

გ ე ნ ო – ოთხი, ჭიტალაძე გავაფრთხილო?

ლ ე ო – რა ვიცი, გვინდა? გრძელი ტლიკინი რომ იცის?

გ ე ნ ო – გააცინებს ცოტას.

ლ ე ო – კარგი, წამოვიდეს. ორზე მზად იყოს ყველაფერი-თქო. წავედი. მოიცა თათბირი რომელზე დანიშნე?

გ ე ნ ო – ორზე არ ვთქვით?

ლ ე ო – ესე იგი, დღესაც უნდა გადავდოთ.

გ ე ნ ო – რას იზამ.

ლ ე ო – დასვი ფოთოლა და ჩამოარეკინე.

გ ე ნ ო – როდისთვის?

ლ ე ო – ხვალისთვის. მეტის გადადება არ შეიძლება. ხვალ, ორზე-თქო, წავედი.

გ ე ნ ო – ექვსზე რომ საზოგადოება მოდის, ხომ იცი.

ლ ე ო – რა საზოგადოება?

გ ე ნ ო – „კითხვის პროპაგანდა“.

ლ ე ო – დანიშნული გაქვს უკვე?

გ ე ნ ო – აბა, კულტურის სახლში ჩაატარებენ.

ლ ე ო – პარმენმა მიხედოს.

გ ე ნ ო – შენ უნდა გახსნა. ხომ გახსოვს, შარშან თათბირის მასალებში მოვხვდით. ხელმძღვანელობამ თავი აგვარიდაო.

ლ ე ო – მე რა გავხსნა, რატომ არ მითხარი.

გ ე ნ ო – შესავალი სიტყვა დაწერილი მაქვს, მერე გადახედე. ექვსამდე უნდა მოვრჩეთ სადილს ჩიჩახვაძესთან.

ლ ე ო – გააჩნია როგორ ხასიათზე იქნება.

გ ე ნ ო – ჭიტალაძე ვათამადოთ. მე ვეტყვი, ექვსის ნახევარზე დაამრგვალოს სუფრა.

ლ ე ო – საღამოს?

გ ე ნ ო – დაისვენებს. დაღლილია. ღონისძიების შემდეგ მივაკითხოთ და ბანკეტზე წავიყვანოთ.

ლ ე ო – ვინ არიან მითხარი ახლა, დალაგებულად.

გ ე ნ ო – ა შესავალი სიტყვა. გვარები მითხრა ჯანელიძემ, მაგრამ აღარ მახსოვს. დოცენტებია ძირითადად.

ლ ე ო – რამდენი არიან?

გ ე ნ ო – ხუთი.

ლ ე ო – ხუთი მოხსენება, კაცო?

გ ე ნ ო – ათ-ათ წუთს ილაპარაკებენო ჯანელიძემ.

ლ ე ო – ჩამოსული არიან უკვე?

გ ე ნ ო – კი, ოთხზე ჩამოვიდოდნენ.

ლ ე ო – სად ასადილა, ჯანელიძემ?

გ ე ნ ო – მეორეში, გაფრთხილებული იყვნენ. ჯანელიძეს შენ ასწავლი? სანამ მე არ დამარეკინა, არ მომეშვა.

ლ ე ო – ამ საღამოს არ წავლენ?

გ ე ნ ო – არა მგონია, ისე რა ვიცი. შენ უნდა ითამადო, შენზეა დამოკიდებული.

ლ ე ო – თამადობა კი არა თავი მისკდება. ჭიტალაძეს უნდა შევაწეროთ.

გ ე ნ ო – როგორც გინდა მარა, ჩიჩახვაძეს არ ეწყინოს, ორჯერვე ჭიტალაძის თამადობა.

ლ ე ო – ხალხი?

გ ე ნ ო – რვაჯერ გადავრეკე აღმასკომში. ჯერ ერთი მეურნეობის ხალხს მოიყვანენ, საშოფრო კურსების მეცადინეობას მოხსნიან, ბიბლიოთეკიდან გამოიყვანენ მკითხველებს.

ლ ე ო – ეგ უშველის?

გ ე ნ ო – თუ გაჭირდა, დამზადების კანტორიდანაც მოვხსნით მწონავებს და მოვიყვანთ.

ლ ე ო – არ გინდა. მწონავებს ვერ ვაკავებთ, ხომ ხედავ, იმ დღეს შეხვედრა დაიწყო თუ არა, სათითაოდ გაიკრიფნენ დარბაზიდან.

გ ე ნ ო – ბოლომდე ვერც სხვებს გავაჩერებთ, ზოგი წავა, აბა რას იზამს. მთავარია დასაწყისში იყოს ხალხი.

ლ ე ო – ახლა მომისმინე.

გ ე ნ ო – ბატონო.

ლ ე ო – მე გავხსნი და უნდა გავიპარო, თორემ სცენაზე დამეძინება და სირცხვილს ვჭამ. შენ უნდა გააგრძელო.

გ ე ნ ო – ნახე, როგორც შეატყობ.

ლ ე ო – ვიცი ჩემი თავის ამბავი. რავარც კათედრაზე დადგება კაცი, მაშინვე ძილი მერევა. ახლა კი არა დაღლილიც რომ არ ვარ, მაშინაც.

გ ე ნ ო – ბატონი ხარ. მე გავაგრძელებ.

ლ ე ო – შეჯამებითაც შენ შეაჯამე. ბოდიშს მოვიხდი, თათბირს მოვიმიზეზებ და ცოტას წამოვწვები კაბინეტში. ფეხები თუ არ გავმართე, ჩემი მომივა.

გ ე ნ ო – როგორც კი დამთავრდება, დაგირეკავ.

ლ ე ო – დამირეკე. ორს საათს მაინც გასტანს ხომ?

გ ე ნ ო – თუ ჩხობაძემ შეკითხვებით არ გააწყალა გული.

ლ ე ო – მაგას ვერ ვეტყვით, ცოტა მოუკლოს შეკითხვებს?

გ ე ნ ო – არ ვუთხარი, არ ვაგრძნობინე? არ გაჭრა არაფერმა.

კ უ ლ ი ს ე ბ ი დ ა ნ ყ ვ ი რ ი ლ ი – „გამიშვი, გამიშვი! მე ვიცი, რა საქმეც მაქვს, შემიშვი-მეთქი, გელაპარაკები!.. შემოდის კაკო.

კ ა კ ო (რაიკომის მდივანს ლეოს) – უფროსო! ჯერ გუშინდელიც არ ჩაუსილოსებიათ. დღეს რაც მოვთიბეთ, ეგრე ჰყრია. მზე ჩაახურებს. თივას ქარმა უნდა გაუაროს. ჯერ ერთი, ცელებიც არ გვივარგა. ნახევარი გადასაყრელია. იმ თივას თუ არ მოვუარეთ, გინდა გაგითიბია და გინდა არა.

ლ ე ო (ყვირილით). გადი გარეთ!

კაკო ელდანაცემივით გავარდა.

ლ ე ო (გენოს). თივა მინდა ახლა მეე? თივის თავი მაქვს ახლა? მითხარი ერთი, თუ ღმერთი გწამს?!

მუსიკა. სინათლე. ისევ ძველებურად სხედან ტელეხიდის მონაწილენი.

დ ე ვ ი დ – თქვენთან მოსამართლე თავისუფალია?

ბ ე ნ ო – სანამ ქრთამზე დაიჭერენ, კი.

მ ა ი კ ლ – დაცულია თუ არა თქვენთან სატელეფონო საუბრის საიდუმლო?

გ ი ო რ გ ი – არა, ჩვენთან ტელეფონით საუბარს ჩვენი სატელეფონო კავშირის მაღალი დონის გამო, ყველა ისმენს, გარდა იმისა, ვისაც ურეკავ.

რ ო ბ ი ნ – თვითდაფინანსება რას ნიშნავს?

კ ა კ ო – როცა სახელმწიფო გეუბნება, მე ჩემი წილი არ დამაკლო და შენ ფული თუნდაც ლომის ხახიდან გამოიღეო. თუ ვერ გამოიღებ, თავში ქვა იეც და მუცელში სამართებელიო.

სინათლე ქვრება. მუსიკა. ამერიკული რეკლამა იწყება.

ტ ო მ (მიკროფონით ხელში) – ამერიკელმა მწერალმა ჯონ ბენედიკტმა დაწერა პატარა ნოველა: ფერმერის ქალიშვილი ტოლ-მეგობრებში დროს მხიარულად ატარებდა. ფერმერი შორეული მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, შინ შვილიშვილი და შვილიშვილის აცრემლებული დედა დახვდა.

– ვისგან გყავს ბავშვი! – მრისხანედ იკითხა ფერმერმა. ფერმერის ქალიშვილმა თავისი პაწია დაიფიცა, რომ არ იცოდა, ვისგან ჰყავდა შვილი. გავიდა წლები. ფერმერის შვილიშვილი გაიზარდა. ბაბუამისი მეზობელ ფერმერებთან და მათს ვაჟებთან თავისი შვილიშვილის მსგავსებას ეძებდა, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ, შვილიშვილი არც ერთ მათგანს არ ჰგავდა. ამ ნოველის მიხედვით ჰოლივუდის, რომის და ბომბეის კინოსტუდიებში შეიქმნა ფილმები. გიჩვენებთ ნაწყვეტებს ამ ფილმებიდან:

ტელეეკრანებზე ფილმის ნაწყვეტები თამაშდება. პაროდირება ამერიკულ-კოვბოური, იტალიური და ინდური ფილმების... მერე ჩვენი რეკლამის ჯერი დგება.

ლ ე ო – თქვენ წეღან ტელეფონი ახსენეთ. ტელეფონის დადგმა უბრალო კაცისთვის ჩიკაგოში კი არა, ჩვენთანაც ჭირს. მინდა ჩიკაგოს მოქალაქეებს ტელეფონის დადგმის ხუთი გზიდან, მეხუთე, ყველაზე უხიფათო და უნაღდესი გზა ვასწავლო. თქვენ რას იტყვით, ტომ?

ტ ო მ – კარგი იქნება.

ლ ე ო – დაუგდეთ კარგად ყური. ბოლოს და ბოლოს, რაღაც ჩვენგანაც ხომ უნდა ისწავლოთ.

ჩემი მეზობელი დიდ საქმეზე მუშაობდა. მე პატარა საქმეზე ვიყავი. დიდ ადგილზე მომუშავეს დაუდგეს ტელეფონი. მე – არა. ვიფიქრე, ვიფიქრე და აი, რა მოვიფიქრე: შევდივარ ყოველ საათსა და თვრამეტ წუთში მეზობელთან, ვითომ დასარეკი მაქვს სადმე... მეზობელი ასეთ თხოვნაზე უარს ვერ მეტყვის. ვრეკავ ნებისმიერ ნომრებზე. ვლაპარაკობ ყასიდად. ხან ვყვირი, ხან ვიცინი, მეზობელი თავის ოჯახიანად პირდაღებული შემომყურებს. ასე გაგრძელდა

ორი კვირა და სამი დღე. ერთ დღეს მეზობელი მეუბნება, როგორაა, სანდრო შენი ტელეფონის საქმეო. ვინ დამიდგამს ბატონო, მე ტელეფონს-მეთქი. რატომ კაცოო, გაეცინა. შენ გჭირდება, თუ ვინმეს ჭირდება ტელეფონიო. მოდი ხვალ ჩემთან, სამსახურში და მოგიხერხებ რამესო. ნუ შეწუხდებით-მეთქი. განგებ ერთხელ კიდევ დავრეკე და ვითომ ყურმილში ვინმე რამეს მეუბნებოდა, გაბმული ხარხარი დავიწყე. მოდი ხვალ უსათუოდო, შემეხვეწა; აჰა, გაჭრა ჩემმა ხერხმა-მეთქი, ვიფიქრე. მაინც არ მივსულვარ. მესამე კვირის თავზე ტელეფონი დამიდგეს და იმწუთშივე ჩამირთეს.

მაგრამ აქაც დიდი ზომიერებაა საჭირო. ეს გზა თავისთავად უნაკლოა, მაგრამ სიტუაციას უნდა დაუკვირდე, თვარა, როგორც ჩემს სიძეს დაემართა, ისე დაგემართება.

ლ ე ო – რომ მოვუყევი ეს ამბავი, ჭკუაში დაუჯდა. მაცივარი არა მაქვს ეგება, მეშველოს რამეო. ამოირჩია მსხვერპლად ერთი მეზობელი და წამდაუწუმ შეჰქონდა მასთან მაცივარში შესანახად ცარიელი ქოთანი, ქვიჯა და ქვასანაყი, ერთხელ გაზეთში გახვეული „შიბლეტებიც“ შეიტანა. ფიქრობდა, ილაჯი გაუწყდება მეზობელს და მაცივარს მიყიდისო.

ტ ო მ – მერე, უყიდა?

ლ ე ო – არა, მეზობელმა თავისი მაცივარი გაყიდა ახლა ტელევიზორის საყურებლად მთელი თავისი ცოლ-შვილ-სიდედრიანად, ყოველ საღამოს, ჩემს სიძესთან დადის.

ტ ო მ – დიდებული მეთოდია, გმადლობთ (სიცილით).

ლ ე ო – თქვენთან უკონდუქტორო ტრამვაი დადის?

ტ ო მ – არა!

ლ ე ო – ჩვენთან დადის. ავდივარ, ამას წინათ, უკონდუქტორო ტრამვაიზე და მიუხედავად დიდი სურვილისა –

შევიძინო ბილეთი, ამას ვერ ვახერხებ. ვერ ვახერხებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაქვს მანეთიანი და არ მაქვს ხურდა ფული.

ერთი გაჩერების შემდეგ, ზურგს უკან, ჩემი მისამართით ასეთი ხმები მესმის:

– არც კი რცხვენია!

– სახელმწიფოს პარავს სამ კაპიკს.

– ნეტავი რა პირით ისმენს ჰიმნს დილის ექვს საათზე?!

– ეტყობა ისე მაგარი შუბლი აქვს, რომ მაგისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

– სულ ადვილი შესაძლებელია ღამე დაგხვდეს და ჯიბიდან სიმწრით ნაშოვნი ოქროები ამოგაცალოს.

– სადაა ახლა ერთი ბომბი!

ბაწრის ნერვებიც რომ გქონდეს ამას ვერ მოითმენ.

– მანეთიანს ხომ ვერ დავღუპავ თქვენი სამკაპიკიანის გულისთვის! – ვიყვირე მე.

– ვინაა შენი მანეთის მათხოვარი – დამეჯღანა ჩემ წინ მდგომი გამხდარი კაცი, რომელსაც ღრანჭებზე ეტყობოდა რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხშირი სტუმარია.

– მოქალაქე! ჩააგდეთ მანეთიანი და ხურდა სხვა მგზავრებისაგან აინაზღაურეთ – მასწავლა კი არა მიბრძანა ერთმა.

ხურდას დაჩვეულმა ავტომატმა, რომელსაც იმხელა პირი აქვს, რომ ნიკოლოზის ტკიცინა ათმანეთიანებსაც სიამოვნებით დაიტევს, ხალისით შთანთქა ჩემი მანეთიანი.

მოვხიე უბრალო ბილეთი. მერე კი ჩემი კუთვნილი ოთხმოცდაჩვიდმეტი კაპიკის მოლოდინში ავტომატს გვერდით ამოვუდექი და ავტომატურად დავაღე პირი.

შემდეგ მოქმედების განვითარებამ ასეთი სახე მიიღო:

– მოქალაქევ არ ჩააგდოთ – ვამბობ მე.

– ?!

– მე მანეთიანი ჩავაგდე და თქვენი ფული მე მეკუთვნის.

– კი მაგრამ მე ოცკაპიკიანი რომ მაქვს?

– მოიცადეთ ცოტა ხანს, ვის შეუძლია ოცი კაპიკის დახურდავება?! მოქალაქევ არ ჩააგდოთ, მე მანეთიანი... მე მეკუთვნის, ჰო... კიდევ ოთხმოცდაჩვიდმეტი კაპიკი! ესე იგი ამას თქვენგან ერგება ათი კაპიკი; თქვენი რამდენი იყო? ესე იგი თქვენ იმან უნდა მოგცეთ შვიდი კაპიკი და იმ შვიდი კაპიკიდან ქალს ოთხი კაპიკი ერგება. ხოლო თხუთმეტი კაპიკი... იმ კაცის იყო, რომ ჩავიდა. ახლა თქვენ გერგებათ... მოიცა არ ჩააგდოთ მე მეკუთვნის! მე! მე! მანეთიანი!..

– ნახალ! – გამომაფხიზლა სამშენებლო ამხანაგობის წევრივით ნერვებმოშლილმა ხმამ.

...სახალხო რაზმელებს ფათერაკების მოყვარული არაორგანიზებული მასებიც დაეხმარნენ და გაკოჭილი მიმიყვანეს მილიციის რომელიღაც განყოფილებაში.

ბრალად მედებოდა ტრამვაიში ყვირილი, ფულის იოლი გზით შოვნის სურვილით მგზავრების შეწუხება და გამოძალვის მიზნით ოთხი სამარშრუტო წრის გაკეთება ვაგონიდან ჩამოუსვლელად.

ამერიკელები იცინიან და ტაშს უკრავენ.

კ ე ტ რ ი ნ – როდის მოიხსნება თქვენთან სასურსათო პრობლემა?

კ ა კ ო – როცა საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ არაფერი გამოგვდის!

ვ ი ლ ი – როგორ არიან თქვენთან სხვაგვარად მოაზროვნეები?

მ ო შ ე – სხვაგვარად აზროვნებენ.

ლეომ მოშეს შეუბღვირა.

ვ ი ლ ი – როგორ ექცევა მათ მთავრობა?

მ ო შ ე – მკურნალობს!

დ ე ვ ი დ (სიცილით). როგორც გიჟებს?

გ ე ნ ო – როგორც სხვაგვარად მოაზროვნეებს!

რ ო ბ ი ნ – როგორია თქვენთან მცირე ერების ბედი?

გ ი ო რ გ ი – მცირე ერები დიდ ერებში მშვენივრად ითქვიფებიან.

კ ე ტ რ ი ნ – აი, თქვენ, ქართველებს, თქვენს ენას ხომ არ გართმევენ?

გ ი ო რ გ ი – წაგვართმევდნენ, მაგრამ ვერაფერში გამოიყენებენ. საზღვარგარეთ მაზანდა არა აქვს. ვერ გაყიდიან.

იწყება ჩვენი რეკლამა. ლეო პროვინციელი ლექტორის გრიმპარიკით ტელეეკრანში დგება.

ლ ე ო – მივიტანე აკადემიაში ჩემი რვეულები და კი არ დამიმალავს, პირდაპირ ვუთხარიყენ; ა, ბატონო, არაფერი არ მინდა მე, ჩამოყევით ახლა თქვენ გლობუსს და შეადარეთ ქართული სხვა ენებს-თქვა. მე შევადარე ჩინურს და დავამტკიცე, რომ ჩვენგან მიუთვისებიათ ენა ჩინელებს-მეთქი. სასაცილოდ არ ეყოთ. ჩინურის სპეციალისტი ჩვენ არ გვყავს და ვერ შევძლებთ თქვენი აღმოჩენილის დადასტურებასო. არაფერი დადასტურება მე არ მინდა, მე, რავა, ხარისხს კი არ გთხოვთ აქანა-თქვა, მე ვუთხარიყენ, ხარისხიც თქვენ გქონდეთ და ჩინ-ტემლაკებიც, რა სპეციალისტი უნდა,

აგერაა ლექსიკონი და შეადარეთ ენა ენას-მეთქი. გადავდე თავი და მე შევები, მარტოკაცი, ამ საქმეს. ჰინდურის და ქართულის იგივეობის დამტკიცება სულ არ გამჭირვებია, სპარსული და არაბულიც ისე მომყვნენ ხელში, წელიწად-ნახევარში საბოლოოდ დავამტკიცე, რომ სპარსელები და არაბები ჩვენს ენა დაეპატრონენ იმ უბედურ დროში, დაპყრობილი რომ ვყავდით. – კი მარა, მანამდე არ ჰქონდათ, ვითომ, თავისი ენაო? იკითხავ შენ. ექნებოდათ ალბათ, რა ვიცი, რავა არ ექნებოდათ, რაღაც უბრალო, საყველპურო ენა, მაგრამ ეს გაფერილ-გაკრიალებული ქართული რომ ნახეს, სტაცეს ხელი და გაითავისეს. რავა არ იზამდნენ, არ იკადრებდნენ, შერცხვებოდათ? ცოტა არ იყოს, აქეთა ენებმა გამაწვალა. ხომ ლათინურის ძირზეა ყველა დამყნილი, მაგრამ მუშაობა ხომ უნდოდა? თუ საბუთები ხელში არა გაქვს, ისე, ავყიად კი ვერ იტყვი ფრანგული და ქართული ერთი და იგივეაო. ხალხია ისინიც. ყველასა აქვს თვალი. ჩოუჯდება ისიც იქედან და დაგიმტკიცებს: არაა, ჩემი პიმენ, ერთი და იგივე, რას მატყუებ, ეს დარბაისელი კაცი, შენო. მუღამს მივაგენი და გამიადვილდა საქმე: სიტყვის ძირებს დავუწყე ძებნა. სიტყვის შუაში ერთ-ორ ასოს სტაცებ ხელს და ჩამოურბენ ამ სლავურ ენებს, ხელათ ჩამოყრი ჩოთქზე ყველას. ძირები ისე ემთხვევა, რომ შენი მოწონებული. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ცხრა წელიწადში მოვათავე მთავარი საქმე – ენების შედარება. ახლა ანბანის ჯერი დადგა. რაც მე ანბანზე ვიმუშავე, რაც მე შრომა გავწიე, ენით არ აიწერება. ჯერ ასოები იმდენი ვხატე და იმდენი ალბომი შევადგინე, ხუთი ვირი ვერ აიკიდებს. ჰაი ფინიკიური, ჰაი ბერძნული, ჰაი ბასკური, ჰაი ლათინური და ბოლოს, როგორც

იქნა, გამოანათა, გავტეხე წელში. მსოფლიოს ერთი ანბანი ჰქონია, ბატონო, მარტო კალიგრაფიაშია განსხვავება და რომელია ის ერთი ანბანი თუ იცი? ქართული, რასაკვირველია, თუ ჩაუკვირდები, არ არსებობს დედამიწაზე დამწერლობა, რომ ქართულით არ წაიკითხო. პატარა საქმეა ეეს? მე რამე სასწაული კი არ მომიგონია და ციდან კი არ ჩამომიტანია, ჩემო ბატონო, რაც სინამდვილეა, ის აღვნიშნე. უბრალო რაღაც დავამტკიცე: ამ დედამიწაზე ყველა ენის ძირი ქართულია და ყველა დამწერლობა ქართულიდანაა წაღებული. ზოგმა მოიპარა, ალბათ, და ზოგს, შეიძლება, ჩვენ მივეცით, ახლა ამის გამოძიება ძნელია და რაც დრო გადის, უფრო და უფრო გაჭირდება.

ა, ამის ჩამდენი კაცი ვარ მე და, გითხარი იმისი არ იყოს, დამიჯერა ვინმემ? დაბეჭდვა ხომ უნდა ამას ყველაფერს, ხომ უნდა გაიგოს ქვეყანამ? სარეცენზიოდ რედაქციიდან იმას უგზავნიან, ვისთანაც გუშინწინ ვიყავი და ჩემი აღმოჩენით სახეგახარბებულმა ეს ამხელა ამბავი გულუბრყვილო თამაშად მომინათლა. ხეირს დაგაყრის ამნაირი კაცი? ადგები მერე და რომელიმე პატარა გაზეთის რედაქტორს შეაცოდებ თავს. ააგუზგუზებ იმ ღვთიან-მადლიანს და დააბეჭდვინებ პატარა ნაწყვეტს. ხარ გახარებული, გგონია ცაზე ხელი მიგიწვდება, ხვალიდან მსოფლიო ილაპარაკებს შენს აღმოჩენაზე, მაგრამ გაგიგონია? გამოხვლიკინდება აგერ ჩიტირეკია „მეცნიერი“ თავის გამოჩენის ჭია რომ უხიცინებს ტვინში, გამოაცხობს პასკვილს და, მე შენ გეტყვი, არ დაუბეჭდავენ. კაცმა ოღონდ კაცი აგინოს და გულში ჩაიხუტებენ, ტრიბუნას ვინ დოუკავებს. ხელმჩატე რედაქტორმაო, – იტყვის ჩემი ჭკუის მასწავლებელი, – ეს რა სისულელე დაბეჭდაო. მოცლილი კაცის და მახათის ამბავს

ჰგავს კვიჭინაძის საქმიანობაო. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მაგისი ნამოძღვრალიო. ამოგიძუებენ კუდს იმ პატარა გაზეთიდანაც და ატარე მერე ქუჩა-ქუჩა ე შენი აღმოჩენა. ბევრჯერ გამიკეთეს ასე და, ბოლოს და ბოლოს, ამევსო მოთმინების ფიალა. მე ვთქვი: რაღაზე ვიძირმწარო ცხოვრება, ამ აღმოჩენას ხომ ყავლი არ გაუდის, მედოს სახლში და როცა იქნება თვითონ მომაკითხავენ-მეთქი. დავანებე თავი ენათმეცნიერებას და ეს მესამე წელია ჩავუჯექი არქივს.

არქივი ქე მაინცაა ისეთი საქმე, რომ დამტკიცება კი არა, თვალის შევლება უნდა, მეტი არაფერი. თუ რამეს იპოვი, გადააღებინებ ფოტოასლს და ა, ბატონო, მეტი არ გინდა არაფერი.

სასწაულია არქივი-მეთქი, ასეა ეს. დახედე ამ სურათს? გაგიჭირდება ცნობა. შეიძლება, შვედურ ენციკლოპედიაში გინახავს, მოულოდნელი არაფერია. ეს გახლავს შვედების ცნობილი მეფე დიდოსი. დააკვირდი ახლა კარგად და მერე, მოიცა, ა, ამ სურათს დახედე. შეადარე ერთმანეთს ორივე, აგერაა, არ გარბის არსად. ეს არის, ჩემო ბატონო, დიდოსი და ეს მეორე – ჩვენი მეფეა, დემეტრე მეშვიდე. გაჭრილი ვაშლივით არ ჰგვანან ერთმანეთს? არა, არა, ხათრის გულისთვის ნუ დამეთანხმები. კარგად დააკვირდი და მითხარი. ულვაშების მოყვანილობა ნახე, არის ერთნაირი? ცხვირი ნახე? თვალების გამომეტყველება ნახე, რავა იბღვირება ორივე, ხომ ხედავ. ახლა შუბლს დახედე; სწორი შუბლი, ქართული აქვს თუ არა ორივეს? მეტი რაღა გინდა, შე კაი კაცო, გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. ემგვანება მამა შვილს, აბა რა იქნება. აბა, მე ხვარ გამომემგვანება, შე კაცო. ა, ეს იცის არქივმა. მეც არ დავუჯერე თვა-

ლებს პირველად რომ ვნახე, მარა მერე და მერე რომ ჩავერიე და არ მევეშვი, გამიხსნა ისტორიამ ფანჯარა და გამანდო საიდუმლო. წასული საქმეა, რატომ უნდა ეწყინოთ შვედებს და რაში იყო, იცი, საქმე? იმ წლებში, როცა დიდოსი დაიბადა, დემეტრე, ოცდაექვსი წლის ქართველი მეფე, შვედეთში იყო წასული გემის შენების ოსტატობის შესასწავლად. რაღა მეფე წავიდა, სხვა ვერ გაგზავნა ამნაირ პატარა საქმეზეო? შენ მკითხავ და მართალიც იქნები. ვერ გეტყვი პასუხს. შეიძლება არ ენდო სხვას, ანდა, შეიძლება სხვა საქმეც ჰქონდა შვედებთან. რას გოუგებ ადამიანიშვილს. ჩევიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს გამოწკეპილი ბატონიშვილი შვედეთში და, თვალი ჭამს და თვალი სვამსო, ხომ გაგიგონია, ქე მეეწონა დედოფალს. მე შენ გეტყვი, მიხვრა-მოხვრა შეეშლებოდა დემეტრე მეშვიდეს, ზრდილობა და სიტყვა-პასუხი. გაუცინა იმან, გაუცინა ამანაც. ოცდაექვსი წლის ბიჭია, რაზე გეიდებს თავპაიჯს, მითუმეტეს ოჯახობა ეგერაა, შორს, ცხრა მთას გადაღმა, ნადარბაზევში. შვედების მეფე ხანშიშესული ყოფილა მაშინ და მაინცდამაინც, არც ქე კითხულობდა თურმე, სადაა ე ჩემი დედოფალი, ვახშამზე რატომ დაიგვიანაო. რატომ უნდა ეწყინოთ შვედებს, ისტორია ისტორიაა, ჩემო იმანო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ქე წეიეშმაკეს დემეტრემ და შვედების განთქმული მეფე, ხომ შენი გასახარებელი თვალებით ხედავ – ალიკვალი მამამისია. სიკვდილის წინ ამოუღო თურმე დედოფალმა თავის შვილს პატარა სურათი, აჩვენა და უთხრა, ამისი შვილი ხარ, დედიკონა, შენო. ესაა მამაშენი, საქართველოს მეფეა, დემეტრე ჰქვია სახელადო. ამის საქვეყნოდ გამოცხადება არც შენთვისაა კარგი და მე ხომ საფლავში თავი მომეჭრება. ისე მაინც იცოდე, გულში გქონდეს მამაშენის სიყვარ-

ულიო. რავა ფიქრობ, არ ამაყობდა დიდოსი თავისი ქართული წარმოშობით? ამაყობდა და მერე როგორ. მამამისის ხათრით რა თქვა იცი? დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში დემეტრე მეშვიდეაო. რომ მიუვიდა ეს ნათქვამი მოხუცებულ დემეტრეს, ცრემლები წასკდა, თურმე, მარა არ შეიმჩნია. ყველაფერი ქე გაახსენდა, მარა თავს ხომ არ გასცემდა. რომ ეთქვა, დიდოსი შვილია ჩემიო, ჯერ ერთი დედოფალს ეწყინებოდა, მე ამ საქმეზე გაგიშვი შენ იქანაო? მერე მეფის ავტორიტეტს შელახავდა, ქალების მოყვარული მეფის სახელი უნდოდა დემეტრეს? და მესამეც, რომ ეთქვა, ბევრი არც კი დაუჯერებდა, ჩვენი ხალხის ამბავი არ იცი?

ასე და ამგვარად, მირჩა და მირჩა ეს ამბავი და ა, ბატონო, მე ვიპოვე და აღმოვაჩინე. რანაირად მივაგენი? ჯერ დიდოსის სურათი მომხვდა ხელში. დავაცქერდი, დავაკვირდი, ქართველს რომ ჰგავს უეჭველია, მარა ვის, კონკრეტულად? არ გინდა ამის დადგენა? ღმერთო, სად მინახავს, სად მინახავს-მეთქი და დავუწყე ქართველი მეფეების სურათებს თვალიერება. ბაგრატ მესამეს არ ჰგავს, გიორგი ბრწყინვალეს არ ჰგავს, დავით აღმაშენებელს ხომ არ ჰგავს და არ ჰგავს... ა, ბატონო, დემეტრე მეშვიდე, დემეტრეა გამოხოხებული, მისი ცხვირი, ულვაშები, შუბლი, მხატვარმა რომ მოინდომოს, ვერ დაამგვანებს ასე. სიხარულისგან კინაღამ გული გამისკდა.

აბა, ჩქარა დემეტრეს ასავალ დასავალის დადგენა! სად იყო, სად იმოგზაურა, შვედეთში ნამყოფი რომ იყო, ვიცოდი, მარა ხომ შეიძლებოდა, ჩვენი ბატონიშვილი რომ იქ ჩავიდა, ტახტის მემკვიდრე დიდოსი დაბადებული ყოფილიყო? არა, ჩემო იმანო, საქმეც იმაშია, რომ დემეტრეს ჩასვლიდან მეთერთმეტე თვეს

გააგორა ბიჭი დედოფალმა. ზეიმობდა სასახლის კარი, ულოცავდნენ მეფე-დედოფალს ვაჟიშვილის შეძენას და ამ დროს ბავშვის ნამდვილი მამა თავისი მცირე ამალით საქართველოსკენ მოჩიქჩიქობდა, ასე იყო ჩვენი იღბალი მოწყობილი და რას იზამ?

გავაშანშალე ფოტოასლი, გამოვაცხვე პატარა წერილი და მეორე დღესვე მივადექი რედაქტორს. რომ მგონია, შეამცირებს სხვა რაღაცას და ნომერში გაუშვებს პირდაპირ-მეთქი, შენც არ მომიკვდე, ატრიალა, ატრიალა ხელში, უყურა, ათვალიერა და ჩამომიყოყმანა – კი, მგვანებით ჰგავს, ჩემო პიმენ, ამას ვერვინ უარყოფს, მაგრამ დავფიქრდეთ ცოტა, ღირს ახლა ამის გამოქვეყნება? არ ეწყინოთ შვედებს, არ გადამკიდო ის პატიოსანი ხალხი, თუ ძმა ხარო.

...მესამე თვე გავიდა, ახლაც იქ უდევს მასალა. დღეს – ხვალ, დღეს – ხვალო, მიყოლიებს და მატყუებს. არც უკან მატანს, რომ სხვაგან დავბეჭდო, და ვარ ასე. ზედმეტი სიფრთხილე და მორიდება ვიცით ხანდახან, თორემ რატომ უნდა ეწყინოთ შვედებს, მე შენ გეკითხები? წასული საქმეა, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ და რამდენი ქვა გადაგორდა დედამიწის ზურგზე. ვინ ართმევს დიდოსს შვედებს? შემოგევლე, იმგენის მეფე იყო და იმგენის ხმალს იქნევდა, ჩვენ რაში გამოგვადგა, მარა ისტორიაა, ეს უპატრონო, სანამ გინდა დააფარო ხელი. დღეს არა, ხვალ მაინც გაიგებენ, რომ დიდოსს, შვედების სახელგანთქმულ მეფეს, ძარღვებში ქართული სისხლი უჩქეფდა და მკერდში ქართული გული უფეთქავდა. ასეა ეს.

ამერიკელები ტაშს უკრავენ და იცინიან.

ტ ო მ – რა ურთიერთობაშია თქვენთან ეკლესია და სახელმწიფო?

ს ა ლ ო მ ე – ეკლესია გამოყოფილია სახელმწფოსაგან.

ვ ი ლ ი – თუ გამოყოფილია, რატომაა თქვენთან ყოველი მეორე ეკლესია დანგრეული?

ბ ე ნ ო – როცა სახელმწიფომ ეკლესიები დაანგრია, მაშინ გამოყოფილი არ იყო, მერე გამოეყო – სამღვდელოებას რომ არ ეჩივლა და დანგრეული ეკლესიების შეკეთება არ მოეთხოვა.

რ ო ბ ი ნ – რა მოგცათ გარდაქმნამ?

მ ო შ ე – სხვებს რა მისცა, რომ ჩემთვის მოეცა.

ლ ე ო (მოშეს შეუბღვირა) – ამხანაგ მოსეს სურდა ეთქვა, რაც სხვას მისცა, ის მომცა მეცაო.

მ ა ი კ ლ – თავისუფლად ვისი გაკრიტიკება შეგიძლიათ?

გ ი ო რ გ ი – სტალინის!

დ ე ვ ი დ – ვთქვათ, წყალსადენის მილი გასკდა და ქუჩაში წყალი იღვრება, როგორ ხდება თქვენთან მისი შეკეთება?

კ ა კ ო – ჩვენთან წყალსადენის მილი არ სკდება.

ვ ი ლ ი (სიცილით). მაინც, მაინც? ერთხელაც რომ მოხდეს და გასკდეს?

გ ი ო რ გ ი – მივმართავთ სახლმმართველობას, თუ სახლმმართველობას ავტოგენი არ აღმოაჩნდა, მივმართავთ რაისაბჭოს განცხადებით, თუ რაისაბჭომ წაგვიყრუა, ვუჩივლებთ ქალაქის საბჭოში. თუ იქაც ვერაფერი გავაწყეთ, მივმართავთ ჩვენი რეგიონის დეპუტატს უმაღლეს საბჭოში.

ტ ო მ – ვის?

ლ ე ო – დეპუტატს! და საერთოდ, სასურველია, წყალსადენის მილი არ გასკდეს. დეპუტატი ხალხის მსახურია და ასეთ უბრალო საქმეზე არ ღირს მისი შეწუხება.

დ ე ვ იდ – თქვენ, თქვენ მესამე რიგში, ებრაელი ბრძანდებით ხომ?

მ ო შ ე (წამოხტა) – ემეთია!

დ ე ვ ი დ – ვთქვათ, საცხოვრებლად ისრაელში გინდა წასვლა, პირველ რიგში რას მოიმოქმედებთ?

მ ო შ ე – ფულ შევაქუჩებ და განცხადებას დავწერ, ან განცხადებას დავწერ და ფულ შევაქუჩებ.

ჯ ე ნ ე ტ – ფულს რისთვის შეაქუჩებთ.

მ ო შ ე (ღიმილდარცხვენით). თქვენ რომ ფიქრობთ იმისთვის არა, განცხადებას რომ დავწერ, საზღვარგარეთ მივდივარ საცხოვრებლად-მეთქი, იმ დღიდან რომ სამშობლოს მტრად გამომაცხადებენ, სამსახურდან მომხსნიან და პროფკავშირიდან გამრიცხავენ, სანამ ჩემს ნაცნობ-ნათესავებს სიდედრებიანად გაჩხრეკავენ და ჩემი და ჩემი ცოლისძმების პასუხგებაში ნამყოფობას შეამოწმობენ და, მერე, ან იქით გამიშვებენ და ან იმის იქით, იმ ხუთ-ექვს წელიწადში ჭამა არ მინდა?

მ ა ი კ ლ – ნასამართლეობას რისთვის ამოწმებენ?

მ ო შ ე – რისთვის და... ისრაელში ცუდად რომ არ მოვიქცე და გამზრდელ მილიციას თავი არ მოვჭრა.

საერთო სიცილი.

ვ ი ლ ი – თუ გახსოვთ, რომ კოსმოსის ათვისების პიონერები ხართ.

გ ი ო რ გ ი – გვახსოვს.

დ ე ვ ი დ – მთვარეზე რატომ არ ჯდებით.

ლ ე ო – ჩვენ სადაც საჭიროა ყველგან ვჯდებით.

ჯ ე ნ ე ტ – თქვენთან ამ ბოლო დროს მოდაშია კოსმოსის ინტერნაციონალური ეკიპაჟები.

კ ა კ ო – კი, მოდაშია.

ჯ ე ნ ე ტ – ქართველებს კონსტიტუციით არ ეკუთვნით კოსმოსში გაფრენა?

გ ი ო რ გ ი – იმდენად ვუყვარვართ, რომ გვიფრთხილდებიან, კოსმოსში არ დავმარცხდეთ.

კ ა კ ო – გაინტერესებთ ქართველები კოსმოსში?

მუსიკა. სინათლე ქრება. სცენა – ტელევიზორის დიდ ეკრანზე სკაფანდრიანი ქართველი კოსმონავტები ჩანან. ჩვენ მათ ხმაზე ვცნობთ. ერთი მათგანი ლეოა, მეორე ბენო, მიკროფონში მთავარი კონსტრუქტორის ხმა ისმის:

ხ მ ა – ბუხუტი, ჩიტია, რავა არი საქმე?

კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ე ბ ი (თითქმის ერთხმად) – ნელთბილად!

ხ მ ა – სკაფანდრი ხვარსად გიჭერთ?

ლ ე ო – მორგებული გვაქ მაჩვის ტყავივით.

ხ მ ა – ხომ გახსოვსკენ ყველაფერი? არ მომჭრათ თავი.

ბ ე ნ ო – არ გინდა ლაპარაკი.

ხ მ ა – ხვარ გეშინიათ?

ლ ე ო – რაის გვეშინია.

ხ მ ა – აბა, მეყოლეთ კარგად, ვაძლევ კამანდას.

ო რ ი ვ ე ნ ი – წავედიიით!

გამაყრუებელი გრგვინვა, ქუხილი, ხომალდის ფანჯრებიდან დატრიალებული თეთრი კვამლი, მეხთატეხის ბიძგი და რაკეტა შხუილით მიქრის ლურჯ, უკიდეგანო ცისთავანზე.

ბენო წამოიწია, მკერდზე გადაგდებული ღვედ-სამაგრი მოიცილა და ილუმინატორში გაიხედა.

ლ ე ო – აჯამეთში ვართ?

ბ ე ნ ო – რა შუაშია აჯამეთი.

ლ ე ო – აბა, ისე გულდაგულ იჭვრიტები, ერთბაშად სადგური არ გეცნოს, გულაბმსხლიანი პატატვრანი დახლებით და კიბულას წყლით მოვაჭრე ბიჭებით.

ბ ე ნ ო – ნუ გლახაობ შენ და მაგ ღილაკს ჩამოკარი ხელი. მაგას არა, მარცხენა ყურთან რომ გაქვს.

ლ ე ო – გამოვრთო გადამცემი?

ბ ე ნ ო – ჰო, ცოტა ხნით გამორთე, მიწაზე რომ არ გაიგონონ შენი ბჟუტური.

კოსმოსურ ხომალდში უწონადობის გამო ნივთები ტივტივებენ, ლეომ ღილაკს გოგრისსიმსხო მუშტი ჩამოუსვა, ლეო პლასტმასის ჭიქას მისწვდა, ტაბურეტის სკამის მსგავს მაგიდაზე დადო, უკან გადაიხარა, ყუთიდან მომცრო ბოთლი ამოიღო, ეტიკეტს დახედა და თქვა:

ლ ე ო – კაი ვქენით ეს „ლებარდე“ რომ წამოვიღეთ (მიიხედ-მოიხედა) გასახსნელი არსად ჩანს მაქით?

ბ ე ნ ო – აქ არ არის. სადმე იქნება, არ შეიძლება დავიწყებოდათ. მომეცი აქეთ. (ბოთლი გამოართვა, დაახლოებით მუცლის ქვემოთ, სკაფანდრის ღილაკს ჩამოჰკრა და აბუჟბუჟებული „ლებარდე“ ხომალდის მეთაურს დაუბრუნა).

ლეომ ჭერზე მონანავე ჭიქას შეავლო თვალი

ლ ე ო – სად გაფრენილა, ეს უპატრონო.

ბ ე ნ ო – რაი!

ლ ე ო – ჭიქა.

ბ ე ნ ო – არ დამიწყო ახლა ჭიქა და ფუჟერი აქანა. ბოთლით ვერ დალევ, თუ გწყურია?

ლ ე ო – ნუ იცი უშნო ლაპარაკი. რატო ვერ დავლევ, მარა წესი წესია (გიგანტური ბუს თავის მსგავსი თავსაბურავები ორივემ გულდაგულ მოიხსნეს და უწონადობას რომ არ წაელო, სავარძელთან, გვერდით, ლოკატორის ღვედებთან დაიკიდეს).

ლ ე ო – „თავი“ რაც უფრო ახლოს გაქვს, უკეთესიაო, ნათქვამია.

ბ ე ნ ო – ავტობუსში რაღაცას ყვებოდი კარგს.

ლ ე ო – ჰო. ველარ დავამთავრე, სად გავჩერდი? დოუძახა თურმე თომიამ, ჩემმა დეიდაშვილმა იმ გოგოს თავის კაბინეტში. შევიდა დირექტორთან, რასაკვირველია, ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარად მუშაობა ნუნუს ექვსი თვის დაწყებული ჰქონდა. სამსახური იქვე, გორისიდან გახლავს, ე, ჩემი დეიდაშვილი ქე გითხარი, გეოგრაფიული დაამთავრა ქუთაისში. დაწყებითი სკოლის დირექტორი იყო მაშინ, უცოლო, რასაკვირველია, ახლა საშუალოდ გადააკეთეს ის სკოლა და ორივენი ისევ ისე მუშაობენ. ქმარი დირექტორია, ცოლი – ბიბლიოთეკარი, ჰოდა, რაღა გავაგრძელო, მაშინდელ ამბავს ვყვები, მოსწონს დირექტორს ეს მარწყვივით გოგო – ბიბლიოთეკარი, მაგრამ არ გინდა თანამშრომელს უთხრა ცოლად გამომყევიო? უარი რომ გითხრას? ხომ შერცხვი კაცი, ხომ დაკარგე ავტორიტეტი? არა და დროც არ ითმენს, სტაცებს ვიღაცა ამ კაი გოგოს ხელს და ქე დაისვამს სახლში. მოკლეთ, ასეთი გამოსავალი იპოვა თომიამ; ჭკუა და მოხერხება ნახე ადამიანიშვილის: დროა აწი, უნდა გაგათხოვოთ, ნუნუ, შენო, – ეუბნება დირექტორი, გაწითლდა ბიბლიოთეკარი, ჩაღუნა თავი, თომიას დირექტორი ჰქვია, თორემ რვა წლითაა ნუნუზე უფროსი, მეტით კი არა, ოცდაათის თვით იყო მაშინ და ოცდაორის ნუნუ. – საქმროც შერჩეული გვყავს უკვე, თუ შენი თანხმობაც იქნებაო, მიაყოლა თომიამ. – რატომ წუხდები, პატივცემულო დირექტორო, ქვეშიდან გამოხედა ლოყებატკლეცილმა გოგომ. – რა შეწუხებაა, ეს ჩემი მოვალეობააო, – იღიმება დირექტორი, – ძალიან კაი ბიჭია, სერიოზული, წყნარი და, რაც მთავარია, უყვარხარ ძალიანო. – ვინაა მაინც არ მეტყვითო? – ინტერესით სულს ლევს ნუნუ. – ჯერ პირობა უნდა მომცე, რომ გაყვები და მერე გეტყვიო. – ასე უნახავად როგორ შეიძლება, წყალში თევზი ვინ დააფასაო, არ დაიბნა თურმე გოგო. – ხომ იცი, დირექტორი ცუდ ვინმეს არ აგირჩევს, ამშვიდებს თომია, – ეგ ისეთი საქმეა ბატონო, რომ ხათრით წაყოლა რავა იქნება, მეც ხომ უნდა მომეწონოსო, ძნელი მოსათოკავია ნუნუ. – აბა გეტყვი რანაირია და თუ დაგიჯდა ჭკუაში

მითხარი, თუ არა და აღარ შევაწუხებ იმ კაცს თავის გზას ეწევაო, – ეშმაკები უსხედან თვალებში დირექტორს, ნუნუ სმენად იქცა. – შინაარსში და კაცობაში ეჭვი არ შეგეპაროს, უნდა მენდო, ამ მხრივ მე ვარ პასუხისმგებელი, დაიწყო თომიამ, – ნუნუმ თავი დაუქნია, რა გაეწყობაო. – ახლა გარეგნობა ვთქვათ, ასე ჩემი სიმაღლისა რომ იყოს? დირექტორი წამოდგა და გაიარ-გამოიარა, ამ ორმეტრიანმა, მთასავით კაცმა ცოტა არ იყოს დააფრთხო ნუნუ, მაგრამ გული გაიმაგრა; – იყოს, რა უჭირსო. – ასე ჩემსავით მოუხეშავი რომ იყოს და ორმოცდაცხრა ნომერი ფეხი ჰქონდეს? – თქვენ მოუხეშავი როდის ხართო, პირიქით, თავი ჩაღუნა ბიბლიოთეკარმა. – შემხედე, ასე ჩემსავით შავი წარბები და ნაჯახივით ცხვირი რომ ჰქონდეს? – რა უჭირს, ცხვირის სიდიდით კაცი ვის დაუწუნია, – გათამამდა ნუნუ, – მთავარია რა მოხელეა, რისი მაქნისიაო? – პედაგოგი რომ იყოს გაწყობს? დირექტორი ფანჯარას მიადგა. – რომელია თქვენი სიმაღლე უცოლო პედაგოგი ამ ახლომახლო სოფელში? – კითხვა შეუბრუნა ეშმაკმა გოგომ. – ჯერ მე ვიძლევი შეკითხვებს და მიპასუხე. მოკლედ, ძალიან მგავს ის კაცი მე, ყველაფრით, ისე მგავს, მეტი რომ არ შეიძლება. პირდაპირ მითხარი, ასე ჩემნაირ კაცს, გაყვები ცოლად რომ რამე იყოს? ნუნუმ კარგა ხანს უყურა თურმე თავისი ფეხსაცმლის წვერებს, „რა გაქვს დასაწუნიო“, მერე ერთბაშად მიახალა და გაიქცა. ცხოვრობენ ახლა მერჯევში ერთად და ტკბილად, სამი შვილი ჰყავთ. ისე ლამაზად ჰყვებიან ამ ამბავს სუფრაზე, გაგეხარდება. ა, ხალხი!

დაიწყო თუ არა ბუხუტიმ ამ ამბის მოყოლა, ჩიტიამ ჯერ გულიანი ღიმილი ააყოლა, მერე შიგადაშიგ ჩაიხითხითებდა და ბოლოს ისე ახარხარდა, რომ სკაფანდრიდან კინაღამ ამოხტა.

ბ ე ნ ო (ხითხითებს). არ ყოფილა კაცი? არ გინდა მოფიქრება? რომელია შენთან?

ლ ე ო – თერთმეტი სრულდება.

ბ ე ნ ო – ე, ბიჭო არ გამოგვრჩეს, ჰონდურასის ეროვნული ფრონტის მებრძოლებს რომ უნდა მივსალმებოდით?

ლ ე ო – შენ მაგას ნუ წუხხარ, აპარატი დაპროგრამებულია, თვითონ გაგზავნის დეპეშას.

ლ ე ო – ვისთან? (ბუხუტი იღიმება).

ბ ე ნ ო – ჰონდურასელებთან.

ლ ე ო – რა მაგის პასუხია და კიკიას იცნობ ბალახვანში სალდაძეს?

ბ ე ნ ო – კიკია?

ლ ე ო – გამწვანებაში მუშაობს, იქვე, საღორიასთან.

ბ ე ნ ო – მაღალ-მაღალი, სუსტი ბიჭი.

ლ ე ო – ჰო, სწორია, გცნობია, შანშე გიორგაძის გოგოს ქორწილში ვიყავით გუშინწინ ერთად და მაგან თავისი ცოლის შერთვის ამბავი მოგვიყვა, მუცელი ხელით გვეჭირა. ძმაკაცი ყოლია, თურმე, ვინცხა უბედური, უსაშველო ხალასტიაკები რომ არიან, ხომ იცი. არიქა, არ დამიბერდეს ძმაკაციო და დოუწყია ქალის ძებნა, კიკიას. ამოურჩევია პატრიგეთელი გოგო, გვარი ქე დამავიწყდა. ჯერ ძმაკაცისთვის უჩვენებია ჩუმად. „კაი, ვითხოვ, ჯანდაბა თქვენს თავსო“, დათანხმებია უგემურად ეს უცოლო და უბედური. ახლა გოგოს დაბმა არ გინდა? ქვა ააგდო და თავი შეუშვირა თურმე, არ წავყობი მაგასო. შეუჩნდა კიკია. დადის ყოველ მეორე დღეს თურმე ოჯახში. არის ამ თავისი ძმაკაცის ქებადიდებაში ამნაირია – იმნაირიაო და ბოლოს გატეხა, რავარც იქნა იმ გოგოს (გვარი ქე დამავიწყდა) ნებისყოფა. გახარებული მოვარდა ძმაკაცთან, აბა ხვალვე განცხადების შეტანა და ხელმოწერა არ გადავაროს იმ ხალხმაო. გლახა რომ იქნება კაციშვილი. არ დაიხ-

ია უკან, თურმე? არ უყრის წყალში ამდენ წანწალს? არაო, არ ეკარება გულს და მომკალი თუ გინდაო, არა ვარ მე მაგის მომყვანი, სხვა მოვძებნოთ ვინმე, თუ ამხელა სიკეთე გინდათ ჩემთვისო. მე ვიცი, მაგნაირი გლახების ხასიათი. გაწვალებენ, გარბენიებენ და ბოლო წუთში გეტყვიან უარს. არ არიან ცოლის შემრთველი, მორჩა და გათავდა. უნდა გაანებო თავი და ნერვები არ იშალო. ახლა კიკიას მდგომარეობა ნახე? ორცეცხლშუაა. ძლივს დაითანხმა გოგო, ჭირი მოჭამა ხვეწნით და ახლა უარის თქმა, რავარი საქმეა? ვიმტვრიე თავი, მარა სხვა გამოსავალი ვერ ვნახეო, ყვებოდა მივედი და ვუთხარი იმ გოგოს, არ მემეტები სხვისთვის და რა ვქნა, მთელი ქვეყანა რომც გადამეკიდოს, მე უნდა გავხდე შენი ქმარიო. არც გაკვირვებია, თურმე, გოგოს. ქე ჩოუვარდა თურმე გულში ეს ენერგიული მაშვრალი. კაიო, უთქვამს, ვერ გიმხელდი, თორემ თავიდანვე მაგის ფიქრი მქონდა მეცო.

ბ ე ნ ო (სულს ძლივს ითქვამს სიცილისგან) – კაცი ეგ ყოფილა

ბენომ ჭოგრიტით გულმოდგინედ დაათვალიერა მეორე მხრიდან განათებული მთვარე და ზედ დიდად საგულისხმო რომ ვერაფერი აღმოაჩინა, ჭოგრიტი კაბინაში აცურებულ ტყავის ხელთათმანებს გააყოლა და სავარძელზე თავგადადებულ მეთაურს მიუბრუნდა.

ბ ე ნ ო – ისე, სად ვართ, რომ დაფიქრდე კაცი.

ლ ე ო – აბა.

ბ ე ნ ო – მთვარეზე მაინტერესებს ფეხის დადგმა. რატომ არ ვჯდებით, თუ იცი, მთვარეზე?

ლ ე ო – არაა, ალბათ, საჭირო და იმიტომ არ გვაჯენენ, რო საჭირო იყოს, დაგვაჯენდნენ.

ბ ე ნ ო – ისე, ჩვენში დარჩეს და, ჩიტზე უფრო თავისუფალი ხარ ადამიანი კოსმოსში. ხომ შეგვიძლია ახლა მოვატრიალოთ ეს მაშინა და სადაც გაგვეხარდება, იქ დავჯდეთ?

ლ ე ო – რა გაგებით ამბობ?

ბ ე ნ ო – ვთქვათ, რომ მოგვიაროს ხუშტურმა თავში და აღარ მინდა, ბატონო შენთან ცხოვრება და დარჩენილი წლები ავსტრალიაში მინდა გავატაროო. რომ დავკრათ თავი და დავეშვათ ავსტრალიაზე. ე, შეხედე, რავარია ავსტრალია?

ლ ე ო – ჩიტია, ნინოშვილის ქუჩაზე ბუჭუია ხონელიძე ცხოვრობდა. ღალღაიას ვეძახდით. ერთი გაუბედურებული, უპატრონო ბიჭი იყო. დედა ავადმყოფი ჰყავდა. ქუჩა ინახავდა სამადლოდ ორივეს. პატარა ქოხში ცხოვრობდნენ. ისე გავიზარდე, პირდაბანილი ბუჭუია მე არ მინახავს. სულ ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი, კისერგამურული დადიოდა. ბოლოს მემტრედეობა დაიწყო. მეექვსე კლასში ვიყავი, მახსოვს, ვიყიდე ფეხფაჩუჩა „სიზი“ ბუჭუსგან. ორ კვირას მყავდა გალიაში. საკენკი თავის დროზე წყალი, ჩემო ბატონო, სისუფთავე იდეალური, რავარც გავუღე კარი, არ დაფიქრებულა, სამ წუთში ღალღაიას ჩანგრეულ სახურავზე იჯდა და ნაგავში იქექებოდა. წამოვიყვანე იმ საღამოსვე, დავაპტკვენი ფრთები. ორ თვეს იგვანგვალა ჩემს ეზოში, გასუქდა, შეპატივდა, გაუმაგრდა თუ არა ფრთები, რომ მგონია, მოჩვეული მყავს-მეთქი, აფრინდა და ისევ ბუჭუიას დაუბრუნდა. მოკლეთ, სამჯერ მომყიდა ჩემი „სიზი“ ღალღაიამ და სამივეჯერ უკან დაუბრუნდა. სულ მიკვირდა, ხელისგულზე მყავს ეს ბალანკურთხეული და მაინც ბუჭუს ქოხი ურჩევნია-მეთქი. ხომ გესმის ახლა, რა ვთქვი მე?

ბ ე ნ ო – კიე. მეც რავა, სიტყვას მოყვა თვარა, ჩემს ბალახვანს და მწვანეყვავილას შემოევლოს რაც ავსტრალიაა ქვეყანაზე თავის კენგურუებიანათ.

ლეომ სტერილიზებული ქაღალდით ხელები შეიწმინდა და საათზე დაიხედა.

ლ ე ო – აღარაა პატარა სადილის დრო?

ბ ე ნ ო – თორმეტს გადაშორდა. რატომ არ გვაძლევენ კამანდას?

ლ ე ო – უი, კავშირის ჩართვა ქე დაგვიწყებია, აკარი ხელი იმ ღილაკს (ჩართეს თუ არა გადამცემი, იმ წამსვე გაისმა მთავარი კონსტრუქტორის შეშფოთებული ხმა).

ხ მ ა – ლეო, ბენო, ლეო, ბენო, ლეო, ბენო!

– ბატონო! (ერთხმად უპასუხეს კოსმონავტებმა).

ხ მ ა – ცოცხლები ხართ ბიჭო? რატომ შეწყდა კავშირი?!

ლ ე ო – რაღაცას ჩვენთვის ვყვებოდით და გამოვრთეთ ერთწამას, რამ შეგაშინათ?

ხ მ ა – ხალხი ხართ თქვენ ახლა? არ დაგვიხეთქეთ გულები? მე მეტს აღარ გამაცივებს ამ წელიწადს. მომისმინეთ ახლა ორივემ კარგად: იმ ღილაკს მეტი აღარ შეეხოთ. არ დავინახო გადამცემის გამორთვა. ეს ერთი და მეორე: ქე დაანებეთ ამ ერთ კვირას კერძო ლაპარაკს თავი. რაღაცა სხვა ილაპარაკეთ, საქმიანი, ჭკვიანური, კოსმოსს რომ შეეხება, გესმით ჩემი?

– კი! (თავი დაუქნიეს მეგობრებმა, თუმცა ეს მეორე დავალება მთლად კარგად ვერ გაიგეს).

ხ მ ა – „კოსმოსურ ხომალდ 292-ის გმირული ეკიპაჟი დასახული პროგრამის მიხედვით განაგრძობს ფრენას. კოსმონავტებმა ხალისიანი სადილის შემდეგ დაისვენეს და უკვე შეუდგნენ მეორე დღის გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო დავალების შესრულებას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს“.

სინათლე, მუსიკა, კოსმონავტები. ქრებიან, ტელეხიდი გრძელდება. საერთო ხარხარი.

ვ ი ლ ი – რატომაა რომ თქვენთან პარტიის წევრს, თუ პასუხისგებაშია მიცემული, წინასწარ რიცხავენ პარტიიდან?

კ ა კ ო – იმიტომ, რომ, თუ პარტიიდან გარიცხული არაა, ვერ დაიჭერ.

ვ ი ლ ი – მერე გასამართლებამდე, წინასწარ რატომ რიცხავთ?

გ ი ო რ გ ი – რომ მერე სასწაული არ მოხდეს და თავი არ გაიმართლოს.

ტ ო მ – გისმენთ. თქვენი ჯერია...

ჩვენი დელეგაცია აფუსფუსდა.

ს ა ლ ო მ ე – თქვენ ასანთს ბავშვებს უმალავთ?

ტ ო მ (დაბნეულად). დიახ, მცირეწლოვანებს, როცა შინ მარტო რჩებიან.

გ ე ნ ო – ჩვენ არ ვუმალავთ. ჩვენთან სპეციალურად, შინ მარტო დარჩენილი ბავშვებისათვის ისეთი ასანთიც გამოდის, რომელიც არ ინთება და ამიტომ საშიშიც არ არის.

ჯ ე ნ ე ტ ი – არ ვიცი, აქედან ჩანს თუ მართლა ასეა, ზოგს თქვენთაგან, მგონი, ამერიკული პერანგი და შარვალი აცვია. საიდან გაქვთ?

მ ო შ ე (ანგარიშმიუცემლად) – პასილკიდან!

ლ ე ო (სისინით) – ამანათიდან.

მ ო შ ე (თუთიყუშივით) – ამანათიდან!

რ ო ბ ი ნ – კი, მაგრამ, თქვენი ნაწარმი რატომ არ გაცვიათ, არ ვარგა? (ჩვენი დელეგაცია ცოტა არ იყოს დაიბნა, ერთმანეთში ჩურჩულებენ და პასუხს ეძებენ).

გ ი ო რ გ ი – ჩვენსას ვერ ვშოულობთ!

საერთო ხარხარი.

ლ ე ო (შეცბუნებული) – ამხანაგს სურდა ეთქვა, რომ ჩვენში შეკერილს საგარეოდ ვინახავთ, ხოლო ამერიკული იმიტომ გვაცვია, რომ უბრალოა და ყოველდღიურ სახმარად მოსახერხებელი.

მუსიკა, სინათლე ქრება, ნათდება ტელეეკრანის ჩარჩო. ლეო იმ ჩარჩოში დგება მიკროფონით ხელში.

ლ ე ო – ვიღაცას უთქვამს გემოვნებაზე არ დავობენო. მე კი მგონია, თუ რამეზე შეიძლება იდავოს კაცმა, ისევ და ისევ გემოვნებაზე.

იგი ახლაც ჩემი მეგობარია.

ერთი კვირაა ვემალები, ერთი კვირაა მეგობართან საუბარს გავურბი, ერთი კვირაა დამნაშავესავით ვწითლდები მის წინაშე და წარბებს ოწინარივით ვაქანავებ.

ერთი კვირის წინათ შემხვდა იგი ქუჩაში და მითხრა:

– გადასარევი პიჯაკი ჩავიგდე ხელში!

– მართლა? – გავიხარე მე – თუ ძმა ხარ მიჩვენე.

– წამოდი.

...პიჯაკი არ მომეწონა. იგი მეტად ულამაზოა და საკმაოდ ძველმოდური.

– ა? – ამაყად მეკითხება იგი, პიჯაკს ძვირფასი ნადავლივით მიჩვენებს.

მე მომაგონდა რომ გემოვნებაზე არ დავობენ და გულთბილად ვუთხარი:

– გადასარევი პიჯაკია.

– ხომ გეუბნებოდი.

– აბა შენ იცი, როგორ მოუვლი. ასეთი პიჯაკი მარტო დღეობებზე და ადგილკომის კრებებზე უნდა ჩაიცვა.

მან ბედნიერი ხარის თვალებით შემომხედა და მითხრა: ისე, როგორც ნამდვილი მეგობარი ეტყვის ნამდვილ მეგობარს:

– გინდა გქონდეს ასეთი პიჯაკი?

მე უნდა მეპასუხა, რომ უკვე მაქვს ერთი პიჯაკი, რომ ორივეს ერთნაირი პიჯაკის ტარება ინტერნატის მოსწავლეებს დაგვამგვანებს, რომ მე მგონი ასეთი

ფერი ყურის ბიბილოებზე არ მომიხდება და ა. შ. მაგრამ მე დავუშვი მიუტევებელი შეცდომა და ვთქვი:

– მინდა რომელია.

ჩემს ამ ნათქვამს მოჰყვა ჩემი მეგობრის აბსოლუტურად ბუნებრივი და ლოგიკური წინადადება:

– მაშ წადი და იყიდე, თორემ გათავდება.

– დღეს ვეღარ მოვასწრებ.

– გაიქეცი, მიასწრებ.

მე ელვის სისწრაფით გამოვვარდი მისი სახლიდან და მოსახვევთან მთელი ორი საათი ხელით მეჭირა ამოვარდნამდე მისული გული.

... მეორე დღეს მოვიდა:

– რა ჰქენი იყიდე?

– ვერ მივუსწარი.

– აბა, გავარდი ახლავე.

გავვარდი და ოთხსაათიანი ვიზიტი დავურტყი ნათესავს.

... მესამე დღეს ისევ მოვიდა.

– იყიდე?

– ფული აღარ მეყო.

– ვერ თქვი აქამდე? მე გასესხებ.

პიჯაკის ფული მასესხა და წავიდა.

... მეოთხე დღესაც მოვიდა.

– იყიდე?

– რა?

– პიჯაკი!

– არა, ჩემი ზომისა აღარ იყო, გაყიდულა, – შენ როგორა ხარ? – ვიცრუე და სულ არ გავწითლებულვარ.

– ეჰ – ხელი ჩაიქნია და წავიდა.

... მეხუთე დღეს ისევ მოვიდა.

– წამოდი ჩქარა!

– რა მოხდა?

– მთელი ქალაქი შემოვიარე და როგორც იქნა მივაკვლიე, ზუსტად ისეთია, შენი ზომისა.

მე უნდა მეყვირა, რომ არ მომწონს ის საშინელი პიჯაკი, რომ იგი ძველმოდურია და ღილები თიხის ჯამებს მიუგავს, რომ...

მაგრამ მე დამორჩილებული ბედაურივით მივყვები მეგობარს ქუჩაში და თვალები ცრემლით მევსება.

აი ახლა ნასესხები ფულით ვიყიდი იმ საბედისწერო და საზიზღარ პიჯაკს.

ხსნა კიდევ არის! პიჯაკს სახლში მიტანისთანავე დავწვავ ცხელი, ძალიან ცხელი უთოთი.

მერე?

არ ვიცი რა მოხდება მერე. ამაზე ფიქრისაც კი მეშინია.

ამერიკელები იცინიან და ლეოს ტაშს უკრავენ.

ლ ე ო – ეს ამბავი მეოთხე სადარბაზოში არ მომხდარა, მეხუთე სადარბაზოში მოხდა. დილის 20 საათი იყო, კლიმენტი ზუმბაძემ შეთქმულივით მიიხედ-მოიხედა, კრიმინალური სიზუსტით ახადა თავი სანდრო მეტრეველის საფოსტო ყუთს, ორი თითი ჩაჰყო და გაზეთები ამოაცოცა. მერე შეუმჩნევლად დაბრუნდა თავის ბინაში, ტახტზე წამოწვა და ღიღინით შეუდგა ახალი გაზეთების კითხვას. კლიმენტს სინდისი არ ჰქეჯნიდა. იგი წლების განმავლობაში არ იწერდა პრესას. იპარავდა, იპარავდა და, კაცს ღირსებას როგორ დავუკარგავ, ოქრო გამოსდიოდა ხელიდან...

ზუსტად თერთმეტ საათზე სანდრო მეტრეველი შემოფლატუნდა მეხუთე სადარბაზოში. თავისი ყუთი რომ ცარიელი დახვდა, მაწვნის ქილები მარცხენაში დაიჭირა, მიიხედ-მოიხედა და ივანე ყრუალაშვილის გაზეთები ამოაცოცა ყუთიდან.

თორმეტ საათზე ივანე ჩამობაკუნდა მეშვიდე სართულიდან. თავისი ყუთი რომ გაძარცული დახვდა, შეხტა და შემოტრიალდა, სიბრაზისაგან კეფა აეწვა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, ოთარ კვეკვესკირის გაზეთები დაითრია და საეჭვო სტვენით აუყვა კიბეებს.

ოთარ კვეკვესკირი ხორცის რიგიდან ბედნიერი სახით მობრუნდა. საწვიმარზე აწყვეტილი ღილი პირში ჩაიდო, მარჯვენა ხელი გაითავისუფლა, თავის საფოსტო ყუთს მიწვდა და ყუთი ცარიელი რომ დახვდა, გაოცებისგან კინაღამ გადაყლაპა ღილი. ბევრი არ უფიქრია, სერგო ღაღანიძის ახალი გაზეთები გამოაყოლა ხელს და ლიფტში შევარდა.

სერგო ღაღანიძე კარგა ხანს მდუმარედ შესცქეროდა თავის ცარიელ ყუთს, დაახლოებით სამი საათი იყო. ბოლოს ხელი ჩაიქნია და მტკიცე გადაწყვეტილებით გაეშურა საფოსტო განყოფილებისაკენ.

ფოსტალიონს თავისი საქმე დაემთავრებინა და შინ წასულიყო. სერგო ეახლა დირექტორს და აღშფოთებით აუწყა – დღეს ჩემთან ფოსტა არ მოუტანიათო. დირექტორიც აღელდა და აკანკალებულ მომხმარებელს განუცხადა: დაწერეთ საჩივარი და ფოსტალიონს ტყავს გავაძრობო. სერგომ დიდხანს, ბუტბუტით წერა საჩივარი. მერე ტელეფონს დაწვდა და სამსახურში დარეკა, დღეს გადაუდებელი საქმე შემემთხვა და ვერ მოვდივარო.

დაახლოებით ექვს საათზე მოიყვანეს ფოსტალიონი სახლიდან, ფოსტალიონმა კატეგორიულად განაცხადა: გაზეთები დროზე მივიტანეო. სერგომ იუკადრისა – ესე იგი მე ცილისმწამებელი ვარო?! – ესე იგი მე ქურდი ვარო?! – იკივლა ფოსტალიონმა. ზუსტად ერთი საათის შემდეგ საფოსტო განყოფილებასთან სასწრაფო დახმარების ორი ახალთახალი მანქანა იდგა.

არა და სერგოს ბრალია ყველაფერი, როცა იგი თავის გაძარცვულ საფოსტო ყუთს შეჰყურებდა, გვერდით იქვე, თენგიზ საგინაძის ყუთში ხელდაუკარებლად ეწყო ახალი გაზეთები. მოვიპარავდი იმ გაზეთებს და ავცდებოდი ამდენ დავიდარაბას.

ტელეხიდი გრძელდება.

დ ე ვ ი დ – რა გიჩვენათ ავღანეთის ამბებმა?

გ ი ო რ გ ი – ავღანეთის ამბებმა გვიჩვენა, რომ სიბრძნეს ზღვარი აქვს, სისულელე კი უსაზღვროა.

ვ ი ლ ი – რატომ ადრე არ გამოიყვანეთ ჯარი, სანამ ათასობით თქვენი ჯარისკაცი არ ემსხვერპლა.

ლ ე ო – უძრაობის ეპოქა იყო და ჯარის განძრევა არ შეგვეძლო.

რ ო ბ ი ნ – რატომ მიდის თქვენთან გარდაქმნა ნელი ტემპით?

გ ე ნ ო – იმიტომ, რომ ძალიან ჩქარი ტემპით დაიწყო.

ტ ო მ – როგორ უცქერით იმ გარემოებას, რომ გარდაქმნა ნელი ტემპით მიდის?

მ ო შ ე – მოგვწონს!

ტ ო მ – მოგწონთ?!

ლ ე ო – რასაკვირველია. აბა თქვენ გინდათ უფრო სწრაფად ძვირდებოდეს ბაზარი, უფრო სწრაფად ქრებოდეს ყველი და კარაქი და უფრო მეტად აგინებდნენ სტალინს?

საერთო სიცილში ტომი მიკროფონით ხელში ტელეჩარჩოში დგება.

ტ ო მ – გთავაზობთ ამერიკულ ტიპაჟს საბჭოთა სატირულ-იუმორისტული ჟურნალებისათვის.

როგორც მოდების გამოფენაზეა, მხიარული მუსიკის ქვეშ სცენაზე გაივლიან ჩვენს სატირულ პერიოდიკაში დამკვიდრებული ამერიკელი ტიპები: მსუქანი, სიგარიანი მილიონერი, განგსტერი, პროსტიტუტკა, რასობრივი ჩაგვრის მსხვერპლი და ა. შ.

კ ა კ ო – რატომ იყიდება თქვენთან ცეცხლსასროლი იარაღი თავისუფლად მაღაზიაში?

პირველად დაიბნა ამერიკის დელეგაცია.

ვ ი ლ ი – თქვენთან რატომ არ იყიდება?

ლ ე ო – იმიტომ რომ, ჩვენ ნერვიული ხალხი ვართ და უმეტესობას სახლში სიდედრი გვყავს.

რ ო ბ ი ნ – ამ ბოლო დროს თქვენთან ბევრს სწერენ საბჭოთა ორგანოთა დამოუკიდებელ აზროვნებაზე. თუ საიდუმლოება არ არის, რას ნიშნავს თქვენთან „დამოუკიდებელი აზროვნება?“

გ ი ო რ გ ი – აქამდე ადგილობრივ უწყებებს ზემოდან აშვებინებდნენ შეცდომებს, ახლა უფლება მიეცათ თვითონ შეცდნენ, დამოუკიდებლად.

სიცილი.

ლ ე ო – გასაგებია?

ტ ო მ – მთლად გასაგები არ არის.

ლ ე ო – აბა ბოლო დროის დემოკრატიული ცხოვრების ნათელსაყოფად ერთ ამბავს გიამბობთ და ყველაფერი გასაგები იქნება.

ლეო ჰყვება ამბავს, რომელიც დიდ ტელეჩარჩოში შეიძლება გათამაშებული იქნას მსახიობების მიერ.

ლ ე ო – 1988 წლის 21 ივნისს ოთმოცდამეცამეტე საფოსტო ყუთის № გაერთიანების ადგილკომის თავმჯდომარე იაზონ ითაშვილი იდგა თავისი კაბინეტის წინ და მოწინააღმდეგეებს ეძებდა. ეს-ესაა კრება დაიწყებო-

და, უნდა ეყარათ კენჭი ტრანსაუარიის კოშკის პროექტის დასამტკიცებლად. ამ პროექტს გულში ბევრი არ ეთანხმებოდა და, გულახდილად გითხრათ, კოშკი ვერ იყო გაერთიანებისთვის მთლად სასარგებლო საქმე, მაგრამ რაკი კენჭისყრამდე მოვიდა, პროექტი უსათუოდ დამტკიცდებოდა. იაზონსაც ეს სურდა. მაშ რატომ ეძებდა ასე გაფაციცებით ადგილკომის ისეთ წევრს, პროექტის წინააღმდეგ ხმას რომ აღიმაღლებდა? თურმე დირექტორს ზემოდან უთხრეს, ღმერთი არ გაგიწყრეს და პროექტი ერთხმად არ გავიდეს, როგორც გინდა, ისე მოძებნე ერთი-ორი წინააღმდეგი, რომ კამათის ილუზია შეიქმნასო. ხომ ხედავ, დაგვცინის საზღვარგარეთი ამ ერთხმიანობისთვისო. ის, ვინც დირექტორს ზემოდან უთხრა, უფრო ზემოდან დამოძღვრილს ჰგავდა, თორემ როდის იყო საბჭოთა დაწესებულებაში ადამიანს ეხვეწებოდნენ, არიქა, გვიშველე, არ დაგვიჭირო მხარიო.

იაზონს ნელ-ნელა სასოწარკვეთილება ეუფლებოდა. მეშვიდე ჩამვლელს უსაფრდებოდა ახლა, ამ წამში, და ისეთი მეპროტესტე ვერა და ვერ შეიგულა, რომელიც პირობას მისცემდა, რომ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდოდა.

ლიფტს ელექტროინჟინერი ტარას ქემაშვილი ამოჰყვა და პირდაპირ იაზონისკენ წამოვიდა. იაზონს სახე გაებადრა. ტარასი ელექტროინჟინრის პირობაზე ერთობ გაბედული კაცი გახლდათ.

– დიდხანს გაგრძელდება, როგორ ატყობ? – ჰკითხა ქემაშვილმა და ჩინურ ონკანზე წყლის ჭავლს პირი აავლო. ალბათ წყლის დალევა კი არა, უბრალოდ ტუჩების გასველება სურდა.

– საათის, საათ-ნახევრის ამბავია. ისე, კოშკი შენი ჭკუით?

– სისულელეა, სისულელეზე მეტია, ფულის წყალში გადაყრაა. რად გვინდა კოშკი, ვის ვაწონებთ თავს.

– აგაშენა ღმერთმა, – იაზონმა ხელი მკლავში მოჰკიდა და შეთქმულივით ფანჯრისკენ წაიყვანა. ელექტროინჟინერმა ჯერ მკლავზე გაამახვილა ყურადღება და მერე ადგილკომის თავმჯდომარეს შეხედა.

– გამოდი და თქვი. ახლა შეიძლება სიმართლის თქმა. გამოდი და თქვი, რასაც ფიქრობ.

– რაზე? – მოწყენილად შეხედა ქემაშვილმა.

– კოშკზე.

– შენ ხუმრობ და მართლა უნდა თქვას კაცმა.

– ჰოდა თქვი. ბავშვებს გაფიცებ, თუ არ თქვა. ხომ არ შეიძლება ყველაფერზე თავი ვუქნიოთ.

– ვის?

– მაგათ.

– კოშკი რომ სისულელეა, რად უნდა ლაპარაკი. მართლა უნდა ადგეს კაცი და უნდა თქვას. ღირსიც იქნებიან მაგენი, – წყნარად, შეფიქრიანებულად თქვა ტარასმა, მკლავი გაითავისუფლა და სხდომათა დარბაზის მაღალი კარებისკენ გააბიჯა.

– მამია!

მამია ხოფერია, ბეჭწაგდებით მიმავალი, შრომის ინვალიდი მამია, წამით შეჩერდა. არ გამოუხედავს. ეტყობა სურდა ხმაზე გამოეცნო, ვინ დაუძახა. გამოიცნო თუ არა, ამას ჩვენ, სამწუხაროდ, ვეღარ დავადგენთ, მაგრამ ადგილკომის თავმჯდომარის დანახვისთანავე მამიამ ხელჯოხი რომ მიმოაკაკუნა და ნაბიჯს რამდენადაც შეეძლო, მოუჩქარა, მეც და ჩემმა მკითხველმაც მშვენივრად დავინახეთ.

– უნდა მიშველო, მამია – იაზონის ხმა – თვალებში მუდარას დაესადგურებინა.

– ჰო, – ჯოხს ხელი შეუნაცვლა მამიამ.

– წინააღმდეგ უნდა გამოხვიდე. ერთი-ორი მოწინააღმდეგე ჰაერივით გვჭირდება. არ არის საჭირო კოშკის აშენება-თქო, შენც ხომ ასე ფიქრობ, მამია?

– ჩემს ფიქრს რა მნიშვნელობა აქვს, ახლა, ამ წუთში, მაგრამ თუ საქმისთვის არის საჭირო, ყველაფერს იზამს კაცი – ხმის საეჭვო განაზებით თქვა მამიამ.

– ჰო, გენაცვალე. არ გიჭერთ მხარს-თქო. არ მიმაჩნია სწორად საკითხის ასე დაყენება-თქო. ჩემი საკუთარი აზრი მაქვს-თქო, ხომ შეიძლება, რაღაცაში არ გეთანხმებოდეთ-თქო.

– მე ვიტყვი, რატომაც არა, მაგრამ საბოლოოდ რა მოყვება ამ ამბავს? – განზე გაიხედა მამიამ.

– საბოლოოდ არაფერი. პროექტი მაინც გავა. ოღონდ ოქმში ჩაიწერება, მამია ხოფერია წინააღმდეგ გამოვიდაო.

– მაგაშია საქმე? – ამოიოხრა მამიამ.

– არაფერი მოხდება, დამერწმუნე. პირიქით, იტყვიან იმდენ ცხვრებში თავი მხარზე მარტო მამიას ჰქონიაო.

– მერე? მაგ ორი სიტყვისთვის გადავიკიდო ქვეყანა? მხარზე თავი რომ მაქვს, ამის დამტკიცება ახლა დავიწყო სამოცდაორი წლის კაცმა. და უჭირო საჭიროდ გავიხადო?

– შენ შენს აზრს იტყვი.

– კი ბატონო, ვიტყვი, მაგრამ, მერე? რაღა მე ვიქცე თეთრ ყვავად?

– გეშინია მამია?

– კი არ მეშინია, მერიდება, ჩემო იაზონ. რაღაცაში არ ვტყუვდებოდეთ. თუ მაგათ გადაწყვეტილი აქვთ, წინააღმდეგ კი არა, უკანალით კაკალი რომ ვამტვრიო, მაინც ააშენებენ. ჩემი გამოსვლით პირს ავიმყრალებ და მტრებს გავიმრავლებ, მეტი არაფერი.

– იფიქრე, იფიქრე, მაინც, თუ კაცი ხარ. ეს ამბავი დირექტორმაც იცის. ვიღაცა წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს, საქმეს სჭირდება.

– კი ბატონო, ვიფიქრებ. ფიქრს რა უდგას წინ. მაგრამ რაღა მე გამომარჩიე, იაზონ. ჩემს მეტი „ბუნტოვშჩიკი“ ვერ ნახე ამხელა გაერთიანებაში? – ბოლო სიტყვებს რომ ამბობდა, მამია შეტრიალებული გახლდათ და ჯოხს განიგან მიიქნევდა, რომ კლუბისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალთაგან ვინმეს არ წამოდებოდა და არ წაქცეულიყო.

დრო ჩვეულებრივზე სწრაფად გარბოდა.

იაზონი კიბის თავზე მარტორქასავით მიმოდიოდა.

ვერა და ვერ შეიპირა ადგილკომის ვერც ერთი წევრი, რომელიც ადგებოდა და ხელმძღვანელობას იმდენ პატივს სცემდა, რომ მშვიდად, აუღელვებლად ეტყოდა, არ გიჭერთ მხარს, კოშკის აშენების წინააღმდეგი ვარო. მგლინავმა კუკური ჯიჯეიშვილმა კარგა ხანს უსმინა და იაზონს რომ ეგონა, ახლა კი დავარწმუნე როგორც იქნაო, მოკლედ მოუჭრა – შენ თვითონ რომ გამოხვიდე? ხომ არც შენ მოგწონს კოშკის იდეა? შენ რომ გამოხვიდე და მისცე მაგალითი გაერთიანებას? არ აჯობებს ვითომ?

– მეც ვიტყვი, საერთოდ, ჩემს სათქმელს. რატომაც არ ვიტყვი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ქვევიდან ჯობდა აზრი წამოსულიყო. მე მაინც ოფიციალური პირი ვარ. და საერთოდ, ვერ გაგაგებინე, რა მინდა: კოშკი მაინც აშენდება, ერთი-ორი მოწინააღმდეგე ჩვენ დემოკრატიისთვის გვჭირდება, მეტი არაფერი, რომ ნახოს ვიღაცამ, უმსჯელიათ, უკამათიათო, გამიგე?

– ვერა. – მიუგო ჯიჯეიშვილმა.

ბოლო იმედმა, მეტაბელე ლევან დუჩიძემ ადგილკომის თავმჯდომარეს წინააღმდეგ გამოსვლის თხოვნაზე

ისე შეხედა, როგორც მეზოზოური ხანიდან პირდა-
პირ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში შემოჭრილ
ცხოველს, რომელიც წითელ წიგნში იმიტომ არ შეუ-
ტანიათ, რომ აქამდე აღმოჩენილი არ გახლდათ.

პროექტის განხილვა როგორც დაიწყო, ისე დამ-
თავრდა.

მიუხედავად იაზონის მიერ მიღებული ზომებისა
და ენერგიული აჯა-თხოვნისა, პროექტს უკლებლივ
ყველამ დაუჭირა მხარი. წინააღმდეგ არავინ წასულა.

მოხდება ასეთი რამ კაპიტალისტურ სამყაროში?
არ მოხდება. (ტაში, ლეო, სინათლე, მუსიკა. ლეო
ისევ მიკროფონით ხელში, ტომს მიმართავს).

ახლა ხომ ყველაფერი გასაგებია?

ტ ო მ (სიცილით). ახლა რა თქმა უნდა.

ლ ე ო – ახლა ჩვენთვისაა გაუგებარი, თუ რატომაა თქვენთ-
ვის ეს ყველაფერი გასაგები. განვაგრძობთ ტელეხ-
იდს, გისმენთ!

კ ე ტ რ ი ნ – დემონსტრაციის თავისუფლება გაქვთ?

გ ი ო რ გ ი – კი, პირველ მაისს და შვიდ ნოემბერს.

დ ე ვ ი დ – რას გაძლევთ საჯაროობა?

ბ ე ნ ო – გულახდილად, საჯაროდ ვამბობთ, რომ გარდაქმნა
არ გამოგვდის და რაკი გულახდილად ვამბობთ პა-
სუხსაც არაფერზე ვაგებთ.

ვ ი ლ ი – რა მოგცათ მეცხრამეტე კონფერენციამ?

გ ი ო რ გ ი – მეცხრამეტე კონფერენციამ დაგვანახა, რომ
ლაპარაკი ლაპარაკისთვის წყლის ნაყვაა და მეტი
არაფერი. ამავე კონფერენციამ გვიჩვენა, რომ ალკო-
ჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ შედეგი გამოიღო.
სიტყვებში გამოსულ დელეგატთა შორის მთვრალი
მხოლოდ ერთი აღმოჩნდა.

ტ ო მ – არა მართლა, რა დაადგინა მეცხრამეტე კონფერენ-
ციამ?

ლ ე ო – მეცხრამეტე კონფერენციამ დაადგინა რომ საჭიროა
ვიმუშაოთ უკეთესად. ხოლო, როგორ უნდა ვიმუშ-
აოთ უკეთესად, ამას მეოცე კონფერენცია დაადგენს.

ს ა ლ ო მ ე – თქვენთან დასასვენებელი სახლები არსებობს?

ტ ო მ – როგორ დასასვენებელი?

გ ე ნ ო – ადგილკომი რომ საგზურს გამოგიყოფს, რომ ჩახ-
ვალ და დაისვენებ.

მ ა ი კ ლ – არა. ჩვენთან სასტუმროებია. დარეკავ და ადგ-
ილს დაუკვეთავ.

გ ი ო რ გ ი – ტელეფონით ჩვენთან სასტუმროს კი არა,
კინოს ბილეთს ვერ იშოვი.

ლ ე ო (გიორგის გაბრაზებით) – გიორგი! (შემობრუნდა და სახ-
ეგაბადრული). ჩვენთან ყველაფერი ორგანიზებულია.
ყველანი ერთად ჩავდივართ. – ერთად ვისვენებთ.
ერთად ჩასვლას „ზაეზდი“ ჰქვია. საგზურს რიცხვი
აწერია. იმ რიცხვს ვერც გადააცილებ და ვერც გად-
მოაცილებ. თუ დაგაგვიანდა, შენს ადგილას სხვას
მიიღებენ. ერთ ოთახში ოთხ-ხუთ კაცს ერთად სძი-
ნავს. შეიძლება მეექვსეც შემოგისახლონ. ამას „ლე-
ჟანკის ჩადგმა“ ჰქვია. თქვენთან „ლეჟანკის ჩადგმა“
არსებობს? ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ
მარტო არ დავრჩეთ და არ მოგვწყინდეს. რომ არ
მოგვწყინდეს, ჩვენთან საპირფარეშოებიც საერ-
თოა, იზოლირებული არ არის. ერთად შევდივართ,
ერთმანეთს ვესაუბრებით. თუ გაჭირდა, ქაღალდის
ნახევსაც ვუწილადებთ ერთმანეთს. პირსაც ერთად
ვიბანთ, წელზე პირსახოცწაკრული. საბჭოთა დასას-
ვენებელი სახლი კომუნიზმის პირველი მერცხალია.

სინათლე ქრება. მუსიკა. ლეო მიკროფონით ხელში ტელეჩარ-
ჩოში დგება.

ლ ე ო – სანამ ეგენი გეტყოდნენ, ბატონო, მე მოგიყვე-

ბი ჩემს ამბავს და მერე ამგენმა გააფორმონ, რა-
ვარც უნდათ. მაგის შნო ქე მიუცია გამჩენს, მეტი
არაფერი შეუძლიათ თვარა. ავადმყოფი კაცი ვარ
მე. კუჭის წყლული მაქვს სამი წელიწადია. რავა არ
გექნება კუჭის წყლული, რაც მე ნერვიულობა მხვდე-
ბა ყოველდღე, თუ შინ და თუ გარეთ. შინ, შენ ხარ
ჩემი ბატონი, სამი ბავშვის პატრონი ვარ და წიგნი
დასანახავად ეზარება სამივეს. მე მაბრალებს ცოლი,
შენი ტვინი გამოყვათო. შეიძლება ასეცაა, არ ვარ
ნასწავლი, ბატონო, მეორე კლასიდან დამანებებია
მამაჩემმა შკოლას თავი, მარა ყოველდღე ამის ძა-
ხილი ვარგა რამედ? გაიგეს ბავშვებმა, ბაბაიასავით
უნიჭო გავჩნდით ჩვენცო და აიცრუეს გული წიგნ-
ზე. ვისი ბრალია ეს? არაა ჩემი უბედური ცოლის
ბრალი? გარეთაა და, ძაფსაღებში ვმუშაობ დაზგების
შემკეთებელ-მეთვალყურედ, არ იცი ჩვენი ამბავი?
ამხელა საამქროში მოიშლება რაღაც, აბა რა იქნე-
ბა, ძველდება რკინა, ბატონო. გაჩერდება მქსოველი
და დაიწყობს უკან ხელებს: „არიქა პაჭულია!“ დამ-
არბენინებენ წინ და უკან. გაცდება დაზგა და ჩემს
მეტი არავინაა პასუხმგებელი, მე მომკიდებენ ყურში
ხელს. მე შენ გეტყვი, ყუთებით მიწყვია სათადარიგო
ნაწილები. ჩემი ხელით ვჩარხავ და ვაკოწიწებ რაღა-
ცას.

რაღა გავაგრძელო, ამ თვე-ნახევრის წინ ჩავიდევი
სიმწრით ნაგროვები ხუთასი მანათი და წამოვედი
აქეთ. წყლული მაქვს-მეთქი, მოგახსენეთ. წყლული
კი არა, კიბო რომ არ მჭირს არ გიკვირს? ბევრი ვუ-
ცადე საგზურს, ბევრი ვუწრუწუნე ჩვენს ადგილკომს,
მაგრამ ვინ გაღირსა, ვის დაეკარგე, შენს კუჭის
წყლულს ტირის ხიჯავაძე, მეტი არა აქვს საქმე. ხო,
ჩემო ბატონო და ვაგონში ქე ამაფცქვნა ვიღაცა არ-

დასაცალებელმა ჩემი დასვენების ფული. პიჯაკი
მეკიდა კუპეში. პიჯაკი ქე დოუტოვებია და ფული
გოუყოლებია ხელს. რა ვიცი ვინ წაიღო. სამტრედი-
ამდე რვა კაცი შემოვიდა და გავიდა. ხელებში ხომ
არ მიაჩერდები, ვინ შემოდის და ვინ გადის. ასე რომ
სამი მანეთით ჩამოვედი ამ დაბაში. აქანა სამი მანეთი
კი არა, ჩემი ხუთასი მანეთიც არაფერს მიზამდა, ისე
იხარჯება ფული. ყველას ხელი აქვს გამოწვდილი.
ყველა შოვნაზეა გადასული. არა და უკან დაბრუნება,
გითხრა სიმართლე, ქე შემრცხვა. დაბრუნდი ახლა
ქუთაისში ამხელა კაცი და მომპარეს ფული-თქვა,
გამოაცხადე. ცოლმა რომ არაფერი გითხრას, მეზო-
ბლებში ხომ მოგეჭრა თავი, მე შენ გეტყვი, ენა არა
აქვს პირსახოცივით მხარზე გადაფენილი სუყველას.
ჯერ მივიარ-მოვიარე პატარა, გევიკითხ-გამოვიკითხე,
ნაცნობი არავინ შემხვდა და უცნობი ვინ გასესხებს
ფულს, ვინ გენდობა. იქეთ მივდექი, აქეთ მოვდექი,
გადავხედ-გადმოვხედე საქმეს და გავიწყვიტე შუბ-
ლზე ერთი ძარღვი. ის ძარღვია თურმე რომ გაკავებს,
მეტი არაფერი. რავარცხა იქნება უნდა გავიტანო თა-
ვი-თქვა, ვუთხარი ჩემს თავს. ამ პანსიონატს დავადგი
თვალი, შევედი და დირექტორს მივაჩეჩე ჩემი პასპორ-
ტი ხელში, ახალდანიშნულია, კაი ბიჭი, სხვათა შო-
რის, აღმასკომიდან გადმოუყვანიათ, წესიერი კაცია,
ჯერ არა აქვს ნასწავლი სიგლახე. ქუთაისიდან გამო-
მიშვეს, ვუთხარი, ქალაქკომმა იცის ეს ამბავი-თქვა.
მანქანების სადგომი რომ არაა ამხელა კურორტზე,
ჩივიან დამსვენებლები და ამაზე გამომიშვეს-მეთქი,
გამომიყავი ახლავე ტერიტორია და სანამ ავტოსად-
გომს გააკეთებდნენ, დროებით იქ დავაყენოთ მანქა-
ნები-მეთქი. კი მაგრამ შტატი რომ არ მაქვს მანქა-
ნების დარაჯისო? რამდენი ეღირება სადღეღამისოდ

რომ არ ვიცი არაფერიო? შენ მაგას ნუ დარდობ, – მე ვუთხარი, – გამომიძებნე პატარა ოთახი სადმე, მე ვუდარაჯებ მანქანებს უფასოდ-მეთქი. შენ აგაშენა ღმერთმაო, დამსვენებლების ჩიჩინს რომ გადავრჩები, მარტო ეს რად მიღირსო. ოთახი ვერ მოძებნა, მაგრამ უკან, ფინურ ბინაში მზარეულთან ერთად შემასახლა. დღე მაინც აგერ ერთად ვზივართ ყველანი და ღამე რად უნდა დარაჯი მანქანას. აქ ვინ ამოვა მოსაპარავად. ყოველ დილას სულ ცოტა ოცმანეთიანი ვარ, შაბათ-კვირას მეტია. მანეთს იძლევიან ღამეში. ისე უყარაულა შენმა დამაწყევარმა, მე რომ ამ მანქანებს ვყარაულობ, მაგრამ დამსვენებელს გული მაინც დამშვიდებული აქვს. პატარა ფული რომ მოვაქუჩე, საგზურის ფასი გადავუხადე პანსიონატს და ახლა ამ პირველ კორპუსში ვარ მესამე სართულზე, ნახევრადლუქსში გაჭიმული. ვუშავებ ვინმეს რამეს? ხომ საჭირო იყო ავტოსადგომი, ხომ უკეთესად გამოიყურება ჩემი აქ ჩამოსვლით კურორტის მომსახურება? აბა, რა გინდა მეტი. მე უფასოდ ვდარაჯობ, ასე მაქვს ნათქვამი ყველასთვის. სადღეღამისო ავტოსადგომი უფასოდ, ამის გარდა გინახავს სადმე? იქეთ არავის ვთხოვ ფულს, მაგრამ მაძლევს ის კაცი და არ გამოვართვა? ახლა მეორე ამბავი. ექსკურსიების ამბავი, როგორცაა ჩვენთან, საერთოდ, მოგეხსენება. არა და ყველას უნდა უღელტეხილის დათვალიერება. აქ ჩამოვიდა კაცი და რაღაც ოცდაექვს კილომეტრზე არ დაათვალიეროს უღელტეხილი? სანატორიუმ „ტრაპიზონის“ ავტობუსს პარასკევობით გამოსასვლელი დღე აქვს. მივედი შოფერთან. არავინ არ დაგახრჩობს მაგისთვის შენ, მოგიგროვებ ხალხს და გაასეირნე პარასკევს უღელტეხილისკენ-მეთქი. დამთანხმდა კი არა სიხარულისგან ტაშიც შემოჰკრა. ახლა, ყოველ

პარასკევს მიჰყავს ექსკურსანტები. ვინ მიდის? არ გეხვეწებიან? სია არა მაქვს შედგენილი სამი კვირის წინასწარ? სამასამდე კაცი ხომ მაინც ისვენებს მთელ დაბაში. ყველას უნდა წასვლა. ხუთ მანეთად დიდები მიჰყავს, სამ მანეთად პატარები. ოცდაოთხკაპიკიანი ავტობუსით მინიმუმ ას მანეთს იდებს ჯიბეში. თუმანს მე მაძლევს ხალხის შეგროვებისთვის. თუმნის ბენზინი, ვთქვათ, თუმცა ბენზინი უფასო აქვთ მაგენს. რვა თუმანი ხომ რჩება ხელზე? პატარა საქმეა? კიდევ გეტყვი: სამი ებრაელი ფოტოგრაფია ამ დაბაში. ჩემზე ამოსდით მზე და მთვარე. რატომ, იცი? გავივლით თუ არა ასე ჯგუფად დამსვენებლები, ერთს ვეტყვი, გადავიღოთ სურათი სამახსოვროდ-მეთქი. ათიდან ერთი თუ იტყვის უარს. უღელტეხილზე წასვლის წინ ექსკურსანტებისთვის ავტობუსთან ერთად სურათს გადავაღებინებ იოსკას ან გაბრიელს, ჩამოსვლისას მეორეს. არ იქნებიან ჩემი მადლიერი? ჩემს სურათს ხომ უფასოდ მაძლევენ, ერთმა მათგანმა გუშინწინ საჩუქრად უნგრული პერანგი მომიტანა.

ასე ვცხოვრობ, ჩემო ბატონო. თვე-ნახევარია აქ ვარ, კიდევ თხუთმეტ დღეს დავრჩები. თან ვმკურნალობ, თან თავსაც ვირთობ ცოტას, დრო რომ გავიდეს. ვაშავებ რამეს? მითხარი შენ? შენ დაგიჯერებ. აქვს ახლა მილიციას ჩემთან საქმე? პირიქით, მთავრობამაც მადლობა უნდა მითხრას და დამსვენებლებმაც, თურმე, თუ თავს გაანძრევ, მთლად გლახა თუ არა ხარ, ყველგან გაიტან თავს კაცი.

დამცინიან ახლა ამნაირები თავის ჭკუით. ქირქილებენ რაღაცას. „პაჭულია ასთე და პაჭულია ისთეო“, ყველამ თავის ჩაშავებულ საქმეს მიხედოს. პაჭულია არ დაიკარგება იმნაირ ქალაქში და იმნაირ ხალხშია გაზრდილი.

ر ო ბ ი ნ – რას იტყვით თქვენთან ფასების ზრდის შესახებ?

გ ე ნ ო – თქვენთან კაპიტალისტურ სამყაროში ფასების ზრდა ეკონომიკური კრიზისის მაჩვენებელია. ჩვენთან კი მშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვის გამოხატულება. დიახ, ფასების მომატება ჩვენში საბჭოთა მოქალაქეების მოთხოვნით ხდება.

ვ ი ლ ი – მე მითხრეს, რომ თქვენს ქვეყანაში სამასორმოცდაათი კაცი პოლიტიკური ლაყბობისათვის დღემდე ციხეშია.

ლ ე ო (აღშფოთებით) – ეგ კი მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა! სამასორმოცდაათი კი არა, სამასორმოცდაშვიდი!

ტ ო მ – რა აზრისა ხართ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის სამი ვადით არჩევაზე?

სანამ სხვები გონს მოვიდოდნენ, მოშე წამოხტა.

მ ო შ ე – რა საჭიროა სამი ვადა. საქმის გასაფუჭებლად ერთი ვადა სავსებით საკმარისია!

ტაშსა და გრიალ-სიცილში ტომი მიკროფონით ხელში წინ გამოდის და აცხადებს.

ტ ო მ – რეკლამა რეტრო-შეჯიბრი!

სცენაზე გაიმართება ამერიკული ძველი და თანამედროვე, ქართული ძველი და თანამედროვე ცეკვებისა და სიმღერების ფიერვერკი. დელეგაციები ერთმანეთს ეჯიბრებიან პაროდირებული, ჰიპერბოლიზებული სიმღერებისა და ცეკვების შესრულებაში. გუნდები ერთმანეთს ცვლიან: ამერიკულ ცეკვას ცვლის ქართული ცეკვა, ამერიკულ სიმღერას, ქართული სიმღერა. ქართულ სახასიათო სიმღერებში შეიძლება შევიდეს „კეკელა და მარო“, „მარებელი“, „ჭიჭე ტურა“ და სხვა. ბოლოს ორივე დელეგაცია, ერთმანეთში არეული, ავანსცენაზე გამოდის და მაყურებელთა პირისპირ დგება.

გ ი ო რ გ ი – ჩვენ ჩვენი გასაჭირი კარგა ხანს შეგვრჩება. სანამ საბოლოოდ ავიღებდეთ ხელს, სოციალიზმის სამ-ოთხ ვარიანტს კიდევ ავაშენებთ, მერე ან ვირის, ან პატრონის ანდაზისა არ იყოს, სხვა რამ გამოჩნდება, კაცობრიობას სხვა იდეალი გაიტაცებს. ადამიანი ისეთი მოუსვენარი არსებაა, მცდარი შეხედულებებისა და ხორცშესხმული თეორიების გარეშე არსებობა არ შეუძლია.

რ ო ბ ი ნ – როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ, რომ გულახდილობისა და საჯაროობის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება ისევ იმათ მიანდეთ, ვისაც დესპოტიზმის და დათრგუნვის ცხრაკლიტულთა გასაღებები ედო ჯიბეში.

კ ა კ ო – როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ, არდასმენა გმირობასთან იყო გატოლებული და სერიოზულად დაგვჭირდა კანონით საზოგადოების გაფრთხილება: ნუღარ გაირჯებით, ანონიმურ წერილებს აღარ წავიკითხავთო.

ვ ი ლ ი – როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ რომ უდანაშაულო ერთა და ეროვნებათა გათქვეფა-შერწყმა-შეერთება პროგრამით დაისახეთ მიზნად და ათეული წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდით მცირე ერთათვის გამოტანილი ეს სასჯელი სისრულეში მოგეყვანათ.

გ ე ნ ო – როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში როცა შეიტყობენ, რომ მეცნიერის მიერ დაცული დისერტაცია და ალპინისტის მიერ აღებული მწვერვალი დისერტაციად და მწვერვალად არ ითვლებოდა, თუ მას მეორიათასე კილომეტრზე, დედაქალაქში არ დაამტკიცებენ.

ლ ე ო – როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა გაიგებენ, რომ ჩვენი ქვეყანა ორადაა გაყოფილი:

ტელევიზორში გამოსაჩენ – დაბანილგოჭებიან, სავსე ვიტრინებიან და კმაყოფილი სახის ადამიანებიან ქვეყნად და გამსრეს საბაზრო ფასებიან, ძნელადსაშოვნ კონსერვებიან და მხოლოდ სიზმარში გამოცხადებულ ხიზილალიან ქვეყნად, სადაც შეიძლება შიმშილით ამოგხდეს სული, თუ შინ სპეცმაღაზიაზე მიწერილი ომის ვეტერანი არა გყავს.

გ ი ო რ გ ი – როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა შეიტყობენ, რომ ჩვენს სხდომებსა და თათბირებზე კარგა ხანია მოვხსენით მსოფლიო ლაყბობის ყველა რეკორდი და ერთმანეთთან ცა და მიწასავით დაშორეუბლი უსაქმო გამოსვლების თანმიმდევრობას სიყვარულით „კამათს“ ვეძახით.

ბ ე ნ ო – როგორ გაეცინებათ ოცდამეხუთე საუკუნეში, როცა გაიგებენ, რომ წინამძღოლად ამოჩემებულ კაცს იმ რაიონს ავარჩევინებდით, სადაც იმ ასარჩევ პიროვნებას არათუ არავინ იცნობდა, იქ ექსკურსიაზეც კი არ იყო ნამყოფი, და მერე აღტაცებულნი გავყვიროდით, ბედნიერი ვართ, რომ დაგვთანხმდა, ჩვენს ოლქში კენჭისრაზეო.

ლ ე ო (წინ გამოდის მიკროფონით ხელში). საერთოდ რად ავიტეხეთ ეს ტელეხიდი, ხათაბალაა და მეტი არაფერი. ხომ არ აჯობებდა, ტყუილების თქმაში გასავარჯიშებლად ჯერხნობით შინაური ტელეხიდები მოგვეწყო?!

ტაში, ზეაწეული საფინალო მუსიკა.

უფანდურიდ ნამღერი

ტრაგიკომედია ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

მ ა მ უ კ ა უ ფ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი
რ ა მ ა ზ თ ა ყ ა შ ვ ი ლ ი
ჰ ა ნ ც კ ა ნ ც ვ ე რ ბ ე რ გ ი
პ ო რ უ ჩ ი კ ი
რ ა უ შ ტ რ ა უ ბ ე ნ ბ ე რ გ ი
ყ ა ფ ლ ა ნ ს ა რ ა ჯ ო ვ ი
ნ ო შ რ ე ვ ა ნ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი
ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე
გ რ ი გ ო ლ ბ ა ქ რ ა ძ ე
მ ა რ ი ა მ ი
გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს თ ა ნ ა შ ე მ წ ე

პირველი მოქმედება

ჩაბნელებულ სცენას ნელ-ნელა ეპარება ცისფერი ციაგი. უეცრად სიჩუმეს მატარებლის კივილი და ბორბლების რახრახი არღვევს. თითქოსდა სადღაც მატარებელი ჩერდება. სცენის სიღრმეში ჯერ ატორტმანებული კუბო გამოჩნდა. კუბო ნელა მოიწევს წინ და მალე გამოიკვეთებიან ისინიც, ვისაც კუბო მოაქვს. სამგლოვიარო მუსიკა. კუბოს მოჰყვება თავდახრილი რამაზ თაყაშვილი. რამაზს სამი შავფრაკიანი მამაკაცი შორიახლო მოაცილებს. კუბო ჩამოდგეს. პროცესია ბაქანზე გამწკრივდა.

ჰ ა ნ ც ი (რამაზს) – მაქვს პატივი მოგესალმოთ, საბაჟოს უფროსი ჰანც კანცვერბერგი.

რ ა მ ა ზ – გმადლობთ.

ჰ ა ნ ც – მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა, მოწყალეო ხელმწიფევ.

საბაჟოს უფროსმა ხელი მაგრად ჩამოართვა. რამაზმა მადლობა გადაუხადა და, მიუხედავად იმისა, რომ აქ დადგენილი ცერემონიალის მიხედვით, მისგან ზედმეტი სითამამე იყო – უფროსის ამალასაც ჩამოუარა და „გმადლობთ, ჩემო ბატონო, გმადლობთ, შენი ჭირიმეს“ ბუტბუტით ყველას ჩამოართვა ხელი.

ჰ ა ნ ც – ნება მიბოძეთ, გკითხოთ, კავკასიაში მიბრძანდებით?

საბაჟოს უფროსს რბილი, ხორხისმიერი ხმა აქვს.

რ ა მ ა ზ – დიახ.

ჰ ა ნ ც – ჩემს ცნობისმოყვარეობას მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს; გზაში ერთ კვირას მაინც იქნებით, მიცვალებული ხომ კარგად არის მოვლილი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ბალზამირებულია თუ არა?

რ ა მ ა ზ – ვერ გეტყვით, კუბო არ გამიხსნია. (რამაზმა საბაჟოს მოხელეს თვალებში შეხედა).

ჰ ა ნ ც – ?!

რ ა მ ა ზ – განსვენებული, სულ მცირე, სამასი წლის მკვდარი მაინც არის.

ჰ ა ნ ც – გასაგებია (საბაჟოს მოხელეს სახეზე ძარღვიც არ შეტოკებია, თუმცა ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა იყო ეს სამასი წლის მკვდარი ამ საშუალო ტანის, მკვირცხლთვალება, პირმრგვალი მამაკაცისათვის, ან რა მოსაზრებით შეეწუხებინა ნეშტი ამხელა გზაზე საჯაჯგუროდ).

რ ა მ ა ზ – თუ თქვენში რაიმე ეჭვს იწვევს ჩემი ტვირთი, შეგიძლიათ გახსნათ სარკოფაგი (სიჩუმე რამაზ თაყაშვილმა დაარღვია, მაგრამ მაშინვე ინანა, ჰანს კანცვერბერგს აღელვება მხოლოდ ხმის ათრთოლებაში შეეტყო).

ჰ ა ნ ც – თქვენ ხუმრობთ, ბატონო მგზავრო. მართალია, ავსტრია-უნგრეთს მკაცრი სასაზღვრო წესების სახელმწიფოდ თვლიან, მაგრამ ჯერ იქამდე არ მივსულვართ, მიცვალებული გავჩხრიკოთ.

საბაჟოს უფროსმა თეთრი ხელთათმანები გაიკეთა და მოაჯირს მიყრდნობილ ოთხ გოლიათს საჩვენებელი თითის მოკეცვით უხმო.

ჰ ა ნ ც – გთხოვთ (კონცვერბერგმა რამაზი წინ ჩაიყენა და პროცესია მატარებლისკენ დაიძრა).

რამაზ თაყაშვილი ხელდაკრეფით მიჰყვება კუბოს და ზურგს უკან საბაჟოს თანამშრომლების ფრთხილ, მოზომილ ნაბიჯებს გრძნობს.

კუბო საფოსტო ვაგონში შეაცურეს, ჭირისუფალი თავის კუპემდე მიაცილეს, ერთხელ კიდევ ჩამოართვეს ხელი და მატარებლის დაძვრის მოლოდინში გაირინდნენ.

მატარებელი დაიძრა. მატარებლის დგანდგარი ნელ-ნელა მატარებლის სრბოლის მუსიკალურ ლაიტმოტივში გადადის. თითქოსდა სცენაც ვაგონივით ირწევა. ვაგონი ლურჯი ციაგითაა განათებული. დროგამოშვებით (როცა ვაგონი ნათურასთან გაივლის) სინათლე შემოიჭრება. სინათლე ხან ნარზე გულაღმა მწოლ რამაზ თაყაშვილს გადაუვლის, ხან მამუკა უფლისაშვილის კუბოს. უეცრად სარკოფაგის თავი შეინძრა. მიცვალებული ზეაღიმართა. თეთრტანსაცმლიანი მამუკა უფლისაშვილი საიქიოდან მობრუნებულს ჰგავს. ფერიც არაამქვეყნიური აქვს და ხმაც. რამაზ თაყაშვილი წამოხტა, ჯერ კედელს მიეყრდნო, მერე მუხლებზე დაეცა.

რ ა მ ა ზ – მაპატიეთ, თქვენო უწმინდესობავ!

მ ა მ უ კ ა – რა გაპატიოთ, შვილო ჩემო?

რ ა მ ა ზ – რომ შემეშინდა და ხელი მიკანკალებს.

მ ა მ უ კ ა – ამჟამად სახე ჩემი მე თვითონვე შემაშინებდა. ესეც არ იყოს, შენ ხომ არასოდეს გინახავს ვენეციელი ხიზანი – მამუკა უფლისაშვილი.

რ ა მ ა ზ – სწორედ ასეთად წარმომედგინეთ.

მ ა მ უ კ ა – ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვგავართ.

რ ა მ ა ზ – ღვთის მონები?

მ ა მ უ კ ა – ქართველნი (თავის კუბოზე ჩამოჯდება).

რ ა მ ა ზ – მომიტევეთ კადნიერება, რომ თქვენი ნეშტი შევაწუხე და სამშობლოს განსასვენებელს გამოვუყენე.

მ ა მ უ კ ა – სამშობლომდე ჯერ დიდი გზა გვაქვს. მზადა ხართ?

რ ა მ ა ზ – რისთვის?

მ ა მ უ კ ა – განსაცდელთათვის. ჩემი ცხედარი რომ შეგამთხვევთ, შინაც, გარეთაც.

რ ა მ ა ზ – რა ბრძანებაა, საქართველოში მკვდრები ძალიან უყვართ. და მით უმეტეს, თუ მიცვალებულის თავი ეკლის გვირგვინით შეუმკიათ უკეთურ კაცთა. სამშობლოს მიწა ყველას ეკუთვნის.

მ ა მ უ კ ა – სამშობლოში თავისუფლად ყოფნის უფლება უფრო დიდი ბედნიერება იქნებოდა.

რ ა მ ა ზ – ოღონდაც, მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, რა სულთქმაა დღეისდღის ქართლში. როგორ უყვართ და როგორ იბრძვიან.

მ ა მ უ კ ა – ჩვენი ბუნება ისე ძველია და ისე მყარი. ვეჭვობ, სამას წელს შეეცვალა ზნე და არსი ქართლოსიანთა.

რ ა მ ა ზ – თქვენ შეჭირვებული, ქანცმილეული ქვეყნის ყარიბი მწირი წახვედით და იმპერიაში ბრუნდებით.

მ ა მ უ კ ა – მეც ეგ მაშინებს. რაკი ქართლის დიდებულთა ნაბიჯებს და ნამოქმედარს ურდოში სწონიან, ჩემთვის ღიმილსღა გაიმეტებენ და ისიც ცალყბად, ე მანდ არავინ შეგვამჩნიოსო.

რ ა მ ა ზ – გაგიბედავთ შეკამათებას. თქვენი დაბრუნება უძვირფასესი მოვლენაა საქართველოსთვის.

მ ა მ უ კ ა – მაგასაც ვნახავთ. რომ იცოდეთ, როგორ არ მინდა გული გატკინონ კარიერის კიბეზე მთვლემართ. ვისაც მამული მეწველ ფურად უცვნია, ქვეყანა ჯვრებზედ გაუყიდია და იმპერიის ლაქიის მანტია მოუსხამს მოძმეთა მოსათოკავ-მოსაღორებლად.

ვაგონის კარზე კაკუნი გაისმა.

მამუკა უფლისაშვილი კუბოში ჩაწვა და სარკოფაგის თავის დახურვაში რამაზიც წაეშველა. ვაგონის კარი გაიღო. კუპეში ულვაშგაწკეპილმა პორუჩიკმა შემოჰყო თავი.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ დამტკიცებული საბაჟოს წესების მიხედვით მგზავრებს ეკრძალებათ ვაგონიდან უნებართვოდ ჩამოსვლა! (რამაზს მიუბრუნდა).

– ბატონი მაყაშვილი?

რ ა მ ა ზ – დიახ (რამაზმა ლოყებს ხელები მოაცილა და წამოდგა).

პ ო რ უ ჩ ი კ ი – თქვენი ბარგი სულ ეს არის?! (პორუჩიკმა ტყავის ყვითელ ჩემოდანზე მიუთითა).

რ ა მ ა ზ – არა, თან კუბო მიმაქვს (ყურები გაუწითლდა რამაზს).

პ ო რ უ ჩ ი კ ი – ვიცით, ვიცით. თქვენი წოდება?

რ ა მ ა ზ – ტახტის აზნაური (რამაზს გაეცინა), საგანგებო მინდობილობათა მესამე რანგის მოხელე ამჟამად.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – საქმიანობა?

რ ა მ ა ზ – კომერსანტი გახლავართ. ევროპაში ფოტოსაქმის ლიტერატურისა და ფოტოაპარატების შესაძენად ვიყავი წასული.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – ეროვნება?! (ხელისუფლების წარმომადგენელი სიცხიანივით ისვრის სიტყვებს, გეგონებათ, მგზავრის პასუხი არ აინტერესებსო).

რ ა მ ა ზ – ქართველი (მიუგო რამაზმა და არწივის-ღერბიანი პასპორტი კუბოზე დადო). იმპერიის სრულუფლებიანი მოქალაქე.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – კიდევ კარგი, რომ ჩემი მორიგეობის დროს მოხვდით, თორემ შეიძლებოდა ეს საქმე ცუდად დამთავრებულიყო (პასპორტი ხელისგულზე გაატყაპუნა), რისკიანი ხალხი ხართ. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ კუბო ვერაფერი კონსპირაციაა კონტრაბანდის გადმოსატანად?

რ ა მ ა ზ – მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არათუ თქვენს მონა-მორჩილს, ჩემი გვარის ვერც ერთ წარმომადგენელს ვერ იხილავთ ვაჭრუკანა-კონტრაბანდისტის როლში. (რამაზ თაყაშვილი წელში გაიმართა. საბაჟოს მოხელეს აშკარად შეეტყო, რომ ეწყინა. არც მგზავრის ამაყი კილო მოეწონა და არც იმის შესაძლებლობა, რომ კუბოში მართლა შეიძლებოდა მიცვალებული ყოფილიყო).

პ ო რ უ ჩ ი კ ი – გაფრთხილებთ, სანამ ამ ოთახში მესამე პირი არ არის, შეგვიძლია ერთმანეთს ვენდოთ, როცა ჩხრეკას დავიწყებთ, თუნდაც უმნიშვნელო საბაჟო ცუღლუტობისთვის უმკაცრესად დაისჯებით.

 რ ა მ ა ზ – მესმის.

ჩინოვნიკმა მაგიდასთან მიირბინა და ზარი ააჟღარუნა.

ჩხრეკა დიდხანს გაგრძელდა.

ჯერ რამაზი დააყენეს ოთახის შუაგულში და სთხოვეს ყველაფერი გაეხადა.

კვართ-საწმერთულის ამარა, ფეხშიშველი იდგა ცივ იატაკზე ტახტის აზნაური და მაგიდის გასწვრივ, კედელზე, ვიტტეს ლამაზ პორტრეტს შესცქეროდა.

რომ იტყვიან, საფისტონე ჯიბიანად გაჩხრიკეს, ლანჩასაც კი უტყაპუნეს ჩაქუჩი. მერე ჩემოდანი გადმოაპირქვავეს და საეჭვო იქაც რომ ვერაფერი იპოვეს, გულდაწყვეტილმა პორუჩიკმა ხელები გაიფერთხა და უბრძანა, ჩაეცვა და ჩემოდანიც ჩაელაგებინა.

ჯერი კუბოზე მიდგა.

ფანჯარას მიმდგარ რამაზს დიდხანს ესმოდა სპილენძის ზარის რეკვა. კუბოს მოხვედრილი ჩაქუჩის ექო დიდხანს წრიალებდა ოთახში და, საჰაერო სარკმლიდან გამძვრალი, შორს, ჰორიზონტთან, თეთრი ეკლესიის გუმბათზე იშლებოდა.

ერთადერთხელ მოიხედა და ასეთ სურათს წააწყდა: საბაჟოს ვირთხისთავა უფროსი ტაბურეტზე შემდგარიყო და თავახდილ კუბოში ლუპით იხედებოდა.

რამაზი შეზარა ამ სანახაობამ. მიცვალებულის წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო, ცივ მინას შუბლით მიეყრდნო და სანამ არ უხმეს, არ შემობრუნებულა.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – ვინ არის განსვენებული?! (საბაჟოს მოხელე ბატის ფრთას ჩუქურთმიან სამელნეში წამდაუწუმ ასველებდა და რაღაცას წერდა).

რ ა მ ა ზ – მეთექვსმეტე საუკუნის ქართველი მოღვაწეა, მამუკა უფლისაშვილი (მშვიდად მიუგო რამაზმა).

პ ო რ უ ჩ ი კ ი – სად იყო დამარხული?

რ ა მ ა ზ – ვენეციაში.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – რატომ?

რამაზმა შეკითხვა ვერ გაიგო.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – როგორ მოხვდა-მეთქი ვენეციაში?

რ ა მ ა ზ – ვერ გეტყვით. მე პირადად მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცი. საეკლესიო გამოკვლევებს და საგალობლებს წერდა. სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი თუ იტალიაში იყო დამარხული. ერთ მისიონერს შემთხვევით წამოცდა, აქ, სხვათა შორის, ბოკაჩიოს მეოთხე წყალქუჩაზე ქართველი კაცის საფლავიაო. დავინტერესდი, ხუთი დღე ველოდე ზღვის უკუქცევას. წყალმა რომ დაიკლო, ჯვარი გამოჩნდა. ჯვარზე, ქვემოთ ფირფიტა იყო გაკრული და „მამუკა უფლისაშვილი“ ეწერა. მამუკა უფლისაშვილის სახელი ყველა ჩემმა თანამემამულემ იცის. რაკი სამშობლოში მისი გადასვენების განზრახვა ჩავიდე გულში, არ მოვეშვი. ჩემი საქმეები განზე გადავდე და შევები. ნებართვის მისაღებად რომის პაპთან მისვლაც დამჭირდა. ბოლოს, როგორც ხედავთ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – რა ნათესაური კავშირი გაქვთ მიცვალებულთან?! (ეტყობოდა, რამაზის მიერ მოთხრობილმა ამბავმა საბაჟოს მოხელე სრულიადაც არ დააინტერესა).

რ ა მ ა ზ – მე... (რამაზმა ხელისგული მოისრისა) არაფერი.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – მაშ, რა მიზნით მოასვენებთ ცხედარს?

რ ა მ ა ზ – უბრალოდ, ქართველი კაცია და...

პ ო რ უ ჩ ი კ ი – როგორ! (იმპერიის საზღვრის დამცველი ფეხზე წამოდგა) დადიხართ ასე ევროპაში ქართველები და თუ სადმე ქართველის საფლავს ნახავთ, ამოთხრით და სამშობლოში მიარბენინებთ? კარგი გართობაა, ჩემმა მზემ!

რ ა მ ა ზ – ეს უბრალო ქართველი არ გახლავთ (რამაზს სიბრაზისაგან პირი გაუშრა), დიდი ქართველი მამულიშვილი და მეცნიერია.

პ ო რ უ ჩ ი კ ი – მით უმეტეს! შენ გგონია, დიდი პატივი ეცი, მიწიდან რომ ამოთხარე?! (ვირთხისთვალებამ გაცინება სცადა და წინ გამოშვერილი სამი კბილი შემზარავად გამოაჩინა). ვენეციაში დამარხვა ხუმრობა საქმე ხომ არ გგონიათ? ვინ მოგცათ ნება მიცვალებულის წინაშე ასეთი მკრეხელობა ჩაიდინოთ? საქართველოში დამარხვა რომ სდომებოდა, თვითონ იზრუნებდა ამაზე სიცოცხლეში. არ მიატოვებდა თქვენ ქვეყანას და ვენეციაში არ ამოყოფდა თავს. დამიხედეთ ამას! ახალი პროფესიის კაცი – მკვდრების შემგროვებელი!

რამაზ თაყაშვილი მიხვდა, რომ საბაჟოს მოხელე შარზე იყო და გაჩუმება არჩია. სწორედ ამ სიჩუმემ გაჭრა. ვირთხის ნათესავმა წერა დაამთავრა. ვერცხლის ბუდეში ჩადებული კვერისხელა ბეჭედი დააძრო, ქაღალდს სამ ადგილას გაუტკაცუნა და ოთახიდან გასვლისას ქართველ კომერსანტს ყბის კანკალით აუწყა:

პ ო რ უ ჩ ი კ ი – არა, არა! თქვენ თქვენსას არ მოიშლით. თქვენ თქვენსას არ მოიშლით. ჩემი საქმე რომ იყოს, ჩემი საქმე რომ იყოს!.. (შეჩერდა, ხელი ჩაიქნია და სწრაფი ნაბიჯით გაყუნცულდა ოთახიდან).

საუწყებო საქმეთა ვიცე-გუბერნატორის რაუშ ფონ ტრაუბენბერგის კაბინეტი.

თ ა ნ ა შ ე მ წ ე. კვლავ რამაზ თაყაშვილი გეახლათ.
რ ა უ შ – უთხარით, რომ არა ვარ.

თანაშემწეს გაეცინა.

თ ა ნ ა შ ე მ წ ე. იცის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ეტლიდან გადმოსვლისას დაგინახათ. დღესაც აქ დააღამებს. იქნებ აჯობებს, მიიღოთ და მოიშოროთ.

რ ა უ შ – მიიღოთ, მამა გიცხონდება, შენთვის ადვილი სათქმელია! – სთხოვეთ!

კარი რომ გაიღო, ტრაუბენბერგი წამოდგა და კომერსანტისკენ ხელგაშლილი წავიდა.

რ ა უ შ – ოო, მობრძანდით, ბატონო თაყაშვილო. თქვენ ახლა ყველაზე სასურველი სტუმარი ბრძანდებით. მაპატიეთ, რომ გალოდინეთ. თანაშემწემ დროულად არ მომახსენა. დაბრძანდით, მგზავრობამ ხომ არ დაგღალათ?

მამა არ შეხვდება ასე დიდი ხნის უნახავ შვილს.

გაბადრული თაყაშვილი უხერხულობის გასაფანტავად ხელებს მუხლებზე ისვამს, გაეგონა, ვიცე-გუბერნატორი თვალთმაქციაო, მაგრამ თუ ამხელა მელა იყო, არ ეგონა.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვახარეთ. თქვენ ნამდვილი გმირი ხართ. ჩვენი დღეების გმირი. სამასი წლის შემდეგ მამუკა უფლისაშვილს თავისი სამშობლოს მიწა მიიბარებს. ეს ხომ ზღაპრის ახდომას ჰგავს. ეს ხომ ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო. გაგიჭირდათ საფლავის მიღება?

რამაზმა გაიფიქრა, ამან თუ ასე ილაპარაკა, ისე გამიტყუებს კარებისკენ, რომ სიტყვას არ ჩამაგდებინებსო და საქმეზე გადავიდა.

რ ა მ ა ზ – ჩემი გაწვალება რა ანგარიშში ჩასაგდებია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩემ ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა. ახლა თქვენი შეწევნით, ამ ძვირფას ნეშტს სათანადო პატივისცემა და დაკრძალვა უნდა.

ვიცე-გუბერნატორს არ ესიამოვნა, რომ ასე ჩქარა ალავერდს მისკენ გადავიდნენ.

ر ا ي ش – რასაკვირველია, რასაკვირველია... კერძოდ რა გაქვთ მხედველობაში?

ر ا م ا ز – ორი მთავარი საკითხი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ: საიდან გამოვასვენოთ და სად დაიკრძალოს.

ر ا ي ش – მე რა შუაში ვარ? (ეს უკვე აღარ იყო ტრაუბენბერგისეული ეშმაკობით ნათქვამი. ვიცე-გუბერნატორმა წყენა ვერ დამალა და წამოდგა, თუმც იქვე სცადა ავყიად წამოსროლილი სიტყვის გამოსწორება). მე, რაც შემიძლია. ერთი სიტყვით, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი...

რამაზ თაყაშვილი მიხვდა, რომ გაიძვერა მოხელე ფონს ეძებდა და გზა გადაუჭრა.

ر ا م ا ز – მოგეხსენებათ, დაკრძალვისა და ქორწინების საკითხები უშუალოდ თქვენ კომპეტენციაში შედის.

ر ا ي ش – საერთოდ კი... რასაკვირველია... მაგრამ ეს კერძო შემთხვევა გახლავთ... ეს უბრალო დაკრძალვა არ არის... სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო...

ر ا م ا ز – ??

ر ا ي ش – როცა ასეთი საქმე გადაწყვიტეთ, უნდა შეგეთანხმებინათ, რომ იტყვიან, საქმის კურსში უნდა ყოფილიყო ქალაქის დეპარტამენტი. თქვენ ფაქტის წინაშე დაგვაყენეთ. ეს მთლად კარგი ვერ არის (ვიცე-გუბერნატორი წყენას ვერ მალავს).

ر ا م ا ز – მართალი ბრძანდებით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მაგრამ მე ხომ წინასწარ არ ვიცოდი. იქვე იტალიაში შემთხვევით გავიგე. მოგეხსენებათ, შეთანხმების და მოთათბირების დრო არ იყო. ახლა, ავად თუ კარგად, საქმის ნახევარი გაკეთებულია. უკანდასახევი გზა არა გვაქვს – მიცვალებული მიწას უნდა მივაბაროთ.

ر ا ي ش – საქმეც ისაა, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ უკანდასახევი აღარ გვაქვს. ამას სხვანაირი განსჯადაფიქრება უნდა. დაკრძალვამ საშიში ფორმები რომ მიიღოს?! ხალხს ისედაც ბუნტისკენ უჭირავს თვალი, წუმწუმის ალიც საკმარისია და დემონსტრაციად გადაიქცევა თქვენი უფლისაშვილის დაკრძალვა, მერე თქვენ განზე დადგებით, პასუხს კი მე მაგებინებენ.

ორივენი სდუმან.

ر ا م ا ز – დაყოვნება იქნებ უარესი იყოს ამ საქმისათვის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. გარწმუნებთ, დაკრძალვას საშიში მიმართულება არ მიეცემა. ქალაქი დაიტირებს თავის წინაპარს. იქნებ უკეთესიც იყოს. სამასი წლის ცხედართან გამართული პანაშვიდი საეჭვო პირებსაც კი სამიოდე დღით დაავიწყებს ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის საქმეს.

ر ا ي ش – თქვენ მხედველობიდან ერთი რამ გრჩებათ. სამაგიეროდ ეროვნულ გრძნობებს გააღვივებს. ნაციონალური დროშების ფრიალს მოჰყვებიან. არ გახსოვთ, რა ამაზრზენი ამბები მოჰყვა დავით ერისთავის ბალაგანს? მაშინაც ასე უმტკიცებდნენ, თურმე, გუბერნატორს, ეთნოგრაფიული სპექტაკლია, უმტკივნეულოდ ჩაივლისო.

რამაზი დარწმუნდა, რომ გამოქექილ ვიცე-გუბერნატორს გზაკვალი ვერ აუბნია და უკანასკნელ ხერხს მიმართა.

ر ا م ا ز – დაყოვნება შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდესმეთქი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. მთელმა ქალაქმა იცის, რომ კუბო ჩემს სახლშია. მესამე დღეა, ყოველ საღამოს ჩემს ჭიშკართან უცნობებს ვხედავ. რაც დრო გადის, ემატება ხალხი. ჩემს სახლთან

დემონსტრაციის გამართვას სჯობს დაკრძალვას სახელმწიფოებრივი ხასიათი მივცეთ. რომელიმე დაწესებულების შენობიდან გამოვასვენოთ. პოლიციასაც წესრიგის დაცვის მეტი საშუალება ექნება.

რ ა უ შ – თქვენ მაინც რომელ უწყებებზე ფიქრობთ? – ყრუდ იკითხა ვიცე-გუბერნატორმა.

რ ა მ ა ზ – ყაფლან სარაჯოვის პანსიონატიდან, ან კეთილშობილთა საქველმოქმედო საკრებულოს შენობიდან გამოვასვენოთ, პოლიტიკისაგან თავისუფალი უწყებებია.

ვიცე-პრეზიდენტი ფეხზე წამოდგა.

რ ა უ შ – ბატონო თაყაშვილო, უფლებას გაძლევთ თქვენი შეხედულებისამებრ იმოქმედოთ. ჩვენი საუბარი არ შემდგარა. თქვენ ჩემთან არ ყოფილხართ და არც არავითარი თანხმობა მომიცია. ასე აჯობებს. მე ამ საქმიდან განზე გავდგები. თქვენ თვითონ მოელაპარაკეთ ყაფლან სარაჯოვს.

რ ა მ ა ზ – მაგრამ ის უთქვენოდ, რასაკვირველია, არ გადაწყვეტს. ვერ გაბედავს.

რ ა უ შ – ეს უკვე სხვა საქმეა. როცა თვით რექტორი დააყენებს საკითხს ჩემ წინაშე, შევეცდები ხელი არ შევუშალო. ოღონდ ცერემონიალი არ უნდა გაშორდეს საეკლესიო მოღვაწის დაკრძალვის ფარგლებს. საშიში რეციდივების შემთხვევაში პირად პასუხისმგებლობას თქვენ გაკისრებთ.

რ ა მ ა ზ – ვემსახურები იმპერიას! გმადლობთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. (რამაზ თაყაშვილი წამოდგა).

ყაფლან სარაჯოვი ტანდაბალი, ცისფერთვალება, უდროოდ გამელოტებული კაცი სარკის წინ ტრიალებს. ხელში ქაღალდი უჭირავს და სადღაც მაღალი რანგის შეკრებაზე წარმოსათქმელ სიტყვას სწავლობს.

ყ ა ფ ლ ა ნ ი. ბატონებო და ქალბატონებო... ქალბატონებო და ბატონებო... პატივცემულო საზოგადოებავ... მოგმართავთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფენო და დიდებულო გვამებო! საღათას ძილიდან ჩვენი ერის გაღვიძება მისი უკვდავების ნიშან-საბუთია. ამ გაღვიძების არაერთი ჭეშმარიტი მაგალითი ყოველდღიურად ჩვენ წინ ფეთქავს და ღაღადებს. ახლა ჭეშმარიტ მამულიშვილთა ამოცანა ის არის, მარად ოდენ სიტყვით კი არა, საქმით შევეწივნეთ ჩვენს ხალხსა. ყოველი კეთილი ფიქრი თავისის ნაყოფითა ჰფასობს და ჩვენი ღვთიური ვალია მწედ და ბჭედ დავუდგეთ აბობოქრებულს ქართველობას. რა შეგვიძლიან ჩვენა? დიახაც რომ ბევრი რამ, თუ კი დავძლევთ შიშგარეულ მორცხვობას და ჩაგრულთა თანადგომას და გამოსარჩლებას შევუდგებით! (შეჩერდება, თავიდან დაიწყებს და ისევ აგრძელებს, შემოდის რამაზ. ყაფლანი მას ვერ ამჩნევს და სიტყვის ზუთხვას განაგრძობს).

რ ა მ ა ზ – შენთან ვარ სტუმრად! (ძლივს მოახერხა რამაზმა და ყურში ჩასძახა გულაჩუყებულ მასპინძელს).

ყ ა ფ ლ ა ნ – აბა ვისთან იქნები. მაგას ლაპარაკი უნდა? (რამაზს ფანჯრის რაფაზე მიუთითა, წელზე ხელი მოხვია და მაგიდისკენ წაიყვანა).

– ეს რა გააკეთე, რა ბიჭი ხარ, რომ იცოდე. სადაც კი მოვხვდი ამ ბოლო დროს ოჯახებში, ყველგან შენ სადღეგრძელოს სვამენ. მეხარბება, ძმაო, შენი. (ყაფლანი სავარძელში ტანაჯორივით ტრიალებს).

რ ა მ ა ზ – შენი პანსიონატიდან უნდა გამოვასვენოთ. (რამაზმა სიხარულისგან ატროკებულ ყაფლანს ქამანდივით ესროლა. სარაჯოვი გაქვავდა).

ყ ა ფ ლ ა ნ – ჩემი თავი გენაცვალოს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც აქედან? (ეს უკვე დამფრთხალი, გატეხილი კაცის ხმაა).

რ ა მ ა ზ – სახელიანი დაწესებულებაა, ეროვნული.

ყ ა ფ ლ ა ნ – მაგ საკითხზე ცოტა დავფიქრდეთ, რამაზ ჩემო (პანსიონატის გამგე შორიდან უვლის და რამაზი უკვე მიხვდა, რომ ამ კაცს უარის თქმა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი). არ ავჩქარდეთ და საქმე არ გავაფუჭოთ. იმ უწყებასთან, საიდანაც გამოვასვენებთ, რაღაც კავშირი ხომ უნდა ჰქონდეს.

რამაზი დარწმუნდა, რომ საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა.

რ ა მ ა ზ – როგორ? პანსიონატთან მამუკა უფლისაშვილს კავშირი არა აქვსო, შენ ამბობ, ყაფლანი ამბობ ამას?

ყ ა ფ ლ ა ნ – ახლა ასე თუ ვიმსჯელებთ, ვისაც ერთი სტატია დაუწერია, რაღაც კავშირი ყველასა აქვს ჩვენთან, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჩვენი თანამშრომელი არ ყოფილა და არც ამ პანსიონატში მიუღია განათლება.

რ ა მ ა ზ – რას გეტყვი, იცი? (რამაზი წამოდგა და შარვლის ჯიბეში ხელები ჩაიწყო). არ შეიძლება, ძმაო, ასე. ასე აწყობილად და თავაუტკივრად ნუ ცხოვრობთ. სირცხვილია. მაშინ გადადექი ამ პოსტიდან, თუ ერთი ბეწო გაბედულებაც არ გაგაჩნია და დაჯექი სახლში. შენი ჩრდილისაც გეშინია და კაცმა რომ გკითხოს, თავს დადებ შენი ქვეყნისთვის. ეს შენი პროფესორობა და მსოფლიო სახელი იმიტომ უხარია ქვეყანას, რომ რაღაცაში შეეწევი, რაღაცაში გამოადგები. ილიას თქმისა არ იყოს, ერთ-ორ გულმოსაფხან სიტყვას მაინც ეტყვი, შე კაცო.

ყაფლანი დატუქსვას დიდი ხნის გადაჩვეული იყო და აიმრიზა.

ყ ა ფ ლ ა ნ – შენ შენსას მიერეკები და ახლა ჩემიც მოისმინე. რომ იცოდე, არც ეგრეა საქმე, შენ რომ ფიქრობ. შენ რა იცი, რას ვაკეთებ მე და რა ცეცხლში მაქვს თავი შეყოფილი ყოველდღე. შენ რა იცი, რა კბილებით მიჭირავს ჩვენი ენა ამ პანსიონატში. გააკეთებთ პატარა რაღაცას და მაშინვე გმირის ნათელს დაიდგამთ თავზე. რა ნახე ასეთი, შე კაი კაცო. ჭკუას რომ მარიგებ, შენი ნაფიცი მოწაფე ხომ არ გგონივარ? როგორ შეიძლება მამუკა უფლისაშვილის ამ კედლებიდან გამოსვენება. ათასი „ბუნტოვშჩიკი“ მყავს. იტყვის რომელიღაც თავგახურებული ახალგაზრდა რამეს და სულ დაგვიხურავენ ამ პანსიონატს. შენ გაეცი მერე ქართველ ერს პასუხი. (ისეთი ექსტაზით, ისე პათეტიკურად ლაპარაკობს სარაჯოვი, უცხო კაციც ადვილად დაასკვნის, რომ ქართველი ერი ამ გამოჩენილ მოღვაწეს ფეხებზე ჰკიდია. კარგად ბრძანდებოდეთო, – სხვათა შორის დაუგდო და პანსიონატის გამგეს თავისი გრძელი მონოლოგი პირში შეატოვა).

რამაზ თაყაშვილს აუდიენცია აქვს კეთილშობილთა საქველმოქმედო საკრებულოს მარშალთან. თავადი ნოშრევან ამილახვარი ოთხმოცს გადაშორებული, ყრუ მოხუცი სავარძელზე გაწოლილა, გენერლის ბრჭყვიალა ქამარი ისე ღონივრად შემოუკრავს, რომ სულს ძლივს ითქვამს. ყბებსმიჭერილ მაღალ საყელოში წამდაუწუმ ორ თითს იყოფს, რომ ჰაერი გადაყლაპოს.

მის წინ ჩიხტიკოპიანი ქალი ჩონგურს აკვნესებს. იქვე ზის რამაზ. სამივენი მღერიან: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ – პირველად რომ მითხრეს, ყურებს არ დავუჯერე. არ იქნება-მეთქი მართალი. ბატონო კომერსანტო, ამ სიბერეში ცოტა ურწმუნო გავხდი, მაპატიეთ, მე აღარც კი მეგონა, თუ ასეთი მამულიშვილები კიდევ

არსებობდნენ. დღეს ყველას თავისი თავი უჭირს, რომელი ჭკუათმყოფელი წამოიღებდა-მეთქი კუბოს იტალიიდან, მაპატიეთ, ბატონო კომერსანტო? (ამილახვარს რამაზის სახელი უკვე მესამედ დაავიწყდა). მე დღეს ბედნიერი კაცი ვარ. ნუთუ ეს მართალია. ნუთუ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. სასწაული ერი ვართ ჩვენ. აი ნახავთ, ისტორიის ამ მოსახვევსაც გავივლით და გაღმა გავცურავთ. ნუთუ მამუკა უფლისაშვილს თავისი სამშობლოს მიწა მიიბარებს?!. ეს... ეს... ეს ხომ ჩემი საშვილიშვილო ოცნება იყო! (ამილახვარს სიტყვები აღარ ეყო, თვალებზე ჭრელი აბრეშუმის ცხვირსახოცი მიიფარა და ისევ აქვითინდა).

რ ა მ ა ზ – თქვენო უმაღლესობავ, თქვენი შეწევნა სჭირდება ამ საქმის დაგვირგვინებას! (ჩასძახა რამაზმა მხრებაკანკალებულ თავადს).

ნ ო შ რ ე ვ ა ნ – რა სჭირდება?! (მოხუცმა ყურს ხელი მიაფარა).

რ ა მ ა ზ – დახმარება!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ – არ დაიჯერებთ (ამილახვარმა ჯერ გულისჯიბეზე დაირტყა ხელი და მერე მუხლებზე). კაპიკის მოხერხებას არა ვართ, ჩვენი სალარო ასე ცარიელი არასოდეს ყოფილა.

რ ა მ ა ზ – ფული არ გვინდა.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ – რა, არ გნებავთ? (მარშალმა ისევ მიიფარა ყურზე ხელი).

რ ა მ ა ზ – ფული, თქვენი დასტური გვინდა.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ – რაზე?

რ ა მ ა ზ – ამ შენობიდან უნდა გამოვასვენოთ.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ – რა უნდა ჰქნათ?!

რ ა მ ა ზ – აქედან უნდა გამოვასვენოთ. სამოქალაქო პანაშვიდი აქ უნდა გაიმართოს!

ნ ო შ რ ე ვ ა ნ – ვისი?!

რამაზ თაყაშვილს ნერვები დააწყდა.

რ ა მ ა ზ – მამუკა უფლისაშვილის.

ნ ო შ რ ე ვ ა ნ – აააა... ოოო (როგორც იქნა, გაიგო საქველმოქმედო საკრებულოს მარშალმა, მაგრამ ვაი ამ გაგებას!). არ გამოვა ეგ საქმე. თქვენ ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით. თქვენ არ იცით, ამას რა მოჰყვება. ძლივს წყალობის თვალით გამოიხედა იმპერატორმა ჩვენკენ. ახლა, გაზაფხულზე ალექსანდრ მიხაილოვიჩს ველით ბორჯომში. მაგ საქმეს ვერ ვიზამ. ხლაფორთში თავს ვერ ჩავიგდებ. თქვენ არ იცით, ბატონო კომერსანტო, თქვენ, ოცდათორმეტ წელს დაბადებულიც არ იყავით. ნუ გვიწყენთ, ჩვენ სხვანაირი ცხოვრება გვქონდა. თქვენც რომ გეხეხათ მეტეხის ყაზარმები, სხვანაირად ილაპარაკებდით. მე თვითონ ათი წლის ბიჭი ვიყავი, მაგრამ ჩემი უფროსი ძმა ქაიხოსრო ელიზბაროვიჩ ამილახვარი შეინირეს. მისი საფლავიც კი დაგვეკარგა. (მარშალმა ისევ აიფარა ცხვირსახოცი და ტირილით გული რომ იჯერა, კომერსანტი მის კაბინეტში აღარ იყო).

რამაზ თაყაშვილის ბინა. ოთახის შუაგულში დევს კუბო. კუბოს ცისფერი შუქი ანათებს. კუბოზე უფლისაშვილი ჩამომჯდარა. იქვე, სკამზე რამაზ თაყაშვილი ზის. ორივენი თავდახრილნი სხედან და თავიანთ ხელებს დასცქერიან.

მ ა მ უ კ ა – უფრო კაცთა გულგრილობამ შემაძრწუნა. როგორ წარმოვიდგენდი, თუ ასე წახდებოდა ქვეყანა.

რ ა მ ა ზ – მაგ დასკვნის გაკეთებას ნუ იჩქარებ. ქვეყანა იქნებ სხვანაირად ფიქრობს. სხვათა შორის, მე მათიც მესმის.

მ ა მ უ კ ა – რა ბრძანებაა. ცვედანთა ლაშქარს დაუპყრია მთელი ქალაქი. მე სამასი წლის წინათ გარდავსულვარ. რა უფლება მაქვს, ჩემი სარკოფაგით ადამიანებს

მშვიდი ძილი დავურღვიო და ადამიანებს საშიშროება შევუქმნა.

რ ა მ ა ზ – მაგრამ თქვენ ხომ ერის დიდება და სინდისი ხართ?!

მ ა მ უ კ ა – ჩანს, იმათთვის, ვის კიბეზე სიარულითაც ამაოდ დაშვრი, ღირსებაზე მეტად კუჭი ფასობს.

რ ა მ ა ზ – თქვენს დროს ვით იყო?

მ ა მ უ კ ა – აღარ მახსოვს. მგონი ასე იყო მაშინაც.

რ ა მ ა ზ – ხვალ სათათბიროს თავმჯდომარეს უნდა ვეახლო.

მ ა მ უ კ ა – ნება შენია. ოღონდ გახსოვდეს, ამაყად, ყინჩად გეჭიროს თავი. არ შეიძლება არ იცოდეს მეფისნაცვალმა, რომ მე მარტო შენი მიცვალებული როდი ვარ. და იქნებ სხვა დროს სხვა თაყაშვილმა მისი კუბოც ასე გაიდოს მხარზე და სამშობლოში ჩამოასვენოს.

სინათლე ქრება. რამაზ თაყაშვილი სათათბიროს თავმჯდომარის კაბინეტშია. თავმჯდომარეს სახარებასავით უჭირავს წიგნი და რუსულს სწავლობს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე – დარაგიე ტოვარიშჩი. რაზრეშიტე იზ სოლნეჩნოი, სოლნეჩნოი! (რამაზს). რა ძნელი გამოსათქმელია.

რ ა მ ა ზ – არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. დამნაშავესავით დავდივარ და ქვეყანაზე თავი ვერ გამომიყვია. იყო დამარხული კაცი მშვენივრად, იტალიის მიწაში, არავინ აწუხებდა, არავინ ურღვევდა საუკუნო ძილს. მე მეგონა, კარგს ვაკეთებდი. მოვისისხლფასე ორიოდ კაპიკი და მამუკა უფლისაშვილის ნეშტი თბილისში ჩამოვასვენე. ერთი თვეა შინ მიდევს კუბო. ერთი თვეა ღამეები არ მძინავს, დილის ხუთ საათზე წამით ჩათვლემილს დამადგება მიცვალებული თავზე და ხელებგამოწვდილი მემუდარება: რა გინდოდა, რას მერჩოდი, ან შენი თავი რატომ ჩაიყენე ასეთ დღეში, ან მე რაღაზე ამომაგდე მიწიდანო. თქვენს იქით გზა არა მაქვს. ილაჯი გამიწყდა, მოთმინება დავკარგე... (მხარზე ხელისდადება იგრძნო და გაჩუმდა, ვერც კი შეამჩნია, როდის წამოდგა თავმჯდომარე და როდის მივიდა მასთან).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე – შეგიძლიათ არ გააგრძელოთ (სათათბიროს თავმჯდომარეს გაბზარული, ნერვული ხმა აქვს). ეს ყველაფერი უკვე ვიცი, ერთი თვეა ველი თქვენ მოსვლას. რატომღაც გვიან გაგახსენდით. გელაპარაკებით, როგორც სახელმწიფო მოხელე და არც ჩემი ქვეყნისადმი სიყვარულის დამტკიცებით ვაპირებ თქვენი გულის აჩუყებას. იფიქრეთ, როგორც გსურდეთ, მაგრამ მეც მოსვენება დავკარგე, ამ ერთი თვის განმავლობაში. არ გიხმეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა თქვენ თვითონ გაგხსენებოდით და მოგეძებნეთ. ჩემი გაუხსენებლობა ძნელია, რადგანაც გაზეთები ყოველდღე მიხსენებენ (გაეცინა). ხან კარგად და ხან აუგად. არც მოძებნაა ძნელი. უფლება მომეცით ვიფიქრო, რომ აქამდე თქვენი მოუსვლელობა მხოლოდ და მხოლოდ ჩემდამი თქვენი უნდობლობით იყო გამოწვეული. გასაგებია, თქვენ ფიქრობთ, მე საკმაოდ დიდი თანამდებობა მიჭირავს იმპერატორის კარზე იმისათვის, რომ მამუკა უფლისაშვილის დაკრძალვაზე ვიფიქრო, ასე გადაწყვიტეთ თქვენ ყველამ. არ არის ასე, მოწყალეო ხელმწიფევ. ჩემი საიმპერიო სამსახური ხელს როდი უშლის საქართველოს მომავალზე ჩემს ფიქრს. შეიძლება სხვადასხვა იყოს ჩვენი ქვეყნისათვის ჩვენი სამსახურის მასშტაბები და მის მომავალსაც სხვადასხვანაირად ვჭვრეტდეთ, მაგრამ დამერწმუნეთ, მე ჩემი ქვეყნის სიცოცხლისა და ბედნიერების სურვილით ვდგები ყოველ ცისმარე. ვიცი, თქვენთვის ახლა ძნელია ამის დაჯერება. ჩემი სიტყვები, ცოტა არ იყოს, მევე მეჩვენება პათეტიკურად. ერთი შენიშვნა მაინც უნდა მოგცეთ: თქვენ თვითონ გამოიგონებთ იქ,

ქვემოთ „პრობლემებს“ და თვითონვე ხართ გულმოსულნი. რა გინდოდათ მავანისა და მავანის კარს რომ აწვებოდით? განა არ იცით, არც ერთ მათგანს უჩემოდ ამ საქმის გადაწყვეტა არ შეეძლო? ჰოდა, ჩემგან დაგეწყოთ, ჩემო ძვირფასო, ვინ გაავრცელა ჭორი, თითქოს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ასეთი საქმეებისათვის არ ეცალოს? განა ამგვარი წინადადებით მოსული რომელიმე თქვენთაგანისთვის აუდიენციაზე უარი მითქვამს?

რ ა მ ა ზ – ბოლოს და ბოლოს, რას მოვითხოვთ? ძვირფასი ნეშტი სამშობლოს მიწამ მიიბაროს, სხვა ხომ არაფერს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე – აქ მთელი პრობლემა იმაშია, რომ მთლად უცოდველი არც თქვენ ბრძანდებით. ნუ მიწყენთ კი.

რ ა მ ა ზ – მე? რა ბრალი მიმიძღვის?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე – თქვენ თვითონ შეუწყვეთ ხელი ამ ამბის გახმაურებას. კაცმა რომ თქვას. ხელსაც გაძლევდათ: რამაზ თაყაშვილი მამულიშვილის კუბოთი სახელმწიფო მოხელეთა კარდაკარ დადის. კარგად ჟღერს, ხომ კი?

რ ა მ ა ზ – მაპატიეთ, მაგრამ მე სახელის შოვნის სხვა უფრო დიდი ასპარეზი მაქვს, ვიდრე მიცვალებულთა თავის მიწაზე დაბრუნებაა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე (გაბრაზდა) – ასე რომ არ ყოფილიყო, ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე ჩამოიტანდით და მეორე დღესვე მიაბარებდით მიწას.

რ ა მ ა ზ – ახლა რაი ვქნათ?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე – ჩემი დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ამ საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტა არ შემიძლია. სამწუხაროდ, ქალაქი ღელავს. შეიძლება დაკრძალვას ინციდენტი მოჰყვეს. მოვეთათბირები ზევით და იქნებ მივაღწიო, დაკრძალვის ცერემონიალის ჩატარებას პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ, თქვენი პირადი პასუხისმგებლობით.

რ ა მ ა ზ – დიდად გმადლობთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე – ეს ჯერ მხოლოდ ჩემი სურვილია. ქვეყანას ნუ მოსდებთ. საერთოდ, თქვენ, „ეროვნულ გმირებს“, გრძელი ენა გაქვთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

სინათლე ქრება ძველი ქართული საგალობლების ფონზე მოაქვთ სარკოფაგი, რომელსაც ნელ-ნელა წითელი შუქი ადგება. კუბო მხარზე შეუდგამთ მუშტშეკრულ მოქალაქეებს და უძველეს ქართულ სიმღერას აგუგუნებენ. ასე მოიწევენ წინ და ავანსცენაზე გამოდიან.

მეორე მოქმედება

პირველი მოქმედების ფინალის მუსიკალური აკორდით იწყება მეორე მოქმედება. ოთხ მამაკაცს წითლად განათებული კუბო ისევ შემოაქვთ და სცენის შუაგულში დგამენ. სინათლე ქრება. მოისმის რადიოს ხმები. თითქოს ტრანზისტორის ღილაკს ვიღაც ატრიალებს. სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ხმები ცვლის ერთმანეთს. მათ შორის ქართულიც და რუსულიც. საშინაო თუ საგარეო ცხოვრებას შეეხება ნაწყვეტები. რუსულად ჩერნობილის ავარიის ინფორმაცია გაკრთა და ბოლოს ახალი ცნობაც, ამერიკაში სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის შესახებ. ტრანზისტორი ჩუმდება და სცენის სიღრმიდან მოდის თმათეთრი გრიგოლ ბაქრაძე. მკერდზე სურათის ცარიელი ჩარჩო აუხუტებია. მოიტანა და კედელზე დაჰკიდა. მაყურებლისკენ შემობრუნდა.

გ რ ი გ ო ლ – მიხარია, ბაბა, შენი ახლანდელი გაწიწმატება. ასე უნდა, აბა რა. რომ არ გეთქვა ჩემთვის, რას დაგვჩხავი ყვავივით, ნახავ აგერ, თუ არ შევცვლით ქვეყანას, თუ არ დაიყაროს სამ-ოთხ წელიწადში სარჩო-საბადებელიო, მეწყინებოდა. შენი ქიჩმაჩი და დაჯერებული გასვლა-გამოსვლა გულს მიხარებს. თუ არ გჯერა იმისი, რასაც აკეთებ, წყლის ნაყვაა ყველაფერი. როგორ მითხარი, თქვენ, ძველებს კვირაში ორი პარასკევი

გაქვთო? თქვენი გაფუჭებულიც და ჩვენიც, ახლა ორივე ერთად ჩვენი გასასწორებელი შეიქნაო? იქნება მართალიც ხარ, მაგრამ სანამ ქვეყანას გაასწორებდეთ, სანამ გამრუდებულ საქმეს წაღმა წაიყვანდეთ, მანამდე თავდაჭერა და მოკრძალება გმართებთ. არაა ასე ადვილი წლების ნამუდრეგალის გამოკეთება. შენ თვითონ ამბობ: გონჯ პატარძალს ფერ-უმარული ველარას უშველისო, შენც რომ არ მითხრა, ძალათ გამლამაზებლებს რომ არ ჰგავხართ, მეც გატყობთ კოჭებში, მაგრამ ვნახოთ, რა ქალაქს ააშენებთ – „აგერ შენ და აგერ კრეტაო“, – ბერძნები იტყვიან. ძირძველი, ჭკვიანი ხალხია ბერძნები. იქნებ, მე ველარ ვიცხოვრო თქვენს ანაყვავებ ქვეყანაში, მაგრამ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ამ თქვენს საწაღმართო ჩანაფიქრში. ისე, ძალიან კი მინდა ვნახო, რამდენ ხანს შეგრჩებათ ქვეყნის განახლების ხალისი.

არაა, ბაბა, ასე ადვილი-მეთქი, რომ გეუბნებოდით, არ გჯერა, ვხედავ. ნამდვილად ასე სჯობია. შენ რომ ჩემთან ჭკუის საკითხავად მოსულიყავი, იქნებ ისეთი რა მერჩია, ერთხელ და საბოლოოდ გაგტეხოდა გული და სხვა საჭიდაო-საასპარეზოს დადგომოდი. მიდით, სცადეთ თქვენც, იქნებ თქვენმა აჯობოს, იქნებ არც ისე ბნელადაა საქმე, როგორც მე მგონია ახლა, ამ წუთში. თქვენი მდგომარეობა ჩვენსაზე იოლია-მეთქი რომ გითხრა, არ გეწყინოს. ოთხმოცს გადაშორებულ კაცს რაღაცები დამეჯერება და, თუ ცოტას მაინც მენდობი, მადლობელი ვიქნები. ჩვენ ვინ გვეტყოდა, მთლად კარგად არ გვაქვს ჯერ გარკვეული, რა გვინდა ისტორიისგანო, მაგრამ ურმის და გზის არ იყოს, ახლა გამოჩნდა, რომ არც თავიდანვე აგვიღია მთლად სწორი გეზი. ჩვენ, უბრალო ხალხს, გვეუბნებოდნენ: რავარც იქნა, მივაგენით ჭკუის მადანს, ეშველება აწი მუშას, ახალ ქვეყანას ვაშენებთ და

მოგვყევითო. არ მივყვები ამნაირ ჭკვიანურ დაძახილს? ხელი დავიკაპიწეთ და მივყევით. მე მუშაკაცი ვარ, ბაბა. კი, ობჩის ოთხწლედი დავამთავრე და ორწლიან გადასამზადებელზეც ვიმეცადინე, მარა მიწის საქმე ვარჩიე ყველაფერს: ჩემი დღე და მოსწრება თოხს ვურტყამდი მიწას. თოხს მიწას ვერ ააცილებ და ე მყნობა-წინდვა და მარგვლა-მოროდი ჩვენ, ქართველებს, ათაბაბადან დაგვყვა. დიდი სკოლა-ფილოსოფია ამ საქმეს არ სჭირდება. ჩემ დღეზე გიყვები, სხვის ცხოვრებასთან რა ხელი მაქვს. სხვაი, ალბათ, სხვანაირად ცხოვრობდა. ახლა თქვენი ძალა იმაშია, რომ შეგიძლიათ გადახედოთ ჩვენს გზას და დედალ-მამალი ცალკე დაალაგოთ; რაში ვიყავით მართალი და რაში არა – გაზომ-აწონოთ და კაი გაიჭკუისოთ, ცუდი გადაყაროთ. ჩვენ ვისთვის შეგვეხედა, ჩვენ წინ ვინ იარა? როგორც გაზეთებშია: ისტორიის ახალ ფურცელს ვწერდით, „კი, რასაკვირველია, ყველაფერი აწონ-დაწონილი გვაქვს, არ შეგეშინდეთ, მისხალში არ შევცდებითო“, – გვეუბნებოდნენ ჩვენი ბელადები, მარა შეუმცდარი არი ვინმე?

ახლა ამას რატომ გელაპარაკები, თუ იცი, პატიება უნდა გთხოვო, ბაბაია, ამ დღეში რომ ჩაგაგდე, და ისიც უნდა შეგეხვეწო, რომ საფლავიდან ნუ ამომიღებ. არ ვარ ამის ღირსი მე. ჩემს რწმენას ვემსახურებოდი ისე, როგორც ახლა შენ შენს რწმენას ემსახურები. რა ვიცოდი, რა ბაბილონის გოდოლს ვაშენებდი.

ისე რომ არ გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, ამას ახლა ქვეყანა ხედავს. რომ ვიძახოთ, ავშენდითო, თავის მოტყუება იქნება. კაი ხანს გარეთ მტერს ვუვსებდით თვალს და შიგნით მოყვარეს. ახლა ტყუილები აღარ გადის, ხელის გულივით ჩანს მთელი მსოფლიო ტელევიზორში.

სცენის ერთ მხარეს ქოროსავით დგას მომღერალთა ჯგუფი. ისინი ეპოქების მიხედვით იცვლიან იერს. ხან კონუსისებურ ქუდებს იხურავენ, ხან იხდიან და მოსასხამებს მოიხურავენ და ა. შ. ახლა ქოროს რევოლუციის ეპოქის ტანისამოსში ვხედავთ. ავრორას ზალპი, იმ დროის კანტატები. „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“... და რაღაც ამის მსგავსი სიმღერები გაისმის სცენაზე. გრიგოლ ბაქრაძე განაგრძობს:

გ რ ი გ ო ლ: დამიგდე ყური კარგად. რევოლუციის ბიჭების სახელით გელაპარაკები. შენზე ნაკლები არც მტკაველი გვქონდა და კაი მთქმელის კაი გამგონეებიც ვიყავით. თხუთმეტი შემისრულდა და ნიკოიაც დავამხეთ. ჩვენს სოფელში რომ ხმა ამოვიდა, ხელმწიფე ჩამოაგდესო, ბევრმა არ დაიჯერა. მეფის ჩამოგდება თუ ხალხს შეეძლო, უბრალო კაცის ტვინი ვერ წვდებოდა, ხელმწიფე ღმერთის დანიშნული და ღმერთივით შეუხებელი გვეგონა. გუშინდელივით მახსოვს. მაცხოვრის ეკლესიის ეზოში შეგვყარა რევკომის წევრმა მორგოშიამ. ზარი დარეკეს, თორემ ისე ვინ გავიდოდა, დაღლილი იყო ხალხი რევოლუციებით. ასრულდა ჩვენი ოცნებაო, მორგოშიამ, გამომგზავნეს, რომ გაუწყოთ, საქართველო დღეიდან თავისუფალიაო. რავარც მოგეხასიათოთ, ისე იცხოვრეთ, აწი რაც გინდათ თქვით და რაც გინდათ აცხვეთო. მას მერე კაი დრო გავიდა, და რომ არ მოგატყუო, ისე გაბადრულ-გახარებული მეზობლები მერე აღარ მინახავს.

ქორო მღერის: „სალამი ჩიტუნებო...“

გ რ ი გ ო ლ – ყველას რაღაცა ჩინ-ტიტული ჩამოურიგა მაშინ მორგოშიამ. მე, ვითომ, თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის სოფლის რაზმის კომისრად ამირჩია. წავიდა მორგოშია და ჩვენ ისევ ჩვენს ეზო-ბაღს მივუბრუნდით. კომისრობა, რევკომობა და აგიტატორობა საგარეო ხალათს მივაკიდეთ და მიწას დავუწყეთ

ჩხუტური. ქვეყანა რომ ძველებურად არ იყო, იმაზე ვატყობდით, რომ ბეგარაზე არავინ გვეძახდა და გადასახადის დაგვიანებაზე სახლში არავინ გვივარდებოდა. ათასში ერთხელ გაბონებული ფულის ტკაცუნით ტომარაგადაკიდებული რწმუნებული ჩამოივლიდა და მორცხვად ჩამოგვძახებდა: საქართველოს მთავრობას ჭადი შემოაკლდა და სიმინდს ხომ არ შეელევით გასაყიდადო. გარდა ამისა, სოფლის ცენტრში ხანდახან გამოჩნდებოდნენ მოკლეშარვლიანები და, ახლა მეხანძრეებს რომ ახურავთ, იმნაირქუდიანი ინგლისელები. ჯერ ჩანთიდან შავ-ყვითელ კენჭებს დააძრობდნენ და ცხვირთან მოგვიტანდნენ: ამნაირი ქვები ხომ არსად გინახავთ ამ შემოგარენშიო. მერე აუყვებოდნენ ტყეში აღმართს და კვირაობით იკარგებოდნენ. ცხოვრება თითქოს ჩაწყნარდა და ჩვენს ჭირნახულსაც ფასი დაედო, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ასე არ გაგრძელდებოდა, მთავრობა რომ გააღებს გააღებს ჭიშკარს და განუკითხავად შემოუშვებს მტერ-მოყვარეს, ზურგზე ტომარას რომ გადაიკიდებს და სოფელ-სოფელ ივლის, მშია, შემეწიეთო, არაა მისი საქმე კარგად.

რაღაც სამ-ოთხ წელიწადში აგვიხდა წინათგრძნობა. საქართველოს მთავრობა გეიქცა, ბოლშევიკები შემოვიდნენო. სანამ თვითონ ბოლშევიკები მოაღწევდნენ ჩვენს სოფლამდე, ხმა უფრო ადრე დაგვეცა. მოვიდნენ და პირველ დღესვე ცხრამეტი კაცი დაგვიჭირეს. თქვენაო მენშევიკების დამქაშები ხართაო, ჟორდანიას სამსახურში იყავით და დროებით მთავრობას უჭერდით მხარსო. ხატზე დავიფიცავ, ჩვენ არც დროებით მთავრობას ვეფიცებოდით ერთგულებას და არც მუდმივს ჩავდგომივართ კრიჭაში. გლეხები ვიყავით და გითხარი, მისი არ იყოს, მიწას ვულაყუნებდით თოხს. იყავი ახალგაზრდების კომისარიო, მორგოშიამ, და რატომ ვეტყოდი უარს. ღვთის წინაშე, ცოდოს ვერ

დავიდებ, რა უნდა მეკეთებინა მე, როგორც კომისარს, არ მიკითხავს და არც თვითონ მორგოშიას უთქვამს. ადვილი შესაძლებელია, თვითონაც არ სცოდნოდა.

გამომიშვეს ორ წელიწადში, და, ის იყო, პატარა ფეხი წამოვიდგი, ცოლის შერთვას ვაპირებდი, ისევ შემაბრუნეს ციხეში და კინაღამ ჩამომახრჩვეს – ქაქუცასთან გქონდა კავშირიო. თერთმეტი კაცი გააქრეს მაშინ ჩვენი პატარა სოფლიდან. რავარც მე არ მენახა ქაქუცა, ისე არ იცოდნენ საწყლებმა მისი ასავალ-დასავალი. შევეცოდე, ალბათ, ვიღაცას, და ორ კვირაში გამომიშვეს. რანაირად გადავრჩი, ახლაც მიკვირს. არაა მთლად კაი საქმე მაგ დროს გადარჩენა. სანამ არ გამაბატრაკეს და ხელახლა არ დამიჭირეს, კაი შვიდი წელი, სოფელი ალმაცერად მიყურებდა.

ქორო ერთხელ კიდევ იცვლის გარეგნულ იერს. კოლმეურნეობის შემოღების და პირველი ხუთწლედების ამსახველი პასაჟები გაიელვებენ სცენაზე. ქორო მღერის იმ პერიოდის პოპულარულ სიმღერას: „ცაზე მთვარე ამოსულა, ნანინა ნანა, ნიშანია დარისაო, ნანინა ნანა...“ სხვათა შორის გრიგოლის გარეგნობაც თანდათან იცვლება. იგი ზოგჯერ გადის სცენიდან და იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ კოსტუმში მოგვევლინება. პირველად რომ გამოჩნდება, მოხუცია. მერე თანდათან ახალგაზრდა, მერე სურათების მიხედვით თანდათან ბერდება და ბოლოს ისევ ახლანდელ სახეს უბრუნდება.

გ რ ი გ ო ლ – ეს ის დროა, კოლექტივი რომ შემოვიღეთ და სიმღერ-სიმღერით რომ გადი-გამოდიოდნენ ბრიგადები სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში. ახლა რა არი, შემართული და დარაზმული ხალხი მაშინ უნდა გენახა. წუწუნს ვერ გაბედავდი, წელის ტკივილს ვერ დაიჩივლებდი, კოლექტივიზაციის მტრად და მეჩრდილიად გამოგაცხადებდნენ მაშინათვე. ვშრომობ ჩემთვის, ოფლს ვიწურავ, ვირის აბანოში ნამყოფი ვარ და მაინცდამაინც საერთო ბრუნვა-ტრიალში

არ ვმონაწილეობ, თურმე არაა გაჩუმების და შენთვის ყოფნის დრო. უნდა იხარხარო სხვასავით და იხმაურო შენც. რომ არ ვქენი ასე, იმიტომ იყო ერთ მშვენიერ დღეს შავსიელად რომ გამომაცხადეს, ცოლშვილი ერთი თხის და სამზადი სახლის ამარა რომ დამიტოვეს, კულაკად რომ მომნათლეს და სამაზრო ციხეში მიკრეს თავი. მესამე დაჭერაზეც შვიდ თვეზე მეტი არ გავუჩერებივართ; კულაკობა და ჯიუტობა არ გაბედო, თვარა ციმბირი აქეთ დაგრჩებაო. არც კულაკობა ვიცოდი რა იყო და ჩემი ჯიუტობა, ამ ხნის მოვიყარე, კაცს არ გაუგონია. ურჩობა კი არა, მთავრობას უნდა, ცეცხლში გადავარდითო, რომ დაეძახათ, პირველი გავქანდებოდი. დრო იყო იმნაირი, ჩემო ბაბა. ეკლესიები რომ დავანგრიეთ და საღვთო წიგნები დავწვით, ჭკუათმყოფელი იზამდა? ახლაც გაიგონებ მაშინდელ ხუმრობას, თემსაბჭოს თავმჯდომარე სოფლის თვალწინ ხატს პუგაჩს რომ ესროდა: მიქნას, აბა, თქვენმა ღმერთმა რამე, თუ არსებობს ნამდვილადო. მეტი რა გიქნას, ბაბაია, გოდოუყვანიხარ ჭკუიდანო, მნათემ დაუძახა თურმე. მართლაც და, უარესს რას დაგმართებს ღმერთი კაცს. რანაირად უნდა დაგესხას თავრეტი, ხატს თოფი რომ ესროლო.

პაუზა. შიშის მაუწყებელი მუსიკა ისადგურებს სცენაზე. მეგრული მოთქმის ან ფშავური ხმით ნატირლების ჰანგები ისმის...

გ რ ი გ ო ლ – ამ გრიალ-ჟრიამულში, ნგრევა- შენებაში და „აბა, ჰეს“ ძახილში ოცდაჩვიდმეტი მოვიდა. ისედაც ჭანჭიკად მიაჩნდათ ადამიანი და იმ წლებში მთლად გაუფასურდა. შიშის ზაფრა იცი შენ რა არის? მტრისას და ავისას, აფთარი რომ შეგეჩეხოს ტყეში, შეშინებით როგორ არ შეგეშინდება, მაგრამ ის შიში ერთ წუთსაა, მეტს ხომ არა. ან შენ გაიქცევი, ან აფ-

თარი. თუ თოფი გაქვს, ან შენ ესვრი, ან ის შეგჭამს, ხომ? ახლა წარმოიდგინე: უსაშველოდ გაგრძელდეს ის ერთი წუთი, აფთარი კარებზე გედგას, ვერც კარს უკეტავდე და ვერც გარეთ გამოდიოდე. ამნაირ შიშის ზაფრაში ჩავარდა ხალხი. ჯერ ჩვენი სოფელი რაა, რაღაცა სამოცი კინკილა მოსახლე ვართ და აქ რა იყო, სხვაგან რა იქნებოდა. ადგებოდი დილით, მეზობლის გადაძახების გეშინოდა. უნდა ვთქვა, ქალები ჩვენზე ყოჩაღად იყვნენ. ჩემი ცოლი, საწყალი, ძროხებს რომ მოწველიდა და გადენიდა, აივანზე ველოდებოდი; არ იქნებოდა, ახალი ამბავი არ ეთქვა. ქალები, ხომ იცი, უფრო ახერხებენ გადაძახ-გადმოძახებას. „წუხელის გაბუნია წოუყვანიათ“, „სიხარულიძესთან ყოფილან, გამთენიისას, გაუჩხრეკიათ“ და ამნაირი სხვაც, ეს იყო ახალი ამბავი. დაღამების გვეშინოდა. დღე თითქოს არავინ გაწუხებდა. ღამე გვაკითხავდნენ „ხალხის მტრებს“. შუაღამისას მეზობელს რომ დაეკაკუნებინა, შენ შენი დაგემართებოდა. მიეცა მაზანდა დასმენას და ცილისწამებას. ავსიტყვებს და გულბოღმიანებს ამინდი დაუდგათ. მე ოცდაჩვიდმეტის ოქტომბერში დამაპატიმრეს. რასაკვირველია, ველოდი დაჭერას. ჩემს „აყვანაში“ ხელი გაწაფული ჰქონდათ. სოფელში ყოველთვისაა თითო-ოროლა „დასაჭერ-დასასჯელი“. საქმეს რომ დასჭირდება, რომ მოკიდებ ყურში ხელს და ისიც ცხვარივით რომ მოგყვება. იცის, მაინც არაფერი გაუვა. გასაბჭოების დროს დამიჭირეს, ქაქუცას ამბავზე დამიჭირეს, განკულაკების დროსაც ჩამსვეს და ახლა რა ხათრ-სიყვარულით ამივლიდნენ გვერდს. გითხრა სიმართლე, დროზე მინდოდა გავეთოკეთ, შიშის ზაფრა საზიზღარი რამეა. როცა ზიხარ, ყუჩად ხარ კაცი. როცა არც იქით ხარ და არც აქეთ, მაშინ უფრო წვალდები. მომაკითხეს შუაღამეზე და დიდხანს არ დამიყოვნებია ჩემი მზრუნველები, ბარგი

ჩაწყობილი მქონდა. მე, რასაკვირველია, მივყევი, ოჩანი ხარივით გაწევა არ დამიწყია, მაგრამ, როგორც მერე გავიგე, ჩემს ცოლს აუტეხია ერთი ამბავი. „ვინაა ტროცკისტი, თქვენ უნამუსოებოო, აღარ მოგწყინდათ მართალი კაცის დევნაო? რა პასუხს გვაძლევთ ჩვენ, ვინ ურჩენს ოთხ შვილსო“. პასუხი ის მიუციათ, რომ ჩემი დაპატიმრების ორი კვირის თავზე აუყვანიათ ჩემი ცოლიც. (ყოველ დაპატიმრებაზე გრიგოლი მიდის სცენის ერთ კუთხესთან და ოთხ მცველს შორის დგება. ბორკილდადებული. ამჟამადაც იგი დაპატიმრებულია და უეცრად მოისმა ციხის ჟრიამული, კვნესა- გოდება. კივილის ხმამ გაფხრიწა ჰაერი და სცენის მეორე კუთხეში ასევე ოთხ კაცში მდგარი მარიამი გამოჩნდა. მათი შეხვედრა შემაძრწუნებელია. დარაჯები ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევენ).

მ ა რ ი ა მ – გრიგოლ!

გ რ ი გ ო ლ – მარიამ! შენ აქ რა გინდა, ბავშვები?!

მ ა რ ი ა მ – არაფერი არ ვიცი, გრიგოლ.

გ რ ი გ ო ლ – ვაიმე ჩემს თავს! გაწვალდებოდი მარიამ!

მ ა რ ი ა მ – არა, არა მიშავს... კარგად ვარ. გრიგოლ, უარესს ველოდი. თბილად გაცვია? ხალათს წააჭერი და ფეხებზე დაიხვიე, თითები არ წაგყინოს.

გ რ ი გ ო ლ – მასე ვშობი კი. ჩემზე არ იდარდო. ნამეტანი კარგ პირობებში მოვხვდი. არ შეგეშინდეს! გაგვიშვებენ მალე!

მ ა რ ი ა მ – კი, კი, შენ არ მომიკვდე. გაარკვევენ და გაგვიშვებენ, აბა რა იქნება. ბავშვების ხვარაფერი იცი?!

გ რ ი გ ო ლ – რა უჭირთ ბავშვებს. სოფელი იქ არაა?! გრამიტონი მოაშიებს ჩვენს ბავშვებს? რავა ფიქრობ შენ?

მ ა რ ი ა მ – არც გრამიტონზე მქონდა კაი სიზმარი.

გ რ ი გ ო ლ – ნუ იცი, გადარევა. შენმა სიზმრებმა ქნა ყორიფელი.

მ ა რ ი ა მ – კაი აღარ ვიტყვი აწი. ჭადს ვინ დაუკავებს ბაღნებს, მარა, ნაზიკო მეცოდება, მორცხვი გოგოა, მოუკვდეს დედა. შალიკოს შარვალი ვერ მოვუთავე. დამაშინება უნდოდა, დედა ვარ მეე?

გ რ ი გ ო ლ – ნუ გეშინია, გახვალ და შეუკერავ. აბა შენ იცი, რავარი ჭკვიანათ იქნები. ფიცხი ხარ შენ და ნერვები არ ეიშალო.

მ ა რ ი ა მ – რა მჭირს ნერვების ასაშლელი. ჩემს სიმართლეს დამიკარგავს ვინმე? ჩალით კი არაა დახურული ქვეყანა. თუ გაჭირდა, კრემლს მივწერ წერილს და მიყურონ მერე მაგენმა.

გ რ ი გ ო ლ – ნახვამდის, აბა მარიამ!

მ ა რ ი ა მ – მშვიდობით, გრიგოლ. თბილად ჩეიცვი. იშიაზმა არ გაგიხსენოს!

სინათლე ქვრება. გრიგოლი და მარიამი გაჰყავთ, მატარებლის კივილის ხმა მატარებლის ქშენით იცვლება. მკრთალად განათებული ცარიელი სცენა. კულისებში ვიღაც კითხულობს გალაკტიონის ლექსს:

ცხოვრების ეტლის სადარებელი
საცაა გავა მატარებელი.
მიემგზავრება იმედი ჩემი
ბედის ვარსკვლავის სადარებელი.

ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, –
რა საჭიროა ახლა გოდება.
მატარებლისგან როს მიმიღია
ან თანაგრძნობა, ან შეცოდება.

მატარებელი დუღს, როგორც ლავა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა,
ვინც სხვას აცილებს, დროა ჩასვლისა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა.

აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მივდევ ვაგონებს, მაღრჩობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები!

მატარებლის კივილი და დგანდგარი. მატარებელი სიჩქარეს იღებს. მოჩანს გრიგოლ რობაქიძე მატარებლისკენ რელსებივით გაწვდილი ხელებით.

ავანსცენაზე ისევ გრიგოლი გამოდის.

გ რ ი გ ო ლ – მე, ჩემდა იღბლად, დავბრუნდი, მაგრამ ჩემი მარიამის ასავალ-დასავალი ველარ გავიგეთ. ახლა მისი ძვლებიც არ იქნება მიწაში. რეაბილიტაციები რომ ჩამოგვირიგეს, იმ უბედურ დღეზე გაჩენილის საბუთებსაც ვერსად მიაკვლიეს. კოლმეურნეობის კანტორაში ერთი პატარა, გაყვითლებული ქაღალდი ვიპოვეთ. 1937 წლის დეკემბერში ჩატარებული კოლმეურნეობის კრების ოქმის ამონაწერი: „გაირიცხოს კოლწევრობიდან ხალხის მტრის, იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტის გრიგოლ ბაქრაძის ცოლი – მარიამ სხვიტარიძე, რომელიც დანაშაულებრივ კავშირში აღმოჩნდა თავის მეუღლესთანო“. კოლექტივიდან რომ გარიცხეს, მაშინ, ვინ იცის, ჩემი თანამეცხედრე ცოცხალიც აღარ იყო. ბავშვები, როგორც მაშინ მიღებული იყო, ნათესავებმა დაირიგეს. მამაშენი კაი ხანს მამას არც კი მეძახდა, გადაჩვეული იყო, ვერც გაამტყუნებ. ორმოცდაორში ციმბირიდან პირდაპირ ფრონტზე წამიყვანეს. მე, „ხალხის მტერს“, თოფი მომცეს ხელში და ხალხის და ქვეყნის დაცვა მანდეს. არ გაგიკვირდება?

ომის დაწყების მსგავსი მუსიკა. იქნებ ლევიტანის ხმაც? შოსტაკოვიჩის ცნობილი სიმფონია... სიმღერა „გაუმარჯოს ჩვენს დიდ მარშალს, ვოროშილოვს ვაშა, ვაშა, ვაშა სნაიპერებს, ჩვენს ტანკისტებს, ვაშა!

 გ რ ი გ ო ლ – გადავრჩი ტყვიის წვიმას. დავბრუნდი ორმოცდახუთში. მოვიძიე ჩემი შვილები. ცოლი, ქე იცი, აღარ შემირთავს. შემოვღობე გაპარტახებული ეზო, გავმართე ოდა და ორმოცდაცხრაში ისევ დამიჭირეს. ეს ბოლო დაჭერა მაინც რაღა იყო. ჰიტლერი დამარცხებულია, მსოფლიოში პირველი სახელმწიფო ხარ, გამარჯვებული და გამართული, რაღა დროს ტყუილად დაჭერები და რეპრესიებია. ხომ გითხარი, სიაში ვიყავი სადღაც, და როცა „წესრიგის დამყარების“, ან წმენდის კამპანია ჩამოვიდოდა, ჩემს ჭიშკარს არ აცდებოდნენ. მეხუთე დაპატიმრებიდან რომ დავბრუნდი, ჯანმრთელობა გატეხილი მქონდა, ორმოცდათხუთმეტი წელი იყო. სტალინი აღარ იყო ცოცხალი.

მერე დავიბენით და დავიბენით. ამხელა სახელმწიფოს გაძღოლა, როცა არც ჭკუა გიჭრის მაინცდამაინც და ვერც ქვეყნის საქმეებში ერკვევი, ნამეტანი ძნელი გამოდგა. ბარე ორმა წაიტეხა კისერი. ერთმა მძიმე წონის უფროსმა თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ ეს მუშტივით შეკრული ჩვენი ბანაკი კინაღამ დაშლა-დახურდავებამდე მიიყვანა. პურით გავავსეთ ბეღლებიო რომ ყვიროდა, სწორედ იმ წელიწადს ჩაგვაყენა შავი პურის რიგში. ტყუილებით ქვეყნის რჩენა შეიძლება, ბაბა? მაგის მოკლე ჭკუით ახლა კომუნიზმში უნდა ვყოფილიყავით და კომუნიზმი კი არა, მგონია, სოციალიზმმაც კინაღამ ჩაგვიარა გვერდზე. მსოფლიოს სასაცილოდ კინაღამ გავიხადეთ საქმე. რამხელა ტყვილს უნდა ლაპარაკობდე, ფეხსაცმლის წაძრობით და მაგიდაზე რტყმევით დაგჭირდეს ხალხის დაწყნარება.

ქორო მღერის უკანასკნელისწინა პერიოდის სიმღერებს. ზეიმომანიისა და პომპეზურობის ეპოქა დგება

გ რ ი გ ო ლ – როგორც იქნა, დეევეთხოვეთ იმ ბაქია ხელმძღვანელს და, რავარც ვიცით ჩვენ, ახალმა სულ თვითნება და თავგასული უძახა ძველს. მგლისგან დამფრთხალი გადარჩენილი თხები რომ შეაჩერდებიან კატიან გიდელს, ისე შევაჩერდით რადიოს. სიტყვები იცოცხლე კაი ისმოდა, მარა რაი მერე? ვერა და ვერ გავიმართეთ წელში. უკან დაგორებული ურემივით მივექანებოდით. – მოდი ახლა ასე ვცადოთ, ეგება ასე აჯობოსო, შეიძლება მეფე ასე წაღმა-უკუღმა ბრუნავდეს? ვერ გაიგებდი, ვის ვეხმარებოდით და რატომ. ჩვენ თვითონ გაღლეტილები ჩვენზე გაღლეტილებს ვიძვრენდით უბეში. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, გაგიგონია შენ? დილას ამერიკას და იქეთა გერმანიას ვუღრენდით, უნდა დაგასამაროთო და საღამოს ყელგაწვდილი ვეხვეწებოდით, პურის ფქვილი და გაყინული ქათამი მოგვყიდე, ეს ოხერი, უამინდობამ შეგვიშალა ხელიო. ორმოცი წელი უამინდობა შეიძლება, კაცო? სახელმწიფოს თავმა შუბლის ძარღვი რავა უნდა გაიწყვიტო, სირცხვილ-ნამუსი არ უნდა იცოდე?

სტალინი არ გვინდაო იძახოდა და იმის კვალში იდგა. იმის გზასვე განაგრძობდა, ოღონდ უჭკუოდ და უგერგილოდ. მეორე ნომერი მანდატი თვითონ გამოიწერა და კინაღამ ომის მოგებაც დაიბრალა. მანამ არ უტია სხვას, სანამ ზეზეურად არ გახმა. თქვენმა თაობამ სტალინი აღარ იცის. ჩვენთვის კი მთელი ცხოვრება იყო, ბაბა, და ამიტომაა, რომ წამოვწითლდები ხოლმე სახეზე, როცა გლახად ახსენებენ. მე რაც გამიკეთა, ხომ ხედავ, თუ ყურადღებით მისმენდი, ჩემზე დიდი მაგინებელი არ უნდა ჰყავდეს. მთელი ცხოვრება შიშში გამატარებინა და უდანაშაულო კაცი ხუთჯერ ჩამსვა ციხეში. მაგრამ მაინც ვერ ვიმეტებ. რა ვიცი, რა მემართება, სტალი-

ნი ჩემი სისუსტეა მაინც. იქნებ იმის გამოა, რომ მე ყოველთვის ასე საწყალი და უჩინო, მისი მსოფლიო ღონის მოწინეაში ვარ, იქნება თავისი დიდი ჭკუით და მოჩვენებითი თუ ნამდვილი უბრალოებით მომნუსხა. იქნება უბრალოდ შესახედავად მომწონს, ულვაშიანი, ლამაზი კაცი იყო, თავისივე გამოგონილი ორდენ-მედლებით და ზიზილ-პიპილოებით მკერდი რომ არასოდეს აუჭრელებია. რა ვიცი, ძალიან მინდა სწორად ვაფასებდე და მესმოდეს მისი გამკრიტიკებლების, მაგრამ მაინც ვერ მივიტანე გულთან მისი აუგად ხსენება. შეიძლება სტალინის სწორად შეფასება ჩვენმა თაობამ ვერც მოახერხოს. ერთში მაინც უნდა შეგეკამათო. კი, ბატონო, სტალინს ბევრი შეცდომა და ნაკლი ჰქონდა, გეთანხმებით, მაგრამ რაღა მარტო სტალინის მიმართ ვართ ასე ობიექტურები. მეც მომხრე ვარ, კაცი ყველანაირად შევაფასოთ, მაგრამ მარტო სტალინზე გავავრცელოთ ეს წესი? დავიჯერო ახლა მარტო სტალინს ჰქონდა ხასიათში ნაკლი და სხვას არავის? ესაა, გულს რომ მტკენს და ვერ გამიგია, თუ მართლის თქმა გადავწყვიტეთ, ყველას მიმართ მართალი ვიყოთ, თორემ ასე შერჩევით, ალაგ-ალაგ სიმართლეს ხალხი არ დაგვიჯერებს.

მოგაბეზრე თავი. ვიცი ახლა სტალინზე ლაპარაკის დრო არ არის, ასე ფიქრობ შენ. დღევანდელ საქმეს უნდა მივხედოთ. კი, ბატონო, მაგრამ შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და თუ უკან არ მოიხედე, წინა კაცის ნავალი არ გაითვალისწინე, წინ წასვლა გაგიჭირდება.

განახლების მუსიკალური მოტივი შემოიჭრა სცენაზე. თანამედროვეობის ამსახველი ხმები და სურათები. გრიგოლ ბაქრაძე კვლავ სურათის ჩარჩოსთან მიდის.

გ რ ი გ ო ლ – ცხოვრებას თავისი კანონები ჰქონია, ბაბა. ისტორიაზე მიძალება რომ არ შეიძლება, ახლა მივხვდით, ა, ურემი რომ კინაღამ გადაბრუნდა. სახელმწიფო ჭკუის კარნახით უნდა აშენო, თორემ ცეცხლით და მათრახით გამაგრებულს, ცეცხლი და მათრახი დაანგრევს, როცა იქნება. დავფათურობთ ახლა დანგრეულ ბუდეებზე, ვაბრუნებთ საფლავის ქვებს, იქნება რამე გადაგვირჩაო. იმ ქვებს, რომლებზეც წარწერები ჩვენ თვითონ წავშალეთ. ადამიანის შვილის ხალხის მეხსიერებიდან ამოღების მუღამი მაინც ვინღამ გვასწავლა?

კაი ფიქრებით მოხვედით, მე და ჩემმა ღმერთმა. გიყურებთ და მიხარია. გული იმაზე მწყდება, რომ მხოლოდ გიყურებთ და მეტი არაფერი. მე ახლა, ოთხმოცდაათს მიტანებული კაცი, მარტო სიტყვა-რჩევით თუ შეგეწევით, თორემ ჩემი მარჯვენა რაღაში გამოგადგებათ.

არ დაიღალოთ და არ მოგწყინდეთ, ამ ერთს გთხოვთ მხოლოდ. სიმართლის გასაღები მარტო ჩვენ გვაქვს ჯიბეშიო, ამასაც ნურასოდეს იფიქრებთ. კაცს ფიქრის გაცხადების რომ შეეშინდება, ის კაცი თქვენი ერთგული ვერ იქნება, ბაბა. ამიტომ კაი ბიჭები მაშინ იქნებით, თუ სხვანაირი ფიქრისთვის ადამიანისშვილს არ შეიძულებთ. მოუსმინეთ იმასაც. გაარკვიეთ, იქნებ, სიმართლეს ამბობს, რაღაცა მიზეზმა ხომ გაუჩინა ის სხვანაირი ფიქრი თავში.

გაღმერთება და გაბელადება, ვისიც უნდა იყოს, ამ თქვენს დროში მაინც სასაცილოა, და თუ შეგაფერხებთ, თორემ კარგს არაფერს დაგმართებთ. ადამიანი ისედაც ორი დღითაა მოსული ამ წუთისოფელში და ნუ გაამწარებთ. მიხარია, აბა, არ გამეხარდება შიში რომ გაიპარა ჩვენი ოდის ჭუჭრუტანებიდან? ჯერ სადა ხართ. ვეშაპის სისხლზე ამოსულ დევებთან შერკინება

ანი გიწევთ. ჯერ კაცთა უჭკუობით გამრუდებული გზა უნდა გავასწოროთ ახლებურ ლარ-თარგზე. სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფას უნდა გადავეჩვიოთ. არ გამოდგა საერთო გობში ხელის ფათურის წესი იმიტომ, რომ ზოგს დიდი პეშვი აღმოაჩნდა და ზოგს პატარა. ჩემსას და შენსას ნუ აურევ ერთმანეთში ჩემს მოსატყუებლად და ყველაფერი კარგად იქნება. ნუ წამართმევ ჩემს ჭადს და ნუ გამიხდი მერე სახვეწრად, ცოტა მომიტეხე-თქვა.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბაბა. მე იმითაც მადლობელი ვარ და იმის ფიქრით მაინც მშვიდად ჩავალ სამარეში, რომ სწორედ შენმა თაობამ მალაპარაკა შენთან ასე თავისუფლად, შიში გამორეკა ჩემი დარჩენილი დღეებიდან.

ქორო ადგილს სტოვებს და ნელ-ნელა უახლოვდება გრიგოლ ბაქრაძეს. გრიგოლი ხმას აუწევს და ხელშემართული ავანსცენაზე გამოდის.

გ რ ი გ ო ლ – ჩვენ იმდენჯერ ვჭამეთ სირცხვილი, რომ ახლა აღარავინ დაგვძრახავს, ყველა ერთად თუ შევუტევთ მრუდედ ნაქსოვ-ნაბურჯალს. ვაჟკაცობა იმას ჰქვია, გაბედულება გვეყოს, ავდგეთ და ვთქვათ: – სხვა გზას ვეწიოთ, არ გამოგვივიდა ისტორიაში ნაუცბათევი ნახტომი-თქო.

გახსოვდეს, ბაბა! შეცდომის დაშვებაზე დიდი ცოდვა იმ შეცდომის მონად დარჩენაა!

ყურადღება

ერთმოქმედებიანი პიესა

მოქმედი პირნი:

ვ ა ჟ ა – ტელესტუდიის რეჟისორი.
ნ ა ნ ა – ვაჟას ქალიშვილი, სტუდენტი.
დ ა თ ო – სტუდენტი.
ჯ ი ნ ა – ტელედიქტორი.
ს ი ლ ო ვ ა ნ – ხანშიშესული მუშა.
ა ვ ა ლ ო – ემიგრანტყოფილი.
ნ უ ც ა – ახალგაზრდა მეჩაიე.
ბ ი ქ ტ ო რ – ჭარმაგი მესიმინდე.
ჭ ო ნ ქ ა – გაცოცხლებული სოფლის მკვიდრი.
ა რ ჩ ი ლ – მასწავლებელი.
ე ლ ე ფ თ ე რ – მეკოოპერატივე.
ბ ე ნ ი ა – სოფელსგამოქცეული ახალგაზრდა.
პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე
მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე
მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე
მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე

პირველი სურათი

განგაშისწინა მუსიკა, ბარაბნის ყრუ დარტყმებით და ჯაჭვის ჟღრიალის ასოციაციით. მანიფესტაციის წესით, პირით მაყურებლისკენ დგანან ტუჩმოკუმული, მუშტშეკრული ახალგაზრდები. ისინი უძრავად დგანან, შავ კურტკა-ჯუბაჩებში გამოწყობილნი, მხრებზე სხვადასხვა ფერ-ზომის კაშნეგადაგდებულნი რამპის შუქზე სანთლის ფიგურებს ჰგვანან. სცენის ოთხივე კუთხეში დემონსტრანტთა მეთვალყურე ზედამხედველნი – შავშლაპიანი, წითელსამკლაურიანი ოთხი მამაკაცი დგას ზურგით მაყურებლისკენ. ორი ტრანსპარანტი უჭირავთ: „თავისუფლება ავღანეთს“ და „თოფს ნუ ესვრით გარეჯის ფრესკებს“. მუსიკა ერთბაშად წყდება და დემონსტრანტები სიმღერას იწყებენ. მღერიან ომახიან, ვაჟკაცურ სიმღერას – ქართულ ხალხურს, ან კომპოზიტორის მიერ დაწერილს, ტემპიანსა და ლაშქრულს. ჩაამთავრებენ სიმღერას და ისევ იმავე პოზაში გაქვავდებიან. ისევ განგაშისწინა მუსიკა ბარაბნის ყრუ დარტყმებით და ჯაჭვის ჟღრიალის ასოციაციით. კულისებიდან გამოდის თეთრ გრძელმოსასხამიანი, ხელჩანთიანი რეჟისორი ვაჟა და სანთლის ფიგურათა შორის დააბიჯებს. ეტყობა ვიღაცას ეძებს. მისეულ სვლას რაღაც იდუმალი გარინდება ახლავს. დემონსტრანტების სახეებზე ლურჯ-წითელი სინათლე გადაივლის ზოგჯერ, თეთრმოსასხამიან ვაჟას კი ყვითელი სინათლის წრე მიაცილებს. გონგის ხმაზე დემონსტრანტები ერთბაშად მაყურებლისკენ ზურგით შებრუნდებიან, ხოლო ოთხი წითელსამკლაურიანი „მორიგე“ პირაქეთ, მაყურებლისკენ. ამასობაში ვაჟა წინ გამოვიდა და სცენის შუაგულში დადგა. ოთხივენი ვაჟასკენ წავიდნენ. მორიგეობით მიდიან მასთან და ნახევარყბით, აქაოდა სხვებმა არ შეგვნიშნონო, თითო ფრაზას ეუბნებიან. პირველი მორიგე რომ ეტყვის რაღაცას, ჩაივლის და მეორეს უთმობს ადგილს. ასე რიგრიგობით „მოძღვრავენ“ ვაჟას. ვაჟა შემცბარი, ცოტა შეშინებულ-გაოგნებულია.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე – შენ მამა ხარ!
ვ ა ჟ ა (შემკრთალი) – დიახ.

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – მერე და რატომ გავიწყდება მამის ვალი.

ვ ა ჟ ა – რას გულისხმობთ?

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე – ძალიან კარგად იცით, რომ თქვენი ქალიშვილი პატრიოტობანას თამაშობს.

ვ ა ჟ ა – იქნებ სულაც არ თამაშობს.

მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე – მით უარესი მისთვის.

ვ ა ჟ ა – მე იგი ჩვეულებრივ გოგოდ გავზარდე. რამდენადაც შემეძლო ქვეყნის ყაყანს ვარიდებდი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე – იცოდეთ ეგ თამამი ბავშვები ცუდად დაამთავრებენ.

ვ ა ჟ ა – ისინი ჯერ მხოლოდ იწყებენ.

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – ცუდად დაიწყეს.

ვ ა ჟ ა – ეგ თქვენი აზრია.

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე – წაიყვანეთ და დააბით სახლში პოლიტიკურ ხულიგანთა ეგ თქვენი ჟანა დ'არკი, მამაჩემსა აქვს ცხონება, სანამ გვიან არ არის.

ვ ა ჟ ა – სამწუხაროდ გვიან არის.

მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე – ახლა ანდაზების დრო არაა, თქვენ მამა ხართ, შვილი უნდა გადაარჩინოთ, მორჩა და გათავდა.

ვ ა ჟ ა – თქვენ ხომ გყავდათ ერთხელ, ხომ დაკითხეთ?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე – მერე? შეაყარე კედელს ცერცვი.

ვ ა ჟ ა – აბა მე რა ვქნა, მითხარით, როგორ მოვიქცე.

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – გამომწვევად ნუ გველაპარაკები. იცი შენ ძალიან კარგად, რეჟისორ კაცს თავზე ხელს რომ არ დაგისვამენ.

ვ ა ჟ ა – როგორ არ ვიცი. მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა ვართ, შვილის საქციელისთვის მამასაც რომ პასუხს აგებინებენ.

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე – აქამდე ხომ არ მოვსულვართ შენ-

თან. თუ ფიქრობ, ციდან მოდიოდა ის პრემიები და საზღვარგარეთ გადაღებები?

მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე – ჩვენი ერთი სიტყვა საკმარისია და შენი გვარის ჭაჭანება არ იქნება არსად.

ვ ა ჟ ა – ვიცი, ეგ რომ შეგიძლიათ, მაგრამ რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ დაშინებისა მეც კარგა ხანია აცრილი მაქვს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე – შენ არავინ გაშინებს, შვილის გადარჩენა თუ გინდა, უნდა დაგვეხმარო.

ვ ა ჟ ა – რაში, კონკრეტულად?

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – არ გჭირდებათ ჩვენთან ეგ ირონია. მერე ძალიან იცით ხოლმე ცრემლის გადმოყრა: მშობელი ვარ, ანგარიში გამიწიეთო.

ვ ა ჟ ა – გადასარჩენი რა დააშავა ჩემმა შვილმა?

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე – დიდი ხანია ვუთმენთ. ჩვენც დავიღალეთ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხალხი ვართ. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს.

მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე – ორმოცდათექვსმეტი წელი თქვენ მაინც გემახსოვრებათ.

ვ ა ჟ ა – ეგ რა არის, მუქარა?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე – როგორც გინდათ ისე გაიგეთ. თქვენი შვილები სწორედ იმან გაათამამა, რომ რეპრესიებზე უარი ვთქვით.

ვ ა ჟ ა – თქვენ არ გითქვამთ, ჩვენ გათქმევინეთ.

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – ჰოდა რაკი „თქვენ გვათქმევინეთ", არ უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ კარგად დაიხსომეთ; როგორც გვიბრძანებენ, ისე მოვიქცევით და მერე გვიან იქნება.

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე (მეორე მორიგეს შეუბღვირა). რა ლაპარაკია ეს? თქვენ თქვენი შვილი გიყვართ?

ვ ა ჟ ა – დიახ.

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე – ჩვენ გვინდა თქვენს შვილს ხიფათი ავაცილოთ, თქვენც ხომ ეს გინდათ?

ვ ა ჟ ა – რასაკვირველია. მაგრამ იგი უკვე გამოვიდა იმ ასაკიდან, როცა ბავშვის თავმოყვარეობასთან თამაში ჯერ კიდევ შეიძლება. ნანას თავისი შეხედულებები აქვს.

მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე – არ დაიჯეროთ, არავითარი შეხედულებები მათ არა აქვთ. მოსწონთ უბრალოდ გაფიცული, გაბუტული, დემონსტრანტი ახალგაზრდების პოზა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე – წიგნს რომ არ მოჰკიდონ ხელი და საქმე რომ არ აკეთონ, გამოუგონეს თავის თავს რევოლუციონერობა. მე ვინ მკითხავს თვარა, წავკრავდი თითო ჭიტლაყს იმ გახურებულ თავში სუყველას და შევრეკავდი, სადაც საჭიროა.

ვ ა ჟ ა – კიდევ კარგი, შენ რომ არ გეკითხებიან. ბოლოს და ბოლოს, რას აშავებენ, ცუდს რას ამბობენ? მეტი თავისუფლება იყოსო, ჩვენს ენას ნუ დავკარგავთო, ისტორიულ ძეგლებს ნუ დაანგრევთო. თქვენ არა ხართ ამ აზრის?

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – ყველაფრის თქმას თავისი ადგილი აქვს. რად უნდა ამას დემონსტრაცია.

ვ ა ჟ ა – დემონსტარციის უფლება კონსტიტუციაში სწერია.

მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე – ახლა გაგახსენდათ კონსტიტუცია? კონსტიტუციაში ეს ოცდაათი წლის წინათაც ეწერა, რატომ არ მართავდა თქვენი თაობა დემონსტრაციებს?

ვ ა ჟ ა – როცა გავმართეთ ტყვია დაგვასხით თავზე.

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – ჰოდა, გამარჯობა შენი.

ვ ა ჟ ა – წარმოიდგინეთ ჩვენი შვილები ერთ მშვენიერ დღეს გულგრილნი აღმოჩნდნენ ჩვენი ენის, ჩვენი ეროვნული პასპორტის მიმართ, ხომ იქნება ეს უბედურება?

მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე – უნდა გაიგოთ, ისინი ახლაც გულგრილნი არიან, ეს ბრძოლა შირმად ააფარეს მათ მიერ ჩვენთვის მორთმეულ „საჩუქრებს“ – ნარკომანიას, ტოქსიკომანიას და ვინ იცის, კიდევ რა მანიას არა.

ვ ა ჟ ა – როგორ გეკადრებათ, თქვენ შვილები გყავთ?

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – დიახ.

ვ ა ჟ ა – მერე რატომ აძლევთ თქვენ თავს უფლებას თქვენს შვილებზე ასე ზიზღით ილაპარაკოთ.

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე (მეოთხე მორიგეს). სწორს გეუბნება. სიტყვებს დაუკვირდი, (ვაჟას მიუბრუნდა) ბატონო ვაჟა, ჩვენც უნდა გაგვიგოთ, დავიღალეთ, იდექით, აბა, ქუჩაში დღე და ღამე და იმის შიში გქონდეთ, ვინმემ ქვა არ გესროლოთ.

ვ ა ჟ ა – რატომ გეშინიათ, რა ხდება ასეთი?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე – ხომ ხედავთ, რაც ხდება, გამოვა ორმოცდაათი გულუბრყვილო ახალგაზრდა, მოვა პრავაკატორი, აქ მიტინგიაო და ჩაიგდებს ხელში ტრიბუნას.

ვ ა ჟ ა – მერე, რას იტყვის იმ ტრიბუნიდან? დააქცევს ვითომ ქვეყანას?

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – რას არ იტყვის, ენას ძვალი არა აქვს.

ვ ა ჟ ა – შევთანხმდეთ, თქვენ სწორედ იმის გეშინიათ, ის დიდი და მწარე სიმართლე რომ არ ითქვას. ყველას რომ ენის პირზე გვაკერია, მეც და თქვენც.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე – სხვაგან თქვით, დაწესებულების კედლებში თქვით, ოჯახში თქვით, სუფრაზე თქვით, თუ მაინცდამაინც, ეგ ოხერი სიმართლე, მაინცდამაინც ქუჩაში უნდა თქვათ?

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე – ესეც არ იყოს, რაღა ბავშვებს მიანდეთ ისტორიის ჯაჯგური, რაო, პასუხისმგებლობის გეშინიათ?

ვ ა ჟ ა – ეგეც თქვენი დახმარებით მოხდა. თანაც არ დავმალავ და, ისინი ჩვენზე გაბედულნი არიან.

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ შეასხა ფრთები თქვენს შვილს, ვინ დააბრალა გაბედულება ამ გუშინდელ ღლაპებს? ვინაა მაგათზე ნაკლები პატრიოტი?

ვ ა ჟ ა – ჰო, რასაკვირველია, პატრიოტობის დაჩემება ძნელი არ არის, როცა იღლიასთან, ტყავის ბუდეში რევოლვერი გაქვს და უდანაშაულო კაცის ყურის აწევა სამსახურებრივად გევალება.

მ ე ს ა მ ე მ ო რ ი გ ე. ბევრი ლაპარაკის დრო არ არის. ერთი სიტყვით, თუ თქვენი შვილისთვის სიკეთე გინდათ, გაარიდეთ დემონსტრაციას. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ქალის საქმეც არ არის ეს.

მ ე ო თ ხ ე მ ო რ ი გ ე – ხოლო კანონის წინაშე ქალიც და კაციც ერთნაირად აგებს პასუხს.

მ ე ო რ ე მ ო რ ი გ ე – თოთხმეტში აპირებენ რაღაცას. ამას ყველას არ ვეტყოდით, მაგრამ თქვენი პატივისცემა გვალაპარაკებს. თოთხმეტში გვერდით იყოლიეთ, ხელიდან არ გაუშვათ. მე ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ, დამიჯერეთ, ცუდი წინათგრძნობა მაქვს.

მეორე, მესამე და მეოთხე მორიგე ერთმანეთის მიყოლებით იდუმალი გახედვა-გამოხედვით გაქრნენ სცენიდან. ვაჟასთან მარტო პირველი მორიგე დარჩა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო რ ი გ ე (ლამის ყურში ჩასძახის) – გითხრათ სიმართლე, ბევრი რამ მეც არ მომწონს. თავის დროზე ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ჯერ ნაადრევია. ჩვენმა შვილებმა თავი უნდა შეინახონ. უაზრო მსხვერპლის გაღება არ ღირს. გადაეცით ჩემი მოკითხვა თქვენს ქალიშვილს და უთხარით, ჯერჯერობით ჩამოშორდეს დემონსტრაციებს. განსაკუთრებით თოთხმეტში გვიჭირს. გაფრთხილებული ვართ! თოთხმეტში სახლიდან ნუ გამოვა. (პირველი მორიგე რამდენიმე ნახტომით კულისებში გაუჩინარდა).

ვაჟა გაოგნებული დგას სცენის შუაგულში. უეცრად ჭექა-ქუხილის მსგავსი ხმაური ისმის. თითქოსდა თეატრი დაზანზარდა, დემონსტრაცია აირია, ლურჯ-წითელი სინათლე დაჰქრის ადამიანთა სახეებზე. მაჟორული მუსიკა თანდათან ძლიერდება. თეთრპლაშიანი ვაჟა ისევ დემონსტანტთა შორის დააბიჯებს. როგორც იქნა, იპოვა თავისი ქალიშვილი ნანა, ხელი ჩასჭიდა და ავანსცენისკენ მოდის. ნანას გვერდით მისი მეგობარი დათო მოჰყვება. სცენა ბრუნავს. ვაჟამ მოიხედა, დათო რომ დაინახა, ახლა მასაც ჩასჭიდა ხელი. იქეთ-აქეთ გარბი-გამორბიან ადამიანები. ვაჟამ ნანა და დათო ნახევრადდანგრეულ, ძველ ისტორიულ კედელთან მოარბენინა. კედლის მიღმა, ქუჩაში, ხმაური ისმის და მილიციის მანქანის რადიორუპორის ხმა „გაანთავისუფლეთ ტროტუარი“, „დაიშალეთ“, „ტრანსპორტს მოძრაობას ნუ უშლით“, „დაბრუნდით უკან, აქ გადასვლა არ შეიძლება“, „თქვენ, რა, თბილისში პირველად ხართ?!“ მალე ყველაფერი შედარებით წყნარდება. ნარბენ ვაჟას და ახალგაზრდებს გული ამოვარდნაზე აქვთ.

ნ ა ნ ა (აღგზნებული, ისტერიული ტონით) – ღმერთო რა საცოდავები არიან, ღმერთო, როგორ ეშინიათ.

დ ა თ ო – ნანა, დაწყნარდი!

ვ ა ჟ ა (ირონიულად) – ხელის შეგიშალეს ხომ ცუდმა ბიძიებმა.

დ ა თ ო – ჩვენ ისედაც მალე დავიშლებოდით, მაგრამ რა უფლება ჰქონდათ.

ვ ა ჟ ა (ისევ ირონიულად) – შენ ეგა თქვი, ყური ხომ არ აგვეწია „წესრიგის დამცველთათვის?“

ნ ა ნ ა – ტრანსპორტის მოძრაობას ხელს უშლითო, ღმერთო, რა დამფრთხალი სახეები ჰქონდათ. მოძრაობასთან ჩვენ რა გვესაქმება-მეთქი.

დ ა თ ო – ეგაო, რასაც თქვენ აკეთებთ, ხულიგნობააო. რატომ არის ხულიგნობა?

ვ ა ჟ ა – თქვენი არ მიკვირს? ხომ უკეთესი იქნებოდა, თქვენ

წყობილების საწინააღმდეგო სიტყვებს ჭიკჭიკებდეთ, ისინი ახლომახლო იდგნენ და ტაშს გიკრავდნენ, აჯობებდა ხომ? ის, რაზედაც თქვენ ასე აღშფოთებით ლაპარაკობთ, იმ კაცების სამსახურია.

დ ა თ ო – რა სამსახური?

ვ ა ჟ ა – რა და მთავრობა ფულს იმაში უხდით, რომ საზოგადოებრივი სიმშვიდის ილუზია შექმნან და დაუგეგმავ მიტინგ-დემონსტრაციებს ხელი შეუშალონ.

ნ ა ნ ა – ისიც სამსახურებრივად ხომ არ ევალებათ, ქუჩაში გააჩერონ უდანაშაულო კაცი და გაჩხრიკონ.

ვ ა ჟ ა – როგორ გაჩხრიკონ?

დ ა თ ო – მე გამჩხრიკეს გუშინ. დღისით – მზისით მანქანაში მიკრეს თავი. წამიყვანეს და სამი საათი სულ თითის ქნევით და მუქარით მაიძულეს დამეწერა, რომ ამ დღეებში ქუჩაში არ გამოვალ და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებზე არ გამოვჩნდები.

ვ ა ჟ ა – მერე, იოლად გადარჩენილხართ!

დ ა თ ო – რა იოლად, დავაშავე რამე? პასუხი უნდა ვაგებინო, იმ სერჟანტს, გვარიც ვიცი.

ვ ა ჟ ა – რა გულუბრყვილო ბავშვები ხართ. შენ გგონია, შენი გაჩხრეკა შემთხვევით მოხდა? არ მოეწონე რომელიღაც სერჟანტს და დაგაკავა? შენი გაჩხრეკა, ჩემო კარგო, სულ მცირე თერთმეტკაციან ოპერატიულ თათბირზე მაინც გადაწყდებოდა გუშინ დილით. რას ერჩი იმ საწყალ სერჟანს. მადლობელი უნდა იყო, რომ გამოგიშვეს და ჯიბეში მორფის ამპულა არ ჩაგიდეს, რომ გაჩხრეკის დროს „აღმოეჩინათ“.

ნ ა ნ ა – ღმერთო, როგორ ეშინიათ, ეს არის პიროვნების ხელშეუხებლობა?

ვ ა ჟ ა – რატომ ვერ გაიგეთ, ქუჩას უადგილო ადგილას რომ გადაჭრი, შენ უკვე დამნაშავე ხარ და სახელმწიფო გაჯარიმებს. შენ გეგონა თქვენი დემონსტრაციაში გასვლა-გამოსვლა და აქტიურობა შეუმჩნეველი დარჩებოდა? თქვენს სახელზე გახსნილი საქაღალდეები დღითიდღე სუქდება ერთ ადგილას, ჩემო კარგებო.

დ ა თ ო – მერე და რატომ, რისთვის? ეს ხომ ძალადობაა? არ წაუკითხავთ? „რომელი აღმაღლდეს მახვილითა, მახვილითვე წარხდეს იგი“?

ვ ა ჟ ა – სხვაც ბევრი რამ წაუკითხავთ, მაგრამ ეს ქვეყანა ათეული წლები მაგრდებოდა და თანდათანობით იხვეწებოდა იმ გამაგრების მეთოდები. რაც შეეხება ძალადობას, შენ უკვე ისე პატარა არა ხარ, ნამდვილი ძალადობის შესახებ გაგონილი მაინც ხომ არ გქონდეს. დაიშალეთო, დაგიძახეს და თქვენ ამას ძალადობას ეძახით. იცით თუ არა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ფოსტალიონის დანახვისა ეშინოდა, ჩემმა ცოლმა ციმბირიდან წერილი არ გამომიგზავნოს და მეუღლესთან „დანაშაულებრივი კავშირი“ არ დამიმტკიცდესო. იცით თქვენ ეს რა გრძნობაა? ცოლი დაუჭირეს პოეტს, რომ მისი შემოქმედებითი გენიის მართვა შეძლებოდათ. ახლა სახელმწიფოში წარსულის გამო შედარებით დამორცხვების ეპოქაა.

ნ ა ნ ა – რაო ახლა რისი შეგვრცხვა? ბერიას გამო და ეჟოვიაგოდას გამო? რატომ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ავღანეთის გამო არ გვრცხვენია?

დ ა თ ო – აი, ჩვენ გამოვდივართ და ავად თუ კარგად ვამბობთ, თქვენმა თაობამ რა გააკეთა უნაპირო სიფრთხილის მეტი?

ვ ა ჟ ა – არა ხარ შვილო, მართალი. იცი თუ არა შენ, რომ ის შედარებითი თავისუფლება, რომელმაც თქვენ ახლა მიტინგობის ხასიათზე დაგაყენათ, ჩვენ მოვიპოვეთ ჩვენი ბრძოლით, კედელზე ხეთქებით და სამშობლოდან გაძევებებითაც. ის ფიქრიც, რითაც თქვენ ახლა სამშობლოს უვლით, ჩვენ ჩავდეთ თქვენს თავებში.

ნ ა ნ ა – რა თავისუფლებაა, მამაჩემო. ვთქვათ, რომელიმე უგუნურმა ოფიცერმა დავით გარეჯი სასროლ პოლიგონად აქცია. ჭურვები სკდება და ფრესკებს აზიანებს. ძეგლების დაცვის სამმართველო საეჭვოდ სდუმს. საჭიროა სასწრაფოდ შევიკრიბოთ და ხმა მივაწვდინოთ სადაც ჯერ არს, შეწყვიტონ სროლა.

დ ა თ ო (ნანას სიტყვა წაართვა) – ამისათვის თურმე შვიდი დღით ადრე განცხადება უნდა შევიტანოთ აღმასკომის სახელზე. დავასაბუთოთ მიტინგის აუცილებლობა და თაოსანთა გვარ-მისამართებიც გარკვევით აღვნიშნოთ. აღმასკომი ათ დღეში უარით გამოგვისტუმრებს: ჩვენ მოვაგვარებთ, ამ საკითხს, რად უნდა მიტინგიო. ორგანიზატორთა გვარებს, ყოველ შემთხვევაში, დაიტოვებს, რომ სათანადო ორგანოებს შეატყობინოს.

ნ ა ნ ა – მერე ჩვენ უფლება გვაქვს ათ დღეში საქალაქო საბჭოს აღმასკომში გავაპროტესტოთ რაიაღმასკომის უარი. ისინი ათ დღეში გვიპასუხებენ. ჩვენ უფლება გვაქვს ხუთ დღეში უფრო ზემდგომ ორგანოში ეს უარიც გავაპროტესტოთ. ზემდგომი ორგანო ათ დღეში მოგვცემს საბოლოო პასუხს.

დ ა თ ო – ასე რომ, ორმოც-ორმოცდახუთ დღეში გადაწყდება, შევიკრიბოთ თუ არა ჩვენს გასაჭირზე ერთსაათიანი მიტინგის გასამართავად.

ნ ა ნ ა – ამასობაში კი არათუ ფრესკები დაზიანდება, კედლებიც ჩამოიქცევა თავის ფრესკებიანად. ესაა თქვენ მიერ მოპოვებული თავისუფლება?

ვ ა ჟ ა – მე ვთქვი, შედარებითი თავისუფლება-მეთქი.

ნ ა ნ ა – ჩვენ არასერიოზულ, ჭირვეულ ბავშვებად გვთვლიან. ყველაზე საწყენი ეს არის.

დ ა თ ო – ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ, ჰაიდლერი რომ შიმშილობდა, იმ დღეებში ყველანი ფეხზე დავდექით. ერი და ბერი იმაზე ფიქრობდა, როგორ გადავარჩინოთო. მე რომ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოვაცხადო, სასაცილოდ ამიგდებენ. ყოველნაირი საშუალებით ეცდებიან დამამცირონ. ჩვენთან თურმე შიმშილობის გამოცხადების სოციალური საფუძველი არ არსებობს.

ნ ა ნ ა – შიმშილობა კი არა, ნავთი რომ დავისხა და შუა მოედანზე თავი დავიწვა, ჩემ საქციელს სიგიჟედ მონათლავენ და სულით დავრდომილთა საავადმყოფოში ჩემი ავადმყოფობის ისტორიას სახელდახელოდ შეადგენენ, თუ როგორ ვმკურნალობდი მე, შიზოფრენიით დაავადებული, წლების განმავლობაში. ესაა თქვენი თავისუფლება?

დ ა თ ო – ბოლოს და ბოლოს, თავზე ხელს ნუ აგვაღებინებენ, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მოწამლული ატმოსფეროს და შიდსის თაობა ვართ. არ გვინდა იმ საუკუნეში ყოველგვარი მემკვიდრეობა გავიყოლოთ. რისი დატოვებაც შეიძლება, აქვე უნდა დავიტოვოთ და მოგვცენ თეთრისა და შავის გარჩევის დრო და საშუალება, თუ შეიძლება.

ვ ა ჟ ა – მაგრამ ქვეყნის დანგრევას ნუ ეცდებით და სხვაში, ალბათ, შესაძლებლობისამებრ, ხელს შეგიწყობენ.

ნ ა ნ ა – იქნებ ის ქვეყანა, რომელსაც ასე ენერგიულად ამაგრებდნენ უკვე დაინგრა.

ვ ა ჟ ა – იქნებ... (საათზე დაიხედა) რვა საათზე გადაცემის ჩაწერა მაქვს. თქვენ?

ნ ა ნ ა – შინ წავალთ, ნუ გეშინია.

ვ ა ჟ ა (არ უნდა მოცილება) – იქნებ წამოსულიყავით, დამსწრეებოდით ჩაწერაზე, ა?

ნანამ და დათომ ერთმანეთს გადახედეს, მიხვდნენ რომ მამას მათი ქუჩაში დატოვება ეძნელება.

დ ა თ ო – სიამოვნებით.

სამივენი გადიან.

მეორე სურათი

ტელესტუდია. ტელეგადაცემის ჩაწერის სამზადისი, იუპიტერებით განათებული სცენა. ერთ კუთხეში დასხდნენ ნანა და დათო. ისინი ჩაწერას ესწრებიან. ხან ერთმანეთს ესაუბრებიან, ხან ყურადღებით უსმენენ.

მრგვალ მაგიდას ტელედიქტორი, მომხიბვლელი ქალი – ჯინა უზის. სათითაოდ შემოდიან გადაცემის მონაწილენი – შვიდი მამაკაცი და გოგონა – მეჩაიე ნუცა. ვაჟა ღიმილითა და რევერანსებით ჩაამწკრივებს სტუმრებს ჯინას გასწვრივ. მოირბენს ტელეაპარატთან. განზე გასწევს ოპერატორს და გაიხედავს, რაღაც არ მოეწონება, ისევ მრგვალ მაგიდასთან მობრუნდება, ერთხელ კიდევ გადასვგადმოსვამს გადაცემის მონაწილეებს, ეს ყველაფერი ტემპიანი, საექსპოზიციო მუსიკის ფონზე ხდება. ბოლოს, როგორც იქნა, დასხა რეჟისორმა სასურველ კომპოზიციად სტუმრები და თავს წაადგა.

ვ ა ჟ ა – ძალიან გთხოვთ თავისუფლად, ძალდაუტანებლად ისაუბრეთ. უმეტესობა ჩვენთან პირველად არ ბრძანდებით. გაფრთხილება არც კი გჭირდებათ.

ს ი ლ ო ვ ა ნ – არ შეგვატყონ რომ ტყუილს ვამბობთ?

ყველამ გაიცინა.

ვ ა ჟ ა – სიმართლე ვთქვათ, ბატონო, რაღა დროს ტყუილებია, სიმართლის მოსმენა, რომ გვსურს, ამიტომ არ გამოგართვით ტექსტები წინასწარ, ა, მიკროფონი და ა, თქვენ, ილაპარაკეთ, რაც გაგეხარდებათ.

ბ ე ნ ი ა – რაზე ვილაპარაკოთ?

ვ ა ჟ ა – დღევანდელ დღეზე, ამ გარდაქმნაზე, საქმეზე, სატკივარზე, ცოტა გვაქვს სათქმელი?

ბ ი ქ ტ ო რ ი. აგაშენათ ღმერთმა.

ნ უ ც ა – კი მაგრამ, რეპეტიცია არ იყო საჭირო?

ვ ა ჟ ა – რეპეტიცია მაინც შეგზღუდავდათ, ჩარჩოებში ჩაგაყენებდათ, გადავწყვიტეთ, პირდაპირ ჩავიწეროთ, უფრო ბუნებრივი გამოვა.

ა რ ჩ ი ლ – ასე რანაირად... ყველა ერთად რომ ავყაყანდეთ?

ჭ ო ნ ქ ა – ვინ ვის შემდეგ ვთქვათ, ეს მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ.

ვ ა ჟ ა – რა მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში.

ა რ ჩ ი ლ – მაინც ხომ მრგვალი მაგიდაა, არა?

ისევ გაიცინეს.

ა რ ჩ ი ლ – აქვს, როგორ არა აქვს, ბატონო, მნიშვნელობა, ჯერ ერთი ნერვიულობ, მაინც აპარატის წინ ზიხარ, რაც არ უნდა იყოს, დროზე გინდა მოიშორო შენი სათქმელი. ბოლოს, რომ იტყვი, უარესი იმითაა, რომ შეიძლება სხვამ თქვას, რაც შენ გაქვს მოფიქრებული და მერე საძებარი გაგიხდეს აზრი.

ე ლ დ ა რ ი – სწორია, სხვის ნათქვამს ხომ არ გაიმეორებ.

ს ი ლ ო ვ ა ნ – მოსწრებაზე ნუ გაგვიშვებ, თუ კაცი ხარ. ამას წინათ იყო ჩაწერა, სამნი დაგვსვეს ასე, როგორც ჩვენ ვზივართ. ახალგაზრდები იყვნენ. ვარ ჩემთვის ჩუმად, ველოდები ჩემს რიგს. იჭიკჭიკეს ერთმანეთში მშვენივრად, ჩემკენ არც გამოუხედავთ. ბოლოს, ერთმა საათზე დაიხედა, ჩვენი გადაცემის დრო ამოიწურაო და ამით მოთავდა ყველაფერი. სიტყვა ვერ ჩავაგდე, მოწმესავით ვიჯექი.

ვ ა ჟ ა – ქალბატონი ჯინა წაიყვანს გადაცემას და ყველას გექნებათ თავისუფლად თქმის საშუალება, არა ჯინა?

ჯ ი ნ ა – ჩემკენ გქონდეთ ყურადღება და ან შეკითხვას მოგცემთ, ან მოვბრუნდები თქვენკენ. უნდა გთხოვოთ ოღონდ, სანამ ერთი არ დაამთავრებს სათქმელს, არ ჩაერთოთ, არ გააწყვეტინოთ, სიტყვა სიტყვას დააჯდება და არ ივარგებს.

ა ვ ა ლ ო – მაინც რა უნდა ვთქვათ, ვერ გავიგე?

ჯ ი ნ ა – სათქმელი რაც გაქვთ, პატივცემულო.

ვ ა ჟ ა – აი, რაც გაწუხებთ, რასაც პირველივე შემხვედრს ეტყოდით დილით, სახლიდან გამოსვლისას.

ა რ ჩ ი ლ – ხომ გასაგებია?

ა ვ ა ლ ო – ახლა კი.

ბ ი ქ ტ ო რ ი. მეტი არ იქნა ჩემი მტერი, ეს ჩემთვის გასაგები არ იყოს.

ა ვ ა ლ ო – არა აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება ის პირველი შემხვედრი?

ჯ ი ნ ა – შემხვედრს თუ არა ბატონო, ახლობელს ხომ ეტყვით, რა პრობლემები დგას თქვენ წინაშე, რაღაც სათქმელი როგორ არ გექნებათ.

ავალო მაინც გაოგნებული შესცქერის ხან რეჟისორს, ხან ჯინას, ხან გადაცემის მონაწილეებს.

ვაჟამ რამდენიმე ნახტომით კიბე აირბინა და ნახევრადღია კარებში გაუჩინარდა. მონიტორზე აინთო წარწერა „ყურადღება“, ხან მრგვალ მაგიდასთან მსხდომნი გამოჩნდებიან მონიტორზე, ხან წარწერა „ყურადღება“, გაისმის საექსპოზიციო მუსიკა. ჩაწერა იწყება, ტელეაპარატის თავზე წითელი სინათლე აინთო, ტელეოპერატორმა ხელი დაიქნია.

ჯ ი ნ ა (ყალბი პათეტიკით) – ძვირფასო ტელემაყურებლებო, სადაგი დღეები უდგათ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. მართლაც რომ დიადი გარდაქმნების ეპოქაა. სახელმწიფო მიღების, სამეურნეო ანგარიშის და საოჯახო იჯარის ფართოდ გაშლილმა მოძრაობამ ადამიანები არნახული ენთუზიაზმით აღანთო და აღაფრთოვანა. შრომის ნაყოფიერებამ არნახულ მაჩვენებლებს მიაღწია, მაგრამ, რასაკვირველია, არნახულ გამარჯვებათა ფონზე ჯერ კიდევ შეიმჩნევა მცირეოდენი ნაკლოვანებანი, დღეს სტუდიაში მოვიწვიეთ გამრჯე, სახელოვანი ადამიანები. ისინი სხვადასხვა ასაკისა და პროფესიისანი ბრძანდებიან, მაგრამ მეტნაკლებად აერთიანებთ სახალხო დოვლათის შექმნისადმი დაუოკებელი მისწრაფება, დიად მიზანდასახულებათა განხორციელებისათვის არნახული შემართება. გთხოვთ, ბატონო სილოვან!

ს ი ლ ო ვ ა ნ (მუჭში ჩაახველა, წელში გაიმართა და კიდევ უფრო ყალბი პათეტიკით დაიწყო) – ჩვენი საწარმო – ტუმბოშემკეთებელი ქარხანა ერთ-ერთი უძველესი საწარმოა დედაქალაქში. მას საფუძველი საკავშირო მამასახლისის – კალინინის ინიციატივით ჩაეყარა. საწარმოს რამდენჯერმე შეეცვალა დავალება. ომის დროს მაგალითად, ხელყუმბარის სასხლეტს ვამზადებდით, ომის შემდეგ ვენახის სარწყავ აპარატებს, ახლა, როგორც მოგახსენეთ, ტუმბოებს ვარემონტებთ. ბოლო პლენუმებისა და დადგენილებების შუქზე საწარმოში საფუძვლიანად გარდაიქმნა მუშაობა. ხარატებმა ერთხმად გადავწყვიტეთ: ძველებურად მუშაობა არ ივარგებს, ახლებურად ვიმუშაოთო. ვალდებულება ავიღეთ და განაღდებასაც შევუდექით. მე პირადად, ამჟამად, მომავალი წლის ანგარიშში ვმუშაობ.

ჯ ი ნ ა – მაგრამ, რასაკვირველია, ამოდენა საწარმოს მუშაობაში მცირეოდენი ნაკლოვანებებიც შეიმჩნევა, ხომ ბატონო სილოვან?

ს ი ლ ო ვ ა ნ – რასაკვირველია, ამოდენა საწარმოს მუშაობაში შეიმჩნევა მცირეოდენი ნაკლოვანებანიც, რაც უახლოეს დღეებში გამოსწორდება.

ჯ ი ნ ა – გმადლობთ, ბატონო სილოვან. ჩვენთან არის მოწინავე მეჩაიე, კოლმეურნეობაში სიმწიფის ატესტატით მოსული ნუცა ბაბილოძე. გთხოვთ, ნუცა.

ნ უ ც ა – (ნაწნავი მხარზე გადაიგდო, სახელოდან ცხვირსახოცი დააძრო, დაცვარული ნესტოები შეიმშრალა, თავი ასწია და მოსალოდნელზე უფრო ყალბი პათეტიკით დაიწყო) გარდაქმნის ამ ეტაპზე განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენი სოფლის მშრომელთა ენთუზიაზმი. განსა-

კუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შრომის უკუგებას და ინტეგრაციას.

ა ვ ა ლ ო (ჩაეცინა) – მაპატიეთ, რას?

ნ უ ც ა (ყოფილ ემიგრანტს გულმოსულად შეხედა) – შრომის უკუგებას და ინტეგრაციას. ჩვენთან ყოველგვარი პირობაა შექმნილი ხალისიანი შრომისათვის. რაიონის ხელმძღვანელობა ძალასა და ენერგიას არ იშურებს, რათა მეჩაიეებმა ქვეყნის წინაშე პირი არ შევირცხვინოთ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ ნაკისრი ვალდებულების კეთილსინდისიერად, პირნათლად შესრულების გზით შეიძლება. გალამაზდა და დამშვენდა სოფელი. ვეღარსად ნახავთ ძველებურ სახლებს და სამზად ფაცხებს. თვალს მოგტაცებთ, მაღალი ოდები და ლამაზი ჭიშკრები. ცხოვრებას მეტი შნო და ლაზათი მიეცა. მე პირადად, მომავალი თვის შრომით ვახტზე ვდგავარ.

ა ვ ა ლ ო (დაბნეული) – რაზე დგახართ, პატივცემულო?

ჯინამ და ნუცამ ავალოს კვლავ გულმოსულად შეხედეს.

ნ უ ც ა – მომავალი თვის შრომით ვახტზე ვდგავარ, იმ თვის ანგარიშში ვმუშაობ და ვალდებულებას ვკისრულობ, ექვსასი კილოგრამით მეტი მწვანე ოქრო შევმატო სოციალისტურ სამშობლოს.

ჯ ი ნ ა (ცოტა დაბნეული და უკმაყოფილო) – გმადლობთ, ნუცა, მაგრამ ხარვეზს ვერაფერს ატყობთ შექმნილ მდგომარეობას?

ნ უ ც ა – როგორ არ ვატყობ (ნაწნავი წინ გადმოიგდო).

ჯ ი ნ ა – მაინც?

ნ უ ც ა – კარგი იქნებოდა გართობის მეტი საშუალება რომ იყოს სოფელში.

ბ ი ქ ტ ო რ ი (თავისთვის) – აგაშენა ღმერთმა.

ტელეაპარატის თავზე წითელი ნათურა ჩაქრა, მონიტორზე აინთო წარწერა „ყურადღება!“ კიბეზე ვაჟა-რეჟისორი გადმოდგა.

ვ ა ჟ ა – მაპატიეთ, მაგრამ რაღაც არ გამოდის... ჩვენ სულ სხვაგვარად ჩავიფიქრეთ ეს გადაცემა... ძველებურად ვლაპარაკობთ... სხვისი ხმით... არ გვინდა პათეტიკა. ჯინა, შენ რაღა მოგივიდა? პირდაპირ საქმეზე, წუხილზე ვილაპარაკოთ.

ბ ე ნ ი ა – თუ არა გვაქვს ეს წუხილი, საიდან მოვიტანოთ?

ყველამ გაიცინა, მერე სწრაფად დასერიოზულდნენ, პერანგ-ჰალსტუხები გაისწორეს და თავები ასწიეს. ტელეაპარატზე ისევ აინთო მწვანე ნათურა.

ვ ა ჟ ა – ყურადღება, განვაგრძობთ ჩაწერას, „აგაშენა ღმერთმა“ ჩაწერილია.

ჯ ი ნ ა – ძვირფასო ტელემაყურებლებო, მოგეხსენებათ რა დიდ ყურადღებას აქცევს პარტია დაცარიელებული სოფლების გაცოცხლებას. წარსულის რეციდივებმა არაერთი სოფელი ნასოფლარად გვიქცია. მიკროფონს გადავცემთ სოფელ ბლოუს ერთადერთ მკვიდრს – ჭონქა ხიმიკაურს, რომელმაც ჭეშმარიტი გმირობა ჩაიდინა: ამას წინათ მიატოვა რუსთავის ახლოს სოფელ „გამარჯვებაში“ თავისი სახლ-კარი და მამა-პაპის ნაფუძარზე ბლოუში მარტო დასახლდა. გთხოვთ, ჭონქა.

ჭ ო ნ ქ ა (გასწორდა, ჩაახველა, სადღაც ზემოთ, ჭერს შესცქერის) – ჩემი სიტყვა საკუთარი ლექსით მინდა დავიწყო. იქ, ბარში საკუთარ ლექსს არა ვწერდი. აქ მთაში მეწერების.

ისევ ამავალს სიცოცხლე
თავისის მწვანე ამალით,
აბოლდებიან ბუხრები
ისევ იყივლებს მამალი.

მთას შააკვდება მთის ჩიტი,
ამ გულმა ასე ინება,
მამა-პაპათა ციხეებს
ჯანღი არ დაეფინება.

დიახ, ჯერხნობით მარტო ვცხოვრობ. მთაჩი სასურსათო პროგრამის განხორციელების სურვილმა ამამიყვანა, კუსტანაის სოფელ იევლევოს ვეჯიბრები ერთ ძროხაზე და ერთ ცხვარზე რძე-მატყლის ყუათიანობაში და ცხიმიანობაში. ჯერხნობით კარგად მიდის საქმე. შემდგომში ვნახოთ. ჩემს სიტყვას გავანაღდებ. იქ, მთაჩი, დემოკრატია და საჯაროობა ძალიან მშველის.

ა ვ ა ლ ო (გულწრფელად) – მარტო თუ ხარ, რად გინდა დემოკრატია.

ყველამ გაიცინა, ჭონქამ ამრეზილად გაიხედა ავალოსკენ, თავი ასწია და განაგრძო

ჭ ო ნ ქ ა – დიახ, დემოკრატიამ და საჯაროობამ პირდაპირ სულზე მოგვისწრო. საერთოდ, გარდაქმნა ყველა სფეროს უნდა შაეხოს.

ბ ი ქ ტ ო რ ი. აგაშენა ღმერთმა.

ჯ ი ნ ა – მაგრამ... განაგრძეთ, განაგრძეთ.

ჭ ო ნ ქ ა – მაგრამ საჭიროა ჩვენთან უფრო ხშირად გაიმართოს ხალხური პოეზიის საღამოები. აქ, მთაში ლექსი გულს ათბობს. ხშირად უნდა მაჰდიოდნენ არტისტები და მეცნიერები. მეტი რაი ვართ ჩვენ. მტრის გულის გასახეთქად ჩვენს საძვალეებს ახალი ძვლები არ მააკლდების!

ტელეაპარატის თავზე ისევ ჩაქრა ნათურა. მონიტორზე გაჩნდა „ყურადღება“. რეჟისორმა კიბე ჩამოირბინა და უკმაყოფილო სახით წაადგა გადაცემის მონაწილეებს.

ვ ა ჟ ა – არ ვარგა, არ გამოდის... ძალიან გთხოვთ, უბრალოდ, ერთმანეთში ისაუბრეთ. როგორ მინდოდა, ამ გადაცემაში მაინც მაღალფარდოვნად არ გველაპარაკა. ნუთუ ასე ძნელია? განვაგრძობთ! „ახალი ძვლები“ ჩაწერილია.

რეჟისორმა ისევ აირბინა კიბეები, ტელეაპარატზე წითელი ნათურა აკიაფდა.

ჯ ი ნ ა – გმადლობთ. ჩვენს ტელემაყურებლებს აქ წამოჭრილ საინტერესო საკითხებზე ძალიან აინტერესებთ პატივცემული ბიქტორის აზრი.

ბ ი ქ ტ ო რ ი – მე, ამას წინათ ვთქვი მისი არ იყოს, ძალიან მომხრე ვარ ამ გარდაქმნის. ძალიანი კაი რამეა. სად ნახავდი უწინ ამდენ ტრაქტორს და კომბაინს. ახლა, თუ ხელს გამეიღებ, ყველაფერი კარგად არის. ჩვენი რაიონი რიონისპირა რაიონია, მთები ცოტა გვაქვს, მარა რა ვუყოთ მერე. სამაგიეროდ ხელმძღვანელობა შეგვხვდა ძალიანი კარგი. ვთქვი, მისი არ იყოს, ხელმძღვანელზეც ბევრი რამეა დამოკიდებული. გეგმა იმისია, რომ უნდა შესრულდეს. გვიმატებენ გეგმას და ვუმატებთ ჩვენც მუშაობის ტემპს. აბა რავა გინდა. ნუ გეშინია, ვთქვი მისი არ იყოს, მუშაობა არ მოკლავს კაცს. ამოვუდგეთ უნდა ერთმანეთს მხარში და, ვთქვი მისი არ იყოს, ამ დიდი ზრუნვისათვის პარტიას და მთავრობას სამაგიერო უნდა გადავუხადოთ.

მონიტორზე ისევ გაჩნდა „ყურადღება“, ჯინამ ნერვიულად ამოიოხრა, ვაჟამ ისევ ჩამოირბინა კიბეები.

ვ ა ჟ ა – არა, ბატონო. არა, არ გამოვა ასე! არ ვამბობთ სიმართლეს. გისმენთ და ასე მგონია, თითქოს ვიღაცას, მატყუარა გამომსვლელს ვაჯავრებთ. ნუთუ სალაპარაკო არაფერი გვაქვს?

პაუზა. უცებ ვაჟამ, თითქოს გამოსავალი იპოვაო, სახე გაუბრწყინდა. ჯინა განზე გაიხმო და რაღაც უჩურჩულა, ჯინამ თავი დაუქნია და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ვ ა ჟ ა (ყველას გასაგონად) – ცხადდება შესვენება. ძალიან გთხოვთ მაგიდას არ მოშორდეთ. კადრი შეიცვლება და ოპერატორს გადასვლა გაუჭირდება. შესვენების შემდეგ ჩაწერას განვაგრძობთ ბატონი ბიქტორის სიტყვიდან: „მთავრობას სამაგიერო უნდა გადავუხადოთ“ ნათქვამია. მაშ, ასე, ვისვენებთ. კარგად ბრძანდებოდეთ. მე ტექნიკურ საქმეებს მივხედავ. (ვაჟამ კიბე აირბინა. მაგიდის ირგვლივ საპატიო ყარაულივით გაჭიმული სტუმრები ერთბაშად მოეშვნენ. ნუცამ კოწოლი უკან გადაიგდო, სკამზე გადაკიდებული ტყავის ჩანთა გახსნა, მუჭის სარკე ამოიღო და ჩაიხედა. ნუცას გვერდით მჯდომმა ბენიამ ყურში რაღაც უთხრა. ნუცამ გაიღიმა. მერე კოპები შეჰყარა და ბენიას ტკბილგაბუტვით საჩვენებელი თითი დაუქნია. ჯინამ ტუჩების ნაკეცებში გასული ასკილისფერი პომადა ორი თითით შეისწორა და ლამაზი ნიკაპი ხელისგულს ჩამოადო. კაცებმა ჰალსტუხები მოიშილიფეს და თითქოს პირველად ხედავენო, ერთმანეთს მიაჩერდნენ. ჩაწერის დროს თუ თავები ჟირაფებივით აწეული ჰქონდათ და სადღაც სივრცეში იმზირებოდნენ, ახლა შინაურული იერი მიიღეს. თითქოს აქამდე მარიონეტთა თეატრის თოჯინები იყვნენ და მათი ხელ-ყბა მაღლა ძაფებით ეჭირათ).

ჯ ი ნ ა – არ გვენდობით, არა.

ე ლ ე ფ თ ე რ – რავა გეკადრება, აბა ვის ვენდობით.

ჯ ი ნ ა – აბა რა მოხდა, თქვე კაი ხალხო. საათია გეხვეწებით, უბრალოდ ვილაპარაკოთო. თქვენ კი „ამ დიადი ეპოქის“ ქებას მოჰყევით. ვინ დაგვიჯერებს, თითქოს ყველაფერი კარგად იყოს.

ე ლ ე ფ თ ე რ – არ გვენდობითო რომ ბრძანე, რატომ გიკვირს ბიძია, არ გვაქვს მიზეზი? თქვენ ყველაფერი მშვენივრად იცით, მაგრამ ჩვენგან გინდათ გაიგონოთ. ესაა, მეტი არაფერი.

ბ ი ქ ტ ო რ ი. კი, ვინ მამაძაღლი არ იტყვის, რაც გულში აქვს, მარა, რაი მერე? თქვენ აქ დარჩებით კარგად, მშვენივრად და მე, სოფელში რომ ჩავალ, რაიკომის მდივანი ყურებს ხელში მომცემს. რას პრუტუნებდი, არ უნდა გცოდნოდა შენხელა კაცსო?

ა რ ჩ ი ლ ი. აბა, ვატყუოთ ძველებურად ერთმანეთს? სოფლის მთავარი პრობლემა მართლა გართობის საშუალებათა ნაკლებობაა, როგორც ძვირფასმა ნუცამ ბრძანა, ასე ფიქრობთ თქვენც?

ს ი ლ ო ვ ა ნ – გართობა კი არა ის, რომელ გართობაზე მელაპარაკები, თუ ძმა ხარ, იქცევა ქვეყანა.

ჯ ი ნ ა – მაინც?

ბ ი ქ ტ ო რ ი. მუშაობა არ უნდა არავის. პატარა ხანს ვუყურებ მეც და მერე უნდა ვუგანო. რა ვქნა აბა, თოხს მოვაკვლევინო თავი?

გაიცინეს.

ჯ ი ნ ა – რატომ, ბატონო ბიქტორ, რა ხდება ასეთი?

ბ ი ქ ტ ო რ – რა ხდება ძმისშვილო და საკარმიდამო ნაკვეთი რომ არ მქონდეს, შიმშილით ამომძვრებოდა სული. ჩემს ეზოში მოყვანილსაც ათასი პატრონი ჰყავს ახლა. ქათმის კვერცხიდან დაწყებული, ყურძნის კუმპალით გათავებული – ყველაფერი დათვლილი აქვთ. კოლექტივს რაც შეეხება, დილიდან საღამომდე, მთელი წლის განმავლობაში, ვთქვი, მისი არ იყოს, იქ დაღვრილი ოფლით მიღებული გასამრჯელო, გულდაგულ რომ ეკონომიას დაიცავ, ვთქვი

მისი არ იყოს, მაშინაც კი თვეზე მეტს არ გეყოფა. მიხვდა ხალხი ამ წაგლეჯობიას.

ა ვ ა ლ ო – რა მიხვედრა უნდოდა. ამის მიხვედრას მოანდომეთ სამოცდაათი წელი?

ბ ი ქ ტ ო რ ი. მართლაც, თქვენი ბრძანების არ იყოს, რა მიხვედრა უნდოდა, მიხვდა და თავს უშველა. გეიქცა სოფლიდან, ვთქვი მისი არ იყოს, ახლა ბევრიც რომ უწრუწუნო, უკან მიმბრუნებელი არ არის. სიმართლე თუ გინდა, ესაა.

ჯ ი ნ ა – რატომ ხდება ასე? არ გიხდიან როგორც გეკუთვნით?

ე ლ ე ფ თ ე რ – ამას ჩვენ კი ნუ გვეკითხები, პატივცემულო. იმათ ჰკითხე, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო. ახლაც ჩვენს შრომას თითქმის ისევე ანაზღაურებენ, როგორც სტალინის დროს გვიხდიდნენ. იმის მერე, სინდისიანად რომ ვთქვათ, რამდენჯერ მოიმატა ბაზრის ფასმა. ბოლოს და ბოლოს, რა ვალი გვაქვს ამ მთავრობის ასეთი გადაუხდელი.

ნ უ ც ა (ჯინას) – ა, შეხედეთ ჩემს ხელებს (ხელები მაგიდაზე დააწყო). ოცდაორი წლის გოგოს ხელებია ეს? თუ ჩაგიგდო ბრიგადირმა ხელში, სიქას გაგაცლის მუშაობით. გეგმა, გეგმაო. ათი კილოს მაგივრად ორმოც კილოს რომ მოგაკრეფინებენ, ის ჩაი ივარგებს რამედ? რატომ გვააბდლებენ ჩვენ, ან თავს რატომ იტყუებენ თვითონ?

ა რ ჩ ი ლ (ჯინას) – სიმართლე თქვითო, რომ ბრძანებთ, ღირს ახლა ამის ლაპარაკი ტელევიზორში?

ჯ ი ნ ა – რატომაც არა.

ბ ე ნ ი ა – რატომ მოვუშხამოთ ხასიათი სამუშაოდან მობრუნებულ და საღამოს ტელევიზორთან მიმჯდარ კაცს. თავისი გასაჭირი არ ეყოფა?

ჯ ი ნ ა – თუ არ ვთქვით, თუ ქვეყანას არ გავაგებინეთ, როგორ ვუწამლოთ აბა ამ ჭირს? ხომ ყველამ კარგად ვიცით, ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება.

ე ლ ე ფ თ ე რ – ქვეყანას, ჩემო ბიძია, გაზეთში და ტელევიზორში ლამაზი ლაილაით ვერ უშველი. ჩამთავრდა ფუჭი ლაპარაკის და დაპირების დრო. ახლა საქმით უნდა მაჩვენო, თუ რამის გამკეთებელი ხარ.

ჯ ი ნ ა – რა საქმით, მაგალითად?

ს ი ლ ო ვ ა ნ – კანონი უნდა შეცვალო. კანონი უნდა დამიწერო და მომცე ხელში. ნელა, გაუბედავად, პწკენა-პწკენით კი არა, ერთბაშად უნდა გადააგდო, რაც არ გამოდგა და ახალ საქმეს უნდა ეწიო.

ა რ ჩ ი ლ – ამხელა რესურსების ქვეყანა უთავბოლო ცუნდრუკით ლამის თხლეზე დავიყვანეთ. ტუფლს ვერ ვკერავთ, შარვალს ვერ ვკერავთ, კოსტუმს სახელოს ვერ ვაკერებთ, კბილის პასტა ჩვენ არ გვივარგა და კბილის ჯაგრისი. ერთი, პარაშუტი გვაქვს და, მე მგონი, ჩვენი პარაშუტიც შერჩევით იშლება.

ავალომ და რამდენიმე კაცმა გაიცინა.

ა რ ჩ ი ლ – რა გაცინებთ, არა ვარ მართალი?

ბ ი ქ ტ ო რ ი. იქამდე მივიყვანეთ გლეხი, რომ ბარი და თოხი სამუდამოდ შევაძულეთ. ამის მიღწევა ფეოდალიზმმა რვაასი წელი ვერ შეძლო.

ა რ ჩ ი ლ – რწმენა დავუკარგეთ ადამიანს. ყოველ ათწლედში, ყოველი ახალი უფროსის დროს საბჭოთა კავშირის ახალ ისტორიას ვწერდით.

ბ ე ნ ი ა – ხალხს საარჩევნო ყუთთან მისვლა საშაყირო საქმედ ვუქციეთ. მე ვინ რას მეკითხებაო, მეზობელი მეზობელს ატანდა ბიულეტენს, – ჩამიგდე თუ ძმა ხარო.

ს ი ლ ო ვ ა ნ – არჩევნებზე გამახსენდა. ერთი მილიციელი იყო ჩვენს ქალაქში – ბიჭოია ჩაჩხიანი. შინაურ მილიციელს რომ ეძახიან, ბაზრის მილიციელი. ფორმა რომ ტყვილად აცვია ისე, შესახედავად; მასზე საწყალი თუ შეხვდება, იმას რომ დაიბრიყვებს, სხვისთვის რომ ხმის გამცემი არ არი. ერთ მშვენიერ დღეს არ აირჩიეს დეპუტატად? აგლახავებდნენ მოქალაქეები. ხომ იცი, ხალხს პირს ვერ აუკრავ. „ბიჭოია დეპუტატი“, „ბიჭოია დეპუტატიო“, დასცინოდნენ. მიუბრუნდებოდა ბიჭოია და ეტყოდა: „წადით ბიძია, საქმე ნახეთ, რავარი ამომრჩევლებიც თქვენ ხართ, დეპუტატიც იმნაირი გყავართო.“

სიცილი.

ე ლ ე ფ თ ე რ – სტალინი ავიღოთ თუ გინდა. როცა რუძუტაკის დაჭერაზეა ლაპარაკი, სტალინმა დაიჭირა თურმე, როცა რამე სიგლახეზეა ლაპარაკი – პირადადა სტალინს გაუკეთებია. როცა იმ დროის კაი საქმის ხსენება გვინდა, ხალხმა გააკეთაო, დაგვიჟინია. მაშინ, თუ ასეა, რუძუტაკის და სხვების დაჭერაც ოცდაჩვიდმეტში ხალხს დავაბრალოთ.

ჭ ო ნ ქ ა – ხალხი არავის იჭერდა. ხალხს თვითონ ეშინოდა.

ბ ი ქ ტ ო რ – აბა, ვთქვი მისი არ იყოს, სტალინი დასდევდა ჩემს ძმას ჭინჭიეთში ბადით? არ ვართ არა, მართალი.

ბ ე ნ ი ა – რას ჩააცივდით ამ ოცდაჩვიდმეტს. თქვენ ჩემზე უკეთ იცი, რომ მარტო ოცდაჩვიდმეტში არ ყოფილა უდანაშაულო ხალხის დევნა. რომ ვიანგარიშოთ, რამდენიმე ოცდაჩვიდმეტი გამოვიარეთ. შეიძლება პატარ-პატარა მასშტაბების, განსხვავება მეტი

არაფერია. ხომ წაიკითხეთ ამასწინანდელ გაზეთში ხრუშჩოვის მოგონება.

ა ვ ა ლ ო – აბა, ყველაფერი იბეჭდებოდა დასავლეთში, კაცმა რომ თქვას, ჭორიც და მართალიც, მაგრამ ჯერ არსად წამიკითხავს პარლამენტის წევრი, პარლამენტში, რევოლვერით შეიარაღებული მივიდა პარლამენტის მეორე წევრისთვის სროლა რომ დაესწროო. ამნაირი რამ, მეგონა, მხოლოდ იულიუს ცეზარის დროს იყო შესაძლებელი.

ჯ ი ნ ა – რატომ ბატონო, ბრუტუსის კომპლექსს ადამიანის გონებიდან ასე ადვილად ვერ ამოშლი.

ბ ე ნ ი ა – ბრუტუსის კომპლექსზე კი არაა ლაპარაკი, ძვირფასო, რაზეა იცით? რანაირად უნდა გენდო და მოგყვე მე, უბრალო კაცმა, როცა მეცოდინება, რომ მაღლაც ისევე ჭირვეულობით, შეთქმულებებით და ზურგხანჯლაობით მიუღიათ გუშინწინ გვირგვინები და სავარძლები ჩვენს მთავარ ყოჩებს.

ნ უ ც ა – მერე ცუდია, რომ ითქვა ამის შესახებ?

ჭ ო ნ ქ ა – გააჩნია რაში წამადგების, ამგვარი სიმართლე.

ა რ ჩ ი ლ – გაუბედაობამ და დოგმების ერთგულებამ მოგვიყვანა აქამდე. ვიძახით გაფეტიშება არ გვინდაო, თეორიის შემოქმედებითი განვითარების მომხრე ვართო და ასი წლის წინ დაწერილ წიგნებში სადღეისო გაკვეთილებს ვეძებთ.

ს ი ლ ო ვ ა ნ – გავაღიზიანეთ მსოფლიო ამ მოუთავებელი სოციალიზმით.

ა ვ ა ლ ო – როგორ, „მოუთავებელია?“

ა რ ჩ ი ლ – ჰო, ჰო ასე იყო. შევატყვეთ რომ სხვა გზით ვიყავით წასული. სხვა რაღაც აგვიშენებია. უკან დახევისა შეგვრცხვა და დავიწყეთ მარათონი „განვითარებული სოციალიზმის“, „სოციალიზმის შერემონ-

ტების“, „სოციალიზმის გრძელვადიანი სრულყოფის“ პერიოდებში. მეცინება რომ გავიხსენებ.

ჯ ი ნ ა – მართალს ბრძანებთ, მოგვივიდა შეცდომა. შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის.

ა რ ჩ ი ლ – მერე? გაგიგონია ამ ბოლო დრომდე, შეცდომა მოგვივიდაო? ვთქვით აქამდე, დავწერეთ სადმე? შეიძლება შენს შეცდომიან ქიჩმაჩს მთელი თაობების ცხოვრება გადააყოლო?

ე ლ ე ფ თ ე რ – მართალს ბრძანებს, პატივცემული. ჰო, დავღამდი მე, გათავდება მალე ჩემი ცხოვრება. რა პასუხს მაძლევ. რას მერჩოდი, შენი ექსპერიმენტის თეთრ თაგვად რატომ გადამაქციე? გაგეშვი ჩემთვის. მეცხოვრა კაცურად ამ ორი დღის წუთისოფელში.

ჯ ი ნ ა – ჯერჯერობით ისე არავის უცხოვრია ბატონო, როგორც უნდოდა. გული არ დაგწყდეთ. სხვებმა რაღა უნდა თქვან, ბრმა ლეკვებად რომ დარჩნენ ბოლომდე და ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან. თქვენ მაინც ხომ მოგისწროთ გარდაქმნის და დემოკრატიის სიკეთემ.

ე ლ ე ფ თ ე რ – კი, რასაკვირველია, მაგრამ...

ჯ ი ნ ა – რა მაგრამ, ბრძანეთ, ბრძანეთ.

ს ი ლ ო ვ ა ნ – რა მაგრამ და ის მაგრამ, რომ ჯერჯერობით სიტყვებშია გარდაქმნა, სხვაში არაფერში. ფასები ისევ მატულობს, ძველი გეგმებით და ძველებურად კეთდება ბევრი რამე. შენდება სახლები მეორე დღესვე რომ დაინგრევა, იკერება ფეხსაცმელი, რომელსაც არასოდეს არავინ ჩაიცვამს.

ჯ ი ნ ა – მოიცათ... მოიცათ... ასე ყველაფრის გაბიაბრუება იოლი საქმეა. მოდით, კონკრეტულად ჩვენ-ჩვენს საქმეზე ვილაპარაკოთ.

ა რ ჩ ი ლ – კი ბატონო. საიდან უნდა დაიწყოს, თუ იცი გარდაქმნა, ჩემო კარგო?

ჯ ი ნ ა – დიახ.

ა რ ჩ ი ლ – პიროვნების განთავისუფლებიდან. ჯერ კაცმა უნდა იგრძნოს კაცურად თავი.

ჯ ი ნ ა – რას გულისხმობთ, კონკრეტულად?

ა რ ჩ ი ლ – იცით თქვენ, რასაც ვგულისხმობ. ჯერჯერობით შევცვალეთ რამე პიროვნებასთან დამოკიდებულებაში? მითხარი აბა. იქნებ არჩევნების წესი შეიცვალა? ადამიანის ნამდვილი უფლებები გაფართოვდა? მთელი ცხოვრება თოკით ვართ მიბმული გამოგონილ შეზღუდვებზე. სიდედრი, რომ მოგიკვდება, თავისთავად ხომ ერთი უბედურებაა, შიშიც გაგკრავს გულში, არიქა, ერთი სულით ნაკლებ ოჯახს ბინის ფართობი არ შემიმცირონო. საქმეა ეეს? მთელი ცხოვრება შეიძლება მშვიდად ვერ დაიძინოს კაცმა? სულ გეჩვენებოდეს, რომ ვიღაცის მკაცრი მზერა გითვალთვალებს? სულ ელოდებოდე გამოსახლებას, გადასახლებას, ჩამოსახლებას ან გასახლებას?

ბ ე ნ ი ა – კაცს კოოპერატიული ბინის აშენება რომ გინდოდეს, მისხალ-მისხალ გიზომავენ, რამდენი სული ხარ, გეკუთვნის თუ არა. კაცო, ჩემი ფულით ვიშენებ, შენ არ გაწუხებ თხოვნით, არ უნდა გიხაროდეს?

ბ ი ქ ტ ო რ – მანდაც იგივე ამბავია, რაც საოჯახო იჯარას სჭირს. რატომ უშლიან, თუ იცი ხელს საოჯახო იჯარას? რომ არ გაძღე. მაძღარიო, ფიქრობენ, ძველებურად აღარ დაგვემორჩილებაო. ვინ იცის, რა ცუღლუტური ფიქრი მოუვაო თავში. (ავალოს) როგორ იყო ერთი, თქვენკენ, თუ კაცი ხარ, იქეთ, წყალგაღმა?

ა ვ ა ლ ო – თუ ფული გაქვს, შეგიძლია, სახლი კი არა, მატარებელი იყიდო საკუთრად.

ბ ი ქ ტ ორ – აგაშენა ღმერთმა.

ბ ე ნ ი ა – ჯიბეს არავინ გიმოწმებს? არავინ გეკითხება, საიდან მოიტანე ეს ფულიო? ჩვენთან ფული კიდეც რომ გაახერხო, ყიდვის გეშინია; დაგიბარებენ და

გკითხავენ, საიდან გაქვს ფული, რომელ ლომს შეუყავი ხელი უკანალშიო.

ჭ ო ნ ქ ა – იქნებ ნიძლევში მავიგე, ან პაპის პაპამ ოქროს კვერცხი დამიტოვა. ხომ შაიძლების?

ს ი ლ ო ვ ა ნ – მაგას ჭამენ კი, მაგ ჭკუაზე არიან.

ე ლ ე ფ თ ე რ – გამდიდრება და კაი ცხოვრება რომ სირცხვილად და დანაშაულად ითვლება, იქ რაღაზე უნდა ილაპარაკო.

ყველაზე ხმამაღლა ავალომ გაიცინა.

ა ვ ა ლ ო – ხუმრობთ, ალბათ, ეგრე როგორ იქნება.

ა რ ჩ ი ლ – არ ხუმრობს. მთელი ცხოვრება სიმდიდრეს, მდიდარ კაცს გვაიძულებდნენ. ანეკდოტი გამიგონია, ერთი, ჩემს სიყმაწვილეში: თურმე ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი დიდ ჯიხაიშში, თავის მშვენიერ სახლში, როიალზე უკრავს. გარეთ სროლის ხმა და ყიჟინა-რიალი ისმის. რა ამბავიაო, მოურავს ჰკითხა. რევოლუცია ახლოვდება ქალბატონოო, უპასუხეს. – რისთვის იბრძვიან, რა უნდათო. – რა და მდიდრები რომ არ იყვნენ ქვეყანაზეო. – საწყალი მამაჩემი კიდევ, მთელი ცხოვრება იმისთვის იბრძვის, რომ ღარიბები არ იყვნენო. (გაეცინათ) მთავარი ისაა, ბინძური გზით არ გამდიდრდე, თორემ სიმდიდრე, თავისთავად, რატომაა ცუდი, ჩემო ბატონო?

ჯ ი ნ ა – თქვენ მასწავლებელი ბრძანდებით, სკოლაში როგორაა საქმე?

ა რ ჩ ი ლ – მტერს არ ვუსურვებ, ისე, საერთოდ, ჩვენი უბედურების თავი და თავი შესაძლებლობასა და სურვილს შორის შეფარდების დარღვევაა. ოცნებას ავყვებით და ისეთ რამეს მოვინდომებთ, რომლისთვისაც არც ძალა შეგვწევს და არც სახსარი. არიქა,

სკოლის რეფორმაო! ავიჩემეთ, რანაირად ბატონო. რეფორმისთვის ან ბაზა გაგვაჩნდა, ან სხვა საშუალება? ბუქსაობს ახლა რეფორმა და დაგვცინის მთელი ქვეყანა.

ბ ე ნ ი ა – ის როგორაა, მეოთხე კლასის მათემატიკის ამოცანას მთელი სამეზობლო ვერ ხსნის ზოგჯერ და მათემატიკის დოცენტთან აგზავნიან დელეგაციას?

იცინიან.

ა რ ჩ ი ლ – ეგეც მართალია. ოცი წელია ერი და ბერი პროგრამების გამარტივებაზე ვბღავით. ვადგენთ პროგრამის პროექტებს და ირკვევა, რომ გამარტივების მაგივრად უფრო გაგვირთულებია, რანაირად გავუმწაროთ ბავშვს ბავშვობა, იმაზე ვმუშაობთ გაფაციცებით.

ჯ ი ნ ა – ნოვატორული პედაგოგიური მოძრაობაც ხომ არსებობს?

ა რ ჩ ი ლ – რად გინდა მერე, თითო-ოროლა ნოვატორ-მერცხალს ამ დაძველებული, ჩაკირულ-ჩამყაყებული სწავლების სისტემისთვის ძვრაც ვერ მოუხერხებია და ამიტომაა ნოვატორ მასწავლებლებს ზოგან გიჟებად რომ აცხადებენ.

ს ი ლ ო ვ ა ნ – დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, ყულფში გვაქვს თავი წაყოფილი. კრება ავიღოთ თუ გინდა. არა მგონია მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში იყოს კრება ისე გამასხარავებული, როგორც ჩვენთანაა. რატომ თუ იცი?

ა რ ჩ ი ლ – რასაც დავადგენთ, არ სრულდება და იმიტომ.

ბ ე ნ ი ა – კონფერენციების და პლენუმების ტალღა რომ წამოვა ზემოდან? ერთი და იგივე ლაპარაკი, რაკი

ერთ ადგილზე იტყვიან, შენც იგივე უნდა გაიმეორო, შენც იგივე უნდა დაადგინო.

ე ლ ე ფ თ ე რ – თუ დაკვირვებიხარ, კენჭს რომ უყრიან ხანდახან დადგენილების პროექტი წავიკითხოთ, თუ არაო. წარმოგიდგენია?

ა ვ ა ლ ო (კვდება სიცილით) – კრება ხომ იმისთვის არის, რომ დადგენილება მიიღოს.

ს ი ლ ო ვ ა ნ – ამოუვიდა ხალხს ყელში ეს შეუსრულებელი დადგენილებები; „მოვუმატოთ“, „გავაუმჯობესოთ“, „გავაძლიეროთ“ და ბოლოს „კრება დარჩა მხიარული“.

ა რ ჩ ი ლ – ახლა რომ გვაგულიანებენ, საჯაროობა და დემოკრატიააო, ვერ ვიჯერებ ვერაფრით, როგორც მელია დაბმულ ნაგაზს, შორიდან ვუვლი მეც...

ჯ ი ნ ა – რატომ ბატონო, ჩახედეთ გაზეთებს, ფაქტი სახეზეა.

ბ ე ნ ი ა – კი, ორმოცი წლის მკვდრებს თავისუფლად ვაკრიტიკებთ და ისიც, შიგა და შიგ, შერჩევით.

ა რ ჩ ი ლ – კი, კი ასეა ნამდვილად. კრიტიკა დროული და სამართლიანია იმის მიმართ, ვინც უფროსებს არ უყვართ და წამოგდებული ჰყავთ საკრიტიკოდ, მეძებრები რომ წამოაგდებენ კურდღელს, ხოლო ვინც უფროსებს უყვართ, იმის მიმართ კრიტიკა დემაგოგია და ცილისწამებაა. მოგკიდებენ ყურში ხელს და, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, მშრალზეც დაგტოვონ, რიყეზე ამოგდებული თევზივით.

ა ვ ა ლ ო – დაგტოვებენ და იჩივლებ, სადაც საჭიროა.

ე ლ ე ფ თ ე რ – ნუ გეშინია, ეგ მშვენივრად გვაქვს მოგვარებული, პირველ საჩივარზე არ გიპასუხებენ, მეორე საჩივარზე არ გიპასუხებენ, მეორე საჩივარს სწორედ იმას გაუგზავნიან „გასარკვევად“, ვისაც უჩივი, თუ ძალა გეყო და მესამედ იჩივლე, კრიტიკანად, პროფესიულ მომჩივანად, ინტრიგანად გამოგაცხადებენ და ლაფში ამოგსვრიან.

ა ვ ა ლ ო – როგორ? სასამართლო?

ა რ ჩ ი ლ – სასამართლო? ჯერ ერთი, მოსამართლე რაიკომის მდივანს და აღმასკომის თავმჯდომარეს შეჩერებია თვალებში და მეორეც, კანონია ის კანონი, რომელიც დანაშაულისთვის ერთიდან ცხრა წლამდე დაპატიმრებას ითვალისწინებს? მოსამართლეს ქრთამს თუ მისცემ, ერთ წელს მოგისჯის, თუ არ მისცემ – ცხრას.

ბ ე ნ ი ა – და ორივე შემთხვევაში მართალი იქნება.

ჯ ი ნ ა – მაინც ამდენი უკმაყოფილო ელემენტი არასოდეს ყოფილა ჩვენში. არ გეჩვენებათ, რომ წუნიებად გადავიქეცით? ის, რაც ჩვენ თვითონ ავაშენეთ და დავამკვიდრეთ, ახლა აღარ მოგვწონს? სად ვიყავით მაშინ, ტაშის გრიალით რომ მოვისწრაფოდით აქეთკენ.

ა რ ჩ ი ლ – თქვენ ყველაფერი არ გეხსომებათ. მართლაც რომ დიდი ცოდვა იქნება ჩვენვე დავცინოთ ჩვენს გამოვლილ გზას, მაგრამ მაშინ გვჯეროდა, რწმენა ბევრ რამეს აკეთებინებს ადამიანს.

ჯ ი ნ ა – ახლა აღარ გჯერათ?

ბ ე ნ ი ა – ნაკლებად.

ს ი ლ ო ვ ა ნ – ხომ ხედავთ, ბზარი იქაც კი შეგვეპარა. რაც, მართლაც რომ, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი და მოგვარებული გვეგონა.

ბ ი ქ ტ ო რ – და რატომ, თუ იცი? მეუბნები, ძმა კი ვარ შენი, მაგრამ, იცოდე, უფროსი ძმა ვარ და ჩემთან შეუთანხმებლად ქვა არ გადააბრუნო შენს ეზოშიო. შეიძლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე მაგრძნობინო, რომ შენ უნდა გთხოვო ნებართვა, შენ უნდა დამამტკიცო, შენ უნდა გამომიყო, შენ უნდა გამესაუბრო, შენ უნდა მომიტეხო პატარა?

ა რ ჩ ი ლ – ჩამოვა ცენტრიდან სტუმარი. აბა, ახლა გავკეთდით თუ გავკეთდითო, და თავი უნდა გამოვიჩინოთ. იმას რა ენაღვლება ერთს შეგაქებს, შეგაგულიანებს – თქვენ რომ მასპინძლობა იცით, არავინ იცის მსგავსიო. არიქა, ვყვარებივართ ამ კაცს, არ შევირცხვინოთ თავიო. და არის ერთი მწვად-შამფურობია, პირში გაჩრილი ხანჯლით ცეცხლის გარშემო როკვა. წავა ის კაცი და თვითმფრინავშივე იწყებს ფიქრს – ჯერ ერთი, ნამეტანი ხომ არ შევითამამე, ბოლოს და ბოლოს, მე ცენტრი ვარ და ეს კი მასპინძელი რესპუბლიკაა, მეტი ხომ არაფერიო, მეორეც, ერთი უნდა გამოვარკვიო – რა სახსრებით გამიშალა ამოდენა სუფრაო.

ჭ ო ნ ქ ა – რა სახსრებით და წელებზე ფეხის დადგმით საკუთარი ცოლშვილისთვის სარჩო-საბადებლის დაკლებით.

სიცილი.

ჯ ი ნ ა – მაინც ყველაზე უფრო ამ უნდობლობის მიზეზი მაინტერესებს. საიდან მოდის იგი. ნუთუ მართლა აღარ გჯერათ ჩვენი?

ბ ი ქ ტ ო რ – არ გვჯერა იმიტომ, რომ ასე ჰაიჰუით და რიხით დაწყებული ვერც ერთი საქმე, ვთქვი, მისი არ იყოს, ბოლომდე ვერ მივიყვანეთ.

ჯ ი ნ ა – ვისი ბრალია მერე? მაინცდამაინც მიზეზი ჩვენ გარეთ უნდა ვეძებოთ? რატომ მოხდა, რომ სოფელში ერთი კომლიღა ცხოვრობს? მხოლოდ ჭონქას ბუხრიდან ამოვიდეს კვამლიო, დაგვიკანონა ვინმემ?

ბ ე ნ ი ა – იმ ერთ ბუხარშიც ეჭვი მეპარება (ყველამ ჭონქას შეხედა ალმაცერად).

ჭ ო ნ ქ ა – დედას გეფიცებით, არა ვტყუი, საფიცარი რაი არს.

ა რ ჩ ი ლ – რომელი სოფელია გენაცვალე?

ჭ ო ნ ქ ა – ბლოუ.

ა რ ჩ ი ლ (ღიმილით კეფა მოიფხანა) – რას ერჩით ამ კაცს.

ე ლ ე ფ თ ე რ – გაფიცებ გულით საყვარელს, ზამთარშიც იქ ხარ მარტო, შენს ბლოუში?

ჭ ო ნ ქ ა – ამ ზამთარს არ ვყოფილვარ, დიდთოვლობა იყო, ფიცში ვერ ჩავიყოლებ.

ბ ე ნ ი ა – შარშან?

ჭ ო ნ ქ ა – შარშან ზამთარს მთელი ორი კვირა დავჰყავი.

გაიცინეს.

ჯ ი ნ ა – დანარჩენი?

ჭ ო ნ ქ ა – რა დანარჩენი?

ს ი ლ ო ვ ა ნ – ზამთრის დარჩენილი დრო, იმ ორი კვირის გარდა, სად გაატარეთ?

ჭ ო ნ ქ ა – ჩემ სოფელ „გამარჯვებაჩი“, იქაც მაქვს სახლი.

ბ ე ნ ი ა – ესეც შენი გაცოცხლებული სოფელი. ასე რომ ვიმსჯელოთ, მე სოფლის მოღალატეს და გაქცეულს მეძახიან, მაგრამ ზაფხულობით მეც ჩემს სოფელში ვარ.

ა ვ ა ლ ო – თქვენც იქაური ბრძანდებით? რა ჰქვია სოფელს?

ჭ ო ნ ქ ა (დარცხვენით). ბლოუ.

ბ ე ნ ი ა – არა. ჩემი სოფელიც მთაშია, ოღონდ სხვა მხარეს. საერთოდ კი ახლა, თბილისში ვცხოვრობ.

ჯ ი ნ ა – დიდი ხანია?

ბ ე ნ ი ა – მანქანათმცოდნეობის ტექნიკუმი დავამთავრე და ოცდამეცხრამეტეში ვმუშაობ, მერვე წელი იქნება. არაა დიდი ხანი.

ს ი ლ ო ვ ა ნ – იქ, სოფელში?

ბ ე ნ ი ა – იქ აღარავინ დაგვრჩა. სამივე ძმები აქეთ ვართ. მშობლები დაგვეხოცა. – ასე ზაფხულობით ჩამოვდივართ.

ბ ი ქ ტ ო რ – ვარგა ასე? სამივეს რომ მიგიტოვებიათ კერა?

ბ ე ნ ი ა – რა უნდა მეკეთებინა იქ ჩემი პროფესიის კაცს? სად უნდა მემუშავა, როგორ ფიქრობთ, თქვენ

ე ლ ე ფ თ ე რ – ვინ დაგაძალათ, მაინცდამაინც მანქანათმშენებლობა დაამთავრეო.

ბ ე ნ ი ა – რაც უნდა დამემთავრებინა, სულერთია, ჩემს სოფელში სულ ხუთი მოსამსახურის ადგილია. მე კარგი, ტექნიკუმი დავამთავრე, ჩემი ძმები კი ორივე უმაღლესი განათლებითაა. რა უნდა ეკეთებინათ იქ? ახლა თქვენ თუ იმას იტყვით, რად გინდოდა ეს სწავლა-განათლება, ყოფილიყავით ისეო, არ იქნებით მართალი. ცხოვრება წინ მიდის, ადამიანიც წინ იხედება.

ჯ ი ნ ა – კი, მაგრამ სულ რაღაც ორმოციოდე წლის წინათ რომ თქვენს სოფელში ორასი კომლი ცხოვრობდა, ისინი როგორღა იყვნენ. არ ჰქონდათ საქმე?

ბ ე ნ ი ა – როგორ გეტყობათ, რომ არ იცნობთ მთას. ჯერ ერთი, მაშინ სხვა დრო იყო, მოგეხსენებათ, ჩემზე უკეთ და, მაშინაც არ ჩერდებოდა ჩვენი ხალხი ადგილზე. უმეტესობა ზამთარში ბარად მუშაობდა და ზაფხულში ამოაკითხავდა თავის სახლს. არა, ბოდიში, ზაფხულში ქვევით მუშაობდა და ზამთარში ბრუნდებოდა.

ჯ ი ნ ა – დასასვენებლად? ასე თქვენსავით?

ბ ე ნ ი ა – რატომ დასასვენებლად. სხვაზე ნაკლებად არ მიყვარს ეს ჩემი კუთხე მე, მაგრამ ცოლ-შვილი რაღაცით ხომ უნდა ვარჩინო? რა ვაკეთო იქ? რომ იყოს რამე წარმოება, ან რამე დაწესებულება, ვინ მამაძაღლი მოიცვლიდა ფეხს. ახლა ვინც ვართ წასული, ყველა რომ მოვბრუნდეთ, ერთმანეთს თუ დავჭამთ, თორემ სარჩოს ვერაფერს გავახერხებთ. მიწა და სათეს-საძოვი იმ ორ კინკილა მოხუცს ძლივსღა ჰყოფნის.

ა რ ჩ ი ლ – აბა უსაშველო ჭირს ამ სოფლებს? უნდა გაჩანაგდეს?

ბ ე ნ ი ა – უსაშველო ჩემს მტერს ეცა. საშველი როგორ არ არის, მაგრამ ისე არა, თქვენ რომ ფიქრობთ. რატომ ხართ, ასე მონდომებული, მე იქ ვიყო, უსაქმოდ და თქვენ თბილისში... საიდან ბრძანდებით?

ა რ ჩ ი ლ – თბილისიდან.

ბ ე ნ ი ა – სწორად გამომიცვნია. სულ ადვილია თქვენი პოზიციიდან ლაპარაკი: „არ გრცხვენიათ? მამა-პაპას რა პასუხს აძლევთ, სოფელში მამალი არ ჰყივის, ბუხრიდან კვამლი არ ამოდის. ესაა თქვენი კაცობა?“ – იტყვი შენ, დამანამუსებ, ვითომდა წახვალ. არა ბატონო, ასე არ გამოვა. ახლა ცარიელ სიტყვაზე არავინ არსად არ მიდის. ორი გზა არსებობს. იქ რომ სიცოცხლე არ ჩაკვდეს: ან წარმოება უნდა გაჩნდეს, ან საკურორტო ზონად გამოცხადდეს და სანატორიუმები გაშენდეს.

ა რ ჩ ი ლ – ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ასე რომ ეფიქრა იმ ქართველს, იმ უგზოობის დროს, რვაასი წლის წინათ, მთაში რომ ამოვიდა და ცაცხვები დარგო, საყდარი ააშენა.

ბ ე ნ ი ა – მეც ვფიქრობ, სხვათა შორის, მაგაზე და პასუხი ვერ მიმიცია. ძნელი ასახსნელია ახლა, რა აჩერებდა. იქნებ მეტი მოთხოვნილება არ ჰქონდა, იქნებ მტრისგან თავდასამალავად ჩერდებოდა. იქნებ ცოტა იყო და ჰყოფნიდა ის, რასაც ეს მწირი მიწა, კლდე-ღრე აძლევდა. რამ აატანინა იმ სიმაღლეზე ქვები და რამ ააშენებინა საყდარი, იმ მარჯვენადალოცვილს. ახლა? თქვენ ხომ საცხოვრებლად წამსვლელები არა ხართ,

ვინც ყველაზე მეტს გაიძახით, მთა არ დაცარიელდ-
ესო, ადგილობრივი, აქედან წასული რამდენიმე კაცი
მობრუნდა, მაგრამ მამულიშვილობის დანამუსება
მხოლოდ ცოტა ხანს ეყო. მერე კუჭმა დაუძახა და
ისევ უკან გაბრუნდა.

ე ლ ე ფ თ ე რ – კუჭმა კაცო?

ბ ე ნ ი ა – დიახ, ბატონო, კუჭმა. რა იყო, რა გეიკვირვე?

ე ლ ე ფ თ ე რ – არაფერი. ამ ქალაქში თქვენ გგონიათ,
თავზე გადაგვდის ერბო?

ბ ე ნ ი ა – ყველა ასე ერთნაირად როგორ ლაპარაკობთ,
შე კაი კაცო. იტყვი ახლა შენ, ქალაქში, მტვერში,
ბენზინის გამონაბოლქვში დაღრჩობას, ამ სუფთა
ჰაერზე, ნატურალურ რძეზე და ხაჭოზე ყოფნა არ
გირჩევნიაო? ხომ ეს გინდოდა გეთქვა, გაფიცებ გუ-
ლით საყვარელს?

ე ლ ე ფ თ ე რ – ვთქვათ.

ბ ე ნ ი ა – არ იქნებოდით მართალი. ეს ექსკურსიაზე ჩამო-
სული კაცის ფიქრი და ლაპარაკია. ორ დღეს ვერ
გაჩერდება შენნაირი კაცი იქ, ზამთარში. ცივა, ძროხა
ბღავის, თივა არა გაქვს, შეშა გაგითავდა. ღვთისგან
და კაცისგან მიტოვებული გეგონება თავი. სახალხო
დღესასწაულებზე, რომ მთავრობის კაცები ბრტყელ-
ბრტყელ სიტყვებს ამბობენ, მთის სოფლებზე ასე და
ასე ვზრუნავთო, მართალი გგონია შეენ?

ა რ ჩ ი ლ – ჩავიქნიოთ აბა ხელი? გამოვჭრათ ყელი მთას?

ბ ე ნ ი ა – უსაშველო არაფერი სჭირს-მეთქი მთას, კიდევ
გიმეორებ. ამ საქმეს „ურას“ დაძახებით ვერ გაა-
კეთებ. საქმე უნდა გაუჩინო მთას, საქმემ უნდა დაა-
კავოს კაცი.

ჯ ი ნ ა – მაპატიეთ, მაგრამ საქმეო, რომ დაგიჟინიათ, ფერ-
მაში მუშაობა, სატყეოში მუშაობა არაა საქმე?

ბ ე ნ ი ა – როგორ ფიქრობ, რამდენმა კაცმა უნდა იმუშ-
აოს იმ შენს ფერმაში? ჯერ ერთი, ადამიანებს სხვა-
დასხვა პროფესია აქვთ და მეორეც, სადაა იმდენი
საქონელი ამდენი მწყემსი დაასაქმოს? ჩვენს სოფელ-
ში ახლა რამდენი კაციც ცხოვრობს, მთელს საქართ-
ველოს მთიანეთს ეყოფა მეტყევედ. დანარჩენმა რა
ჰქნას? სიმართლე თუ გინდათ, ეს არის და თუ თა-
ვის მოტყუება გვინდა, მაგაზე იოლი (ჭონქას გახედა).
არაფერია.

ა ვ ა ლ ო (ჭონქას) – თქვენ ბრძანეთ, ციმბირის რომელიღაც
სოფელს ვეჯიბრებიო.

ჭ ო ნ ქ ა – დიახ, ვეჯიბრებით, კუსტანაის ოლქი, სოფელი
იევლევო!

ა ვ ა ლ ო (ირონიულად) – აქედან იმ სიშორეზე როგორ ეჯი-
ბრებით?

სიცილი.

ჭ ო ნ ქ ა (ამაყად და ჯიქურად წინ იხედება, ცოტა არ იყოს გაბუ-
ტულია, რომ მის „გმირობაში“ ეჭვი შეიტანეს) – დიაღაც
ვეჯიბრებით.

ა ვ ა ლ ო (კიდევ უფრო ირონიულად) – რატომ ეჯიბრებით, რა
დაგიშავათ?

სიცილი, სული მოითქვეს.

ბ ი ქ ტ ო რ – სწორად კითხულობს ეს კაცი. ეს შეჯიბრება,
ვთქვი მისი არ იყოს, გაზეთის ფურცლებზეა, თვარა
ვინ ვის ეჯიბრება, თუ ღმერთი გწამს. ადვილი შეს-
აძლებელია, იქ არც კი იცოდნენ, რომ ეს ჩვენი ბიჭი
დამარქაფებული მისდევს და ეჯიბრება.

ს ი ლ ო ვ ა ნ – მართლაც, რა ჯარხანაა ეს შეჯიბრება. რა
შეჯიბრება აგვიტყდა, ფიზკულტურა ხო არ არის?

სერიოზული ხალხი ვართ, საქმეს ვაკეთებთ. რას ჰქვია შეჯიბრება.

ე ლ ე ფ თ ე რ – ამიტომაა დენზე ჩართულებივით იქეთ-აქეთ რომ ვაწყდებით. სულ შეწუხებული და გატაცებული სახეები გვაქვს. ხალხი წყნარად ცხოვრობს. ფინელი რომ ფინელია, გეტყვი აგერ, სასტუმროს გვიშენებდნენ შარშან, ნასადილევს ხვეწნით რომ ყელი გამოგეღადრა, არ დაიძინოთო, ვერაფერს გახდებოდი. წაწვებოდნენ და საათი-საათნახევარი ფშვინავდნენ. ჩვენ თვალებ-დაჭყეტილები ვუვლიდით გარს. მძიმე ავადმყოფი უნდა იყოს ჩვენებური, შუადღისას რომ დაიძინოს.

ჭ ო ნ ქ ა – დღისით, მზისით რაი დამაძინებს.

ს ი ლ ო ვ ა ნ – მთელი მსოფლიო რომ იძინებს! ჩვენ ვითომ ყველაზე ჭკვიანები ვართ?

ბ ე ნ ი ა – როცა სხვას სძინავს, სწორედ მაშინ უნდა იფხიზლო, თორემ დარჩები მშიერი.

ბ ი ქ ტ ო რ – მისწრებაზე და სიჩქარეზე გამახსენდა, ჰერი-ჰერით და ყიჟინით შეიძლება სახლი გადათოვლო, მარა ყველაფერში სიჩქარე შეიძლება? მწვანე ქვის მონასტერი თუ გინახავთ?

ა რ ჩ ი ლ – ბავშვობაში.

ბ ი ქ ტ ო რ – ახლა მიდით და ნახეთ.

ჯ ი ნ ა – რა დაემართა?

ბ ი ქ ტ ო რ – სასწრაფო რესტავრაციაა და გაჯით გალესეს კედლები. ძველი ფრესკების ნარჩენები გაჯით დაფარეს, ახალი უნდა დავხატოთო. წინა კვირას შაბათობა მოუწყვიათ და პროფსასწავლებლის მოწაფეებისთვის სულ სიმღერ-სიმღერით ჩამოუფხეკინებიათ მონასტრის კედლები. შაბათობის იმედით და მოსწრებაზე რესტავრაცია გაგიგონია?

ჯ ი ნ ა (აღშფოთებული) + მერე თქვენ, ამ სურათს რომ შეესწარით, რა ზომას მიმართეთ?

ბ ი ქ ტ ო რ – იმ დღეს ქე ჩამოვყარე ხარაჩოებიდან და ერთორს ქე გადავაცალე გაჯიანი ვედრა თავზე, მარა რაი. ჩემსას გეიგონებენ მაგენი?

ს ი ლ ო ვ ა ნ – ა, ასე ვიცით. ერთბაშად ისეთ შეცდომებს დავუშვებთ, რომ თაობები ვერ გაასწორებენ.

ბ ი ქ ტ ო რ – ა, ბატონო, ვთქვი მისი არ იყოს, ილაპარაკე ახლა ეს ტელევიზორში და კაი დახლი დაგიდგება.

ჯ ი ნ ა – არაფერიც არ მოხდება. სწორედ ასეთები უნდა ვილაპარაკოთ.

ბ ე ნ ი ა – მეორე დღესვე მტრად გამოგაცხადებენ.

ს ი ლ ო ვ ა ნ – ახლა ხალხის მტრობას აღარ აბრალებენ, ახლა სხვანაირ მოაზროვნედ აცხადებენ. ოღონდ ერთბაშად კი არ ჰკიდებენ ქეჩოში ხელს. ნელ-ნელა მოუვლიან. მეთოდები ძალიან დაიხვეწა, წინ წავედით.

ჯ ი ნ ა – რაღაცის თქმას აპირებდით, ბატონო ბიქტორ.

ბ ი ქ ტ ო რ – ვიტყვი, ოღონდ ჯერ პირობა უნდა მომცე, რომ მტრად არ ჩამთვლით.

ჯ ი ნ ა – როგორ გეკადრებათ.

ბ ი ქ ტ ო რ – ახლა ისეთი დროა, ყველას თვითონ ჰგონია, რომ ბოლო სიმართლე ჯიბეში უდევს. მრჩეველი და დამრიგებელი არავის უყვარს. რავარც პირს გააღებ და იტყვი, არ ვარგა ასეო, მაშინვე ავი მუსაიფი ეჩვენებათ.

ჯ ი ნ ა – ბრძანეთ, ბრძანეთ, თამამად.

ბ ი ქ ტ ო რ – ჯერ ეს მითხარი: მართლა გინდათ ქვეყნისთვის სიკეთე თუ ყასიდად ლაპარაკობთ? მართლა მონდომებული ხართ ხალხი უკეთ ცხოვრობდეს? თუ თქვენც თქვენის მხრივ ვიღაცას ატყუებთ და მთლად სიცრუეზეა აშენებული ეს ქვეყანა?

ჯ ი ნ ა – გვინდა.

ბ ი ქ ტ ო რ – აბა, თუ გინდათ, კარგად დამიგდე ყური. მე

იმნაირ მუღამს გასწავლით, რომ ერთბაშად მოეღოს ბოლო ამ ქვეყნის უთავბოლო მოწყენილობას.

ე ლ ე ფ თ ე რ – აბა, ჰე, გვიშველე, შე კაცო!

ბ ი ქ ტ ო რ – ბევრი უსაქმური დაგროვდა ქვეყანაზე. ახლა ზოგი უფროსი იმ დათვის დღეშია, სხვა დათვს რომ სხვის ვენახში ეპატიჟებოდა. თუ ქვეყნის სიკეთე გინდათ, ახლა, ძალით თუ ნებით, ორი რამ უნდა გააკეთოთ: პირველი – თოხი და მწყემსის კომბალი მისცეთ ხელში გამოგონილ სკამებზე უსაქმოდ მჯდომებს, მეორე – მიწას ბევრზე-ბევრი ცრუ პატრონი ნუ ეყოლება, ვთქვი მისი არ იყოს, მიწა მიწის მუშას უნდა ეკუთვნოდეს.

ს ი ლ ო ვ ა ნ – აგაშენა ღმერთმა.

ბ ი ქ ტ ო რ – მე არ გეხუმრებით.

ჯ ი ნ ა – რა გითხრა, იცი, ბატონო ბიქტორ? იქნებ ცოტა მეტიც იფიქრეს ამაზე და ცოტა უკეთესადაც.

ბ ი ქ ტ ო რ – არა, ბიძია, თქვენ ყორიფელი იფიქრეთ, მე რაც გითხარით, იმის გარდა. თქვენ ეძებთ გზებს, ისე როგორ მოევლოს საქმეს, რომ ყველას უკლებლივ თეთრი ხელთათმანები და გაუთავებული შარვლები შეგრჩეთ. ასე არ გამოვა. თუ ამ ჩემს რჩევას ისულგულებთ, მე თვითონ მოგართმევთ ხვალ სიას, რამდენი უფროსი უნდა დარჩეს აღმასკომ-სამმართველოებში და ვინ უნდა მოკიდოს ძროხის ბაწარს ხელი. ხვალვე გაივსება მუშაკაცით ეს სოფელი და ცხოვრებას მეტი ხალისი მიეცემა.

ჯ ი ნ ა – სულ ეგ არის?

ბ ი ქ ტ ო რ – ცოტაა? დასხლეტილ სიტყვას თუ გამგონი არ დახვდა, ქვესკნელს ჩაივლის. თუ დამიჯერებ, ასე ჰქენით, თუ არა და იარეთ ასე ჟამკარარევით, რამდენიც გინდათ. მე ჩემს ცხოვრებას ქე ჩავათავებ. მარა, ვთქვი, მისი არ იყოს, ერთხელ ძალიან გაგიჭირდებათ და, მამაჩემსა აქვს ცხონება, მერე გვიან იქნება.

ბ ე ნ ი ა – იცით რა მაინტერესებს? თუ არის ნეტავი, კიდევ სადმე ქვეყანა ამდენი მოჩვენებითი პროფესიის ხალხს რომ არჩევდეს. ჩვენთან ერთი და ორი კი არა, ათასობით თანამდებობებია მუშაკაცის ხელის შეშლის მეტი რომ არაფერი ევალება.

ე ლ ე ფ თ ე რ – რად მინდა ამდენი გამამხნევებელი და ორგანიზატორი, თუ ძმა ხარ.

ს ი ლ ო ვ ა ნ – შორს რომ არ წავიდეთ, ჩემ ამბავს მოგიყვებით, საგაზეთო ამბავიო, რომ იტყვიან ისაა. არ გაინტერესებთ?

ყ ვ ე ლ ა ნ ი. ბრძანეთ, ბრძანეთ, თქვას, თქვი!

ს ი ლ ო ვ ა ნ – ოცდათვრამეტი წელია სახარატო ჩარხზე ვმუშაობ. თოთხმეტი წლის ვიყავი, ქარხანაში რომ მიმიყვანეს. შემატყო მამაჩემმა წიგნი რომ არ იყო ჩემი საქმე; პირველ კლასშივე რომ ოროსანი იქნები, შეგატყობენ აბა რა იქნება. შარშან ნოემბერი იყო, რიცხვი ქე გადამავიწყდა, ქალაქის ცენტრჯგუფის უფროსმა – სანაძემ პირველივე სხდომაზე მომილოცა წევრობა – დიდი პატივი გერგო, ბატონო სილოვან და, აბა შენ იცი, თუ არ გადაგვჩეხავ კლდეზეო. – რაზე შემატყვე, ბატონო საუფროსო ნიჭი მე-მეთქი. ეტყობა, რაღაცა ვერ გაქვთ საქმე აწყობილი, თვარა, როდის იყო ჩემნაირ კაცს საქმეში რევდით აქანა-თქვა. გავთამამდი ცოტა. იცინიან, იფხრიწებიან სიცილით. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ასე და ამგვარად დავიკავე ჩემი ადგილი. ცენტრჯგუფის წევრობა ზოგიერთს შეიძლება ადვილ საქმედ ეჩვენება გარედან. არა ძმაო, რაც მე ამ ერთ წელიწადში იქანა ვნახე და გამოვცადე, სადაა პატრონი, თვარა, ერთი დიდი წიგნი დაიწერება.

რა საქმე გქონდათ ამნაირი დაჯდებოდი შენთვის ჩუმად და იქნებოდიო, შენ მეტყვი. შენ არ მომიკვდე, მასე არ იყოს. ოთხშაბათს უნდა მისულიყავი თორმეტ საათზე და პროექტები გადაგეკითხა, ყველას ცალ-ცალკე, ჩვენ-ჩვენ ტყავის საქაღალდეში გვქონდა პროექტები. ეს ოთხშაბათი, ხუთშაბათობით ცენტრჯგუფის სხდომებია, მოგეხსენება, თერთმეტ საათზე რომ დაიწყება, ექვსზე თუ დამთავრდა, მადლობელი უნდა იყო. ეს შენი ოთხშაბათი და ხუთშაბათი. პარასკევობით მიღება აქვს სანაძეს და ჩვენც იქ უნდა ვიჯდეთ – ჯგუფის წევრები, გვავალებს რაღაცას, გვეკითხება ჩემო ბატონო. მე პირადად რას მავალებდა და რას მეკითხებოდა, ამას აწი გიამბობ, მარა, ყოველ შემთხვევაში, პარასკევობით კაი ოთხხუთ საათს ვიჯექი მის კაბინეტში. ესეც შენი ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი. სამშაბათობით კომისიების სხდომებია, ყველა კომისია თავთავისთვის თათბირობს. მე შრომითი პირობების კომისიაში გახლდი და ყველაზე დიდი რიარია სწორედ ჩვენი კომისიის სხდომებზე იყო. რომ გავსავათდებოდით, ვწყვეტდით სხდომას მექანიკურად და შემდეგი სამშაბათისთვის გადაგვქონდა. რა გული და ჯანმრთელობა გაუძლებდა ცხრა საათს ჯაჯღანს, ჩემო. დარჩა ორშაბათი ხომ? ორშაბათს გასვლის დღეები გვქონდა. ჩავსხდებოდით მანქანებში და სანაძეს მივყვებოდით ობიექტებზე. აბა რავაა საქმე, აბა, ხვარაფერი გიჭირთ, მოუმატეთ ტემპსო, – სხაპასხუპით მიაყრიდა სანაძე. კარგად ვართ, მოვუმატებთ ხვალიდან ტემპსო, – უპასუხებდნენ მასპინძლები. მერე სახელდახელო პურმარილი ფეხზე და გავრბოდით სხვა ობიექტისკენ. ორშაბათს ოთხი-ხუთი ობიექტის ნახვა და მითითებების მიცემა მაინც უნდა მოგვესწრო. ახლა

მითხარი, ქარხანაში მისვლის დრო დამრჩებოდა? შენ არ მომიკვდე. სად მუშაობო, კაცს რომ ეკითხა მაშინ, დავიბნეოდი. ვმუშაობდი? მუშაობა ერქვა ამას? რა ვიცი. სხვების თვალში, ალბათ, ჰო.

დადგენილების პროექტის წაკითხვის წინ თითოოროლა შეკითხვას წამოისროდნენ ცენტრჯგუფის წევრები და სახეზე ეტყობოდათ, ეს შეკითხვა ისე, მოდისთვის დავსვით, თვარა პასუხი მაინცდამაინც არც ქე გვაინტერესებსო. ყოველთვის მე მომმართავდა სანაძე – აბა, ბატონი სილოვანი რას გვეტყვის ამ საკითხზეო, და სიცილი რომ მოეთოკა, დასძენდა – მთავარი სიტყვა შენზეა ბატონო სილოვანო. პირველ სხდომებზე გულუბრყვილოდ ვპასუხობდი: თქვენ უკეთ იცით, ბატონო, საქმეში ჩახედული ხალხი ხართ, მე თანახმა ვარ ყველაფერზე-თქვა. ვიტყოდი ამას და ატყდებოდა ხითხითი. რა აცინებდათ, რა იყო ამაში სასაცილო, დღემდე ვერ გამიგია. ბოლოს ენას კბილი დავაჭირე და რომ მომაჩერდებოდნენ ყველანი ერთად, განზე გავიხედავდი და ჩავილაპარაკებდი: „თანახმა ვარ“. მაინც იცინოდნენ. სულ არაფერი რომ არ მეთქვა, სანაძე იკითხავდა თუ არა, რას იტყვის ბატონი სილოვანიო, მაშინვე სიცილი უტყდებოდათ. ცოლს ვკითხე ერთხელ, ასე და ასე, იცინიან რამეს რომ ვიტყვი-მეთქი და, რაშია ვითომ საქმე-მეთქი. გაჩუმდი და იჯექი შენთვისო, შენ იმიტომ გაგრიეს მაქანა, რომ ერთი მუშა უნდა ყოფილიყო, თვარა ვინ გკითხავს „ბალი ორშაურიას“ შენო. წავლაპარაკდით, ხომ იცი, მე და ჩემი ოჯახობა მაშინ. რავა გეკადრება, – მე ვუთხარი, მე კი არ ვგლახაობ იქანა, საქმეებს ვარჩევ და ქვეყანას ვალაგებ, მე ვუთხარი. არ მეკითხებიან კი არა, სანაძე უჩემოდ საკითხს არ წყვეტს, მე ვუთხარი. „მასე გეგონოს შენო“, გამხეთქა გულზე.

რამ დამაეჭვა თუ იცით, რამდენჯერაც დავაპირე სხდომაზე ჩემი აზრის გამოთქმა, მაშინვე სიცილი აუტყდებოდათ სანაძეს და სხვა წევრებს. პატარა ხანს ვუყურე ამ სურათს და ერთხელ თავი ვეღარ შევიკავე: ეს ერთი წელია, მე, ბატონო, ყველაფერში მხარს გიჭერდით და ხმა არ ამომიღია აქანა-მეთქი. სასაცილო ეგება სხვამაც ბევრი თქვა, მარა არ დამ-იფჩენია ზოგიერთივით პირი-მეთქი. მე ვატყობ, ხელს გიშლით მუშაობაში და წავალ ჩემს გზაზე. უჩემოდაც კარგად მიყვებით თქვენ საქმეს და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ-მეთქი. გამოვიხურე კარი და წამოვე-დი. სიჩქარეში ქუდი დამავიწყდა. ეს ქუდი რაღაზე დავტოვო-თქვა და შუა გზიდან მოვბრუნდი. შევაღე კარი, ჩუმად ისხდნენ, სანაძე რაღაცას ლაპარაკო-ბდა და გაქვავებული უსმენდნენ. მობრძანდით, ბა-ტონო სილოვან, დაიკავეთ თქვენი ადგილიო, სანაძემ კარებშივე მომაგება. „ადგილის დასაკავებლად არ მოვსულვარ ბატონო, ქუდი დამრჩა, ღმერთმა ხელი მოგიმართყენ-თქვა“, ვთქვი და ისევ ახარხარდნენ.

მაგენის ხარხარს რას დავეძებდი, ჩამოვხსენი ჩემი ქუდი კედლიდან და გამოვედი.

ეს ამბავი გასულ ხუთშაბათს მოხდა. დღეს ორშაბა-თია. პარასკევ საღამოს გამომიგზავნეს კაცი, განყო-ფილების გამგის მოადგილე ვარო, მაღალი, ბერეტიანი ბიჭი იყო; ბატონო სილოვან, არ მოგვჭრა თავიო, თა-ვისი ნებით ცენტრჯგუფის წევრობიდან ჯერ არავინ წასულაო. ნამეტანი შეწუხებულია სანაძეო. ასე დამ-აბარა, თუ ყოველ ხუთშაბათს ვერ შეძლებს მოსვლას, თვეში ერთხელ მაინც გამოგვიაროს, ამ წლის ბოლომდე არჩეული ხართ და მერე თავისუფალი იქნებითო.

კი ბიძია, მე ვუთხარი, ვიყო ისე, სახელად, რავარც გაგეხარდებათ, მაგრამ მუშაობით მე ჩემს ქარხანაში

დავბრუნდები. საქმეს მაინც გავაკეთებ რაღაცას. რაც შემიძლია, იმით შეგეწევითყენ აქიდან-მეთქი. რა დროს ჩემი ღაღადობაა, ოცდათვრამეტი წელია ვმუშაობ და კაცს ჯერ გადაკრული სიტყვა არ უკადრებია ჩემთ-ვის-მეთქი. ერთი სიტყვით მივახვედრე, რაზეც ვიყავი ნაწყენი, გამგებიანი ბიჭი ჩანდა. თვეში ერთხელ მაინც უნდა შემოგვიაროთ სხდომაზე, მეტს არ შეგაწუხებთო, დამიბარა და წავიდა. ვნახო, თუ ნამეტანი არ შემაწუხ-ეს, არც თვეში ერთხელ მიმსვლელი ვარ.

სიცილი

ბ ე ნ ი ა – ტყუილი მითქვამს? რანაირად შევუშალოთ კაცს ხელი იმაზე ვართ გამეცადინებული-მეთქი.

ჯ ი ნ ა – რატომ ეცინებოდათ, როგორ ფიქრობთ.

ს ი ლ ო ვ ა ნ – რატომ და, მე რომ სერიოზულად შევიფერე ცენტრჯგუფში არჩევა და საქმეში გარევა დავაპირე, იმიტომ. ოქმისთვის იყო საჭირო – ერთი მუშა გვი-რევია ხელმძღვანელობაშიო, რომ მოეხსენებიათ იქ, ზევით. თორემ ვის დაეკარგე, ვინ გკითხულობს.

ჯ ი ნ ა – ბატონო ავალო, საინტერესოა თქვენი აზრი.

ა ვ ა ლ ო (დაბნეული). რაზე?

ჯ ი ნ ა – ჩვენს ცხოვრებაზე საერთოდ.

ა ვ ა ლ ო (დამტვრეული ქართულით) – არა ბატონო, სხვამ თქ-ვას. მე ნახევრად აქაური ვარ... ჯერ მთლად მოშინ-აურებული არა ვარ, შეიძლება შევცდე.

ა რ ჩ ი ლ – მერე რა უჭირს, როგორ ცხოვრობდი იქეთ, წყ-ალგაღმა?

ჯ ი ნ ა – თქვენ ფერმის გამგე ბრძანდებით.

ა ვ ა ლ ო – აღარა ვარ ფერმის გამგე, უარი ვთქვი, ახლა ბიბლიოთეკის გამგე ვარ.

ჭ ო ნ ქ ა – მაინც გამგე ბრძანდებით, რაც არ უნდა იყოს.

ბ ე ნ ი ა – რატომ გაანებეთ ფერმას თავი?

ა ვ ა ლ ო (ღრმად ჩაისუნთქა) – კარგი აბა, ყველაფერს ვიტყვი (შიშით მიმოიხედა, აქაოდა სხვა ხომ არავინ გვიგდებსო ყურს).

ჯ ი ნ ა – ბრძანეთ, ბრძანეთ, ნუ გეშინიათ.

ა ვ ა ლ ო – შვეიცარიაში დავიბადე მე. დედ-მამა, როგორც მოგეხსენებათ, ემიგრანტები მყავდა. მშობლები ომამდე დამეხოცა. მარტო დავრჩი. არ მიბრძოლია არც თქვენთვის, ტყუილს ვერ დავიბრალებ, და არც გერმანელებისთვის. მძიმე ავადმყოფობა მაქვს ყმაწვილობაში გადატანილი.

მეძროხეობის ფერმა მქონდა და სანამ საქართველოში დავბრუნდებოდი, იმით ვირჩენდი თავს. ცხრა ძროხაზე ნაკლები არ მყოლია. მე ვუვლიდი მარტო ერთი კაცი. დღეში ორჯერ ჩემი ძველი „კადილაკით“ ჩავდიოდი ჟენევაში, დილით მაწონი ჩამქონდა, საღამოს რძე. ჩავაბარებდი გამსაღებელ ფირმას – „ჟოზეფინას“, იქვე ხელზე მივიღებდი ფულს და ვბრუნდებოდი.

როცა საქართველოში ჩამოვედი სამუდამოდ საცხოვრებლად, მკითხეს, რა ხელობა იცი კარგადო. ფერმა მქონდა ძროხების-მეთქი. მომკიდეს ხელი და დობერაზენის მეძროხეობის ფერმის გამგედ დამნიშნეს.

დავდივარ ფერმაში. უამრავი ხალხი ირევა. მიცინიან, მიღიმიან, ყველას საქმიანი სახე აქვს, მაგრამ ვხედავ, ძროხები მოუვლელია, ბოგა დაუსუფთავებელი, ერთი სიტყვით, თქვენი ტერმინით რომ ვთქვა – ანარქიაა.

დილით მანქანაზე რძიან ბიდონებს ალაგებენ, იქვე მძღოლთან თეთრხალათიანი კაცი დგას. რა მოხელე ბრძანდებით-მეთქი. მძღოლს დავყვებიო. რად უნდა მძღოლს გაყოლა-მეთქი. მარტო შოფერს რძეს ვინ ანდობს, ბატონო, აქ შვეიცარია კი არ არის, ხომ გაავსო წყლით ბიდონებიო. „გაკვირვება“ ის სიტყვა არ არის, რაც მე დამემართა. ქურდს გვერდით

არანაკლები ქურდი მიყვება, რომ ერთმანეთს მოერიდონ. ესაა ჩვენი მუშაობის პრინციპი.

მეტს გეტყვით: ფერმის შტატში ძროხის მომვლელი მწყემსი და მწველავი თითო-ოროლაა. სამაგიეროდ, ფერმის გამგის მოადგილე, ადგილკომის თავმჯდომარე, სახალხო კონტროლი, კულტმუშაკი, პროპაგანდისტი ვინ არ ტრიალებს, რას არ გამოიგონებენ, როგორმე ძროხას რომ არ დაუსვან ზურგზე სამუნელი. ერთი გამოპრანჭული გოგონა შემეფეთა. იქნებ ეს მაინც იყოს საქმის გამკეთებელი-მეთქი. მეო, კომკავშირული საგზურით დროებით ვარ გამოგზავნილიო. რა გევალება-მეთქი. რაო და კორესპონდენტებს უნდა დავხვდე, შეკითხვებზე ვუპასუხო და სურათის გადაღებისას კმაყოფილი სახე მივიღოო.

გესმით კაცო? რანაირად გამოიყვანეთ ასეთი ახალი ადამიანი?

რანაირად ასწავლეთ, ჩააგონეთ, არაფერი გააკეთო, ისე მიიღე ხელფასიო. მივედი რაიკომის მდივანთან გამათავისუფლეთ-მეთქი. აკი ფერმის საქმეში ვერკვევიო, – მკითხა. აქ სხვანაირი ფერმა გქონიათ-მეთქი. მეგონა მეძროხეობის ცოტა რაღაც ვიცოდი, მაგრამ მოვტყუვდი-მეთქი, ადგნენ და ბიბლიოთეკა ჩამაბარეს.

ა რ ჩ ი ლ ი (ღიმილით) – ბიბლიოთეკაში ხომ კარგად მიდის საქმე?

ა ვ ა ლ ო (დარცხვენილი). არ გამცინოთ და შეიძლება იქედანაც წამოვიდე. ჭირს ბიბლიოთეკაში მუშაობა. წიგნი ვისაც მიაქვს, უკან აღარ აბრუნებს.

ბ ე ნ ი ა – იქ როგორ იყო შვეიცარიაში?

ა ვ ა ლ ო – ვერ გეტყვით, არ ვიცი, იქ ბიბლიოთეკასთან საქმე არ მქონია.

ჯ ი ნ ა – რაც ვთქვით, ყველაფერი წარსულის ინერციაა.

ბ ე ნ ი ა – ჰო, რასაკვირველია, უბედური გადმონაშთია, წარსულს ეკუთვნის.

ა რ ჩ ი ლ ი. ახლა როგორაა საქმე, ახლა?

ე ლ ე ფ თ ე რ – გითხრათ ახლა როგორ არის?

ჭ ო ნ ქ ა – აბა, ჰე.

ე ლ ე ფ თ ე რ – კოოპერატივი, კოოპერატივიო და მე ვთქვი, ამაზე უარესად ხომ არ ვიქნები, ახლა რომ ვარ-მეთქი და ამ ექვსი თვის წინ ავიყოლიე ჩემი ძმაკაცები, კოოპერატივი დავაარსეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყანწების კოოპერატივი, ხუთმა კაცმა. ჩვენ კი მოვილაპარაკეთ, მარა კოოპერატივს დამტკიცება ხომ უნდოდა? სისხლი გაგვიშრეს აღმასკომში, გადაგვიდეს და გადაგვიდეს, გაგვიჯანჯლეს რაც შეეძლოთ, არ მოვეშვით ჩვენც, და ბოლოს, როგორც იქნა, გაგვატარეს რეგისტრაციაში, მარა რად გინდა, არც ბინა მოგვცეს, არც იარაღ-ნედლეული.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დავიქირავეთ ერთი სარდაფი, გავახაზირეთ რქები და დავიწყეთ ყანწების კეთება. სიმართლე გითხრათ, შიში რომელიც მაშინ ჩაგვიძვრა სულში, ჯერაც არ გაგვნელებია. გამოეყავი სახელმწიფოს – ვინ იზრუნებს აწი შენზე, ბინის და ტელეფონის ტყუილ აღრიცხვაზე ვინ აგიყვანს; ხორცის და კარაქის ტალონს ვინ მოგცემს; რომ დაბერდები, პენსიას ვინ დაგინიშნავს, ყველაფერი საფიქრალია, ჩვენ ისე ვართ მიჩვეული ნახირად ყოფნას, რომ, გითხრათ სიმართლე, კოოპერატივის ხუთივე წევრი ენით გამოუთქმელმა სევდამ შეგვიპყრო. კინაღამ იმ აზრამდე მივედით, რომ დაწესებულებაში უფროსიც საჭიროა – საყვედურს რომ მოგცემს და მერე მოგიხსნის, ერთი მუქთამჭამელი და ლოთიც საჭიროა, ინტრიგანსაც თავისი ადგილი

აქვს და ერთი შპიონ-დამსმენიც უნდა იყოს – სათანადო ადგილზე რომ ცნობას მიიტანს – ამან ეს თქვა და იმან ეს თქვაო. თურმე ისე ვართ გაფუჭებულები, რომ ტყუილების, კრებობიის, მიტინგობიის და ერთმანეთის ჭამის გარეშე გაძლება გვიჭირს.

ეს ერთი, ამ სევდას როგორმე გავუძლებდით, მაგრამ მეორე სნაკვი დაგვერთო. თურმე ვინ გიშვებს შენთვის. ჯერ ერთი ყანწიც არ გვქონდა გაყიდული, რომ დაიწყო ჩვენს სარდაფში, რა, თუ იცით?

ჭ ო ნ ქ ა – რაი?

ე ლ ე ფ თ ე რ – რევიზორ-კონტროლიორების პარადი. არიქა აღმასკომის რევიზორი, სარევიზიო ჯგუფის კონტროლიორი, სახანძრო რაზმის, წარმოების უსაფრთხოების, შრომის დაცვის საზოგადოების, სანიტარული ინსპექციის, სახალხო კონტროლის, მილიციის, ფინსამსახურის და რა გნებავთ: დღე ერთია და რა უწყების კონტროლიორი გინდა რომ არ შემოეხეტოს და მაგიდაზე თითების კაკუნი არ დაგიწყოს. ყველას ორორი ყანწი უნდა გაუხვიო საჩუქრად და „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“ უნდა უძახო. მომეშალა ნერვები და ვკითხე, ამას წინათ, ერთ რევიზორს: რისთვის გვამოწმებთ, რა გინდათ, ლოთიანად, ეს სარდაფი ჩვენ დავიქირავეთ, რქები ჩვენ ვიშოვეთ, ეს მარჯვენა ჩვენია, თუ რამეს მოვიპარავთ, ჩვენს თავს ხომ არ მოვპარავთ-მეთქი. რა შუაშია მოპარვა, გეხმარებით, ბატონო, გეხმარებით, დანახვა უნდა ყველაფერსო, – შემომიბღვირა. (სიცილი) ილაჯგაწყვეტილებმა გუშინ რაიაღმასკომს კოოპერატივის გაუქმება ვთხოვეთ, მაგრამ უარი გვითხრეს; ჩვენ მხოლოდ კოოპერატივების გახსნის ინსტრუქცია გვაქვს მიღებული, დახურვის ინსტრუქცია ჯერ არ მიგვიღიაო, (სიცილი) ვინ იკითხა, დღეს როგორ არის საქმეო, ა, სიმართლე თუ გინდათ, ასეა, ჩემო ბატონო.

პაუზა, ყველამ წუთიერად თავი ჩაქინდრა.

ა რ ჩ ი ლ – (სხვისი ხმით) მდაა... მძიმე სურათია.

ტელეაპარატის თავზე სინათლე ჩაქრა და სახეგაბადრულმა ვაჟამ კიბე ქურციკივით ჩამოირბინა. იგი აღტაცებული მიეახლა გადაცემის მონაწილეებს, ხელს ართმევს და უღიმის.

ვ ა ჟ ა – მშვენიერია, მადლობელი ვარ, ძვირფასებო.
ბ ი ქ ტ ო რ – აგაშენათ ღმერთმა. დავიწყოთ აბა.
ვ ა ჟ ა – რა?
ა რ ჩ ი ლ – ჩაწერა.
ვ ა ჟ ა (ღიმილით) – ჩავწერეთ უკვე.

გადაცემის მონაწილენი ელდანაცემივით შეჩქვიფდნენ, ყველას დაზაფრული სახე აქვს.

ნ უ ც ა (შეცბუნებული) – რას ჰქვია ჩაიწერეთ?!
ვ ა ჟ ა – დამიჯერეთ, ასე სჯობდა, მე მგონი არ გამოგვივიდა ურიგო საუბარი.

გადაცემის მონაწილეებმა ჯინას შეხედეს. ჯინამ განზე მიაბრუნა თავი. მერე ყველანი ერთბაშად აყაყანდნენ, მაჟორული, ტემპიანი საგანგაშო მუსიკა, მუსიკის რიტმზე გადაცემის წევრები შუაში მომწყვდეულ ვაჟას გარს ეხვევიან. ვაჟა სცენის ხან ერთი კუთხისკენ გარბის და სკამზე ეშვება, ხან ისევ მრგვალ მაგიდას უბრუნდება, გადაცემის მონაწილენი ფეხდაფეხ მოსდევენ, ერთმანეთს ასწრებენ, ლაპარაკს არ აცლიან, ყველა თავისას ჩასძახის თავგაბეზრებულ ვაჟას.

ს ი ლ ო ვ ა ნ – ასე როგორ შეიძლება!
ა რ ჩ ი ლ – ეს გადაცემა რომ ხალხმა ნახოს, ხომ მოგვეჭრა თავი.
ე ლ ე ფ თ ე რ – სხვისა არ ვიცი და ჩემი ნათქვამი უეჭველად უნდა ამოიღო.
ვ ა ჟ ა – როგორ ბატონო?
ე ლ ე ფ თ ე რ – უნდა ამოიღო რამენაირად, შეგიძლიათ თქვენ მაგის მოხერხება.

ჭ ო ნ ქ ა – პროტესტს ვაცხადებ. ასე როგორ შეიძლების. მეორე ლექსი უნდა მეთქვა.
ბ ი ქ ტ ო რ – არაუშავს, სხვა გადაცემაში თქვი.

პროცესიამ სხვა სკამისკენ გადაინაცვლა, ნუცამ იმარჯვა და ვაჟას ყურში ჩასძახის.

ნ უ ც ა – ხელმეორედ უნდა ჩავიწეროთ, არ ვიცი მე, თორემ წავალ სადაც საჭიროა!
ბ ი ქ ტ ო რ – რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ნუ დაახრჩვეთ ეს კაცი. რაც იქნება, იქნება.
ბ ე ნ ი ა – რას ჰქვია? რაც იქნება, იქნებას იმედზე ვიყოთ?
ა ვ ა ლ ო – ნუ გეშინიათ, არ იქნება ხარისხიანად ჩაწერილი. მაინც დაიწუნებენ.
ს ი ლ ო ვ ა ნ – რომ არ დაიწუნონ, ხომ ამოვვარდი კაცი!

პროცესიამ ახლა სხვა სკამისკენ გადაინაცვლა.

ბ ი ქ ტ ო რ – უხერხულია, სერიოზული ხალხი ვართ. არ შეიძლება ასე, რასაც ვფიქრობდით, ის ვილაპარაკეთ, ბოლოს და ბოლოს, რაც იქნება, იქნება.

უსიამოვნო ბუტბუტით, ნერვული ნაბიჯით, ზოგი დამუქრებითაც კი, სათითაოდ გაიკრიფნენ სცენიდან გადაცემის მონაწილენი, ჯინა მარტო უზის მრგვალ მაგიდას. ვაჟასთან მხოლოდ ბიქტორი დარჩა.

ბ ი ქ ტ ო რ ი. წელან გითხარი, მისი არ იყოს, ჩემი ლაპარაკი მართლა უნდა ამოიღო, ჩემი საქმე სხვანაირადაა. მაინც ალმაცერად მიყურებენ.
ნ ა ნ ა (ღიმილით). დამერწმუნეთ, ბატონო ვიქტორ, არაფერი გაქვთ საშიში. ისეთი არაფერი გითქვამთ.
ბ ი ქ ტ ო რ – ჩემი საქმე მე ვიცი ბიძია. ამომიღე, ღმერთი არ გწამს? გაფრთხილებული ვარ, კუდს გამოაბამენ

ვიცი მე (ბიქტორს მუდარით სავსე თვალები ვაჟასთვის მიუპყრია და უკანსვლით გადის სცენიდან).

დათოს და ნანას ხმამაღალი სიცილი ისმის. ავანსცენაზე ვაჟა და ჯინა გამოდიან.

ვ ა ჟ ა (მაყურებელს) – თქვენ როგორ ფიქრობთ, ღირს ამ ჩანაწერის ეთერში გაშვება?

ჯ ი ნ ა – ვინ არის მომხრე, რომ ჩვენი საუბარი გადაიცეს საკავშირო ტელევიზიით. გთხოვთ, ხელის აწევით დაგვიდასტუროთ!

ვ ა ჟ ა – წინააღმდეგი ხომ არავინ არის?

ჯ ი ნ ა – თავი ხომ არავინ შეიკავა?

ვ ა ჟ ა – ვინც წინააღმდეგია, მის სინდისზე იყოს, ახლა მთავარია თავი არავინ შეიკავოს, ჩვენ თავშეკავებულებმა ისედაც დიდხანს ვიარეთ.

ნანა და დათო ტაშს უკრავენ, ჯინა გადის, სცენაზე ვაჟა, ნანა და დათო რჩებიან. ვაჟა დაღლილი ეშვება სკამზე. პაუზა.

ნ ა ნ ა – ღმერთო, როგორ ეშინიათ, როგორ გვეხვეწებოდნენ, ამოგვიღეო.

დ ა თ ო – ახლა ხომ დარწმუნდით, ბატონო ვაჟა?

ვ ა ჟ ა – რაში?

დ ა თ ო – ხომ ნახეთ, რა უყვეს ადამიანს?

ნ ა ნ ა – ეს არის თქვენი აღზრდის პროდუქტი – სოციალიზმის მოქალაქე?

დ ა თ ო – როგორ ფიქრობ, სხვაგან სადმე მსოფლიოში, ტელეაპარატთან კაცს ამდენს ეხვეწებიან, მამას გაფიცებ, რასაც ფიქრობ, ის ილაპარაკეო?

ნ ა ნ ა – მაინც როგორ მოხდა, რა მანქანებით მიაჩვიეს ადამიანები ერთის ფიქრს და მეორის კეთებას?

დ ა თ ო – დემოკრატია მათთვის უცხო ხილია და ჯერ შორიდან უვლიან, როგორც შაშვები კაკანათს.

ნ ა ნ ა – კლასიკური დემოკრატიის და მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური სახელმწიფოს მოქალაქენი ათეული წლების განმავლობაში ტაშის გრიალით ხვდებოდნენ კაცებს, რომელთაც თანამდებობა წესიერი არჩევნებით კი არა, თავიანთივე მეგობრების ზურგში ხანჯლის ჩაცემით და ყელზე რევოლვერის მიბჯენით ჰქონდათ მოპოვებული.

ვ ა ჟ ა (წამოდგა და წინ წამოვიდა, უკან, მარჯვნივ და მარცხნივ დათო და ნანა დაუდგნენ). ბედნიერი კაცი ვიქნებოდი ეს ყველაფერი თქვენ არ გენახათ და მოგესმინათ. თან არ წაგეღოთ იმ საუკუნეში შეცდენილი, მოტყუებული თაობების სევდიანი ისტორია, მაგრამ როდემდე დაგვემალა თქვენთვის სიმართლე, როდემდე?

ნ ა ნ ა – როდემდე?!

დ ა თ ო – როდემდე?!.

სინათლე ქრება, ვაჟა გადის. განგაშისწინა მუსიკა, ისევ ის ნახევრადდანგრეული, ისტორიული კედელი, ნანა და დათო.

დ ა თ ო – მოვა?

ნ ა ნ ა – ეჭვიც არ მეპარება.

დ ა თ ო – იქნებ მართალია მამაშენი. რაც დრო გადის, სულ ვფიქრობ, ხომ არ ვიჩქარეთ. ესენი ჯერ კიდევ მყარად დგანან.

ნ ა ნ ა – არც ისე მყარად. დიდი რღვევა კარგა ხნის დაწყებულია.

დ ა თ ო, შენ მაინც დარჩენილიყავი, მე და მამაშენი წავიდოდით.

ნ ა ნ ა – რა ჭკვიანი ხარ? ორი ჩემი ყველაზე საყვარელი ადამიანი იქ იქნებოდით და მე მაქმანიანი ფარდის მიღმა, აივნიდან, ქუჩა მეთვალიერებინა, ხომ?

დათომ თავზე ხელი გადაუსვა და გულზე მიიკრა.

ნ ა ნ ა – გიყვარვარ?

დ ა თ ო – დღეს ყველაზე მეტად.

ნ ა ნ ა – რამე რომ მოხდეს?

დ ა თ ო – ნუ სულელობ.

ნ ა ნ ა – თუ სროლა აგვიტეხეს, გეხვეწები, მამაჩემი გადავარჩინოთ, მამაჩემს გადავეფაროთ, გავგიჟდები, იმას რომ რამე მოუვიდეს.

დ ა თ ო – ნუ გეშინია, სულელურ შეცდომებს არც ჩვენ დავუშვებთ და აღარც ისინი.

ნ ა ნ ა – ვინ ისინი? შენ რაღაცების კიდევ გჯერა?

დ ა თ ო – თითებს დაიჭამენ და სროლის ბრძანებას არ გასცემენ.

ნ ა ნ ა – რამდენჯერ უნდა გითხრა, სტიქიური აშლილობის შემთხვევაში ძალაუფლებას წესრიგის დასამყარებლად სულ სხვა სამსახური იღებს. ისინი ადგილობრივ ხელისუფალთ ბჭობას არ გაუმართავენ, წესრიგი როგორ დავამყაროთო.

დ ა თ ო – აი, ეს მომწონს, ახლა უკვე შეშინებული გოგო ლაპარაკობ, წადი რა, სახლში.

ნ ა ნ ა – არაფერიც. უკვე გითხარი, თუ მეშინია მხოლოდ შენ გამო და მამაჩემის გამო.

დ ა თ ო (გაეცინა). რაზე მეცინება იცი?

ნ ა ნ ა – არა.

დ ა თ ო – წუხელის ტელევიზორთან ჩვენმი დაბმა, რითი მოახერხეს თუ იცი?

ნ ა ნ ა – ვიდეოფილმებით.

დ ა თ ო – სასაცილო არ არის? რასაც ასე ვლანძღავდით – ახალგაზრდობას რყვნისო, სწორედ ის ფილმები გვაჩვენეს, ოღონდ გვიან ღამემდე ტელევიზორს არ მოვშორებოდით და ამ დილით ეროვნული ფიქრით

არ გაგვღვიძებოდა.

ნ ა ნ ა (კულისებისკენ გაიხედა) – მამაჩემი! (ხელს უქნევს).

დ ა თ ო – იცი, სადღაც მინდოდა კიდეც, რომ არ მოსულიყო, მაგრამ გული ძალიან დამწყდებოდა.

ნ ა ნ ა – მე კი არმოსვლას არასოდეს ვაპატიებდი, შენ არ იცნობ მამაჩემს.

ვაჟა შემოდის. ორივენი შეეგებებიან, მაჟორული მუსიკა. ვაჟა შუაში ჩადგება, ნანას და დათოს მხარზე ხელს გადასდებს. სამივენი მიიჩქარიან, სცენა ბრუნავს. ისევ ისეთი მანიფესტაცია, როგორც დაიწყო სპექტაკლი, სანთლის ფიგურებივით დგანან დემონსტრანტები. განგაშის მაუწყებელი მუსიკა. ყველანი მაყურებლისკენ არიან შემობრუნებულნი. ჟინი, მზადყოფნა, სიჯიუტე იგრძნობა მათს გამოხედვაში. დემონსტრანტთა შორის ნანა, ვაჟა და დათო ჩანან. ჯაჭვის ჟღრიალის მსგავსმა მუსიკამ

გადაუარა თეატრს.

წუთიც და დემონსტრანტების თავზე, უკან, მაღალ ფიცარნაგზე დათო აღიმართა.

დ ა თ ო – ზოზინს და უძრაობას!

მ ი ტ ი ნ გ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი – (მარჯვენა მუშტის შემართვით) არა!

დ ა თ ო – ნახევარსიმართლეს და ნახევარდემოკრატიას!

მ ი ტ ი ნ გ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი – არა!

დ ა თ ო – პოლიტიკურ და ეკონომიურ ორპირობას!

მ ი ტ ი ნ გ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი – არა!

დ ა თ ო – ერის სინდისის ხელყოფას!

მ ი ტ ი ნ გ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი – არა!

დ ა თ ო – პიროვნების უფლებათა ფეხქვეშ გათელვას!

მ ი ტ ი ნ გ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი – არა! არა! არა!

უჩინარმა ხელმა მომიტინგეებს თავზე პროკლამაციების ბღუჯა გადააყარა. პროკლამაციის თოვა მაყურებელთა დარბაზშიც მოდის, ზედა იარუსიდან მოცვივა.

პროკლამაციაზე ზუსტად ის ტექსტია, რასაც დათო და მიტინგი წარმოთქვამენ. მიტინგის მონაწილეებმა ომახიანი, ტემპიანი, ვაჟკაცური რევოლუციური სიმღერა დააგუგუნეს. იმ სიმღერას შეიძლება მთელი თეატრი აჰყვეს, ტაშის გრიალში და შემსრულებელთა მადლობა-რევერანსებში პარტერი ცარიელდება. მაყურებელს შინ კონტროლმოხეულ ბილეთთან ერთად მიაქვს პროკლამაცია.

– ზოზინს და უძრაობას,
– არა!
– ნახევარსიმართლეს და ნახევარდემოკრატიას,
– არა!
– საქვეყნო სიცრუეს და ფუჭსიტყვაობას,
– არა!
– პოლიტიკურ და ეკონომიურ ორპირობას,
– არა!
– ეროვნულ წინააღმდეგობათა მიფუჩეჩებას,
– არა!
– შანტაჟს და დაშინებას,
– არა!
– ერის სიინდისის ხელყოფას,
– არა!
– პიროვნების უფლებათა ფეხქვეშ გათელვას,
– არა! არა! არა!

ქუხილი

ერთმოქმედებიანი პიესა

მოქმედი პირნი:

თანამდევი
შუშანიკ
სოლომონ დოდაშვილი
ქაქუცა ჩოლოყაშვილი
კოტე ხიმშიაშვილი
ინასარიძე
კაფანდარა ბიჭი
მამა
გაგა
მონაზონი მარიამ
მანანა
ქალი

განგაშისწინა მუსიკა, ბარაბნის ყრუ დარტყმებით და ჯაჭვის ჟღრიალით. დარბაზში სინათლე ქრება. მერე ნელ-ნელა ეპარება სცენას ლურჯ-წითელი ციაგი. ვხედავთ გაქვავებულ ადამიანებს. ისინი სინათლის ფიგურებს ჰგვანან. სხვადასხვა პოზაში გაქვავებულან სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენლები სხვადასხვა დროის ტანსაცმლით. აქ, სცენაზე თითქოს საუკუნეები დასწევიან ერთმანეთს, ბერის ჯვალოს ჩოხიდან დაწყებული ჯინსის შარვლით გათავებული. კულისებიდან გამოდის ერთადერთი მოძრავი არსება – თეთრმოსასხამიანი, ოცდაათიოდე წლის გამხდარი ვაჟი და სანთლის ფიგურათა შორის დააბიჯებს. აკვირდება ყველა მათგანს. თეთრმოსასხამიანის ეულ სვლას სინათლის ყვითელი წრე მოაცილებს და რაღაც არაამქვეყნიური, იდუმალი გარინდება ახლავს. გონგის ხმაზე სანთლის ფიგურები ნელ-ნელა ამოძრავდნენ, მერე ჯერ ყრუ მოძრაობით სცენის სიღრმეში ჩაიკარგნენ, მერე ერთმანეთის მხარეზე დაყრდნობილნი წინ წამოვიდნენ და ჩვენ წინაშე ერთ ხაზზე გამწკრივდნენ, როგორც სამიზნეზე. პირგაუღებლად, ზმუილით მღერიან უძველეს ქართულ ლაშქრულ სიმღერას. მერე ისევ გონგის ხმა გაისმის და სანთლის ფიგურები ერთბაშად შეტრიალდებიან, ზურგს შეგვაქცევენ, წამის მეათედში ორი ადამიანი ჩანს, პირით მაყურებლისაკენ (დანარჩენები ზურგშექცევით არიან) თეთრშლაპიანი თანამდევი სული და შუშანიკ დედოფალი მაყურებელთა პირისპირ დგანან. ისინი სადღაც შორს იმზირებიან და საუბარს იწყებენ. განათებულია მხოლოდ მათი სახეები. ქორო თითქმის არ ჩანს.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – გიჭირსა, დედოფალო?

შ უ შ ა ნ ი კ – ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მტკიცედ თუ სდგახარ?

შ უ შ ა ნ ი კ – რაისა მკითხავ ამას?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მწარე გონებაი აქვს ვარსქენს. ვაითუ გვემასა და ტანჯვას უფრო დიდსა შეგაგდოს.

შ უ შ ა ნ ი კ – ვარსქენ ღმერთი ჭეშმარიტი უარყო. უმჯობეს არს ჩემდა ხელთა მისაგან სიკვდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაი.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – შენი შვილები?

შ უ შ ა ნ ი კ (ხელებს აღაპყრობს) – უფალო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ისინი.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ფიქრი გხამს დიდი. რაისთვის გამზადებულხარ თავგანწირვად?

შ უ შ ა ნ ი კ – უფლისა ჩვენისათვის.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მაგრამ რაი არს ოდენ სარწმუნოებაი. თუცა ქრისტემდე გარეშე ჯვრისა არსებობდა ერი ჩვენი. ღირსაა უარჰყო ამისად ქმარი, შვილები, სიცოცხლე?

შ უ შ ა ნ ი კ – სატანის ხმაი ჰგიეს ყურსა ჩემსა. სარწმუნოებაი – ესე რჯული ქრისტესი, უკეთუ ფიქრობ, ოდენ სარწმუნოებაი არს?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – უკვდავნ არიან ღმერთნი, მაგრამ შენებრ ბრძენმა დედოფალმან არა დაამცროს სარწმუნოებაი სხვისი იგი არტოშანი. რაითა უწოდებ ვარსქენის ზრახვას სულისა წარწყმედასა?

შ უ შ ა ნ ი კ – ჯვარი ქრისტესი ამა ჟამსა ნიშანი არს ერის სიცოცხლისა. ამად გამზადებულ ვარ ტანჯვად და დაცვად მისად. არა უწყია, მცირედმორწმუნენო, დაცემ-დაპყრობა ერისა სარწმუნოების გამოცვლის მერე მტრისთვის არა ძნელ არს?!

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მაგრამ ცხოვრება? ერთხელ მოცემული სწორედ განგების მიერ?

შ უ შ ა ნ ი კ – ესე ყოველი ცხოვრებაი, ვითარცა ყვავილი ველთაი წარმავალ არს და დაუდგრომელ. უკვდავი ოდენ საქართველოა: სამშობლო ჩემი!

თანამდევი დაიხარა და შუშანიკის კალთას ემთხვია.

ზარების გუგუნში სინათლე ქრება.

ისევ გაქვავებული სანთლის ფიგურები. თანამდევი კვლავ დააბიჯებს მათ შორის.

ზმუილის მსგავსი სიმღერა – რექვიემი.

ქორო პანტომიმის ენით გადმოგვცემს: საუკუნეთა სრბოლას, დროის დინებას, ქართველთა ბრძოლას თავისუფლებისათვის, კირთებას, ტანჯვა-გვემას...

წინ გამოდიან თანამდევი და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე – სოლომონ. ქოროს ზმუილ-სიმღერა ნელ-ნელა ცხრება.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – სახელი თქვენი?

ს ო ლ ო მ ო ნ – სოლომონ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – გვარი?

ს ო ლ ო მ ო ნ – დოდაშვილი.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – არის თუ არა ცნობილი თქვენთვის, რისთვის დაგაპატიმრეს?

ს ო ლ ო მ ო ნ – არა.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თქვენ ბრალად გედებათ ხელმწიფე იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა.

ს ო ლ ო მ ო ნ – მოწყალეო ხელმწიფევ, ხელმწიფე იმპერატორი აქედან ძალიან შორს არის. უმჯობესია, პირდაპირ იმაში დამდოთ ბრალი, რაშიც მადანაშაულებთ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – რაში თქვენი აზრით?

ს ო ლ ო მ ო ნ – სამშობლოს სიყვარულში.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – სამშობლოს სიყვარული დანაშაულად არ ითვლება.

ს ო ლ ო მ ო ნ – რაკი ეგრეა, სხვა დანაშაული მე არ მიმიძღვის.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თქვენ ფილოსოფოსი ბრძანდებით და გთხოვთ თავს ნუ გაიბავშვებთ. ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია და დროს ნუ დავკარგავთ.

ს ო ლ ო მ ო ნ – მე აქ ჩემი ნებით არ მოვსულვარ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – გიორგი ერისთავს იცნობთ?

ს ო ლ ო მ ო ნ – ჩემი მეგობარია.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ფალავანდიშვილებს?

ს ო ლ ო მ ო ნ – რომელს?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – იასეს.

ს ო ლ ო მ ო ნ – ორივეს კარგად ვიცნობ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – რაზე საუბრობდით ხოლმე, როცა ფალავანდიშვილებთან იკრიბებოდით?

ს ო ლ ო მ ო ნ – ჩვენ ყველგან ვიკრიბებოდით ფალავანდიშვილებთანაც, ორბელიანებთანაც, ჭავჭავაძეებთანაც და თქვენ წარმოიდგინეთ, მეფისნაცვალთანაც.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მომწონს თქვენი გულახდილობა. რაზე საუბრობდით?

ს ო ლ ო მ ო ნ – ბევრ რამეზე. შარშანდელ ყურძნის მოსავალზეც.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – საქართველოს ბედზე თუ საუბრობდით?

ს ო ლ ო მ ო ნ – იშვიათად.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – რატომ იშვიათად?

ს ო ლ ო მ ო ნ – მაგ ხაზით ჩვენთვის ყველაფერი გარკვეული იყო.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – სამწუხაროდ, არცთუ ბოლომდე გარკვეული. რაო, რუსი ჯარისკაცი თავისი ნებით შემოვიდა კავკასიაში? თქვენ არ მოგვიწვიეთ? თქვენმა მეფეებმა არ აატალახეს იმპერატორის კარი თხოვნა-ვედრებით – გვიშველეთო?

ს ო ლ ო მ ო ნ – ჩვენ ასეთი რუსეთისთვის არ მიგვიმართავს.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – როგორ რუსეთს მიმართეთ? რუსეთი რუსეთია.

ს ო ლ ო მ ო ნ – სამართლიან, პატიოსან რუსეთს. სამწუხაროდ შევცდით.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ესე იგი თქვენ გსურდათ თქვენ გამო რუს ჯარისკაცს სისხლი ეღვარა. თქვენ კი, მხართეძოზე წამოწოლილებს, „მრავალჟამიერი“ გემღერათ თქვენს ერთი ციცქნა ვენახ-მარნებში?

ს ო ლ ო მ ო ნ – ჩვენი ერთი ციცქნა მიწა ჩვენ გვყოფნიდა.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – გქონდეთ მერე, ვინ გართმევთ. რუსეთი, მადლობა ღმერთს, უკიდეგანოა.

ს ო ლ ო მ ო ნ – ის, რასაც თქვენი ჯარიკაცები და მოხელეები სჩადიან, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ესეც არ იყოს, თქვენ საქართველოში მეფობა გააუქმეთ, ბაგრატიონთა საუკუნოვანი მმართველობა შეწყვიტეთ. ამას ისტორია არ გაპატიებთ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ისტორიას ჩვენ ვწერთ.

ს ო ლ ო მ ო ნ – ხვალ სხვები დაწერენ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ვშიშობ, ეგ თქვენი „ხვალ“ ძალიან შორს იქნება.

ს ო ლ ო მ ო ნ – მაგრამ აუცილებლად იქნება.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ჩვენი საუბარი ჩავთვალოთ თქვენს ჩვენებად?

ს ო ლ ო მ ო ნ – როგორც გენებოთ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ესე იგი აღიარებთ დანაშაულს?

ს ო ლ ო მ ო ნ – რა დანაშაულს?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი –შეთქმულებაში მონაწილეობას.

ს ო ლ ო მ ო ნ – მე იმპერატორთან საქმე არ მქონია. უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემი დანაშაული საქართველოს თავისუფლების სურვილია. ამ სურვილში კი დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველა ქართველი შეთქმულია და ყველას დაპატიმრება შეგიძლიათ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თქვენი ბრძოლა ამით დამთავრდება. აი, ხვალ თუ ზეგ გაგასამართლებენ და მშიშარა ქართველები ასი წლით მაინც ჩაიძინებენ.

ს ო ლ ო მ ო ნ – არ დაიჯეროთ. რაც შეეხება ერის შეურაცხყოფას, თქვენ მე სასამართლოში გიჩივლებთ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – როგორც გენებოთ. ოღონდ ჯერ შეკითხვებს ჩვენ ვიძლევით და მსჯავრსაც ჩვენ გამოვიტანთ.

ს ო ლ ო მ ო ნ – სამწუხაროდ, დღეს ეგრეა, მაგრამ ხვალის, ხვალის გეშინოდეთ ბატონებო!

ქოროზე ჩურჩულით გადაიარა ექომ: „ხვალის, ხვალის, ხვალის გეშინოდეთ!..“

ისევ ჟამთა სვლის, ეროვნული ბრძოლის, მეცხრამეტე საუკუნის სიმბოლიკა პანტომიმით გამოხატული. ეპოქის შესაფერისი მუსიკა და რიტმი. მეოცე საუკუნის დაბადება, თავისუფალი, დამოუკიდებელი (1918–21 წწ.) საქართველოს სცენური ატრიბუტები. სიმღერები, ელჩთა შემოსვლანი, ტაში და ბოლშევიკური გუგუნი. საქართველო აღსდგება დამოუკიდებლობის დასაცავად. სისხლიანი მე-11 არმია შემოდის, 1924 წლის აჯანყება. ციხის გისოსებს მიღმა დამწყვდეულთა გმინვა-სიმღერა. სინათლე. სანთლის ფიგურათა მისტერია. გონგის ხმა. წინა პლანზე თანამდევი და ქაქუცა.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მაშ, მიდიხართ პოლკოვნიკო?

ქ ა ქ უ ც ა – სხვა გზა არ არის.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – დავმარცხდით?

ქ ა ქ უ ც ა – ასე რომ იყოს, ფეხსაც არ მოვიცვლიდი აქედან. მე იმ გვარისა არა ვარ, დამარცხებული რომ ივლის. მივდივართ, მხოლოდ იმიტომ, რომ დავბრუნდეთ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – იქნებ საშველი არ არის? ღირდა კი შებმა წითელ ვეშაპთან?

ქ ა ქ უ ც ა – ღირდა? ყველაფერი რომ ჩინებულად წარმართულიყო, მაინც გაჭირდებოდა იმპერიის ყულფისაგან თავის დაღწევა. მაგრამ მე უკვე ვხედავ ჩვენს დაღვრილ სისხლზე ამოსულ თავისუფლების ყვავილებს.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მაგრამ შენ სარდალი ხარ და ჯარისკაცი. გქონდა უფლება ათასები წაგეყვანა ლენინ-ორჯონიკიძის სასაკლაოზე? ახლა კი, როგორც ვხედავ, თავს შველი და ევროპაში მიდიხართ.

ქ ა ქ უ ც ა – რატომ არ გჯერათ, ჩვენ მალე დავბრუნდებით. სული ჩვენი და საქმე აქა რჩება. გაფიცულთა რაზმი ტყიდან არ გამოსულა. იგი დიდხანს არ დააძინებს საქართველოს დამონების მოსურნეთ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ეს მერამდენე შეთქმულება ჩაგვეფუშა. იქნება მივხვდეთ, რომ ჩვენ ჯანყის ხალხი არა ვართ. სული წაგვძლევს ხოლმე და ან ერთი დღით ადრე დავცემთ ბუკსა და ნაღარას, ან შინვე აღმოგვაჩნდება გამცემი და გამყიდველი.

ქ ა ქ უ ც ა – არც უმაგისობაა, მაგრამ ისე, როგორც ჩვენ ამოვიზარდეთ ოცდათორმეტიანელთა საფლავებიდან, ჩვენს მხრებზეც დადგებიან უმრწამესნი.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – შენ გამო რამდენი ოჯახი ააწიოკეს.

ქ ა ქ უ ც ა – ჩემ გამო არა, საქართველოს გამო.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – აი, თქვენც ჩახვალთ პარიზს. ნუთუ ვეღარ დარწმუნდით, რომ ევროპა ჩვენთვის თავს არ გამოიდებს. ბოლშევიკებმა ზესახელმწიფო შექმნეს და მსოფლიოს აზანზარებენ.

ქ ა ქ უ ც ა – ყველა დათვს ადრე თუ გვიან თავისი მახრჩობელა დაებადება.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – შენს სახელს ჩირქსა და ბალღამში ამოსვრიან. ერის მტრად გამოგაცხადებენ. შენი ხმლით ბალღებს დააშინებენ.

ქ ა ქ უ ც ა – მაგრამ ხალხის მეხსიერებიდან ვერავინ ამოშლის 1924 წლის რომანტიკას. ძლევის ყიჟინას ტყეში დაბადებულს!

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თუკი დათვს მახრჩობელა აუცილებლად გაუჩნდება, რა საჭირო იყო თქვენი ნაადრევი ყივილი?

ქ ა ქ უ ც ა – ჩვენ გაღვიძების ზარი დავრეკეთ და იმ ზარის ექო საქართველოში დიდხანს იტრიალებს.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მძიმე ქისა თუ ჩააკერეთ ჩოხას?

ქ ა ქ უ ც ა – გზის ფული მხოლოდ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თან რა მიგაქვს.

ქ ა ქ უ ც ა – მხოლოდ ჩემი ჭრილობები.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – რას გააკეთებ პარიზში. ვის სჭირდება იქ

თავისუფლებისათვის მებრძოლი „არწივის“ გამოცდილება. თავს რითი დაირჩენ?

ქ ა ქ უ ც ა – ეგ მხოლოდ ჩემი დარდია.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თავს გაუფრთხილდი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. თუ საფრანგეთის მიწამ მიგიბაროს, ლამაზ ეპიტაფიაზე იფიქრე. შენს საფლავთან, სხვა თუ არაფერი, ექსკურსანტები მაინც მოვლენ – „აქ განისვენებს თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლი ემიგრანტი“.

(გონგის ხმა)

ქ ა ქ უ ც ა – წასვლის ჟამია. შეინახეთ ჩვენი ბილიკები, არ წაშალოთ ჩვენი ნაკაწრი ნიშნები ხეებზე, წყალი არ დაასხათ ჩვენს ნაცარში შეხვეულ ღველფს, არ გადაყაროთ ჩვენი დროშები... ასე გადაეცით ყველას. დრო მოვა და ყველაფერს მოისაკლისებთ, ყველაფერი გამოგადგებათ!

(სინათლე ქვრება. ისევ ინთება. „კომუნისტური მშენებლობის“ პანტომიმური სცენები. ეკლესიათა და ხატთა გმობა-განადგურება. ჩაქუჩი და ურო – უსამართლო იმპერიის სიმბოლო. მონური შრომა კორჩაგინების და სტახანოვების და ქორო ისევ ქვავდება. წითელლურჯი სინათლის წრეები თანამდევს და კოტეს (1944 წლის ახალგაზრდა ინტელიგენტთა შეთქმულების მონაწილე) ანათებს:

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – დავალებული მაქვს ბოდიში მოგიხადოთ წინასწარი პატიმრობის ადგილის ხელმძღვანელობის სახელით. მითხრეს, სცემესო, მაგრამ, გითხრათ სიმართლე არ მჯეროდა. ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება. ყოველ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს. გამომძიებელი უსათუოდ დაისჯება.

კ ო ტ ე – გადაეცით „ხელმძღვანელობას“ რომ მათ გულისხმიერებას და სიკეთეს ფრიად ვაფასებ და, თუ აქედან გასვლა მიწერია, უსათუოდ გადავუხდი.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – გასვლა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

კ ო ტ ე – ეგ უკვე მითხრეს. ამისთვის საკმარისია დავასახელო ჩვენი ჯგუფის წევრები არა? ყველანი, უკლებლივ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მე ეგ არ მითქვამს? შეთქმულთა ჯგუფი მთლიანად დაპატიმრებულია. ბევრი მათგანი ამავე სართულზე ზის. ასე რომ, თქვენი მეხსიერება აღარ შევაწუხეთ. თქვენი თანამზრახველების ვინაობა-ადგილსამყოფელის დასადგენად სხვებმა იზრუნეს.

კ ო ტ ე – ხომ არ მოიღებთ მოწყალებას და ხომ არ დამისახელებთ, ვის მხარდამხარ „ვიბრძოდი საბჭოთა წყობილების დასამხობად“ და სად ვინახავდი „თავისუფალი საქართველოს დროშას“?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ხვალ დაპირისპირება დაიწყება და ყველანი ერთმანეთს შეხვდებით. მე ვფიქრობ, თქვენი ცნობისმოყვარეობაც დაკმაყოფილებული იქნება.

კ ო ტ ე – ყველაფერი დაგიმთავრებიათ და თუ ეგრეა, რას მივაწერო ამ შუაღამისას ჩემთან გასაუბრების სურვილი?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – გუშინაც გითხარით. თქვენ ერთადერთი ხართ მთელი ჩემი საგამომძიებლო პრაქტიკის მანძილზე, რომელიც მენანებით. რატომ არ გჯერათ ჩემი. თქვენ მოგატყუეს. თქვენ მხოლოდ მსხვერპლი ხართ. არ მინდა თქვენს საბრალდებო დასკვნას ისე მოვაწერო ხელი, რომ გულწრფელად არ გითხრათ, რაც მოხდა. მითხრეს მწერლობას აპირებსო, თუნდაც ამიტომ უნდა იცოდეთ სიმართლე.

კ ო ტ ე – მე აქ უთქვენოდაც ბევრი სიმართლე მაუწყეს. თქვენ ალბათ, ის გინდათ მითხრათ, რომ ყველა ჩემი ამხანაგი უკვე გამოტყდა დანაშაულში და ჯერი ჩემზეა.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თუ ირონიულ ლაპარაკს გააგრძელებთ, შევწყვეტ ამ საუბარს. ყველაფერს ხომ ვერ გეტყვით. შეიძლება ჩემს ლაპარაკსაც იწერენ. თქვენები იყვნენ ჩემთან, უნდა დაგეხმაროთ, სხვა გზა არ არის. ოღონდ ეს რომ ვინმესთან წამოგცდეთ, ციმბირს აქეთ დამატოვებინებენ.

კ ო ტ ე – გისმენთ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თქვენი ჯგუფის სია ჩეკაში შედგა. მოიგონეთ პირველი შეხვედრები. ისინი, ვინც ეს „მოძრაობა“ (როგორც თქვენ ეძახით) დაიწყო, ჩვენი აგენტები იყვნენ. ასე, რომ ყოველი ნაბიჯი ვიცოდით.

კ ო ტ ე – მერე ჩემგან რა გსურდათ?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ნუთუ ასე მიამიტი ხართ, რომ ვერ ხვდებოდეთ. ჩვენი ძველთაძველი პრაქტიკაა – დროდადრო შევქმნით ჩვენი თანამშრომლებისგან პოლიტიკურ ჯგუფებს, რათა მერყევი ახალგაზრდები მოვიზიდოთ, ჩავაბათ და მერე დავაპატიმროთ.

კ ო ტ ე – ჩემი მერყეობის რა საბუთი გქონდათ?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ახალგაზრდა, ნიჭიერი, მეოცნებე კაცი ხართ, ლიტერატორობისათვის ემზადებით, კბილი მოგისინჯეთ თუ არა, მაშინვე გაებით მახეში.

კ ო ტ ე – ხომ არ იჩქარეთ მახის გამოსკვნა. ხომ არ ჯობდა ცოტაც გეცლიათ. ჯერ ხომ ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარით. სამიოდე თვის შემდეგ, ალბათ, ჩვენი საბრალდებო წიგნი უფრო მძიმე იქნებოდა, თანაც სხვა „მიამიტი ახალგაზრდების“ გვარებიც გეცოდინებოდათ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – თქვენი დაპატიმრების საკითხი აქ არ გადაწყვეტილა.

კ ო ტ ე – აბა სად გადაწყდა?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მოსკოვში. ჩვენ მხოლოდ მოსკოვს ვემორჩილებით.

კ ო ტ ე – ახლა რას ამბობს მოსკოვი. მე პირადად რა უნდა გავაკეთო?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – მოსკოვს შენი ჯავრი არა სჭირს. თუ სიმართლე გინდა, ცენტრში შენი გვარი არც იციან. ეს მე მინდა გადაგარჩინო (ხმას დაუწია) რატომ არ გესმის, აქ ყველაფერს ვერ გეტყვი. არ დაიჯერებ და შორეული ნათესავებიც კი აღმოვჩნდით ერთმანეთის.

კ ო ტ ე – ყურადღებით გისმენთ.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – არც ჯგუფის წევრების დასახელებას გთხოვთ, თქვენი საქმიანობის ჩამოთვლის უსიამოვნო პროცედურისაგანაც გაგათავისუფლებთ, დაპირისპირებასაც აგაცილებ...

კ ო ტ ე – ოღონდ?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – ოღონდ უნდა გამოხვიდეთ და მოინანიოთ.

კ ო ტ ე – სად უნდა გამოვიდე?

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – არსად. უნდა დაწერო, რომ ცდებოდი. რომ უაზრო იყო შეთქმულება საერთოდ და მით უმეტეს შენი მონაწილეობა. რომ დღეიდან პოლიტიკას პოლიტიკოსებს დაუთმობ და შენს საქმეზე იფიქრებ.

კოტე ჩუმადაა.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – დამიჯერე. მთავარია გახვიდე ამ ჯურღმულიდან. მერე ყველაფრის გამართლება შეიძლება. თუ მაინცდამაინც, დაამტკიცებ, რომ შენ არავინ არ გაგიცია. მართლაც ასეა. ხომ არავინ დაგისახელებია? არც ხვალ დაასახელებ. თუ შენი სურვილით ითანამშრომლებ ჩვენთან, ეგ სხვა საქმეა, თუ არა და არ დაგაძალებთ. თუ ისევ პოლიტიკისკენ გაგიწევს გული, ამ ნაბიჯსაც გაამართლებ; ეს მანევრი იყო-თქო, ბრძოლის ტაქტიკით იყო გამოწვეული, მე უსათუოდ უნდა გამოვსულიყავი, რომ მოძრაობა არ

შეჩერებულიყო-თქო. დაგიჯერებენ. ესეც არ იყოს, პოლიტიკური სიტუაცია წამდაუწუმ იცვლება. რა იცი, ხვალ რა მოხდება, მთავარია თავი გადაირჩინო. შენ რომ დაგხვრიტონ, რა პირით შევხედო შენს ახლობლებს. არადა, მონანიების გარეშე შენი გათავისუფლება არაფრით არ მოხერხდება. ხომ მიხვდი ყველაფერს? მარტო ჩემი საქმე რომ იყოს, დღესვე გაგიშვებდი. შევთანხმდით ხომ?

კ ო ტ ე – არა! არა! არა!

(სანთლის ფიგურებზე გადადის ექო და დარბაზში ზარივით ისმის ჯერ გარდამავალი ჩურჩული „არა“, „არა“, „არა“, და მერე ერთხმად, გრგვინვით ნათქვამი: „არა“! „არა“! „არა“!

(სინათლე ქრება) კოტე და თანამდევი ავანსცენიდან იკარგებიან.

მოისმის ფშაური „ხმით ნატირლების“ მსგავსი მელოდია. სცენის სიღრმიდან მოაბიჯებს სამოცს გადაბიჯებული, ძველმოდურად ჩაცმული მოხუცი ინასარიძე. გაცვეთილი მაკინტოჟის მოსასხამი აცვია. თავზე ასევე შელანძღული – შლაპა-ცილინდრი ახურავს. სცენის შუაგულში წინა პლანზე შედგა. შლაპა მოიხადა).

ი ნ ა ს ა რ ი ძ ე – სამოქალაქო ავიაციის ყოფილი მფრინავი ზურაბ ინასარიძე.

ორმოცდათექვსმეტი წლის ცხრა მარტს გვიან ღამით ჩამოვფრინდი მოსკოვიდან. აეროპორტშივე მითხრეს, დემონსტრანტები დახოცესო. „რისთვის, რატომ, ამ მშვიდობიანობის დროს ხალხს ტყვია როგორ დაუშინეს, ასეთი რა ჩაიდინეს-მეთქი!“ გაგიჟებამდე ცოტა მაკლდა. „საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გამოვიდა საქართველოვო, ტელეგრაფის აღებას და საბჭოთა კავშირიდან გასვლას აპირებდნენო“.

ტენტიანი პობედა მყავდა. აღარც მახსოვს, როგორ მივედი მანქანამდე. ხელი მიკანკალებდა და შუბლზე ცივი ოფლი მასხამდა. ოცდაექვსი კომისრების რაიონში სინათლე ყველგან ჩამქრალი იყო. ლესელიძის ქუჩის თავში ტანკებს გზა გადაეკეტათ. ლენინის მოედანზე და რუსთაველზე ფეხითაც არავის უშვებდნენ. დავბრუნდი უკან და სანაპიროზე ჩავედი. ბარათაშვილის ხიდთან ხალხი ირეოდა. სანაპიროზეც ტანკები იდგნენ. ოდნავ წავამუხრუჭე თუ არა, ორი ახალგაზრდა ზემოდან ჩამომიხტა მანქანაში: „სიგნალი, სიგნალი ჩქარა!“ – განწირულის ხმით ჩამომძახოდნენ.

დავაჭირე სიგნალს ხელი და ელბაქიძის დაღმართამდე არ გამიშვია. ელბაქიძის დაღმართთან ჯავშნოსანი მანქანის კარი გაიღო და პისტოლეტიდან გვესროლეს. მანქანა ხიდზე შევაგდე თუ არა, საჭე მარცხნივ წაიღო და კინაღამ მტკვარში გადავეშვი. ბიჭები ხიდზე ტყაპატყუპით გაიქცნენ. მე გადმოვედი და ჩაფუშულ საბურავს ვეცი. ორი პატრული დამადგა თავს, საბუთები ჩამომართვეს, სასწრაფოდ მოშორდი აქაურობასო, მიბრძანეს და ისევ ჯავშნოსანში შეიყუჟნენ. მანქანის თვალი გამოვცვალე და მოვუსვი შინისაკენ.

შიშით დაზაფრული დამხვდა ოჯახი. ბავშვები პატარები მყავდა. და ყოველ შვიდ ნოემბერს და პირველ მაისს მე და ჩემს ცოლს ხელში ატაცებული გაგვყავდა პარადზე. იმ დღესაც თავი მოუკლავთ ბავშვებს (ოთხის იყო ბიჭი და ექვსის გოგო) პარადია და გინდა თუ არა, წაგვიყვანეო, მაგრამ უმარჯვია ჩემს ცოლს და ბინიდან არ გასულან მთელი დღე, თორემ ვინ იცის, სად ჩახოცავდნენ დედაწულს.

მეორე დღეს ვისვენებდი. თერთმეტში მიწევდა გაფრენა. მთელი აეროპორტი ამ შემთხვევაზე ლაპარაკობდა. აეროპორტის უფროსი გიბარებსო მითხრეს. მივედი, უფროსი მაშინ ჯინჯიხაძე იყო,

ვიღაც სამხედროფორმიანი უცნობი ეჯდა კაბინეტში. ზურაბო; მითხრა ჯინჯიხაძემ, ამ რეისზე სხვა გაფრინდება, შენ დაისვენე და თექვსმეტში კომისიაზე გამოცხადდიო. რა მჭირს საკომისიო-მეთქი, გავიკვირვე. არაფერი, ფორმალური მხარეა, ნუ ინერვიულებთ, თექვსმეტში მობრძანდითო, სტუმარმა.

მაშინვე მივხვდი, რომ კარგი არაფერი მელოდა.

თექვსმეტ მარტს ავიაციიდან დამითხოვეს, დახასიათებაში პოლიტიკურად არასაიმედო ჩამიწერეს, ორი კვირის შემდეგ პარტიიდან გამრიცხეს და გამომიცხადეს – იმის მადლობელი იყავი, რომ არ გაპატიმრებთო.

საღ-სალამათი, უდანაშაულო კაცი შინ დამსვეს. ცოლ-შვილი რაღაცით ხომ უნდა მერჩინა და დურგლად ვმუშაობდი სარემონტო კანტორაში. იქაც ფხიზლობდა „ბედი მდევარი“. სკოლის ან სხვა უბრალო დაწესებულების რემონტზე ხალისით მამუშავებდნენ; თუ „ბრალიანი“ დაწესებულების ან თანამდებობიანი კაცის ბინის რემონტზე მიდგებოდა საქმე, არ მიშვებდნენ. ლურსმანის დაჭედებას არ მანდობდნენ წესიერად, თვითმფრინავს კი არა.

ასე ჩაილია ჩემი ცხოვრება.

(შუაღამე გადასულია. 9 აპრილის ღამის 3 საათია. ცივა. ჩანან კიბებზე ჩამომსხდარ-წამოწოლილი მოშიმშილენი სანთლებით ხელში. განთიადის მტრედისფერი ათინათი სიცივეს უფრო სახიერს ხდის. ბუტბუტითა და ხელების ორთქვლით დააბიჯებენ ზეწარ-საბანმოხურული მოშიმშილენი. სცენა ლტოლვილთა ბანაკს წააგავს. სანთლების შუქზე ანგელოზებს ჰგვანან შეთქმულნი. გულდაგულ შეფუთულნი ძალიან შეუწუხებია შიმშილს და სიცივეს. იქეთ-აქეთ თოკებია გაბმული. თოკების ქვეშ, ერთ ადგილას, ბოთლები, გრაფინები და ბოცები ჰყრია. სერობას ერთმანეთისგან სამი-ოთხი ნაბიჯის დაშორებით წითელსამკლაურიანი მორიგეები და მილიციელები „იცავენ“. აჩრდილთა ლაციცი გეგონებათ. თითქოსდა

ყველაფერი არაამქვეყნიური და არაჩვეულებრივია, რაც აქ ხდება.

– ექიმი! ჩქარა – გაისმის სასოწარკვეთილი კივილი და ორი თეთრხალათიანი ყმაწვილი საკაცით ხელში იმ ხმის მიმართულებით გარბის. წამიც და საკაცეზე დასვენებული გულშემოყრილი მოშიმშილე ავანსცენის გავლით კულისებისკენ გაჰყავთ. ურიების ბაზრის მსგავსი ყაყანი გადაუვლის დროდადრო ბანაკს: საერთოდ, მთელი მეორე მოქმედების განმავლობაში ლამის ვიზუალურ ლაიტმოტივად გვხვდება „ექიმი! ჩქარა!“ და ავადმყოფისაკენ საკაცის გაქცეული თეთრხალათიანი ბიჭები.

მოშიმშილეთა შორის ერთი კაფანდარა, გამხდარ-გალეული ყმაწვილი წამოდგა. ძლივს მოაბიჯებს შიმშილისაგან ღონემიხდილი. „ადიალა“ თავის ზომაზე გამოუჭრია, თავზე ჩამოუცვამს და ბუტბუტით მიმოდის.

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა ბ ი ჭ ი (მაღალს) – ბიძია, ბიძია, რომელი საათია?

მ ა ღ ა ლ ი კ ა ც ი (საათზე დაიხედა) – რვა არაა ჯერ.

დ ა ბ ა ლ ი კ ა ც ი – გეჩქარება, ბატონო, სადმე?

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა ბ ი ჭ ი – არა, პატივცემულო, დედაჩემი უნდა მოსულიყო და... (ორიდე ნაბიჯი გადადგა, წაბარბაცდა, შემობრუნდა და თითქმის ტირილით მიმართა დაბალს) ბიძია, ბიძია მართალია ტანკებს გამოუშვებენო?

დ ა ბ ა ლ ი – ვერ გეტყვი. გეშინია ტანკის?

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა ბ ი ჭ ი – ოღონდ ტანკები არ იყოს. ტანკი რა შუაშია, ჩვენ ვის რას ვუშავებთ. ჩვენთვის ვზივართ და ვშიმშილობთ. დედაჩემი უნდა მოსულიყო, სად დაიკარგა (წაბარბაცდა და კინაღამ წაიქცა, ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა).

დ ა ბ ა ლ ი (მაღალს) – ა, უყურე ახლა ამას. ამან უნდა უშველოს ქვეყანას? საცოდაობით რა მაცხოვრებს ამის გათავისუფლებულ საქართველოში.

მ ა ღ ა ლ ი – არც ეგრეა საქმე.

დ ა ბ ა ლ ი – რა მიკვირს იცი, სანამ ვუყუროთ ამ სურათს. რამე ხომ არ გამოგვეპარა მე და შენ. მილიცია და უშიშროება გააუქმეს თუ იცი?

(სცენაზე მაღალი ტანის, სპორტული აღნაგობის, ყელშეხვეული კაცი გამოჩნდა. ხელში დახვეული შალის ზეწარი უჭირავს. მიტინგის ლიდერებს მიუახლოვდა, რაღაც იკითხა. გაგა გამოეხმაურა. ხელი ჩაავლო გაგას და ავანსცენაზე გამოიყვანა. სინათლის წრეში ახლა მხოლოდ ორნი არიან).

მ ა მ ა – გაგა შენ ხარ?

გ ა გ ა – დიახ, ბატონო.

მ ა მ ა – შენ გადარიე ეს ბავშვები?

გ ა გ ა – ეს აქცია გახლავთ, ბატონო. ნებაყოფლობითი შიმშილობაა.

მ ა მ ა – მერე, მაინცდამაინც ჩემს ოჯახს აქცევ, კაცო რა დაგიშავეს ჩემმა ბაღნებმა ამის ფასი?

გ ა გ ა – ვერ გავიგე, მე რას მემართლებით?

მ ა მ ა – აბა, ვის ვემართლო, ბატონო? პასუხს ვინ მაძლევს, მითხარი ერთი. ჩემი ორი ცხვირმოუხოცელი ბიჭი რომ ზის და კვდება ამ სიცივეში?

გ ა გ ა – შვილისთვის ყველაფრის აკრძალვა შეგიძლიათ თქვენ, მშობლებს, გარდა სამშობლოს სიყვარულისა. უნდა გიხაროდეს, რომ თქვენი შვილები აქ სხედან.

მ ა მ ა – რამე რომ მოუვიდეთ?

გ ა გ ა – გამორიცხული არაფერია.

მ ა მ ა – რა მშვიდად მელაპარაკები, შე მამაცხონებულო. შვილები მე ნარდში კი არ მომიგია, საქართველო მე ჩემი შვილებისათვის მინდა, თუ ისინი არ იქნებიან, კუპრს გადაუვლია ყველაფერზე.

გ ა გ ა – გასაგებია, ბატონო ყველაფერი, მაგრამ მე რა ვქნა?

მ ა მ ა – რა ქნა და გამატანე ბავშვები სახლში.

გ ა გ ა – წაიყვანეთ, ვინ დაგიშალათ. წაიყვანეთ თუ გული მოგცემთ, რომ სხვებმა იშიმშილონ მათ მაგივრად.

მ ა მ ა – წაიყვანე თუ მოგყვებიან... ერთს ვიტყვი; მე რომ დავჯდე? ჩემს შიმშილს არ მიიღებთ?

გ ა გ ა – მაპატიეთ, უნდა გეახლოთ. ბევრი საქმე მაქვს.

მ ა მ ა – მე უსაქმო ვარ, თუ ძმა ხარ, ამ ქვეყანაზე? (წინ გადაუდგა). შენ თვითონ რატომ არ შიმშილობ, ამიხსენი ერთი. ჯანმრთელი კაცი ხარ. ჩემს სიმწრით გაზრდილ ბავშვებს რომ მიკლავ შიმშილით, შენ რატომ არ შიმშილობ?

(მამა ფეხდაფეხ მისდევს ტრიბუნისაკენ წასულ გაგას და რაღაცას ეუბნება, ამ დროს მოშიმშილეთა კიბიდან გაისმა – მამა!
მამა შეჩერდა, მოიხედა, მისი გამხდარი ბიჭები ფეხზე დგანან).

მ ა მ ა – რა იყო, ჰო, რა იყო, თვითონ რატომ არ შიმშილობს?!

ბ ი ჭ ე ბ ი (ერთდროულად და უფრო მრისხანედ) – მამა!

(მუსიკალური აკორდი. მამა დარცხვენილი შემობრუნდა, ბიჭებს ზეწარი გადააწოდა).

მ ა მ ა – გაძლებთ, შვილებო?

უ ფ რ ო ს ი ბ ი ჭ ი – უნდა გავძლოთ, მამიკო.

მ ა მ ა – აბა ჰე, ღმერთმა ჰქნას, თქვენმა აჯობოს. თუ არ დაწყდებით და თუ არ შეშლით დედათქვენს ჭკუაზე, კარგს იზამთ. თქვენ იცით, აბა, ჩვენ აგერ ვიქნებით. არსად არ წავალთ. რას ვუყუროთ სახლში.

(კაფანდარა „ადიალაში“ თავგაყოფილი ბუტბუტით მიმავალი ბიჭი, ახლა მამას მიადგა).

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა – ბიძია, ბიძია, მართალია ტანკები მოდიანო?

მ ა მ ა – არა შვილო, ტანკებს აქ რა უნდა, დაწყნარდი, ნუ გეშინია, წადი, დაჯექი შენს ადგილზე.

(ბიჭი თავის კანტურით და ბუტბუტით გადის).

თითქოს ზეციდან ჩამოეშვაო, სცენის უკანა მხარეს გამოჩნდება დედათა მონასტრის წინამძღოლი მონაზონი მარიამი. მის გამოჩენას საეკლესიო ჰანგის მუსიკალური აკორდი ახლავს. მონაზონის სვლას ტრიბუნისაკენ მოშიმშილეთა ხელების ტყე მიაცილებს. მონაზონი ხშირ-ხშირად პირჯვარს იწერს და მისკენ გამოწვდილ ხელებსაც ხელით ეხება. მას მოწიწებით დაუთმეს მეგაფონი).

დ ე დ ა ი მ ა რ ი ა მ – შვილნო ჩემნო, გფარვიდეთ ღმერთი მაღალი, რამეთუ შემწედ ექმენით მამულსა თქვენსა ჟამსა შეჭირვებისასა! შიმშილი და თვითგვემა თქვენი ქრისტესმიერია და შთაგონებულ არს წმინდანთა მიერ, რომელთა სული ცხონდა მაზდეანთა და სარკინოზთა მიმართ წინააღდგომისა გამო ჯვრისა და ერის სახელითა! ბედნიერ არს სამღვდელოება და ერი ქართველი, ვინაითგან იხილა რწმენა თქვენი და თავდადება მამულისა მიმართ! რაი არს კაცი ოდენ სტომაქის სამსახურად დამაშვრალ, რაი არს კაცი, შეჩვეული მონობას, რომელს არა აქვს სურვილი კირთების უღლის გადაგდებისა! მარტვილობაი თქვენი ერის გაღვიძების ზარის რეკვაა! გიხაროდეს ქართველნო, უმრწმეს ყრმათა ძალი სულიერი და ფიქრი საერო თავისუფლების ხელმყოფ ძალთა დასათრგუნავად მიმართული!

მონაზონ მარიამს კიდევ რაღაც სურდა ეთქვა, მაგრამ მოშიმშილეთა შორის ვიღაცამ მთელი ხმით იყვირა: ექიმი, ჩქარა! ხალხი შეჩოჩქოლდა. დედა მარიამი ტრიბუნას მოშორდა და საკაცეს შეეგება. გულშეღონებული მოშიმშილე მის წინ საკაცეზე დააწვინეს. ავადმყოფს ჩამუხლული ახალგაზრდა ექიმები დასტრიალებდნენ. საკაცეს დედა მარიამი მიუახლოვდა და ავადმყოფს შუბლზე ხელი

დაადო. იგი რაღაც ლოცვას ჩურჩულებს. ავადმყოფმა წამოიწია, სინათლე ოდნავ ქვრება და წამის შემდეგ ვხედავთ, რომ დედა მარიამს მუხლებზე გადაუწვენია კისერგადაგდებული მოწამე – მოშიმშილე. ზუსტად იმგვარი პოზაა, როგორიც მიქელანჯელოს ცნობილი „პიეტა“. მოშიმშილეთა ქორო საეკლესიო სიმღერას აგუგუნებს და მთელი სიმღერის მანძილზე განათებული ჩანან დედა-მარიამ და წამებული მოშიმშილე.

„ექიმი! ექიმი! აქეთ! – ეს უკვე მერამდენედ გაისმის შიმშილის არენაზე. საკაცეზე გამხდარი, ფერდაკარგული ქალიშვილი წევს. საკაცე ავანსცენაზე გამოაქვთ. უეცრად ქალიშვილმა ხელები გაშალა, საკაცის მზიდავნი შეჩერდნენ. ქალიშვილი წამოჯდა. მილეული ხმით, ბოდვისმსგავსად ამბობს):

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – ძალიან გთხოვთ, არ წამიყვანოთ. დედას ვფიცავარ, კარგად ვარ. არ წამიყვანოთ, გემუდარებით!

(მაღალი და დაბალი კაცის საპირისპიროდ კაფანდარა, შეშინებული ბიჭი მოაბიჯებს).

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა ბ ი ჭ ი – ბიძია, ბიძია, მართალია სანაპიროზე ტანკები დგანანო?

დ ა ბ ა ლ ი კ ა ც ი – (თავმობეზრებული) წადი შვილო სახლში. ცხელი ჩაი დალიე და თბილ წყალში ჩაყავი ფეხები. შენი ცოდვა მიეცა (ტრიბუნისაკენ გაიშვირა ხელი) ამათ! რა შენი საქმეა რევოლუცია.

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა ბ ი ჭ ი – დედაჩემი უნდა მოსულიყო, რატომ დააგვიანდა. (ბუტბუტით გადით).

(მოშიმშილეთა ქორომ კულისებისაკენ მიიხედა. სცენაზე გიტარაგადაკიდებული, ფართხუნაშარვალბლუზიანი და დაჭმუჭვნილ-შლაპიანი, ლოთი მეგიტარე შემოდის. მოშიმშილეებმა იგი დიდის მოწიწებით ჩაისვეს შუაში. მეგიტარემ ამოიოხრა და ჩახრინწული (ოთარ რამიშვილის მსგავსი) ხმით დაიწყო სევდიანი სიმღერა. გიტარა კვნესის, სინათლის ჭავლი მოშიმშილეთა სახეებზე დადის. სიმღერაში ლაპარაკია მონობაზე, სიკვდილზე, თავისუფლების მაცოცხლებელ ნიავზე, რომელიც ყველაფერზე ძვირფასია.

მოშიმშილეთა აპლოდისმენტებში, რომელიც სრულიად დამსახურებულად ეკუთვნის მეგიტარეს, სანთლები აქა-იქ კვლავ აკიაფდნენ.

საოცარი დიდებულება შეიძინა სანთლების შუქზე მოშიმშილეთა ლაშქარმა. სურათები, ტრანსპარანტები, ლოზუნგები და, რაც მთავარია, მშვენიერი, გაწამებული, შეფუთული მოშიმშილენი გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენენ.

გ ა გ ა – ბატონებო, ჩვენი პარტიის მიერ ორგანიზებული აქციის – მასობრივი შიმშილობის მეშვიდე დღეა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ჩვენი აქცია მიმართული იყო ეროვნული ჩაგვრის, საქართველოს დემოგრაფიული დაპყრობის ავბედითი გეგმის, დემოკრატიული კონსტიტუციის ხელყოფისა და პიროვნების თავისუფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ.

დასამალი აღარავისთვის გახლავთ ის ფაქტი, რომ საქართველო ათეული წლების მანძილზე უნაპირო, მოუზომავი ინტერნაციონალიზმის საცდელ ბაზად და სუფრა-რესპუბლიკად გადაიქცა. ილია ჭავჭავაძის სამშობლოს თავზე მშვიდობიანი განადგურების შავი ღრუბელი გროვდება.

ჩვენს შიმშილობას დიდი ისტორიული და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, მეგობრებო. ამ საყოველთაო მარტვილობით ჩვენ მსოფლიოს მოვახსენეთ, რომ საქართველომ გაიღვიძა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მძიმე აბჯარს იზომებს ტანზე!

(ოვაციები, შეძახილები: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“).

ჩამოწვა სამარისებური სიჩუმე. სიჩუმე თითქმის მთელ წუთს გაგრძელდა. მაყურებელს თავისი გულისცემაც კი ესმის და უეცრად გაისმა ტემპიანი სიმღერა – „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს“ იწყება ეგზალტიური ცეკვა. ეს გახლავთ სიკვდილისწინა როკვის მსგავსი რამ. ყველანი ცეკვავენ. ცეკვა ისტერიაში გადადის. იცინიან და ცეკვავენ, ტირიან და ცეკვავენ. ცეკვავენ ნაძალადევი სილაღით. თითქოს ცეკვითაც კი პროტესტს აცხადებენ და უეცრად ისევ გაქვავდნენ ყველანი. ტანკების ღმუილი და ჯარისკაცთა მწყობრი ფეხის ხმა ისმის. ტანკების გრუხუნი თანდათან ახლოვდება და აი, იგი ზედ ყურისძირთან გაისმის. თითქოს, სადაცაა ტანკები სცენაზე შემოგრიალდებიან. მომიტინგეები, ვისაც რა მდგომარეობაშიც მოუსწრო ზაფრამ, ისე დგანან. შიშის და ძრწოლის ზარი რეკავს.

სცენის სიღრმიდან გამოდის 9 აპრილს მოკლული ქალიშვილი. სანთლის ფიგურებს გამოივლის. სცენის შუაში დგება და იწყებს:

მ ს ა ხ ი ო ბ ი – მე, მანანა გიორგის ასული კეკელიძე, მომკლეს 1989 წლის 9 აპრილს, განთიადისას.

რვაში დილით, დაახლოებით თერთმეტ საათზე, დავჯექი საშიმშილოდ.

ტანკებმა ადამიანთა სახელდახელო დერეფანში გაიარეს და დადგნენ. ტაში რომ ჩაცხრა, ფარმუზარადში ჩამჯდარი ჯარისკაცები ჩვენკენ შემობრუნდნენ. ვიღაცამ დაიძახა: „ჩაჯექითო“. ჩვენ, მოშიმშილენი, ისედაც ვისხედით, ეს იმათ ეხებოდა, ვინც ტანკები გაატარა და ჯარისკაცებთან ახლოს იდგა. წამით ჩამოწვა სამარისებური სიჩუმე. მიკროფონი გამოირთო. პროჟექტორები ჩააქრეს. მარტო სანთლები ბჟუტავდა აქა-იქ. წინა რიგებში ერთბაშად მუხლზე დაეშვნენ. ეგონათ, ალბათ, ჩამომჯდრებს არ შეგვეხებიანო. უეცრად ჰაერი სიმღერამ გაჰკვეთა. მარჯვნივ, ტრიბუნის ქვემოთ, ტაში დასცხეს და ცეკვა-თამაში გაიმართა. ჩემი გონებიდან არ ამოვა სიკვდილისწინა ცეკვა-სიმღერა. თითქოსდა განწირულთა როკვა იყო. ერთნი, ასფალტზე მჯდარნი, სანთლებით ხელში ჯარისკაცებისაკენ შებრუნებულიყვნენ, მეორენი გამეტებით ცეკვავდნენ და

მღეროდნენ; ვინ იცის, იქნებ სხვათა გასამხნევებლად, ან საკუთარი შიშის დასაძლევად. საშინელმა წინათგრძნობამ გული გამიწვრილა. სუნთქვა შევაჩერე და თვალები წამით დავხუჭე. რომ გავახილე, პირველად ჯარისკაცებს ვესროლე მზერა. ფარები გადაეყარათ და ოდენ ხელკეტებითა და საველე ნიჩბებმომარჯვებულნი იდგნენ ჩვენს წინაშე. სულო ცოდვილო, მომეჩვენა რომ ზოგი მათგანი კევსაც ღეჭავდა. პატარა, ურჩ ბიჭებს ჰგავდნენ, მოჭუტულ თვალებში მტაცებელი ფრინველის სიჯიუტე ედგათ. ომობანას თამაში ნამდვილ ჩხუბში რომ გადაიზრდება და ყმაწვილები ქორებივით რომ შეაჩერდებიან ერთმანეთს, სწორედ ისე იდგნენ.

„ღმერთო, ახლა რაღაც საშინელება მოხდებამეთქი“, ისევ წამართვა შიშმა თვალის სინათლე. ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ტალღურად მოკანკალე სიმღერა ღრიალ-კივილმა შეცვალა. ჩემს უკან მოშიმშილე ბიჭი წამოდგა და ყელის გახლეჩამდე დაიბღავლა – „არ ადგეთ!“

მოწოდებების და გონს მოსვლის დრო აღარ იყო. სიკვდილის ცელი ამოქმედდა. შიშისაგან წელი ვერ ავწიე. პირთავქვე დავემხე და თავზე ხელები დავიფარე. ფეხებზე და ზურგზე საშინელ ტკივილს ვგრძნობდი. უკან მომწყდარნი მუხლებითა და ხელებით ჩემს ზურგზე გადადიოდნენ. ვიღაცამ თმებში ჩამავლო ხელი და ზევით ერთმანეთში გადახლართულ, დარწეულ ხალხში გადამაგდო. „მარჯვნივ გაიქეცით!“ „ზემოდანაც ჩამოდიან!“ „დაჭრილები არ დატოვოთ!“ – ისმოდა ყვირილი, მაგრამ ვინ გაარკვევდა, საით იყო „მარჯვნივ ან მარცხნივ“, ან დაჭრილებს ვინ გამოარჩევდა. ყველას თავისი თავი

უჭირდა. რა გრძნობა იყო, იცით? რომ ყველანი ლაოკოონის გველებით ვართ გადაბმულნი ერთმანეთზე და წარღვნამ თავზე გადაგვიარა. განწირული ადამიანები ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. ვისაც როგორ ჩაავლეს ხელი, ისე ებღაუჭებოდნენ. საშინელება ყოფილა სიკვდილის შიში. გინდა როგორმე სხვას ხელი არ უშვა, რომ მარტო არ დარჩე და სხვამ თავს არ უშველოს. ორიოდე წუთში ხალხის დიდი გორგალი მარჯვნივ მიაწყდა და თითქოს ქვესკნელიდან ამოძვრნენო, ჩვენს თვალწინ ხელნიჩბიანი მკვლელები აღიმართნენ. ერთმანეთში არეულ ადამიანთა გროვას აცხრებოდნენ და გამეტებით სცემდნენ, სადაც კი მოუხვდებოდათ. სცემდნენ გაქცეულს, წაქცეულს, მოხუცს, ახალგაზრდას, ქალს, კაცს, ეს არ იყო წესრიგის დამყარებისაკენ მიმართული ცემა. ეს იყო რბევის, ხოცვის, ანგარიშის გასწორების აქცია.

სასწაული მოხდა; ფხოჭნა-ხრიალში ვიგრძენი, რომ ფეხიც და თმაც გავითავისუფლე. თითქოსდა მარტო დავრჩი. კატის სიმარდით შევვარდი მაღლა, გაზონებში და ის იყო ნარგავებს ჩაბღაუჭებულმა, გრილ მიწაში ჩავრგე თავი, რომ ზურგზე საშინელი დარტყმა ვიგრძენი. გონება არ დამიკარგავს, ვიღაცამ ცალ ფეხში მსტაცა ხელი და გრანიტის კიბეზე გამათრია. სამხედრო ჩექმას მოვკარი თვალი და ღონიერმა ხელმა პირაღმა ამომატრიალა. ჩექმებს შორის ვარ მოქცეული და ჯარისკაცის უტიფარ სახეს ვხედავ. დგას და მეჩვენება, რომ იღიმება კიდეც. შემაგინა და ჯერ წიხლი ამომარტყა ფერდებში, მერე სახეზე სურდა ფეხის დაბიჯება, მაგრამ გადაბრუნება მოვასწარი და პირველი ხუთი დარტყმა მახსოვს თავში, მერე ყურსა და ღაწვებზე

თბილი სისხლი ჩამომეღვარა და თვალებზე ბლანტი ბურუსი ჩამომაწვა, თითქოსდა, მეძინებოდა და ძილს მიშლიდნენ. თითქოსდა თავქვე მიმაქანებდა მდინარე და ჩემ თვალწინ სწორედ ის ნაპირი ირღვეოდა, სადაც ფეხი უნდა შემედგა, სადაც ხელგამოწვდილნი მელოდებოდნენ.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე კიბეზე. მახსოვს, თავი წამოვწიე და მკვდრებით სავსე მოედანს მოვავლე თუ არა მზერა, თითქოს მიდარაჯებდაო, კუს ბაკანივით მწვანე ჟილეტმორგებული ჩექმოსანი ჯალათი მომვარდა და მტკავლისსიგრძე მენზურით ცხვირში ჯოჯოხეთის შხამი შემომაფრქვია.

პირი გამიშრა, სუნთქვა შემიგუბდა.

ვგრძნობდი, როგორ მებერებოდა ფილტვები, ყელში ბურთივით მაწვებოდა რაღაც. სიცოცხლედ მიღირდა ერთი წვეთი წყალი, ერთი ამოსუნთქვა.

მიშველეთ-მეთქი, ეს ალბათ უკანასკნელი ყვირილი იყო.

სიონის ზარების რეკვამ გამომაღვიძა.

გარდაცვლილები იატაკზე ვესვენეთ და სულ ახლოს ანგელოზთა გალობა ისმოდა.

კარს მიღმა, ქუჩაში, ფარ-მუზარადიანი მკვლელები იდგნენ.

შიშმა შემიპყრო. მომეჩვენა, რომ ამ ღვთის სახლშიც არ მოგვასვენებდნენ, სიონში შემოცვივდებოდა სიკვდილის ლეგიონი და ხელმეორედ დაგვხოცავდა.

პანაშვიდზე მოსულთა გულისცემაც კი მესმოდა. ყველაფერს ვგრძნობდი, მაგრამ ტყვიასავით დამძიმებული სხეული არ მემორჩილებოდა.

მინდოდა მეყვირა, მაგრამ ყელსა და ფილტვებში დუღაბივით გამაგრებულიყო რაღაც და ხმის ამოღების საშუალებას არ მაძლევდა.

როგორ მინდოდა კუბოში ლამაზი ვყოფილიყავ, მაგრამ საუკუნის საწამლავით სუნთქვაშეკრული და ფილტვდახშული ჩემს თავსაც ვერ ვცნობდი.

რუსთაველის პროსპექტზე რომ გამატარეს, კინაღამ კუბოში წამოვჯექი ყვავილების ტბის სანახავად.

ზღაპრული იერი ჰქონდა ირგვლივ ყველაფერს.

ბოღმისაგან სულშეძრულ ხალხს ჩვენი სისხლი ყვავილით დაეფარა, რათა ვერასოდეს ვერავის მოერეცხა ცხრა აპრილის კვალი.

გვირგვინებიდან ჩემივე სურათი შემომცქეროდა.

დახრილი დროშებით იდგნენ შავი ნაჭრით თავწაკრული ჩემი ძმები და ქაშუეთის ზარი მათი ვერდაჩოქების სიმღერას კვნესოდა.

სინათლე ქრება. ცხრა აპრილის შემდეგი პერიოდის პანტომიმური სცენები. მიტინგები. მღელვარება. თანდათანობით იკვეთება ერთი ფიგურა – მიკროფონთან მდგარი ხელშემართული დიქტატორისა. მუსიკა მკაცრი – ციხის ასოციაციის გამომწვევი. სანთლის ფიგურებს შორის ისევ დააბიჯებს დაბნეული თანამდევი.

ავანსცენაზე გამოდის თანამდევი. ხელში ქაღალდი უჭირავს და კითხულობს:

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – სრულიად საიდუმლოდ

იმპერიის ყოფილი საიდუმლო სამსახურის ყოფილი აგენტის მოხსენებითი ბარათი:

თქვენო იმპერიით უმაღლესობავ!

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემმა წინადადებამ, შეგვექმნა იმპერიის დაშლის ილუზია, წარმატებით ჩაიარა. იმპერიის ყოფილ რესპუბლიკათაგან უმეტესობამ მართლა დაიჯერა, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელია. მაფიქრებს მხოლოდ ურჩი საქართველოს ბედი. მან არც „სნგ“-ს სატყუარას მოჰკიდა

პირი და არც მოსკოვის ადმინისტრაციულ სტრუქ-
ტურებში სურს დარჩენა.

პიროვნება, რომელსაც საქართველოს საბოლოო
მოსპობა და ქართველი ერის გაჟლეტა დაავალეთ, ამ
მიმართულებით სრულ უმოქმედობას იჩენს. პირიქ-
ით, უნდა გაუწყოთ, რომ მის ყოველ ნაბიჯს ღა-
ლატის სუნი ასდის. ჩავიდა თუ არა თბილისში, იმ
საათიდანვე დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი სძი-
ნავს, მაშინ როცა, უფრო მეტ ხანს უნდა სძინებოდა,
რათა გამოღვიძებული ქართველები კვლავ საღათას
ძილით დაეთრო და ძილში ამოეხადა სული. მკლავებ-
დაკაპიწებული აქეთ-იქით აწყდება, რომ ქვეყანა
შიმშილიდან ამოიყვანოს. ჯერ მსოფლიოს პრეზიდენ-
ტებს მიმართა, ეკონომიურად დაგვეხმარეთო, მერე
იყო და თავი მოიკლა, სანამ მსოფლიოს სავალუტო
ფონდში საქართველოს შეყვანას მიაღწევდა. დადის
სოფელ-სოფელ და ხალხს ეხვეწება, ხელი გამოიღეთ,
მიწა დაამუშავეთ, თავს უშველეთო. დასავლეთის
კაპიტალს უღებს ჭიშკარს და დახმარებას დახმარე-
ბაზე იღებს. ჩვენს გულზე გასახეთქად თბილისში
ამერიკის და გერმანიის საელჩოებიც კი გახსნა. თუ
ასე გაგრძელდა, საქართველოს მოშთობის გეგმა
ჩაგვეშლება და ორ წელიწადში ერის ლიკვიდაციის
ნაცვლად გაღონიერებული საქართველო შეგვრჩება
ხელთ. საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები.
ჩემს ღონისძიებებს შედეგი არ მოაქვს. ყოველდღიუ-
რად ქუჩაში დგანან ჩემი ერთგული აგენტები და შე-
ვარდნაძის მისამართით „იუდა, იუდას“ გაჰყვირიან,
მაგრამ ეს უკანასკნელი არავითარ ყურადღებას არ
აქცევს. რა ჰქნან მეტი, ბოლოს და ბოლოს ესენიც
დაიღალნენ, ქალები არიან (სუსტი სქესის წარმომად-
გენლები) მეტი არ შეუძლიათ.

მანდ, თქვენს კარზე, ვიღაცას უთქვამს, შევარდ-
ნაძემ იცის თავისი საქმე, მის საქციელში ეჭვს ნუ
შეიტანთ, უნდა ცოტა მოასუქოს, ჯანზე მოიყვანოს
ქართველები და მერე მოსპოსო. თვითონაც ქართვე-
ლია და არ სურს მიცვალებული თანამემამულეები
კუბოში მიხრწნილ-მიძვალტყავებულნი ჩანდნენო.
ნება მომეცით ამ თვალსაზრისს არ დავეთანხმო. ქარ-
თველების მოსპობა ახლაა იოლი, თორემ, მე ვიცი,
რას ნიშნავს ღონეზე მოსული ქართველები.

ასე რომ, ჩემი ღრმა რწმენით შევარდნაძე აშკარად
გვღალატობს და მის მიმართ დროულად უნდა მიმარ-
თოთ მოღალატისათვის გათვალისწინებულ იმპერი-
ულ ზომებს.

გთხოვთ ეს ბარათი მიღებისთანავე გაანადგუ-
როთ.

მერე იმპერიის სინათლე გაგას ანათებს. გაგა იწყებს:

გ ა გ ა – მეო, ხელოვანი ვარო.

ვიდექით, ქარში წვიმაში, ყინვაში, გვესროდნენ ქვ-
ასა და გუნდას, გვლანძღავდნენ, ასფალტზე თმებით
მიგვათრევდნენ, თხის არვესავით ჯოხით გვერეკე-
ბოდნენ. ჩამოგვივლიდა ფილიპე. აქ რას უდგეხართო
გვკითხავდა.

„მოდი ფილიპე, ჩადექი ჩვენ შორის, ხომ ხედავ,
რას სჩადის „კანონიერი ხელისუფლება“.

მეო, პოლიტიკაში არ ვერევიო, მეო, ხელოვანი
ვარო, ჩემი საქმე ხელოვნებაოო.

„კეთილი და პატიოსანი, თუ შენი საქმე ხელოვნებაა,
კეთილი ინებე და სწორედ ეს ამბავი დახატე, ეს აღ-
წერე, ეს ითამაშე, შენი ვალია შეუნახო კაცობრიობას,
რაც თავს დაგვატეხა „კანონიერმა ხელისუფლებამ“.

მეო, ხელოვანი ვაარო, მეო პოლიტიკა არ მაინ-ტერესებსო. მეო, ღმერთებთან ვსაუბრობო. რაკი მაგ დღეში ხართ, ეტყობა, უკეთესს არ იმსახურებთო.

ქუდი შეიბრუნა და სტვენით გაგვშორდა, იღლიაში რომელიღაცა საზღვარგარეთელი მოდერნისტის წიგნი ამოეჩარა. სტვენითაც სხვა ხალხის მელოდიას უსტვენდა.

ყური მოვკარით, დენთის სუნმა შეაწუხა და ცივ ქვეყნებში გაფრენას აპირებსო. აეროპორტამდე ვსდიეთ. ტრაპთან ძლივს მივუსწარით.

„ნუ წახვალ, ფილიპე, ახლა სწორედ აქა ხარ საჭირო. შენი ხმა შეგვაწიე, ერთად ვებრძოლოთ მოზღვავებულ უბედურებას“.

მეო, პოლიტიკაში არ ვერევიო, მეო, ხელოვანი ვაარო. ახლა საქართველოში ხელოვნების დრო არ არი და წყნარ ქვეყნებში მივფრინავო.

გაფრინდა.

დაგვტოვა ქარში, წვიმაში, ყინვაში. ხელისუფალნი გვესროდნენ ქვასა და გუნდას, გვლანძღავდნენ, ასფალტზე თმებით გვათრევდნენ, თხის არვესავით გვერეკებოდნენ.

მისი ლაბორატორია-დარბაზიდან სულ რაღაც ორმოციოდე მეტროში ქვეყანა იქცეოდა, ანგელოზის სულის მქონე კაცი თავს იწვავდა, ერის ისტორიის საშინელი დრამა თამაშდებოდა ქუჩაში. ათას წელიწადში ერთხელ რომ ხდება სწორედ ისეთი.

ფილიპე ამ დროს ოკეანის გაღმიდან ჭოგრიტ-ტელევიზორით უჭვრეტდა თავის ქვეყანას.

მეო, ხელოვანი ვაარო და მიტინგ-რიარია რა ჩემი საქმეაო.

ბოლოს მაინც დაბრუნდა.

ჩამოუარა ჩონჩხადქცეულ ქალაქს, ყური მიუგდო ბრძოლისაგან დაღლილ ადამიანთა გმინვა-გუგუნს და, როგორ ფიქრობთ, თავის ჩანგსა და მუზას იმ მღელვარე დღეთა აღწერა დაუსახა მიზნად?

თქვენც არ მომიკვდეთ. ზის თავის მღვიმეში და ფურცლავს საზღვრის იქიდან ჩამოყოლილი წიგნის ფურცლებს – სხვის მიერ სხვა დროზე და სხვა ტკივილზე დაწერილს.

მეო, პოლიტიკა არ მაინტერესებსო, მეო, ხელოვანი ვაარო.

სანთლის ფიგურები კვლავ ამოძრავდნენ. ჩანს, ისევ აირია ქვეყანა.

შემოდის გაკაპასებული ქალი, პრეზიდენტის მომხრე იმ ქალთაგანია, რომლებიც კარვებში ათენ-აღამებდნენ. თმის ვარცხნილობაც ძველმოდური. „რედიკულიანი“, ერთი სიტყვით, საშიში ქალი გამოდის სცენაზე და ჰყვება:

ქ ა ლ ი – გუშინ დასარბევთა სია რომ დაგვირიგეს, მე ქოჩლაძე და კაკაბაძე შემხვდა.

დილით გვირიგებენ გვარებსა და მისამართებსაც. პირდაპირ იქვე, კარვებთან მოაქვს კამისრის მდივან გოგოს. რა უნდა ვქნათ და უნდა მოვძებნოთ ჩვენ-ჩვენი „გვრიტი“, ავტეხოთ ლანძღვა-გინება, შევარცხვინოთ ხალხში. თუ საშუალება იქნა, კაბინეტშიც, შევუვარდეთ, მივუყარ-მოვუყაროთ, რაც მაგიდაზე უდევს, დავუხიოთ ქაღალდები, დავემუქროთ; რომ, თუ ჭკუას არ მოეგება, უარესს ვუზამთ. ესაა ჩვენი საქმე. რომ გითხრა, ადვილიამეთქი, არ ვიქნები მართალი. პირველად, სიმართლე გითხრა, გამიჭირდა. უშვერი სიტყვებიც ძნელად მეთქმევინებოდა. „შე ცუდო, შე დეგენერატოს“ მეტი

არაფერი ვიცოდი, ახლა ისე ვიგინები, რომ ბაზრის ბიჭი ვერ მაჯობებს.

იქნებოდა ასე დაახლოებით ორი საათი, ქოჩლაძეებიდან მობრუნებული (არ დამხვდა სამსახურში, იმალება. უცნობი ქალი გეძებდაო, რომ ეუბნებიან, თურმე, გულყრა ეწყება) რუსთაველზე მოვდიოდი. ერთ საათს კარავში წავისვენებ და კაკაბაძესთან ავალ-მეთქი; ასე მქონდა გადაწყვეტილი. ერთიც ვნახოთ, მანველიძე გამოვიდა წიგნის მაღაზიიდან და ოპერის წინ რომ გასასვლელია, იქ ჩასვლას აპირებს. მანველიძე ჩემს სიაში არ იყო, მაგრამ ასეთ შემთხვევას როგორ გავუშვებდი. ხომ ვიცი, „მტერია“, რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაუფეთებს ანგელოზებს.

ბატონო მანველიძე, თქვენთან თუ შეიძლება, ერთი შეკითხვა მაქვს-მეთქი, წინ გადავუდექ.

გისმენთ, ვისთან მაქვს საუბრის პატივიო.

მოქალაქე ვარ, დედა ვარ-მეთქი.

ბრძანეთ, ბატონოვო.

როდიდან გახდით ასეთი მოკრძალებული და კეთილი-მეთქი.

ვერ გავიგე, რას მეუბნებითო, წასვლა დააპირა.

ჩავაფრინდი საყელოში.

შე გათახსირებულო, რა გინდა რომ შეჭამე ის კაცი, ხომ იცი, მის ფრჩხილადაც არ ღირხარ, შე დამპალო-მეთქი.

გაიწია. არ ვუშვებ ხელს.

სარკეში რატომ არ იხედები, შე სულით და ხორცით მახინჯო, ვის ედრები, რას იჭაჭები, იმას შენოდენა ჭკუა ნეკა თითში აქვს-მეთქი!

ვეუბნები ამნაირ, მაგარ-მაგარ სიტყვებს, გაფითრდა, გაყვითლდა, რაღაცას ჩიფჩიფებს, მოგროვდა ხალხი.

რა გნებავთ, ქალბატონო, რაშია საქმეო, ახლოს მოსვლას ვერავინ ბედავს. მხედავენ, გაცეცხლებული ვარ.

ზოგი აშკარად გამოექომაგა.

გაუშვი ხელი, როგორ ბედავ, ქალბატონო, ეგ ხომ მანველიძეაო.

მანველიძე კი არა, ინტრიგანი და ოხერია. რას ერჩის ჩვენს პრეზიდენტს, ეგ ბანდიტი. აგერ, ახლა, წყნარად ვლაპარაკობდი, რაღაც უნდა მეკითხა და დედა შემაგინა-მეთქი. გავუშვი ხელი და ერთი-ორი პანღური ვუთავაზე.

უკან არ მოუხედავს, ტყაპატყუპით ჩაირბინა კიბეები.

მოვდივარ კარვებისკენ გულმოოხებული, ვალმოხდილი. ეს ერთი კარგი საქმე ხომ გავაკეთე.

ჩემი საქმე პატარაა, მაგრამ როგორც გვეუბნებიან, საჭირო და სასარგებლო. ამით, თურმე, ძალიან ვეხმარებით საქართველოს გათავისუფლების საქმეს.

რას ვაკეთებდი აქამდე, შე ქალო. რაც გავთხოვდი, სახლიდან ფეხი არ გამიდგამს. ბავშვები, ქმარი, ბაზარი, სამზარეულო... სხვა არაფერი ვიცოდი.

მითხრა ერთი-ორჯერ წამოდი სახლში, გეყოფა აწი, სარეცხია, საკეთებელია, მომკლა მაღაზიებში წანწალმაო. წავუყრუე. რომ გამიმეორა; მე აქ დროის სატარებლად როდი ვარ, საქვეყნო საქმეს ვემსახურები-მეთქი.

თავი ჩაღუნა, ხმა არ გაუღია, შეგნებული ქმარი მყავს, რაც მართალია, მართალია.

ამთავრებს ქალი. კვლავ ამოძრავდნენ სანთლის ფიგურები. აქეთ-იქით აწყდებიან. მიწისძვრისწინა, წარღვნისწინა წუთებია

– ბაბილონის გოდოლივით ერთმანეთში ირევა ხმები. ადამიანები თავზე ხელებს იფარებენ. გაზეთებს, ზოგს „კასკა“ ახურავს. განგაშის მსგავსი მუსიკა. ერთბაშად წამოიმართნენ და წინ წამოვიდნენ და სწორედ ამ დროს, უკან, სცენის სიღრმეში ინათა, გაისმა ქუხილი და ერთბაშად ჩამოიქცა ქალაქი.

სანთლის ფიგურები ერთბაშად შებრუნდნენ. ადამიანთა წინ ჩონჩხადქცეული ქალაქი ჩანს. მწუხარე რექვიემი. თეთრმოსასხამიანი თანამდევი ისევ გაქვავებულ ადამიანთა შორის დადის. მერე, კარგა ხნის შემდეგ, ავანსცენაზე გამოდის და მაყურებლის პირისპირ დგება.

თ ა ნ ა მ დ ე ვ ი – რა მოხდა?!

ფ ა რ დ ა

გუშინ, დღეს, ხვალ

სამსურათიანი პიესა

მოქმედი პირნი:

სტალინი
უცნობი
რეზო სალუქვაძე
ლოპე
ბონდო შარია
მაყვალა
პეტია
აგრაფინა
სტუდენტი
კოკო
პავლე კვერნაძე
ჟურნალისტი ქალიშვილი
ზებრისსვიტრა ჟურნალისტი
რადიოჟურნალისტი
რობოტი

პირველი სურათი

(სცენის შუაგულში, ავანსცენაზე, მაღლა, ტრანსპარანტი ჰკიდია წარწერით – „გუშინ“. სტალინის კაბინეტი საიქიოში. ცისფერ ციაგს თანდათან ყვითელი ფერი ერევა. ისმის ანგელოზთა გალობა. მაგიდას სტალინი უზის. ჩიბუხი გააწყო. გააბოლა, ფანჯარასთან მივიდა. კარი სამოქალაქოტანსაცმლიანმა, ხელჩანთიანმა უცნობმა შემოაღო. თამამად, უცერემონიოდ ეკითხება მასპინძელს).

უ ც ნ ო ბ ი – თქვენ, მეშვიდე კოტეჯი საითაა?!

(სტალინი შემობრუნდა, უცნობმა იცნო იგი და შეცბა).

– მაპატიეთ, ამხანაგო სტალინ, არ გელოდით: მყუდროება დაგირღვიეთ.

ს ტ ა ლ ი ნ ი – არა უშავს, თქვენ აქ საიდან გაჩნდით?

უ ც ნ ო ბ ი – დღეს დამასაფლავეს. ღამის მატარებელს ჩამოვყევი. მეშვიდე კოტეჯში გამომანაწილეს. ადგილი განთავისუფლდა. რომელიღაც მარშალი კომისიას ჯოჯოხეთში გაუგზანია... რა ბედნიერებაა!

ს ტ ა ლ ი ნ ი – რა მოგახსენოთ, საერთოდ, აქეთ ყველგან ერთნაირი პირობებია.

უ ც ნ ო ბ ი – პირობები, კი, რასაკვირველია, მაგრამ ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვისთან იმეზობლებ, ვის შეხედავ და მიესალმები ყოველდღე.

ს ტ ა ლ ი ნ ი (მაგიდას შემოუარა. თეთრი, დაწნული სკამი დაუდგა სტუმარს) – დაბრძანდით... რა ხდება იქ, ზევით?

უ ც ნ ო ბ ი (დაჯდა) – წელში გამართული ზის. უხერხულობისაგან ვერ გათავისუფლდა, – მშვიდობაა.

ს ტ ა ლ ი ნ ი – მლანძღავენ?

უ ც ნ ო ბ ი (განზე გაიხედა) – საკმაოდ.

ს ტ ა ლ ი ნ ი – როგორ გავიგო, „საკმაოდ?!“

უ ც ნ ო ბ ი – ისე ენერგიულად გლანძღავენ გაზეთებში, რომ პირადად ჩემს აზრს მოგახსენებთ, მოსაწყენიც კი გახდა თქვენი კრიტიკის კითხვა და მოსმენა.

ს ტ ა ლ ი ნ ი – ეგ რომ თქვენი პირადი აზრი არ იყოს, მეწყინებოდა. რაკი გაშლილი ფრონტით მლანძღავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრს ვაინტერესებ, ვახსოვარ, ანგარიშს მიწევენ. მე კარგა ხნის მკვდარი ვარ იმისთვის, რომ დღეს ასე გულიანად მიგონებდნენ. ასე რომ, რაც უფრო გვიან მოსწყინდებათ ჩემი გაკრიტიკება, მით უკეთესია.

(სტუმარმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა სტალინი და ეს ვერგაგება სახეზე აშკარად შეეტყო).

უ ც ნ ო ბ ი – თითქოს ერთბაშად გაახსენდით. თავს გესხმიან, როგორც სახელმწიფო დამნაშავეს, რომელიც სიცოცხლეში გაუსხლტათ ხელიდან და სათანადოდ ვერ შეაჩვენეს.

ს ტ ა ლ ი ნ ი – იქნებ მართალნიც არიან. ჩემი შეცდომების ქარავანს ჩემზე უკეთ არავინ იცნობს. რატომ შეიძლებოდა შეუმცდარი ვყოფილიყავ, რაო, მე – გორელი მეჩექმის შვილი, ბურბონების სახლში ვეზიარე პოლიტიკურ დელიკატურობას თუ, დუნედ, თვითდინებით მცხოვრები სახელმწიფოს სათავეში მომიწია ყოფნამ? მე რომ ისტორიის საჭესთან დავდექი, წინ მხოლოდ მრუმე ბურუსი და საშიში ფიორდები ჩანდა, მეტი არაფერი.

უ ც ნ ო ბ ი – საქმე ის არის, რომ სოციალიზმის ცუდად აშენებას და მთელ რიგ ეკონომიკურ-პოლიტიკურ წარუმატებლობებს თქვენ გაბრალებენ.

ს ტ ა ლ ი ნ ი – გასაგებია, სწორედ ეგ არის მიზეზი, სისტემაში ჩადებული უხერხულობანი ვიღაცით უნდა ახსნან. ვიღაცას უნდა დააბრალონ, სწორადაც იქცევიან, იქნებ ჩემი ხაზის უარყოფით, ახალ, უკეთეს გზას ეწიონ.

უ ც ნ ო ბ ი – მაგრამ თქვენ ხომ ოცდათხუთმეტი წლის წინათ გარდაიცვალეთ.

ს ტ ა ლ ი ნ ი – ჰო, ეგ კი ქმნის, ცოტა არ იყოს, წინააღმდეგობას გაუკულმართებული სოციალიზმის ჩემთვის გადმობრალებაში. დიდი დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ თუ რაიმეს გამომსწორებლები იყვნენ, გამოესწორებინათ. ჩემს „მემკვიდრეებს“ როგორ იხსენიებენ?

უ ც ნ ო ბ ი – არც იმათ ადგათ კარგი დღე. განსაკუთრებით ნიკიტას და ლიონიას სდებენ ბრალს პოლიტიკურ სიბეცესა და ეკონომიკურ უმეცრობაში, მაგრამ ისინი ჩვეულებრივი მოკვდავნი იყვნენ და განსაკუთრებულ პასუხს თქვენ გთხოვენ. ნუთუ თქვენ, გენიოსმა, ვერ იგრძენით?

ს ტ ა ლ ი ნ ი – რა?

უ ც ნ ო ბ ი – რომ საზოგადოებრივი საკუთრების თეორია ქიმერა იყო და ის, რაც ადამიანში ათასობით წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, ასე ხელისდაკვრით არ აღმოიფხვრებოდა?

ს ტ ა ლ ი ნ ი – ვიგრძენი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩვენ ღრმად და ღონივრად მივტოპავდით ისტორიაში. ვიფიქრე, მუშტით და მახვილით გავამაგრებ-მეთქი სახელმწიფოს. ეგ იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა.

უ ც ნ ო ბ ი – მაგრამ მსოფლიო ხომ ხედავდა, რომ სახელმწიფო, რომელსაც კონსტიტუციაში დემოკრატიის აყვავება და ადამიანის უფლებათა იდეალური ჰარმონია ეწერა, თანდათანობით დესპოტურ სახელმწიფოდ იქცა და დიდ საპყრობილეს დაემსგავსა.

ს ტ ა ლ ი ნ ი – მაშინ მსოფლიოს დასანახავად თავის გალამაზება მოდაში არ იყო. მთავარ პრობლემას ერთ

ბანაკად შეკვრა და მტერ-მოყვარისთვის პასუხ-
ის გაცემა წარმოადგენდა. მაინც რას წერენ, რაო,
კონკრეტულად?

უ ც ნ ო ბ ი – შემთხვევით მოხვდა სახელმწიფოს სათავეშიო.

ს ტ ა ლ ი ნ ი – მაინც რა შემთხვევა იყოვო? მკითხავები დაე-
ხმარნენ, თუ ლოტოს თამაშის დროს იღბლიანი კოჭი
შეხვდაო? იქნებ დავმალე ლენინის ანდერძი? იქნებ
თავს მოვახვიე ჩემი კანდიდატურა?

უ ც ნ ო ბ ი – უფრო შემდგომ პერიოდებს გედავებიან.
განუზომელი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და თა-
ვის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ანგარიში გაუს-
წორაო.

(სტალინი წამოდგა. გაიარ-გამოიარა. აივნის ბოძს მიეყრდნო
და კარგა ხანს ნაზარეველის ცისფრად განათებულ მთას შესც-
ქეროდა. მერე თითქოს გაახსენდა, რომ სტუმარი ჰყავდა, სწრაფად
შემობრუნდა და გაბზარული ხმით თქვა):

ს ტ ა ლ ი ნ ი – იცით, მე რევოლუციონერი ვარ და როცა
თბილისის დეპოს მუშებს ხელისუფლების წინააღმდეგ
ვამხედრებდი, ფარღალალა, მიტოვებულ ქოხმახებში
ღამეს ვათევდი, ან ბაქოს მატარებლის სახურავზე
უბილეთო მგზავრი სიცივით ვითოშებოდი, ვერც კი
წარმოვიდგენდი, ყველაზე ლაღი ოცნების დროსაც
ვერ გავივლებდი თავში, რომ ოდესმე მსოფლიოში
უზარმაზარი სახელმწიფოს გაძღოლა მომიწევდა,
გჯერათ თუ არა ჩემი?

უ ც ნ ო ბ ი – დიახ.

ს ტ ა ლ ი ნ ი – არც ფსიქოლოგიურად ვიყავი მზად ამისათ-
ვის და, როგორც მოგახსენეთ, არც წინაპრულ-ოჯახ-
ური ტრადიცია მიწყობდა ხელს. ახლა განსჯა-შე-
ფასება ადვილია. გეცოდინებათ, რომ ძალაუფლების
ხელში აღების პირველი დღიდანვე მოუღერა ლენინს

მუშტი ყველა ჯურის მტერმა. მე ცერბერივით ვდა-
რაჯობდი რევოლუციის მონაპოვარს, რუსეთის ხან
ერთ კუთხეში ვაქრობდი ცეცხლს, ხან მეორეში. წავ-
იდა ლენინი და ქვეყანამ მე მარგუნა მისი ტახტი.
დაფიქრდით კარგად, მე – იოსებ სტალინს, როცა
მივიხედ-მოვიხედე ჩემ ირგვლივ, ლენინის შედგე-
ნილ კაბინეტში ყველა როდი იყო ისეთი, საბჭოთა
ხელისუფლების შაშხანით დაცვას რომ იკისრებდა.
რატომ გამორიცხავთ იმის შესაძლებლობასაც, რომ
პოლიტიკურ ბრძოლებში გამობრძმედილ, ბლანჟე-
პენსნეებიან მარქსისტ-თეორეტიკოსთაგან ბევრს იმ-
თავითვე არ ეპიტნავა ულვაშიანი კაცის აღზევება.
სანამ მათ გვერდით ვიბრძოდი და იუმორიანი, აქ-
ცენტიანი, საერთო საქმის ერთგული კობა გახლდით,
ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ პირველ კაცად არჩე-
ვის მეორე დღესვე რა უბრალო, დემოკრატიული
იერიც უნდა მიმეღო, მათ თვალებში აუცილებლად
გაკრთებოდა შიგადაშიგ ეჭვისა და უნდობლობის ნა-
პერწკალი. ესეც გჯერათ თუ არა?

უ ც ნ ო ბ ი – დავუშვათ.

ს ტ ა ლ ი ნ ი – ძალიან გთხოვთ, ნურაფერს „დაუშვებთ“,
ფიქრი და ეჭვი მიაყოლეთ ჩემ ნათქვამს და სადაც არ
დამეთანხმებით, პირდაპირ მითხარით. ჩემს ცხოვრე-
ბაში იყო პერიოდები, როცა ჩემი სურვილის საწი-
ნააღმდეგოდ აღარ მეკამათებოდნენ. შეიძლება იმ
წლებმა დაღი დაასვეს ჩემ საუბარს და კატეგორი-
ული გავხდი, ამიტომ მაპატიეთ.

უ ც ნ ო ბ ი – სწორედ ამ კატეგორიულობას გიკრიტიკებენ
ახლა და იმასაც ამბობენ, განდიდების მანიით დაა-
ვადდაო.

ს ტ ა ლ ი ნ ი – ეგ ცალკე საუბრის თემაა, რომ არ დამავი-
წყდეს, ახლავე გეტყვით: ვერ მომიძებნით ვერც ერთ

ფრაზას, ჩემს დამსახურებებს რომ ხაზს ვუსვამდე. სამაგიეროდ, ბევრს იპოვით ჩემს ცხოვრებაში იმის მაგალითს, რომ ჩემი მაღალი რანგის კოლეგებიც გამიკიცხავს უადგილო ქება-დიდებისათვის. თუ ჩემი ქება-დიდების წინააღმდეგ მიმართულ ჩემს ღონისძიებებს გაიხსენებენ, მე მგონი, არ უნდა დამდონ ბრალი ჩემი განდიდებისთვის ხელშეწყობაში. საერთოდ კი, თუნდაც განუზომელი ქებისთვის ჯერ არავინ დაუსჯიათ. საოცარი ამბავია: სიცოცხლეში ჩემი ქება ბევრმა პროფესიად გაიხადა და ზოგი ახლაც კარგ პურს ჭამს ჩემი ძაგებით. დამერწმუნეთ, როგორც პირველნი, ისე მეორენიც, ხელმოცარულ ადამიანებად მიმაჩნდა ყოველთვის და სერიოზულ ლიტერატორებად არასოდეს ჩამითვლია. გაბელადება-გაღმერთების ნიაღვარს რომ ვერ მოვერიე, ჩემი ბრალია? თუ იხსენებენ, ნიადაგ ლენინის მოწაფედ რომ ვაცხადებდი თავს, ან საერთოდ, რაც მე ლენინის პატივსაცემად გავაკეთე, თუ რომელიმე პოლიტიკურმა მემკვიდრემ გაუკეთა თავის წინამორბედს?

უ ც ნ ო ბ ი – აქამდე ეგ, ლენინთან ურთიერთობა, ერთადერთი სფეროა, სადაც კრიმინალი ვერ მოგიძებნეს, მაგრამ ამ ბოლო დროს მაინც გამოჩხრიკეს რამდენიმე საბუთი ლენინთან თქვენი უთანხმოების; კრუპსკაიას ინციდენტის, საქართველოს ავტონომიის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის შესახებ.

ს ტ ა ლ ი ნ ი – შეხედულებათა სხვადასხვაობა მე ყოველთვის ბუნებრივად მიმაჩნდა. ნურც იმას გამორიცხავთ, რომ ლენინი სიცოცხლის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მძიმე ავადმყოფი იყო, გეცოდინებათ, რას ნიშნავს ფიზიკურ-ემოციური ტრავმებისგან გამოწვეული ნერვოზული მდგომარეობა, პერიოდული ფსიქიკური განგაშის მოვლენები. მგონი,

თემას გადავუხვიეთ, მაგრამ აქვე უნდა გითხრათ, რომ პოლიტბიუროში რევოლვერით არასოდეს შევსულვარ და ჩემს პლეადას პირველკაცობისთვის ისე ბანდიტური მეთოდით არ უბრძოლია, ხრუშჩოვმა და ბრეჟნევმა რომ იბრძოლეს.

უ ც ნ ო ბ ი – ძალიან მშვიდი პოლიტიკური აქციები ხომ არ იყო ტროცკიზმის განადგურება, ან ოცდაჩვიდმეტი წელი?

ს ტ ა ლ ი ნ ი – ოცდაჩვიდმეტის გახსენება, მართლაც, რომ შემაძრწუნებელია. არ გეგონოთ, რომ იმას, რასაც ახლა გეტყვით, თავის მართლების მიზნით ვამბობდე. თუ იმდროინდელი გაზეთები გადაგითვალიერებიათ, გეცოდინებათ, რომ პირველმა მე მივეცი უარყოფითი შეფასება ოცდაჩვიდმეტის რეპრესიებს და განკარგულება გავეცი, მკაცრად მოეკითხათ უდანაშაულო ადამიანების ამწიოკებლებისთვის. თქვენ მართალი ხართ, ბევრი უბრალო მოჰყვა მრუდედ ნაქსოვ ბადეში, მაგრამ მე ვარ, ან მარტო მე ვარ დამნაშავე? თქვენ ერთი წუთით მაინც უშვებთ, რომ მე ვიტყოდი: რაც შეიძლება მეტი უდანაშაულო და ნიჭიერი კაცი დასაჯეთ-მეთქი? სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ისეთი გულქვა როგორ ვიქნებოდი, საკუთარი ცოლისძმა ამომეღო გულიდან?

აი, რა მოხდა ოცდაჩვიდმეტში: ოცდაათიანი წლებიდანვე აშკარად შემომიტიეს განაწყენებულმა პირებმა. განაწყენებას ორი მიზეზი ჰქონდა: პოზიციათა სხვადასხვაობა სოციალიზმის მნიშვნელობის მთელ რიგ საკითხებში და ვერმოთმენა იმისა, რომ სახელმწიფოს პირველ კაცად მე ვითვლებოდი. თითქმის ყოველ პლენუმზე ობსტრუქციას მიწყობდნენ და რაკი თავისუფალ დისკუსიაში ვერ მაჯობეს, აშკარად გადაწყვიტეს ჩემი გადაყენება. პოლიტბიუროს ერთი სხდომის ორ-

განიზება-შეთქმულება და ჩემი ბურდღა არ იქნებოდა მეორე დღეს. განა არ მახსოვდა, რა მანქანებით წავართვით ჩვენ ძალაუფლება დროებით მთავრობას? ისტორიიდან სამარცხვინოდ წასვლა რომ არ მენდომებოდა, გასაკვირია? ვცდილობდი, გული გამემაგრებინა, მაგრამ ჩემს თავზე (და მარტო ჩემს თავზე კი არა, ჩემი თანამოაზრეების თავზეც) შავი ღრუბელი გროვდებოდა. ვიგრძენი ეს და ზომები მივიღე. ბუხარინს და მის კომპანიას რომ დაესწროთ, ჩვენც ისეთივე ბედი გველოდა. რას იზამ, პოლიტიკური ბრძოლაა. შეთქმულთათვის თავზე ხელი არავის დაუსვამს.

უ ც ნ ო ბ ი – ვთქვათ, ეგ ოპერაცია ჩატარდა თქვენი პოზიციის გასამაგრებლად, მაგრამ საერთოდ ოცდაჩვიდმეტი წლის გრანდიოზული მასშტაბები რა შუაში იყო.

ს ტ ა ლ ი ნ ი – ოპოზიციას მომხრეებიც ჰყავდა. ისინი ფაქტობრივად თავის გარეშე იყვნენ დრჩენილნი, მაგრამ იმედს არ კარგავდნენ. ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ოცდაჩვიდმეტში დასჯილთაგან თუნდაც ათი პროცენტი მაინც არ იყო შეთქმული პოლიტბიუროს ბოლშევიკური ხაზის წინააღმდეგ? მოდი და გამოარჩიე ორასმილიონიან კაცში ის ათი პროცენტი, ვინც მოახლოებულ ომში თოფს მტრის ნაცვლად შენ შემოგიბრუნებს, ამიტომ ჩემს ნათქვამს, „ხალხის მტრების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს“-მეთქი, მოჰყვა საშიში ტალღები, ანგარიშსწორების ტრიუმფი დაიწყო, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჯგუფები, კარიერისტული ჯოგები, პროფესიონალური მოქიშპენი, ადამიანთმოძულე მოსამართლენი. ამგვარი დაპირისპირებული პოზიციები საზოგადოებაში ყოველთვის არსებობენ, ჩიტისთვის ხელის დაქნევის ანდაზისა არ იყოს, პირველი, თუნდაც სუსტი ბიძგისთანავე იწყებენ ისინი საშიშ აქარიშხლებას. ოცდაჩვიდმეტშიც ასე მოხდა.

უ ც ნ ო ბ ი – თქვენ უკანონობათა შესახებ არაფერი იცოდით?

ს ტ ა ლ ი ნ ი – ვისი განცხადებაც მომწვდა, საკმარისი იყო, ოდნავ მაინც დავრწმუნებულიყავ სიმართლეში და ჩემი რეზოლუციებით ასობით პოლიტიკური პატიმარი თავისუფლდებოდა საპატიმროდან. ერთი მხრივ მიხარია, რომ ასე დიდი წარმოდგენა გაქვთ ჩემზე, მეორე მხრივ, მიკვირს, რატომ არ შეიძლებოდა ჩემი მოტყუება? საიდან გაჩნდა რწმენა ჩემი შეუმცდარობის შესახებ? მომიტანეს ტუხაჩევსკის და სხვა თანამდებობის პირთა დაკითხვის ოქმები და საბრალდებო დასკვნები. საქმეები გაიძვერა გამომძიებლებს გარეგნულად მშვენივრად ჰქონდათ გაფორმებული. ტუხაჩევსკი და ასობით სხვანი (მათ შორის ჩემი საიმედო ციურუპაც) თეთრზე შავით აღიარებდნენ, რომ იმპერიალიზმის დაქირავებული ჯაშუშები იყვნენ და საბჭოთა წყობილების დამხობაში ენერგიულად მონაწილეობდნენ. რა მექნა? თქვენ რას იზამდით ჩემს ადგილზე? სახელმწიფოს თავს შეუძლია, უთხრას მართლმსაჯულებას: ეს ხუთი „მტერი“ გამითავისუფლე და ეს შვიდი „მტერი“ დასაჯეო?

უ ც ნ ო ბ ი – გააჩნია, რა მეთოდებით ხდებოდა იმ „აღიარებათა“ მიღწევა.

ს ტ ა ლ ი ნ ი – მე ვინ მიჩვენებდა იმ მეთოდებს? მე რა დაკითხვებს ვესწრებოდი, თუ პატიმართა საკნებში დავაბიჯებდი? რაც ციხის ჯურღმულებში ხდებოდა, იმათ კისერზე იყოს, ვისაც ციხის სამსახური ებარა. ისიც ხომ გაირკვევა, რომ არაერთი სამხედრო, თუ სამოქალაქო პასუხისმგებელი პირის ჯაშუშობა გერმანელთა დივერსიის ნაყოფი იყო და გესტაპოს შემოგზავნილ საბუთებს ბრმად ენდნენ ეჟოვი და იაგოდა. ეს პროვოკციაც მე უნდა მცოდნოდა?

უ ც ნ ო ბ ი – ომმა ამდენი ადამიანი რომ იმსხვერპლა, ესეც

სტალინის წინდაუხედაობის ბრალიაო, ცოცხალ ძალას ძალიან ხელგაშლილად ხარჯავდაო.

ს ტ ა ლ ი ნ ი – აქაც ჩქარობენ ამხანაგი ჟურნალისტები. ომში ჩემი გარჯის შემფასებლად ომის სპეციალოისტები, მხედართმთავრები, იმ დროს ჩემ ირგვლივ მოფუსფუსე სამხედრო სპეციალისტები ხომ არიან ცოტათი მაინც უფრო კომპეტენტურები, ვიდრე ისინი, ვინც უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელს არ გაშორებია, ჯიბეში ჟურნალისტის დიპლომი უდევს და ომი მხოლოდ კინოში უნახავს?

უ ც ნ ო ბ ი – ისინი თავის აზრს წერენ.

ს ტ ა ლ ი ნ ი – ოღონდაც, მეც მანდა ვარ. ოღონდ ქუდი რომ მექუდემ უნდა შეკეროს, ეს ანდაზა ჯერ არავის გადაუგდია და „თავის აზრს“ ხომ უნდა უფრო გულისყურიანი შემოწმება? თავისი მასშტაბებით მსოფლიოში ყველაზე დიდი ომის მოგება, როცა საბჭოთა კავშირს ლამის კბილებამდე შეიარაღებული მთელი ევროპა ებრძოდა, ლახტის თამაშად ხომ არ გეჩვენებათ? ან, იქნებ ისინი გგონიათ უგუნური და გულუბრყვილო პოლიტიკოსები, ვინც ისტორიამ ჩემ პირისპირ დააყენა? იცით თუ არა თქვენ, რომ მსოფლიოს დიპლომატიურ სკოლებში ჩერჩილის და რუზველტის შრომებს სახელმძღვანელოდ, ქრესტომათიად ასწავლიან?

უ ც ნ ო ბ ი – ომისთვის სათანადოდ არ მოემზადაო.

ს ტ ა ლ ი ნ ი – გადახედეთ პოლიტბიუროს და სამხედრო მთავარბანაკის სხდომის ოქმებს და დარწმუნდებით, რომ მოახლოებული ომისთვის მზადება ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დავიწყე. რაც შეეხება ჩემსავე ნათქვამს, „ჰიტლერი მოულოდნელად, მუხანათურად დაგვესხა-მეთქი“, ბავშვიც კი მიხვდება, რომ ეს ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვის, მტრისადმი ზიზღის გამოსაწვევად დამჭირდა, და საერთოდ, ჰიტლერი მართლა ისეთი ხომ არ გგონიათ, კინოებში რომ უჩვენებენ – სისხლისმსმელს, ადამიანის ხორცის მჭამელს და დუჟმორეულს? ჰიტლერი დამთხვეული სრულიადაც არ გახლდათ. მკვირცხლი გონების, უაღრესად ნიჭიერი, ფენომენალური მეხსიერების ავანტიურისტი იყო. ხორცს საერთოდ არ მიირთმევდა, ვეგეტარიანელი გახლდათ.

უ ც ნ ო ბ ი – არავის ენდობოდაო, ყველას ეჭვის თვალით უცქეროდაო, სიცოცხლის ბოლო წლები ლამის მარტოხელამ გაატარაო.

ს ტ ა ლ ი ნ ი – ჰო, ალბათ, პირად ცხოვრებაში უბედური კაცი ვიყავი, მაგრამ მე პირადი ცხოვრება თითქმის არ მქონია. სიბერეში რომ შევდიოდი, მუხლებში ძალა მელეოდა და უფრო და უფრო მღრღნიდა აზრი, რომ პეტრე პირველის ტახტზე ოცდაანლიან „პარპაშს“ შოვინისტები არ მაპატიებდნენ. ვიცოდი, რა დღეც მელოდა საქართველოდან ჩემი პოლიტიკური ხაზის გასამაგრებლად და პირდაპირ რომ გითხრათ, ჩემს მცველად გაწვეულ ბერიასაც კი ვატყობდი თვალებში, რომ „ხაზეინის“ გუშაგის როლი აღარ აკმაყოფილებდა. არ მინდოდა ჩემს მოწაფეებს და თანამებრძოლებს ბებერი, მიხრწნილი, დაძაბუნებული ვენახეთ (როგორიც ჩემი მეზობელი ბრეჟნევი იყო ბოლო წლებში), ამიტომაც განვმარტოვდი და მარტო შევხვდი სიკვდილს. ყველაზე დიდი სიყვარულით გარემოცული ადამიანებიც კი სიკვდილის პირისპირ ბოლოს მარტონი რჩებიან. ენაჭარტალა კაცს ყველაფრის უკუღმა შებრუნება შეუძლია. ენას ძვალი არა აქვს. მაგალითად, ომს და ქვეყანას ჩემი იაკობი დაღუპულ მილიონთა მშობლების სოლიდარობის ნიშ-

ნად შევწირე, ზოგმა ეს ნაბიჯი გულქვა მამის ახირებად შეიძლება ჩამითვალოს.

უ ც ნ ო ბ ი – იცით თუ არა თქვენ, რომ ახლა, როდესაც იქ, ზემოთ, ქვეყნის განახლების ზარს დაჰკრეს და დემოკრატიის ალამი ააფრიალეს, ადამიანებმა ვერა და ვერ მოირგეს გარდაქმნის სიკეთე. რომ ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა ქვეყანა თქვენ მიერ დაკანონებული იმპერიული სტილისაგან. ჯერ ვერც თავისუფალი არჩევნები ვისწავლეთ და სიმართლის თქმას მხოლოდ გუშინდელ დღეზე ვახერხებთ?

ს ტ ა ლ ი ნ ი – ჩემს დისციპლინარულ სტილს ხრუშჩოვმა და ბრეჟნევმა შეუტიეს, მაგრამ რა გამოვიდა? დემოკრატიულობანას მათებური თამაში უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის „ჭკუის სწავლებით“ დაგვირგვინდა, სოციალისტურ ბანაკს უგუნური პოლიტიკით ლამის ისეთი ბოძი გამოაცალეს, როგორიც ჩინეთი იყო, ხოლო ამ ბოლო დროს ავღანეთის სამარცხვინო ფურცლებიც მიაკრეს ჩვენს ისტორიას. კიდევ კარგი, ახლა იქ მდგომარეობა სტაბილურდება, ხომ არ ჩამოგითვალოთ „დემოკრატიით“ გაბედნიერებული, სამშობლოდან გაძევებული მწერლები და გიჟად მონალული, ეგრეთ წოდებული „სხვაგვარად“ მოაზროვნენი?

უ ც ნ ო ბ ი – ეგ თქვენს დანაშაულს ვერ აბათილებს.

ს ტ ა ლ ი ნ ი – კიდევ გიმეორებთ, ის, რასაც თქვენ დანაშაულს უწოდებთ, ჩემი ცხოვრება, ჩემი ბრძოლა იყო. მე თავს არ ვიმართლებ, მაგრამ რა უკეთესობა დაატყვეთ ქვეყანას ჩემი სიკვდილის მერე ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში? რატომ გავიწყდებათ, რომ მე პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფნამ მომიწია წყეული ინტერვენციის, შინაგანი ამბოხების, საშინელი ომის და ომის შემდგომი წლების პერიოდში. ომის მოგება

მკაცრი დისციპლინის გარეშე თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ? ხოლო რა უყვეს სახელმწიფოს იმათ, ვისაც ორმოცდაათიანი წლებიდან საზღვრებგამაგრებული, მშვიდობიანი ქვეყანა დავუტოვე? ძალიან ააყვავეს და გაამდიდრეს? ვიღაცას გაზეთში დაუწერია; სტალინის დროს, მართალია, საქონელი ყოველ წელს იაფდებოდა და მაღაზიაში ხიზილალაც იყიდებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყოო. განა ეს სასაცილო არ არის?

უ ც ნ ო ბ ი – მაინც როგორ შემოივლეთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს თავმა, რომელსაც „ამხანაგ სოსოს“ გეძახდნენ, მიუკარებლობის და ამპარტავნობის მაღალი გალავანი, რატომ მოსწყდით მასებს?

ს ტ ა ლ ი ნ ი – ნუთუ მართლა გჯერათ, რასაც ჩემზე გამწყრალი პირები ჩმახავენ? მე ვიყავი ამპარტავანი კაცი, რომელიც ოროთახიან ბინას არ გავცილებივარ, სადილს ხშირად ჩემი ხელით ვიმზადებდი და მთელი ცხოვრების მანძილზე სამად სამი კიტელი გავცვითე, ხოლო ფეხზე დრაგუნთა პოლკის ოფიცერივით ნიადაგ ჩექმები მეცვა, რომ სამხედრო მზადყოფნაში მეგრძნო თავი. მე მოვწყდი მასებს? ერთი წუთით, მომითმინეთ. (სტალინმა უჯრიდან ფარატინა, გაყვითლებულ-გაცრეცილი ქაღალდი ამოიღო და სტუმარს გაუწოდა) – წაიკითხეთ:

სტუმარმა სათვალე გაიკეთა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

უ ც ნ ო ბ ი – „პეტას გაუმარჯოს!

ჩემი დეპეშა, როგორც ჩანს, მიგიღია. გიგზავნი ორი ათას მანეთს. მეტი არა მაქვს. ეს ფული ჩემი გონორარია. ჩვენ აქ გონორარს არ ვიღებთ. მხოლოდ ხანდახან, განსაკუთრებულ შემთხვევაში. შენი

გაჭირვება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა და ამიტომ ავიღე გონორარი, რომ შენთვის გამოვიყენო. გარდა ამ ფულისა, შენ მოგცემენ სესხად 3000 მანეთს. მე ვუთხარი ამის შესახებ ბერიას (ამიერკავკასიის საოლქო მდივანია), და იმან სიტყვა მომცა – უეჭველად აღვასრულებო. მაშ ასე, 2000 მანეთი მიიღე, როგორც მეგობრული ნობათი და 3000 მანეთი – როგორც სესხი.

იცოცხლე მარავალჟამიერ.

შენი სოსო. 7. XII-33 წ.“

(უცნობმა წერილი დაუბრუნა, სათვალე მოიხსნა და თქვა):

უ ც ნ ო ბ ი – საინტერესო ბარათია.

ს ტ ა ლ ი ნ ი – იცით, რატომ წაგიკითხეთ? ათას ცხრაას ოცდაცამეტ წელს მე, სახელმწიფოს თავმა, რომელსაც, ბუნებრივია, მთელი ხაზინა მემორჩილებოდა თავისი ბანკით და მემკვიდრეობით მიღებული და მერე შეძენილი ოქრო-ბრილიანტებით, ჩემს ღარიბ მეგობარს ასე „გავუმართე ხელი“. თქვენ ამპარტავნობაზე ლაპარაკობდით. შეადარეთ ახლა სახელმწიფოს სიმდიდრესთან ხრუშჩოვის და ბრეჟნევის დამოკიდებულება, მათი მილიარდიანი ვიზიტები და ფასდაუდებელი სამკაულების სურვილისამებრ განიავება მათი და მათი „სამეფო ოჯახის“ წევრების მიერ.

უ ც ნ ო ბ ი – ისიც ხომ ფაქტია, რომ ბოლო წლებში სამხედრო ხარჯებს მოახმარე ლამის მთელი სახელმწიფოს დოვლათი და უბრალო ადამიანი გვერდზე მიგრჩა.

ს ტ ა ლ ი ნ ი – ჩვენ ერთხელ უკვე ვიწვნიეთ ცეცხლის წვიმა და ის სამხედრო ხარჯებიც სწორედ უბრალო ადამიანის მშვიდი ძილისთვის იქნა გაღებული. სამხედრო ასიგნებებს მტრული გარემოცვა გვთავაზობდა და ჩვენს სურვილზე როდი იყო დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, მე ვერც იმგვარ სასაზღვრო „ჩათვლემას“ მოვითმენდი, რომ გალიფრებულ გერმანელ ყმაწვილს თვითმფრინავი ზედ წითელ მოედანზე დაესვა.

უ ც ნ ო ბ ი – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენმა მსოფლიო მოქალაქეობამ რა სიკეთე მოუტანა თქვენს სამშობლოს?

ს ტ ა ლ ი ნ ი – აი, მაგ შეკითხვისა მეშინოდა ყველაზე მეტად. ახლა მე სწორედ ისინი მიხსენებენ აუგად, ვისაც „უფროსი ძმა“ დავარქვი და ვის გაძლიერებასაც სიცოცხლე შევწირე. რაც შეეხება საქართველოს, იგი ჩემი შეხედულებებისა და პოზიციის სიმაღლიდან ძალიან პატარა ჩანდა და, სიმართლე გითხრათ, ხანდახან მავიწყდებოდა კიდეც. ესეც რომ არა, განა შემეძლო დამეშვა პრეცენდენტი იმისა, რომ ვინმეს ეფიქრა, ქართველია და საქართველოს მეტ ყურადღებას აქცევსო? ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ მოკვეთილი ძუძუ – ტაო-კლარჯეთი, ვერ დავუბრუნე საქართველოს. ომის შემდეგ შერცხვენილი თურქეთი ბატკანივით იდგა ჩემ წინაშე. საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიის დაბრუნება ჩემთვის ერთი ხელის გაქნევა იყო. ესეც არ გავაკეთე, მიკერძოება არ დამწამონ-მეთქი. ასე რომ, საქართველოს ყველაზე მეტი საბუთი აქვს, მემდუროდეს.

უ ც ნ ო ბ ი – როგორ ფიქრობთ, სანამ გაგრძელდება თქვენი კიცხვა-თათხვა?

ს ტ ა ლ ი ნ ი – თავში გითხარით, ეს ცუდი როდია, იქნებ ჩემი გზის გაკრიტიკებაში ახალი, უფრო სწორი გეზი აიღოს ქვეყანამ. რაც შეეხება ჩემს ბედს, შემიძლია, ვიწინასწარმეტყველო: როცა ერთ-ორ წელიწადში ჩემი ლანძღვა აპოგეას მიაღწევს, გაჩნდება მეორე, უფრო

ძლიერი ტალღა. „მართლა და მართლა, რას ვერჩით ამ კაცს, თუ რამე შეგვიძლია, ჩვენ მივხედოთ ჩვენს თავსო“. ხალხი, ხომ იცით, ყოველთვის დაჩაგრულის მხარეზეა. ნახავთ, ნაპოლეონის ბედი გაიხსენეთ.

უ ც ნ ო ბ ი – მაგრამ ნაპოლეონი ფრანგი იყო.

ს ტ ა ლ ი ნ ი – უსიამოვნო ქარაგმას ნუ მესვრით. ეგ ჩემთვის ძალიან მტკივნეული ფიქრია. იგი გონების კუნჭულში ბჟუტავს ამ ბოლო დროს და, თუმცა ენერგიულად ვცდილობ, დავივიწყო, მაინც შემახსენებს ხოლმე თავს. არა, არა, ეგ მართალი არ შეიძლება იყოს.

უ ც ნ ო ბ ი – რა ფიქრი?

ს ტ ა ლ ი ნ ი – ჩემი გაკრიტიკების ერთი მიზეზი და ჩემი მთავარი დანაშაული ის ხომ არ არის-მეთქი, რომ ქართველი ვარ.

(ორივენი გაჩუმდნენ. სადღაც შორიდან მოისმის ომისდროინდელი სიმღერა „მე, ქართველი ბუხაიძე“, სინათლე ქრება. სიბნელეში სიმღერა გრძელდება).

მეორე სურათი

(სცენაზე ჩრდილები ფათურობენ. ნელნელა ნათდება. ღარიბულად მორთულ ინტელიგენტურ ოთახში საგნებს სიცხადე უბრუნდებათ. ავანსცენის თავზე ჩამოშვებულია ტრანსპარანტი, რომელსაც აწერია „დღეს“. მაგიდასთან ზის ინტელიგენტი რეზო სალუქვაძე და ფუნჯით რაღაცას წერს გაშლილ, ფართო ქაღალდზე. რეზომ თავი ასწია)

რ ე ზ ო – შიმშილი, მიუსაფრობა, უილაჯობა, უიმედობა, უსამართლობა, ღალატი, პირმოთნეობა...

მოწყენილობა, სულისწამღები, გულისგამგლეჯი მოწყენილობა.

თითქოს ქვეყანას ჯადოსნური კვერთხი დაჰკრესო, ხალხი ერთბაშად შეიცვალა. დაცვედნებულნი, შეშინებულნი, რწმენადაკარგულნი, სასომიხდილნი, დინებასმიყოლილნი, ლერწამივით მი და მო მრწევნი, დარეტიანებულნი დააბიჯებენ ირგვლივ.

დღეს რაღაცით თავი რომ არ გავირთო, შევიშლები!

(რეზო წამოდგა. ქაღალდი მაგიდიდან აიღო და ოთახის გვერდით კედელს მიამაგრა. ქაღალდს დიდი ასოებით აწერია: „ნაპოვნია ასი ლარი. დამკარგავი მობრძანდეს ფულის მისაღებად. ბინა 87, სალუქვაძე“. რეზო გამოტრიალდა და მაგიდასთან დაჯდა. ორიოდე წუთში კედელთან გამხდარი, აწოწილი ნარკომანი, ლოპე, გაჩნდა. წაიკითხა და მაშინვე დარეკა ზარი. რეზომ კარი გაუღო და შემოიპატიჟა).

რ ე ზ ო – მობრძანდი, დაბრძანდი.

ლ ო პ ე – როგორ გიკითხო, რეზო ბიძია. სულ მინდა ამოსვლა, რეზო ბიძია. თქვენ სხვანაირად არ მიიღოთ, რეზო ბიძია. მე ვთქვი – როგორ არის-მეთქი. ის ასი ლარი მამიდამ მაჩუქა, რეზო ბიძია. ყველის საყიდლად მივდიოდი. კავსაძის ბიჭმა ასანთი მთხოვა. ალბათ, მაშინ ამომვარდა, რეზო ბიძია, კიდე კარგი, რეზო ბიძია, თქვენ რო გიპოვიათ, აქ ისეთი ხალხი ცხოვრობს, ზოგი არც გამოაჩენდა. წავიკითხე, გამეხარდა! ასი ლარი, როგორი საქმეა, ცოტა ხომ არ არი. მე აღარ ვიკეთებ, რეზო ბიძია. ვსვამ, ხანდახან და ეგ არის! სმა და წამალი ერთად არ შეიძლება, ღვიძლს შლის, რეზო ბიძია.

რ ე ზ ო – შენ თორნიკე გქვია ხომ?

ლ ო პ ე – კი, რეზო ბიძია, ისე ლოპეს მეძახიან. მთელი ვაკე ლოპეთი მიცნობს.

რ ე ზ ო – შენგან არ მიკვირს, ლოპე? მე ასლარიანის პოვნის ყისმათი ვინ მომცა. კიდეც რომ მეპოვა, განცხადების გამომკვრელი ვიყავი?

ლ ო პ ე – მა, ეს როგორ, რეზო ბიძია?

რ ე ზ ო – ვხუმრობ, ვერთობი. წადი, არავის უთხრა.

(ჯერ კოპები შეჰკრა. მერე პირი მოერღვა, კბილები ყვითლად გააელვა და ახარხარდა).

ლ ო პ ე – მეც არა ვთქვი... მეც არ დავიჯერე? მე ვთქვი... კაცნი ვართ... ჯიგარი ხარ, რეზო ბიძია, მაშ, იშაყირე? კარგი რა, ხალხს თავისი ჰყოფნის... ვის არ უნდა ამ ქესატობის დროს ასი ლარი. მე სამარე ვარ. შენ ნახე, რა ხალხი მოგაკითხამს... მეც არა ვთქვი! მეც არა ვთქვი...

(ორივენი გულიანად იცინიან).

რ ე ზ ო – შეიძლება, სისულელეს ჩავდივარ. მაგრამ მაინტერესებს, რა მოჰყვება.

ლ ო პ ე – შენ ნახავ, რეზო ბიძია, შენ ხომ გგონია, რომ მარტო მე ვარ... ხალხი? მე მკითხე ეგ ამბავი. იცი? რა ტიპები მოგაკითხამენ მაგ ას ლარს?! თუ შეიძლება, მე აქვე მივჯდები. ეგ რამ მოგაფიქრა... ჯიგარი ხარ, რეზო ბიძია (ოთახის სიღრმეში გამჭვირვალე, მარლის ფარდაა დაშვებული. იქეთ გრძელი სავარძელი და ორი სკამი დგას. ზარის ხმაა).

ლ ო პ ე – მიდი, გააღე!

(ლოპე ფარდის უკან დაჯდა. რეზომ კარი გააღო, კარებში ხანშიშესული კაცი, ბონდო შარია, დგას. გალიფე შარვალზე პიჯაკი მოუსხამს. შესამჩნევი მეგრული აქცენტით ლაპარაკობს).

ბ ო ნ დ ო – გამარჯობათ... სალუქვაძე ბრძანდებით, ხომ?

რ ე ზ ო – დიახ, მობრძანდით... დაბრძანდით.

ბ ო ნ დ ო – ბონდო შარია ვარ მე... აქვე ვცხოვრობ, მეხუთე სადარბაზოში. უფრო სწორად, შვილია აქ ჩემი გათხოვილი და ვაკითხავ ხანდახან.

რ ე ზ ო – საიდან ბრძანდებით, ბატონო ბონდო?

ბ ო ნ დ ო – სენაკში ვცხოვრობთ ჩვენ.

რ ე ზ ო – თვითონ შიგნით სენაკში?

ბ ო ნ დ ო – შიგნით. კი, ნამდვილად, ხორავას ქუჩაზე, იქვე რკინიგზას რომ გადახვალ.

რ ე ზ ო – იმ დროს იქ იყავით, ბატონო ბონდო, თუ აქეთ ბრძანდებოდით?

ბ ო ნ დ ო – იქ ვიყავი, კი.

რ ე ზ ო – იმალებოდით, ალბათ.

ბ ო ნ დ ო – დამალვა ვარესი იყო. ბარე ორი მეზობელი ამოათრიეს ქვევრიდან და გამოქაჩეს ბეღელიდან. რტყმევით ხომ ურტყეს და ურტყეს, ზოგს თვალწინ გაუბახეს ცოლი და ქალიშვილი. მალავენ ახლა საწყლები, რა ჰქნან. როგორი ასატანია თავმოყვარე კაცისთვის ეს ამბავი. საშინელი სიზმარი მგონია, ბატონო, ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა. არსად გამიგონია, კინოშიც არ მინახავს მსგავსი არაფერი მე პირადად და სხვისა რა მოგახსენოთ.

ვიმალე ერთხანს და მერე, ახლა რომ აგიხსენით იმ მიზეზის გამო, გამოვედი გარეთ, ჯერ ერთი, დამალვაზე რაღაცა შარს მომდებენ-მეთქი და ესეც არ იყოს, შევხედავ მაინც, ვინ შემოდის, რა უნდა, გადამთიელი ხომ არ არი, შენი თვისტომია, დაელაპარაკები, ეგება ასე უფრო გადაარჩინო სახლ-კარ-ჯალაბობა-მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის.

დავდიოდი აქეთ-იქით ჩემი სახლის სიახლოვეს. დაბომბვის დროს ვიმალებოდი მარტო. დამალვას ვეძახი, სამზადში რომ შეიყუჟება ადამიანი, თვარა სანგარი მე არ მქონდა და ჩვენთან სარდაფები, საერთოდ, არ ვიცით. გულს იკეთებ კაცი, რომ იმალები, მეტი არაფერი. ბომბი თუ დაეცა სახლს, რა სარდაფი გიშველის.

ბოლო დღეებში ისე წავიდა საქმე, ხელიდან ხელში გადადიოდა სენაკი. ატყდებოდა ბათქა-ბუთქი, შენ ხარ ჩემი ბატონი, შემოვარდებოდნენ ზვიადისტები, მიდგებ-მოდგებოდნენ და სულის მოთქმას ვერ მოასწრებდნენ, ისე ატყდებოდა ბათქა-ბუთქი. გაიქცეოდნენ ზვიადისტები და შემოცვივდებოდნენ შევარდნაძისტები. ასე იყო ეს. ჩხუბი მაგნებს ჰქონდათ ერთმანეთში და ჩვენ რა შუაში ვიყავით, უბრალო ხალხი, დღემდე გაურკვეველია ეს ამბავი ჩემთვის.

გამოვედი ქუჩაში (გიჟი ვეგონე, ალბათ, მეზობლებს), მაგრამ იმ კვირაში გამიჭირდა ძალიან. ვერ ვანსხვავებდი, ვერ ვხვდებოდი, ვინ გარბოდა და ვინ შემოდიოდა. გითხარით, მისი არ იყოს, შესახედაობა ერთნაირი. თოფი ყველას ეჭირა და ყაჩაღობით ორივე მხარე ყაჩაღობდა. სახლში რომ შემოვიდოდნენ, ხელცარიელი არ გავიდოდნენ მაგნები. თუ წასაღებს ძვირფასეულს ვერაფერს მოიხელთებდნენ, ხბოს გეიგდებდნენ წინ, ქათამს აგაცლიდნენ საბუდრიდან ან ყველს არეკავდნენ დერგიდან. რას ეტყოდი, ომს დიდი პირი აქვსო, შემოგიბღვერდნენ. ვიყავი ქუჩაში და ტკბილ სიტყვას ვეუბნებოდი, ვესალმებოდი, ვინც შემოვიდოდა. ეს იყო, ვითომ, ჩემი გადარჩენის მუღამი. თავისიანად რომ დამიგულებდნენ, აღარ დამარბევენ-გამძარცვავენ-მეთქი, ასეთ ეშმაკობას მივმართე. თუმცა ერთი-ორჯერ მაინც გავილახე, ა, სასაცილო, ეს არი, კაცს თუ გინდა... ხომ არ გაცდენთ?

რ ე ზ ო – არა, ბატონო, ბრძანეთ, ძალიან მაინტერესებს.

ბ ო ნ დ ო – ატყდა შორს სროლა. ჩამოვარდა სროლის მერე სიჩუმე. მოდის ჩვენს ქუჩაზე სამი ბიჭი, გადაუკიდიათ თავდაღმა ავტომატები. იხედებიან ეზოებში. აშკარაა, ეძებენ რაღაცას. მომიახლოვდებიან და მიყურებენ. მიყურეთ, მიყურეთ, გულში ვამბობ, ჩემგან ვერ წაიღებთ ვერაფერს, ოქრო ხერხს მივაგენი თქვენს დასაბმელად. მოვუშვი ასე ოც მეტროზე სამივენი, ავწიე მუშტი მაღლა და ვიყვირე.

– გაუმარჯოს ზვიადს!

გაქვავდნენ. ერთმა ავტომატისკენ წაიღო ხელი. მეორემ შეაჩერა. გადმოდგეს რამდენიმე ნაბიჯი ჩემკენ. იბღვირებიან. ალბათ, ვერ გაიგონეს კარგადმეთქი და უფრო ვაჟკაცურად შევძახე:

– გაუმარჯოს ზვიადს!

მტაცეს ხელი. ერთმა ისეთი სარმა გამომკრა, კინაღამ წელში გადავტყდი. რა უნდოდა ჩემ წაქცევას. ხელი არ გაუნძრევიათ, ტყუილს ხომ ვერ ვიტყვი, წიხლებით მცემეს. ბატინკიან ფეხებს ცხვირპირში და ფერდებში მირტყამდნენ. ეს ორი კბილი მაშინ ჩამიტეხეს. მთელი ღამე სულს ვერ ვითქვამდი. კიდევ კარგი, ელენთა ან ფილტვები რომ არ გამიხეთქეს.

ორ დღეს სახლიდან არ გამოვსულვარ. მესამე დღეს ისევ ატყდა ავტომატების კაკანი. ავტომატის ხმას მიჩვეული ვიყავი, დედის ნანასავით ჩაგვესმოდა. იმას აქვს საშინელი ხმა, გაუბიცას თუ გრადს რომ ეძახიან. გეგონება, დედამიწა გასკდაო, ვზივარ ჭიშკართან. ლაპარაკი მესმის. ქვევით, ჭასთან, ჯგერენაია ცხოვრობს. მისი ჭიშკრიდან ოთხი ავტომატიანი „მებრძოლი“ გამოვიდა. ორ დიდ ჩემოდანს მიათრევენ, ერთს ორი ზურგჩანთა ჰკიდია წინ და უკან, ერთს, შედარებით ახალგაზრდას, ავტომატები. მივხვდი, მოუსწრიათ უკვე ჯგერენაიას „გაწმენდვა“, პატარა, ღარიბულ სახლებს ზედაც არ უყურებენ. მე, როგორც ხედავთ, ძველთაძველი, გაუბედურებული ოდა მიდგას, მიკვირს, ჩემკენ რომ აიღეს გეზი. ადგომას და დამალვას ვეღარ მოვასწრებ, შეიძლება,

ეჭვი აიღონ და გესროლონ. მივმართე ჩემს „კაროლნი ნომერს“, მოვუშვი ახლოს და ორივე ხელის შემართვით ვახარე:

– გაუმარჯოს შევარდნაძეს!

თურმე შევარდნაძისტები წასულან და ლოთის ხალხია, რომ ვესალმები. ვის გაუმარჯოსო? მკითხა ზურგჩანთიანმა.

შევარდნაძეს გაუმარჯოს-მეთქი, ცოტა შეეჭვებულად და არცთუ ისე რიხით ჩავილაპარაკე. ჩემოდანხაბაკი ძირს დააწყვეს, მიმაყენეს ბჟოლასთან და ისე მჟეჟეს, რომ ძვალ-რბილი გამიერთიანეს. მაინც რას განაძლება ადამიანი. თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა.

გიშველოს ახლა შენმა შევარდნაძემ, შე ერის გამყიდველო და რუსეთის მონავ, შე მათხოვარო, შენო, მაღალ-მაღალმა ზვიადისტებმა. აკრიფეს, რაც ებადათ და გატრიალდნენ.

ჩემს ეზოში არ შემოსულან.

გითხრა სიმართლე, ცემაზე მეტად „გამყიდველი“ და „რუსეთის მონა“ რომ მიწოდეს, ის მეწვინა.

ამის მერე ჭკუა ვისწავლე და ჩვენს ქუჩაზე თოფიანი ბიჭები რომ გამოჩნდებოდნენ, ანგარიშმიუცემლად შევყვირებდი:

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

(რეზო და ფარდის მიღმა მჯდარი ლოპე სიცილით იხოცებიან. როცა შიგადაშიგ ლოპე ხმამაღლა გაიცინებდა, ბონდო მიმოიხედავდა, მაგრამ რაკი ოთახში სხვას ვერავის ხედავდა, ალბათ, მომეჩვენაო, გაიფიქრებდა და განაგრძობდა მოყოლას).

რ ე ზ ო – თქვენ აგაშენათ ღმერთმა. ამდენი კაი ხანია, არ მიცინია.

ბ ო ნ დ ო – დავბერდი ეს ოხერი და თავს აღარ ვუტყდები. მეათე სართული რა იყო, ფუნიკულიორს ავირბენდი გაუჩერებლად. ორჯერ დავისვენე. გავიბერე კაცი. კიბეებზეცაა დამოკიდებული, რომ იცოდე, ამ ჩვენს სახლს რაღაცნაირი, მძიმე კიბეები აქვს. თან, მე ვთქვი, ალალი კაცია სალუქვაძე, არ ავიდეს ვინმე აფერისტი და არ უთხრას, მე დავკარგე და მომეციო. რას ეტყოდი, უნდა მიგეცა. კაცმა თვითონ არ უნდა იკადროს, ხომ მართალი ვარ?

რ ე ზ ო – (საშინლად უხერხულ მდგომარეობაშია, მაგრამ უკანდახევა გვიანაა) მაშ თქვენ დაკარგეთ ის ასი ლარი, ბატონო ბონდო?

ბ ო ნ დ ო – ნამდვილად... ფიცი რა შუშია თქვენისთანა ადამიანთან, თორემ თუ გნებავთ, ხატზე დავიფიცებ. ტყუილს ვიკადრებ მეე? მთელი წლის პენსია ავიღე გუშინწინ. ვერ გეტყვი, სად ამომვარდა.

რ ე ზ ო – რამდენიანი იყო, თუ გახსოვთ?

ბ ო ნ დ ო – როგორ, რამდენიანი?

რ ე ზ ო – ასლარიანი იყო, თუ კუპიურები სხვადასხვა?

ბ ო ნ დ ო – ასლარიანი.

რ ე ზ ო – ასლარიანი, შოთა რუსთაველი რომ ახატია?

ბ ო ნ დ ო – არა, დახურდავებული იყო (დაბნეულად).

რ ე ზ ო – მაინც? არ გეწყინოთ, რომ გეკითხებით, ამას მნიშვნელობა აქვს, ბატონო ბონდო.

ბ ო ნ დ ო – ორმოცდაათლარიანი იყო ერთი, მეორე – ოცლარიანი და ათლარიანები, მე მგონი, ხუთლარიანებიც ერია.

(პასუზა).

რ ე ზ ო – ვწუხვარ, ბატონო ბონდო, მაგრამ ჩანს, ძებნის გაგრძელება მოგიწევთ. ალბათ, სხვაგან დაკარგეთ სადმე, ჩემი ნაპოვნი ორლარიანების დასტაა, არც ერთი სხვა კუპიური არ ურევია.

(ბონდო წამოდგა გამშრალი, გაწბილებული. სწრაფად მოეგო გონს და კულტურის სახლის დრამწრის არტისტის ყალბი ინტონაციით თქვა):

ბ ო ნ დ ო – ოო, მაშინ ნამდვილად სხვისი ყოფილა. მე ორლარიანები არ მქონია, ტყუილს ვერ ვიტყვი, სხვისი ღმერთმა მაშოროს. მე მგონია, უფრო ვაკის პარკში დავკარგე. გუშინ საღამოს, ძალით გამიყვანა ბაბუნაშვილმა. როდის იყო, სასეირნოდ დავდიოდი. იქ დამრჩა სკამეიკაზე, ხელში მეჭირა, ჯიბიდან არ ამომვარდეს-მეთქი. ვინ გამოგიჩენს ას ლარს, ხალხი გამწარებულია... კარგად ბრძანდებოდეთ.

რ ე ზ ო – კარგად, ბატონო ბონდო. ფრთხილად ჩადით.

ბ ო ნ დ ო – არამიშავს, ჩავალ, როგორც იქნება. ამოსვლა მიჭირს, თორემ ჩასვლით ჩავდივარ; აბა, კარგად.

რ ე ზ ო – ბოდიში ახლა, ბატონო ბონდო.

ბ ო ნ დ ო – როგორ გეკადრებათ, პირიქით, ბოდიში, ჩემო ბატონო.

(რეზომ ბონდო გააცილა. ლოპე ხითხითით გამოდის).

ლ ო პ ე – აღარ შემიძლია... რეზო ბიძია... ხომ მაგარი ვინმეა. მოფიქრება არ გინდა? „ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო“ – მოკლედ და უბრალოდ!

რ ე ზ ო (უგუნებოდ) – ეგ კი, მაგრამ, მე გამოვიყურები ყეყეჩად მთელ ამ ამბავში.

ლ ო პ ე – რატომ?

რ ე ზ ო – არ უნდა მექნა. ხალხი შიმშილით კვდება. რა დროს ხუმრობაა.

ლ ო პ ე – თქვენ რა... რაღაცით ხომ უნდა გაირთოთ თავი. მტერმა უყურა ამას სერიოზულად. შეიძლება, გაგიჟდე კაცი. თქვენ რა... თვითონ რატომ კადრულობენ, რატომ ებმებიან. მე სხვა ვარ. მე ჩემი მყოფნის.

თანაც მე თავს არაფერზე ვდებ. ეგენი, რომ ჰკითხო, ცხვირზე ბუზს არ ისვამენ. დროული ხალხი ასე რამ გააააფერისტა.

რ ე ზ ო – ჩანს, სული მწარეა... მაინც ჩემს თავზე მომდის ბრაზი. ყოველ ადამიანში ზის, როგორც ჩანს, პატარა ცინიკოსი. რატომ უნდა მგვრიდეს სიამოვნებას რაც მეტი მატყუარა გამოჩნდება, განსაკუთრებით იმათგან, სრულიად რომ არ ელი.

(ზარი).

ლ ო პ ე – ე, კიდევ ახალი „მშვიდობის მაძიებელი“. წავედი ჩემთვის.

რ ე ზ ო – მოიცა (ჭუჭრუტანაში გაიხედავს). ახალი მეზობელია. შარაბიძის ბინაში რომ გადმოვიდნენ. შენ აქ დაჯექი. არა მგონია, ეგეც ასლარიანზე იყოს. სხვა საქმე ექნება.

ლ ო პ ე – არ დაიჯერო, რეზო ბიძია. ეგეც მაგ საქმეზე გაწუხებს (ჭუჭრუტანაში გაიხედა). ვიცნობ ამას, ხმაურიანი, ხითხითა ქალია.

(ლოპემ კარი გააღო, მაყვალა შემოდის. სადად ჩაცმული ოცაათსგადაშორებული კახელი ქალია).

მ ა ყ ვ ა ლ ა – აქა მშვიდობა.

რ ე ზ ო – იცოცხლეთ. მობრძანდით, ქალბატონო მაყვალა.

მ ა ყ ვ ა ლ ა – ღმერთმა თქვენ უნდა გაცოცხლოთ, ენგრეთი პატიოსანი და ალალი რომ ხართ. მოვდიოდი და ვფიქრობდი, მეც ხომ ეგრე მოვიქცეოდი-მეთქი, განა არა. მაგრამ აქ ქალაქია. ჩვენთან, სოფელში, ნემსიც არ დაიმალება. აქ კიდენა. იტყვი: „რი ასი ლარი, რა ასი ლარი. არ მიპოვნია, მორჩა და გათავდაო“. ვერც ვერავინ შამაგედავებოდა. თქვენი რა ბრალია. მე არ

უნდა მამსვლოდა. განა ბალღი ვარ, ამოტოლა ფულს რომ ვერ მოვუარე. მაგრამ რას ვიზამ, ხიფათიანი ვარ.

ლ ო პ ე – მაშ, ხიფათიანი ბრძანდებით, ქალბატონო მაყვალა?

მ ა ყ ვ ა ლ ა – ინგრეთი ხიფათიანი ვარ, ინგრეთი უცნაური ყისმათი დამყვა, ხანდახან ონკან რომ მოვუშვებ და წყალი წამოვა, ისიც მიკვირს, ქა. წყალია-მეთქი, ბავშვივით გავიხარებ. მა რა დოზანა უნდა წამოვიდეს ონკანიდანა, მაგრამ ხომ გითხარი, უცნაური ბედისა ვარ. ეგრე მგონია, დაბადებიდან ვიღაც დამდევს და წაღმა ნარჩევს უკუღმა მიბრუნებს. თითქოს მათამაშებს, ქა, თავის ჭკუაზედა. მათამაშებს-მეთქი, მითვინ ვამბობ, რო, ხიფათს შემამთხვევს, გასაკვირს დამმართებს. მაგრამ ბოლოში განირვით არ გამწირავს, ბოლოს მაინც დამინდობს ხოლმე, ი დალოცვილი. ამიტომაც ცოტა არ იყოს, არხეინადა ვარ. ვიცი, რაც უნდა ჩაიხლართ-ჩაიბურდოს წუთისოფელი, ბოლოში გასწორდება, ბოლო კეთილი აქვს. ეტყობა, ერთი ხუმარა ანგელოზი მაზის ბეჭზედა, ზოგჯერ გასართობ რასმე გამამიგონებს, გადამრევს, გამაოგნებს და მერე თვითვე გადამარჩენს ხოლმე, ვენაცვალე იმის სახელსა. თუ დრო გაქვთ, ჩემი ბავშვობის მთავარ ხიფათზე მოგიყვებით.

რ ე ზ ო – ბრძანეთ.

მ ა ყ ვ ა ლ ა – შვიდი დედმამიშვილიდან მეშვიდე გახლავართ, ნაბოლარაო, რომ იტყვიან. სამწლინახევრისა ვყოფილვარ, სოკოზე წავუყვანივართ სამ დასა – უფროსებს, რასაკვირველია, მაგრამ არც ისე უფროსები იყვნენ, რო დიდი ჭკუა მოჰკითხოდათ. ნადიკვარი გაღმა, ტყეში წავუყვანივარ სოკოზედა. ბალღობაში ერთი ცეტი და მოუსვენარი ვყოფილვარ.

ვერცხლისწყალივით ვხტოდი თურმე, ქა, აქეთ იქით, ჩემებიც მე მგვანან, თუმცა, არც მამა ჰყავთ ძალიან დაწყობილი. ისიც კარგი ცეტი-უქიქინე ვინმეა.

ლ ო პ ე (სიცილით) – მერე?

მ ა ყ ვ ა ლ ა – ჰოდე, იმაი ვამბობდი, სოკოი ძებნაში, ინგრე მოხდა, თვალი წამით მომაცილეს ჩემმა პატიოსანმა დებმა და მეც დრო ვიხელთე, გავძვერ-გამოვხოხდი უპატრონო ვარიასავით ბუჩქებში და რა შორ წავიდოდი, მაგრამ იმდენი კი ვქენ, ამათ ველარ მიპოვეს. მე ეგ ამბავი ბუნდოვნად მახსოვს, მონაყოლით ვიცი და ვერც მოგატყუებთ; ჩემი დები რო მეძახდნენ, მესმოდა და ხმაი არა ვცემდი, თუ ტყეში შეშინებულ-გაბუსუნებულს აღარაფერი მეყურებოდა, ან იქნებ ხმის ამოღების თავიც აღარა მქონდა.

მობრუნებულან აჩხავლ-აზლუქუნებული ჩემი დები შინა. ენგრე და ენგრეო, ჭუტაი (ბავშვობაში ჭუტაის მეძახდნენ) დაგვეკარგაო. გამგელებია სახე მამაჩემსა, დედაჩემმა თურმე ინგრეთი კივილი მორთო, მთელი სოფელი ფეხზე დააყენა ჯეელ-ხეიბრიანა. გამამდგომიან ქუდზე კაცი. მთელი ღამე ამაოდ მეძებდა სოფელი ტყეში მაშხალ-ჟინჟღლებითა, მაგრამა ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ჩემს კვალ ვერ მიაგნეს. მეორე დღეს ალაზანზე ჩასულან იქ რომ სამხედრო ნაწილი დგას, იმათთვინ მიუტირ-მიუბღავლიათ – ტყეში მეორე დღეა, ბალღი გაგვებნა, იქნებ თქვენ გვიშველოთო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მეოთხე დღეს დილით ალიონზე სალდათი ძაღლმა მიპოვა, მისავათებულ-მიმკვდარი, ქა, სამი დღი უჭმელი; წყაროი პირას ბუჩქებში მისვენებული გრძნობაზე, თურმე, არცა ვყოფილვარ. მეორე დღეს საავადმყოფოში დამბრუნებია აზრი (რა აზრიც შეიძლება სამნახევარი

წლისას ჰქონდეს). ან აფთარმა როგორ არ დამგლეჯა, ან ტურა-მგელი როგორ არ გადამეყარა. სანამ ძალა მქონდა, ხან ვიტირებდი და ვიჩხავლებდი, ან ღამით სად მეძინა ინგრეთ ადგილას, ქვეწარმავალმაც ახლო რომ არ გამიარა, ან როგორ არ გავციოდი. ხომ გეუბნებიყე, მე თითქმის არაფერი მახსოვს.

რ ე ზ ო – გადარჩენილხართ. ეგეც ბედია.

მ ა ყ ვ ა ლ ა – სულ ინგრე, ბედის ოინბაზობაში, უცნაური შემთხვევების სალტოტრიალში მიდის ჩემი ცხოვრება. ახლა ჩემი გათხოვები ამბავ არ იკითხამთ? ეგეც ერთი დასაწერი რამეა.

ოცდარვა ენკენისთვე იყო, რა დამავიწყებს. ისის იყო, ცხრამეტისა შავსრულდი. ოცდახუთ ენკენისთვეს ვარ დაბადებული. გამოვეწყე, რაც მქონდა გამოსაწყობი და ჩემ თავ იმით მაინც დავასაჩუქრებ – თელავში გავივლი-მეთქი. ენგრე მარტოკას მიყვარდა ხოლმე გავლა ქალაქში. ჩვენი სოფელი – იყალთო, თელავიდან ხელის გაწვდენაზეა. ხუთი კილომეტრიც არ იქნება. ნიაღვრი ქუჩის დასაწყისში ფოტოგრაფ შაქროი დუქანთან ვიღაც ახმახი ხევსური დათვის ბელს ათამაშებდა. მეც დავდექ და ვუცქერი სხვებთან ერთად. გავერთე ქა, ახლაც მახსომს, ძალიან საყვარელი, ფუმფულა დათვის ბელი იყო.

ერთიც ვნახოთ, ვიღაცა მომეპარა და თვალსაფეთქელზე ხელები ამაფარა. ვინ უნდა იყოს, ვინ მიცნობს ამ შუა ქალაქში? ჩემი კლასელი, ჩემი სოფლელი ბიჭი სანდო-სანდალაი, ჯარიდან დაბრუნებულა. პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუთები შეუტანია და შინისაკენ მიბრუნებულს, ჩემთვის მოუკრამს თვალი. ჯარში კიდევ უფრო გაშავებულიყო. გითხრა სიმართლე, სანდალა არასოდეს არ მომწონდა. ალბათ, მეც შავი რომ ვარ, იმითვინა. სკოლაშივე ერთი ქერა, ცისფერთვალება ბიჭი მიყვარდა და თვითონაც ჩემზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. თბილისში სწავლობდა და გახურებული წერილ-მოკითხვობანა გვქონდა. „შენთანაო საქმე მააქვსო“, სანდალამ.

ლ ო პ ე – საქმეო არა? (იცინის)

მ ა ყ ვ ა ლ ა – „ვიცი, რა საქმეც გექნება-მეთქი. დაიგვიანე, სანდალ, „ძუძუი გოჭი“ გაგითხოვდა-მეთქი. ჩემი მამიდაშვილის გოგო მოსწონდა. ჯარში წასვლამდე დღედაღამ შელოცვილივით დამდევდა; უნდა მიშველო, „ძუძუ გოჭთან“ საქმე მამიგვარეო, იმ გოგომ კიდე, ქეთი ერქვა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. „არ მამწონს, გულ არ ეკარებაო“. მანდ ჯარიდან რომ ჩამოვა, რამე არ მიხიმანდროსო და სანამ სანდრო დაბრუნდებოდა, გათხოვდა, რუისპირელ გაჰყვა. ჩამოყარა ყურები ამ ჩემმა ჯგუფელმა, რა იმედი მქონდაო, როგორ ძალიან მიყვარდაო. შენი ბრალიც არი, ვერა ყოფილხარ კარგი შუამავალიო. მაჭანკლობა რომ შემეძლოს, ჩემ თავ ვუმაჭანკლებდი-მეთქი. შენ რაო? რა და ის თბილისშია, მე კი აქა ლოდინით ვდნები-მეთქი. ნუღა მომაყოლებთ, ხომ ხვდებით, რაზეც ვისაუბრებდით. ცხრამეტი წლის ღლაპები მითხარით და იმათი ჭკუა.

ნაყინზე და ყავაზე დაგპატიჟებო, სანდალამ. ძვირი ღირს-მეთქი, არ გინდა-მეთქი სანდო, შენ რომ თელავი გახსომს, ის თელავი აღარ არი-მეთქი. ყველაფერი გაძვირდა-მეთქი. „სანდალ შოტაევიჩ, ატვეჩაიო“. ჯიბეზე დაირტყა ხელი სანდალამ.

ლ ო პ ე – ოჰო...

მ ა ყ ვ ა ლ ა – ბინდდებოდა, იქვე, ბერმუხის ჩასახვევთან, კაფეში შევედით. ნატრიაანთ მალვინას (გამგეც თვითონ იყო და მიმწონ-მიმტანიცა) ორას-ორასი ნაყინი ავაწონინენთ, ყავა არა ჰქონდათ, თითო ჭიქა ასკილი

წვენი ჩამოვასხმევინეთ და კუთხეში მივჯექით. სანდალამ თადარიგი დაიჭირა და ყოველ შემთხვევითვინ ფული წინასწარ გადაიხადა. ახლა ვხვდები, თავი მამაწონა; კაცი ვარ, გოგოს ნაყინზე ვეპატიჟებიო.

მივყევ-მოვყევით სოფლისა და ჯარის ამბები, გავიცინ-გამოვიცინეთ (სად გვეჩქარებოდა) და როცა კარს მივაშურეთ, ორივეს პირკატა გვეცა: კაფეს გარედან კომშისსიმსხო ბოქლომი ედო. რა მკითხავ-ვარდუა უნდოდა; მალვინას დავვიწყნივართ კუთხეში, ბოძთან მიმჯდარი კლიენტები, წასვლისას ვერ შეუმჩნევივართ, კარი დაუბქლომ-დაუპლომბავს და წასულა. კაფე მაშინ ახალი გახსნილი იყო და, არ ვიცი, ამისა თუ სიძვირის მიზეზით, მუშტარი ცოტა ჰყავდა.

მივაწყდით კარებს გალიაში დამწყვდეული ჩიტებივით, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ჩვენდა იღბლად, ისე დაღამდა, არც არავინ ჩამაიარა. თუ ყოფილხართ მალვინას კაფეში, შეწეულ ადგილას დგას და გამვლელის თვალს მოფარებულია. „სახლში გამიგიჟდებიანმეთქი“ ვიტრინას ბრახუნი ავუტეხე. სანდალა კიდევ იცინის, „კარგი ახლა, ნუ დაანგრევ აქაურობას, განა მე არ მელიან სახლში, ახლა რომ ხალხი შევყაროთ, თავი უფრო მოგვეჭრება, განა უცხონი ვართ, როგორმე დილამდე გავძლოთ და დილით გამოგვიშვებენ „გაუბახტიდანო“.

ლ ო პ ე – ყოჩაღ, სანდალ, არ შეეშინდა (იცინის).

მ ა ყ ვ ა ლ ა – „შენ ხომ არ გაგიჟდი, შე ოხერ-ტიალო, სწორედ მაგითვინ გამზარდა დედაჩემმა, დილამდე კაფეში შენთან ერთად ვეგდო-მეთქი. შენ აქა რუსეთი ხომ არა გგონია, ჯარში მიგაჩვევდნენ ეგეებსმეთქი“. „კარგი ახლაო. ნუ ტლინკაობ ჩოჩორივით, ყველაფერი ამ ქვეყნად განგების ძალით ხდებაო. ალბათ, ღმერთს ეგრე სურდაო. განა მე კი ძალიან

მინდოდა ამ კაფეში შენთან დარჩენაო. შენ ქალი ხარ, უფრო ფხიზლად უნდა ჰყოფილიყავ, რად ვერ შენიშნე მალვინაი წასვლა. მე მაგაი ვუჩვენებ ხვალ სეირს, ამ ჯიხურში რომ დაგვამწყვდია მეველის დაჭერილი თხებივითაო.

იმდენი იქილიკ-ითითლიბაზა სანდალამ, გამაცინა კიდეც მონადირი შეშინებული შველივით გულათახთახებული გოგო. რაც ამ ღამეს ნაყინ-შოკოლადი ვჭამეთ და ასკილი წვენი ვსვით მე და სანდალამა. მერე ძილიც მოგვერია. გავხედე, რაღაც სხვანაირად მიყურებს. „შენ გულში ავი რამე არ გაივლო, თორო იქნება თავზე დაგათვალო ე ალუმინი ლამბაქებიმეთქი“. „რას იკბინებიო, განა შენზე ნაკლები ბიჭი ვარ. მერე რა, რო შავი ვარ, ი შენ რჩეულ თამაზასა თბილისში შენნაირი სხვაც ბევრი ეყოლებაო. განა მე შენზე ნაკლებ გამიტყდება სახელი, ხვალ დილით მთელი თელავის თვალწინ აქედან რომ „უნდა გავიძურწო ფიცმიღებული, ჯარმოვლილი კაციო“.

ლ ო პ ე (სიცილით სული ეხუთება) – აბა, ოინი ეგ არი!

მ ა ყ ვ ა ლ ა – ყველაფერი ბედია. გავხედე კიდევ ერთხელ და უნდა ვთქვა, არც ისე შავი მომეჩვენა ჩემი სანდალა, იქნებ ბედი ეგ არი-მეთქი, იქნებ ღმერთმა ეგ გამამიგზავნა და ახლა რომ ხელი ვკრა, რა ვიცი, იქნებ მამაზეციერმა სულ ჩაიქნიოს-მეთქი ხელი ჩემზე.

იატაკზე გავშალეთ, ქა, ოთხფა ბრეზენტი და თვალის მოსატყუებლად წამოვწექით. ორივეს მაგრადა გვაქვს გადაწყვეტილი, არაფერი გავბედოთ, მაგრამ ნავთი და ცეცხლი ერთად ვის შეუნახნია. „რას შვრები-მეთქი, სანდალ (საქმე საქმეზე რომ მიდგა), ჩემ ცოდვაში არ ჩადგე, იცოდე, თავს მოვიკლავ მეთქი“, ვბუტბუტებდი პირმკერდზე ალმოდებული. „ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლე, კაცი ვარ, განა ნადირი

ვარო. ჩემი ხარ, მორჩა და გათავდა, შენს მეტი სიკვდილამდე არავინ მინდაო“.

ეგრეც რომ არ ეთქო, აღარც მე მქონდა მეტის თავი და აღარც იმასა. მოსახდენი მაინც მოხდებოდა.

...პირველი ბავშვი მალვინას მოვანათვლინეთ.

რ ე ზ ო (სიცილისაგან მოგვრილი ცრემლი მოიწმინდა) – აგაშენათ ღმერთმა, კარგა ხანია, ამდენი არ მიცინია.

მ ა ყ ვ ა ლ ა – ეგრეა და რა ვქნა. იმ დღეი, სანდალამ რო ეგ ოხრადდასარჩენი ასი ლარი მამცა, თან დააყოლა, მაყვალ, კარგად გამაიკარ ცხვირსახოცში, არსად დაგეკარგოი, ხომ იცი, ორი თვე ეგ უნდა გვეყოსო. მეც გავიფიქრე, ქა, სხვა დროს არ უთქვამს, ახლა რა ბუზმა უკბინა-მეთქი. როდის იყო, ფულსა ვკარგამდი. შენ ფიქრი ნუ გაქვს, ე მანდ სხვისი დაკარგული არ ვიპოვო-მეთქი. ისე ვუთხარი, სიტყვის მასალადა. ცხვირსახოცში მაგრად გამავჰკარ და კაბი ჯიბეში ჩავიდე. პლაში ჯიბეი მოვერიდე, მაინც გარეთა ჯიბეა, ვინმემ ხელი არ ჩამიყოს-მეთქი. პურზე გაველ. ჯიბეში ორმოცდაათთეთრიანი მქონდა. პური ვიყიდე. და შინ რომ დავბრუნდი, მემაწვნე დამხვდა კარებთანა. ვიფიქრე, ბარემ ბავშვებ მაწონს ვუყიდიმეთქი, ჩავიყავ ხელი ჯიბეში, პირკატა მეცა. სადღაა ფული. გაშტერებულ ქალს მაწონი მივუგდე, ასი ლარი დავკარგე-მეთქი. კიბე გულხეთქვით ჩავირბინე. პური მაღაზიაში შავვარდი – აქა ფული ხომ არ ამამვარდნია-მეთქი. საქმეში ხარ? აქ ქალაქია, ჩემს უტვინო თავს ვეუბნები, კიდეც რომ ენახათ, ვინ გამაგიჩენდა-მეთქი. სახეშეშლილი მოვადექ ლიფტსა და აგერაც თქვენი მტრედივით განცხადებაი; ფული ვიპოვე და ვინც დაკარგა, დროულად მამაკითხოსო.

რაც თქვენა გლოცეთ, ბატონო რეზო, და (ლოპეს შეხედა) თქვენცა.

ლ ო პ ე (იცინის) – ცხვირსახოციანად დაკარგეთ?

მ ა ყ ვ ა ლ ა – ოღონდაც ცხვირსახოციანადა, თუმცა ცხვირსახოცისთვის ვიღასა სცხელა.

ლ ო პ ე (სიცილს ვერ იკავებს) – საქმე ის გახლავთ, რომ ბატონმა რეზომ უცხვირსახოცოდ იპოვა.

მ ა ყ ვ ა ლ ა – ეგ როგორ... თუმცა... განა მახსოვს, იქნებ ცხვირსახოცი მე თვითონ გავხსენი. მაშ, ეგრე ხომ არ იქნებოდა. მპოვნელს ცხვირსახოცი წაეღო და ფული ქვაზე დაედო. ცხვირსახოცს თქვენი ჭირი წაუღია.

(ამასობაში კარებს მოადგა თმაბურძგლა რუსი – პეტია. ყველაფერზე ეტყობა, რომ ლოთია, ქართულს კარგად ლაპარაკობს, ოღონდ შესამჩნევი რუსული აქცენტით. ზარი დარეკა. რეზომ გაუღო. ლოპე და მაყვალა იქვე, ახლომახლო დასხდნენ მაგიდასთან).

პ ე ტ ი ა – გამარჯობათ.

ლ ო პ ე – ვახ, პეტია? შენ რა, დაბრუნდი?

პ ე ტ ი ა – დავბრუნდი, კანეშნო.

ლ ო პ ე – აკი წახვედი, გამოგვემშვიდობე.

პ ე ტ ი ა – არა, ძმაო, მე უსაქართველოდ ვერ ვიცხოვრებ. რა მინდა იქანა. ჩვიდმეტი რომ გავათავე და წამევედი რიაზანიდან, მას მერე მშობლებისთვის წერილი არ მიმიწერია. ჩევედი ახლა. დედაჩემი ქე გათხოვილა, წაყოლია ვიღაცა პრავადნიკს. მამაჩემი ცოცხალია, მარა რათ გინდა. დილას ქე მცნობდა და საღამოს ვერა. ნუ წევხარ აქანაო, ერთ-ორჯერ გასალახავადაც წამეიწია. შვილი ვარ შენი, მე ვუთხარი. ამხელა შვილი არ გამიგონია მეო. შვილი თუ ხარ, მეცი პატივი და დამალევიე, თვარა და წაი შენს გზაზეო. ავდექი და წამოვედი.

რ ე ზ ო – კი მაგრამ, თქვენ ცოლიც გყავდათ, როგორც მახსოვს.

პ ე ტ ი ა – კი მყავდა, მარა სანამ წავიდოდი, მანამდე დავშორდით ერთმანეთს. ტაბურეტის პინგპონგს ვერ გოვუძელი ყოველდღე. ამ ბოლო ცოლმა ტამბოველი გოგო იყო, ასე არ გინდა შენო და თვითონაც დაიწყო სმა. თუ ერთნაირად ვიყავით მთვრალები, არაფერი, მტრედებივით ვეწყობოდით ერთმანეთს, მაგრამ, თუ ჩემზე მეტს დალევდა, მტრისას, პირიდან ვეზუვის ვულკანი გადმოსდიოდა. მკრა პანღური ერთ მშვენიერ დღეს და გამომაგდო. ჩვენ შორის დარჩეს და მეც ეს მინდოდა. კაცი შენთვის უნდა იყო მარტო. ადამიანი მარტოობისთვის არის გაჩენილი. ბოლობოლო ყველა მოსაწყენია, შენიანიც და სხვისიანიც.

აქანა ვუყვარვართ ძალიან და მაფასებენ. ასეთი დაფასება ტყუილია, მე არსად არ მექნება. იქეთ, ჩვენკენ, ვინ ჩამაგდო ძაღლად, ვინ მოგხედა, გაგიგონია? ას გრამს არ დაგალევინებს არავინ. მთელი დღე რომ უწრუწუნო. რატომ დაგალევინებს, კაცმა რომ თქვას, იმას იმ ასი გრამი არყის შოვნისათვის, ნაღველა აქვს ჩაქცეული ოჩერედში. ყელი მიშრებოდა, კინაღამ გარიაჩკა არ დამემართა. ბარე ორს ვსდიე თუ ქუჩაში და თუ სადგურში, ხომ ჩემი ხალხია, ჩემი სისხლი და ხორცი, შენ არ მომიკვდე. რაც მართალია, მართალია, აქანა იციან კაცური კაცის დაფასება.

ლ ო პ ე – დალევის გაგებით ამბობ?

პ ე ტ ი ა – დავაკაკუნებ რომელ კარებზეც გინდა და, ნიძლავს ჩამოვალ, ყელის გასასველებელი თუ დამამადლოს ვინმემ. რაიო? შენ გიცნობენო. ესეც არი, რასაკვირველია, მარა აქანა მაინც სულ სხვაა. სხვა ხალხი

ცხოვრობს. უცნობი იყავი თუ გინდა, დააკაკუნე კარებზე, ვინც გაგიღებს, იმის თვალწინ პირჯვარი გადაიწერე, ოჯახის კარგად ყოფნა უსურვე და პირდაპირ სთხოვე: შენი სადღეგრძელო დამალევინე, ასი გრამი, თუ არ გეწყინება-თქვა. შეტრიალდება ხელად და მეორე გამოსვლაზე ჭიქა-ბოთლით ხელდამშვენებული გამოდის. თუ შეყოყმანდა პატარა (ხომ არიან იშვიათად ამნაირები); იმწამსვე უნდა აჯახო, დღეს გამევედი ციხიდან, კაპიკის მოხერხებას არა ვართქო, არ უნდა მეტი ლაპარაკი. ფულსაც გაჩუქებს, დალევითაც დაგალევინებს და, შეიძლება, იტიროს შენთან ერთად. საწყალი გულის პატრონია აქაური კაცი. ნამეტანი შებრალება იცის ადამიანიშვილის.

რ ე ზ ო – ნამეტანი. ეგეც არის ჩვენი უბედურების მიზეზი.

პ ე ტ ი ა – შენ არ გეგონოს, ეშლებოდეს რამე ამ ქალაქს. მეც ბევრი კარგი გამიკეთებია, ჩემნაირები კალოზე ბზედ არ ჰყრია, იცოდე შენც. სანამ სმას დავიწყებდი, ხომ ვმუშაობდი და ვმუშაობდი, ახლა ბაზარში ვარ დილიდან საღამომდე. მიყვარს ბაზარი. დღიურ მუშად ვიარე კარგა ხანს, მაგრამ, ჯერ ერთი, არ მიყვარს ფიზიკური მუშაობა, მალე ვიღლები და, მეორეც, რამეს რომ ვერ გაუკეთებ კაცს მოსაწონს, თავს გაგიტეხავს – შე შობელძაღლო, თუ ფინაჩი იყავი და არაფერი იცოდი, გეთქვა თავიდან, ისე, ტყუილად გაჩუქებდი ამ ფულს, ეს მასალა მაინც რაზე დამიოხრეო. ბაზარში ერთი-ორს წავუკრავ-წამოვუკრავ კაცს ხელს და ე „პოლიტრის“ ფული ქე არის. მეტი მე არ მინდა. კაცი ვარ და იმიტომ მაფასებენ-მეთქი, რომ გითხარი, თავის ქებაში არ ჩამომართვა. პატივს ვცემ ყველას, რაც შემიძლია. მენდობიან ეგენიც. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა – ბაზრიდან კაცს

მთელი ჩანთა სანოვაგე გამოუტანებია. მისამართი უთქვამს მარტო და ფეხის ქირა უფეშქაშებია. ზოგს სახეზე ვიცნობ, სახელიც არ ვიცი. „პეტია, მიიტანე ეს, ამა და ამ მისამართზეო“, მიაქვს პეტიას, ფიქრში არ გამივლია, ამოვაკლებ რამეს, რას გაიგებს, ან დავითესები მთლად-თქვა. ყოფილა ღვინოც, ან რაც მთლად გადასარევია, არაყიც გაუტანებიათ, რავარი მისატანია არაყი სხვასთან. წელში წყდები, ისე გინდა დალევა, სუნი ცხვირში გიღიტინებს, ერთი ყლუპი მოგნათლავს კაცს, მაგრამ არა! მიბარებული მგელმაც შეინახაო. მივუტან კაცს, მე ჩემსას გავაკეთებ და მერე თუ დაგალევინებს, დაგალევინებს. თუ არა და ფული ხომ მოცემული აქვს, წადი და შენ დაურტყი ორასი, რას ემართლები. ასე ვცდილობ, რუსი კაცის სახელი არ შევარცხვინო.

(რეზომ კარადიდან არაყი, პური და ყველის ნაჭრები გამოიტანა. დაუსხა ყველას. მაყვალამ იუარა. რეზომ, ლოპემ და პეტიამ ჭიქები აიღეს).

რ ე ზ ო – მიირთვით. აბა, გაგვიმარჯოს!

პ ე ტ ი ა – ეს მწარეა, თქვენ სიტკბო არ მოგიშალოთ. რაზე მევედი ახლა, გაგიკვირდებათ.

ლ ო პ ე (იცინის) – ფულს დაკარგავდი, ას ლარს (იცინის).

პ ე ტ ი ა – შენ რა იცი?

ლ ო პ ე – ვხვდები.

პ ე ტ ი ა (რეზოს მიმართავს) – ჩიმჩონია ხაბურძანიასთვის მქონდა მისესხებული. გუშინ დამიძახა: გამეიარე ჩემთან, შენი ვალი უნდა დაგიბრუნოვო. (აშკარად ეტყობა, რომ ნერვიულობს. დაისხა და კიდევ დალია) არ მეჩქარება, მე ვუთხარი. იყოს შენთან, დავთვრები და დამეკარგება საღაცა, მე ვუთხარი. არაო. ვალში

მყოფი კაცი და წყალწაღებული ერთია ორივეო. ვალი ვნახე ამოდაგული, ვალი მინდა მეო?! ჯერ ერთი, ნერვიულობ, ვალი რომ გაქვს სხვისიო. მეორეც, ღებულობ სხვისას და აძლევ შენსასო, ღებულობ დროებით და აძლევ მუდმივადო. ფულის სესხებაზე რომ ვარს გეტყვის კაცი, იმის მადლიერი უნდა იყო და ვინც გასესხებს, ისაა შენი მტერიო. არ იცი, რავარი ლაპარაკი იცის ჩიმჩონიამ? მომცა, ერთი სიტყვით, დამიბრუნა ასი ლარი. მე ვთქვი, არ შამემეხარჯოს, ან არ ამომივარდეს ჯიბიდან, ავალ და სახლში შევინახავ უჯრაში-თქვა. სანამ ხაბურძანიების სახლიდან ჩემს სახლამდე მივიდოდი, ისე აგიხდა ყველაფერი კაი, რავარც მე ის ფული დავკარგე. ხანდახან ხალათის ჯიბეში, გარეთ გიდევს ხუთლარიანი, კაცი მთელ ქალაქს გამეივლი და არ დაგეკარგება. ხანდახან, ქერო გინდა თვალისჩინივით მოუარო, იმას დაკარგავ მაინცდამაინც. კიდევ კარგი, თქვენ გინახავთ. მე ვთქვი, ნეტავი ნამუსიან კაცს მაინც ექნებოდეს ნანახი, ვინმე უბედურნახევარმა არ იპოვოს და არ შეიტყაპუნოს ჩემი ასი ლარი-თქვა. ასი ლარი პატარა ფული კი არაა დღეს.

(ზარი. ლოპე კარისკენ გაიქცა ჭუჭრუტანაში გაიხედა. შეძრწუნებული სახით) – ქალბატონი აგრაფინა.

რ ე ზ ო (ლოპეს) – რომელი აგრაფინა?

ლ ო პ ე – მეშვიდე სადარბაზოში მდგმურადაა. ლტოლვილი მასწავლებელი ქალი. ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს ხუთი სული.

რ ე ზ ო (ჭუჭრუტანაში გაიხედა) – აჰა, ... ვიცი, ვიცი.

(კარი გააღო, ქალბატონი აგრაფინა დიდხანს იწმენდს ფეხს.

იგი ცოტა არ იყოს შემცბარია, რომ რეზოსთან სხვა სტუმრებიც არიან).

რ ე ზ ო – შემობრძანდით, არა უშავს... ნუ წუხდებით... არ გაიძროთ ფეხზე, ქალბატონო აგრაფინა... როგორ გეკადრებათ, მაინც დასვრილი მაქვს იატაკი.

(ფეხზე გახდა, როგორც იქნა, გადააფიქრებინა რეზომ. დაჯდა თუ არა ცალსპირალდამწვარ ელექტროღუმელს მიაჩერდა).

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ვარგა ეს, ათბობს?

რ ე ზ ო – ამ ოთახს ჰყოფნის გაჭირვებით. სხვას არ დავ-ეძებ.

ა გ რ ა ფ ი ნ ა– მაინც არ გათავდა ეს ზამთარი.

რ ე ზ ო – წინ ნასესხებია და სუბსარქისს რომ ეძახიან სომხე-ბი.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – იქეთ, ჩვენთან, სოხუმში თბილა უკვე. გამო-სულია ტყემალი. ჩემს ეზოში ახლა მუხლამდე იქნება ბალახი. ვინ გათიბავდა.

რ ე ზ ო – არ ცხოვრობს, ვითომ არავინ?

ა გ რ ა ფ ი ნ ა – არ ცხოვრობსო, მითხრეს, რა ვიცი, ტყვილ-ია, მართალია. სახლი დამწვარია და დამწვარ სახლში ვინ იცხოვრებს. სახლების მეტი რა არის.

რ ე ზ ო – ეჰ, ძალიან გაგრძელდა. გაჭიანურდა ყველაფერი.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ნერვები მეშლება, ყოველდღე სოხუმის ამინდს რომ გვიცხადებენ. დამცინი, შე კაი კაცო? ექსკურსიაზეც ვერ ჩავდივარ ჩემს ქალაქში და გულ-ზე გასახეთქად ამინდს მატყობინებ?

რ ე ზ ო – რა საშინელებაა. სულ მინდა წარმოვიდგინო და მიჭირს. ალბათ, სიზმრები გტანჯავთ.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – გულახდილად გეტყვით, პატივცემულო, რომ მცოდნოდა, ამდენხანს მოგვიწევდა ლტოლვი-ლობა, თუ რას ეძახიან ჩვენ მდგომარეობას, არავი-თარ შემთხვევაში არ გამოვიქცეოდი. ვიქნებოდი იქ და რაც მომივიდოდა, მომივიდოდა. დაგვხოცავდნენ და დაგვხოცავდნენ – მეტი ხომ არაფერი. იქვე, ჩემს ეზოში, სადმე მივიმალებოდი და ერთ ქვას მაინც ვდრუზავდი ზურგში გადამთიელს.

მ ა ყ ვ ა ლ ა – ქა, მაინც ინგრე როგორ დაგაშინათ. ასე ცხვა-რივით როგორ გამამწკრივდით სამასი ათასი კაცი. სხვა სხვის ომში ბრძენიაო, მაგრამ განა რა შიშის ფელენჯი გეცათ ეგეთი.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – რუსის ტანკი მოდიოდა, ქალბატონო. რუსი გვკლავდა. დაუდექი, აბა, რუსის ტანკს.

პ ე ტ ი ა – არც ეგ არაა მთლად საბუთი, ქალბატონო. რუსის ტანკი შევიდა ჩეჩნეთშიც, მარა ასროლიეს კუდით ქვა.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ეჰ, ახლა ქე ვხვდებით, ბატონო, ახლა ბევრ რამეს ვხვდებით, მაგრამ გვიანია, სამწუხაროდ. მე რა ვიცოდი, რა ნელ ცეცხლზე ხარჩვა ყოფილა გამოქცეულის და ხიზნის მდგომარეობა. რანაირადაც არ უნდა ეცოდებოდე, ასე კი არ გიყურებს ის კაცი. შენც გეტყოდნენ, ალბათ, ჯერ თუ ვერ გაგიბედეს, აწი გეტყვიან: ჩვენ ბევრჯერ გაგვაგონეს და იმიტომ ვამბობ, მე კი არ მომიგონია, ეს ჩემი ორი ობოლი მომიკვდეს მაშინ. რამდენ ხანს შეიძლებაო სასტ-უმროში მაგნების ყოფნაო. დააოხრეს ეს ძვირფასი სასტუმრო, ადამიანს აღარ შემოესვლება, რა არის ბოლოს და ბოლოს.

ვისაც ამ სასტუმროს ფოიეში თვალგამოღამებულს და ხელგაწვდილს უხაროდეს ჯდომა, შინ მიბრუნება არ აღირსოს გამჩენმა, მარა ვინ იცოდა, ვის უნდოდა ეს.

ر ე ზ ო – ერთი თუ ქალი ხართ, გამოქცევის ამბავი ზუსტად გვიამბეთ.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ჩემი ქმარი და სიმამრი ეზოში ნარდს თამაშობდნენ, სროლა რომ ატყდა. შეიყვანე ბავშვები სახლში და ჩაკეტე შიგნიდან კარები. არ შეგეშინდესო, ამის დაძახება მოასწრო სიმამრმა და იქით გაიქცნენ ორივენი, ა ზევით, რუსთაველის ქუჩაზე, მერე მე ისინი თვალით აღარ მინახავს. დახოცილები იქნებიან და ჩაყრილი სადმე, რად უნდა ამას ლაპარაკი. მიჩერებული ვარ დღემდე ტელევიზორს, ეგება, სადმე მოვკრა-მეთქი თვალი ან ერთს, ან მეორეს (დედამთილი არ მყავს. ჩემ მოყვანამდე გარდაიცვალა ცხონებული) მეტი არაა ჩემი მტერი, მე ისინი ველარ ვნახო. ერთი უნდა გითხრათ კიდევ, რა გაუჭირდა ჩვენს მთავრობას, შვიდი წელია, ნუთუ ერთი სურათი ვერ გადაუღო გაგრას, ტელევიზორში ერთი წამით მაინც რომ ეჩვენებინა. აქ თვალით მნახველი არავინაა, ვატყობ სახეზე; ზოგი ამბობს – ყველა ქართველის სახლი დაწვესო, ზოგი – ყველა არაა დამწვარიო. ვკითხულობ, სიტყვაზე მაგალითად – შეიძლება სამი წელი ვერ გაიგო ადამიანმა სახლი დამწვარი გაქვს თუ არა?

ამდენი ხნით კი არა, მე მგონია, სამი-ოთხი საათით გავრბივართ, დამთავრდება ეს ჩხუბი და მოვბრუნდებით უკან, ჩვენ ვინ რას გვერჩის-მეთქი.

იმას ვყვებოდი: ჩავკეტე ბავშვები სახლში. ვარ ყურმიდებული კარებზე. ისმის სროლა და გრუხუნი შორს. შორს მეგონა მე და აგერ ყოფილა ყურისძირში.

დამიბრახუნა მეზობლის ქალმა: აგრაფინა, გამოდით სასწრაფოდ, გამოიყვანე ბავშვები. მოვიდნენ უკვე; გავრბივართ ყველანიო.

არიქა! არიქა! საით გავიქცეთ, რა წავიღოთ, საიდან მოდიან?! ვსტაცე ხელი ვითომ, რაც მომხვდა ხელში. დავრბივართ გადარეულივით. დამსდევენ ბავშვები. ბიჭი შვიდისაა, გოგო – ხუთის. ყველი და პური ჩავიგდე ტომსიკაში. ბავშვებმა იციან მოშივება და სანამ მოვბრუნდებოდეთ, ვაჭმევ-მეთქი.

გავაღე ჭიშკარი. გარბის ხალხი ტკაპატკუპით. ჩანთები, ჩემოდნები, ხურჯინები მიაქვს ზოგს. შემოვტრიალდი, საქათმე გავაღე და გამოვუშვი ქათმები. ისე, ა, დაბნეული რომ იქნები, თორემ რამ გამახსენა ქათმები.

ჩქარა, ჩქარაო, ყვირიან მეზობლები და უკან იყურებიან, იქით, ქუჩის ბოლოში, ორ-სამ ადგილას ცეცხლი ავარდა.

რას წამოიღებ. შევირბენ სახლში, შევფუთავ ტანსაცმელს, მივირბენ ჭიშკრამდე. რად მინდა ეს ტანსაცმელი-მეთქი. მოვირბენ უკან. გადავყრი ტანსაცმელს, ჩავყრი ფუთაში ხახვს, ყველს, ნიორს... ვის უნდა ნიორი, სადაც მივალთ, იქ ექნებათ-მეთქი, მოვტრიალდები, ისევ მოვხვეტავ რაღაცას. ყველა ოჯახშია ცოტა რამე. პუდრი მედო სარკესთან და ის წამომიღია, მე სულელს, ერთი-ორი ბეჭედი მქონდა და ორი კაპიკი ფული – დამიტოვებია და პუდრი წამომიღია. ასე იცის შიშმა და სიჩქარემ.

მოვრბივართ მგლის დაფეთებული ნახირივით. კვნესის ეს გოგო. თან პლაშის ქვეშ რაღაცას მალავს. რა არის-მეთქი, გოგო, ეს? ლეკვი გვყავდა, ბროლია, სამი თვის არც იყო ჯერ, ამოუიღლიავებია და მოათრევს. გადააგდე ახლავე, შე არდასაცალებო, ლეკვის თავი გვაქვს ახლა ჩვენ-მეთქი! დავუცაცხანე და ქიჩავ-ქიჩავით გადავაგდებინე, რავარც იქნა. მისი სახე

რომ გენახათ, მაშინ სასურათე იყო პირდაპირ. ისეთი იღრიალა, მოუკვდეს დედა, რომ შემეშინდა, პირი არ გაეხეს-მეთქი.

დღემდე ვერ მოუნელებია. დღემდე იმ ლეკვს მისტირის. ლამაზი კი იყო საწყალი.

ქუჩის პირას გაზონში დავსვით, მარა იქ ხომ არ გაჩერდებოდა, ვერც სახლში მობრუნდებოდა, პატარა იყო.

ნახავდა ვინმე და წაიყვანდა, ან, შეიძლება ფეხიც კი დააბიჯეს და გასრისეს სირბილში და რია-რიაში.

მ ა ყ ვ ა ლ ა – თქვენი ცოდო მიეცეს, ვინც თქვენ ამ დღეში ჩაგაგდოთ.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – დაბნეული ვარ, რაღაც, ამ ბოლო დროს. შეიძლება სიცივის ბრალიცაა. უწინ ისე მობილიზებული ვიყავით, რას დავკარგავდი, სხვას ვაფრთხილებდი პირიქით. გადასახურდავებლადაც მიმქონდა. ჩემი ფული მაინც ყოფილიყო. რაცხა ჭირად ლატარიის თამაში წამოვიწყეთ სკოლაში. მეგონა, ტროლეიბუსში ამომაცალეს-მეთქი. რომ წავიკითხე, სიხარულით ცას ვეწიე. ასი ლარისთვის, კაცმა რომ თქვას, კი არ ჩამომახრჩობდნენ, მაგრამ მაინც როგორი საქმეა სხვისი ფული. უწინ ასეთი შემთხვევის დროს შეგიგროვებდნენ, ახლა ვინ შეგიგროვებს, ყველას თავისი უჭირს დღეს...

რ ე ზ ო – ოღონდაც... ოღონდაც... ეს დაბნევა და არეულობა დრომ მოიტანა... ეკონომიურმა სიდუხჭირემ (ფილოსოფოსობს რეზო), ხელისუფლების ბრალიცაა. თქვენ მარტო როდი ხართ ასე. საერთოდ, დაბნეული ვართ ყველა. ამ დილით ბონდო შარიას ასი ლარი დაუკარგავს. ხომ იცნობთ ბონდოს, მეხუთე სადარბაზოში ცხოვრობს.

ა გ რ აფ ი ნ ა – გამიგია, კი (განზე გაიხედა, ღაწვები შეუთეთრდა).

რ ე ზ ო – ახლა იყო. ათი წუთია წავიდა. პურზე გავედი და კიდევ კარგი, მე ვიპოვე. მაშინვე განცხადება გავაკარი. რაც მე ბონდომ მლოცა, ფული რომ დავუბრუნე. ასი ლარი ცოტა ხომ არ არის.

(აგრაფინა წამოდგა. თავშალი მკლავებში ჩაიხვია).

რ ე ზ ო – სიფრთხილეს თავი არა სტკივა-მეთქი და წვრილად გამოვკითხე: რამდენიანი კუპიურები იყო-მეთქი. ზუსტად რომ არ ეთქვა, არ მივცემდი. ეს ეჭვიც, უნდობლობაც დრომ მოიტანა, ხომ მართალია, ქალბატონო აგრაფინა?

ა გ რ აფ ი ნ ა – სწორია... წავედი... კარგად ბრძანდებოდეთ.

რ ე ზ ო – გნებავთ რამე, ქალბატონო აგრაფინა?

ა გ რ ა ფ ი ნ ა – არაფერი... ისე შემოვედი... სინათლისას რას ამბობენ, ხომ არ გაგიგიათ?

რ ე ზ ო – ტრანსფორმატორიაო გადამწვარი, დარბის გლურჯიძე, გამოცვლიან ამ დღეებში.

(აგრაფინამ თავშალი მოიხურა და ნელა, გამშრალი სახით გააბიჯა კარებისკენ. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს პანაშვიდზე არიან მოსულებიო, სტუმრები სათითაოდ მიდიან რეზოსთან, ხელს ართმევენ და მძიმე ნაბიჯებით მიდიან. რეზო მაგიდასთან მივიდა მაყურებლისგან ზურგით დგას. ფიქრობს. მერე სწრაფად შემობრუნდა. კარების თავზე ჩამოკიდებული წარწერა ჩამოხია, დაჭმუჭნა და კუთხეში მიაგდო. ზარი. რეზო უსიამოვნოდ შეიშმუნშნა, მაგრამ მაინც გააღო. კარებში სტუდენტი ყმაწვილი დგას. ჯინსიანი)

ს ტ უ დ ე ნ ტ ი – გამარჯობა, ბატონო რეზო.

რ ე ზ ო – იცოცხლე.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი – დაჭამეს ერთმანეთი ლეიბორისტებმა და სოციალისტებმა.

რ ე ზ ო – დარდსაც მაგაზე გადაუვლია.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი – რავა იქნება, თუ იცით საქმე, არ ჩაგვიწერენ პასპორტში ქართველს?

რ ე ზ ო – ძალიან გინდათ?

ს ტ უ დ ე ნ ტ ი – ახლა თავს არ მევიკლავთ და თუ ჩაგვიწერენ, კარგი იქნება.

რ ე ზ ო – თუ ეგრეა არ ჩაგიწერენ.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი – (პაუზის შემდეგ) – როგორაა საქმე, ბატონო რევაზ, გამოუჩნდა პატრონი იმ ას ლარს?

რ ე ზ ო – არა, შენ წარმოიდგინე...

ს ტ უ დ ე ნ ტ ი – მე გეტყვი ერთს, ბატონო რევაზ. მაგას აწი პატრონი აღარ გამოუჩნდება და აღარ ღირს ლოდინი. თქვენთვის გამოუგზავნია მაგი ღმერთს და მოიხმარეთ, როგორც გაგეხარდებათ, ისე... რა შუაში ვარ, მარა თუ მომცემთ იმ ასიდან ოც ლარს, მადლობელი ვიქნები ძალიან. დღეს მესამე დეპეშა გავუგზავნე მამაჩემს, ფულს მიგვიანებს. პურს ვერ ვყიდულობ.

(რეზოს ხმამაღლა გაეცინა).

რ ე ზ ო – ვინ მომცა ასი ლარი, ბიჭო, მე.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი – რავა?

რ ე ზ ო – ვიხუმრე, შე კაი კაცო. მართლა კი არ მიპოვია. ვიხუმრე და ახლა ძალიან ვნანობ.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი (ჯერ დაფიქრდა, მერე გაეღიმა) – კარგი რა, ბატონო რევაზ, ვგავარ ახლა ისეთ სულელ ბაღანას მე რომ მაგას დავიჯერებ? სახუმაროს მეტს ვერაფერს ნახავდი შენისთანა ჭკვიანი კაცი? თუ არ გამაწბილებ და მომცემ იმ ასიდან ოც ლარს, ძაან გამეხარდება. რომ ძალიან არ მჭირდებოდეს, არ გეტყოდი. შენ ოთხმოცი ლარი დაგრჩება. ოთხმოცი ლარი ცოტაა? ე, მე ვერ ვპოულობ ვერაფერს ეს ოხერი. იღბალი მაქვს ასეთი.

(რეზო შეცბა. არ იცის, როგორ მოიქცეს. ხვდება, რომ სტუდენტი სიმართლეს არ დაუჯერებს, ამიტომ უჯრა გამოსწია და სტუდენტს ათლარიანი გაუწოდა).

რ ე ზ ო – ა, ბატონო, მეტი არა მაქვს, თორემ მეტს მოგცემდი. ისე, გულს ნუ გაიტეხ, იპოვი აუცილებლად, იპოვი შენც. სხვათა შორის, მეც პირველად ვიპოვე ცხოვრებაში.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი – გმადლობთ (გამოართვა და კარებისაკენ წავიდა. თითქოს რაღაცას მიხვდა, მობრუნდა და ფული გაუწოდა)

რ ე ზ ო – წაიღე, წაიღე, შენია.

(სტუდენტი გაიქცა).

მესამე სურათი

(ელვა-სინათლეთა ათინათი ერთმანეთს ცვლის. გაისმის ულტრამოდურ-ექსტრავაგანტური რიტმიანი მუსიკა, ისეთი, როგორიც შეიძლება გაისმოდეს ოცდამესამე საუკუნეში. სხვადასხვა ფერის პროჟექტორთა შუქი დროდადრო გაანათებს ავანსცენის თავზე დაკიდებულ უზარმაზარ წარწერას: „ხვალ“. წარწერის ქვემოთ უფრო მცირე ზომის წარწერა ჰკიდია: „2296 წელი 5 თებერვალი“. ნელნელა ნათდება საკონფერენციო დარბაზი. ერთმანეთში არეული კომპიუტერები, რობოტები, ხმაური, აპარატურის სისინი, ღრჭიალი. სხვადასხვა ხმები. მუსიკა. სხვადასხვა ფერის ნეილონიზოტოპურ ქსოვილებში გამოწყობილი ადამიანები – ჟურნალისტე-

ბი. ისინი მოშვებულად სხედან ახლაც. მხრებზე, ყურებზე რაღაც აპარატები უკეთიათ. მაგიდის მსგავს ყუთს უზის ახალგაზრდა, მწვანეთმიანი, ულვაშა კაცი. გვერდით უზის მეოცე საუკუნის მოქალაქე – პავლე კვერნაძე. პავლე ისეა ჩაცმული, როგორც დღეს საშუალოზე დაბალი შეძლების ინტელიგენტი. პრესკონფერენციას წყვეტილი ზარით და გონგზე ჩაქუჩის დარტყმით ხსნის ზემოთ ნახსენები მწვანეთმიანი, უულვაშო კაცი, სახელად კოკო).

კ ო კ ო – ბატონებო, მოგეხსენებათ, დღეს 2296 წლის 5 თებერვალია. უჩვეულო პრესკონფერენციაზე მოგიწვიეთ. ჩემ გვერდით ზის მეოცე საუკუნის მოქალაქე, ბატონი პავლე კვერნაძე. როგორც მოგეხსენებათ, მან ზუსტად სამასი წლის წინათ, სწორედ ამ დღეს, ხუთ თებერვალს, თბილისის სამუნიციპალიტეტო თბოლაბორატორიას მიმართა განცხადებით: „გთხოვთ, გამყინოთ და სიცოცხლე დამიბრუნოთ მხოლოდ მაშინ, როცა დედასამშობლო იქნება ერთიანი და განუყოფელი, საქართველოში აღარ იქნება არც ერთი რუსის ჯარისკაცი, შეუძლებელი იქნება არჩევნების ფალსიფიცირება, აღარ იქნება შიმშილი და ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდება. ლიფტს ექნება ჩვეულებრივი კარები და დამთავრებული იქნება პრივატიზაცია“. ბატონი პავლეს შეთბობა-გაცოცხლება აქამდეც შეიძლებოდა, მაგრამ მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრები შეთანხმებულნი არ იყვნენ ბოლო პუნქტზე – საქართველოში პრივატიზაციის თავისებურებებზე და მისი დამთავრების რეალურობაზე. ვთხოვთ რესპოდენტს, ნუ გადავღლით, რადგანაც იგი უნიკალური შემთხვევაა, ოცდამესამე საუკუნისთვის და, რასაკვირველია, სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება! შეკითხვები იყოს, შეძლებისამებრ, მოკლე და ბუნდოვანი!“

(ადგილიდან წამოხტა თავგადახოტრილი ჩოხა-ლეკვერთხებიანი ჟურნალისტი ქალიშვილი და ხელი ასწია).

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – უკაცრავად, გაყინვაში ფული გადაიხადეთ?

პ ა ვ ლ ე – არა, ბატონო, უფასოდ გამყინეს.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – ტანსაცმელიც იმ დროისა გაცვიათ?

პ ა ვ ლ ე – ზუსტად. ყველაფერი, როგორც სამასი წლის წინათ მეცვა. ჯიბეში პურის ტალონი მედო, ისიც ხელუხლებელია. ერთადერთი – ავტოკალამი აღარ წერს. ვერ გეტყვით, რა მოუვიდა.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – ლიფტის კარებზე წერთ თქვენს განცხადება-ანდერძში. ცოტა არ იყოს, გაუგებარია, იქნებ აგვიხსნათ.

პ ა ვ ლ ე – იცით, რანაირი კარები ჰქონდა ჩვენს დროს ლიფტს? გახსენებაც კი ტანში მზარავს. ავტომატურად იღებოდა, თუ ვერ შეასწრებდი, უკეთეს შემთხვევაში ფეხს მაინც მოგტეხავდა. მერე ავტომატურად იხურებოდა კარები და, თუ დენი გამოირთვებოდა (რაც ხშირად ხდებოდა), ან ავტომატი მოიშლებოდა (რაც უფრო ხშირად ხდებოდა), რჩებოდი ცოცხლად დამარხული ლიფტის სარკოფაგში. შენს განწირულ კივილ-ბრახუნზე მოცვენილი მეზობლები დანა-ჩანგლებით, იატაკის საწმენდი ჯოხებით და დაჟანგული (გასაგებია რატომაც) შამფურებით ამაოდ ცდილობდნენ ლიფტის კარის გაღებას და შენს გამოყვანას.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – რა საშინელებაა! (ამოიგმინა ჩოხა-ახალუხიანმა თავგადახოტრილმა ჟურნალისტმა ქალმა და მინი-მაგნიტოფონის საპოვნელასხელა ღილაკს თითი დააჭირა).

კ ო კ ო – შემდეგი!

(ბოლოსწინა რიგიდან აქლემისპირიანმა, მაღალმა, ზებრისსვი-

ტრა ჟურნალისტმა კაცმა მიკროფონს წამოუდგომლად დაუმიზნა მაგნიტის ნალი. მიკროფონი მისკენ გასრიალდა).

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – რუსის ჯარისკაცს რა უნდოდა 1996 წლის თებერვალში საქართველოში? თქვენ ხომ დამოუკიდებელი ქვეყანა იყავით?

პ ა ვ ლ ე – არა, ბატონო, ოდნავ დამოუკიდებელი ჩვენ ვიყავით 1990–93 წლებში. ისიც მოჩვენებით დამოუკიდებლობა იყო. რუსეთი დამოუკიდებლობანას გვათამაშებდა მსოფლიოს თვალში. მერე დამოუკიდებლობის თამაშში მწევრების დაჭერილი მელიის არ იყოს, ჩვენი სოროსკენ რომ გავიწიეთ, არ მოეწონა და ტორი დაგვკრა.

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – მოიცათ, მოიცათ, საბჭოთა კავშირი ხომ დაშლილი იყო, იმპერია ხომ აღარ არსებობდა?

პ ა ვ ლ ე – არაფერიც არ დაშლილა, არ დაუჯეროთ, თუ რომელიმე ქარაქუცა ისტორიკოსი ამას ამტკიცებს. ჩემ დროს ერთი საათით არ გასულა დამპყრობელი რუსი საქართველოდან.

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – როდის გაგანებათ რუსეთმა საბოლოოდ თავი.

კ ო კ ო – ამაზე თუ შეიძლება, მე გიპასუხებთ, რადგანაც ბატონმა პავლემ შეიძლება, არ იცოდეს. რუსი დაპყრობილი ტერიტორიებიდან მთლიანად წავიდა 2015 წელს, როცა იმპერია საბოლოოდ დაინგრა. ბატონი პავლეს სიცოცხლეში კი რუსეთი საკმაოდ ძლიერი იყო და მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდა. იგი საშინელი სისასტიკით სჯიდა ქართველებს, ტაჯიკებს, აზერბაიჯანელებს... შეიძლება არ დაიჯეროთ, საკუთრივ რუსეთს მაშინ უზარმაზარი ტერიტორია ეჭირა იაპონიის ნაპირებიდან პოლონეთამდე და მოსახლეობით 250 მილიონს აღემატებოდა.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – არ გამაგიჟოთ?!

კ ო კ ო – დიახ, რუსი ისეთი სრულიადაც არ იყო, როგორსაც ახლა იცნობთ თქვენ – წყნარს, მშვიდს, გულუბრყვილოს. რუსეთი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დედამიწაზე ყველაზე აგრესიული სახელმწიფო იყო. იმპერიის დაშლის მერე თვით რუსეთმაც იწყო დაშლა და ახლა იგი, როგორც იცით, როსტოვის, ტულის და რიაზანის ოლქებსღა მოიცავს თხუთმეტი მილიონი მოსახლეობით.

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – თითქმის იგივე დამართნია, რაც მონღოლეთს დაემართა.

კ ო კ ო – უარესი.

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – ბატონო პავლე, საქართველოს მთლიანობაზე და განუყოფლობაზე ოცნებობდით, – განაგრძო აქლემისტუჩამ – რა მთლიანობაზეა ლაპარაკი?

პ ა ვ ლ ე (თავმჯდომარეს) – სანამ ვუპასუხებდე, მე თვითონ მაინტერესებს, თუ შეიძლება, მითხარით, რუსი რომ საქართველოდან გავიდა, საქართველოს ხომ არ წაეპოტინენ თურქეთი და ირანი, ან ჩრდილოეთელი პატარ-პატარა ფინია სახელმწიფოები ხომ არ აწკავწკავდნენ?

კ ო კ ო – ვინ გაბედავდა. რუსის წასვლის მეორე დღესვე საქართველო ნატოს წევრი გახდა. ნატოს წევრებს კი, მოგეხსენებათ, უზარმაზარი სამხედრო მანქანა იცავდა.

პ ა ვ ლ ე – ახლა, რაც შეეხება მთლიანობას. საქართველო არასოდეს არ ყოფილა ისე პატარა, როგორიც ჩემი გაყინვის დროს იყო. ჯერ კომუნისტებმა გამოიჩინეს გულუხვობა და ტაო-კლარჯეთი თურქეთს დაუტოვეს, ლორე სომხეთს აჩუქეს, საინგილო

– აზერბაიჯანს, მერე დარჩენილ საქართველოში გამოგონილი მინისახელმწიფოები – ე. წ. ავტონომიები შექმნეს. ბოლოს რუსეთმა 1993 წელს საქართველოს 25 ათასი კვ. კმ. ჩამოაჭრა – აფხაზეთი და სამაჩაბლო წაართვა.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – ესენგეში ხომ „თქვენი ნებით“ შეხვედით, არც მაშინ დაგიბრუნათ წართმეული რუსეთმა?

პ ა ვ ლ ე – მარტო ესენგეში კი არ შევედით, ოცდახუთი წლით ბაზები დავუთმეთ, რუსეთთან ცალმხრივ, მონურ ხელშეკრულებას რატიფიკაცია გავუკეთეთ და რუსეთისვე მითითებით საქართველო გუბერნიებად დავყავით, რა თქმა უნდა, ეს ხდებოდა ქართველი ხალხის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მარიონეტულ ხელისუფლებას ამ „უნაპირო სიკეთე-მორჩილებით“ სურდა, ემოქმედა ელცინ-გრაჩოვის პირსისხლიან რუსეთზე, არც ამან გაჭრა. სხვა უბედურებაც გვჭირდა იმ დროს. კომუნისტურმა და პროკომუნისტურმა ხელისუფლებამ საქართველო ინტერნაციონალისტურ უღობო ქვეყნად, სხვადასხვა ერთა თანაცხოვრების ლაბორატორიად გადააქცია. მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აზერბაიჯანში არ ცხოვრობდა არც ერთი სომეხი და სომხეთში – არც ერთი აზერბაიჯანელი. უპატრონო საქართველოში კი ოთხმოცამდე ეროვნების სხვადასხვა სტუმარი ჯიუტად იყო დამკვიდრებული. მათ შორის – ნახევარ მილიონამდე სომეხი, ოთხასი ათასი აზერბაიჯანელი და სამასი ათასამდე რუსი. ფაქტიურად საქართველო აღარ არსებობდა. იგი მსოფლიო დერვიშთა შესაკრები პუნქტი იყო.

კ ო კ ო – ეგ მართალია – 2075 წელს საქართველოს დემოგრაფიულ მოწესრიგებაში გაერო რომ არ ჩარეულიყო, სტუმარ ერთა წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა თავიანთ ქვეყნებში არ გაესახლებინა და ისტორიული წონასწორობა არ აღედგინა, საქართველოში ქართველები ეროვნულ უმცირესობას შეადგენდნენ.

პ ა ვ ლ ე – აი, რას ვგულისხმობდი, ბატონო, მე საქართველოს გამთლიანებასა და განუყოფლობაში, სიხარულისაგან ეს ნატანჯ-განაყინავი, ძლივს მფეთქავი გული კინაღამ გამიჩერდა ჩემი გაცოცხლების მეორე დღეს, როცა შევიტყვე, რომ იმპერიის დანგრევისთანავე მეზობელმა ლორე, სოჭის ოლქი და საინგილო დაგვიბრუნა, ხოლო ტაო-კლარჯეთი თურქეთმა 2050 წელს სტამბოლის ხელშეკრულებით საქართველოს შემოუმტკიცა. ეს ჩემი ოცნების ახდომა იყო.

რ ა დ ი ო ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი – ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ რატომ სახლდებოდნენ ასეთი გაშმაგებით მეზობლები თქვენს მიწებზე. თავიანთი სახელმწიფო ხომ იქვე, ერთ ნაბიჯზე ჰქონდათ? (იკითხა ჩალისფერზუჩიანმა, ფანტომასის სახის მქონე რადიოჟურნალისტმა).

პ ა ვ ლ ე – რა მოგახსენოთ, ჩანს, ძალიან ვუყვარდით (იხუმრა პავლემ).

რ ა დ ი ო ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი – ერთი რამ მაინტერესებს, (ხორხისმიერი, ოდნავ დაგუდული ხმით თქვა ზუჩიანმა) – მეოცე საუკუნის ბოლოს ქართველები რომ ასე გაუბედურებული იყავით, ჩემთვის უკვე გასაგებია, რას აკეთებდა ხელისუფლება და რატომაც აკეთებდა, მაგრამ თქვენ რაღას აკეთებდით – უსავარძლო და უპორტფელო ქართველები, ასე ვთქვათ, ერის ჯანსაღი ნაწილი?

პ ა ვ ლ ე – ღამით გულში მჯიღს ვიცემდით, დღისით კი გახურებული ცეკვა-თამაში გვქონდა გამართული. ჩემი გაყინვის მერე ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონია, კაცობრიობას მთელი თავისი არსებობის მანძილზე

იმდენი არ უცეკვ-უმღერია და „შოუ-მანა-მიდი-მიდი“ არ უთამაშნია, რამდენიც ჩვენ, ქართველებმა, 1992-96 წლებში ვიმხიარულეთ, არძინბა (აფსუა მომთაბარეთა ლიდერი) შეძრწუნებული გვიგდებდა ყურს, ფიქრობდა: ან გიჟები არიან ეს შობელძაღლები, ან რაღაც უბედურებაა ჩემს თავზეო.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – არჩევნების ფალსიფიცირება რით გამოიხატებოდა?

პ ა ვ ლ ე – კომუნისტების დროს ბიულეტენებს საერთოდ არ ითვლიდნენ. უმეტესობას არც საარჩევნო უბნებში მისვლაზე გვაწუხებდნენ. მერე „დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში“ რამდენჯერმე ჩატარდა არჩევნები, მაგრამ, ვაი, იმ არჩევნებს, იქ, სადაც ბიულეტენების მთლიანად გამოცვლა არ ხერხდებოდა, საარჩევნო ჯიხურში გვხვდებოდა ბრგე „ინსტრუქტორი“ და „კონსულტაციას გვიწევდა“ – ეს წაშალე და ეს დატოვეო.

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – საარჩევნო კომისია რას აკეთებდა?

პ ა ვ ლ ე – ყველაზე ვერ ვიტყვი და ზოგი მისი წევრი რეგისტრაციაში გატარებისთვის ფულს სძალავდა საარჩევნო კომპანიისაგან ისედაც გაძვალტყავებულ პარტიებს.

რ ა დ ი ო ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი – უცხოელი დამკვირვებლები რაღას აკეთებდნენ?

პ ა ვ ლ ე – აკვირდებოდნენ მხოლოდ იმას, რისი გარეგნულად დანახვაც შეიძლებოდა.

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – საარჩევნო დარღვევებს სასამართლო არ ასწორებდა?

პ ა ვ ლ ე – კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, სად იყო სამართალი. სასამართლოს რასაც უბრძანებდნენ, იმას აკეთებდა.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – ელექტროენეგიას რას ეძახით და რას ერქვა გამოთიშვა?

კ ო კ ო – მაშინ ჰაეროენერგია არ არსებობდა და ენერგიას ძირითადად ჰიდრო და თბოელექტროსადგურებიდან იღებდნენ.

რ ა დ ი ო ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი – „ითიშებოდა“ რაღას ჰქვია?

კ ო კ ო – დენის მიწოდების შეწყვეტას.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – ვისი ან რისი მიზეზით „შეწყვეტდნენ“ ხოლმე?

პ ა ვ ლ ე – ორმოცდათხუთმეტისა მოვიყარე და ეგ ვერ გავიგე – დანამდვილებით ის შემიძლია გითხრათ, რომ დენის გამოთიშვის დროს თბილისში საშუალოდ ცხრა კაცი კვდებოდა (მეტრო, საავადმყოფო, სასოწარკვეთა...), ხოლო ჩართვის დროს სიხარულის ელდისაგან – სამი კაცი.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – პავლე, შიმშილი ძალიან გაწუხებდათ? (ჟურნალისტ გოგონას გრძელი, ჯინსმგლეჯი ფეხები წინ მჯდომ ბატისჭუკისფერთმიანი მამაკაცის მხრებზე ჰქონდა შეწყობილი ამ სიტყვის პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით).

პ ა ვ ლ ე – როგორ აგიხსნათ, ქალიშვილო. გაყინვის გადაწყვეტილებამდე შიმშილმაც მიმიყვანა. წარმოიდგინეთ, ხელფასი ათი ლარი მქონდა. ათი ლარით ხუთი დღის სამყოფ პურს თუ იყიდდი, მეტს ვერაფერს.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – ანაბრები ბანკში?

პ ა ვ ლ ე – კომერციული ბანკირები ყაჩაღები აღმოჩნდნენ და ერთ მშვენიერ დღეს ყველანი გაიქცნენ.

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – თქვენც სახელმწიფო ბანკს მიაბარებდით.

პ ა ვ ლ ე – რას?

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – დანაზოგს.

პ ა ვ ლ ე – სახელმწიფომ უარესი გვიქნა – მე პირადად ოცი წლის ნაშრომი ერთ დღეში კუპონად მიქცია. ასე რომ, ცხრა ავტომანქანის საფასური მივაბარე და უკან ცხრა კოლოფი ასანთის საფასური დამიბრუნა.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – არ შერცხვა?

პ ა ვ ლ ე – ვის?

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – სახელმწიფოს.

პ ა ვ ლ ე – მგონი, არა. ყოველ შემთხვევაში, მე სინდისის ქენჯნის ვერაფერი შევატყვე.

კ ო კ ო – დიახ, სახელმწიფოსაგან ადამიანის გაძარცვის მსგავსი შემთხვევა მე წიგნებშიც კი არ წამიკითხავს.

ზ ე ბ რ ი ს ს ვ ი ტ რ ა – ყველაფერს, რაც თქვენ ბრძანეთ, ძნელად, მაგრამ როგორმე მაინც გაუძლებდა კაცი. ახლა ეს მიბრძანეთ: აფხაზეთი და სამაჩაბლო როგორ წაგართვათ რუსეთმა.

პ ა ვ ლ ე – იარაღით და ზოგი ჩვენი თანამემამულის გამყიდველობითაც.

რ ა დ ი ო ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი – დამარცხებული ხელისუფლება არ გადადგა?

პ ა ვ ლ ე – პირიქით!

რ ა დ ი ო ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი – „პირიქით“ როგორ გავიგოთ?

პ ა ვ ლ ე – შვიდი წლის განმავლობაში, სანამ გამყინავდნენ, უსინდისოდ გვატყუებდა ყოველდღე. დრო გაჰყავდა: ნუ გამახსენე...ებთ. იმკო...შმარულ... (ენა დაება, რაღაცას ლულლულებს, რობოტმა მაჯა გაუსინჯა. რობოტის თავზე წითელი სინათლე აინთო).

კ ო კ ო – რესპოდენტს წნევამ აუწია. პრესკონფერენცია დამთავრებულია!

(სინათლე ქრება. ისევ გიჟური მუსიკა. კომპიუტერები, ტელევიზორები, რობოტები... ჟურნალისტები ნელ-ნელა სტოვებენ საკონფერენციო დარბაზს. ბნელდება).

ტემპერამენტიანი ჯაზური მუსიკა, ხანდახან მუსიკას თვითმფრინავის ხმაური ერევა. სცენაზე ჩრდილები ირევიან.

ნელ-ნელა ნათდება.

კომპიუტერული ცენტრი სკასავით ბზუის. ათასფრად აციალებულ პლანეტარიუმს წააგავს.

დარბაზში ტევა არ არის.

ერთნი ნერვიულად მიმოდიან, ისე, რომ თავიანთ ნერვიულ მიმოსვლაში ერთმანეთს არც კი ელაპარაკებიან. მეორენი სავარძლებზე მიწოლილან, მაგრამ, როგორც სავარძელზე მიწოლის დროს იცის ხოლმე, ღრმა ფიქრებში კი არ არიან ჩაძირულნი, შვიდკუთხა მინის დარბაზის სამხრეთ აღმოსავლეთით კედელ-ტაბლოს გატაცებით შესცქერიან.

„პავლე კვერნაძე“ – დაჩნდა ტაბლოზე.

პავლე კვერნაძე წამოხტა და ტაბლოსკენ გაიქცა. ექვსიოდე გრძელი ნაბიჯი რომ გადადგა, შემოტრიალდა, თეთრ რიდეს და მონიკელებულ მინიჩემოდანს ხელი სტაცა და არავის დამშვიდობებია, გაღიმებითაც კი არავისთვის გაუღიმია, სერიოზული, ზრუნვითპყრობილი სახით, წეღანდელზე უფრო დიდი ნაბიჯით გაექანა ტაბლოს ქვემოთ, თითბერის უზარმაზარი კარებისკენ, რომლის თავზეც ამასობაში წითელი ნათურა ჩამქრალიყო და მწვანე ანთებულიყო.

(წუთის შემდეგ კვერნაძე ოთხკუთხათავიან კომპიუტერ-რობოტის წინ იჯდა.

რობოტი პოლიპებიანი კაცის ინტონაციით, უსიამოვნო, ყიყინა ხმით, მაგრამ მკაფიოდ გამოთქვამდა სიტყვებს).

რ ო ბ ო ტ ი – „გილოცავთ, კომპიუტერმა თქვენი ქართული წარმომავლობა დაამტკიცა, თქვენ ათ წუთში მიიღებთ საქართველოს მოქალაქის პასპორტს. კიდევ ერთხელ გილოცავთ. კარგად მოიქეცით, რომ თავი გაიყინეთ. იმდროინდელ საქართველოში თქვენ სიკვდილი გელოდათ.

(რობოტის შუბლზე ცისფერი ნათურა აციმციმდა).

პ ა ვ ლ ე – გმადლობთ, როგორ იქნება დასახლების საქმე?! (რობოტის თავყურს ჩასძახა კვერნაძემ).

რ ო ბ ო ტ ი – ვერ გავიგე, რას მეკითხებით და საერთოდ, თუ შეიძლება ხმადაბლა ილაპარაკეთ, რა გაყვირებთ.

პ ა ვ ლ ე – ბოდიშს ვიხდი – სად დავსახლდე, მიწის საქმე როგორ იქნება-მეთქი. იქნებ ხელისუფლებამ გამომიყოს სადმე მცირე ნაკვეთი, როგორც განაყინავ კაცს.

რ ო ბ ო ტ ი – სამწუხაროდ, სახელმწიფოს თავის განკარგულებაში ერთი მტკაველი მიწაც არ გააჩნია.

პ ა ვ ლ ე – ეს როგორ?

რ ო ბ ო ტ ი – 1996 წელს მიღებული მიწის კანონით პარლამენტმა მიწა კერძო მფლობელობაში დააკანონა მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის უფლებით.

პ ა ვ ლ ე – მერე?

რ ო ბ ო ტ ი – მიწები 1996-2000 წლებში გაიყიდა.

პ ა ვ ლ ე – ვინ იყიდა?

რ ო ბ ო ტ ი – ვისაც ფული ჰქონდა, ბედოვლათ, მოქეიფე, გულარხეინ ადამიანებს რა ფული ექნებოდათ, მოგეხსენებათ.

პ ა ვ ლ ე – ქართველებმა არ იცოდნენ, რომ უმიწო ერი ჰაერში რჩება და განწირულია დასაღუპავად? რად მინდა დაბრუნებული აფხაზეთი, სამაჩაბლო და ჯავახეთი, თუ მიწა ჩემი არ იქნება.

რ ო ბ ო ტ ი – ვინც ეგ იცოდა იმას ერი არ უსმენდა. კაცმა რომ თქვას, ერი არც მარიონეტულ ხელისუფლებას უსმენდა, უბრალოდ, მაშინ მძიმე სიტუაცია იყო.

პ ა ვ ლ ე – რა სიტუაცია იყო ასეთი?

რ ო ბ ო ტ ი – შიმშილი მძვინვარებდა, სახელმწიფო თავის მოქალაქეებზე იოტისოდენადაც არ ზრუნავდა.

პ ა ვ ლ ე – ჩემი სამშობლოს მიწა ხომ მეც მეკუთვნოდა, სამასი წლის წინათ გაყინულ ქართველს.

რ ო ბ ო ტ ი – მაგაზე პარლამენტს და ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, მიწის გაყიდვის უფლება როდი უნდა დაეშვა, პირიქით, მიწის გასხვისებაზე სასტიკი სასჯელი უნდა შემოეღო, იმ დროს ასე იყო საჭირო, მიწა სახელმწიფოს თავის ხელში უნდა აეღო – სახელმწიფოს ხელშეუხებელ საკუთრებად უნდა გამოეცხადებინა.

პ ა ვ ლ ე – რა ვქნა ახლა მე? (სასოწარკვეთილი ხმით იკითხა).

რ ო ბ ო ტ ი – ჩვენ რჩევებს არ ვიძლევით (დაიყიყინა).

პ ა ვ ლ ე – იქნებ საყიდლად მაინც ვიშოვო სადმე მიწა საქართველოში?

რ ო ბ ო ტ ი – ხომ გითხარით, მიწის ბირჟაზე ორმოცდაათი წელია, ერთი მტკაველი ქართული მიწაც არ გამოჩენილა.

პ ა ვ ლ ე – როგორ მოვიქცე, იქნებ რაიმე მირჩიოთ, გემუდარებით (გმინვა ისმოდა პავლეს ხმაში).

რ ო ბ ო ტ ი – ხომ გითხარით, ჩვენ რჩევებს არ ვიძლევით.

პ ა ვ ლ ე – გამონაკლისის წესით.

რ ო ბ ო ტ ი – ჩვენ გამონაკლისებს არ ვაკეთებთ (რობოტს, ცოტა არ იყოს, მკაცრი, კატეგორიული ხმა ჰქონდა).

პ ა ვ ლ ე – ჩემი პაპისპაპის საფლავის მიწა ხომ მაინც მე მეკუთვნის.

რ ო ბ ო ტ ი – თქვენი პაპისპაპა გიგლა კვერნაძე, დასაფლავებულია ქუთაისში, ყოფილი ოღასკურას სასაფლაოზე, მთავარი შესასვლელიდან მარცხნივ, მეცხრამეტე საფლავი.

პ ა ვ ლ ე – გმადლობთ (კვერნაძე ნელა წამოდგა).

რ ო ბ ო ტ ი – მოითმინეთ, პასპორტი წაიღეთ (ამ სიტყვებთან ერთად რობოტმა რკინის პირი გააღო და პასპორტი გადმოაგდო)

სინათლე ქრება.
მუსიკა. ნელი, სევდიანი, რექვიემის მსგავსი.
მთვარით განათებული მამაპაპეული სასაფლაო.
ნელი ნაბიჯით შემოდის პავლე კვერნაძე.
ჯვრიან, ძველთაძველ მოუვლელ საფლავს წაადგა.
მდუმარედ დასცქერის.
მერე იქვე, ქვის თუ რკინის სკამებზე ჩამოჯდა.
სინათლის ჩქერი მხოლოდ მას ანათებს.
სინათლე ნელ-ნელა ქრება.
მხოლოდ მთვარეღა ჩანს ცაზე – მშობლიური, ნამლევა მთვარე.

ფარდა.

მ ე ლ ა

ორმოქმედებიანი პიესა თოჯინების თეატრისათვის

მოქმედი პირნი:

მელია
ძერა
მამალი
ოფოფი
ჩიტი-კორესპონდენტი
ტურა
ქოფაკები
მოცეკვავე ვარიები

პირველი მოქმედება

(სოფელს ნელ-ნელა ეპარება ციაგი. ძილბურანიდან იღვიძებს ქვეყანა. ჩრდილები ამოძრავდნენ. ყვავილ-მცენარენი წელში სწორდებიან. სცენის ერთ კუთხეში ძერას და ოფოფს სძინავთ. ერდოზე მამალი შეფრინდა, ფრთები ააბათქუნა და დაიყივლა. ოფოფმა თავი წამოჰყო).

ო ფ ო ფ ი – ძერავ, გაიღვიძე, გათენდა!

ძ ე რ ა – რა გაყვირებს? გათენდა, მეტი ხომ არაფერი. გეგონება, ჯერაც არ გათენებულა. გუშინაც ხომ გათენდა.

ო ფ ო ფ ი – მერე?

ძ ე რ ა – რა მერე. ჩვენთვის მაინც არ თენდება. ქვეყანას სძინავს. ნეტავ, სულაც არ თენდებოდეს.

ო ფ ო ფ ი – როგორ თუ არ თენდებოდეს. მაშ, ეს ამოდენა მამალი ტყუილად ჰყივის?

ძ ე რ ა – გაიგე, ადამიანო. ძილში, ასე თუ ისე, არა გვიშავს რა. აბა, როგორ გინდა, გადააგორო ეს უშველებელი შიმშილის დღე?!

ო ფ ოფ ი – ნუთუ არ გვეშველება?

ძ ე რ ა – ამათ ხელში სიკეთეს არ ველი. ქურდ-ბაცაცებმა ჩაიგდეს ქვეყანა.

ო ფ ო ფ ი – აი, ნახავ, მოვა, გამოჩნდება.

ძ ე რ ა – ვინ მოვა?

ო ფ ო ფ ი – ჭკვიანი წინამძღოლი, ბრძენი და კეთილი სოფლის თავი.

ძ ე რ ა – ჯერ ვინც მოვიდა, იმათ რა ხეირი დაგვაყარეს.

ო ფ ო ფ ი – გამოჩნდება... მოვა... ლოდინს კეთილი ბოლო ექნება...

ძ ე რ ა – სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო. გვეშველება, ალბათ, როცა მე აღარ ვიქნები.

ო ფ ო ფ ი – ნუ დაბანცალებ მთვარეულივით. ე მანდ ორმოში არ ჩავარდე.

ძ ე რ ა – ერთი ეგენიც ყოფილან...

ო ფ ო ფ ი – ვინა?

ძ ე რ ა – მღებავები. იმ ოჯახაშენებულებს, რაკიღა საზღვარგარეთ მიდიოდნენ, ეს ორმო მაინც დაეხურათ.

ო ფ ო ფ ი – იმათ ჩვენი ჯავრი აღარა აქვთ. ჩინარეთში დიდი სამღებრო გაუხსნიათ.

ძ ე რ ა – ო. ო დაღებავენ, აბა, მთელს ჩინარეთს.

ო ფ ო ფ ი – მამაჩემსა აქვს ცხონება, აქ დარჩენილიყვნენ და ეს სოფელი შეეღებათ.

ძ ე რ ა – ამ სოფელს შეღებვა და ფერ-უმარილი არ უშველის; ჭკვიანი ხელმწიფე და მაგარი ხელი უნდა.

... (მოისმის სიმღერა „დილა არის ცა ლაჟვარდი“). ნახე, ვარიების გუნდმა ჩაიარა. რა კარგები არიან. რა ტკბილად მღერიან.

ძ ე რ ა (უკმაყოფილო ბუზღუნით) – მღერიან და მეტი არაფერი.

(უეცრად ახლოდან კივილი მოისმა).

– მიშველეთ! მიშველეთ! გამქურდეს, დამაქციეს!

ო ფ ო ფ ი – ნაცარას ხმაა! არიქა!

ძ ე რ ა – რაღა ჰქონდა საწყალს, გუშინწინ ხომ დაეცნენ.

ხ მ ე ბ ი – თქვენკენ მორბის!

– გზა მოუჭერით!

(სცენაზე მელია გაშლიგინდა, ქოხს მიადგა. გამოტრიალდა, გაქრა, ძაღლების ყეფა, სტვენა, ღრიანცელი. მელიას ფეხდაფეხ მამალი მოსდევს. შეჩერდება მელია, შეჩერდება მამალიც (ჩანს, თვითონვე ეშინია), გაიქცევა მელია მისდევს მამალი. მდევართ

ოფოფი და ძერაც წაეშველნენ. ყეფა... ხმაური. მელა ლამის კუთხეში მიიმწყვდიეს).

ხ მ ე ბ ი – ა, შე წუწკო, შენა!

(მელია ლამის თავზე გადააფრინდა ყველას და სანამ მდევარი შემობრუნდებოდა, ორმოში ჩახტა).

ძ ე რ ა – დღესაც გაგვექცა.

მ ა მ ა ლ ი – ორმოში ხომ არ ჩავარდა?!

ძ ე რ ა – ორმოში არა...

ო ფ ო ფ ი – დაიცათ! ეს ვინ არის?!

(საზეიმო მუსიკის თანხლებით ორმოდან ნელ-ნელა გრანდიოზული რხევით ამოდის ვერცხლისფრად შეღებილი მელია. ზოგიერთებმა ხელიც შეაშველეს, მელია ჯერ დაიბნა. გაქცევაც დააპირა, მაგრამ ძერამ და ოფოფმა ლამის ერთდროულად შესძახეს.

ო ფ ო ფ ი – ვინა ხარ, ასეთი უცხო და ბრწყინვალე?!

ძ ე რ ა – ხმა გაგვეცი! მიწიერი ხარ თუ ზეციერი?!

(მელია მიხვდა, რომ ვერ იცნეს. შიში დაიოკა. ამპარტავნობა დაიმშვენა, კიბეზე შედგა და ზემოდან დახედა დამშეული სოფლის მესვეურთ).

მ ე ლ ი ა – რა მოგივიდათ, რას ჰგავხართ, ხალხო?!

ძ ე რ ა – დაგვაქციეს!

მ ა მ ა ლ ი – მზე დაგვიბნელეს. ძლივს ვათენებ!

ო ფ ო ფ ი – შიმშილით კუჭი გვიხმება!

მ ე ლ ი ა – ვიცი, ყველაფერი ვიცი, ვერ წარმოვიდგენდი, ასე ჩქარა თუ შეიძლებოდა საათივით აწყობილი სოფლის დანგრევა.

ო ფ ო ფ ი – თქვენ... გინახავთ ადრე ჩვენი სოფელი?

მ ე ლ ი ა (ცოტა დაბნეული) – გზად გამივლია, მართლაც, წალკოტი იყო...

ძ ე რ ა (მამალს) – თუ გვიშველის, ისევ ეს გვიშველის.

მ ა მ ა ლ ი (მელიას) – თქვენ შეგიძლიათ ჩვენი სოფლის აღ-
დგენა?

მ ე ლ ი ა – თქვენი სოფლის?.. სოფლის შენებას რა უნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დრო არა მაქვს, უნდა წავიდე...

ო ფ ო ფ ი – გემუდარებით, ნუ წახვალთ.

მ ა მ ა ლ ი – ნუ წახვალთ და ჩვენ... ჩვენ სოფლის თავად აგირჩევთ!

მ ე ლ ი ა (ამპარტავნულად) – სოფლის თავად? მე? ხომ არ გავიწყდებათ, რომ მე მსოფლიო მოქალაქე ვარ. სადა მცალია, აქ დავრჩე და თქვენი პაწაწინა სოფლის თავი ვიყო.

მ ა მ ა ლ ი (ოფოფს) – სოფლის თავობა ეცოტავა.

ო ფ ო ფ ი – მეთაურს დაგარქმევთ, სოფლის თავმჯდომარეს...

ძ ე რ ა – პრეფექტს, ხევისბერს!

მ ა მ ა ლ ი – პრეზიდენტს, გამგებელს, გუბერნატორს!

მ ე ლ ი ა – კარგი... თანახმა ვარ... ოღონდ ყველამ ერთხმად შემომფიცეთ, რომ ჩემი ერთგული იქნებით.

ყ ვ ე ლ ა ნ ი – ვფიცავთ!

მ ე ლ ი ა – ასე არა, ჯერ დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩავატარო?

ო ფ ო ფ ი – როგორი?

მ ე ლ ი ა – დემოკრატიული.

ძ ე რ ა – ნეტავ, რას ჰქვია დემოკრატიული არჩევნები?

მ ე ლ ი ა – ჩემი ქოფაკები დაიხმარეთ. გამოცდილება აქვთ.

მ ა მ ა ლ ი (ღობეზე შეხტება რუპორით ხელში) – ყურადღება! ყურადღება! ცხადდება მრავალპარტიული, დემოკრატიული, საყოველთაო, მაჟორიტარული ღია და დახურული, ალალი და დაუყვედრებელი, გიჟებისათვის თავისუფალი, ჭკვიანებისთვის ნახევრადთავისუფალი არჩევნები!

(სინათლის ცვლა, რია-რია, ძაღლების ყეფა. „რა გინდათ! რას გვერჩით! „ხმა უნდა მისცეთ!“ „მე რომ ძალიან სუსტი ხმა მაქვს“? „არაუშავს, მაინც უნდა მისცეთ!“)

მინდორში სამი ბატი ბალახს წიწკნის. მათ წინ ოფოფი და ძერა გაჩნდნენ.

ძ ე რ ა (ჭრელ ბატს) – ძმობილო, აი, ბიულეტენი!

ო ფ ო ფ ი – ძლივს მოგაგენით, რა მაღლა ყოფილხართ!

ჭ რ ე ლ ი ბ ა ტ ი – ეგ ჩემი არ არის.

ძ ე რ ა – ეს ბიულეტენია, ხმა უნდა მოგვცე.

ჭ რ ე ლ ი ბ ა ტ ი – მე არ დამკარგვია. მე ქაღალდები საერთოდ არა მაქვს.

ძ ე რ ა – არჩევნებია!

ჭ რ ე ლ ი ბ ა ტ ი – მე არ დამიწერია. წერა არ ვიცი!

ო ფ ო ფ ი – მგონი ყრუა, შენ ეი! (ნაცრისფერ ბატს ეძახის) მოდი ერთი, აუხსენი! არჩევნებია! ეს ბარათი ამ ყუთში უნდა ჩააგდოს.

ნ ა ც რ ი ს ფ ე რ ი ბ ა ტ ი – ცილს ნუ სწამებთ, ეგ ყუთი ამას არ მოუპარავს.

ო ფ ოფ ი – ვაიმე, მგონი არც ამას ესმის.

ძ ე რ ა – იცი, რას ჰქვია დემოკრატიული არჩევნები? სოფლის თავი უნდა ავირჩიოთ, მამა და მარჩენალი!

ნ ა ც რ ი ს ფ ე რ ი ბ ა ტ ი – მერე რა მოხდა? ბალახს ვწიწკნით. რას ვაშავებთ, ბალახი ხომ ისევ ამოვა.

ძ ე რ ა – ესეც ყრუა ნამდვილად (თეთრ ბატს დაუქნია ხელი) ჰეი, თეთრო ბატო, მოდი ერთი, გააგებინე ამათ.

თ ე თ რ ი ბ ა ტ ი – მე დედა ვარ. მამა შეუძლოდაა და შინ დავტოვეთ.

ო ფ ოფ ი – აი, ეს საარჩევნო ყუთი, ეს ბიულეტენია. ხმის მისაცემად შეგაწუხეთ. ჩვენ – მე და ძერა, საარჩევნო კომისიის წევრები ვართ!

თ ე თ რ ი ბ ა ტ ი – ჩვენ ბატები ვართ. ჩვენ არ ვიპარავთ. მხოლოდ კაჭკაჭები იპარავენ! ჩვენ თავი დაგვანებეთ.

ო ფ ო ფ ი – ესეც ყრუ ყოფილა. გაიგეთ, არჩევნებია! არჩევნები!

ძ ე რ ა – მაჟორიტარული!

თ ე თ რ ი ბ ა ტ ი – სხვის ბუდეში კვერცხი არასოდეს ჩამიდევს. გუგულში ხომ არ გეშლებით?! ესენი ჩემი შვილებია. წვითა და დაგვით გამოვზარდე.

ამ დროს ძაღლების ყეფა მოისმის. ქოფაკი შემოვარდება. ძერას და ოფოფს მიმართავს:

ქ ო ფ ა კ ი – სადა ხართ აქამდე, არჩევნები უკვე მთავრდება. ამ! ამ!

ო ფ ო ფ ი – ესენი ყრუ ბატებია, ვერ გავაგებინეთ!

ქ ო ფ ა კ ი – ამ! ამ! რას ეხვეწებით! ამ! ამ! (შეშინებული ბატები გაიქცნენ) მომეცით აქ! მე ჩავაგდებ. (ჩააგდო) ესეც ასე!

მ ა მ ა ლ ი (ერდოზე) – ცხადდება შედეგები: არჩევნებში მარჩენალმა სამოცდახუთი პროცენტი მიიღო.

მ ე ლ ი ა (გაბრაზებულია) – რატომ მეტი არ არის. ჩემი მონაცემებით, ოთხმოცდაჩვიდმეტი პროცენტი უნდა ყოფილიყო. აღარ მინდა სოფლის თავობა. წავალ!

ო ფ ო ფ ი – არ დაგვღუპოთ! ოღონდ არ წახვიდეთ, არ მიგვატოვოთ, თუ გნებავთ, დაგიჩოქებთ (ყველანი იჩოქებენ).

(საიდანღაც ტურა გამოჩნდა).

ტ უ რ ა – რას შვრებით, თავი არ დაიღუპოთ. ეგ ხომ მელიაა. ვის უჩოქებთ?!

მ ე ლ ი ა – მანდ ვინ არის?!

ტ უ რ ა – მე ვარ!

მ ე ლ ი ა – ოო, ჩემი საუკეთესო მეგობარი – ტურა. ჩვენ ერთად გავიზარდეთ... სოფლის შენებაში ფრიად გამოცდილია.

ტ უ რ ა – როდის ვიყავი შენი მეგობარი?

მ ე ლ ი ა – დარბაისელნო, ამ კაცისთვის (ტურაზე უთითებს) პირველი არტისტის კვერთხი და მსახურთუხუცესობა მიბოძებია!

ტ უ რ ა (ყურში ეუბნება) – შენ თვითონ ვინა ხარ?

მ ე ლ ი ა – ახლა ამის რკვევის დრო არ არის. სადაცაა სოფლის თავად უნდა მაკურთხონ. ყელი არ გამომჭრა.

ტ უ რ ა – ასე რამ მოგრთო?

მ ე ლ ი ა – საღებავიან ორმოში ჩავვარდი.

ტ უ რ ა – მერე, ხომ მალე გაიგებენ, რომ ერთი ჩვეულებრივი მელია ხარ.

მ ე ლ ი ა – როგორ გაიგებენ?

ტ უ რ ა – სოფელს რომ ვერ ააშენებ.

მ ე ლ ი ა – შენ არხეინად იყავი. სოფლის შენებას რა უნდა...

ტ უ რ ა – იცოდე, მე ხელი დამიბანია.

ო ფ ო ფ ი – არჩევნების შედეგები უნდა გაუწყოთ.

მ ე ლ ი ა – ჰო?!

ო ფ ო ფ ი – ოთხმოცდაშვიდი პროცენტი! გილოცავთ!

მ ე ლ ი ა – გმადლობთ... მაგრამ რატომ ასი არ არის, ასი უნდა ყოფილიყო.

ძ ე რ ა – ჩანს, დათვლა შეეშალათ.

ო ფ ო ფ ი – როგორ მოგმართოთ, სოფლის თავო?

მ ე ლ ი ა – როგორც მხედავთ!

ო ფ ო ფ ი – თქვენ ბრწყინვალე ხართ!

მ ე ლ ი ა – ჰოდა, „თქვენო ბრწყინვალებავ“ დამიძახეთ!

(მოისმის საზეიმო მუსიკა).

მ ა მ ა ლ ი – ხალხო, მოგროვდით, ზეიმია! დიდებული დღე გაგვითენდა. ბრძენი და შეუმცდარი სოფლის თავი მოგვივლინა განგებამ!

(სიმღერა ძლიერდება. მორთულ-მოკაზმული მელია ტახტზე აჰყავთ).

შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი – გვეშველა!

– რა ლამაზია!

– რა ჭკვიანი გამოხედვა აქვს!

– სოფლის მაშენებელო, დიდება შენს ჩამობრძანებას!

ტ უ რ ა – თუ იცით, ვინ ჩამოიყვანა?!

მ ე ლ ი ა – ვინ?!

ტ უ რ ა – მამალმა, ძერამ, ოფოფმა და მე!

მ ე ლ ი ა – ბევრს ნუ ტლიკინებ, მე არავის ჩამოსაყვანი არ ვიყავი. მე თვითონ ჩამოვედი!

მ ა მ ა ლ ი – სიტყვა ეკუთვნის მის ბრწყინვალებას!

მ ე ლ ი ა – ჩემო გატანჯულო ხალხო. გპირდებით, რომ მალე ეს სოფელი მსოფლიოში უმდიდრეს და ულამაზეს სოფლად ვაქციო. სოფლის შუაში ღვინის ტბას დავაყენებ, ნაკადულებს რძის მდინარეებად ვაქცევ. აგაყვავებთ და აგაშენებთ.

ტ უ რ ა – ჩვენგან რა არის საჭირო?

მ ე ლ ი ა – თქვენ ოღონდ იმღერეთ და ხელი არ შემიშალოთ. მთავარი ზეიმია! აბა, სიმღერა! (თვითონ იწყებს სიმღერას. ტურა, მამალი, ოფოფი და ძერა აჰყვებიან. სიმღერა ფერხულში გადადის. საიდანღაც ორი ქოფაკი გამოჩნდება, მელიას შუაში ჩაიყენებენ „მასას“ მოაცილებენ და ტახტზე დააბრუნებენ).

მ ა მ ა ლ ი – ესენი ვინ არიან?

მ ე ლ ი ა – დამცველები!

ო ფ ოფ ი – თქვენო ბრწყინვალებავ, ჩვენო პატრონო, რად გინდათ ამოდენა დაცვა? თქვენ ხომ აქ არავინ გერჩით?

მ ე ლ ი ა – რა ვიცი... კაცნი ვართ.

ტ უ რ ა (ოფოფს) – რაო, რა გითხრა?

ო ფ ოფ ი – კაცნი ვართო.

ტ უ რ ა – ისემც რა ვუთხრა. ხომ გეუბნებოდით, მელიაამეთქი.

ძ ე რ ა – ნახეთ, რამოდენა ქოფაკები დაიყენა მცველად?

ო ფ ო ფ ი – თანაც ჯავშნოსანი ქოფაკები.

ძ ე რ ა – რა გვეშველება.

ტ უ რ ა (ძერას, ოფოფს და მამალს) – აქეთ მოიწით, არ დაგვინახოს. ზეიმი რომ დამთავრდება, ჩვენს ერთგულ ხალხს ჩამოუარეთ. იქნება ჩვენც ჩვენი ჯარი მოვაგროვოთ.

ო ფ ო ფ ი – ვაიმე, რომ დაგვიჭიროს?

მ ა მ ა ლ ი – არ დამიჭერს. ამ არჩევნებში იმხელა სამსახური გავუწიე.

ტ უ რ ა – თქვენ მელიას არ იცნობთ. ეგ არავის დაინდობს. აი, ნახავთ.

ძ ე რ ა – ჩუ, ვიღაც მოდის!

(აქეთ-იქით დაიფანტებიან. ინაუგურაციაზე ვარიების ულამაზესი ჯგუფი ცეკვავს. მელიას სულმა წასძლია და ერთ-ერთ ვარიას კინაღამ წაეტანა).

ტ უ რ ა – ე. ე. ნუ დაგავიწყდება, რომ შენ დღეიდან წუწკი მელია კი არა, სოფლის თავი და მსოფლიო მოქალაქე ხარ.

(ფოტოაპარატიანი ჩიტ-კორესპონდენტი გამოჩნდა).

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

მ ე ლ ი ა (მედიდურად) – ვინა ხარ?

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – კორესპონდენტი ვარ.

მ ე ლ ი ა – რომელი გაზეთის?

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – გაზეთის არა, ტელევიზიის.

მ ე ლ ი ა – კეთილი. გიპასუხებთ. ტელევიზია მიყვარს... გაზეთები მძულს.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – როგორ აპირებთ ამ დანგრეული სოფლის აშენებას?

მ ე ლ ი ა – როგორც დაგიბარებია.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – ვერ გავიგე?

მ ე ლ ი ა – მსოფლიო დამეხმარება.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – რითი?

მ ე ლ ი ა – სესხით!

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – მერე იმ სესხს გადახდა არ უნდა?

მ ე ლ ი ა – რატომ მიშლი ნერვებს, გენაცვალე? მაგაზეც მე ვიდარდო?

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – წართმეულ მიწებს როგორ დაიბრუნებთ?

მ ე ლ ი ა – მოლაპარაკებით.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – როგორ?

მ ე ლ ი ა – სულ უბრალოდ. დავარწმუნებთ მტრებს, რომ წართმეული მიწები ჩვენ გვეკუთვნის და დაგვიბრუნებენ.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – თუ არ დაგვიბრუნეს?

მ ე ლ ი ა – თუ არ დაგვიბრუნეს, გავანებებთ თავს, აბა თავს ხომ არ შევაკლავთ.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – დამშეული ხალხის გამოკვებას როგორ აპირებთ?

მ ე ლ ი ა – ტირილით სიკვდილს, სიმღერით სიკვდილი სჯობს. მთავარია ხალხმა არ მოიწყინოს. იცეკვოს, იზეიმოს და ბოლოს ხომ მაინც ყველანი ვკვდებით.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – მე შიმშილით სიკვდილზე მოგახსენებთ.

მ ე ლ ი ა – შვილო, შენ გშია?

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – ახლა არა.

მ ე ლ ი ა – აბა, რას გადამეკიდე. ვისაც შია, ჩუმად არის და შენ რა გახტუნავებს?

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – კიდევ ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება; რატომ გყავთ ქურდი მეგობრები?

მ ე ლ ი ა – ვინ არის ქურდი მეგობარი?

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – მაგალითად, ტურა.

მ ე ლ ი ა – ტურა რა ჩემი მეგობარია.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – რა ვიცი, ასე ამბობს.

მ ე ლ ი ა – ის ამბობს, რომ ჩემი მეგობარია, მე ხომ არ ვამბობ. მისი მეგობარი ვარ-მეთქი.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – გასაგებია. გმადლობთ!

მ ე ლ ი ა – როდის იქნება?

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – ამ საღამოს, რვა საათზე. (კორესპონდენტი მიდის).

მ ე ლ ი ა (ტურას) – ხომ გაიგონე რა მითხრა?

ტ უ რ ა – რა?

მ ე ლ ი ა – ქურდი მეგობრები რატომ გყავსო.

ტ უ რ ა – მერე? ვინ არის ქურდი? მე ვარ? ხომ არ გავიწყდება, რომ ამდენ ხალხში მე ერთმა ვიცი, ვინცა ხარ. შენც სუ და მეც სუ. ახლა შენ მსოფლიო შემოგყურებს და ცუდი კაცი გვერდით არ უნდა დაიყენო.

მ ე ლ ი ა – ვიცი, ვიცი. ცუდი კაცი გვერდით რომ არ დავიყენო, პირველი შენ უნდა გაგაგდო (თავისთვის). მაგის დროც მოვა.

ტ უ რ ა – რა ბრძანე?

მ ე ლ ი ა – არაფერი, არაფერი... ხომ იცი, ხალხი ცხვარია. ახლა ამათ უნდა დავუმტკიცო, რომ ჩემზე ჭკვიანი სოლომონ ბრძენიც არ არის. შენც უნდა დამეხმარო (უბიდან ქაღალდის გრაგნილი ამოიღო). აი, ეს სამი დავალება მიეცი ხალხს. დარწმუნებული ვარ, ვერავინ ამოხსნის. ბოლოს მე გიპასუხებ და ჩემი სიბრძნეც ცხადი გახდება.

ტ უ რ ა (გრაგნილს კითხულობს) – ეს რამ მოგაფიქრებინა, შე შეჩვენებულო.

მ ე ლ ი ა – იცის ბიჭმა.

ტ უ რ ა (ქოფაკებმა ბარაბნებს დასცხეს) – მოქალაქენო! ყურადღება, თამაშდება დიდი პრიზი – მფრინავი ხალიჩა. პრიზს მიიღებს ის ჭკვიანი და საზრიანი არსება, ვინც შეუცდომლად ამოხსნის სამ ამოცანას. ამოცანა პირველი!

(ყველანი მოჯარდნენ).

ტ უ რ ა – მაშ ასე, ამოცანა პირველი: როდის დგას წერო ცალ ფეხზე! მოსაფიქრებლად ერთი წუთი!

მ ა მ ა ლ ი – როცა ძალიან ცივა!

ტ უ რ ა – არ არის სწორი!

ძ ე რ ა – როცა ცალი ფეხი ასტკივდება!

ტ უ რ ა – არ არის სწორი!

ო ფ ო ფ ი – როცა ჭაობში დგას!

ტ უ რ ა – არ არის სწორი!

მ ე ლ ი ა – წერო ცალ ფეხზე დგას მაშინ, როდესაც მეორე ფეხი აწეული აქვს!

ტ უ რ ა – სწორია! თქვენო ბრწყინვალებავ! ამოცანა მეორე. კარგად დაუგდეთ ყური. მოდიხართ სოფლის გზაზე, თან მოგყავთ მგელი და თხა. მხარზე ერთი კონა თივა გკიდიათ! მიადექით ხიდს. ბეწვის ხიდია! თივის, მგლის, თხის და თქვენს სიმძიმეს ერთად ვერ გაუძლებს. ორი რამის გადაყვანა და გადატანა შეგიძლია. როგორ გახვალთ მეორე ნაპირზე ისე, რომ მგელმა თხა არ შეჭამოს და თხამ კიდევ თივა. მოსაფიქრებლად ერთი წუთი!

ო ფ ო ფ ი – მე ვუპასუხებ!

ტ უ რ ა – გისმენთ!

ო ფ ო ფ ი – ჯერ გავიტან თივას!

ტ უ რ ა – თხას და მგელს დატოვებთ?

ო ფ ო ფ ი – დიახ.

ტ უ რ ა – მერე, სანამ თივას გაიტანდე, ხომ შეჭამა მგელმა თხა.

მ ა მ ა ლ ი – მე ამოვხსნი!

ტ უ რ ა – გისმენთ.

მ ა მ ა ლ ი – ჯერ გავიყვან მგელს!

ტ უ რ ა – თხას და თივას დატოვებ?

მ ა მ ა ლ ი – არა, უკაცრავად, ჯერ გავიყვან თხას!

ტ უ რ ა – კეთილი.

მ ა მ ა ლ ი – მერე გავიტან თივას!

ტ უ რ ა – მერე?

მ ა მ ა ლ ი – მერე გამოვბრუნდები და სწრაფად გავიყვან მგელს!

ტ უ რ ა – რამდენიც უნდა ირბინო, გაღმა რომ გახვალ, თივა აღარ დაგხვდება.

მ ა მ ა ლ ი – რა მოუვა?

ტ უ რ ა – თხა შეჭამს.

ძ ე რ ა – მე ვიტყვი!

ტ უ რ ა – გისმენ!

ძ ე რ ა – ჯერ გავიყვან თხას.

ტ უ რ ა – კეთილი.

ძ ე რ ა – მგელი ხომ არ შეჭამს თივას?

ტ უ რ ა – არ შეჭამს.

ძ ე რ ა – მერე გავიყვან მგელს.

ტ უ რ ა – მერე?

ძ ე რ ა – მერე გამოვბრუნდები და გავიტან თივას.

ტ უ რ ა – გაღმა ნაპირზე თივიანად გასულს თხის რქები და ჩლიქებიღა დაგხვდება.

ძ ე რ ა – რატომ?

ტ უ რ ა – შენ ხომ მგელი და თხა ერთად დატოვე!

ძ ე რ ა – არ შეიძლება მგელს დედა დავაფიცო, თხა არ შეჭამოს?

ტ უ რ ა – მგელმა ფიცი-მტკიცი არ იცის, სამივე პასუხი არასწორია.

მ ე ლ ი ა – მე ამოვხსნი!

ტ უ რ ა – გისმენთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

მ ე ლ ი ა – ჯერ გავიყვან მგელს და თხას!

ტ უ რ ა – კი, ბატონო, ნება თქვენია.

მ ე ლ ი ა – გაღმა ნაპირზე მგელს დავტოვებ და თხას უკან გამოვიყვან!

ტ უ რ ა – დიახ, დიახ! მერე?

მ ე ლ ი ა – მერე გავიტან თივას.

ტ უ რ ა – თხა?

მ ე ლ ი ა – თხას, ჯერჯერობით, გამოღმა დავტოვებ!

ტ უ რ ა – მერე?

მ ე ლ ი ა – ბოლოს გამოვალ და გავიყვან თხას.

ტ უ რ ა – სწორია! ვაშა, თქვენო ბრწყინვალებავ!

მ ა მ ა ლ ი – მართლაც, ბრძენი ყოფილა!

ძ ე რ ა – წყალი არ გაუვა!

ო ფ ო ფ ი – ყველაზე ჭკვიანი ჩანს!

ტ უ რ ა – მესამე ამოცანა! კარგად დაუგდეთ ყური! როგორ მოიშორებს მელია რწყილებს, თუ რწყილები დაესია! მოსაფიქრებლად ერთი წუთი!

ო ფ ო ფ ი – მელიას ბასრი კბილები აქვს, რწყილებს სულ კნაწა-კნუწს აუყენებს.

ტ უ რ ა – კეთილი და პატიოსანი! შეშინებული რწყილები მელიას თავ-კისერზე დასკუპდებიან, ახლა რაღას იზამს?!

ო ფ ო ფ ი – ა... ა... არ ვიცი!

ტ უ რ ა – პასუხი არასწორია!

მ ა მ ა ლ ი – ტანზე ნავთს წაისვამს!

ტ უ რა – თავზე?

მ ა მ ა ლ ი – თავზეც!

ტ უ რ ა – ჯერ ერთი, ნავთი მელიას თვალებს დასწვავს და მეორეც, ტყეში ნავთს რა უნდა!

ძ ე რ ა – კუდს ცეცხლს მიუშვერს!

ტ უ რ ა – მერე?

ძ ე რ ა – რწყილებს დასცხებათ და გაიქცევიან!

ტ უ რ ა – პასუხი არასწორია! ჯერ ერთი, რწყილები სიცხეში უკეთესად გრძნობენ თავს და მეორეც, ისინი გაიქცევიან მხოლოდ მაშინ, როცა მელიას ცეცხლი მოეკიდება. მელია კი არც ისე სულელია, თავისი ფაფუკი კუდი და ლამაზი ბეწვი რწყილების გამო საცეცხლოდ გაიმეტოს.

მ ე ლ ი ა – მე ვიტყვი სიმართლეს!

ტ უ რ ა – ბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

მ ე ლ ი ა – როცა მელიას რწყილები შეაწუხებს, პირში ჯოხს დაიჭერს და კუდს წყალში ჩაჰყოფს.

ტ უ რ ა – მერე?

მ ე ლ ი ა – ვიცი, რაც უნდა მითხრათ. რწყილები კუდიდიდან მელიას ტანზე გადაინაცვლებენ, ხომ ასეა?

მ ა მ ა ლ ი – მერე?

მ ე ლი ა – მერე მელია ტანსაც ჩაჰყოფს წყალში და რწყილები თავზე ააღოღდებიან.

ო ფ ო ფ ი – ახლა რაღას იზამს?

მ ე ლ ი ა – მერე მელია თავსაც ჩაჰყოფს წყალში და შეშინებული რწყილები ჯოხზე გამწკრივდებიან.

ძ ე რ ა – რომელ ჯოხზე?

ტ უ რ ა – რომელიც მელიას პირით უჭირავს. ხომ გვითხრა თავიდან – პირში ჯოხს დაიჭერსო.

ო ფ ო ფ ი – კარგი, კარგი, მერე?

მ ე ლ ი ა – მერე მელია ჯოხს კბილებს შეუშვებს და რწყილებიან ჯოხს მდინარეს გაატანს.

ტ უ რ ა – სწორია!

ყ ვ ე ლ ა ნ ი – ვაშაა!

ტ უ რ ა – როგორ ამოხსენით, თქვენო ბრწყინვალებავ, თითქოსდა ყველაფერი ეს თქვენ თავზე გამოგიცდიათ!

მ ე ლ ი ა (ჩუმად) – ნუ მაიმუნობ.

ტ უ რ ა – მაშ ასე! ჟიურიმ კონკურსის შედეგები შეაჯამა, დიდი პრიზი – მფრინავი ხალიჩა – წილად ხვდა ჩვენ შორის ყველაზე ჭკვიანს და ყველაზე საზრიანს, ჩვენს მამას და მარჩენალს, მის ბრწყინვალებას სოფლის თავს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი – ვაშაა!

– მოგვილოცავს, თქვენო ბრწყინვალებავ!

– სწორედ რომ შეუდარებელი ხართ!

მ ე ლ ი ა – აბა, ზეიმი, სიმღერა!

ყველანი მღერიან მელიას სადიდებელ სიმღერას.

მ ე ლ ი ა – აბა, ფერხულიც! სოფლის შენობაში მთავარი ფერხულია!

ძ ე რ ა – რა დროს ფერხულია, შიმშილით კუჭი მიხმება.

მ ა მ ა ლ ი (ძერას) – რა თქვი?

ძ ე რ ა – როგორ გინდა-მეთქი დაუარო, ფეხზე ძლივს ვდგავართ!

ო ფ ო ფ ი – დაიწყო ამან მისებური, ვაცალოთ კაცს, ეს-ესაა ავირჩიეთ. შენ ხომ სულ ბუზღუნებ და სულ უკმაყოფილო ხარ. რა გჭირს ასეთი. არ მოვიდა შენი მოსაწონი მთავრობა?

მ ა მ ა ლ ი – მოდით, მოდით, დაუარეთ! ხომ გაიგონეთ, რა თქვა ბრძენმა – მთავარი ცეკვააო!

ო ფ ო ფ ი – ცეკვა კი არა – სიმღერა!

მ ა მ ა ლ ი – ორივე! სიმღერაც და ცეკვაც!

(ყველანი ფერხულს უვლიან. მელია და ტურა ტაშს უკრავენ, თან საუბრობენ).

ტ უ რ ა – მერე?

მ ე ლ ი ა – რა მერე?

ტ უ რ ა – ახლა ცეკვას რომ დაამთავრებენ, რით გავართოთ ეს მშიერი ხალხი!

მ ე ლ ი ა – გამოცანებით.

ტ უ რ ა – რომ არ აგყვნენ?

მ ე ლ ი ა – აგვყვებიან, ხალხს გართობა უყვარს.

ტ უ რ ა – შენ იტყვი?

მ ე ლ ი ა – რას?

ტ უ რ ა – გამოცანებს.

მ ე ლ ი ა – შენც და მეც!

(ცეკვა-თამაში მთავრდება).

ტ უ რ ა – ყურადღება, ყურადღება, გამოცანები! ვისაც გამოცანა ერგება, მიიღებს ნახევარ ტომარა ჰუმანიტარული დახმარების ხორბალს.

მ ე ლ ი ა – აბა, ჩემო კარგებო, რა არის „უტკბესი და უმწარესი“!

ო ფ ო ფ ი – ტყემალი!

(საერთო სიცილი).

მ ა მ ა ლ ი – პილპილი!

ტ უ რ ა – ტყუილია!

(საერთო სიცილი).

ძ ე რ ა – სოკო!

(საერთო სიცილი).

მ ე ლ ი ა – ენა, ძვირფასებო, ენა!

ტ უ რ ა – „გარეთ ატლასი
შიგნით ათასი!“

ძ ე რ ა – ფულით სავსე ქისა!

(საერთო სიცილი).

მ ა მ ა ლ ი – ხორბლით სავსე ტომარა!
ტ უ რ ა – არა!
ო ფ ო ფ ი – ტყე!

(საერთო ხარხარი).

ტ უ რ ა – ბროწეული!

(ყველანი სინანულით თავებს გადააქნევენ).

მ ე ლ ი ა – აბა გამოიცანით: „დიდყურაა – ვირი არ არის.
ფრთები აქვს – ჩიტი არ არის!
ო ფ ო ფ ი – მამალი!

(საერთო სიცილი).

მ ა მ ა ლ ი – მე დიდყურა ვარ? შე მართლა ოფოფო!?
ძ ე რ ა – კენგურუ!
ტ უ რ ა – კენგურუს ვინ მისცა ფრთები!
ო ფ ო ფ ი – ზღარბი!
მ ე ლ ი ა – ღამურა, თქვე სულელებო, ღამურა!
ტ უ რ ა – ახლა მე ვიტყვი: „ერთი პატარა მანანა,
ხან გაანათებს, ხან არა!“
ო ფ ო ფ ი – ნათურა!

(საერთო სიცილი).

მ ა მ ა ლ ი – მთვარე!
ძ ე რ ა – მთვარე ყოველთვის ანათებს!
მ ა მ ა ლ ი – როგორ ყოველთვის?
ძ ე რ ა – ხო ყოველთვის, ოღონდ, ხანდახან, ღრუბელით
იფარება.
ო ფ ო ფ ი – აბა, რა უნდა იყოს?!
ტ უ რ ა – ციცინათელა!

მ ე ლ ი ა – სწორია. აბა, გამოიცანით. „თოფი ხისა, ტყვია
წყლისა, ხეს ეცა და ქვა გაიქცა“!
ძ ე რ ა – მშვილდ-ისარი.
მ ე ლ ი ა – არა!
ო ფ ო ფ ი – ურემი!
მ ე ლ ი ა – არა!
მ ა მ ა ლ ი – გუთანი!
მ ე ლ ი ა – არა! გითხრათ სწორი პასუხი?! წისქვილი!
ო ფ ო ფ ი – წისქვილი! წისქვილი რა არის?
ტ უ რ ა (კვდება სიცილით) – წისქვილი არ იცის!
მ ე ლ ი ა – „ნამცეცაა, ბასრი წვერით,
საქმე კი აქვს დიდიაო,
ხან თუ წვერით მიერჭობა,
ხანაც კუდით კიდიაო!“
მ ა მ ა ლ ი – მე ვიცი, მე ვიცი – სინდიოფალა!

(საერთო სიცილი).

მ ე ლ ი ა – სინდიოფალა რამ გაახსენა!?
ძ ე რ ა – ნამგალა!
მ ე ლ ი ა – არა.
ო ფ ო ფ ი – ცისარტყელა!

(სიცილი).

მ ე ლ ი ა – ნემსი!
ტ უ რ ა – სწორია!
მ ა მ ა ლ ი – რა ნემსი, რომელი ნემსი?
ო ფ ო ფ ი – ნემსი რა არის?
ტ უ რ ა – აბა, თუ გამოიცნობთ!
„ერთი რამა სულიერი
მიწა-მიწა მძრომელია,
კარგი ვაჟკაცისათვის
თავზე წამომჯდომელია.

სამჯერ გითხარ მისი სახელი
აბა, მითხარ რომელია?“

მ ა მ ა ლ ი – თხუნელა!

ტ უ რ ა – არა!

ო ფ ო ფ ი – მაჩვი!

ტ უ რ ა – არა!

ძ ე რ ა – კაჭკაჭი!

ტ უ რ ა – ნუთუ ვერ მიხვდით?! მელია (ხელს მიათითებს მელიას).

(საერთო სიცილ-ხარხარი).

გამოცანა არავის ერგო! ჰუმანიტარული დახმარება ჯიხურებში გაიყიდება!

(ტურამ მელიას რომ მიათითა, იმის შემდეგ ყველანი სათითაოდ უახლოვდებიან და ეჭვის თვალით ათვალიერებენ „მის ბრწყინვალებას“. უხერხულობის გასაფანტავად მელიამ სიმღერის ბრძანება გასცა).

მ ე ლ ი ა – მეგობრებო, ვიმხიარულოთ! ჩემო ერთგულო მხედრებო, სამხედრო აღლუმი მიბრძანებია!

(მარშის გუგუნზე მამლის წინამძღოლობით მხედრული სიმღერით ჩაივლიან იარაღმომარჯვებული ქოფაკები, მამალი, ოფოფი, ძერა და სხვანი. მელია და ტურა ტრიბუნაზე დგანან და მოპარადეებს ხელის აწევით ესალმებიან).

მ ე ლ ი ა (ტურას) – კაცო, შენ ტურობას როდის მოიშლი?

ტ უ რ ა – როცა შენ მელიობას თავს გაანებებ.

მ ე ლ ი ა – რა გინდა, მითხარი, ბოლოს და ბოლოს.

ტ უ რ ა – რა და, დემოკრატია და სცენაზე თავისუფლად თამაში.

მ ე ლ ი ა – მერე? ხომ მოგეცი, ძმაო, პირველი არტისტის კვერთხი, მიდი და ითამაშე, როგორც გინდა!
ბიჭოს, არ შემჭამა?! (პარადს ესალმება).
გაუმარჯოს დემოკრატიას!
– ვაშაა! – პასუხობენ მოზეიმენი.

მ ე ლ ი ა – ახლა გაიმართება დიდი კონცერტი, სცენაზეა ჩემი მეგობარი არტისტთუხუცესი!

(ტურას ნაბადი მოუსხამს, წვერი მიუმაგრებია, ხელში გუდასტვირი უჭირავს და მღერის რაჭულ, მესტვირულ კილოზე).

ტ უ რ ა – ჩამოვედი მაღალ მთიდან,
ვიცი თქვენი გაჭირვება,
წყალწაღებულ ამ ქვეყანას
ბევრი ოფლი დაჭირდება.
ყური მიგდეთ, მეგობრებო,
მოგახსენებთ ალალ ძმობით;
მატყუარას ნუ აირჩევთ,
მოღალატეს ნუ ენდობით!
მე მოხუცი მგოსანი ვარ,
გუდა-სტვირი დამშვენდება,
სიმღერით და ცეკვა-ცეკვით
სოფელი არ აშენდება!

ყ ვ ე ლ ა ნ ი – სწორია!
– მართალია!

(ტაშს უკრავენ).

მ ე ლ ი ა (ქოფაკებს) – რეებს ჩმახავს?!

(ტაშის გრიალში ტურა კულისებში გადის. მესტვირის ნიღაბს მოიცილებს და საცეკვაოდ გამოდის. ცეკვავს ნარნარად, ტანის რხევით, სამაიას სტილში. სხვებსაც აიყოლიებს. ერთი-ორჯერ მელიას გაეცეკვება, მელია და ქოფაკები ცდილობენ წაეპოტინონ და სცენიდან გამოათრიონ, მაგრამ ვერ ახერხებენ. ტურა უეცრად შეჩერდება და მღერის).

ტ უ რ ა – აგირჩიეს სოფლის თავად,
ცაზე ხელი აგიწვდება,
ვერცხლისფერად მოკაზმულხარ,
სახე შენი გავიწყდება.

განა მართლა მზისა ხარ,
მე ხომ ვიცი, ვინცა ხარ,
ერთი წუწკი მელია –
რაც იყავი, ისა ხარ!

(ისევ მელიაზე მიუთითებს. ყველანი მელიას შეაჩერდებიან).

მ ე ლ ი ა – შეიპყარით ეგ მოღალატე, ეგა!

(განგაშის მუსიკა. არტისტ ტურას ქოფაკები დაედევნენ, მელიაც მისდევს. ვეებერთელა ქოფაკები სასაცილონი ჩანან. ტურა ზოგჯერ ფეხებშიც გაუძვრება, ქოფაკები ერთმანეთს შუბლით ეჯახებიან. წამოხტებიან, ისევ მისდევენ. ტურამ ისკუპა და ქოფაკებს სოროში შეასწრო):

მ ე ლ ი ა – შეიპყარით! გამოათრიეთ, აქ მომგვარეთ!

(ერთმა ქოფაკმა ცხვირი შეჰყო სოროში, მაგრამ ამაოდ).

1 ქ ო ფ ა კ ი –ტურავ!
ტ უ რ ა – ბატონო.
II ქ ო ფ ა კ ი – გამოდი რა, ტურავ!
ტ უ რ ა – დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ვერ გამოვალ.
I ქ ო ფ ა კ ი – ტურავ, გამოდი და ოფოფს დაგიჭერ!
ტ უ რ ა – გმადლობთ, არა მშია!
ო ფ ო ფ ი (ქოფაკს) – ხელი გასწიე, შენ ვისი დამჭერი ხარ, შე დოყლაპიავ!
II ქ ო ფ ა კ ი – ტურავ, გამოდი რა, გამოდი და ერთხელ კიდევ ითამაშე, შენ ხომ თამაში ძალიან გიყვარს!
ტ უ რ ა – რომ იცოდეთ, ყმაწვილებო! შარშან რაც ვითამაშე, ისიც მიმძიმს, არათუ ახლა გამოვიდე და ვითამაშო!
მ ე ლ ი ა – რამდენ ხანს იქნები სოროში. მაინც დაგიჭერ, შე მოღალატე ქურდბაცაცავ, შენა!

(პირველი მოქმედების დასასრული).

მეორე მოქმედება

(მელია მიტინგზე სიტყვას ამბობს. ოფოფი და ძერა განზე დგანან და ზეიმში არ მონაწილეობენ, დაფდაფების ხმა ისმის).

მ ე ლ ი ა – დარბაისელნო! სოფლის მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაში შედის. ქურდბაცაცები საბოლოოდ ავლაგმეთ!
ძ ე რ ა – მოსაპარავი აღარაფერი დარჩა და იმიტომ.
ო ფ ო ფ ი – სუ, ჩუმად, ვინმე გაიგონებს.
მ ე ლ ა (პათეტიკურად) – ადრე, სანამ მე მოვიდოდი, დღეში თხუთმეტი კაცი კვდებოდა შიმშილით. ახლა მხოლოდ ხუთი კაცი კვდება. მალე შიმშილით ერთი კაციც აღარ მოკვდება.
ძ ე რ ა – მართალია, ყველანი დავიხოცებით და მოშიმშილეც აღარ დარჩება.
ო ფ ო ფ ი – სუ, ჩუმად მეთქი. იცოდე, დაგიჭერენ.
მ ე ლ ი ა – როგორც იქნა, დამშვიდდა ქვეყანა!
ძ ე რ ა – ყველაზე მშვიდნი საფლავში წვანან. სოფელი კი დაპირებებით და ტყუილებით არ აშენდება!
ო ფ ო ფ ი – სუ, სუ!

მელიამ ძერას ნათქვამს ყური მოჰკრა.

მ ე ლ ი ა (ქოფაკებს) – რაო, ტყუილებიო?! შეიპყარით!

(ქოფაკები ძერას მივარდებიან, გაკოჭავენ და წინ გაიგდებენ).

ო ფ ო ფ ი – სად მიგყავთ, თქვე უსინდისოებო?!
I ქ ო ფ ა კ ი – ჯიღა ციხეში.
მ ე ლ ი ა (ქოფაკს) – ციხის კარი მაგრად ჩარაზეთ?
II ქ ო ფ ა კ ი – რკინის ურდულით, თქვენო ბრწყინვალებავ!
მ ე ლ ი ა – რატომ აღარ მღერიან. იცოდეთ, ხალხს მოწყენის და ფიქრისთვის დრო არ უნდა ჰქონდეს. აბა, სიმღერა!

(ქოფაკები, ოფოფი, ვარიები და სხვები სიმღერას იწყებენ. ერდოზე მამალი გამოჩნდა და დაიყივლა).

მ ე ლ ი ა – გაგიჟდა? რა დროს ყივილია!

მ ო მ ღ ე რ ა ლ ნ ი: „დიდია ჩვენი პარტიაა!“

მ ა მ ა ლ ი (ერდოდან) – „მაგრამ შაქარი არ არი!“

მ ო მ ღ ე რ ა ლ ნ ი – „ჯამაგირებზე გვატყვია!“

მ ა მ ა ლ ი (ერდოდან) – „პარტიის ნაამაგარი!“

მ ო მ ღ ე რ ა ლ ნ ი – „სად არი! სად არი, სხვაგან ასეთი პატრონი, სად არი?!“

მ ა მ ა ლ ი (ერდოდან) – „დრო გადის, დრო გადის, გვატყუებს სარდალი!“

მ ე ლ ი ა (ქოფაკებს) – შეიპყარით, ჩასვით!

(ქოფაკები მამალს მივარდებიან ფრთებს გაუკავებენ და მიჰყავთ. მამალი მაინც მღერის: „დრო გადის, დრო გადის, გვატყუებს სარდალი!“).

ო ფ ო ფ ი – გაუშვით ხელი. ეგ მამალია. სოფელს აღვიძებს. თქვენ არ გაქვთ უფლება! სად მიგყავთ?!

II ქ ო ფ ა კ ი – ჯიღა ციხეში!

(სოფლის მაშენებელნი შეჩოჩოქოლდნენ, ჩიტ-კორესპონდენტი გამოჩნდა).

I ქ ო ფ ა კ ი – თქვენო ბრწყინვალებავ, კორესპონდენტი გეახლათ!

მ ე ლ ი ა – რა დროს კორესპონდენტი იყო. გაზეთიდან არის?

I ქ ო ფ ა კ ი – ამბობს ტელევიზიიდან ვარო.

მ ე ლ ი ა – თუ ტელევიზიიდანაა, მოვიდეს.

(შემოდის ჩიტი-კორესპონდენტი. აპარატს დააყენებს. იუპიტერებს ჩართავს. მიკროფონს მოიმარჯვებს).

ჩ ი ტ -კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – თქვენო ბრწყინვალებავ, შარშანწინ ხალხს დაპირდით, სოფელს ავაშენებო. საქმე ჯერ ადგილიდან არ დაძრულა. რა ხდება, ამომრჩევლები მოატყუეთ?

მ ე ლ ი ა – მე არავინ მომიტყუებია. აქეთ მატყუებენ.

ჩ ი ტ -კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – ეს როგორ გავიგოთ?!

მ ე ლ ი ა – დაგეხმარებითო, მომატყუეს, მიწებს დაგიბრუნებთო – მომატყუეს. ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე – მომატყუეს, არ მოვაწერე – მაინც მომატყუეს.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – მაინც რამდენჯერ შეიძლება მოატყუონ სოფლის თავი?!

მ ე ლ ი ა – ეგ იმათ ჰკითხეთ, ვინც მატყუებს.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – სახელმწიფო ქონება რომ იძარცვება, რა ზომები მიიღეთ?

მ ე ლ ი ა – კონტროლი დავაწესეთ. მაგრამ ვისაც უნდა გაეკონტროლებინა, იმან თვითონ დაიწყო ქურდობა. ამაზე ერთ იგავს გეტყვით: ხელმწიფის მარანში ღვინოს აკლდებოდა. მივიდა მეფე მარანში და ნახა, ქვევრთან ჯამი დევს. ეს ვისი ჯამიაო, მემარნეს ჰკითხა. ჩემიო, მემარნემ. ესე იგი, მემარნე სვამსო, დაასკვნა მეფემ და, რომ არ დაელია მემარნეს, კონტროლად კაცი დაუნიშნა. ღვინოს ახლა უფრო მეტად აკლდებოდა. მივიდა მეფე მარანში და ნახა, ქვევრთან ორი ჯამი დგას. ვისიაო, ჰკითხა მემარნეს. ერთი ჯამი ჩემი გახლავთ და მეორე კონტროლს ვინც მიწევს, იმ კაცისაო, მიუგო მემარნემ.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – თქვენზე ამბობენ, უდანაშაულო ხალხს იჭერს, ციხე პატიმრებით გაავსოო!

მ ე ლ ი ა – მე დემოკრატი ვარ. ეგ ცისლისწამებაა.

ო ფ ო ფ ი – ცრუობს! პატივცემულო კორესპონდენტო! ამ დილით სიმართლის მთქმელი ძერა და სოფლის მაღვიძარა მამალი დააპატიმრა.

მ ე ლ ი ა – ხმა ჩაიწყვიტე!

ო ფ ო ფ ი – არ გავჩუმდები! სანამ ჩემს მეგობრებს არ გაათავისუფლებთ!

მ ე ლ ი ა – შეიპყარით!

(ქოფაკები მიცვივდნენ და ოფოფი შეიპყრეს).

მ ე ლ ი ა (კორესპონდენტს) – უკაცრავად... შეგვიძლია გავაგრძელოთ.

ჩ ი ტ - კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი – არ არის საჭირო, ამ ინტერვიუს, მგონი, ცუდი ბოლო ექნება.

(იუპიტერები ქვრება. კამერა ჩუმდება. კორესპონდენტი გადის. ...ისევ ღამეა. შორიდან ნიავს კვნესა-ვაების ხმები მოაქვს. შიმშილით გათანგული ჩრდილები ძლივს დალასლასებენ. მოისმის ნაღვლიანი სიმღერა):

შიმშილში და სიცივეში
ჩვენს სიცოცხლეს რა ფასი აქვს,
სოფლის თავად ავირჩიეთ,
დაგვავსო და დაგვაქცია,
არც სოფელი შენდება და
მზემაც ზურგი შეგვაქცია.

(დაფდაფების ხმა. სცენა ერთბაშად ნათდება. შემოდის ქოფაკი).

ქ ო ფ ა კ ი – ადექით ფეხზე! სასამართლო მოდის!

(საზეიმო მარშის ხმაზე შემოდის მელია და მაღალ ტახტზე ჯდება. აქეთ-იქით ორი შუბოსანი ქოფაკი უდგას. შემოჰყავთ სამი პატიმარი – ძერა, ოფოფი და მამალი).

მ ე ლ ი ა – დაპატიმრებულია დამნაშავეთა ბანდა: ძერა, მამალი და ოფოფი. მე დემოკრატი ვარ და მზად ვარ ყოველ დამნაშავეს ორი შეცოდება ვაპატიო, მესამეს კი ვერ ვაპატიებ! ბრალდებულო ძერავ! ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ძ ე რ ა – რაში?

მ ე ლ ი ა – რაშიო?! ხედავთ, რა უტიფარია?!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – რაშიო! რაშიო!

მ ე ლ ი ა – იცი თუ არა, ბრალდებულო ძერავ, რომ ავი მგალობელი ხარ, არც ხმა გივარგა და არც სმენა!

ძ ე რ ა – მერე ეს დანაშაულია?

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – დანაშაულიაო?! ამას დამიხედეთ.

მ ე ლ ი ა – დანაშაულია, აბა რა არის, გულისამრევი ყაშყაშით ტყის მცხოვრებთ რომ გულს ურევ!

ძ ე რ ა – მეტს აღარ ვიზამ!

მ ე ლ ი ა – ეს ერთი ცოდო შემინდვია. ახლა მეორე: წიწილის ხორცი გიყვარს?!

ძ ე რ ა – მიყვარს.

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ნახე, მიყვარსო, მიყვარსო.

ძ ე რ ა – მერე ეს დანაშაულია! მე ხომ ჯერ წიწილი არავისთვის წამირთმევია.

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ჯერო, ჯერო...

მ ე ლ ი ა – მაგრამ ხომ გიყვარს საცოდავი წიწილის ხორცი. თუ ხელში ჩაგივარდა ხომ შეახრამუნებ?

ძ ე რ ა (დაბნეული) – მაპატიეთ და წიწილაზე ფიქრითაც არასოდეს ვიფიქრებ.

მ ე ლ ი ა – ეს მეორე ცოდოც მიპატიებია. ახლა მესამე და მთავარი: ჩემო ერთგულო ქოფაკებო, როცა მე მიტინგზე ისტორიულ სიტყვას ვამბობდი, ვინ დაიძახა – სოფელი დაპირებით და ტყუილებით არ აშენდებაო?!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ამ! ამ! ამ! ამ! ამან დაიძახა!

მ ე ლ ი ა – მოისმინეთ განაჩენი: სოფლის თავზე თავდასხმის მცდელობისა და ცილისწამებისთვის ძერას მიესაჯოს თავის მოკვეთა!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – თავის მოკვეთა კი არა – თავის მოკვნეტა?!

მ ე ლ ი ა – კარგი, აგრე იყოს, შევასწოროთ განაჩენი – ძერას

მიესაჯოს თავის მოკვნეტა! ბრალდებულო მამალო, ცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?!

მ ა მ ა ლ ი – რაში?

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – რაშიო, რაშიო, ეს ვინ ყოფილა!

მ ე ლ ი ა – წესიერი მამალი გამთენიისას უნდა ჰყიოდეს, ხომ მართალია?

მ ა მ ა ლ ი – მართალია.

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

მ ე ლ ი ა – შუაღამისას თუ დაგიყივლია?!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – როგორ არა, როგორ არა, ჩვენ გავიგონეთ!

მ ე ლ ი ა – რატომ ჰყივი შუაღამისას?

მ ა მ ა ლ ი – რომ გავათენო.

(მელია და ქოფაკები იცინიან).

მ ე ლ ი ა – შე სულელო, როდის იყო, შუაღამისას თენდებოდა. კარგი, ეს ვითომ არაფერი, შუადღისას რომ ჰყივი ხოლმე ხანდახან?

მ ა მ ა ლ ი – როდის?

მ ე ლ ი ა – შიგა და შიგ. აბა, გაიხსენე, შუადღისას არ დაგიყივლია?!

მ ა მ ა ლ ი – ვყივი, როცა შიმშილი შემაწუხებს და სევდა შემომაწვება ხოლმე.

მ ე ლ ი ა (აღშფოთებით) – ა, ისევ „შიმშილი“, ისევ „სევდა!“ შე რეგვენო, რა უნდა შიმშილს და სევდას ბოლშევიკთან. ახლა ხომ სიმშვიდეა!

მ ა მ ა ლ ი – რა ვიცი, მე ვერ ვხედავ...

მ ე ლ ი ა – ქოფაკებო, არის თუ არა სიმშვიდე?!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – არის, არის! მშვიდობაა და მერე როგორი!

მ ე ლ ი ა – მამალი კი ვერ ხედავს, არ უნდა დაინახოს. კარგი, ეს ერთი დანაშაული მიპატიებია. ახლა მეორე: რამდენი ცოლი გყავს?

მ ა მ ა ლ ი – არ ვიცი, რას მეკითხებით?!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – არ იცის! ვერ ხვდება.

მ ე ლ ი ა – რამდენი ცოლი გყავს-მეთქი.

მ ა მ ა ლ ი – ქათმებს გულისხმობთ?

მ ე ლ ი ა – დიახ.

მ ა მ ა ლ ი – არ ვიცი, არ დამითვლია.

მ ე ლ ი ა – ხა, ხა, ხა, ხა, უსმენთ ამ თავხედს, არ დამითვლიაო.

მ ა მ ა ლ ი – ქათმებს განა ცოლად მითვლით? ეს ისე. ხანდახან...

მ ე ლ ი ა – მე ვკითხულობ; ბატონო მსაჯულნო, ღმერთმა რამდენი ცოლი დაადგინა?

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ერთი!.. ერთი!..

მ ე ლ ი ა – მამალს კი იმდენი ჰყავს, რომ ვეღარც დაუთვლია!

მ ა მ ა ლ ი – ოღონდ მაპატიეთ და საქათმეს ახლოს არ გავეკარები.

მ ე ლ ი ა – კეთილი, ეს მეორე ცოდოც მიპატიებია. ახლა მესამე და მთავარი ვნახოთ: ჩემო ერთგულო ქოფაკებო! პარადის დროს, როცა ჩემი, მარად გამარჯვებული, მამაცი მხედრობა ჩემ წინ ამაყად მიაბიჯებდა და ერთგულებას მეფიცებოდა – ვინ დაიმღერა: გვატყუებს სარდალიო?!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ამ, ამ, ამ, ამ, ამან! ამან! ჩვენი ყურით გავიგონეთ!

მ ე ლ ი ა – მოისმინეთ განაჩენი: პარადის დროს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, სოფლის თავზე თავდასხმის მცდელობისა და ბოროტი ცილისწამებისათვის დამნაშავე მამალს, დაბადებულს ა. მ. ჩ. ყ. ღ. წელსა, მიესაჯოს თავის მოკვეთა!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – თავის მოკვნეტა რა, გეხვეწებით, თავის მოკვნეტა სჯობია!

მ ე ლ ი ა – იყოს ნება თქვენი. დამნაშავე მამალს მიესაჯოს თავის მოკვნეტა. განაჩენი საბოლოოა!

მ ა მ ა ლ ი (ჰყივის) – მიშველეეთ!

მ ე ლ ი ა – თქვენ წინაშეა საშიში ბანდის მესამე წევრი. თქვენი სახელი?!

ო ფ ოფ ი – ოფოფი.

მ ე ლ ი ა – ოფ, ოფ, დიდი ამბავი! ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ო ფ ო ფ ი – რაში?

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – რაშიო, რაშიო, კიდევ აქეთ გვეკითხება.

მ ე ლ ი ა – მოქალაქე ოფოფო! ხარ თუ არა გუგულის და კაჭკაჭის ნათესავი?!

ო ფ ო ფ ი – დიახ, შორეული ნათესავები ვართ!

მ ე ლ ი ა – იცოდით თუ არა, რომ გუგული მუდამ სხვის ბუდეში დებს კვერცხებს?

ო ფ ო ფ ი – დებს, ხომ არ იღებს...

მ ე ლ ი ა – ხმა ჩაიწყვიტე! იცით თუ არა, რომ კაჭკაჭი საქვეყნოდ ცნობილი ქურდბაცაცაა?!

ო ფ ო ფ ი – მერე, მე რა შუაში ვარ! თუ ასეა, სწორედ ისინი უნდა დაგეჭირათ.

მ ე ლ ი ა – ვერ დავიჭირეთ. ჩრდილოეთში გადაფრინდნენ. ვიცით სადაც არიან. მალე გავთოკავთ და ჩამოვიყვანთ.

ო ფ ო ფ ი – თქვენი ნებაა.

მ ე ლ ი ა – სასამართლოსთვის ცნობილია, რომ შეთქმულებაში თქვენც მონაწილეობდით. თათბირები თქვენს სართულზე იმართებოდა.

ო ფ ო ფ ი – ნუ ინებებთ, მე... უბრალო ვარ... მე ერთი საწყალი ოფოფი ვარ!

მ ე ლ ი ა – მსაჯულნო! კმარა თუ არა დანაშაულად გუგულის და ოფოფის ნათესაობა?

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, საკმარისია!

მ ე ლ ი ა – და, მიუხედავად ამისა, რაკი დემოკრატი ვარ, ეს საზიზღარი დანაშაულიც უნდა ვაპატიო. მიპატიებია.

ო ფ ო ფ ი – გმადლობთ.

მ ე ლ ი ა – ახლა მეორე: თავზე გვირგვინი რომ გადგას, ამას ხომ ვერ უარყოფ?

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ამას სად წაუვა?!

ო ფ ო ფ ი – მართალია. დაბადებიდან დამყვა.

მ ე ლ ი ა – მერე? ხალხი რატომ შეგყავს შეცდომაში. ხომ იცი, რომ სოფლის თავი მე ვარ და გვირგვინ-ჯიღა მხოლოდ მე უნდა მედგას თავზე!

ო ფ ო ფ ი – რა ჩემი ბრალია. დედამ ასეთი გამაჩინა.

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – დედამო... დედამო...

ო ფ ო ფ ი – ხვალიდან თავს გადავიპარსავ. მაპატიეთ არ ვიცოდი.

მ ე ლ ი ა – ეს მეორე დანაშაულიც მიპატიებია! ახლა მესამე და მთავარი: ჩემო ერთგულო ქოფაკებო! როდესაც ტელევიზიიდან მოვლინებული ჩიტ-კორესპონდენტი ჩემს ბრძნულ საუბარს იწერდა, ვინ ატეხა ხმაური და ვინ დაიჩხავლა: არ ენდოთ, დემოკრატიას ქადაგებს და უდანაშაულო ხალხით ციხეები გაავსოო?!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ამ, ამ, ამ, ამ, ამან, ამან, ამან!

მ ე ლ ი ა – რაკი ასეა; მოისმინეთ განაჩენი: საშიშ რეციდივისტსა და საერთაშორისო დამნაშავეს, მოქალაქე ოფოფს, საზღვარგარეთ საეჭვო ნათესავების ყოლისა და გვირგვინის უნებართვო ტარებისთვის, აგრეთვე სოფლის თავის ცილისწამებისთვის, არსებული კანონის თანახმად, მიესაჯოს თავის მოკვეთა!

ო ფ ო ფ ი – თუ შეიძლება! ერთი წამით!

მ ე ლ ი ა – რას სთხოვ სასამართლოს სიკვდილის წინ?!

ო ფ ო ფ ი – თუ შეიძლება მოწმე დაკითხეთ!

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ვინ მოწმე, რა მოწმე, რა დროს მოწმეა?

მ ე ლ ი ა – სად არის მოწმე?

ო ფ ო ფ ი – გასძახეთ, მოვა.

ქ ო ფ ა კ ე ბ ი – ვინ არის მოწმე, ჰეი, მოწმე!

ტ უ რ ა – აქა ვარ!

თორ-აბჯროსანი ტურა შემოვარდება ერთგული მეომრებით, მეომართა შორის არიან მამლები, ძაღლები და მოცეკვავე ვარიებიც კი... გაიმართება ბრძოლა. ისმის ხმლების ჩახა-ჩუხი და წივილ-კივილი... სცენა ხან განათდება, ხან ჩაბნელდება, ჭექა-ქუხილის მსგავსი გრგვინვა მოისმის. სოფლის თავი – ვერცხლისფერი მელა, ხან ერთ კუთხეში გამოჩნდება, ხან მეორეში. მეომარი მამლები ქოფაკებს თავში უჩაჩქუნებენ, ტურა მელიას კუთხეში მიიმწყვდევს. მელია ტახტზე შესკუპდება).

მ ე ლ ი ა (ყალყზე შემდგარ ტურას და მის მხედრებს) – არ მომეკაროთ! არა გაქვთ უფლება! მე სოფლის თავი ვარ! ხალხმა ამირჩია! სოფელს ვაშენებ!

ტ უ რ ა (მამალს, ძერას და ოფოფს) – მართლა აირჩიეთ?!

მ ა მ ა ლ ი – ავირჩიეთ, მაგრამ მოგვატყუა.

ო ფ ო ფ ი – სოფლის ასაშენებლად ერთი აგურიც არ დაუდვია!

ძ ე რ ა – არ ვიცი... მე არ ამირჩევია, დედას გეფიცებით, ხმა არ მიმიცია.

ტ უ რ ა – ხომ გეუბნებოდით, არ გაბრიყვდეთ, ეგ ერთი წუწკი მელიაა-მეთქი. ვყოფილვარ თუ არა მართალი?!

ო ფ ო ფ ი – მელია?!

ქ ო ფ ა კ ი (თავშეხვეული) – სულელო, სად გინახავს ვერცხლისფერი მელა. ეგ მელია კი არა, ჩვენი მხსნელი და მოძღვარია.

ტ უ რ ა – არც ახლა გჯერათ ჩემი?! აბა, კოკით წყალი მოიტანეთ. ახლავე ნახავთ, რა ვერცხლისფერიც ბრძანდება ეგ თქვენი სოფლის თავი!

(მამალს და ძერას კოკით წყალი შემოაქვთ).

მ ე ლ ი ა – დავიღუპე, არ მინდა წყალი! გემუდარებით, დილით ვიბანავე!

ტ უ რ ა – გადაასხით, თამამად, კოკა სულ დააცალეთ!

(გაკავებულ მელიას თავზე კოკით წყალს გადაასხამენ. მელია

თავის მელურ ფერს დაუბრუნდა.

ყველამ უკან დაიხია.

ისმის გაოცების ხმები).

ტ უ რ ა – ესეც თქვენი რჩეული! ესეც თქვენი მოძღვარი!

მ ა მ ა ლ ი – მელია ყოფილა.

ო ფ ო ფ ი – მელიაა, წყალი არ გაუვა.

ძ ე რ ა – ეჭვი მქონდა, ვხვდებოდი, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდი, არ დამიჯერებენ-მეთქი.

ქ ო ფ ა კ ე ბ ი (გადახურულში, თავ-ღრანჭ შეხვეულნი) – თურმე, ჩვენც გვატყუებდა.

მ ე ლ ი ა – ახლა კი საბოლოოდ გავები... ჩემო ძვირფასებო, ბოლო სათხოვარი შემისრულეთ, მაინც ხომ თქვენ ხელთა ვარ, სად გაგექცევით. იქნება ერთი თაგვი მომიყვანოთ. სანამ ციხეში ჩამსვამდეთ, მინდა, უკანასკნელად ვათამაშო!

მ ა მ ა ლ ი – მოვუყვანოთ, ცოდოა!

ძ ე რ ა – მაინც ვერსად წაგვივა,

მ ე ლ ი ა (ტირილით) – განა ცოტა ამაგი მიმიძღვის თქვენზე.

ტ უ რ ა – არ გაბრიყვდეთ! გაიძვერა მელიას კარგად ვიცნობ – თამაშ-თამაშით საზღვარგარეთ გაგვექცევა!

ო ფ ო ფ ი – სწორია, არ ინდობა!

მ ე ლ ი ა – მაშ, არ მისრულებთ ბოლო თხოვნას? აბა, დამიჭირეთ!

(ისკუპებს ტახტიდან და თვალის დახამხამებაში სცენის მეორე კუთხეში აღმოჩნდება. ყველანი მოსდევენ: „არიქა! არ გაგვექცეს!“ „მარცხნიდან დაუარეთ!“ „ქამანდი ესროლეთ!“ ვიღაცამ დიდი გალია მოიტანა. მელიას ხან აქედან დაუარეს, ხან იქედან. მარტო გალიისკენ დაუტოვეს გასაქცევი. მელია გალიაში შეხტა და კარიც ჩაურაზეს. სასოწარკვეთილი მელია გალიის ხან ერთ კუთხეს მიაწყდება, ხან მეორეს. გამარჯვებულ სოფლელთა ყიჟინა ზეცას წვდება. საიდანღაც ჩიტ-კორესპონდენტი გამოჩნდა. სცენის შუაგულში დამდგარ დიდ სატელევიზიო ეკრანში შეხტა და მკაფიოდ მიმართავს მაყურებელს):

ჩ ი ტ-კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი:
– ძვირფასო მაყურებლებო,
ესე ამბავი ძველია.
მაღალი ციხის კლიტულში
ახლაც ზის წუწკი მელია.
ჰოდა, გახსოვდეთ მართალი
სიტყვა ხმალივით მჭრელია;
„ბოროტსა სძლია კეთილმან
არსება მისი გრძელია!“

(ფარდა)

თბილისი
1997, აგვისტო

ცრემლი

ერთმოქმედებიანი პიესა

მოქმედნი პირნი:

დანიელ მოშიაშვილი
საბა ხარაბაძე

(დარბაზში და სცენაზე სინათლე ერთდროულად ქრება. გაისმის სევდიანი რექვიემი. სცენაზე აქა-იქ ბჟუტავს შორეული სინათლე, უვერტიურა მთავრდება. გაისმის დიქტორის ხმა).

დ ი ქ ტ ო რ ი (იგივე საბა ხარაბაძე) – ოცდაექვსი საუკუნის წინათ შენ სამშობლო დაკარგე. ნაცემი, კერამოშლილი გამოჰყევ გუმანს, უდაბნოს ცხელ სუნთქვას გამოაღწიე და კავკასიის მთების ძირში მიპოვე მე – ქართველი კაცი. იცის შენმა და ჩემმა ღმერთმა რარიგ შეგიფარე და ლუკმა გიწილადე. მერე... დიდი ხნის მერე ისევ მოგიხმო იერუსალიმის ზარებმა და დაბრუნდი შენს ქვეყანაში – წმინდა მიწაზე.

ახლა მე ვარ მძიმე დღეში. თუ ხელი არ გამოვიღე, იქნებ ახლა მე დავკარგო სამშობლო, როგორც შენ ოცდაექვსი საუკუნის წინათ... და აი, წამოვსულვარ შენს საძებნელად, ვინძლო გიპოვო და სულის სალბუნი გთხოვო!

(საბა ხარაბაძე, ქართული სახე-ტალავრის მქონე, მოგზაურულად გამოწყობილი შემოდის სცენაზე. სცენა ნათდება. საბა სცენის სხვადსხვა კუთხეში ჩერდება).

ს ა ბ ა – ისხაკ! (დაღონებული) – არ არის.
– მოშე! (დაღონებული) – არ არის.
– ისინკა! (დაღონებული) – არ არის.
– სარა! (დაღონებული) – არ არის.
გერშონ! (დაღონებული) – არ არის.

(მუსიკა ნელ-ნელა ყუჩდება, საბა ავანსცენაზე გამოდის და მაყურებელს ჩასძახებს):

– დანიელ!

დ ა ნ ი ე ლ ი (მაყურებელთა დარბაზიდან) – აქ ვარ, დაგენაცვლე!

დარბაზს გამოივლის და სცენაზე ავარდება. ძველი მეგობრები ერთმანეთს ეხვევიან. მოისმის ძველი ებრაულ-ქუთაისური სიმღერა.

დანიელა შეშა!
დანიელა წყალი!
დანიელა ცოცხალს მომისწარი.
დანიელა წყალი!
დანიელა შეშა
დანიელა რა ჯანდაბამ გაგაშეშა!

(ამ სიმღერაზე საბა და დანიელა სიცილ-ღიმილით ცეკვავენ ებრაულ ცეკვას. მერე დაცხრებიან და სკამებზე ჩაიმუხლებენ).

დ ა ნ ი ე ლ – მე ვთქვი, საბა არი ესი? შამევიხედე, დავაკვირდი... მე ვთქვი, საბა არ არი. მერე, ხმა რო გევიგონე, მოვტრიალდი ისთევლე. მე ვთქვი, საბა არის ესი?! დავჯდები, დავაკვირდები პატარახანს-თქვა. მერე ჩემი სახელი რო ახსენე, სული შამიგუბდა, მამისულ გეფიცები.

ს ა ბ ა – მე შენ ტელ-ავივში მეგულებოდი.

დ ა ნ ი ე ლ – აქანა ვარ, აშკელონში.

ს ა ბ ა – ა... ჩემო დანიელ ქე ხარ ძველებურად, ყოჩაღად, არ შეცვლილხარ.

დ ა ნ ი ე ლ – გავსუქდი ცოტა. ახლა ჩემ თავ დავეძებ? მეშინია არ გადევირიო სიხარულით. აღარ მეგონა, თუ გნახავდი. თინა დეიდა რავა არი. აქვსენტი ბიძიას ამბავი მითხარი. ტასომ გაათხოვა გოგუები?!

ს ა ბ ა – იმგენს რა გაათხოვებდა. ვართ ასე... ერთნაირად...

დ ა ნ ი ე ლ – ვაიმე! რა კაი დღე გამითენდა! ი ჩვენი ბოვშობის სუნი გაქვს, ბიჭო. აგერ მაქ ცრემლი ყელში მოწოლილი, მეშინია გული არ გამისკდეს. – მითხარი, მითხარი ყველაფერი...

ს ა ბ ა – თქვენ რას შობით აქეთ, რავა ხართ?

დ ა ნ ი ე ლ – რო გითხრა, ძალიან კარგად ვართ-თქვა, დაიჯერებ?! რა ვთქვა ახლა... მაგალითად, სახლს რო იყიდი, ახალ სახლს კაცი, რავარი დიდი და ლამაზიც უნდა იყოს, მაინც იმ შენი ძველი სახლისკენ გაგირბის თვალი. იგი გენატრება. იქანა გინდა ყოფნა, სადაც დეიბადე და ფეხი აიდგი, მამა ნუ წამიწყდება, ასე არი... რა ვთქვა, კიდევ... აი, ყვავილი რო გადარგო ერთი ადგილიდან მეორეზე. ან გეიხარებს, დაგენაცვლე, ან არა. რატომ თუ იცი? ეგება ფესვი დოუზიანე ამოღების დროს, ეგება იმ მიწას ვერ მოარგო ფესვები. ან წყალი შეაკლდა. რას გოუგებ. ასე ვართ ჩვენც აქანა. ჩვენი ფესვი იქ არი და მგონი, ჩვენი გულიც იქ არი... (ბოლო სიტყვებს ხაზგასმული სევდიანობით ამბობს).

ს ა ბ ა – ახლა, თუ ძმა ხარ, გულის აჩუყება აღარ გვინდა! ხომ ვართ ვაჟკაცები.

დ ა ნ ი ე ლ ა – ვართ, აბა არა?! (ცრემლს იმშრალებს).

ს ა ბ ა – რაღაც იმნაირი გაიხსენე, იქ რომ ყვებოდი და გვხოცავდი სიცილით.

დ ა ნ ი ე ლ – რა მოვყვე, ყველაფერი დამავიწყდა.

ს ა ბ ა – თუნდაც აი... ის... მოსკოვში რო იყავი.

დ ა ნ ი ე ლ (იცინის) – რამ გაგახსენა... კი ბატონო... ოღონდ შენ გესიამოვნოს და თავზე ვედრა წყალ არ დევისხამ?

(დანიელი დგება. გაისმის სიმღერა „ეჰ, რაზ, იშჩო რაზ, იშჩო მნოგო, მნოგო რაზ...“ დანიელი წინ გამოდის და იწყებს. საბა ყურადღებით უსმენს და შიგა და შიგ ომახიანად იცინის).

დ ა ნ ი ე ლ – „ეი, პარენ, სოობრაზიმ ნა ტრაიხ!“ მომესმა გიორგობისთვის ერთ სუსხიან დილით უნივერმაგისკენ თავჩაქინდრულად, გამალებით მიმავალს.

შევჩერდი.

ჩემ წინ ორი ასევე ჩემსავით ხელჩანთიანი და ინტელიგენტურად ჩაცმული, მოსასხამიან-შლაპოსანი კაცი დგას.

ჩემი შეტყობით ოცდაათისანი ჯერ არ არიან და არც ბევრი არაფერი უკლიათ. ეს მომართვა პირველად გავიგონე-მეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. მოსკოვში ბარე ერთი თვის ჩამოსული ვიყავი და გასტრონომთან გავლისას ხშირად მესმოდა. ისიც ვიცოდი, რას ნიშნავდა, მაგრამ აქამდე თუ „სპასიბო, ნეკოგდათი“ ვიშორებდი, იმ დღეს, რატომღაც შევჩერდი.

ხელში საგულდაგულოდ დაკეცილი მანეთიანები ეჭირათ და „უფროსი ძმები“ ერთდროულად მთხოვდნენ სამი მანეთი დამედო და საზიაროდ ნაყიდი ბოთლი არაყი ერთად დაგველია.

უჩვეულო ჟინმა შემიპყრო. მოდი, ერთხელ მაინც არ გავაწბილებ ამ სერიოზულ ახალგაზრდებს. დავყვები მათს ნებას. სამი მანეთი გინდ იქეთ იყოს, გინდ აქეთ, ასორმოცდაათი გრამიც ვერაფერს მიზამს, ცოტას შევხურდები-მეთქი.

ამოვიღე სამმანეთიანი და გავუწოდე.

„ჟდი ზდეს!“ დამიგდეს და საქმიანი სახე-ნაბიჯით გაუჩინარდნენ გასტრონომის მბრუნავ, ცხლადმქშინავ კარებში.

ვდგავარ, ველოდები. ფეხს ფეხზე ვაბაკუნებ. ასე იქცევა ყველა გარეთ მცდელი. რუსული ყინვა, გინდა არ გინდა, აგაცეკვებს.

მალე გამოჩნდნენ.

ძირს დაშვებულ ჩანთებზე, ყურებამდე ჩამოფხატულ შლიაპებზე და ბოლო ღილებამდე შეკრულ მოსასხამებზე ვიცანი.

დაბალს მკერდთან მარცხენა ხელი აქვს გამობურცულ ადგილას არყის ბოთლზე მიჭერილი.

გვერდით ჩამიარეს და არც კი შემომხედეს.

მათი ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური საქციელი, კონსპირაციას მივაწერე. ალბათ, არ უნდათ, მე, ებრაელ კაცს სახელი გამიტეხონ-მეთქი.

მივყევი.

ოციოდე ნაბიჯი რომ გადადგეს, მოიხედეს და რაკი დარწმუნდნენ, მოგვყვებაო, ფეხს აუჩქარეს. კიდევ ერთხელ მოიხედეს და სირბილზე გადავიდნენ.

– ეი! ეი! რებიატა, პადაჟდიტე! – მივდევ, მივძახი.

შენც არ მომიკვდე, უკანალზე ქუსლებს ირტყამენ, ისე სწრაფად გარბიან. ყველაფერი გასაგებია. ჩემი გაცურება-მოტეხვა გადაწყვიტეს. შემატყვეს, რომ ამ საქმეში ხამი ვარ და სამი მანეთი ამაწაპნეს, არაყს კი არ მიწილადებენ.

სიბრაზისაგან ყურები ამეწვა.

მე თქვენ გიჩვენებთ-მეთქი, გულში ვამბობ, როგორ უნდა ქუთაისელი ებრაელის მოტყუება და აბუჩად აგდება. საფლავის კარამდე ჩაგსდევთ, ჩემს წილ არაყს არ შეგარჩენთ, თუ კაცი ვარ-მეთქი. არაყზე კი არ მწყდება გული, არაყი წაუღია ცეცხლს, მე იმაზე ვბრაზობ, რა რქიანი მნახეს ამნაირი.

სირბილში ერთმა მეორეს შლიაპაც მოხადა და ჩანთაც გამოართვა. არყის ბოთლიანი წინ გარბის ბოთლზე ხელმიჭერილი. უბოთლო უკან მისდევს. ორი ჩანთა ერთად ამოუიღლიავებია, შლაპაზე შლაპა ჩამოუმხვია და თავზე ხელით ამაგრებს. მიხტუნავს კენგურუსავით, უკანმოუხედავად. რაღა მე და რაღა ბუზი, თითქოსდა, ჩემი სამმანეთიანი არც იდოს იმ არაყში.

სადარბაზოში შეცვივდნენ და კარი მოიჯახუნეს.

მივვარდი, ვაკაკუნებ, ვაჯანჯაღარებ ხის კარებს, ლამის შევანგრიო. – ატკროიტე! – ვყვირი – ატკროიტე, ია ვამ გავარიუ, ატკროიტე სიჩასჟე!

გაგიგონია?

მივაყურადე. ლიკლიკით ჩადის ჩემი არაყი ჭიქაში. მომეყურა თუ ნამდვილად ასე იყო. ამას ჩემი გაცოფებისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

დავაჭირე თითები ღილაკებს. ერთბაშად ახმაურდა მთელი სახლი:

– ვამ კტო?

– კავო ხატიტე?

– ვი კუდა?

– კტო ვი?

– სლუშაიუ!

– ატვეჩაიტე ჟე!

– ატკროიტე, ია ვაშ დრუგ, ნედავნო პრიეხალ-მეთქი, მაგრამ ახლა ახალი ტალღა წამოვიდა სართულებიდან „ვინ ხარ“, „ვის დაეკარგე“, „ვისთან ჩამოხვედი“, „მოშორდი მაქაურობას, თორემ მილიციას დავუძახებთო“.

მილიციის გაგონებაზე ფრთები შემესხა.

მთელი ძალით დავაბრახუნე და ჭუჭრუტანას ჩავბღავლე:

– ატკროიტე სიჩასჟე, ა ტო, მილიციუ პაზავუ!

გაჭრა.

კარი გაიღო. ღრიჭოში ხელი გამოჩნდა. არაყი ნახევარზე ცოტა მეტი ასხია.

– ნა, პეი! ზარაზა!

ჭიქა გამოვართვი, სულმოუთქმელად გადავკარ. დავუბრუნე და კარებს მოვშორდი.

ჩემი თავმოყვარეობა გადარჩენილია. თავისი ხომ მაინც არ გავატანინე. ხომ ვერ დაიტრაბახებენ, სამი მანეთი შევაწერეთო.

მოვდივარ უკან გახარებული, გალაღებული, თავაწეული.

გასტრონომთან ორი შლაპოსან-ჩანთოსანი ახალგაზრდა კაცი დგას.

დაბალს მკერდზე აქვს პლაშის შიგნით არაყი ჩაბღუჯული.

დამინახეს და მაშინვე მომცვივდნენ.

– ვოტ ჩუდაკ, გდე ტი? ცელი ჩას ისშემ!

ისინი არიან ნამდვილად, ვისაც სამი მანეთი მივეცი.

თურმე წეღან სხვა რუსებს გამოვკიდებივარ.

რას ვემართლებოდი, უკან რომ მივსდევდი და, თუ არ დამალევინებთ, მილიციას დავუძახებ-მეთქი, რომ ვემუქრებოდი!

არ ყოფილან გამგებიანი ბიჭები?

საკუთარი არაყი მიწილადეს.

არ მინდა, ბიჭებო, თქვენ დალიეთ, რაღაც ვერა ვარ კარგად-მეთქი, სიცილს ძლივს ვიკავებ. ტი ჩტოვო, პირის შლა ვის გაუგია, ასეთ საქმეშიო, ახლა შენი სამი მანეთი სადღა ვიშოვოთო, შეწუხდნენ.

არ მინდა, ბიჭებო, სამი მანეთი, ღმერთმა შეგარგოთ, ალალი იყოს თქვენზე-მეთქი. ხელი ჩამოვართვი ორივეს და წამოვედი.

„– ვოტ ჩუდაკ“ – მომესმა.

მოვიხედე, დგანან და შემომცქერიან.

ს ა ბ ა (სიცილისგან მოგვრილ ცრემლებს იწმენდს) – შენ გაგახარა ღმერთმა, რაც მე მაგ ამბავზე ვიცინი ხოლმე, რომ გამახსენდება, მოყოლაც რო გემრიელი იცი...

დ ა ნ ი ე ლ – შენი ამბავი მითხარი თუ ღმერთი გწამს. აქანა ქართულ გაზეთებ ვერ ვღებულობთ. ქეც რომ წევიკითხო, გაზეთში ვინ დაგიწერს მართალს. რა ქენით, უშველა ქვეყანას ახალმა მთავრობამ?

ს ა ბ ა – შენც არ მომიკვდე. დედაბერი რო უღელს გადააგდებს

და კურდღელს მოკლავს ისე ერთი, შემთხვევით გამოსული საქმეც რო გამორეოდათ რამე, ფიცში ჩასაყოლებლად, რა გვიჭირდა.

დ ა ნ ი ე ლ – ხალხი? ხალხი რას ამბობს?

ს ა ბ ა – უნაპირო ტყუილებმა ხალხი ისე დააგლახავა, რო თავის ამწევი და ხმის ამომღები არავინ დარჩა, თავჩაქინდრულები, ნაზამთრალი ნახირივით ძლივს მივყობით ერთმანეთს კვალში.

კომუნისტების დრო ხომ გახსოვს, იმაზე უფრო დაცვედნებული და დადედლებულია ახლა ხალხი.

სხვისი ხელით ნარის გლეჯა უნდა ყველას.

იმედი აქვთ, იმედი დაკარგული და იმედის დაკარგვა, ხომ იცი, რავარია.

(დგება, გაისმის მეგრული მელოდია „სი ქოული ბატა“, საბა გამოდის, ავანსცენაზე).

ს ა ბ ა – ამასწინათ ერთ სუფრაზე მოვხვდი. იმდენი იწუწუნეს პოლიტიკაზე და იმდენი იძახეს ყასიდად, მეტის მოთმენა არ შეიძლებაო, რომ ხუმრობის ხასიათზე დავდექი და უბის წიგნაკი ამოვიღე:

„მოდით, არსებული ხელისუფლების დასამხობად იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ხსნა“ ჩამოვაყალიბოთ-მეთქი“.

„ოღონდაც! ოღონდაც, ჩინებული აზრია. დღეს ჩვენს ქვეყანას მხოლოდ „ერის ხსნით“ თუ ვუშველითო“, სახეანთებულნი დათანხმდნენ ჩემს წინადადებას.

ჩემმა უწყინარმა ხუმრობამ მევე შემაკრთო, მაგრამ ცოტას შევყვები-მეთქი და უკან არ დავიხიე.

– ვისაც სურვილი გაქვთ, ბატონებო, გაწევრიანდით „ერის ხსნაში“. ანუ, მოკლედ რომ გითხრათ, გვარსახელი და ტელეფონი ჩამაწერინეთ.

ქალები განზე გადგნენ – სროლა არ ვიცითო. ვეტერან მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელმა სოსო ბუხაიძემ თავი შეიკავა, რომ რამე მოხდეს, ადვილად გამომტეხავენ, ვიცი ჩემი თავის ამბავი. უნებისყოფო კაცი ვარ და თქვენთვისვე აჯობებს, გარეთ დავრჩეო. ყოფილმა პარლამენტარმა კვესელავამ, მადლობელი ვარ ნდობისთვის, მაგრამ უკვე ვარ გაწევრიანებული სამ საიდუმლო პარტიაში და ერთ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაშიო.

სანამ სუფრას მცირე ფოქსტროტშესვენების შემდეგ ხელმეორედ მივუსხდებოდით, ჩემი უბის წიგნაკი ახალი იატაკქვეშა ორგანიზაციის „ერის ხსნის“ ხუთი მოქმედი წევრით გამდიდრდა: მე, ნოტარიუსი ბახვა სულაკაძე, სენაკის ომის ინვალიდი ტოტო მაქაცარია, ყოფილი მეტყევე ჯანიკო ნასყიდაშვილი და დამწყები მენეჯმენტი ვიტალი სირბილაძე.

„ერის ხსნის“ დაკომპლექტება დავამთავრე და ლხინიც ჩაკვდა.

დროდადრო გავხედავდი „ერის ხსნის“ თავდადებულ წევრებს. ჩემს „საიდუმლო თანამებრძოლებს“ დანა პირს არ უხსნიდათ. ისხდნენ სახეზე ურვაშეყინულნი, პირგამეხებულნი, ფერგაცრეცილები.

ვერ გავუძელ მათ საცოდავობას, თამადას ბოდიში მოვუხადე და აივანზე გავედი.

ნოტარიუსი ბახვა სულაკაძე ფეხდაფეხ გამომყვა.

– ბატონო რომან, არ გეწყინოთ კია და უარი უნდა გითხრათ.

– რაზე ბატონო?

– „ერის ხსნის“ წევრობაზე. დავფიქრდი და არ მირჩია გუმანმა. თანაც ჩემთვის არ შეიძლება წევრობა. მოგეხსენებათ, ნოტარიუსი ვარ. ცუდად გაიგებენ.

– ნება თქვენია, – მშვიდად მივუგე – ოღონდ ერთი პირობა უნდა მომცეთ.

– ბრძანეთ.

– ამ ორგანიზაციაზე კრინტი არავისთან დაძრათ.

– შეურაცხყოფას მაყენებთ, ბატონო რომან. შეგეძლოთ არ გაგეფრთხილებინეთ. რას ჰქვია, კრინტი დავძრა. გუშინდელი ღლაპი კი არ ვარ. მშვიდად იყავით, შუაზე რომ გამხერხონ, ჩემგან ვერაფერს ვერ გაიგებენ.

– ასეც ვიცოდი, – გავუღიმე – ჭეშმარიტი პატრიოტი ყოფილხართ.

ხელი ჩამომართვა და ფრთაშესხმული გამშორდა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ასე იოლად დააღწია თავი იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრობას.

ხელის გადასაბანად აბაზანაში შესულს ტოტო მაქაცარია ფეხდაფეხ შემომყვა.

– წეღან ვერ გითხარი, პატივცემულო. ხალხში ვერ გეტყოდი ყველაფერს. მე ჩემი მჭირს, პატივცემულო, გვარიანად მიბრაგუნეს ფერდებში. ჩატეხილი მაქვს ორი ნეკნი და ჭაჭები ჩამოვარდნაზე მაქვს ნამდვილად. მე არაფერში გამოგადგებით მაინც და ტყვილად რად გინდა, კაცად გეთვლებოდე სიაში. წამშალე მაქ და თუ რამე შევძელი. მე თვითონ, ჩემით გავაკეთებ, რაც გასაკეთებელია.

– წაგშლი, მაგრამ მერე სანანებლად არ დაგრჩეს.

– წამშალე და თუ ვინანებ, ნანანები იქნება და ის იქნება. ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, თვარა ვინ მამაძაღლი დაზოგავს თავს. კარგად იყავი. წამშალე, არ დაგავიწყდეს, არ დამღუპო!

– კარგად, კარგად. ფიქრი ნუ გაქვს, წაგშლი.

თავი მოიკლა და ჩემზე ადრე არ გავიდა აბაზანიდან.

ჯანიკო ნასყიდაშვილმა სკამი ჩემს სკამთან მოაჩოჩა.

– მაშ, „ერის ხსნა“, არა?

– დიახ, დიდი საქმეა. მიხარია, რომ ერთად ვიბრძოლებთ, – რამდენადაც შევძელი დამაჯერებლად შევიდუმალღიმილე.

– გაგიხარიან, ბრძოლა კარგი რამ იყოს, მაგრამა.

– ჰო?

– ყური მოსწიე.

მივწიე. ისეთი რამ მითხრა, რომ „ერის ხსნის“ წევრობა მართლაც გაუჭირდებოდა.

– მართლა?

– მაშ, კაცო. ვიტანჯები პირდაპირ. აი, ახლაც ძლივსღა ვზივარ სკამზედა.

– გავითვალისწინებთ, ძალიან არ დაგტვირთავთ, ცეცხლის ხაზზე არ გაგიყვანთ, მხოლოდ სანგრის მთხრელად გამოგიყენებთ.

– რა სანგარი, რი სანგარი, სიყრმეს გეფიცები, სანგრითხრა კი არა ყურძნი კრეფა ვერ შამიძლიან.

– რა ვქნათ, აბა?

– სიიდან უნდა ამამიღოთ.

– იქნებ გემკურნალათ...

– თუ მოვრჩი, აქ არა ვართ, კაცო, განა გამქცევები ვართ. ერთი სიტყვით, ახლა ამომიღეთ და მერმე ვინ იცის, მარტო მე კი არა, იქნებ ჩემი ორი ძმაც გვერდით ამაგიყენოთ.

– წაგშლი, ოღონდ...

– ყველაფერი გასაგებია. აქ არა ვართ, მაღარიჩი ჩემზეა.

დამწყები მენეჯმენტი ვიტალი სირბილაძე შინ მიმავალს დამეწია. მეო, ბელგიაში გადავდივარ საცხოვრებლად, მადლობელი ვარ ნდობისათვის, მაგრამ უნდა გაგაწბილოთ, „ერის ხსნაში“ მონაწილეობას ვერ მივიღებო.

იქნებ იარაღით დაგვეხმარო-მეთქი.

ვერ მოგატყუებთო. მეო, პატიოსანი მენეჯმენტი ვარო. იარაღთან საქმე არ მქონიაო.

მაშ, გვტოვებ-მეთქი?

არა მარტო მე გტოვებთ, არც თქვენ გირჩევთ საიდუმლო ორგანიზაციის წევრობასო, არ ღირს დღეს ასეთი რამეები. მაინც ვერაფერს მიაღწევთ და ცხოვრებას კი აიწეწავთო.

მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი საქმეებისა თქვენ იცით, მაგრამ მე ჩემი გზა მაქვს და ფრიად მადლობელი დაგრჩებით, თუ რჩევა-დარიგებისაგან გამათავისუფლებ-მეთქი.

მწუხრი მშვიდობისა ვუსურვე და ნაბიჯს ავუჩქარე.

...ასეთი საქართველო გვაქვს დღეს, ჩემო დანიელ.

დ ა ნ ი ე ლ – მდა... ვერ გქონიათ მთლად კარგად საქმე.

ს ა ბ ა – თუ იცი, რამხელა იყო საქართველო დავით აღმაშენებლის დროს.

დ ა ნ ი ე ლ – ვერ გეტყვი, მარა ის კი ვიცი, რო ჩვენ, ებრაელები, დავით აღმაშენებლის დროს უკვე ვცხოვრობდით საქართველოში.

ს ა ბ ა – დავით აღმაშენებელს კი არა, თქვენ ქრისტესაც დახვდით საქართველოში. სამშობლოს დაკარგვით თქვენ, ებრაელებს ვინ გაგაკვირვებთ, მარა დავითის დროს ჩვენ 300 000 კვადრატული კილომეტრი გვეჭირა. ახლა საქართველოს ტერიტორია მხოლოდ 45 ათასია.

დ ა ნ ი ე ლ – 300-დან 45-მდე? მეცოდებით, ჩემმა მზემ. რას ვიზამთ. თავს ზევით ძალა არაა. ერთი ხვალ-ზეგ ღაზაში ჩაგიყვან და ნახე, დაგენაცვლე, რას შობიენ 12-14 წლის ბიჭები. ქვებ ისვრიან და ტანკებ უვარდებიან. არაფატს არ შეარჩენენ მტკაველ ისრაელის მიწას.

ს ა ბ ა – ჩვენთან სიწყნარეა, ჩემო დანიელ. მოლაპარაკებით გვინდა წართმეული მიწის დაბრუნება.

დ ა ნ ი ე ლ – მოლაპარაკებით ვინ რას მოგცემს, თოფით წართმეულს ლაილაით დაგიბრუნებს გადამთიელი?

ს ა ბ ა – მეც მანდა ვარ, დანიელ. ვყვირი: რაცხა ვქნათ-მეთქი, მარა ვინ გისმენს.

(ორივენი ჩაფიქრდნენ, კულისებიდან „სალამი ჩიტუნებოს“ მღერიან).

დ ა ნ ი ე ლ – არ შეგეშინდეს, დაგენაცვლე. ქართველი და გულის გატეხვა? იმ წითელ დროს მაინც ყველაფერი სჯობია. არ გახსოვს, ერცახე ხუმრობის გულიზა რო აციმბირებდენ კაცს?

ს ა ბ ა (ჩაიცინა) – რა გამახსენდა, იცი? ჟირაფის გამყიდველობა რო დეიბრალე და რო დაგიჭირეს.

დ ა ნ ი ე ლ (იცინის) – აბა, სად მყავდა ჟირაფი...

(ავანსცენაზე გამოდის და ჰყვება).

დ ა ნ ი ე ლ – ეს ამ ოცდახუთი წლის წინათ იყო. ცოლი უნივერმაღში შევიდა. მე გარეთ ველოდები. თავი რითი გავირთო-მეთქი და ამნაირი ხუმრობა მოვიფიქრე: არც ვაციე, არც ვაცხელე და გვერდით მდგომ, თეთრბერეტიან, ყელშეხვეულ კაცს სტვენა შევაწყვეტინე:

– ჟირაფს ხომ არ იყიდით?

თითქოს ჩემგან ამ შეკითხვას ელოდაო, შემომხედა, მრავალმნიშვნელოვნად დამაკვირდა, ამოიოხრა და მტკიცე გადაწყვეტილებით მიპასუხა:

– არა, გმადლობთ.

არ უნდა და არ უნდა. რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს. ხომ არ დავაძალებ. ჯიბეში ხელები ჩავიწყე და აფიშასთან მდგარ ღილისთვალება, ღაბაბიან მამაკაცს ავუარ-ჩავუარე. ყურადღება რომ არ მომაქ-

ცია, პროფილით დავუდექი და ვითომ აფიშას ვკითხულობდი, შეთქმულის ხმით ვაუწყე.

– საქმე მაქვს თქვენთან.

არც შემობრუნებულა. ჩანს, კონსპირაციული საუბრის ელემენტარულ ხერხებს მშვენივრად ფლობს. ჩემდა გასაოცრად, გაზეთი გაშალა. სახეზე აიფარა და მოჩვენებითი სიმშვიდით მომიგო.

– გისმენთ.

– ჟირაფს ვყიდი.

გაზეთმა ერთხელ კიდევ გაიშრიალა.

– როგორ ჟირაფს?

– კარგს, ცოცხალს. მე თვითონ ჩამოვიყვანე აფრიკიდან. შვილივით გავზარდე. ფული დამჭირდა, თორემ არ შეველეოდი, – ტყვიამფრქვევივით მივაყარე.

გაზეთი დაკეცა, უბეში ამოიჩარა, შემომხედა და პასუხგაუცემლად გამშორდა. ჩქარი ნაბიჯით მიმავალმა ერთხელ კიდევ მოიხედა და ქუჩა გადაჭრა.

ათასი კითხვის ნიშნით უციმციმებდა თვალები.

ჩემ პირდაპირ, დეკორაციულ ფარანთან, სახელოებაკეცილი მოკლეშარვლიანი, წარბებამდე ქერათმებჩამოვარცხნილი, აწოწილი კაცი დგას. ხელში პომიდვრით სავსე ცელოფანის პარკი უჭირავს. ხანდახან პომიდორს ამოიღებს, ცხვირსახოცით ფრთხილად გაწმენდს, შუაზე გახლეჩს, ნახევარს ერთ ლუკმაზე ჩაიდებს პირში და მეორე ნახევარს სანამ შეჭამდეს, გულდასმით აკვირდება.

რომ გამისწორდა, მივესალმე და სულისმოთქმა არ ვაცალე.

– ჟირაფის შეძენას ხომ არ ისურვებდით?

როდი დაიბნა, გამიღიმა და ამხედ-დამხედა.

– ავსტრალიაში რომ ვცხოვრობდე და იშვიათი ცხოველების ანატომიის სპეციალისტი ვიყო, ჟირაფს კი არა, დინოზავრს ვიყიდდი.

– მე არ გეხუმრებით.

– მეც სერიოზულად მოგახსენებთ. ისეთ ვიწრო ბინაში ვცხოვრობ, მეცხრე სართულზე ჟირაფს კი არა, სიდედრს ძლივს ვინახავთ.

– იქნებ თქვენს ნაცნობს სურს ვინმეს? – არ მოვეშვი.

– არა მგონია.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

თავი დამიქნია და ჟირაფზე უფრო ნაღდი საქმე, პომიდვრის ჭამა განაგრძო.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან, რკინის „სკამეიკაზე“ ჩათვლემილ, ჭილოფისქუდიან, ტყავისჩანთიან კაცთან მივედი, მხარზე ხელი დავადე, თვალი გავუსწორე და ჩავჩურჩულე:

– ჟირაფს ვყიდი.

პასუხს არ დაველოდე, ჩავიარე. წამოხტა და უნივერმაღის ჩრდილში შემომსდია:

– რა ხნის არის?

– სამის. არაა დიდი ხნის. ჟირაფები ოცდაშვიდ წელიწადს ცოცხლობენ.

– ვიცი, – ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა და ჩანთას ხელი შეუნაცვლა.

– რატომ შეელიე?

– ვალი მაქვს, – თავი შევაცოდე.

– რას აფასებ? – საქმეზე გადავიდა.

– როგორც სხვები ჰყიდიან, იმის ნახევარ ფასად მოგცემ.

შეწუხდა, მივდივარ, უკან მომყვება.

– ალბათ, რამე ნაკლი აქვს.

– არავითარი. სუფთა სისხლის ჟირაფია. გინდა? ამდენი არ მცალია.

– სად გეჩქარება?

– სხვა ქალაქში გადავდივარ და წაყვანა არ შეიძლება, დღესვე უნდა დავიცალო ხელი.

– რატომ არ შეიძლება წაყვანა?

– თვითმფრინავში არ ეტევა, მატარებლით ცხოველების გადაყვანის ნებას არ იძლევიან.

– ძალიან მაღალია? – ქუდი მოიხადა და ცხვირთან გაიქნია.

შემეცოდა, შევჩერდი. აშკარად, ჩანს გარემოება არ უწყობს ხელს, თორემ ჟირაფი ძალიან უნდა.

– ჩვეულებრივ ჟირაფზე ოცი სანტიმეტრით დაბალია. შენ მყიდველს არ ჰგევხარ – უბოდიშოდ მივუგე.

თითქოს წყალი გადაესხაო, სწრაფად შებრუნდა და ბოდიშის მოხდით გამეცალა.

ნაყინის გამყიდველთან მივედი. ერთი „პლომბირი“ შევიძინე და ყოველშემთხვევისთვის ვკითხე:

– ჟირაფის მუშტარი ხომ არ გეგულება?

ჩოფურა, ჟღალთვალებიანი, წითური გამყიდველი კეთროვანივით შემომაჩერდა, მაგრამ სწრაფადვე მოეგო გონს.

– ახლა, ამ წუთში იკითხა ვიღაცამ, ჟირაფს ხომ არავინ ჰყიდისო. მგონი სკვერისკენ გაიქცა. დაეწიე, მორიგდებით, უეჭველი მყიდველია, – მადლობა მოვახსენე, სკვერისკენ, რასაკვირველია, არ გავქცეულვარ.

ჩემკენ კალანჩხიანი, შავულვაშა, ორმოციოდე წლის სვირინგით მკლავდამშვენებული კაცი მოაბიჯებს. კალანჩხიდან ინდაურს ამოუყვია თავი და მშვიდად ათვალიერებს სიცხისგან შეჭმულ ქალაქს.

– ჟირაფს ხომ არ იყიდი? – ხელის გაწვდენაზე რომ მომიახლოვდა, ვკითხე.

შეჩერდა. კალანჩხა მკლავზე ჩამოიკიდა.

– ჟირაფს გააჩნია.

– კარგი რამეა, მოგეწონება, – ლამის მუდარით მივუგე.

– რას ჭამს? – მკითხა.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. დასწყევლოს ღმერთმა, მართლა და მართლა, რას მიირთმევს ჟირაფი?

– ყველაფერს, ვედროში უნდა დაულბო და ყველაფერს ჭამს, – აშკარად შემატყო, რომ სიტყვებს ჰაერში ვიჭერდი.

– ყველაფერს რომ ჭამს, ისეთ ჟირაფს მე სახლში ვერ შევიყვან, – გადაწყვეტილად მითხრა და გზა განაგრძო.

გაზეთის ჯიხურს ჩამოყრდნობილი, მოტოციკლეტისკასკიანი, დაბალი კაცი ამოვიღე ნიშანში, მაგრამ იქამდე მისვლა არ დამცალდა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, სატინის კიტელიანი თერთყირმიზა ბიჭი დამიდგა წინ. საბუთი მიჩვენა, სერჟანტი გახლავართო, გამაცნო თავი და გაყოლა მიბრძანა.

მილიციის ოპერატიულ მანქანას რომ მივუახლოვდით, მოვიხედე და უნივერმაღიდან გამოსული ცოლის გაოცებულ თვალებს წავაწყდი.

– ტაქსით წამოდი, – სერჟანტს, რომელიც ხელის შეშველებას აპირებდა, მივუბრუნდი, – საით მივდივართ?

– მეორეში, – უგემურად მიპასუხა.

– მეორეში! – გავძახე ცოლს, – ტაქსით მოდი. გაარკვევენ ახლავე ყველაფერს და გამომიშვებენ!

ცოლმა თავი დამიქნია და ჩქარი ნაბიჯით მოგვიახლოვდა, მაგრამ ამასობაში მსუბუქი მუჯლუგუნი ვიგრძენი და უფანჯრო კაბინაში ამოვყავი თავი.

ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, მართლაც რომ მყოლოდა ჟირაფი, რატომ არ უნდა ჰქონოდა პატიოსან ქართველ ებრაელს მისი გაყიდვის უფლება?

ს ა ბ ა (იცინის) – მერე? გამოგიშვეს?

დ ა ნ ი ე ლ – სამი დღე მაყურყუტეს მილიციაში. გამჩხრიკეს დედაბუდიან ნათესავებიანად.

ს ა ბ ა (იცინის) – მართლა ჟირაფს ეძებდნენ?

დ ა ნ ი ე ლ – ეძებდნენ და მერე როგორ. ნამეტანი გული დაწყდა მილიციას, როცა დარწმუნდა, რო ჟირაფის ამბავი ხუმრობა იყო. ახლა ამაზე უნდოდათ საქმის შედგენა. რა გეხუმრება, რას აცდენ სოციალისტური შრომით გადაღლილ ხალხს ამ შენი უნიჭო ხუმრობითო.

ს ა ბ ა – სხვების არ ვიცი, ჩემო დანიელ, და მე ნამეტანი მაკლიხართ. ბაზარში შევიხედავ – არ არი ებრაელი კაცი, ატელიეში შევიხედავ – არ ჩანს, მაღაზიაში შევიხედავ – აღარა ხართ. არა და... გულახდილად გეტყვი, რაღაცნაირად... უხდებოდით ქალაქს.

დ ა ნ ი ე ლ – რა ვიცი... ებრაელი კაცი სიტყვას თუ მოგცემდა, პირს არ გიშლიდა. მოტყუებით სულ არ გატყუებდა-მეთქი, არ გეტყვი, დაგენაცვლე, მარა უნამუსოდ არ მოგატყუებდა. არ გადაგაგდებდა. მერე... ჩვენე რაღაცნაირათ, ერთმანეთ ვავსებდით... ვაწონასწორებდით... ასე არ იყო?

ს ა ბ ა – მოდი ერთი, დანიელ, თუ შევძელით, გავიხსენოთ – ებრაელი კაცი ქუთაისში.

დ ა ნ ი ე ლ – კი ბატონო, შენ მყიდველი იყავი, მე ნოქარი ვიქნები. ჯერ ქართველი ნოქარი ვიქნები... მერე ებრაელი ნოქარი. ჰა... მოდი აბა... ე სკამი აქანა დავდგათ... შენ შამოდიხარ მაღაზიაში. მაღაზიას ვითომ „ათასი წვრილმანი ჰქვია...

(მოისმის ქუთაისური სიმღერა არღანზე... სიმღერა რომ ჩამთავრდება, მაღაზიაში შემოდის მოხუცი პენსიონერი – საბა. საბას წვიმისაგან პიჯაკის მხრები დასველებია და ცხვირსახოცით იმშრალებს. მკერდზე მედალი – „კავკასიის დაცვისათვის“ უბრწყინავს).

ს ა ბ ა – ბამბა მინდოდა ერთი კილო.

დ ა ნ ი ე ლ – რაი? (დანიელი ჯერ ქართველი ნოქარია. იგი უხალისოდ, მკლავჩახვეული აჰყურებს – მოსულს).

ს ა ბ ა – ბამბა.

დ ა ნ ი ე ლ – სად ხედავ ბამბას?

ს ა ბ ა – სად ვხედავ და სიზმარში, ასე გამთენიის ხანს იცის დასიზმრება. ღამეგაშვებით.

დ ა ნ ი ე ლ – არაა ბამბა, მორჩა და გათავდა!

ს ა ბ ა – აბა, რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ?! – (მედლის კავალერი არ ხუმრობს).

დ ა ნ ი ე ლ – ახლა შენი ბამბის გულიზა „ცხრაას წვრილმანს“ ვერ დავირქმევთ.

ს ა ბ ა – კაცო, მე სახუმაროდ არ მცალია. შენს ბავშვებს ეხუმრე სახლში, მე გეკითხები, რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ, აბა, თქვა.

დ ა ნ ი ე ლ – შენ ბამბა არ გინდა?! (ხმას აუწია ნოქარმა) – ბამბა არ გვაქვს. მაგის რკვევას, ქე დაანებე თავი.

ს ა ბ ა – რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ, თქვა, მე შენ გეკითხები! (მომხმარებელს წარბი ავად აუთამაშდა).

დ ა ნ ი ე ლ – შენ, ჩვენი ძმა, გლახა ფეხზე ხვარ ამდგარხარ ამ დილით, ზურგი ხომ არ გექავება? (ნოქარი წამოდგა, დოინჯი გაიკეთა და დახლში გაიარ-გამოიარა).

ს ა ბ ა – მაღაზიაში რა გინდა შენ. საპალნე უნდა გქონდეს ზურგზე და სიპ ქვას ზიდავდე, შე ხვადაგო (ხმადაბლა, სისინით უთხრა მედლის კავალერმა).

დ ა ნ ი ე ლ – ხვადაგმა რა იცის, ხომ იცი შენ? არ გადმომიყვანო აქედან, თვარა განახებ სეირს!

ს ა ბ ა – გადმობრძანდი ერთი, გადმობრძანდი. გახოხიალო, ეგება ამ სველ პოლზე! (მომცრო ტანმა საშუალება რაც მისცა, გადაიწია დახლზე სტუმარი. აქოჩრილი მამალივით ცხვირწინ გაუჩერდა გამყიდველს).

ერთი წაწევაც. სიტყვის ასანთის გაკვრაღა იყო საჭირო, რომ ეს ორი ნერვიული მოქალაქე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა ერთმანეთს.

იმ ერთმა წამმაც არ დააყოვნა. გაისმის „ხორუმის“ დოლის ცემა. ამ ტახტზე ჯერ ერთმანეთს დასდევენ მოჩხუბარნი, მერე ქართველმა ნოქარმა (რომელსაც დანიელი განასახიერებს, სკამი მოუქნია მომხმარებელს. ეს უკანასკნელი არ შეეპუა. ნოქარი „მომე თოფის!“ ძახილით კულისებში გავარდა. დოლის ხმა არ ცხრება. მარტო დარჩენილი მყიდველი (საბა) კულისებისკენ იწევს. „მოიცა! არ მოკლა! დააგდე თოფი!“ ისმის კულისებიდან ამჯერად უკვე ებრაელი უფროსი გამყიდველის – დანიელის ხმა. იგი სცენაზე შემორბის).

დ ა ნ ი ე ლ – მოიცათ, მოიცათ! შესვენება პატარა! ტელეფონზე რეკავს ვიღაცა. დეპეშაა მგონი მოსული! მილიციიდან არიან ამხანაგები! (მუშტარს ახედა) – სწორი ბრძანდები, დაგენაცვლე. ასე უნდა მაგას! ერთწამიანი პერერივი ჩემი ხათრით და განაგრძეთ ისევ. მე გეუბნებით, შერიგდით-თქვა?! არავითარ შემთხვევაში!

(დანიელმა სკამს სტაცა ხელი, ჰაერში შეისროლა, დახლს გადააცილა და სტუმარს გვერდით მიუდგა).

დ ა ნ ი ე ლ – დაბრძანდი, დაგენაცვლე, მართალი ხარ ყველაფერში. ვთქვი მისი არ იყოს, გეუბნები არ ხარ მართალი-თქვაა? ამისთვის გცალია, ამ მსოფლიო კაცს, ახლა შეენ?

(მუშტარი დაჯდა, სული მოითქვა. დახლზე თითები აათამაშა და მოჩვენებითი სიმშვიდით თქვა).

ს ა ბ ა – ცხოვრებაა ახლა ეეს? არ უნდა ჰქონდეს ახლა კაცს იარაღი ჯიბეში? წეწკვე შუბლში ამნაირ ჯოჯოს და მოასვენე ქვეყანა.

დ ა ნ ი ე ლ – შენგან არ მიკვირს? კოჭოიიზა იშლი ნერვებს? კაცს მაინც ჰგავდეს. მაგისთვის გცალია ახლა შეენ?

ს ა ბ ა – რა გვარია? (სული მოითქვა).

დ ა ნ ი ე ლ – გვარი? მიწერია საღაცა. გადამვარდა ენაზე. ამ დილას რა ვჭამე, მახსოვს? რად გინდა მაგის გვარი, დაგენაცვლე. შენ რომ არ მიეხმარო, მისით გაიქცევა, აქ გამჩერებელია მაგი?

ს ა ბ ა – არაა გასაგდები? მითხარი, არაა გასაგდები? (ღრმად, კანკალით ამოისუნთქა შეურაცხყოფილმა მუშტარმა და სკამზე ცქვიტად შეტრიალდა).

დ ა ნ ი ე ლ – გასაგდები? გასაგდები კი არა, დასაჭერი არაა? გაგდება თვითონაც ქე უნდა. კაპიკს ვერ ვშოულობ, რა მინდა აქანაო. მაგას ეგონა, მაღაზიაში თუ შემოიტანდა თავს, ფოდნოსით მოართმევდნენ ფულს. საღადაა ფული.

ს ა ბ ა – საჩივრის წიგნი!

დ ა ნ ი ე ლ – ამ წუთას მოგიტან, დაგენაცვლე, ჩაწერე ყველაფერი. არ ეკუთვნის თუ რაი? ვთქვი მისი არ იყოს, შეიცოდე მაგის ოთხი ბოვშვი-თქვა, მე გეტყვი მაგას? იაროს მშიერმა. მეოთხეში ყავს უფროსი. ასე დავიზარდეთ ჩვენც.

ს ა ბ ა – მაგნაირები გაიზრდებიან, მაგის ბავშვებიც. ფრუნზე არც ერთი არ გამოვა, ნუ გეშინია.

დ ა ნ ი ე ლ – ჩაწერე, დაგენაცვლე. სწორი ხარ, ფრუნზე ვინ გამოვა, დღეს. ანგელოზივით ბოვშები ყავს, მარა თვითონ არ ვარგა, ახლავე მოგიტან საჩივრის წიგნს. ვის ეშინია მაგისი ძველბიჭობის. ნაჯდომი ვარო, ტრაბახობს. კაცისთვის პირი გოუხევია ყურებამდე, მაგერ, მწვანეყვავილაზე შარშან, ვის ეშინია დღეს? შენ გაექცევი მილიციას?

(ვინ იცის, რამ იმოქმედა – „ოთხმა ბავშვმა“, „მწვანეყვავილელ კაცისთვის პირის გახევის“ სევდიანმა სურათმა, თუ სრულიად სხვა, კოჭოიასთვის გაუგებარმა, კაცთმოყვარულმა პრინციპმა დაახევინა უკან მედალოსან მომხმარებელს. იგი ერთბაშად ისე დამშვიდდა, რომ საჩივრის წიგნიც გადაავიწყდა).

ს ა ბ ა (ცოტა დამშვიდდა) – კაცმა რომ თქვას, რაზე ამიხტა ნიშადურამოსუმულივით. ვკადრე რამე? შამეეედი ამ თავსხმაში და ბამბა ვითხოვე, ერთ კილომდე ბამბა დამჭირდა... ვისი რა საქმეა, რაზე დამჭირდა ბამ-ბა... ოჯახი მაქვს მე. ტყიდან კი არ გამოვსულვარ (წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს და დახლზე თითებს კვლავ ათამაშებს).

დ ა ნ ი ე ლ – ბამბის გულისთვის მოხდა ეს ამბავი? ვერ გითხრა ამ დამთხვეულმა? ბამბის მეტი რა მექნება ზეგ. ერთი ვაგონი ბამბა მაქვს მისაღები. შეგინახავ, შენ თავ ვფიცავარ. ერთი კილო ბამბა რას გიზამს. ორი-სამი კილო მაინც უნდა წაიღო.

ს ა ბ ა – ამდენი რად მინდა (სტუმრის ხმაში მადლობის კილო გაკრთა).

დ ა ნ ი ე ლ – შენ არ გინდა, მეზობელს დაჭირდება. ეგდოს ეს ბამბა სხვენზე, რას გიშლის.

(მუშტარი წამოდგა, ერთი გახედა იმ კარს, სადაც კოჭოია გაუჩინარდა, მერე მოშიაშვილს დააკვირდა, ბოლოს ხელი ჩაიქნია და გააბიჯა).

ს ა ბ ა – კარგი აბა, კარგად იყავით, ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო. უჩემოდაც წაიტეხავს მაგი ფეხს.

დ ა ნ ი ე ლ – დაგენაცვლე! სად წახვალ ახლა, ამ წვიმაში?

(საბას გაეღიმება).

ს ა ბ ა – ხვარ დამადნობს, როგორც მოვედი, ისე წავალ.

(დანიელი მიუახლოვდა და იდუმალი ხმით ჩურჩულით უთხრა).

დ ა ნ ი ე ლ – ზეგ ქე მოხვალ, მაგრამ ზეგამდე? ზეგამდე, იმანუელ გეფიცები, ვერსად იშოვი ბამბას, ერთს გეტყვი მე, ანკესი რომ იყიდო? კარგი ანკესები მაქვს, რუსული.

ს ა ბ ა – რად მინდა ანკესი? (უნდოდ მოხედა ბამბის მუშტარმა).

დ ა ნ ი ე ლ – ანკესი რად მინდაო? შენ მეუბნები, გერ-მანელებთან ნაჩხუბარი კაცი მეუბნები ამას? გავსებ-ულია რიონი თევზით. დაჯდები აგერ, თეთრხიდქვეშ სუფთად, და ითევზავებ. გულს გადააყოლებ ზე-გამდე. ზეგ ქე მექნება ბამბა.

(ხელი მოჰკიდა, დახლთან მოიყვანა. სტუმარმა, როგორც ჩანს, ხათრი ვერ გაუტეხა, თორემ თევზაობისა და ნადირობის დიდი ტრფიალი არ ჩანს, დანიელმა ანკესებით სავსე კოლოფი გახსნა და მიაწოდა).

დ ა ნ ი ე ლ – ნახე რა ანკესებია, მამა შვილს არ მისცემს. ახლა მივიღე. მთელი წელიწადი არ გვქონია. ბოლო კოლოფი დარჩა. მეტი აღარც გამოვა. ამერიკას მო-სწონს, თურმე, ძაან ჩვენი ანკესები. ხელშეკრულება დაუდვიათ. ვალუტაზე გაიყიდება.

ს ა ბ ა – რამდენი უნდა? (ჯიბე მოიქექა).

დ ა ნ ი ე ლ – რა უნდა მაგას, არაფერი, მანეთი და ოცდათ-ვრამეტი კაპიკისაა. შენი ფეშქაში იყოს.

ს ა ბ ა – რავა გეკადრება (სამმანეთიანი გაუწოდა).

დ ა ნ ი ე ლ – იყოს, დაგენაცვლე. მანეთში ვართ ჩვენ ერთმანეთ-თან? ბარემ ჯოხიც წაიღე, კაი ბამბუკის ჯოხები მაქვს.

ს ა ბ ა – მაჩვენე.

(საწყობიდან ორი მოზრდილი ჯოხი გამოიტანა და ხელში მი-აჩეჩა).

დ ა ნ ი ე ლ – არც ჯოხებია ძვირი, ორ-ორ მანეთად მაწერია. ანკესში ფულ არ გამოგართმევ. იმანუელ გეფიცები.

(სანამ სტუმარი საფულეს ამოიღებდა, დანიელი საწყობში შებრუნდა და მაღალყელიანი რეზინის ჩექმები გამოურბენინა).

დ ა ნ ი ე ლ – რა ნომერი გაქვს ფეხი?
ს ა ბ ა – ორმოცი.
დ ა ნ ი ე ლ – იღბალი გქონია (სულის მოთქმა არ აცალა) – ეს ჩექმები მონკავშირის უფროსი რომაა – სხილაძე, იმან შემანახია, მარა არ მოვიდა გუშინ და სხვაგან გავუხერხებ რამეს. თევზაობამ ფეხის დასველება იცის. ბავშვები აღარ ვართ მე და შენ აწი, ჩვენი ავადმყოფობა ფეხის გაცივებიდან იწყება. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს (ჩექმები მხარზე გადაადო და დააყოლა) – ოცდაშვიდ მანათად ვინ მოგცემდა ომის დროს ამნაირ ჩექმებ. იმ ანკესებში ფულ არ გამოგართმევ, იმანუელ დავიფიცე!

(შეცბუნებულმა, ყურებამდე გაწითლებულმა სტუმარმა ფული ჩაუთვალა, მადლობა გადაუხადა და კარისკენ გაიწია, მაგრამ დანიელი რისი დანიელი იყო, ასე იოლად რომ გაეშვა).

დ ა ნ ი ე ლ – დაგენაცვლე!
ს ა ბ ა – რა იყო?
დ ა ნ ი ე ლ – რომც მომხსნას დირექტორმა, ერთი პატივი უნდა გცე. მომეწონე და ამიტომ, ჩვენ თუ არ მივხედეთ ერთმანეთს, ვინაა ჩვენი პატრონი. თავისთვის საწვიმარი აქვს გადანახული. ერთი ცალი მივიღეთ, მირავოი საწვიმარია, თუ მოგერგო ოღონდ, – საწყობიდან მოლისფერი, ბრეზენტის მოსასხამი გამოარბენინა, გაშალა და მხრებზე შემოაფარა, – გაუყარე მკლავები. შენს ტანზე შეუკერავთ. თუ მომხსნის, მომხსნას, იმნაირი კაცი მომივიდა, უარი ვერ ვუთხარი-თქვა. გაგიგებს ვითომ გამგე? რა იღბლიან ფეხზე ხარ ამ მაღაზიაში დღეს შემოსული, წაღმა გატაროს გამჩენმა.
ს ა ბ ა – სარკე გაქვთ სადმე? (სხვისი ხმით იკითხა).

დ ა ნ ი ე ლ – რათ გინდა სარკე? არ მენდობი? ორმოცდაშვიდ მანათად შეკერვით ვინ შეგიკერავს ამნაირ პლაშ. ჩვენია, რაც მთავარია, გერმანულებში წყალი გადის, მატერიას ინგლისიდან ყიდულობენ და ხაშურში კერავენ. არ გაიხადო, არ დაგინახოს ვინმემ. თუ გკითხონ, მოსკოვიდან ჩამომიტანა ძმიშვილმა-თქვა, ასე უთხარი. ყელი არ გამომჭრა, აქ არავის მოასწავლო.
ს ა ბ ა – მაგის ფიქრი ნუ გაქვს.

(დანიელი ერთხელ კიდევ გავარდა კულისებში და უზარმაზარი, დახვეული კარავი გამოიტანა).

დ ა ნ ი ე ლ – რა არი ესი, თუ მიხვდები. უამისოთ კაპიკია ყველაფრის ფასი, რაც შენ დღეს იყიდე. კარავი არი ესი. რამდენი შენ მლოცო ამ კარვისთვის, იმდენი გახარება ჩემ იმანუელ. მეთევზე კაცი ხარ, რა იცი, სად დაგიღამდება. გაშლი კარავ და თავი ქუდში გაქვს. საჭმელი უნდა თუ სასმელი. ჩვენნაირს ეს კარავი ხუთს მოინელებს. შვილ გამოადგება, შვილიშვილ დაჭირდება. ცოტა წინაც ხომ უნდა გავიხედოთ. ზოგს ჰგონია მარტო წვიმაშია კარავი საჭირო. რა ჯობია ამის ჩრდილში კოტრიალს, სიცხე როცაა. ყველა წესიერ კაცს უნდა ქონდეს თითო კარავი დღეს.
ს ა ბ ა – კარგია, კარგი მოგეცა, მაგრამ ნამეტანი დევიხარჯე დღეს. სახლში არ შემიშვებენ. რაც მქონდა, ორი კაპიკი გადანახული რა ღირს. აჰ, 500 მანეთი. ეს კარავი მაინც რატომ უნდა ღირდეს ასე ძვირი.
დ ა ნ ი ე ლ – ნაჭერი უნდა დიდი. თვრამეტი მეტრი აბრეშუმნარევი ტილოა. ახლა შეკერვის ფასი? შენ მაგან არ დაგაღონოს. ჯანმრთელობა იყოს და ფულის მეტს რას იშოვი.
ს ა ბ ა – სწორი ხარ. ხანდახან სათევზაოდაც ქე უნდა წახვიდე კაცი. დავლპი სახლში პენსიის და ქალების

შემყურე. თვე ისე ჩეიარს, ხანდახან, ჭიშკარს არ გადავალ. რაცაა ესაა. ამ კარავზე გადეირევიან. თვარა სხვა არაფერი. პლაში და ჩექმები ისედაც ქე მჭირდებოდა. ამოვა ვითომ ტაქსი?

– ამოვა, მაგრამ ისე, ჩვენ შორის დარჩეს და ტაქსის იმედზე მტერმა იარა. ერთი ოთხბორბლიანი არ გეკუთვნის შეენ? მეტი დამსახურება არა გაქვს? რაც შენ ომში სისხლი გიღვრია? ჩვენი დირექტორი ყიდის იაფად ძველ „მოსკვიჩს“, ძველია, მარა გამომდგარი მანქანაა. ერთ ათ წელიწადს ისე ივლის, ხელის ხლება არ დაჭირდება. წინა სამშაბათს მოაკითხა მუშტარმა, მარა ბეი არ მოუცია, მე მგონია. იფიქრე შენ და ზეგ ბამბაზე რომ მოხვალ, ეგებ, იმ „მოსკვიჩზეც“ ქე მოგარიგო, თუ მანამდე გაყიდული არ ექნა. ძველ მანქანებს ძაან ეტანებიან ახლა, ხომ იცი. ნადირობენ პირდაპირ, სად უნდა სდიო ამხელა კაცმა ტაქსს? მე შენს ადგილზე რომ ვიყო. ვალს ავიღებ და ვიყიდი „მოსკვიჩს“ ფულს გაცლის ჩვენი გამგე. იმნაირი კაცია.

ს ა ბ ა – რამდენს აფასებს, თუ იცი?

დ ა ნ ი ე ლ – ჩემმა ქვისლმა სამი აძლია ერთი თვის წინ. ახლა, იქნებ, სამადაც გაყიდოს, ფული ეჩქარება, გოგოს ათხოვებს!

(კარავამოღლიავებული საბა გარბის. დანიელი მისდევს კულისებამდე).

დ ა ნ ი ე ლ – აბა, კარგად იყავი, დაგენაცვლე. ბამბა თუ დაგჭირდეს ქე გამოგვიარე ნაახალწლევს. ვინ იცის, ეგება ქე მივიღოთ. (შემობრუნდა) მეტი არაა ჩემი მტერი, შენ აწი აქანა აღარ შემოხვიდე. (მაყურებელს მიმართავს) ა, ასთე უნდა ვაჭრობა.

ს ა ბ ა (სიცილისაგან მუცელზე ხელს ისვამს) – რა ჯადო გაუკეთე ასეთი იმ კაცს, რომ დააყრევინე ორი წლის პენსია.

დ ა ნ ი ე ლ (ღიმილით) – ტკბილი სიტყვა, მეტი არაფერი. ებრაული ტკბილი სიტყვისას მეორე ამბავს მოგიყვები, თუ გინდა. ბიძაჩემი ატელიეში მუშაობდა შაბათა ერქვა, მოშიაშვილი. რასაც ახლა გიამბობ, მე თვითონ შევესწარი.

მოსული ვარ ერთ დღეს ატელიეში ბიძაჩემთან. ვზივართ, ვმუსაიფობთ. იქით-აქეთ თავთავიანთ მაგიდებთან მკერავები საქმიანობენ. ცხრამეტი-ოცი წლის ფართოყურებიანი, მაღალი ბიჭი შემოვიდა პირდაპირ სათვალიან, დაბალკისერა მკერავს კაპიტონ ნემსაძეს დაადგა თავზე.

ს ა ბ ა – რა ქენი? – ეკითხება.

დ ა ნ ი ე ლ – რის? – უხალისოდ ამოხედა და ძაფი კიდევ ერთხელ გაკვნიტა.

ს ა ბ ა – შარვლის.

დ ა ნ ი ე ლ – შენ როდის უნდა მოსულიყავი?

ს ა ბ ა – გუშინ საღამოს.

დ ა ნ ი ე ლ – ცისფერი შალი. ოცდათორმეტმანეთიანი. უკან ერთი ჯიბით?

ს ა ბ ა – ხო.

დ ა ნ ი ე ლ – მზადაა, ახლავე.

ბიჭმა დოინჯი გაიკეთა და ჭერს შეხედა.

დ ა ნ ი ე ლ – მოდი! დაუძახა მკერავმა, მკლავზე გადაფენილი შარვალი გაუწოდა და შირმაზე მიუთითა.

რამდენიმე წუთის შემდეგ იგი ლურჯ, ახალ შარვალში გამოწკეპილი კაპიტონ ნემსაძის წინ იდგა და ბუზღუნებდა.

კაპიტონი უხმოდ შეჰყურებდა ჭირვეულ მოქალაქეს. კისერზე „სანტიმეტრი“ ეკიდა და მკლავებჩახვეული იდგა სარკესთან.

დ ა ნ ი ე ლ – რას უწუნებ, რა გინდა?

ს ა ბ ა – ჩაიცვამ შენ ამნაირ შარვალს? (უკმაყოფილებას ვერ მალავდა კლიენტი).

დ ა ნ ი ე ლ – რატომ არ ჩავიცვამ? – ოცი ხომ მითხარი ქვევით? ნახე თუ არაა სწორი.

ს ა ბ ა – ეს ჯიბეები რომ აღებს პირს ღორჯოსავით და უკან გარმონივით რომ იკეცება, ვერ ხედავ, ვითომ, ამას?

დ ა ნ ი ე ლ – რას შვრება?

ს ა ბ ა – შენ თუ ჩემს შარვალზე სწავლობ კერვას, გეთქვა და ჯერ უფრო იაფიან ნაჭერს მოგიტანდი გასაფუჭებლად.

„წაარტყი ახლა ამ ლაწირაკს თავში და გააგდე გარეთ“, – გაიფიქრა კაპიტონმა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. წითური ცოტა ახირებული ჩანდა. კაპიტონს შარვლის მეტი რა შეუკერავს, მაგრამ თუ ვინმე არ აწვალებდა, სწორედ ამ ასაკის ბიჭები იყვნენ. ისინი სწრაფად მოირგებდნენ შარვალს და ახლის ჩაცმით გახარებულები უკანმოუხედავად გარბოდნენ. ეს ადამიანის ჩასაცმელად არაა შეკერილიო. ფართოყურება რომ ამბობდა, ცოტა არ იყოს, აზვიადებდა, ხოლო რაც შეეხება თვით შარვალს, კაპიტონიც კარგად ხედავდა, რომ იგი უნაკლოდ როდი იყო შეკერილი.

დ ა ნ ი ე ლ – შენ, სიტყვებს პატარა დაუკვირდი, ბიძია – მშვიდად, გასაფრთხილებლად უთხრა კაპიტონმა და ხელები ჩამოყარა.

ორივენი სარკეს შეჰყურებდნენ. სასაცილო სანახავი იყო: ავბედწვა ყმაწვილი ჯიბეებთან შარვალს განზე რომ გასწევდა, ბისზე გამოსულ ბალერინასავით რომ დაიხრეობოდა და გულშემოყრილ მკერავს მორიგ, დამამცირებელ ფრაზას ესროდა.

ს ა ბ ა – ერთი ის კაცი მომაძებნინა, ვის ტანზეც ეს შარვალი გაქვს აჭრილი და შეკერილი, სხვას აღარ დავეძებ არაფერს! – ამ სიტყვებს ბურძგლა წითური ხუმრობით კი არ ამბობდა, სევდანარევი მრისხანებით და ცოტა მუქარითაც.

დ ა ნ ი ე ლ – სახელი შენი? (ყრუდ ჰკითხა).

ს ა ბ ა – სახელს რა ჭკუა აქვს ამ შემთხვევაში... ვთქვათ, ოთარი, მერე?

დ ა ნ ი ე ლ – ოთარ, მითხარი ლოთიანად, შარვალს ხომ პირველად იკერავ?

ს ა ბ ა – მეორედ.

დ ა ნ ი ე ლ – არა, მართლა გეუბნები.

ს ა ბ ა – ატელიეში პირველად ვარ, ქუთაისშიც პირველად ვარ, დღეს ჩამომიყვანეს გოდრით, ახლა გამახსენდა, მეორედ ვარ. ერთხელ ამ ათი წლის წინ ჩემს ბიძაშვილს მოვყევი მკერავთან და უსიამოვნო ამბავს შევესწარი.

დ ა ნ ი ე ლ – რა ამბავს?

ს ა ბ ა – თავი გაუტეხა ფინაჩ ხელოსანს, უბედური შარვლის შეკერვისათვის.

(კაპიტონი მაშინვე მიხვდა გადაკრულს, სარკეს მოსწყვიტა მზერა და თავისი სუფთა, წაქისფერი თვალებით კლიენტს მიაცივდა).

ს ა ბ ა – კაცო, შენ მე კი ნუ მიშტერებ თვალებს. ამ შარვალს დაუკვირდი. შენი ქაჩვის არავის ეშინია! – არ შეეპუა დაზარალებული.

დ ა ნ ი ე ლ – შენ ბიჭო, გლახა ფეხზე ხომ არ ამდგარხარ ამ დილით?

ს ა ბ ა – მე მშვენიერ ფეხზე ვარ ამდგარი.

დ ა ნ ი ე ლ – ნუ გამაკეთებინებ გლახა საქმეს. ნუ გამიშობ ციხეში, მე შენ გელაპარაკები.

ს ა ბ ა – შენ რაც გულში გაქვს, გააკეთე და ნახე ერთი, თუ რამე კაი მოყვება შენს ფხაკურს. მე ხელები გობში კი არ მაქვს ჩაწყობილი. დამარტყამ და იმნაირს მიიღებ, რომ ხვეწნით გამოყავდეთ სტოლის ქვეშიდან.

დ ა ნ ი ე ლ – მერე გეიქცევი ხომ მილიციაში?

ს ა ბ ა – მჩივლებელს ექცა შავად და ბნელად. რათ მინდა შენთან მილიცია.

კაპიტონს სისხლი თავში აუვარდა, რაც გარეგნულად იმაზე შეეტყო, რომ ორივე ხელები აუცახცახდა.

დ ა ნ ი ე ლ – ბიჭო, ოთარი. რაკი პარტნოვი ვარ, უნდა თავზე ის მიქნა მაინცდამაინც?

ს ა ბ ა – მე არ ვიცი, რა ხარ. მკერავს შენ რომ არაფერი გიგავს, ამ შარვალს ეტყობა და თუ ძველი ბიჭი ხარ, რა გინდა აქანა. წადი და დადექი ბაღის კიდეზე.

კაპიტონს ნესტოები დახეთქვაზე ჰქონდა და მარათონელივით ჩქარა სუნთქავდა. საოცარი ის იყო, რომ ოთარს აღელვება ოდნავადაც არ ეტყობოდა. იგი კვლავ სარკეში იხედებოდა და მკერავის რეპლიკებს გარეგნულად მშვიდად, მაგრამ ნერვებისმომშლელად პასუხობდა.

დ ა ნ ი ე ლ – ესე იგი, რა უქნა შენმა ბიძაშვილმა ფინაჩ მკერავს?! – განწირული კაცის ხმით ამოიხრიალა კაპიტონმა.

ს ა ბ ა – ყრუებისათვის ორჯერ არ რეკავენ. – სარკეს უთხრა ახალი შარვლის პატრონმა.

კაპიტონს მოთმინების ფიალა აევსო. პერანგი ელვის სისწრაფით შემოიხია. ოთარის წინ მუხლებზე დაეცა და დაიღრიალა.

დ ა ნ ი ე ლ – დამარტყი უთო! – დამარტყი მე შენი!..

თითქოს ამ მომენტს ელოდნენო, მკერავები დარიგებულებივით ეცნენ მოჩხუბართ. ორმა ოთარს გაუკავა მხრები, ხოლო სამმა ბრგე მკერავმა (მათ შორის ერთი მოწაფე იყო) კაპიტონს გადაუჭრა გზა. ბოლოს, როცა მოჩხუბართ საშიშროება აღარ ემუქრებოდათ, მაგნიტურ ველში ბიძაჩემი – შაბათა მოშიაშვილი შევიდა.

ქუხილის შემდეგ რომ შიშიანი სიჩუმე ჩამოწვება, ისე გაქვავდა ყველაფერი.

დ ა ნ ი ე ლ – ვერ მოასწარით? – გაიცინა შაბათამ და ორივეს შეხედა, – თვალში მაკრატლის თხრა მაინც უნდა მოგესწროთ, უნდა დახოცოთ შარვლის გულიზა ქართველებმა ერთმანეთი, აბა რა!

ს ა ბ ა – რას აკავებთ, გამოუშვით ერთი! – სიცილით ამბობდა კლიენტი – თუ ყველა კლიენტზე ასე გაიქაჩა, მაგის გაკავებას მონდომიხართ თქვენ, – მის მცველებს გადახედ-გადმოხედა და დაუმატა, – ან ფული გამოართვით გაზავებაში, ან ქე შეუშვით ხელი ცოტაზე. ერთი-ორჯერ მაგრად რომ გაილახება, ისწავლის ჭკუას.

საიმედოდ დამაგრებული კაპიტონი გაუგებრად ზმუოდა და კბილებს აღრჭიალებდა.

შაბათამ ახალგაზრდა კაცის ცოტა არ იყოს, თამამ ტლიკინს ყურადღება არ მიაქცია. მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, სარკესთან დააყენა და ჰკითხა:

დ ა ნ ი ე ლ – ამ შარვალს მოყვა ეს ამბავი?

ს ა ბ ა – ნახე ერთი, ბიძაჩემო, წესიერადაა შეკერილი ახლა ეს? თუ მტყუანი ვარ, მითხარი და ტყვია მოხვდეს ხმის ამომღებს.

შაბათა დაიხარა, ჯერ შარვლის ქუბა გასწი-გამოსწია, მერე ჯიბეებს მიწვდა და ცარცით ორ ადგილას ჯვარი გაუკეთა.

დ ა ნ ი ე ლ – შარვალი ვნახე დამწვარი, რაც შარვალია ყველა ერთად. შარვალზე მეტი არ ღირს, ბიჭო, თქვენი კაი გამარჯობა? შენ, გამეიხედე, ბიძია, შენ ჯერ ბავშვი ხან და უფროსს პატარა ქე უნდა მოუთმინო. მტყუანიც, რომ იყოს, ხანდახან, უნდა გაჩუმდე, ასეა წესი. რა ნახეთ ჯერ ამისთანა, ყელში რომ გაქვთ გული მობჯენილი ყველას. რა ჭირს ამ შარვალს საჩხუბარი? აგერ უნდა პატარა გამოკერვა და ქვევით, აქიდან აქამდე გამოშვება უნდა, საქამრესთან ორ თითისდადებას ევიღებ და გასწორდება ყველაფერი. თუ მაინცდამაინც, შევკეცავ ზევით და დავამოკლებ უბეს. გაიხადე და წადი შენ ახლა, ორ საათში მოდი და შენ თუ რამე წუნს მოუნახავ ამ შარვალს, კეტი მირტყი თავში, თუ გინდა.

ბიჭი შირმის უკან გაუჩინარდა. ცოტა ხანში თავისი ძველი შარვლით გამოეცხადა კომპანიას, ახალი შაბათას დაუდო მაგიდაზე და უხმოდ, ჯიუტად აქოჩრილ თმაზე ხელის წასმით გავიდა.

– რა მოგივიდა, კაპიტონ, მეტი არა ხარ, შე კაცო? რას ეჩხუბები იმ ბაღანას. ტკბილ სიტყვას რა უდგას წინ. ამ საქმეში ჭიმვა ვინ გეიგონა.

– თავზე დამაჯდა მთლიანად. მასხრად ამიგდო, – კეფა მოიფხანა კაპიტონმა.

– მერე? აპა რავა გინდა. ზოგი ამნაირი შეგხვდება და ზოგი იმნაირი. გიყურებდი თავიდან. შენ გადარიე ის ბავშვი. სულ არ უნდოდა ჩხუბი იმას.

– ნაკლები რომ გამოვა დედმამიშვილი, ისაა სწორედ, თვარა რატომ სხვა არ მეჩხუბება?! სამი შარვალი გავუშვი დღეს.

– ა, მოვა ახლა ორ საათში და მე გავისტუმრებ. შენ სულ არ გამოჩნდე. აქით დადექი და მიყურე შორიდან?

– რა ვუყო ამას, ამ უპატრონოს, გამოუშვა გვერდებზე? – შარვალს დაწვდა კაპიტონი.

– არაფერი გამოსაშვები მაგას არა აქვს. ნამეტანი აგიჭრია. იდოს მანდ. ხელი არ ახლო. მოვიდეს და აგერ ვარ მე. სულ მადლობას ვაძახებიებ, ისე გავუხდი საქმეს.

მე სახლში რა წამიყვანდა. მაინტერესებდა ბიძაჩემი შაბათა როგორ მოუვლიდა ამ ჩახლაფორთებულ საქმეს. შარვლისთვის ხელი არ უხლია. ორი საათის შემდეგ გამოცხადდა წუნია კლიენტი.

– მოდი. სად ხარ ამდენ ხანს! საათია მზად მაქვს. გადავდევი ყველაფერი და ამას ვუზივარ აგერ ამდენი ხანია! – დაუძახა ბიძაჩემმა შემოსულს, შარვალი გაუწოდა და მხარზე ხელი დაარტყა.

კლიენტმა თავზე ერთხელ კიდევ ჩამოისვა მარჯვენა და გასახდელს მიაშურა.

მკერავებმა თავები შეაბრუნეს და რამდენადაც კი მოუხერხდათ, ჩუმი, კონსპირაციული სიცილით ჩაიცინეს.

როცა სარკის წინ ისევ გამოჩნდა, შაბათამ ერთხელ კიდევ შემოატრიალა, საქამრე მაღლა აუწია და ხმის ამოღება არ აცალა.

– ა, ჩემო ბატონო. მე არაფერს გეუბნები. დაუძახე ახლა შენს ძმაკაცებს სუყველას. თუ ამ შარვალს რამე ნაკლს მოუძებნიან. კაპიკი არ გვინდა შენი. ჩემ ხარჯზე მე შეგიკერავ ორ ახალ შარვალს.

კლიენტი სარკეს თვალს არ აცილებდა. ჯიბეში ჩაიყოფდა ხელს, ამოიღებდა და თავის თავს გვერდიდან შეჰყურებდა.

– მამია! – დაუძახა შაბათამ მოწაფეებთან დახრილ მკერავს. – მოდი ერთ წუთს, შეხედე შენ, რა შარვალი გამოვიდა? გელაპარაკები, სამაგალითო შარვალია, ამნაირი ათი წელიწადია არ შემიკერავს.

– იცის ხანდახან. კაი გამოვა, – წინ წამოვიდა მამია და შაბათას თვალი გაუსწორა, – ის შარვალია, კაცო, ეს?!

– გლახათ კი არ იყო შეკერილი, მარა ოსტატის ხელი მაინც სხვაა, ნახე რავა მოუხდა გამოკლება? ნახე რავაა უკან? რავა დამშვენდა ჯიბეები?

– უკან გამოუკელი? – იკითხა შარვლის პატრონმა.

– უკანაც გამოვუკელი და წელშიაც ევიღე. უბე გამოვარღვიე და ახალი ჩავუდგი. ჯიბეებთან თავიდან ავჭერი. მრუდედ იყო აჭრილი ცოტა.

– მეტს კი არაფერს ვამბობდი, ბიძია მე, – კმაყოფილების სიმი გაკრთა კლიენტის ხმაში.

– არა, თუ ოდნავ რამე გეეჭვება, მითხარი. ახლა აგერ ვკითხოთ, ვისაც გინდა, უმაღლესი შარვალია ეს. არ გვინდა შენი არაფერი, წადი, გენდობით, მეი-

ყვანე შენი ძმაკაცები. ჰკითხე, ვისაც გინდა, ანახე, შეამოწმებინე.

– რაც კაია კაია, რათ უნდა სხვისი ნახვა. ახლა კარგად რომ მადგას ტანზე, მე ვერ ვგრძნობ თუ? მართლა პირველად კი არ ვიკერავ შარვალს?! – მოლბა კლიენტი.

– შეხედე, კარგად დააკვირდი. გელაპარაკები, გულით რომ მომენდომებინა, ასე არ გამომივიდოდა. ამნაირი კაი შეკერილი ათასში ერთხელ გამოგივა კაცს! – ენად გაიკრიფა შაბათა.

ბიჭმა თავისი ძველი შარვალი გამოიტანა, შაბათამ იგი გაზეთში შეუხვია და როცა გასვლისას კმაყოფილმა მომხმარებელმა მადლობა გადაუხადა და ფული მაგიდაზე დაუდო, მკერავმა ერთხელ კიდევ გაშალა ხელები.

– ნუ მიდიხარ, ბიძია, ჯერ! არ გვინდა შენი ფული. ნახე კარგად. შარვალი მოჯდეს ტანზე, მეიყვანე ვინმე და აჩვენე. გამქცევი ხომ არა ხარ, გენდობით ფულს. ფულზე ხომ არაა საქმე.

„არა ბატონო, თქვენ თქვენი აიღეთ და იმას მისი მიეცითო. თქვენი მადლობელი ვარ ძალიანო. ასე რომ ყოფილიყო, შარვალი თავიდან, რავა ვიტყოდი რამესო. მაგას ინტრიგანი ვინმე არ ვეგონო; ინტრიგანი რომ ვიყო, ახლა რატომ არ ვიღებ ხმასო. ისე... თავიდან ისე შემაშინა ამ შარვალმა, არ მეგონა ასე თუ გასწორდებოდაო“... – მოტრიალდა, შაბათას ხელი ჩამოართვა, მადლობთო, უთხრა და წავიდა.

კაპიტონის გარდა მთელი ატელიე იცინოდა.

როცა ყველაფერი მიწყნარდა, შაბათამ ფული აიღო, კაპიტონის მაგიდასთან მივიდა და უთოსთან დაუდო. უხმოდ გამოტრიალდა და თავის საქმეს დაუბრუნდა.

ა, ასეთი იყო ბიძაჩემი შაბათა მოშიაშვილი.

ახლა თქვენ განსაჯეთ, ჭირდებოდა თუ არა შაბათა იმ ატელიეს და საერთოდ ქალაქს.

ს ა ბ ა – არამარტო ჭირდებოდა, უხდებოდა კიდეც. ჩემო დანიელ ხომ გითხარი.

დ ა ნ ი ე ლ – აშკელონში რო ჩამევედით, ჩვენზე საცოდავი თავიდან არავინ იყო, დაგენაცვლე. ენა არ იცი, სახლი არა გაქ. ერთმანეთ ვლანძღავდით, შენ შემაგულიანე, თვარა, რა მინდოდა სამოთხიდან ამ უდაბნოში რო ამოვყავი თავიო.

ს ა ბ ა – მერე?

დ ა ნ ი ე ლ – მერე ნელ-ნელა ყველაფერ ეჩვევა კაცი, დაგენაცვლე. ახლა რა ლაპარაკი უნდა, სწორად მოვიქეცით. კაცმა თავის ქვეყანაში უნდა იცხოვროს, რომ მითხრას ვინმემ, ისრაელიდან უნდა წახვიდეო, თავზარი დამეცემა. მეტჯერ ადგილის გამოცვლას, ჩემი გული ვეღარ აიტანს, ხომ გახსოვს, რა მოთქმატირილით წამოვედით საქართველოდან.

ს ა ბ ა – ერთი თუ კაცი ხარ, ჩემო დანიელ საქართველოდან თქვენი გამომგზავრების სამზადისი გავიხსენოთ...

დ ა ნ ი ე ლ – ბატონი ბრძანდები.

(დანიელი ავანსცენაზე გამოდის და იწყებს. ისმის ძველქუთაისური სიმღერა).

დ ა ნ ი ე ლ – ქალაქის პირველი მექუდე მიხეილ მოსეს ძე ზონენაშვილი თავისი სახლის აივანზე ქურდივით, უხმაუროდ ავიდა, ჩემოდანი კიბეზევე დატოვა, ქუდი, რომელიც აქამდე რატომღაც ხელში ეჭირა, დაიხურა, სკამი ფრთხილად გამოსწია, დაჯდა და სიბნელეს მიაჩერდა.

წლეულს ოქტომბერში ადრე აცივდა.

თბილისიდან მაყურებელი შვიდის ნახევარზე ჩამოდიოდა და მიხეილს არ უნდოდა თავისი ოჯახის წევრები ასე ადრე გაეღვიძებინა.

მექუდეს ეგონა, რომ აივანზე მარტო იყო, მაგრამ ღრმად ცდებოდა. მამამისი მოსე ზონენაშვილი იქვე, აივნის ბოლოს გრძელ სკამზე იჯდა და შვილის მოსვლა მაშინვე შენიშნა, მაგრამ დაჯდომა აცალა, სული მოათქმევინა.

ს ა ბ ა – შენ ხარ? – სიბნელისთვის თვალი არ მოუცილებია მოხუცებრაელს.

დ ა ნ ი ე ლ – მე ვარ, მამაჩემო, მე ვარ.

ს ა ბ ა – რა ჰქენი? – მოსეს წლებისგან დაწნეხილი გაბზარული ხმა ჰქონდა.

დ ა ნ ი ე ლ – მომცეს.

ს ა ბ ა – შენი?

დ ა ნ ი ე ლ – კი.

ს ა ბ ა – ევასი?

დ ა ნ ი ე ლ – ევასიც, მამაჩემო.

ს ა ბ ა – ბავშვების?

დ ა ნ ი ე ლ – ყველასი.

ს ა ბ ა – წასულხართ, აბა.

დ ა ნ ი ე ლ – მივდივართ, დაგენაცვლე, მივდივართ.

მოსე წამოდგა, მისი მაღალი, წვეროსანი, ბიბლიური ლანდი შვილს თავზე დაადგა.

ს ა ბ ა – ე ჩემი ძვლები? – მოხუცს ხმა უთრთოდა, ასეთი რამ მოსე ზონენაშვილს დიდი სულიერი მღელვარების ჟამს ემართებოდა.

მიხეილი დუმდა.

მოსემ წონასწორობა დაჰკარგა. აქამდე მას ცოტა იმედი კიდევ ჰქონდა, იქნებ ვიზა დაუგვიანონ, ან გადაიფიქროს, ან ცოლისძმის ნასამართლეობამ შეუშალოს ხელი. ახლა ეს იმედიც გაქრა, მიდიან!

ს ა ბ ა – ე ჩემი ძვლები, შვილო? – გაიმეორა მამამ.

დ ა ნ ი ე ლ – შენ ასე არ ისურვე, შე სულგანათებულო? მაგას არ ვტირით მთელი ოჯახი? არ გდომებივართ არც ერთი. შენგან არ ვისწავლე? როცა ასს არ უნდა

და ერთს უნდა, ის ერთია გიჟი, ხოლო როცა ასს უნდა და ერთს არ უნდა, მაინც ეს ერთია გიჟიო.

ს ა ბ ა – კაი, მე გიჟი ვარ, მარა მე ხიდის გიჟი ხომ არა ვარ, ბიჭო, მე – შენი მამა – გიჟი ვარ და თუ იცი, რა უნდა მამა-გიჟს, მიტოვება?

დ ა ნ ი ე ლ – არა.

ს ა ბ ა – მოვლა უნდა და პატრონობა, ასეა ეს.

დ ა ნ ი ე ლ – ახლა ყველაფერი გვიანაა.

ს ა ბ ა – ხეირს ნახავ ვითომ იქანა?

დ ა ნ ი ე ლ – ვინ იცის...

ს ა ბ ა – „ვინ იცისთვის“ მიდიხარ და ცეცხლს აქრობ ჩემს კერაზე? – გაბრაზება დაეტყო ხმაში უფროს ებრაელს.

დ ა ნ ი ე ლ – მავზოლეუმ არც აქანა ამიშენებდნენ. რაც აქ ვიყავი, ის ვიქნები იქანაც. ხალხი ხომაა, ჰაერ ხომ გამიყოფენ. აქაც ქუდს ვკერავდი და იქანაც ქუდს შევკერავ.

ს ა ბ ა – ვის უნდა შენი ქუდი იზრაელში?

დ ა ნ ი ე ლ – ვისაც ქუდი არა აქვს და თავზე სცივა.

ს ა ბ ა – ენა არ იცი გზა-კვალი, ნიფხავს ვერ იყიდი, რომ დაგჭირდეს.

დ ა ნ ი ე ლ – ვაჭრობის ენა ყველგან ერთია, დაგენაცვლე. ციფრებს წერენ თურმე იქანაც. ავდგები, პატარა ქაღალდს და კარანდაშს ჩავიდებ ჯიბეში და იოლად გავალ.

ს ა ბ ა – რაი?

დ ა ნ ი ე ლ – ჰო, მამის სული არ წამიწყდეს. შევალ მაღაზიაში, მოვკიდებ ერთ ნიფხავს ხელს, გავშლი ქაღალდს და მივაჩეჩებ იმ ნოქარს.

ს ა ბ ა – მერე?

დ ა ნ ი ე ლ – მერე ის, რომ დამიწერს ათ დოლარს, მე დავუწერ ხუთ დოლარს, ის რომ ჩამოვა რვა დოლარზე, მე ავალ ექვს დოლარზე, ის რომ ჩამოვა

შვიდ დოლარზე, მე... არა, ექვს დოლარს ფეხს არ მოვუცვლი.

ს ა ბ ა – არ მოუცვლი და დარჩები უნიფხვოდ! (გაეცინა მოსეს).

დ ა ნ ი ე ლ – არ დავრჩები, სხვა მაღაზიაში შევალ.

ს ა ბ ა – კაი დაგემართოს, აგიწყვია საქმე! (ამოიოხრა მოსემ)

დ ა ნ ი ე ლ – იმშაბათს გითხარი, მისი არ იყოს: რაღაცა უკეთესს უნდა ელოდე, შენ საქონსაცხოვრებელი სასწორზე რომ შედო. ხო ნახე, რა ეწერა სოფლის გაზეთში – უბინაოდ, უპატრონოდ დარჩენილი ემიგრანტები ჩემოდანზე სხედან და ტირიანო.

დ ა ნ ი ე ლ – გჯერავს მაგი შენ? ისაკის ბიჭის წერილი ხომ წაგიკითხე, სამოთხეში ვართო.

ს ა ბ ა – შე გამჩენგახარებულო, გაზეთის არ დავიჯერო და ისაკის ბიჭის დავიჯერო? ისაკის ბიჭს რაც პეპლები აქ ჰყავდა თავში, ის ეყოლება იქანაც!

დ ა ნ ი ე ლ – ეს ამბავი ნამღერია, მამაჩემო. გინდა ასე უბერე და გინდა ისე. მე ჩემი თავი გამოტირებული მყავს, მე რომ მეორე კაცს აღარ დამადგამენ მხრებზე, კარგად ვიცი (დინჯად, გამშრალი ხმით ლაპარაკობს), მაგრამ მაინც მივდივარ. ქვეყანა მიდის და მივდივარ. ჩემთვის კი არ მივდივარ. ქუდს ძაფი და კალაპოტი იქაც უნდა. აქ თუ ხუთ მანათად ვკერავ, არც იქ მომცემენ მეტს. მარა მე, შენ კარგად იცი, ჩემი შვილებისთვის მივდივარ.

ს ა ბ ა – შვილებისთვის?

დ ა ნ ი ე ლ – ჰო, შვილებისთვის. ჩემი ნაგრამი თავის ქვეყანაში იცხოვრებს. თუ ჭკუა ექნებათ, ჩემი შთამომავლობა ჩემი მადლიერი იქნება. მე, მე მივაბრუნე ისინი სახლში ათასწლოვანი ხეტიალის მერე.

ს ა ბ ა – რომელ სახლში?

დ ა ნ ი ე ლ – ისრაელში, მამაჩემო, სამშობლო დიდი სახლია.

რა ჭკუა აქვს ახლა ვიღაცა დეპარტამენტის მოხელე გულში ჩამიხუტებს და მომეფერება თუ არა. რა მნიშვნელობა აქვს დროებით კარავში მომათავსებენ თუ დიდვაჭრის ქარვასლაში, ღმერთი თავის გაჩენილს გლახად არ დაკარგავს.

ს ა ბ ა – ბაბუაშენი იტყოდა, ერთ წყალში ტანს ორჯერ ვერ დაიბანო. ის სამშობლო, ჩვენ რომ გამოვედით, აღარ არის. თავს ნუ ვიტყუებთ.

დ ა ნ ი ე ლ – არის. ჩვენ ჩავიტანთ. დაბრუნების იმედი რომ გვქონდა, იმიტომ ვინახეთ ამდენ ხანს ჩვენი ღმერთი და ჩვენი ენა. შენზე კარგად ეს ვინ იცის, მამაჩემო. შენი ნასწავლი ლოცვებით მივდივართ.

ს ა ბ ა – ლოცვა ბევრს გიშველის!

დ ა ნ ი ე ლ – ცოტას ხომ მიშველის, დანარჩენს მე წავეხმარები ჩემს თავს. წელებზე ფეხს დავიდგამ. დღე და ღამე ვიმუშავებ. კაცის მოკვლას და თოფის სროლას ნუ დამავალებენ და ყველაფერს ვიზამ.

ს ა ბ ა – არც მაგას აგაცდენენ. იაკობის ბიჭი ჩასვლისთანავე ჯარში გაუწვევიათ.

დ ა ნ ი ე ლ – არა, რავა დაუძახებდნენ, რავა აკადრებდნენ! კომისარ ფაჩუაშვილ გააყოლებდნენ იქანა. სავალდებულო სამსახური აქაც არის და იქაც. შენ ფიქრი ნუ გაქვს. მე ორმოცდაათი წლის გულისმანკიან მექუდეს ავტომატს არ მანდობენ. ამ ჩემს გოგოებს ჯარი არ ეხება.

ს ა ბ ა – „ესე იგი, შვილების გულისთვის მიდიხარ?“

დ ა ნ ი ე ლ – „ჰო, მამაჩემო, შენც შვილსითვის უნდა წამოსულიყავი“.

კიბეზე ნაბიჯების ხმა რომ მოისმა, მიხეილი წამოხტა, ჩემოდანს ხელი სტაცა და სახლში შეარბენინა. ცოტა ხანში ფარდა გადასწია და მოსულს დააკვირდა, მოსეს თავისი ძმისშვილი ეზეკია ზონენაშვილი ესაუბრებოდა.

ს ა ბ ა – რაღაცას დგამენ ახლა, რა ვიცი, ვითომ არა უშ-

ავს, ის თეატრი სადაა, რომ იყო. მე მგონი, თვითონ ხალხსაც აღარ უნდა კაი თეატრი. ეს ძველები ქე დაბერდნენ, ახალი თუ ნიჭიერია, თბილისში გარბის. დევიღალე, ამდენმა სტუმარმა მომკლა. სტუმარი – დირექტორი, სტუმარი – კომპოზიტორი, სტუმარი – დრამატურგი, ცალ-ცალკე ყველა კაი, მარა აქ გამჩერებელი რომ არავინ არის? თეატრი კაი პიესაა, პიესა არ გვაქვს.

დ ა ნ ი ე ლ – რა არ გაქვთ? – მიხეილ ზონენაშვილი ხალათის ღილებს იკრავდა.

– არაფერი, აგერ პიესაზე ვამბობდი, – საწყალი კაცის ხმით თქვა ეზეკიამ.

ეზეკია ზონენაშვილი ორმოცი წლის განმავლობაში დრამატულ თეატრში დასის გამგედ მუშაობდა. თეატრი ფანატიკურად უყვარდა. მთელს ქალაქში უსპეტაკესი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. მის გადაბმულ, შავ წარბებს, ხშირ ჭაღარა თმას, მეტყველ, კეთილსა და ფართო თვალებს რომ შეხედავდი. ეზეკიას ოდნავ სუსტ, მორჩილ ხმას რომ გაიგონებდი, კაცის ცნობის უნარით ცოტათი მაინც თუ იყავი დაჯილდოებული, მაშინვე მიხვდებოდი, რომ ეზეკია დაქუხებისთვის, სხვათა თავზე წამოჯდომისთვის გაჩენილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ თეატრში ასე მოკრძალებული მდგომარეობა ეკავა, ყველამ იცოდა, რომ ზონენაშვილის გარეშე თეატრს არსებობა გაუჭირდებოდა. ეზეკია გაჭირვების ტალკვესი იყო. მხოლოდ ეზეკიამ იცოდა, რომელ პრემიერას რა ბედი ელოდა, მხოლოდ ეზეკიამ იცოდა, სად მიაგდო გუშინ მსახიობმა რეკვიზიტი, რომელსაც დღეს მთელი თეატრი ეძებდა. ეზეკიაზე ერთგულ კაცს თეატრისათვის სანთლითაც ვერ იპოვიდით. მისთვის სამუშაო საათები არ არსებობდა დაფაჩუნობდა თეატრისათვის შეწირული კაცი ორმოცი წლის განმავლობაში როგორც მეკელაპტრე ბერი ტაძარში და თავისი უხმაუროდ დახარჯული სიცოცხლის, თავისი აუნაზღაურებელი სიყვარულის საფასურად ჩვენგან არაფერს ითხოვდა.

დ ა ნ ი ე ლ – წაიღო ვინმემ?

ს ა ბ ა – პასპორტები აგიღია, – თითქოს ახალ ამბავს ეუბნებაო, ეზეკიამ მისთვის სრულიად უჩვეულო რიხით უთხრა.

დ ა ნ ი ე ლ – კი, ერთ კვირაში იქეთ გეყოლებით.

ს ა ბ ა – შენს თავს ეყოლე კარგად. ჩვენ რაღას გვეყოლები, მე და მამაშენი გამოღმა ვრჩებით.

დ ა ნ ი ე ლ – შენ რავა?

ს ა ბ ა – რა რავა? (თითქოს შარზეაო, აიმრიზა ეზეკია).

დ ა ნ ი ე ლ – არ გადაწყვიტე?

ს ა ბ ა – რაი?

დ ა ნ ი ე ლ – წასვლა.

ს ა ბ ა – სად?

დ ა ნ ი ე ლ – იზრაელში.

ს ა ბ ა – გადასაწყვეტი რა მქონდა. მე კაი ხანია გადავწყვიტე და გავათავე კიდეც.

დ ა ნ ი ე ლ – ეზეკია, ვითომ ახლა შენ ყველაზე ჭკვიანი ხარ იმ ხალხში, ვინც წასვლა ამჯობინა?

ს ა ბ ა – ყველა თავის ჭკუით ცხოვრობს.

დ ა ნ ი ე ლ – აბა, რას ჯიუტობ, მითხარი, რა ჯორზე შეჯექი, შენ მაინც არა ხარ ოთხმოცი წლის, მამაჩემივით.

ს ა ბ ა – ოთხმოცი რა შუაშია!

დ ა ნ ი ე ლ – რა და, რატომ ღუპავ ამ შენს ოჯახს. მთელი ნათესავები იქეთ ვიქნებით. გული მაინც არ დაგწყდება?

ს ა ბ ა – ყველას თავისი გზით გაუმარჯოს გამჩენმა. ჩემი წასვლა არ შეიძლება!

დ ა ნ ი ე ლ – რა არ შეიძლება? ვინ ხარ ამნაირი? შენნაირი ხალხი კი არა, პროფესორები მიდიან.

ს ა ბ ა – გაჩუმდი ახლა! გაჩუმდი თვარა, ხომ იცი ჩემი ხასიათი!

დ ა ნ ი ე ლ – რა თვარა! შე ღვთის გლახა! მიპასუხე, რას

მიაღწიე ამნაირს? რომელი ჩინ-ტემლაკები გრჩება აქანა?!

ს ა ბ ა – შენ რა იცი, შე ბოთე, რა არი თეატრი, რა არი ხელოვნება!

დ ა ნ ი ე ლ – შენ იცი მარტო!

ს ა ბ ა – შენ ვის მოაკლდები, შენ ვის აზარალებ. შენნაირი მექუდე ქუთაისს ათასი ჰყავს.

დ ა ნ ი ე ლ – შენნაირ არტისტს ვერ იშოვის საქართველო!

ს ა ბ ა – ისიც არ იცი, თეატრში რას ვაკეთებ, არტისტი ვარ მე?

დ ა ნ ი ე ლ – მით უმეტეს.

ს ა ბ ა – ნუ გადამრევ ახლა, გელაპარაკები!

დ ა ნ ი ე ლ – შენნაირმა ხალხმა დაგვნია ასი წლით უკან! ჩემნაირმა მექუდემ შეინახა ებრაელობა, თვარა შენ... შენ მთელი ცხოვრება სხვის საქმეს აკეთებ. ისიც არ იცი, ვისთვის ცხოვრობ ამ ქვეყანაზე, ვის თეატრს ემსახურები.

ს ა ბ ა – თეატრი არ ახსენო, შე ბნელო მედუქნევ! (ეზეკია ცახცახებდა).

დ ა ნ ი ე ლ – შენ შიშის გამო შეეფარე იმ თეატრს, შენს ცხოვრებაში მანეთის რისკი არ გაგიწევია. თუ გაგიჭირდა, თეატრს კი არა, მამაშენს გაყიდი!

ეს კი მეტისმეტი იყო. ეზეკიამ სკამს წამოავლო ხელი, მაგრამ მიხეილი კატის სიმარდით გაუჩინარდა კარებს იქით.

– ხოცავთ ერთმანეთს?! ბიძაშვილების კვლა დეიწყეთ უკვე?! (ვიშვიშებდა მოსე და ეზეკიას ემუდარებოდა, ეს სკამი დაუშვი, არ გაგიტყდეს, გაყიდული აქვს უკვე, პატრონმა ამ საღამოს უნდა წაიღოსო).

ეზეკიამ სკამი დაუშვა, შემოტრიალდა, ხელები აღაპყრო და დაიყვირა: – ღმერთო! ჩვენ შორის მტყუანს... – მაგრამ ამ დროს მოსე საშინელი ღრიალით ეცა ხელებში და ძირს დააშვებინა.

– არ დასწყევლო! ნუ დამიწყევლი. ისედაც არეულ ჭკუაზე ჰყავს ღმერთს. გზაზე დგას ეს უბედური! აპატიე, ჩემო ეზეკია, აპატიე, დაგენაცვლე. ჩემი ჭკვიანი ეზეკია არა ხან შენ?!

ეზეკია წავიდა.

წასვლის დღე გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდნენ.

ერთბაშად გამოჩნდა ათასი ისეთი აუცილებელი საქმე, რომ ერთ დღეში კი არა, გამგზავრება ერთი წლითაც რომ გადაევადებინათ, მაინც ვერ მოასწრებდნენ.

მიხეილმა სახელოსნოში ჯერ კიდევ გუშინ გამოათავისუფლა თავისი კუთხე. ანგარიშები გაასწორა. რაც რამ ჰქონდა, თვით ნემსამდეც კი, აბგაში ჩაალაგა, ყველას გამოემშვიდობა და წამოვიდა. შინ მოსულს მოსემ გაუწყალა გული – რას მოგიხვეტია ეს ხარახურა, წაღებით მაინც არ წაიღებ, იქ კალაპოტების და ნემსების მეტს რას იშოვი, ვერ დაურიგე ამხანაგებსო?

– ეგება დაგჭირდეს რამეში, მამაჩემო. რატომ გადავყაროთ ტყვილა?!

– რაში უნდა დამჭირდეს, ბიჭო? ორად ორი ქუდი მაქვს და სიკვდილამდე მეყოფა. თუ ჭონობას ვისწავლი აწი მე, შენი ჭკუით!

ამ დილით დარცხვენილი მიხეილი ისევ გამოჩნდა თავის ყოფილ სამსახურში. აბგიდან სამუშაო იარაღებს იღებდა და სათითაოდ არიგებდა. ვისაც მიუახლოვდებოდა, ხელს ჩამოართმევდა, საჩუქარს მაგიდაზე დაუდებდა და გამოტრიალდებოდა. საამქროში პანაშვიდური სიჩუმე სუფევდა. მიხეილმა ვეღარ გაუძლო ამ ცერემონიალს, ცრემლები წასკდა, თვალებზე ჭრელი, უჯრედებიანი ცხვირსახოცი მიიფარა და კარი გაიჯახუნა.

სახლში ენით აუწერელი გაწამაწია სუფევდა.

სამგზავრო ფუსფუსს ბოლო არ უჩანდა.

მიხეილის მეუღლე, ქალბატონი ევა, მომჭირნე და თადარიგიანი ქალი იყო, მაგრამ ამჟამად ნერვიულობისაგან ყელის ძარღვები დაჰბერვოდა და აწითლებულ ლოყებზე წამდაუწუმ ხელს იტკაცუნებდა.

ჩაალაგებდა ჩემოდნებში ბარგი-ბარხანას, ცოტა ხნის შემდეგ ამოყრიდა, ახლა სხვა რამეებს ჩაალაგებდა, მერე ისევ ამოყრიდა და იყო ერთ ამბავში.

– ამაში რა არის? – ჰკითხავდა მიხეილი.

– წიგნებია ბავშვების.

– რაი?

– წიგნები.

– ამოყარე, გელაპარაკები! წიგნები მინდა ახლა მეე? წიგნების მეტი არ მრჩება არაფერი?

– რა გაღრიალებს! მოდი მაშინ და შენ ჩაალაგე. უწიგნო და უბედური შენი თავი არ გეყოფა? არა, უსწავლელს დავტოვებ, შენმა მზემ, ძღაბებს!

– იქანა სხვა სწავლაა! ვერ გაგაგებინე, ვის რათ უნდა იქანა შენი წიგნები.

უფროს ქალიშვილს, ჯულიეტას მოსწყენოდა ეს უსაფუძვლო მზადება, ყველაფერზე ხელი ჩაექნია და გულზე კატაახუტებული სკამებშუა მიმოდიოდა.

უმცროსი – მერვეკლასელი მანანა ჭიშკართან თავის ორ თანაკლასელ გოგონას გადახვეოდა და გულამომჯდარი ქვითინებდა.

მოსე თავის ჩვეულ ადგილას აივანზე იჯდა, ხელებით ჯოხს დაყრდნობოდა და ნახევრად ღია თვალებით სივრცეს გაჰყურებდა. მან მხოლოდ ერთხელ აიღო თავი, ჯულიეტას ხელით უხმო და ხმის კანკალით, ძლივს გასაგონად უთხრა.

– დამთხვეულ მამაშენს უთხარი, ალბომი გადაარჩიოს, თქვენი სურათები დამიტოვოს, სხვა არაფერი მინდა.

მიხეილმა უცებ ჩალაგება შეწყვიტა, ჩემოდანს გადააჯდა და მოსეს მიაჩერდა.

ჩემოდნებში არაფერი ეტეოდა, ყველაფრის წაღება უნდოდათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. სპილენძის ტაშტი სამჯერ ამოუგდო ბოხჩიდან ქმარმა, მაგრამ ევამ სამჯერვე უკან ჩააბრუნა.

„მოსე ზონენაშვილი დიდხანს იდგა ბაქანზე შესაფუთავად გამოტანილ ქანდაკებასავით და საღორიას ტყისკენ კივილით მიმავალ მატარებელს შეჰყურებდა.

იგი მარტო დარჩა.

სადგურზე უამრავი ნათესავი ტრიალებდა, მაგრამ მატარებელი რომ წავიდა, ყველამ თავისი გზა მონახა, მოსე არავის გახსენებია, ხელი რომ ჩაევლო და სასოწარკვეთილი მოხუცი სახლამდე მიეყვანა.

ქუჩაში ჯოხის კაკუნით, მთვარეულივით მიბარბაცებდა.

„ახლა ფიქრის დრო, იცოცხლე, ბევრი მაქვს, იქნება მეც უნდა წავსულიყავი, ჩემი აქ დარჩენა სჭირდება ვინმეს? ვის რაში სჭირდება ბებერი მოსე ზონენაშვილი, არა, ჩემო ღმერთო, შენ არ მირჩიე, არ დამაძალე, დაგენაცვლე და, მართალიც ხარ. ამხელა ტვირთი რომ ამკიდე, ჩემი რა იმედი გქონდა, შე სულგანათებულო? რომ ვერ შევძლო, რომ გამიჭირდეს? მორჩა. აწი მე ჩემს შვილს და შვილიშვილებს ცოცხლად თვალს ვერ შევავლებ. ამხელა ტკივილი რა ფასად მომანიჭე, შენს სახელს ვენაცვალე? ამ ცის და მიწის ფასად? ამ ძველი ჯაჭვის ხიდის ფასად? ამ ძმასავით თანშეზრდილი მწვანე ბაზრის და ნაცნობებით სავსე ქუჩების ფასად? იქაც ხომ იქნებოდა ცა და ქვეყანა, ქუჩები და ბაზარი, მარა იქ შენ არ იქნებოდი ის მოსე, რაც აქა ხარ: მყიდველ-გამყიდველის მომრიგებელი, ჩხუბში გამზავებელი, დაბნეულისთვის ჭკუის დამრიგებელი, იქ სხვა მოსეები ხეირობენ. ამ სახელს და გამავლობას, ამ ქალაქში რომ მაქვს, ორმოცი წლის სიცოცხლეც რომ დამრჩეს იქ, ვერ მივაღწევ. არა, მე არ გემდური. კაი ჰქენი, ღმერთმანი მე ამ მიწის ბელტი ვარ, ღმერთო მე აქ უნდა მომკვდარიყავი!“

სალოცავაში შეიარა, მის დანახვაზე ხის ჩუქურთმიან კართან ფუტკრებივით მოზუზუნე ებრაელები უეცრად დადუმდნენ, უკუდგნენ და მოსეს გზა დაუთმეს.

მოხუცს ეს უეცარი დადუმება და გზის დათმობაც ცუდად ენიშნა.

დ ა ნ ი ე ლ – ამის მერე ქე გეცოდინება, მამაჩემ დიდხანს არ უცოცხლია. ისინკა რიჟინაშვილი ჩამოსულიყო კულაშიდან და აივანზე დახვედროდა სკამზე მჯდომარე მკვდარი.

ს ა ბ ა – ვიცი. ჩვენ დავასაფლავეთ და დარჩენილმა ებრაელობამ, რავარც ეკადრებოდა მამაშენს – დიდ მოსე ზონენაშვილს.

დ ა ნ ი ე ლ – გადმოსვენება მინდოდა, მარა, ჩვენ სჯულში არ არი მკვდრის გადმოსვენება.

ს ა ბ ა – კიდეც რომ იყოს, არ გირჩევდი, ჩემო დანიელ. რავა შეიძლება, მკვდრის შეწუხება, მამაშენის ძვლები თავის ადგილზეა. იმ მიწაშია, სადაც დაიბადა.

დ ა ნ ი ე ლ – მართალი ხარ, ჩვენ ერთი სამშობლო გვაქ. ქართველი ებრაელობა და ებრაელი ქართველობა, ორივე ერთია. თქვენ ჩვენი სასაფალოები შეგვინახეთ და ჩვენ აქანა ყველაზე დიდი ქართველის – რუსთაველის საფლავს შეგინახავთ.

(მოისმის უძველესი ქართული სიმღერა „შენ ხარ ვენახი“, რომელიც თანდათან ძლიერდება. ორივენი მღერიან. ხმა ნელ-ნელა სუსტდება. და სპექტაკლი მთავრდება ისე, როგორც დაიწყო. მკრთალად განათებულ სცენაზე შემოდის საბა. იგი სცენის სხვადასხვა კუთხეში ჩერდება და ნაცნობ ებრაელებს უხმობს).

– მოშე! (დაღონებული) – არ არის.
– ისინკა! (დაღონებული) – არ არის.
– საბა! (დაღონებული) – არ არის.
– გერშონ! (დაღონებული) – არ არის.
– დანიელ!

დ ა ნ ი ე ლ (კულისებიდან) – აქა ვარ, დაგენაცვლე!

(ძველი მეგობრები ერთმანეთს ეხვევიან. მოისმის სიმღერა – „დანიელა შეშა! დანიელა წყალი...“ ამ სიმღერაზე ორივენი ცეკვავენ ძველ ებრაულ ცეკვას).

ფარდა

ტერენტი გრანელი

სცენარი პანტომიმის თეატრისათვის

პირველი სურათი

სცენა ჩაბნელებულია.

ისმის სევდიანი მუსიკა.

სცენის შუაში, შემაღლებულზე მდგომი ტერენტის სახეს, თითქოს ნეგატივი მჟღავნდებაო, ნელ-ნელა ემატება სინათლე.

მის წინ მიმოზებივით თავდახრილი ქალიშვილები დგანან.

სინათლეში ნელ-ნელა ჩნდება, რომ გოგონებს ხელში წითელი მიხაკები უჭირავთ.

ეს მიხაკები პოეტ ტერენტი გრანელს ეკუთვნის.

იგი საშუალოზე მაღალია. ბეჭებში მოხრილი. გრძელი ყავისფერი პალტო აცვია. თეთრი შარვალი. პალტო შიშველ მხრებზე მოუსხამს, ყელთან მოლურჯო გრძელი კაშნე შემოუხვევია. თმაწვეროსანია, ასე 22-23 წლის.

იგი, თითქოსდა, ლექსებს კითხულობს და ქაღალდს იატაკზე ყრის.

მის ირგვლივ ქალიშვილები მოძრაობენ, იატაკზე დაცვენილ ლექსებს ჰკრებენ და ზოგი გულში იხუტებს, ზოგი ფრთხილად ინახავს უბეში.

პოეტი ავანსცენისკენ მოიწევს ქრისტესავით ხელებგაშლილი.

მისი ხელები იქეთ-აქეთ ქალიშვილებს უჭირავთ. მათ შორის მარო მაყაშვილიცაა.

პოეტის გრძნეულ ხელებს, როგორც დირიჟორის მოძრაობას, ისე დაჰყვებიან ქალიშვილები.

იგრძნობა, რომ პოეტი უყვართ.

ფარვანასავით დასტრიალებენ.

1921 წელია. საქართველო დამოუკიდებელია.

უეცრად პოეტისა და ქალიშვილების იდილიურ ურთიერთობას დელგმა, გრგვინვა-გრიალი, ჭექა-ქუხილი (სროლის ხმაში გადასული) არღვევს. ქალიშვილები გარბი-გამორბიან.

სცენაზე ოციანი წლების ტანსაცმლიანი ქალები, კაცები მიდიან-მოდიან ზოგი ქოლგით, ზოგი ხელჯოხით.

გარბიან...

უბედურების მომასწავებელი მუსიკა ისმის.

მეორე სურათი

დელგმა... სროლა... კბილთა ღრჭიალი...

სიბნელეში წითელი და შავი ფერები ერთმანეთში ირევა.

იგრძნობა, რომ უცხო ძალა შემოიჭრა. საშინელება ხდება.

ეს იუნკრები იბრძვიან კოჯორთან საქართველოს თავისუფლებისათვის. მრისხანე ხმაური ნელ-ნელა სუსტდება.

ნელ-ნელა, რიგ-რიგობით ეცემიან იუნკერები სცენაზე.

ცისფრად ნათდება.

თეთრ-წითელში (სისხლიანი თოვლი) ქართველი თავდადებული იუნკრები ჩანან დაღუპულები.

შემოდის 18 წლის მარო მაყაშვილი. მხარზე ჩანთაგადაკიდებული, მშვენიერი გოგონა.

მკვდრებსა და დაჭრილებს შორის დადის იგი.

შეძრწუნებული, თავგანწირული მარო მაყაშვილი – მებრძოლთა უსათნოესი და... ზოგს ჭრილობას უხვევს, ზოგს მკერდზე ადებს თავს. ზოგის მარჯვენას მაღლა წევს და სასოწარკვეთილი ძირს უშვებს.

დაფარფატებს თეთრი გედივით მკვდრებსა და დაჭრილებს შორის და...

უეცრად სროლა გაისმა.

მტრის ტყვიამ განგმირა მარო მაყაშვილი.

იგი თავის მებრძოლ იუნკერ ძმებს გვერდით მიუწვა.

სამგლოვიარო ზარი.

ქარი ანგრევს ყველაფერს.

აფრიალებს იუნკერთა დროშებს და მოსასხამებს, მარო მაყაშვილის კულულებს.

და სცენის სიღრმიდან შემოდის ტერენტი გრანელი.

ჯერ გაოცება; მერე შეძრწუნება იხატება მის სახეზე.

აი, რა უყვეს ჯალათებმა დამოუკიდებელ საქართველოს.

მოდის, ხელებს ვერხვის ტოტებივით აცახცახებს.

ხან სახეზე იფარებს, ხან ყელთან მიაქვს და უეცრად საყელო გაიგლიჯა, პალტო თითქოს მკერდზე გადაიხია.

მარო მაყაშვილს ჰკიდა თვალი.

დაიჩოქა. რაღაცას ბუტუბტებს.

კულული გაუსწორა მკვდარს.

უბიდან ის მიხაკი ამოიღო, რომელიც გუშინ სხვა ქალიშვილებთან ერთად მარომაც უსახსოვრა.

გულზე დაადო მიხაკი საქართველოსთვის ზვარაკად შეწირულ თეთრ გედს – მარო მაყაშვილს.

მერე ხელში ნაზად აიყვანა.

შემობრუნდა და...

მრისხანე ნაბიჯების ხმა.

მისკენ მოემართებიან კონუსისქუდიანი, წითელვარსკვლავიანი ჯალათები.

შუაში ჩაიყენეს.

ტერენტი მარო მაყაშვილის გაცივებული სხეულით ხელში, დააპატიმრეს.

მესამე სურათი

სასაფლაო.

შავი საფლავები. ზოგან ჯვარი, ზოგან უბრალოდ საფლავის ბორცვი.

უკან ცისფრად განათებული სივრცე.

ტერენტი გრანელი სასაფლაოზე დაეხეტება.

სასაფლაო მისი სახლია.

აქ ათენებს და აღამებს.

იგი შეშლილია. წვერგაბურძგნული, უფრო გამხდარი და გაუბედურებული.

სასაფლაოზე ხან ტკივილიანი გარინდება.

ხან ქვითინისმაგვარი მუსიკა.

უიმედობა, სიკვდილი გამეფებულა ირგვლივ.

ტერენტი ხან ერთ საფლავთან ჩამოჯდება, ხან – მეორესთან.

თვალზე ცრემლი უბრწყინავს.

ტანსაცმელი თითქმის შემოსძარცვია.

ჯიბიდან ბოთლს იღებს. ისხამს არაყს. ცოტას მოსვამს და ჭიქას ბოთლიანად საფლავზე ტოვებს.

ძეწნის ტოტებივით ირხევა უკან მირაჟულ მოცეკვავეთა შავოსანი ქორო.

(აქ ამირან შალიკაშვილმა უკეთ იცის სასაფლაოზე ტერენტი გრანელის სულის მოძრაობა, მკვდრებთან მისი სიახლოვე როგორ უნდა გამოხატოს)

ბნელდება. ჭექა-ქუხილი. ისევ ოდნავ ინათებს.

ტერენტი ერთ-ერთ შემაღლებული საფლავის ახლოს თითქოსდა ლექსს კითხულობს.

ხან გაფრენას ლამობს, ხან მოწყვეტით ჩამოუცვივდება ხელები.

და ხდება საოცრება:

საფლავებიდან ნელ-ნელა ამოჰყვეს მკვდრებმა ხელები.

თითქოს ენძელები ამოვიდნენო მიწიდან.

რა არის ეს? მკვდრები მადლობას ეუბნებიან ლექსებისათვის?

თუ შველას ითხოვენ დამარცხებული, დაჩოქებული საქართველოს მიცვალებულნი?

ისევ ქარი.

ისევ გრიგალისებური მუსიკა.

და ტერენტი, შეშლილი ტერენტი, ირხევა, იკეცება, ლამის წელში გადატყდეს ქარიშხალში მოყოლილი კიპარისივით.

მეოთხე სურათი

ტერენტი ისევ შეშლილია. ახლა მხოლოდ 35 წლის არის, მაგრამ თითქმის მობერებულა.

თავდახრილი, მწუხარე, შავოსანი ქართველები თითქმის ყურადღებას აღარ აქცევენ, თავიანთ საქმეებზე მიიჩქარიან.

რა მოხდა?

რატომ გაუგულგრილდა ქვეყანა ასე პოეტს?

წითელი რუსეთისგან დამონებულ საქართველოს აღარ „ცხელა“ პოეზიისთვის.

ტერენტი-შეშლილი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელ შემოხეული პოეტი ხარხარით სცენის ხან ერთ კუთხეში გამოჩნდება, ხან მეორეში.

ადამიანები გაურბიან.

ჯიბიდან მიხაკს ამოიღებს.

უნდა აჩუქოს ხან ერთს, ხან მეორე გამვლელს.

არავინ ართმევს პოეტს გამოწვდილ მიხაკს.

ისევ გიჟის სიცილი, ისევ სასოწარკვეთა.

„ო, დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ფიქრებით ზეცას მოვიარ,
წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“.

... და უეცრად გაქვავდება.

თითქოს რაღაც მოიფიქრაო, რათა ამ შემკრთალი ბრბოს ყურადღება მიიპყროს.

სამრეკლოზე ადის და რეკავს ზარებს.

რეკავს, რეკავს, რეკავს... ქანცგაწყვეტამდე.

რეკვაზე თითქოს ნახირი შედგაო, ნელა გროვდებიან სამრეკლოსთან პოეტის ირგვლივ.

ნელა ირხევიან, მოძრაობენ ადამიანები.

თითქოსდა ისევ მოვიდა პოეზია მათთან, ისევ გაიგეს გრძნეული სიტყვის და გრძნეული კაცის ფასი.

ამ დროს ისევ მრისხანე ნაბიჯების ხმა.

შემოდიან კონუსისქუდიანი, წითელვარსკვლავიანი მილიციონერები.

ტერენტის შუაში ჩაიყენებენ და მიჰყავთ.

ბნელდება.

ფინალი:

ტერენტი გრანელი საწოლზე კი არა, თითქოს საფლავის ბორცვზე წევს.

ირწევა, ირხევა, წამოიმართება, ხელებს მაღლა აღაპყრობს.

ყველაფერში ეტყობა, რომ ამ ქვეყნისა აღარ არის. ფერიებივით შემოდიან წითელჯვაროსანი და ჯვარქუდოსანი მოწყალების დები.

გამოსათხოვარი ცეკვა პოეტისა თავის მფარველებთან და თაყვანისმცემლებთან ერთად.

ტემპი მატულობს ცეკვისა.

თანდათან ცხრება მუსიკა.

ტერენტი ნელ-ნელა იკეცება და ეცემა.

მოწყალების დები თითქოსდა სურათის გადასაღებად დახრილანო პოეტთან. ერთი უკან უზის. ტერენტის თავი მის მხარს მიყრდნობია და მოწყალების და მარჯვნივ მის შუბლს ეხება, თითქოს სიცხეს უზომავს.

სხვა „მედდებიც“ იქვე არიან.

ზოგს ხელი უჭირავს ტერენტისა, ზოგი მაჯაზე უსვამს ხელს. „სულთათანას“ ამ არაამქვეყნიურ რხევებს მაჟორული მუსიკა ენაცვლება.

ყველამ თავი უკანა კედლისკენ მიაბრუნა.

სულთმობრძავ პოეტს, თითქოსდა, ციდან ჩამოფრენილი, კედელზე ანგელოზებად გამოსახული მარო მაყაშვილი თავისთან უხმობს.

...სცენის სიღრმეში ჯვარზე გაკრული ქრისტე მოჩანს.

ტერენტი საფლავის ბორცვიდან წამოიმართა და მისკენ გარბის.

ძლივს მიაღწია. განგაშის მუსიკა... ცდილობს ჯვარცმიდან ჩამოხსნას ქრისტე. ამოაძრო ერთი ლურსმანი, მეორე... ქრისტეს ნაწამები სხეული ანგელოზებმა ძირს დაუშვეს. ტერენტი ჯვარს გაეკრა.

ფარდა

მარტი, 2005 წ.

წმინდა გიორგი

ხილვა პირველი

კაპადოკია.

განთიადის ცისფერ ციაგში ვიოლინოს სევდიანი ჰანგის თანხლებით ნელ-ნელა იკვეთება კონუსისებური კირქვის ბორცვებში გამოკვეთილი უძველესი ქალაქი-სამლოცველო.

მზე ამოდის და ქალაქი ცოცხლდება.

მიმოდიან ბერები, დერვიშები, ნახევარად დავრდომილი მლოცველები, ბრმები, მეძავები, სხვადასხვა აღმსარებლობის მოქალაქენი...

ყველა თავის ფიქრს, თავის საზრუნავს შეუპყრია.

უცებ ცა მოიქუფრა.

თითქმის დაბნელდა და ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, გაქცეულ მოქალაქეებს ლამის ტანსაბურავი შემოახიოს. ხეები ისე ირწევიან, თითქოსდა მიწიდან ფესვებიანად უნდა ამოთხაროს გრიგალმა.

ამ ორმოტრიალში ელვა ზოგჯერ თვრამეტ-ცხრამეტიოდე წლის ქალიშვილს და ჭაბუკს გაანათებს ხოლმე.

ისინი მედგრად ებრძვიან დელგმას.

ხან ხელიხელჩაჭიდებულნი მოემართებიან. ზოგჯერ დაკარგავენ ერთმანეთს და მერე ისევ პოულობენ.

გრიგალის სტვენა-ღრიალს ცხენთა ფლოქვების ცემა და თქარათქური ერევა.

აქა-იქ გაკრთებიან შუბოსან-ფაროსანი რომაელი მხედრები.

ხალხი მათ გაურბის.

აშკარაა, რომაელები ვიღაცას ეძებენ.

ჩვენი გმირები – ნინო კაპადოკიელი (შემდგომში „წმინდა ნინო“) და გიორგი (შემდგომში „წმინდა გიორგი“), კვლავ ღონივრად უძალიანდებიან სტიქიას და ცდილობენ, ლეგიონერთა თვალთაგან შეუმჩნეველნი დარჩნენ.

ისინი ხელჩაჭიდებულნი წინ-წინ მოიწევენ.

ლეგიონერებმა შეამჩნიეს გიორგი.

ნინომ ამაოდ სცადა გადაფარებოდა მეგობარს, ძუძუმტეს და ნათესავს.

დელგმამ იმატა.

შუბოსანმა ჯარისკაცებმა წაიყვანეს გიორგი, რათა ტლანქ და უხეშ დამპყრობელ ჯარისკაცად გამოზარდონ.

ნინო ჯვრით ხელში მარტო განაგრძობს გზას.

ერთმანეთს სცვლიან ვიოლინოს ხმა, მწყემსები...

ნინოს სიმტკიცე ვერაფერმა გატეხა.

ნათდება.

ნინო მიდის ჯვრით ხელში.

ბნელდება.

ნინო ისევ მიდის.

სახეზე და მაღლა შემართულ ჯვარზე არაამქვეყნიური შუქი ადგას.

ისევ ფათერაკი.

მიწა იძრა!

წივილ-კივილი, საქონლის ბღავილი.

ტორტმანებს მიწა.

ტბები ნაპირს გადმოდიან.

მთები მიწის წიაღში ინთქმებიან.

თითქოსდა ქვეყანა იქცევა.

ნინო მაინც მოდის.

სტიქია ნელ-ნელა ცხრება.

ნინო ქვაზე ზის.

ყვითელი შუქი ეღვრება თმებზე, მხრებზე, ხელებზე.

დელგმა-მიწისძვრაში ტანსაცმელი შემოხევია.

ჯვარიც არსად ჩანს.

წუხს ნინო.

სადღაც ვაზი დაქანდა.

მიირბინა, მოტეხა ჯერ ერთი ტოტი, მერე – მეორე.

განათებულ ქვამდე მოიტანა.

კაჟიანი ქვით თმები შეიჭრა და თავისი თმებით შეკრა ჯვარი.

ზეაღიმართა ნინო და ჯვარიც ზეასწია.

ქალწულის თმებით შეკრულ ჯვარს ღვთიური შუქი შემოადგა.

შორს თოვლიანი მთები ჩანს.

ნინო ზეაღმართული ჯვრით ხელში გზას აგრძელებს.

ხილვა მეორე

იმპერია თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის.

ქვეყნად მდიდრის მიერ ღარიბის ჩაგვრა, მექრთამეობა, უზნეობა გამეფებულა.

ამას თან ერთვის დამპყრობელთა თარეში.

ყოველი კუთხიდან მოისმის მოთქმა-გოდება, აწიოკების, ძარცვა-გლეჯის მაუწყებელი ხმები.

სცენაზე გამორბიან სასოწარკვეთილი ადამიანები.

რომაელი ჯარისკაცები ერთმანეთზე გადაბმულთ მათრახის ცემით მიერეკებიან.

დევნილთ არ სურთ საკუთარი კერის მიტოვება (ქართული ისტორიის მოტივი), უძალიანდებიან, უკან გარბის ზოგი, იჭერენ და კვლავ ტყვეთა შორის აბრუნებენ.

ზარი და ზრიალი ისმის ქვეყნად.

შველა არსაით ჩანს.

ლეგიონერთა თვითნებობა უსამანოა.

წმინდა გიორგი ფერმკრთალი სახით და გაცრეცილი ტუჩებით გამოირჩევა ლეგიონერთაგან. ჯარისკაცის შუბი და ფარი უპყრია, მაგრამ დამსჯელ ექსპედიციაში არ მონაწილეობს.

შეძრწუნებულია დამპყრობელთა სიმკაცრით და სისასტიკით.

აგერ, ვიღაც დავრდომილს მათარიდან წყალი დაალევინა. ეგერ, საპყარ მოხუცს მხარში ამოუდგა და გზის გაგრძელებაში უშველა.

უზნეობის, ჩაგვრის ქარავანი გზას მაინც აგრძელებს.

მოდის ორი ლეგიონერი ნაძარცვი ნივთებით სავსე ფუთებით მხარზე.

მათ ტირილით მოსდევენ გაძარცვულები.

წმინდა გიორგი მძარცველ ჯარისკაცებს წინ გადაუდგა.

ერთმა შუბი მოუღერა.

გიორგიმ ფარი შეაგება, შუბი წაართვა და იმდენი იმარჯვა, რომ ნაძარცვი პატრონებს დაუბრუნა.

„თამამ ლეგიონერს“ ჯარისკაცები ეჭვით და ზიზღით უცქერენ.

ჩაიარა ტყვეთა ქარავანმა და სცენაზე კვლავ გამოჩნდნენ ლეგიონერები.

ამჯერად თითო ჯარისკაცს თითო ან ორ-ორი დედიშობილა ქალი „უმშვენებს“ მხარს.

გაიმართა ორგია-ღრეობა.

ხელიდან ხელში გადადის თასი და სურა, ღვინო და ქალი...

წმინდა გიორგის სახეს ხან ერთ კუთხეში გაანათებს რამპის შუქი, ხან – მეორეში.

ვერ აუტანია ეს ამაზრზენი სინამდვილე.

ბოლოს ვეღარ მოითმინა, შევარდა ცოდვილთა და უზნეოთა ღრეობის არენაზე, ააყირავა ყველაფერი, ქალები წიოკით მიმოიფანტნენ, ლეგიონერებმა შუბები მოიმარჯვეს, სადაცაა ცოდვა დატრიალდება და ამ დროს ბუკის ხმა, დაფდაფების ცემა მოისმის.

იმპერატორი დიოკლეტიანე მობრძანდა.

მას მხარს უმშვენებს დედოფალი ალექსანდრა, მთავარი ვაზირი მაგნეტიოსი და, რა თქმა, ამალა.

ლეგიონერებმა ერთმანეთზე გადაბმული დევნილები და მოქალაქენი თითქმის ძალით დააჩოქეს.

ჯარისკაცები ცალ მხარეს ჩამწკრივდნენ.

დიოკლეტიანემ ბრბოს მედიდურად ჩამოუარა. მერე თავის ტახტზე დაჯდა და მარჯვენა ხელი ზეაღმართა.

თითქოს ნიშანი მისცესო, მაგნეტიოსმა და იმპერატორის მაღალჩინოსნებმა გაშალეს პლაკატები.

ნახატებზე ჩანს წითლად გადახაზული (ესე იგი, უარყოფილი, აკრძალული) ქრისტე და ასევე წითლად გადახაზული ჯვარი.

ხალხი გმინავს, ძრწის.

დიოკლეტიანეს ეს ახალი ბრძანება იმის მაუწყებელია, რომ ყველა ქრისტიანი უნდა განადგურდეს.

წყევლისა და უარყოფის ამ სახელმწიფო რიტუალს ის მოჰყვა, რომ ქრისტეს გამოსახულებიანი ნახატები და ჯვრები ხელისუფლების წარმომადგენლებმა ცეცხლში მოისროლეს.

კოცონი წითლად ბრიალებს.

გაისმის სულისშემძვრელი, საგანგაშო მუსიკა.

უეცრად ავანსცენაზე გიორგი აღიმართა.

ერთიმეორის მიყოლებით მოიცილა ზუჩი, ფარ-შუბი, ბექთარი, ცეცხლს ქრისტეს ჯვარი გამოსტაცა და ორივე ხელის მაღლა შემართვით იმპერატორ დიოკლეტიანეს და მის რაზმს მტკიცე პროტესტი განუცხადა.

ხალხმა ამოიგმინა.

დიოკლეტიანე გაშრა.

ლეგიონერის ამგვარ სითამამეს არ ელოდა.

დედოფალ ალექსანდრას ლამის გული წაუვიდა.

მაგნეტიოსი წამოდგა, მრისხანედ დააჩერდა გიორგის.

მაგნეტიოსის ხმა კულისებიდან:

„– ვინ ხარ შენ?!“

გიორგის პასუხი კულისებიდან:

„მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასოებელი მისი. საკუთარი ნებით წარვმდგარვარ თქვენ წინაშე, რათა ვეწამო ჭეშმარიტებისათვის!“

დიოკლეტიანეს ხმა კულისებიდან:

„რაი არს ჭეშმარიტება?!“

გიორგის ხმა კულისებიდან:

„თავად ქრისტეა ჭეშმარიტება! დევნილი თქვენ მიერ!“

დიოკლეტიანე წამოდგა და მცველებს ანიშნა.

ორი მცველი გიორგის გვერდით ამოუდგა და ხელები გადაუგრიხა, მესამემ შუბი შემართა და მკერდში აძგერა ურჩ ქრისტიანს.

მოხდა სასწაული:

შუბი გაიღუნა წმინდა გიორგის მკერდზე.

ლეგიონერმა მეორე შუბი აიღო და ახლა უფრო ღონივრად დასცა დატყვევებულს.

შუბი ისევ გაიღუნა.

დიოკლეტიანე მიუახლოვდა მეაბოხეს.

თვალებში ჩახედა.

მერე ზურგზე ხელები დაიწყო და სწრაფად გავიდა.

ამალა მიჰყვა.

ჯარისკაცებმა დატყვევებული წმინდა გიორგი ხელჯოხების ცემით წინ გაიგდეს.

ხილვა მესამე

რომაელ ლეგიონერებს თეთრმოსასხამიანი, ნაცემ-ნაგვემი, სამოსშემოფლეთილი წმინდა გიორგი მიჰყავთ.

აბუჩად იგდებენ, დასცინიან.

სცენის შუაგულში შეაჩერეს.

გიორგის მარცხენა ხელი მარჯვენა იღლიასთან მიატანინეს, მარჯვენა ხელი კი – თვალთან.

რიგრიგობით ურტყამენ იღლიაში, რაც ძალი და ღონე აქვთ.

დარტყმისაგან ირყევა, ტორტმანებს გიორგი. ხუთიოდე ჯარისკაცი ცერა თითით უჩვენებს, აბა, თუ გამოიცნობ ვინ დაგარტყაო.

წმინდა გიორგი ყოველთვის ზუსტად გამოიცნობს ხელის დამრტყმელ ავაზაკს, ჯარისკაცი უარის ნიშნად თავს აქნევს და ახლა სხვა ურტყამს არაქათგამოცლილ პატიმარს.

მობრძანდა დიოკლეტიანე თავისი ამალით.

მაგნეტიოსმა ხელი შემართა.

წმინდა გიორგი წელსზემოთ გააშიშვლეს და იატაკზე დააგდეს.

ჯარისკაცებმა ხარის გამხმარი ძარღვები მოიმარჯვეს და მორიგეობით სცემენ გიორგის.

ტყვე ცემისაგან იკლაკნება, მაგრამ ვაჟკაცურად იტანს დარტყმებს.

ჯალათები დაიღალნენ.

გიორგი მკვდარივით, უძრავად წევს პირაღმა.

დიოკლეტიანემ ხელი შემართა, იგი დარწმუნებულია, რომ გიორგი ცემით შემოაკვდათ. ხალხი გმინავს.

ყველანი გიორგის დაჰყურებენ.

ნაცემი წმინდანი ჯერ ხელებზე წამოიწია, მერე – ცალ მუხლზე, მერე წამოდგა და ჯერ ხალხს გადასახა პირჯვარი, მერე – დიოკლეტიანეს და მის ამალას, მერე ჯალათებსაც და თვითონაც გადაიწერა პირჯვარი.

დედოფალი აღელვებული, აცრემლებული შეჰყურებს ამ სცენას.

დიოკლეტიანეს ბრძანებით სცენაზე უზარმაზარი ბორბალი შემოიტანეს.

ბორბალს ქვემოთ ფიცარნაგი ჩანს, რომელზეც ბასრი შუბის წვერებია დამაგრებული.

ჯალათებმა გიორგი ასწიეს, ბორბალზე დააწვინეს და თოკებით აკრავენ. წმინდა გიორგის ერთ-ერთი ლეგიონერი მეგობართაგანი დედოფალ ალექსანდრასთან მიიჭრა და სთხოვა, ნუ ჩაიდენენ ასეთ სისასტიკეს. იქნებ აპატიონ წმინდა გიორგის „დანაშაული“.

დედოფალი ხელს ჩასჭიდებს მთხოვნელს და დიოკლეტიანესთან მიიყვანს.

ტირანი უარის ნიშნად თავს აქნევს.

მისი ნება ურყევია; წმინდა გიორგი უნდა დაისაჯოს.

ჯალათებმა ბორბალი ნელ-ნელა დაატრიალეს.

გიორგის წარბიც არ შეუხრია.

ხალხი გმინავს ბორბლის ყოველ შემოტრიალებაზე.

გიორგის სხეული ალესილ შუბთა წვერებით იჭრება-ისერება.

საშინელებას თვით რომაელი ჯარისკაცებიც ვერ უძლებენ, ზოგიერთი მათგანი თავს შეაბრუნებს.

მხოლოდ დიოკლეტიანე და მაგნეტიოსი შესცქერიან კუშტად წამებას.

ხალხის ზმუილი და ზარის, გოდების გრგვინვა-მუსიკა

ერთმანეთშია არეული. დიოკლეტიანე ბორბლის დამტრიალებლებს დირიჟორივით ანიშნებს – უფრო ჩქარა და ულმობლად დაატრიალეთო.

ბოლოს დიოკლეტიანემ ხელი შემართა. ბორბალი გააჩერეს, წმინდა გიორგის დასერილი ცხედარი ჩამოხსნეს და ძირს დაასვენეს.

უეცრად ჩამობნელდა და ჭექა-ქუხილი ატყდა.

დამსჯელები და ამალა თვალებზე ხელს იფარებენ ელვა-ჭექისაგან თავდასაცავად.

დელგმა წამით შეჩერდა და ზევიდან სინათლის თვალისმომჭრელი ჩქერალი სვეტად ჩამოიღვარა წმინდა გიორგის ცხედარზე.

ციური შუქი ანათებს ნაწამებ ცხედარს, და ზეციდან ღვთის ხმა მოისმის:

„მხნედ იყავ, გიორგი! ნუ გეშინის! მაგრად დექ! შენთან არს ღმერთი!“

დაჩოქილი ხალხი პირჯვარს იწერს.

წმინდა გიორგი წამოდგა თეთრკვართოსანი, მთელი თავისი ბრწყინვალებით და დიდებულებით.

დიოკლეტიანე მკვდრეთით აღმდგარს მიუახლოვდა, დააკვირდა და რა დარწმუნდა, რომ ნამდვილად წმინდა გიორგია, საშინელი ხარხარით იქეთ-აქეთ მიაწყდა.

წმინდა გიორგი თითქმის შეშლილ იმპერატორს ნელ-ნელა უახლოვდება.

უკანდახევისას დიოკლეტიანემ რაღაცას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა.

დაცემული გველივით იკლაკნება.

უკან-უკან გაჩოჩდა და მაგნეტიოსთან ერთად გიჟური ხარხარით გაიქცა.

დედოფალი ალექსანდრა მივიდა, დაიჩოქა და კალთაზე ემთხვია წმინდა გიორგის.

წმინდა გიორგიმ წამოაყენა იგი და პირჯვარი გადასახა.

ქრისტიანად მოქცეული დედოფალი და მისი ამალა გადიან.

ბნელდება.

წმინდა გიორგი ავანსცენაზე დგას – მაყურებლისკენ ზურგშექცეული და ეჩვენება:

სცენის სიღრმეში ისრაელის რომაელი გამგებელი პილატე მოჩანს, იქეთ-აქეთ უდგას ორი ტყვე. ერთი მათგანი თმაწვერგაბურძგნული ყაჩაღი ბარაბაა, მეორე – თავზე ეკლისგვირგვინდადგმული ქრისტე.

მოსამართლე პილატეს ორივე მათგანისთვის მაჯაში ხელი ჩაუვლია და ხალხს შეჰყურებს.

კულისებიდან გაისმის ხალხის ღრიალი:

„ბარაბა! ბარაბა! ბარაბა!“

– ქრისტე?! – კითხულობს კულისებიდან პილატეს ხმა.

– ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი! – მოისმის ხალხის ულმობელი განაჩენი.

ჰეროდემ ბარაბას ხელი ასწია. ამით ხალხს ანიშნა, ბარაბას ვათავისუფლებო, თვითონ კი ხელი დაიბანა.

წმინდა გიორგი მაყურებლისკენ შემოტრიალდა – გაოცებული და გაოგნებული.

წამით ბნელდება.

ისევ განათდა სცენის სიღრმე და ახლა წმინდა გიორგი სამ ჯვაცმულს ხედავს.

შუაში ქრისტეა. იქეთ-აქეთ ორი ყაჩაღი.

ჯვარზე გაკრულნი ხსნას ამაოდ ეძებენ და ამაოდ ელიან.

ორმა ლეგიონერმა ლერწამის ღეროს ძმრით გაჟღენთილი ჩვარი წამოაცვა, ძალით ჩათხარეს ქრისტეს პირში.

ეს უკვე წამების აპოთეოზია.

ქრისტე ჯვარისგან ხელ-ფეხის აწყვეტას ცდილობს, მერე თავს აიღებს და ზეცას განწირულის ყვირილით შეაზანზარებს.

„ელი! ელი! ლამა საბაქთანი!“

(ქართულად ნიშნავს „ღმერთო, ღმერთო, რატომ მიმატოვე?“).

მუსიკის გრგვინვა-გრიალში წმინდა გიორგი ერთხელ კიდევ

შემობრუნდა მაყურებლისაკენ, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის. ცდილობს, ყურები დაიცოს, მაგრამ ექო უფრო და უფრო იმეორებს:

„ელი! ელი! ლამა საბაქთანი!

ელი! ელი! ლამა საბაქთანი!“

რომაელი ლეგიონერები მოვიდნენ და წმინდა გიორგი ისევ დააპატიმრეს, მაგრამ ამჯერად ცემა-გვემით არ მიჰყავთ. რაღაცნაირი პატივისცემითაც კი ეპყრობიან. ჩანს, უკვე ბევრმა ირწმუნა წმინდა გიორგის ძალა და სიმართლე.

წმინდა გიორგი აპოლონის ბომონში, კერპთა ტაძარში შეჰყავთ.

ტაძარში რამდენიმე კერპია აღმართული – აპოლონის, ჰერაკლეს, დიონისეს, ზევსის და სხვათა და სხვათა.

დიოკლეტიანემ მხარზე გადადო ხელი წმინდა გიორგის და თავის კერპებს წარუდგინა; აქაოდა თაყვანი ეცი ამ კერპებს, ნამდვილ ღმერთებსო.

წმინდა გიორგიმ უცერემონიოდ მოიცილა იმპერატორის ხელი.

ჯერ წინ წავიდა, კერპებთან ახლოს მივიდა, მერე უკან დაიხია და ორივე ხელი ზეაღმართა. მაჟორული, გრგვინვის მსგავსი მუსიკა.

ხდება სასწაული! კერპები ერთმანეთის მიყოლებით პირქვე ეცემიან, ძირს ცვივიან და იმსხვრევიან.

გაგიჟდა დიოკლეტიანე.

ხან თავის დამსხვრეულ კერპებს მივარდება და პატიებას სთხოვს, ხან წმინდა გიორგის მივარდება და შეჭმას უპირებს. ბოლოს მაგნეტიოსს მივარდება და ჯერ გიორგის უთითებს, მერე ყელში გამოისვამს ხელს, ანიშნებს, გაიყვანეთ და ახლავე თავი მოჰკვეთეთო.

ცნობისმოყვარე ხალხი მოზღვავდა.

ციდან დაღვრილი სინათლის შუქზე გაჰყავთ წამებული წმინდა გიორგი თავის მოსაკვეთად.

ისმის ქერუბიმთა გალობა.

ხილვა მეოთხე

საქართველო.

გორაკები, ბორცვები, ბორცვებზე ჯვრიანი ეკლესიები ჩანს შორს.

ლურჯი ციაგი ანათებს სცენას და გოდების ქართული მოტივი ისმის.

დაჩოქილი, დავრდომილი, დაცემული, სასოწარკვეთილი ადამიანები მიმოფანტულან სცენაზე.

ზოგი მხართეძოზე წამოწოლილა და სიკვდილს ელის.

ზოგი ყავარჯენზე დაყრდნობილი მათხოვრობს.

ზოგს მამაპაპური ხმალი მოუტანია, მაგრამ ქარქაშიდან ჩაჟანგებული ხმლის ამოღებას ამაოდ ცდილობს.

რამ დათრგუნა, რამ დააცვედნა ეს ხალხი ასე?

ხსნის იმედი დაუკარგავთ.

აქა-იქ კოცონს შემოსხდომიან ქართველები და რაღაცას ბჭობენ, მაგრამ ისინიც შეშინებულნი ჩანან.

დროდადრო კულისებიდან ავი მუსაიფი და მბრძანებლური ხმები ისმის.

შემოვარდებიან მათრახის ტკაცუნით დამპყრობლები, აგრეთვე ძლიერნი ამა ქვეყნისანი, „რომელთაც სული მიუყიდიათ დამპყრობელთათვის“... შიშსა და ძრწოლაში ჰყავთ მთელი ქართველობა.

დავრდომილთა წინაშე შავმოსასხამიანი უცნობი გამოჩნდა.

ყველამ ყურადღება მიაქცია.

უცნობმა შავი მანტია გადაიგდო და თეთრი მოსასხამით აღიმართა დაჩაგრული ხალხის წინაშე.

იგი, რა თქმა უნდა, წმინდა გიორგია. დაჩოქილ-დაცემულნი ნელ-ნელა წამოიმართნენ.

წმინდა გიორგიმ ხმალი იშიშვლა და კულისებისაკენ გაიშვირა.

ამით ქართველებს ანიშნა: გამხნევდით, გამაგრდით, შეებრძოლეთ მტერს, მე თვითონ წაგიძღვებითო უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. შავი, რუხი, ნაცრისფერი დავრდომილი ქართველები იმედის შუქზე ზე აღიმართნენ.

ყველას არაჩვეულებრივი ნათელი დაადგა სახეზე.

თეთრად შემოსილი მხოლოდ წმინდა გიორგია. იგი წინ მიუძღვის ქართველთა ლაშქარს.

მოისმის ბრძოლის ყიჟინა და მხედრული სიმღერა.

ბნელდება.

ღამეში მოჩანს, როგორ მიიკლაკნება შურისმაძიებელ ქართველთა ქარავანი.

წინ მაშხალით ხელში წმინდა გიორგი მიუძღვის.

უზარმაზარ ლაშქარში თითოეულ მოლაშქრეს პატარა სანთელი უჭირავს.

ადამიანთა სახეები არ ჩანს.

მხოლოდ სანთლები ანათებს ბნელში ციცინათელებივით.

ხილვა მეხუთე

ფინალი

სცენის სიღრმეში ტბის ღელვისა და გველეშაპის ქშინვის ხმა ერთმანეთში არეულა.

ისეთი მუსიკა ისმის, თითქოს სამყაროს აღსასრული მოახლოვებულა.

სცენაზე რამდენიმე ულამაზესი ასული ჩანს.

ისინი თავიანთ რიგს ელოდებიან.

გველეშაპი რიგრიგობით ყლაპავს ქალწულებს.

მსხვერპლად შეწირულნი ერთად შექუჩდებიან და როგორც კი გველეშაპის ქშენა-ღრიალის ხმა გაძლიერდება, გულში ჩახუტებით, ცრემლით, ტირილით ეთხოვებიან მორიგ მსხვერპლს.

ბოლოს ტბასთან ერთადერთი ულამაზესი ქალიშვილი დარჩა.

გამოჩნდა წმინდა გიორგი.

ქალიშვილი წამოხტა და მიეგება.

გველეშაპისკენ ანიშნებს.

წმინდანმა შუბი მოიმარჯვა.

გაიმართა ისეთი ბრძოლა, რომ ცა და ხმელეთი ზანზარებს.

კბილთა ღრჭიალი, ელვა-ჭექა, სიბნელე-სინათლის მონაცვლეობა.

თეთრმოსასხამიანი, შუბშემართული წმინდა გიორგი ებრძვის გველეშაპს.

შეიძლება ზოგჯერ გველეშაპს, მტარვალს (სიმბოლოს) დიოკლეტიანეს სახეც კი ჰქონდეს.

დიოკლეტიანე-გველეშაპი მი და მო აწყდება.

წმინდა გიორგი მარჯვედ აძგერებს შუბს ბოროტ ძალას.

გველეშაპი დიოკლეტიანე სცენიდან პარტერში ჩამორბის, რომ თავს უშველოს.

წმინდა გიორგი მას პარტერის ხან ერთ კუთხეში უმარჯვებს, შუბს, ხან მეორეში.

მაყურებელი შეიძლება აწიოკდეს, რადგანაც სიმბოლურად წმინდა გიორგი მათ შორისაც ებრძვის ბოროტს.

ბნელ პარტერში და მაჟორული მუსიკის გრგვინვა-გრიალში ხან ერთ კუთხეში გაიელვებს წმინდა გიორგის თეთრი კვართი, ხან – მეორეში.

ბოლოს დიოკლეტიანე – გველეშაპი ისევ სცენაზე ავარდა.

ახლა მას იქნებ დიოკლეტიანეს კი არა, სწორედ გველეშაპის სახე ჰქონდეს.

წმინდა გიორგიმ სძლია ბოროტებას, სძლია გველეშაპს და შუბი აძგერა.

სიხარულის ყიჟინა აღმოხდა დარბაზს და საერთოდ გველეშაპისაგან გამოხსნილ მთელ კაცობრიობას.

წინ წმინდა გიორგია, რომელსაც განგმირული გველეშაპისთვის შუბი ხახაში ჩაურჭვია.

ანგელოზთა გალობის და საყოველთაო აპოთეოზის ხმაზე სცენის შუაში დაეშვება ფრესკა-თეთრ ცხენზე ამხედრებული ნათლის გვირგვინით მოსილი წმინდა გიორგი შუბით ხელში და მიწაზე გართხმული დამარცხებული გველეშაპით.

ტაშის გრიალში სინათლე ხან სცენას ანათებს, ხან – წმინდა გიორგის ფრესკას.

ფარდა

ქრისტე

სცენარი პანტომიმის თეატრისათვის

მოქმედი პირნი:

ქრისტე
მარიამ ღვთისმშობელი
იოსები
მსტოვარი
კაიაფა
პილატე
იუდა
რომაელი ლეგიონერები
ებრაელთა ბრბო
მოციქულები

გამოცხადება პირველი

იუდეის ბეთლემი.

იდილიური, ჰარმონიული, მშვიდი მუსიკა.

ბოგაში წევს მარიამ ღვთისმშობელი და გვერდით უწევს ჩვრებში გახვეული ყრმა იესო.

სარკმლიდან ღამის მთვარეული შუქი იღვრება. დედა-შვილს არაამქვეყნიური, ღვთიური ციაგი ადგას.

სარკმელთან ნახევრადშებრუნებით დგას იოსები და თავისი ოჯახის მშვიდ ძილს დარაჯობს.

ირგვლივ, შორს და ახლოს ზეთისხილის ხეთა კონტურები ჩანს.

ბოგასთან მოვიდა თავსაბურავისგან სახედაფარული კაცი.

ფეხაკრეფით მიუახლოვდა დედა-შვილს.

დააკვირდა.

განგაშის მუსიკა.

სამოსელის კალთა მხარზე შეიგდო.

იდუმალი, ბოროტი მზერა მიმოატარა ირგვლივ და გაუჩინარდა.

იოსებმა მის აჩრდილსღა მოჰკრა თვალი.

მსტოვარის გასვლას მეფე ჰეროდეს მსახურთა გამოჩენა მოჰყვა. მოვარდნენ ისინი, რათა ყრმა იესო გაიტაცონ და ჰეროდეს ბრძანებით მოკლან.

მკვლელები თითქოსდა ხეებიდან ამოიზარდნენ.

როგორც ჩანს, ბოგასთან შემოჯარული ხეები სინამდვილეში ჰეროდეს დამსჯელი რაზმის კაცშენიღბვა იყო.

იოსები თავისი კეტით ვაჟკაცურად ებრძვის მომხვდურთ.

იავარქმნილი ბოგა თავგანწირული კვეთების ასპარეზად იქცა.

სულისწამლეკავი, ამაზრზენი, მაჟორული მუსიკა, რომელსაც დროდადრო ცხენების თქარათქური და ადამიანთა გმინვა-გნიასი, ხოლო შიგადაშიგ ქალის კივილი ერთვის. მარიამ ღვთისმშობელმა ახალშობილი ხელში აიატაცა, გულში ჩაიხუტა და არ არსებობს დედამიწაზე ძალა, რომელიც დედა-შვილს ერთმანეთს განაშორებს.

იოსები გზას უკაფავს მარიამს და იესოს, იბრძვის ყოველმხრივ, მაგრამ ჩანს, რომ თანდათან ძალა ელევა.

აჰა, საიდანღაც მაშველი კაცები გაჩნდნენ.

ჩვილი ხელიდან ხელში გადადის.

სადაცაა მიწვდება მტარვალი, მაგრამ ისევ დედა იმარჯვებს, გამოსტაცებს მომხვდურთ თავის პირმშოს და გარბის.

ისევ ჯგლეთა და დელგმა.

ისევ ბრძოლა და გნიასი.

ისევ გრგვინვისებური საგანგაშო მუსიკა.

როგორც იქნა, გააღწია მარიამ ღვთისმშობელმა სცენის სიღრმემდე.

იქ, შემაღლებულ ფიცარნაგზე გამოჩნდა თავგანწირული დედა ჩვილი იესოთი ხელში (როგორც რენესანსულ ნახატებშია), მისკენ გაიწოდეს ხელები მტრებმა... წამის მეათედებში მარიამ ღვთისმშობელი სასწაულებრივად დაუსხლტა მდევარს და კულისებში გაუჩინარდა.

იოსებმა მდევარს გზა გადაუჭრა. კიდევ ერთხელ ვაჟკაცურად გაიბრძოლა და დაღლილი, ვალმოხდილი (სულს ძლივს ითქვამს) ისიც დედა-შვილის კვალს მიჰყვა.

გამოცხადება მეორე

იერუსალიმის დიდი ტაძარი.

ღვთის სახლში ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, ფულის გადაცვლა გამეფებულა.

ყაყანებენ ებრაელები.

ღმერთი აღარავის ახსოვს.

ფულის მონად ქცეულა მასა.

ბაზარს დამსგავსებია ტაძარი.

მხიარული ტემპიანი მუსიკა ისმის.

საზეიმო მუსიკის ფონზე სცენის სიღრმიდან ქრისტე მოაბიჯებს თავის მოციქულებთან ერთად.

ტაძარში ქრისტეს შემოსვლა გრანდიოზულია.

იესოს დაფნის გვირგვინი მოსავს.

მოციქულნი ზეთისხილის და დაფნის რტოებს უფენენ.

ვაჭართა და ფულის სხვა მონათა ყურადღება ამ სანახაობამ წამით მიიპყრო.

მალე ისევ აყაყანდნენ და ვაჭრობას, ფულის წამდაუწუმ თვლას დაუბრუნდნენ.

ქრისტემ ყურადღების მიპყრობის ნიშნად ხელჯოხი ტაძრის იატაკს დაჰკრა.

ვაჭარ-ფარისეველნი წამით გაირინდნენ და ისევ აყაყანდნენ, აქაოდა, ეს ვინღა შემოეხეტა რომ ყურადღებას გვიფრთხობსო.

ქრისტეს განაჩენი ულმობელია.

იგი მრისხანე სახით, სათითაოდ მიდის ვაჭრებთან და კარისაკენ მიუთითებს.

შეშინებული ვაჭრები ერთმანეთს ასწრებენ.

ზოგმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

ტაძარში დიდი ჯგლეთა-გნიასი გაიმართა.

ქრისტე ვაჟკაცურად იბრძვის.

ფარისეველნი და ვაჭრები, როგორც იქნა განდევნეს ტაძრიდან.

გამოჩნდა მსტოვარი.

იდუმალი მზერა მიმოავლო, მოსასხამის ბოლო მხარზე გადაიგდო, რიდე შუბლზე ჩამოიწია და კუთხეში მიდგა.

იგი ქრისტეს თითოეულ ნაბიჯს თვალს ადევნებს.

ქრისტემ ხელი აღმართა და ტაძარში ყველა მხრიდან შემოვიდნენ ავადმყოფები, ბრმები, კეთროვნები, ხეიბრები...

ისინი ხელებს იშვერენ ქრისტესკენ და სთხოვენ დახმარებას.

ქრისტე სათითაოდ უახლოვდება საპყართ და სასწაულებს სჩადის.
ხეიბარი ფეხზე წამოაყენა.
ბრმას თვალი აუხილა.
კეთროვანი განკურნა.
მიცვალებული მოასვენეს და მკვდრეთით აღადგინა.
ტაძარში ბედნიერებამ, ღვთის რწმენამ დაისადგურა.
მადლიერი ხალხი ხელებს და ფეხებს უკოცნის ქრისტეს გადარჩენისათვის.
მსტოვარი ამას იდუმალი, ბოროტი მზერით შესცქერის.
სინათლე ქრება.
სინედრიონის სხდომა.
სინედრიონის წევრი ებრაელი დიდებულნი, შიგადაშიგ ებრაული ხელაღპყრობით ერთმანეთში ჩურჩულებენ.
შუაში იუდა დგას.
აშკარაა, სინედრიონი იუდას გადაბირებას ცდილობს.
იუდა სასტიკ უარზეა, იკლაკნება, მოთქვამს.
ბოლოს საქმეში ერევა კაიაფა.
სინედრიონის უხუცესს ხელში ქისა უჭირავს 30 ვერცხლით.
ფულმა გაჭრა.
იუდას კაიაფამ ქისა გადაუგდო. იუდამ ქისა დაიჭირა, უბეში ჩაიდო და გაილალა.
გეთსიმანიის ბაღი. მთვარის შუქი ქრისტეს და მის თორმეტ მოციქულს დასდგომია.
საგანგაშო, ავის მომასწავებელი მუსიკა ისმის.
ქრისტე და მისი მოციქულნი ლოცულობენ.
აქვეა იუდაც.
გეთსიმანიის ბაღში მაშხალებით შემოვარდა რომაელ ლეგიონერთა და ფარისეველ ებრაელთა ბრბო.
მოციქულთა წინაშე წამით შეჩერდნენ.
არ იციან, რომელი შეიპყრონ, რომელია ქრისტე.
იუდა დემონსტრაციულად წამოდგა, ქრისტეს მიუახლოვდა და მხარზე ეამბორა.

მომხვდურებმა რაკიღა იუდამ გასცა მოძღვარი, ქრისტეს ხელების შეკვრა დაუპირეს.
მოციქულები არ ანებებენ ლეგიონერებს და ებრაელ გამყიდველებს ქრისტეს შეპყრობას.
გაიმართა შეხლა-შემოხლა.
ქრისტე უძრავად დგას.
მოციქულები იბრძვიან.
ერთ ჯალათს ჯოხით თავი გაუტეხეს, მეორეს ყური ჩამოათალეს.
ქრისტემ ხელები ზეაღმართა.
ეს იმის ნიშანია, რომ მოციქულებმა წინააღმდეგობა უნდა შეწყვიტონ, რადგანაც აღსასრულებელი უნდა აღსრულდეს.
ქრისტე დააპატიმრეს და წაიყვანეს „როგორც ერთი ვინმე ავაზაკთაგანი“.

გამოცხადება მესამე

წამების, გვემის, კირთების ამსახველი მუსიკა.
ქრისტეს აწამებენ რომაელები და იუდეველნი.
მოძღვარი გმინავს, მაგრამ გარეგნულად მშვიდად იტანს წამებას.
ტანსაცმელი შემოაფლითეს.
თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს.
რომ არ ჩამოეტია, ძალით ჩამოამხვეს.
სახეზე სისხლი ჩამოსდის.
ჯალათები ხარხარებენ.
უკნიდან გამეტებით სცემენ იღლიებში და ყვრიმალებში, თან ცერა თითს უჩვენებენ; გამოიცანი ვინ დაგარტყაო.
მერე ფეხქვეშ გაიგდეს და წიხლებით შედგნენ.
ბოლოს სასომიხდილი, თითქმის გონდაკარგული ამოაბრუნეს და შოლტებით გამეტებით სცემენ.
აქა-იქ ჩანან ქრისტეს მოციქულები, მაგრამ თავიანთ მოძღვარს ვერაფრით შველიან. მხოლოდ თითზე კბენით და გამხნევების შეძახილით გამოიხატება მათი თანადგომა.

საგანგაშო მუსიკა.
ხალხი ორად გაიპო.
ჯალათებმა შოლტი ჰაერში შეაჩერეს.
ტახტრევანით პილატე მობრძანდა.
დოინჯი გაიკეთა, ბრბომ უკან დაიხია, პილატემ მიმოიხედა, ქრისტეს მიუახლოვდა, მარცხენა ხელი თავზე დაადო და მარჯვენა ზეაღმართა.
ბრბო გაირინდა.
პილატემ უნდა გადაწყვიტოს, რა მიუსაჯოს ქრისტეს.
„ჯვარს აცვი!“ „ჯვარს აცვი!“ „ჯვარს აცვი!“
ღრიალებს ბრბო.
ქრისტემ ერთხელ კიდევ შემართა ხელი.
ჩანს, ყოყმანობს.
ჩანს, არ უნდა, უდანაშაულო მოძღვარი ჯვარს ეცვას.
„ჯვარს აცვი!“
არ ჩერდება ულმობელი ბრბო.
პილატემ სახალხოდ ხელი დაიბანა და მიწოდებული ხელსახოცით შეიწმინდა.
ამით პილატემ ბრბოს ანიშნა – „მე ამ კაცის საქციელში დანაშაულს ვერ ვხედავ, მისი ჯვარცმა თქვენს კისერზე იყოს, მე კი ხელი დამიბანიაო“.
ბრბო კმაყოფილია განაჩენით.
გაბოროტებული ებრაელი ფარისეველნი ქრისტეს ჩასაქოლად მიიწევენ. პილატე გაიყვანეს.
ქრისტეს ცემა და აბუჩად აგდება გრძელდება.
საიდანღაც დიდი ხის ჯვარი მოიტანეს.
ცოცხალ-მკვდარი ქრისტე წამოაყენეს.
ქედი გაუდრიკეს და მძიმე ჯვარი მხარზე დაადეს.
ქრისტემ ნაბიჯი ძლივს გადაგა.
შოლტით სცემენ და აიძულებენ იაროს.
მუსიკა ადამიანთა ულმობლობას და გულქვაობას ეთანწყობება.

გამოცხადება მეოთხე

გოლგოთა.
ქრისტეს გოლგოთის თხემისკენ მიაქვს მძიმე ჯვარი.
უკან რომაელი ლეგიონერები და სეირისმაყურებელი ებრაელები მოჰყვებიან.
ბრბო გაავებულია.
ზოგჯერ ლეგიონერები იცავენ ქრისტეს იუდეველთა ხელყოფისაგან.
ქრისტე მუხლებში იკეცება.
ჯვარი ერთობ მძიმეა.
ბრბო ხან ხელს ჰკრავს, ხან წიხლს აყოლებს.
შეუბრალებლობას ზღვარი არა აქვს.
როგორც იქნა მიიტანა გოლგოთამდე ქრისტემ ჯვარი, მხრიდან ჩამოაგდო და თვითონაც იქვე დაეცა.
ებრაელებმა ჯვარი აღმართეს.
ბრბო ხარხარებს.
წამოაყენეს წამებისგან გათანგული ქრისტე და ჯვარს შეუყენეს.
დაიწყო ჯვარცმის ყველაზე საშინელი წუთები – ქრისტეს ჯვარზე გაკვრა.
ჯალათები ჯერ ქრისტეს მარცხენა ხელს აჭედებენ ჯვარზე, მერე მარჯვენას და ბოლოს ერთმანეთზე გადაჭდობილ ფეხის ზურგზე აჭედებენ ლურსმანს.
ბრბო ხარხარებს.
იქვე არიან მარიამ ღვთისმშობელი, იოსები და ქრისტეს მოციქულნი – მათი მოთქმა-გოდება ზეცას წვდება.
ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ კიდევ ორი ჯვარი აღიმართა.
ქრისტესთან ერთად ორი ავაზაკი გააკრეს ჯვარზე.
რომაელები გამარჯვებას ზეიმობენ.
ბრბო კმაყოფილია.
მარიამ ღვთისმშობელმა რკალი გაარღვია, ჯვართან მიიჭრა და ნაწამებ შვილს ქვითინით ფეხებზე შემოეხვია.

ლეგიონერები სწრაფად მოსწყდნენ ადგილს, ჯვართან აღიმართნენ, მარიამ ღვთისმშობელს მივარდნენ, ხელები გადაუგრიხეს და განზე გაიყვანეს.

დაიწყო ჯვარზე გაკრული ქრისტეს შეურაცხყოფა.

ერთმა ლეგიონერმა შუბი აძგერა, მეორემ ლერწმის ძაბრით ძმარი ჩაასხა პირში, მესამემ შოლტი მოუქნია.

და სწორედ ამ დროს მიწა შეტორტმანდა და ჯვრის უკან საყდრის კედელი ჩამოინგრა.

უეცრად ჩამობნელდა.

დაიქუხა.

გრგვინავს.

ელვა-ჭექა დედამიწას აზანზარებს.

რომაელები და ებრაელები თავზე ხელებს იფარებენ.

ზოგი გარბის, ზოგი პირქვე ეცემა.

სინათლე ქრება-ნათდება, ქრება-ნათდება.

ადამიანები ფეხზე ვერ დგებიან.

სიგიჟემ და პანიკამ მოიცვა ირგვლივ მყოფნი.

არ იციან, თავი სად შეაფარონ.

მიცვივდნენ და ჯვარცმულ ქრისტეს წინაშე მუხლებზე დავარდნენ.

ვიღაცებმა მოიფიქრეს და მიცვალებული (მაპატიოს უფალმა) ჯვრიდან ჩამოხსნეს.

ქრისტე ცრემლგამშრალ ღვთისმშობელს მუხლებზე დაუსვენეს.

მიწისძვრა შეჩერდა.

ლეგიონერები განაპირდნენ.

ბრბო ჯვარცმულს მიცვივდა.

ქრისტეს გარშემო თითქმის ზედახორა გაკეთდა.

ყველას სურს ნახოს, რა დღეშია ცხედარი (კიდევ ერთხელ მაპატიოს უფალმა).

ერთ წუთში ქრისტეს გარშემო ჯგროდ შეკრული ბრბო გაიშალა.

სასონარკვეთის მუსიკა.

ავანსცენაზე მიდიან ებრაელები და რომაელი ლეგიონერები კენჭისყრის შედეგად მოპოვებული ნადავლით ხელში.

ზოგს ქრისტეს პერანგი (კვართი) უჭირავს.

ზოგს ქრისტეს სანდლები (ხამლნი).

ზოგს ქრისტეს თავსაბურავი.

ზოგს ეკლის გვირგვინი. ჩქარი ნაბიჯით ტოვებენ ჯვარცმის ადგილს, რათა ქვეყანას ამცნონ მომხდარის შესახებ.

გოლგოთა შემზარავ დუმილს მოუცავს.

ქრისტეს ცხედართან მარიამ ღვთისმშობელი, იოსები და მოციქულები ჩანან.

გამოცხადება მეხუთე

გალილეა.

მოედანზე ებრაელები შეკრებილან.

ორივე ხელის მაღლა შემართვით ებრაულად ყაყანებენ.

ერთმანეთს მომხდარზე უყვებიან.

ზოგი მიწაზე მორთხმით ზის, ზოგი ფეხზე დგას...

გალილეას მოედანზე ტევა არ არის.

იქვე ჩანან ქრისტეს მოციქულნი და სხვა მიმდევარნი.

არსად ჩანს კაიაფა, იუდა, ფარისეველნი და სხვა იუდეველნი.

როგორც ჩანს, ქრისტეს ჯვარცმამ და ჯვარცმისგან გამოწვეულმა მიწისძვრამ, საყდრის დანრევამ მთელი ისრაელი შეაძრწუნა და შეაშფოთა.

„ვაი ვადაი“, „ვაი ვადაი“...

სწუხან, ჩივიან ძრწიან ებრაელები. უეცრად ყაყანი შეწყდა.

ბრბო ორად გაიპო და სცენის სიღრმიდან ქრისტე გამოჩნდა.

მოაბიჯებს იგი თავისი ღვთიური ნათლით.

მოვიდა და ხელგაშლილი სცენის შუა ადგილას დადგა.

ებრაელები შეძრწუნდნენ.

ზოგმა იცნო, ზოგს არ სჯერა.

ჩანს, ურწმუნო ებრაელებს სურთ ხელით შეეხონ. დარწმუნდნენ, ეს მოჩვენებაა, თუ ხორცშესხმული მოძღვარი.

გაისმის ღვთიური საგალობელი.

ქრისტესთვის ხელის შეხებას ვერავინ ბედავს.

მცირე ხნის შემდეგ ქრისტემ გაიღიმა. მცირედმორწმუნეთ დალურსმული ხელისგულები უჩვენა, ნაბიჯი წინ წადგა და თვით შეაგება ხელები მისკენ გამოწვდილ ხელებს.

გალილეველნი მუხლებზე დაეცნენ.

ქრისტე დგას ღვთიური ნათლით მოსილი.

ხელის ნელი მოძრაობით ანიშნა მისი ხილვით გაკვირვებულებს, ფეხზე წამომდგარიყვნენ.

გალილეველნი გამალებულ პირჯვრისწერას მოჰყვნენ.

ქრისტე კი გაღიმებული, ულამაზესი, მიმტევებელი და ყველა ადამიანის ცოდვის მტვირთველი ნელ-ნელა ამაღლდა ცისკენ.

გალილეველნი თანდათან წამოიმართნენ და ზეცისკენ ხელაპყრობილნი შესცქერიან ცათა შინა ამაღლებულ უფალს.

ყველას, სცენაზეც და მაყურებელთა დარბაზშიც, ღვთიური შუქი ეღვრება სახეზე.

ფარდა

ამირანი

სცენარი პანტომიმის თეატრისათვის

მოქმედი პირნი:

ამირანი
ჩარლი ჩაპლინი
ნატო
მარსელ მარსო
მიმები

ზღვისპირა პროვინციული ქალაქი.

მეზღვაურები, ყომარბაზები, ბოზები...

მოქალაქენი ერთმანეთში ირევიან.

ზოგი გაზეთებს დაარბენინებს, ზოგი კისერზე მძივივით ჩამოკიდებულ ხმელ თევზს ყიდის, იქვე ფეხსაცმლის მწმენდავი ჩამუხლულა და თავის საქმეს აკეთებს.

თავის ამფსონებში აქტიურობს მეზღვაურის მაისურიანი ახალგაზრდა – ამირანი.

სადღაც გემმა მოასაყვირა.

უცებ ყველანი გაირინდნენ.

ტყავისჯუბაჩიან ჩეკისტებს შუაში ჩაყენებული თეთრნიფხავპერანგოსანი პატიმრები მოჰყავთ.

ნირწამხდარმა მოქალაქეებმა შუაში გაატარეს მკაცრი „პროცესია“.

ჩაიარეს და ისევ აყაყანდა ქალაქი.

ახალგაზრდები მეზღვაურთა ბადეს ეჭიდებიან (რასაკვირველია, პანტომიმის ენით).

ამირანი წინა პლანზე ჩანს.

მძიმეა მეთევზეთა ყოფა. ოფლს იწურავენ ბიჭები. მწარეა მეთევზის ლუკმა.

და ზღვისპირა ქალაქის ამ საერთო-ჩვეულებრივ ორმოტრიალში უეცრად ჩარლი ჩაპლინის რომელიმე ფილმის მელოდია შემოიჭრება.

მოქალაქენი გაოცებისგან გაქვავდნენ.

სცენის სიღრმიდან ჩარლი ჩაპლინი შემოდის ავანსცენაზე.

მოდის დიდი მიმი თავისი უკვდავი მანერით. ხელჯოხის ტრიალით. ქუდის წამდაუწუმ მოხდით ესალმება ყველას.

პანტომიმური გრაციოზულობით ჩარლი ჩაპლინი რამდენიმე ზღაპრულად მიმზიდველ მოძრაობას აკეთებს.

ამირანი ჩარლის სინათლის წრეში შემოდის.

იგი ნანახისგან აღფრთოვანებული, პირდაღებული და გაოგნებულია.

ამირანი მქუხარე ტაშისცემამ გამოარკვია.

ეს, მადლიერი ზღვისპირელები ჩარლი ჩაპლინს ტაშით აჯილდოებენ.

ამირანიც ტაშს უკრავს.

ჩექმის ყელიდან მიხაკს დააძრობს და უკვდავ მსახიობს გაუწვდის.

ჩარლიმ მიხაკი გამოართვა და მადლობის ნიშნად ქუდი მოუხადა.

ჩარლიმ წარმოდგენა დაამთავრა და ტაშის გრიალში კულისებისკენ მიდის.

ამირანს თავისი შეყვარებული კოხტა გოგონა ნატო (რომელიც მუდამ თან ახლავს) საპირისპირო მხარეს ექაჩება, მაგრამ ბიჭს არავის და არაფრის გაგონება არ სურს.

* * *

ნატო და ამირანი სასიყვარულო პანტომიური დუეტი.

მორბიან... ჩერდებიან... ერთმანეთს ეხვევიან...

ლაღობენ...

სცენის სიღრმეში ეკრანის მსგავსი რგოლია.

რგოლში შუქი აინთო.

ნატო და ამირანი წამოწვნენ და ეკრან-რგოლს შესცქერიან.

ეკრან-რგოლში აკაკი ხორავა გამოჩნდა.

ხ ო რ ა ვ ა - ო ტ ე ლ ო: „ჯერ შეიცადეთ! მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა.

მე ვენეციის სახელმწიფოს გამგებელთათვის გამიწევია სამსახური – თვითონც იციან, მაგრამ ამაზედ არას ვამბობ.

თქვენს წერილებში რომ აუწყებთ ამ ბედშავს ამბავს, მიწოდეთ იგი რაცა ვარ მე, ნურც რას დააკლებთ და ნურც რაიმეს დაუმატებთ გაბოროტებით“...

ჩაამთავრებს ხორავა ოტელოს მონოლოგს.

ორივენი მონუსხულივით უსმენენ.

ამირანი ხან ყურებს ხელით დაიცობს, ხან წამოდგება, ხან წამოჯდება. ნატოს რაღაცას უხსნის.

მერე ეკრან-რკალში უშანგი ჩხეიძე გამოჩნდება.

უშანგი ჰამლეტის როლშია:

„ყოფნა-არყოფნა საკითხავი აი, ეს არის.

სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის რომ იტანჯოს და აიტანოს ჩაგრულ ბედის ნესტრითა გმინვა?

თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი, მოსპოს სიცოცხლე“...

(საჭიროა ამ გენიალური არტისტების იმიტაციური კი არა, ბუნებრივი ჩანაწერები, რაც რადიოს ოქროს ფონდში და ალბათ თეატრალურ მუზეუმშიც იქნება).

ამირანი ისევ მონუსხულივით უსმენს. ვერ ისვენებს, ზოგჯერ ყურებს დაიცობს და ნატოს რაღაცას უხსნის.

ეკრან-რგოლში ახლა ვასო გოძიაშვილი გამოჩნდება თავისი დიდებული ტექსტით და მოძრაობით „ძველი ვოდევილებიდან“.

ნატო და ამირანი ისევ კამათობენ.

წამიც და ამირანი წამოხტა: ოტელოს ხალათი წამოისხა და რგოლ-ეკრანში ჩადგა.

იგი ოტელოს მონოლოგს ასრულებს უხმოდ პანტომიმის ენაზე. ისე რომ კულისებიდან ხორავა-ოტელოს ხმა ისმის.

ეკრან-რგოლს ნატოს გარდა სხვა მაყურებლებიც (გამვლელები) შემოემატნენ. – დაამთავრა ამირანმა.

ტაში.

ახლა ჰამლეტის ფრაკი მოისხა და უშანგი ჩხეიძეს ბაძავს. ჰამლეტის მონოლოგს ასრულებს უხმოდ, პანტომიმის ენაზე. უშანგი ჩხეიძის ხმა, რასაკვირველია, მოჰყვება.

ისევ ტაში.

ამირანი ტაშმა გაათამამა. ვასო გოძიაშვილის კოსტუმი მოირგო „ძველი ვოდევილებიდან“. ისევე, როგორც ვასო გენიალურად აკეთებდა, გადი-გამოდის სცენაზე „ტროსტით“ და ცნობილ „პარტნოვს“ ასახიერებს. ვასო გოძიაშვილის ხმა, რასაკვირველია, თან ახლავს.

ისევ ტაში.

მაყურებლებს დუმილის ენა მოეწონათ.

* * *

თბილისი.

ამირანის პაპის – ზარიძის ქოხი.

არღანზე ქეიფობენ.
ზარიძეს ძვირფასი სტუმრები ჰყავს; ვთქვათ, ჟორჟიკა შავგულიძე, გალაკტიონი ან სხვა ვინმე.
კედელზე სტალინის სურათი ჰკიდია.
აქვე არიან ამირანი და ნატოც,
ისინი სტუმრებს ემსახურებიან.
ღვინოს ასხამენ ბოთლებში, თეფშები გააქვთ – შემოაქვთ.
ცეკვა-თამაშია, როგორც ქართველებმა ვიცით.
უცებ სროლის ხმა.
ჭექა-ქუხილი.
ყველანი ფანჯრებს მიაწყდნენ.
ავტომატების კანონადა ხან შორიდან ისმის, ხან ახლოდან.
გარეთ რაღაც საშინელება ხდება.
ბაბუა ზარიძემ ქოხში დაჭრილი შემოიყვანა.
ამირანმა კედლიდან სტალინის სურათი ჩამოხსნა, გულზე მიიხუტა და გავიდა.

* * *

ისე თბილისი.
სამოციანი წლების ბოლოა.
კაფე.
ამირანი და მისი მეგობრები სხედან და კამათობენ.
კაფეში მარსელ მარსო გამოჩნდა.
მთელი კაფე ფეხზე წამოდგა და პანტომიმის მსოფლიო მაესტროს მიესალმა.
თვალს არ უჯერებენ.
ნუთუ ეს მართლა მარსელ მარსოა, ნუთუ აუხდათ ოცნება ქართველ მიმებს და თვით პანტომიმის მუზა ეწვია თბილისს?
მარსელ მარსომ მასპინძელთა თხოვნით რამდენიმე თავისი კლასიკური ეტიუდი შეასრულა.
უზადოა გენიალური ფრანგი მიმის ხელოვნება.
ამირანმა გაბედა, წამოდგა და თავის მხრივ ერთი პანტომიური სცენა გაითამაშა.
მარსელ მარსოს მოეწონა ქართველი მიმი.

თამაშდება ერთგვარი დუეტ-შეჯიბრი მარსელ მარსოსა და ამირანს შორის.
უფრო სწორად, მარსელ მარსო ქართველ მიმებს მასტერკლასს უტარებს.
იგი აღფრთოვანებულია ამირანის ხელოვნებით.
ბოლოს მარსელ მარსომ მკლავების საოცარი მოძრაობით „გაფრენის ეტიუდი“ წარმოადგინა.
იგი ისეთი გრაციოზულობით და სიმსუბუქით ამოძრავებს მკლავებს, რომ გეგონებათ, სადაცაა მოწყდება იატაკს და ცაში აიჭრებაო.
ახლა ამირანის ჯერია.
მან მკლავები გადააჭდო ერთმანეთს და თავისი ცნობილი „მტრედების ფრენა“ წარმოადგინა.
„ბრავო! ბრავო!“ აღტაცებას ვერ მალავს მარსელ მარსო.
მერე იგი ქართველი ახალგაზრდების შუაში დგება და სურათს იღებენ.

* * *

ამირანის ღარიბული, მინგრეულ-მონგრეული, მაგრამ ბრწყინვალე თეატრი რუსთაველის პროსპექტზე.
თითქოსდა რეპეტიცია მიმდინარეობს.
ამირანი ზის... წამოხტება... მსახიობებს მიზანსცენას უჩვენებს... ისევ ზის... ისევ წამოხტება...
სინათლე ქრება.
...და „ტერენტი გრანელის“ ფინალი!
ამირან უმცროსის დიდებული თამაშით, ქრისტეს გარდამოხსნით და ტერენტის თვითჯვარცმით აღფრთოვანებული მაყურებლის ტაში არ ცხრება.
ისევ ბნელდება.
ახლა „წმინდა გიორგის“ ფინალი თამაშდება.
წმინდა გიორგის და ურჩხულის ორთაბრძოლა.
ტაში... ცრემლები... პირჯვრის წერა.
მაყურებლის წინაშე დაღლილ მსახიობთა გამოსვლა.
მორიგეობით ხან „ტერენტი გრანელის“ და ხან „წმინდა გიორგის“ მონაწილენი (ეს შეიძლება რეჟისორმა გასტროლების

იმიტაციის ფონზე განასახიეროს. თითქოსდა ტაშის გრიალი სხვადასხვა ქვეყანაში გაისმის სხვადასხვა მაყურებლის წინაშე.

* * *

...და ბოლოს თავის თეატრში თავის სცენაზე ზის 70 წლის მაესტრო – ამირან შალიკაშვილი.

ღვაწლმოსილი რეჟისორის იუბილე-ბენეფისია.

იგი თვითონ თამაშობს ნაწყვეტებს ნოველებიდან.

აი, „განავარდება“.

ამირან შალიკაშვილი მკლავების დაწყვეტამდე „მუშაობს“. უზადოა მისი ხელოვნება.

უეცრად გაქვავდება.

ისევ ამოძრავდება. ისევ ზეიმობს ხელოვნება.

აი, სხვა ნოველა.

ამირან შალიკაშვილი (უფროსი) როიალზე უკრავს. ერთვება ამირან შალიკაშვილი (უმცროსის) ვიოლინო.

მამა-შვილის სიმბოლური მუსიკალურ-პანტომიმური ჭიდილი აპოგეას აღწევს. უცებ მაესტრო ქვავდება.

შვილი-ვიოლინო შიშით შეჰყურებს.

წამიც და მამა ისევ ამოძრავდა.

ტაში.

მესამე ნოველა.

მამა ამირანმა აიწყვიტა. იგი საოცარი სიმსუბუქით, ექსტაზით, თავგანწირვით იბრძვის.

სცენა და მაყურებელი ერთ გამად შენივთდა.

სულშეგუბული შესცქერიან.

თითქოსდა მამა-ამირანის ბოლო გამოსვლაა სცენაზე.

უეცრად მოხუცი მიმი ერთხელ კიდევ, ამჯერად მესამედ გაქვავდა!

მაყურებელმა მესამედ ამოძრავება აღარ აცალა, თორემ ვინ იცის, იქნებ ერთხელ კიდევ დაეძლია ის, რაც ყველა მოკვდავს მხარზე გვაზის და რაიც ჩვენი საბოლოო განაჩენია.

ტაში! ტაში! ტაში!

ფარდა

არ შემიშინდე

რვასურათინი პიესა პანტომიმის თეატრისათვის

მოქმედი პირნი:

ზურაბ ფანცქალაძე – შიგადაშიგ დაბნეული ინტელიგენტი
დედა
პატარა მიმი
ძაღლი
მოქადაგე
მხვრინავი კაცი
პირველი ნაძირალა
მეორე ნაძირალა
მესამე ნაძირალა
ჭრიჭინობელა, რომელიც არ ჩანს
მებუხრე, რომელიც ჩანს (მაგრამ სჯობს, არ ჩანდეს)
მოდებილო ბიჭი
სასტუმროს მორიგე

პირველი სურათი

მატარებლის სამი გრძელი სიგნალი.

მატარებლის რახრახს ადევნებული მუსიკა.

მატარებლის კუპე ნელ-ნელა ნათდება.

ნარზე სხედან მეხანძრისზუჩიანი მკაცრი გამომეტყველების კაცები.

შუაში უზით ოცდაათწელსმიღწეული, ბეჭებშიშველი ლამაზი ქალი.

ლამაზ ქალს გვერდით ბავშვი უზის.

ბავშვის გვერდით ერთი ადგილი თავისუფალია.

მატარებლის დგანდგარში მგზავრები თავს იქეთ-აქეთ აქანავებენ.

მეხანძრეთაგან ზოგს ეძინება, თავს ჩაკიდებს.

ლამაზი დედიკო ამაოდ ცდილობს ბავშვის დამშვიდება-დაძინებას.

ერთმა-ორმა უადგილო მგზავრმა ჩაიარა.

დააპირეს კიდეც თავისუფალ ადგილას დაჯდომა, მაგრამ ბავშვის გვერდით „ვერ გარისკეს“ და გზა განაგრძეს.

...და აი, ვაგონში გამოჩნდა ჩვენი გმირი – ზურაბი.

იგი გამხდარი, აწოწილი, უსათვალო, მაგრამ ფერმკრთალი, დაღლილი ჩანს.

ქალს ცარიელ ადგილზე მიუთითა; დაკავებული ხომ არ არისო.

ქალმა ხელითვე ანიშნა, შეგიძლიათ დაბრძანდეთო.

მოკალათდა ბავშვის გვერდით ზურაბი.

მეხანძრეები თვლემენ და თავებს აძიგძიგებენ.

ზურაბის წამება დაიწყო.

ბავშვმა ჯერ თმებში ჩაავლო ორივე ხელი და ღონივრად დაქაჩა.

ზურაბმა გაუღიმა და ხელები „სიყვარულით“ გააშვებინა.

მერე პატარამ ყურებზე წაავლო ხელი.
ზურაბს ყური ეწვის, მაგრამ ითმენს.
მეტი რა გზა აქვს.
წამიც და პატარამ თვინიერ ბიძიას ორივე ყურზე წაავლო ხელი.
ზურაბს სიმწრისგან კურცხლები სცვივა.
დედა ბავშვს ნაზად უწყრება.
ზურაბი წამოდგა და გასვლა დააპირა.
ბავშვმა პროტესტის ნიშნად პირი მოაღო და ღრიალი ატეხა.
მეხანძრეები შეიშმუშნენ.
ორი მეხანძრე ადგა, ზურაბს ხელი მოჰკიდა და უბოდიშოდ დააბრუნა თავის ადგილზე.
ბავშვმა ტირილი შეწყვიტა და გაიხარა. დედა ტუქსავს და ჭკუას არიგებს.
ცოტა ხანს ეყო პატარას დატუქსვა-დარიგება.
მალე ზურაბის ცხვირს მიწვდა და გასავათებული მგზავრის ცხვირს იქეთ-აქეთ ატრიალებს.
ზურაბი სასოწარკვეთილია.
მატარებელი დგანდგარ-რახრახით მიჰქრის.
ლამაზი დედიკო უძლურია ურჩი შვილის წინაშე.
შეწუხებული ქალი ცრემლებს იწმენდს და ზურაბს ებოდიშება.
ზურაბიც თავის მხრივ ამშვიდებს, რაც შეუძლია.
აქაოდა, არა უშავს, ქალბატონო, ბავშვს ყველაფერი ეპატიებაო.
გადის კიდევ რამდენიმე წუთი და პატარამ ზურაბს ორივე ხელი პირში ჩაუყო.
ჩაუყო და ტუჩები გახევამდე გაქაჩ-გამოქაჩა.
მეხანძრეები იცინიან.
დედა ადგილს ვერ პოულობს. წამდაუწუმ ბოდიშს უხდის მამაკაცს (ზურაბს) თავისი ცელქი შვილის გამო.
ზურაბმა პირის გახევის მცდელობა ვეღარ აიტანა, ბავშვს პირისთვის თითები გააშვებინა და წამოდგა.
ბავშვმა ისევ მორთო ღრიალი.
მეხანძრეები სწრაფად დასერიოზულდნენ.

ზურაბს ხელი სტაცეს და თავის ადგილას დააბრუნეს.
მატარებელი დგანდგარ-კივილით მიქრის.
პატარამ ახალი გასართობი მოიგონა:
ზურაბს ყელზე თავისივე კაშნე გამოაბა და მაგრად დაქაჩა.
ზურაბმა მეტი ვეღარ მოითმინა, ბავშვს კაშნესთვის ხელი გააშვებინა და სასოწარკვეთილი გავიდა კუპედან.
მას ორი მეხანძრე დაედევნა.
ბავშვი უფრო ენერგიულად ტირის.
მიაწოდა დედამ სათამაშოები, მაგრამ პატარამ ყველაფერი გადაყარა.
დედა სასოწარკვეთილია.
მატარებელი მიქრის.
ორიოდე წუთში მეხანძრეებს ხელფეხშეკრული, ამაოდმოხვანცალე, პირშიჩვარჩატენილი ზურაბი მოჰყავთ და ბავშვის გვერდით სვამენ.
ბავშვმა ტირილი შეწყვიტა, საიდანღაც მაკრატელი დააძრო და ზურაბის ყურებს მოსაჭრელად დაეღირა. სინათლე ქრება.
ეს იმას ნიშნავს, რომ მატარებელი გვირაბში შედის.
დგანდგარი, ჭრიალი, მატარებლის სიგნალი.
ნათურა წამიწამ ინთება.
ვაგონის კუპეს სინათლის ჩქერი გადაუვლის.
მაჟორულ მუსიკას კაცის ზმუილი შეერევა.
ვინ იცის, რას აკეთებს პატარა ონავარი.

მეორე სურათი

მხიარული, მაჟორული მუსიკა.
ზურაბს მოკლე თასმით ძაღლი მოჰყავს.
ამაყად მოაბიჯებს, აქაოდა, შემომხედეთ, რა ჯიშიანი ძაღლი მყავსო.
მეორე ხელში ორი მტკაველის სიგრძე მსხვილი ჯოხი უჭირავს.
სკამზე დაჯდა და ძაღლის წვრთნას შეუდგა.
გადააგდო ჯოხი და ძაღლს ანიშნა, მოიტანეო.

ძაღლი ვერ მიხვდა დავალებას, ჯოხისკენ ერთი გახედვა გაიხედა და ისევ პატრონს შესცქერის.

რა ჰქნას ზურაბმა, როგორ გააგებინოს ძაღლს, რომ ჯოხია მოსატანი.

თვითონ დადგა ოთხზე, მივიდა ჯოხთან, დაავლო პირი, მოიტანა და ფეხებთან დაუგდო ძაღლს.

მერე ისევ სკამზე მოკალათდა, ძაღლს ჯოხი ცხვირთან მიუტანა, გადააგდო და ანიშნა, მომიტანეო.

ძაღლი გაიქცა, მოუტანა ჯოხი და გამარჯვებულის იერით შეაცქერდა პატრონს.

ზურაბმა მოწონების ნიშნად თავზე ხელი გადაუსვა ძაღლს, ჯიბიდან შაქრის კვნიტა ამოიღო და პირში ჩაუდო.

ყველაფერი კარგად მიდის.

ძაღლმა პირველი გაკვეთილი – ჯოხის მოტანა წარმატებით დაძლია.

გადააგდებს ზურაბი ჯოხს.

ძაღლი გაიქცევა და მოაქვს.

ყოველ მოტანაზე მადლიერი ზურაბი ჭკვიან ძაღლს შაქრით ასაჩუქრებს.

ასე მეორდება ბევრჯერ.

ბოლოს ზურაბი დაიღალა.

შაქარიც შემოელია.

ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა და ჯოხი გადააგდო.

ძაღლმა ჯოხი მოიტანა.

ზურაბმა ჯიბეები ამოიბრუნა, შაქარი აღარ მაქვსო. ძაღლი კვლავ გაფაციცებით შესცქერის ხან ჯოხს, ხან ზურაბს.

ზურაბმა ჯოხი გადააგდო და ძაღლს ხელების გადაჯვარედინებით ანიშნა, დღეს ამით დავამთავროთ, გვეყოფაო.

ძაღლი გაიქცა და ჯოხი მოიტანა.

შეწუხებული ზურაბი ძაღლს ემიმიკება, გვეყოფა, ჯოხს მეტს ნუღარ მოიტანო.

ძაღლმა პირით აიღო ძირს გადაგდებული ჯოხი და ზურაბს გაუწოდა.

ზურაბმა ჯოხი გამოართვა და ძაღლს კიდევ ერთხელ გადაუსვა თავზე ხელი.

თან დაბეჯითებით უხსნის, ჯოხის მოტანა საჭირო აღარ არის, მით უმეტეს, რომ შაქარი გამითავდაო.

ძაღლი ისეა ჯოხის მოტანის ექსტაზში შესული, რომ არაფრის გაგონება არ უნდა.

გადააგდებს ზურაბი ჯოხს.

ძაღლს ისევ მოაქვს.

ისევ გადააგდებს, ისევ მოაქვს.

სასოწარკვეთილმა ზურაბმა აღარ იცის, რა უყოს ჯოხს.

გადაწყვიტა, შუაზე გატეხოს.

ეჯავჯგურება, მაგრამ ვერ გატეხა.

ლამის ტირილამდე მისულმა პატრონმა ჯოხი დატრიალებით, რა ძალა და ღონეც ჰქონდა, შორს მოისროლა.

თან ძაღლს საყელოზე ექაჩება, რომ არ წავიდეს და არ მოიტანოს.

ძაღლისა და კაცის ქიჩმაჩი კარგა ხანს გრძელდება.

ბოლოს ძაღლმა იძალა, თავისი გაიტანა, პატრონს დაუსხლტა და ჯოხისკენ გაიქცა.

მაყურებლის ხარხარს მაჟორული მუსიკა ერთვის.

სინათლე თამაშობს.

ქრება, ინთება, ქრება, ინთება.

შუქ-ჩრდილებში ვხედავთ ზურაბს.

იგი თავაწყვეტილი გარბის.

უკან თავისი ერთგული ძაღლი მისდევს ჯოხით პირში.

სადაცაა დაეწევა.

ზურაბი ხანდახან შიშით მოხედავს ძაღლს და სირბილს უმატებს.

მესამე სურათი

მყუდრო ბინა.

სცენის სიღრმეში ბუხარი მოსჩანს. ოჯახური იდილია.

ზურაბი გაზეთს კითხულობს.
ცოლი ქსოვს თუ კერავს (სულერთია).
გოგოს მუჭის სარკე მოუმარჯვებია და ისედაც ლამაზ წარ-ბებს უკირკიტებს.
ბიჭი კომპიუტერს მიჭიჭინებია.
უეცრად ჭრიჭინობელას გაბმული, ენერგიული ჭრიჭინი გა-ისმა.
ჯერ გაეხარდათ.
რაღაც ახალი ხმა, ახალი სიცოცხლე შემოვიდა სახლში.
ცოტა ხანში მოსწყინდათ ჭრიჭინობელას ჯიუტი ჭრიჭინი.
ოჯახური იდილია გაქრა. მყუდროება დაირღვა.
ოთხივენი გამალებით ეძებენ „დაუპატიჟებელ სტუმარს“.
კარადაში არ არის.
მაცივარში არ არის.
კომპიუტერში არ არის.
ყველაფერი ძირს გადმოალაგეს – წიგნები, თეფშები, გაუთოებული თეთრეული...
ჭრიჭინობელა ჭრიჭინებს.
ნერვებმოშლილმა მეუღლემ შუბლი შეიხვია.
დადიან ბუზების საკლავი ფირფიტით, ცოცხით, აქანდაზით.
ერთმანეთის მიყოლებით, ფეხაკრეფით უახლოვდებიან „მსხვერპლს“.
მერე ერთბაშად დასცხებენ ბუზსაკლავს, ცოცხს, აქანდაზს...
ჭრიჭინობელა წამით ჩერდება და, როცა ოჯახის წევრები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ, ისევ იწყებს ჭრიჭინს.
სანეპიდსადგურიდან მშველელნი გამოიძახეს.
ორმა თეთრხალათიანმა სანიტარმა უშველებელი შპრიცი დააძრო.
შეწამლავენ კარადას.
ჭრიჭინობელა წამით გაჩერდება.
სანიტრები წასვლას დააპირებენ და...
ჭრიჭინობელა ისევ იწყებს.
შეწამლავენ მაცივარს.

ჭრიჭინობელა წამით გაჩერდება.
სანიტრები წასვლას დააპირებენ და...
ჭრიჭინობელა ისევ იწყებს.
ასე მეორდება რამდენჯერმე.
ბოლოს ჭრიჭინობელის გაჩუმების სპეციალისტებმა ეჭვი ბუხარზე აიღეს.
ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ ბუხარს და გულდასმით „შეწამლეს“.
ესეც ასე... ჭრიჭინობელა დამარცხებულია.
სანიტრები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ. ოჯახის წევრები სანეპიდსადგურის უანგარო თანამშრომლებს მადლობით ემშვიდობებიან.
ისევ დაისადგურა იდილიამ ოჯახში.
ზურაბმა გაზეთი აიღო (მაგრამ რატომღაც უკუღმა უჭირავს).
ცოლი ქსოვს (იქნებ კვართზე ღილს აკერებს).
გოგომ მუჭის სარკე მოიმარჯვა.
ბიჭი კომპიუტერს მიუჯდა და ისევ გაისმა ჭრიჭინი.
ეს უკვე მეტისმეტია.
ცოლმა ისევ წაიკრა შუბლი.
გოგო მუჭის სარკით ნერვიულად მიმოდის.
ზურაბი და მისი მოსწრება ბიჭი გავარდნენ და საიდანღაც მებუხრე მოიყვანეს.
ქაფჩიან-სპეცტანსაცმლიან მებუხრეს, ოთხივენი ბუხრისკენ ანიშნებენ.
მებუხრე თავს უქნევს, აქაოდა, ვიცი, როგორ არ ვიცი, მთელი ცხოვრება ჭრიჭინობელების გაჩუმების მეტი რა მიკეთებიაო.
მივა, ქაფჩას დაუკაკუნებს ბუხარს.
ჭრიჭინობელა წამით გაჩუმდება.
მებუხრე საფეთქელთან თითს მიიტანს, ხომ ხედავთ, რა ჭკვიანი ვარო.
ჭრიჭინობელა ისევ იწყებს.
ახლა სხვა ადგილას დაუკაკუნებს მებუხრე. ჭრიჭინობელა წამით გაჩუმდება.

მოშორდება იმ ადგილს მებუხრე და...
ჭრიჭინობელა კვლავ იწყებს ჭრიჭინს.
ბოლოს მებუხრე ქაფჩას ბუხრისკენ გაიქნევს. ჭრიჭინობელა ჩუმდება. აქეთ გამოიქნევს – ჭრიჭინობელა იწყებს ჭრიჭინს.
ასე მეორდება რამდენჯერმე.
სხვა გზა არ არის. მებუხრემ უფრო ქმედით ღონისძიებას უნდა მიმართოს.
ააცალა ერთი აგური ბუხარს.
ჭრიჭინობელა ისევ ჭრიჭინებს.
ააცალა მეორე აგური.
ჭრიჭინობელა ისევ ჭრიჭინებს.
ასე თანდათანობით, მებუხრემ ბუხარი მთლიანად დაშალა და აგური იატაკზე დააწყო.
ბოლო აგური რომ აიღო, ჭრიჭინობელა, როგორც იქნა, გაჩუმდა.
ახლა მთავარია, ბუხარი ისე აშენდეს, რომ ჭრიჭინობელამ არ დაინახოს.
ფეხაკრეფით უახლოვდება მებუხრე ყოფილი ბუხრის ადგილს.
ოჯახის წევრებიც იდუმალი ჩურჩულით აწვდიან აგურებს.
მებუხრე ბუხარს აშენებს.
ჭრიჭინობელა დუმს.
რა ბედნიერებაა.
ბუხარი ააშენეს.
მებუხრეს ყველანი პირზე კოცნით ემშვიდობებიან.
ოჯახში კვლავ იდილიამ და სიმშვიდემ დაისადგურა.
ზურაბს გაზეთი ამჯერად წალმა უჭირავს.
ცოლმა საქსოვი ყაისნაღი მოძებნა.
გოგომ სარკე მოიმარჯვა.
ბიჭი კომპიუტერს მიუჯდა და...
ჰოი, საკვირველებავ!
ისევ გაისმა ჭრიჭინი.
ბიჭი ფანჯრიდან გადაძვრა.
გოგომ სარკე მოისროლა და დედასთან ერთად სახლიდან გაიქცა.

ორ სანიტარს ნერვიულად აღგზნებული ზურაბი, რომელიც თავს საეჭვოდ აქანავებს და ბუხრისკენ ხელს იშვერს, ნაძალადევი ხელკავით გაჰყავთ.

მეოთხე სურათი

ავისმომასწავებელი, განგაშისმსგავსი მუსიკა.
სინათლის წრეში სამი ნაძირალა ჩანს.
ისინი უტიფარი, გათამამებული, ქუჩას დაუფლებული ბიჭები არიან.
ერთმანეთს თითქოსდა რაღაცას უყვებიან და ამაზრზენად ხითხითებენ.
სცენაზე შემოდის უშნოდ გასუქებული, დონდლო, სათვალიანი ბიჭი.
ერთ-ერთმა ნაძირალამ თავისკენ უხმო. ბიჭი მიმნდობი, კეთილი, გულუბრყვილო ღიმილით მათკენ წამოვიდა.
სანამ ერთ-ერთ ნაძირალას რაღაცას უხსნიდა, უკნიდან მეორე ნაძირალა მიეპარა და ქუდი აჰხადა.
მსუქანი ბიჭი მისკენ შეტრიალდა.
ქუდის ამგლეჯმა ქუდი მეორე ნაძირალას ესროლა.
ბიჭი ახლა მისკენ წავიდა.
მეორე ნაძირალამ მესამე ნაძირალისკენ ისროლა ქუდი.
ასე აწვალებენ საცოდავ, მოდებილო ბიჭს.
ბიჭი თავზე ხელს ისვამს და ემუდარება მოძალადეებს, თავზე მცივა და ქუდი დამიბრუნეთო.
ნაძირალები რისი ნაძირალები არიან, რომ უმწეო ბიჭი შეიცოდონ.
ერთი მათგანი გაუწოდებს ქუდს, მეორე ნაძირალას გადაუგდებს.
ახლა ცრემლმომდგარი, შეციებული, დონდლო მეორე ნაძირალისკენ გარბის.
მეორე ქუდს აწვდის.
დონდლო ადგილიდან არ იძვრის.

მეორე ნაძირალა დაბეჯითებით აწვდის, თითქოსდა ეუბნება, აჰა, წაიღე, სანამ მეჭიროს შენი ქუდიო.

გახარებული ქუდწართმეული მისკენ გაიქცევა და ახლა მეორე ნაძირალა ქუდს პირველ ნაძირალას ესვრის.

ირგვლივ შემოჯარული მოქალაქენი ხარხარებენ.

ჩანს, გასართობი იშოვეს.

ამ დროს, სად იყო, სად არა, სცენაზე ზურაბი შემოვარდა.

მაჯაში სტაცა ქუდიან მოძალადეს ხელი, ძირს დააწევინა და ქუდი გააგდებინა.

დაგდებული ქუდი პატრონს გადაუგდო.

დონდლომ დაიჭირა ქუდი და გახარებული გაიქცა.

შეურაცხყოფილი მეორე ნაძირალა მაჯაზე ხელს ისვამს, აქაოდა, რა ღონიერი ყოფილა ეს უცნობი მოქალაქე, მაჯა მატკინაო.

ის არის ზურაბი გზის გაგრძელებას აპირებს, რომ ხდება სრულიად მოულოდნელი რამ:

პირველი ნაძირალა უკნიდან მიეპარა ზურაბს და ქუდი ააცალა.

ზურაბი მისკენ გაიქცა.

პირველმა ნაძირალამ მეორეს ესროლა ქუდი და ზურაბს ცარიელი ხელები აჩვენა, მე სადა მაქვს შენი ქუდიო.

ზურაბი ახლა მეორე ნაძირალასკენ გაიქცა.

მეორემ მესამეს გადაუგდო ქუდი.

და ასე ნაძირალებმა ზურაბი დონდლო ბიჭის მსგავსად წრეში მოიქციეს.

ნაძირალებს შორის წუთიანი მიმორბენის შემდეგ ზურაბი სცენიდან გავარდა.

ნაძირალები ქუდს ესვრიან ერთმანეთს.

ზურაბი ჯოხმომარჯვებული დაბრუნდა.

მხიარული მუსიკა ტრაგიკულმა, ზარისმსგავსმა მელოდიამ შეცვალა.

გაიმართა ოთხთაბრძოლა.

ზურაბი ლომურად იბრძვის.

ხან ერთს გადაუჭერს სამხრეს მხარ-წელზე, ხან – მეორეს.

ნაძირალებმაც იშოვეს იარაღი, ზოგმა ფიცრის ნატეხი აიღო, ზოგმა ქამარი შემოიხსნა.

შეშინებული მოქალაქეები გაიქცნენ.

უთანასწორო ჩხუბი გრძელდება.

ორი ნაძირალა იატაკზე გდია და ტკივილებისგან იკლაკნება.

ზურაბი მესამეს ებრძვის.

გაისმის პატრულის სასტვენის ხმა.

ნაძირალებმა ერთმანეთი ძლივსძლივობით წამოაყენეს და ფორთხვა-ფორთხვით გაიქცნენ.

შემორბის წითელსამკლავურიანი კაცი და „მთავარ დამნაშავეს“ – ხელჯოხიან ზურაბს აკავებს

რა შუაშია ზურაბი?

მეხუთე სურათი

ისმის იმერული, მხიარული, ტემპიანი სიმღერა.

სოფელს მთვარე ანათებს.

აშკარად ჩანს, სადღაც ქეიფობენ.

მთვარის ვერცხლისფერი ათინათი თანდათან გამოკვეთს იმერული ეზოს კონტურებს.

სცენის განაპირას სოფლური ჩეჩმა დგას.

ორი მასპინძელი აშკარად შეზარხოშებულ ზურაბს ეზოში შემოუძღვა.

პეწიანად, იმერული მოწიწებით ანიშნებენ, შემობრძანდით, ამაღამ ჩვენთან მოისვენეთო.

ეზოში ძაღლი მედიდურად მიმოდის.

ერთი მასპინძელი ზურაბს ჩეჩმისკენ ანიშნებს, აქაოდა, ჩეჩმა აქა გვაქვს, როცა გაგეხარდებათ, ისარგებლეთო.

ზურაბი მადლობის ნიშნად, გულზე ხელის მიტანით თავს უქნევს და ძაღლისკენ უთითებს.

ამის ნუ შეგეშინდებათო, მიმიკითვე ანიშნებს მასპინძელი.

სტუმარ-მასპინძელნი მხიარული მასლაათით გადიან. შორიდან ისმის იმერული „გალიაში რომ გაგზარდე“.

შუაღამეა.

ცივა.

ნიფხავ-პერანგში გამოწყობილი ზურაბი, როგორც ჩანს, თავისი კაცური საჭიროებისთვის ეზოში გამოვიდა და ჩეჩმისკენ გააბიჯა.

გააბიჯა, მაგრამ რაღა გაბიჯებაა, ჩეჩმასთან ნაგაზი წევს და ერთგულად დარაჯობს.

გადადგამს თუ არა ზურაბი ჩეჩმისკენ ნაბიჯს, ძაღლი შეუღრენს.

ზურაბი ფეხზე-ფეხს ისვამს, თან ძაღლს ემუდარება, შემიშვი ჩეჩმაშიო.

ძაღლს თხოვნის გაგონებაც არ სურს.

ზურაბმა გამოსავალს მიაგნო, ქვა აიღო და ეზოს სიღრმეში მოისროლა.

სოფლის ნაგაზი ქვისკენ გაიქცა.

ზურაბმა დრო იხელთა და ჩეჩმაში შევარდა.

ძაღლმა მოირბინა.

მიხვდა, რომ მოატყუეს და ჩეჩმას ყეფა დაუწყო.

ორიოდე წუთის შემდეგ ზურაბი ჩეჩმიდან გამოსვლას და თავისი თბილი ლოგინისკენ წასვლას ცდილობს.

თქვენც არ მომიკვდეთ, ძაღლი ამის ნებას არ აძლევდეს.

გამოაღებს ჩეჩმის კარს ზურაბი თუ არა, ძაღლი გააფთრებით უყეფს.

შეშინებული ზურაბი კარს შეიკეტავს.

ასე გრძელდება კარგა ხანს.

ზურაბმა ხელი გამოყო და დამარცხების, თუ დანებების ნიშნად ჩეჩმაზე თავისი თეთრი კვართი (მაიკა) გადმოკიდა.

ძაღლი სტუმრის კაპიტულაციას არ ღებულობს.

შერიგების სურვილი არა აქვს ნაგაზს.

რა ქნას ზურაბმა?

სტუმარს სცივა.

ჩეჩმა ზურაბიანად ძიგძიგებს.

მაყურებელი ხარხარებს.

ზურაბმა ხელი გამოყო, ფათურით მოძებნა ქვა და ისევ მოისროლა ეზოს სიღრმეში.

ძაღლი ქვას აედევნა.

ზურაბი ჩეჩმიდან გამოხტა და ტკუპ-ტკუპით გაიქცა სახლისკენ.

ნაგაზმა გზა მოუჭრა.

ახლა სიცივისგან გალურჯებული, აკანკალებული ზურაბი შუა ეზოში დგას.

ძაღლი არც იქით უშვებს და არც აქეთ.

დააპირებს თუ არა ნაბიჯის გადადგმას სტუმარი, ძაღლი საშინელ პროტესტს აცხადებს.

ცივა ზურაბს.

მეტი გზა აღარ დარჩენია ილაჯგაწყვეტილ ზურაბს. პირში ოთხ თითს ჩაიდებს და რაც ძალი და ღონე აქვს დაუსტვენს.

სტვენაზე გულდაფეთებული, დაღვიძებულნი, ნიფხავ-პერანგოსანი მასპინძლები (მათი ცოლები და ქალიშვილებიც) შემორბიან სცენაზე და ზურაბს ასეთ დღეში რომ იხილავენ ისტერიულ ხარხარს სტეხენ.

მეექვსე სურათი

სასტუმროს ღარიბული ნომერი.

შეზლონგზე კაცი წევს და ხვრინავს.

ხვრინავს ენერგიულად, თითქოს კრეისერი ღუზას უშვებს ხრიალით ზღვაში.

შემოდის ზურაბი პატარა ჩემოდნით.

თავის შეზლონგზე ჩამოჯდება და მოწყენილი სახით უსმენს მხვრინავს.

ზურაბმა ჩემოდანი კედელს ააყუდა, პიჯაკი სკამზე გადაკიდა და გაუხდელად წამოწვა შეზლონგზე.

კაცი ისევ უიმედოდ და უეჭველად ხვრინავს.

ზურაბმა ყურები დაიცო.

თავზე ბალიში დაიდო.

რა დააძინებს ამ ხვრინვაში.
იატაკზე დააკაკუნა.
მერე ფეხი დააბრახუნა.
ფეხზე გაიხადა და ცალი ფეხსაცმელი ღონივრად დასცხო იატაკს.
თანამეოთახე ისევ ხვრინავს.
ზურაბი წავიდა და წითელსამკლაურიანი მორიგე მოიყვანა.
აქაოდა, ნახეთ, როგორ ხვრინავს, ასეთ ვითარებაში დაძინება არ შემიძლია და იქნებ სხვაგან გადამიყვანოთო.
წითელსამკლაურიანი მორიგე და ზურაბი კარებში დგანან და...
საოცრება ხდება.
კაცი აღარ ხვრინავს.
მორიგემ დოინჯი გაიკეთა და ზურაბს შესცქერის, რატომ იტყუები, როდის ხვრინავსო.
ზურაბი ყელზე თითის მიდებით ანიშნებს, ნუ წახვალ, ცოტა მოითმინეო.
იცადა, იცადა მორიგემ, მაგრამ ამაოდ.
კაცი აღარ ხვრინავს.
მორიგემ თითი დაუქნია „მატყუარა“ ზურაბს და წავიდა.
წავიდა მორიგე და თანამეოთახემ ისევ დაიწყო ხვრინვა.
ახლა უფრო ღონივრად ხვრინავს.ზურაბი ყურებში თითებს იცობს.
მერე ბალიშს თავზე იფარებს.
იატაკზე ფეხსაცმელს ურტყამს.
დგება და ისევ შემოჰყავს წითელსამკლაურიანი მორიგე.
შემოვიდნენ ფეხაკრეფით.
დაადგნენ თავზე სტუმარს.
აღარ ხვრინავს.
მორიგემ დოინჯი გაიკეთა.
მრისხანედ შესცქერის ზურაბს, აქაოდა რა ცილს სწამებ ამ პატიოსან კაცს, ხომ ხედავ გვრიტივით სძინავსო.
ერთხელ კიდევ დაუქნია თითი ზურაბს, აქაოდა, უკანასკნელად გაფრთხილებ, ამ საკითხზე მეტი აღარ შემაწუხოო.

მორიგე გავიდა.
ზურაბი ტახტზე წამოწვა თუ არა, თანამეოთახემ ისევ დაიწყო ხვრინვა.
ნერვებმოშლილი, იმედგაცრუებული, სასოწარკვეთილი ზურაბი ელდანაკრავივით წამოხტა, თავის ფეხსაცმელს, ჩემოდანს, პიჯაკს ხელი დაავლო და ფაცხაფუცხით გაიქცა.
მხვრინავმა ჯერ ცალი თვალით გამოიხედა.
მერე შეზლონგზე ჩამოჯდა.
მობილურს მიწვდა.
დარეკა.
ორიოდე წუთში ოთახში შილიფად ჩაცმული ულამაზესი გოგო შემოვიდა.
„მხვრინავი“ მიმიკით, შუბლზე ხელის მიდებით ტრაბახობს, აი, რა ყოჩაღი ვარ, ჩემი თანამეოთახე გავაქციეო.
ორივენი გულიანად იცინიან.
სინათლე თანდათან ქრება.
სექსუალური მუსიკალური მოტივი.
გოგონა იხდის და სტუმრის გვერდით წვება.

მეშვიდე სურათი

ხალხის ჟრიამულს შერეული მაჟორული მუსიკა.
ვიღაც მიკროფონს ამოწმებს.
„ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი!“
თითქოსდა რევოლუციური, მოწოდების მსგავსი, ოღონდ თავიდან ბოლომდე გაუგებარი პათეტიკური ყვირილი ისმის მიკროფონში.
ტაშის გრიალში წითელსამკლავურიანმა ბიჭებმა მოხდენილი ჩუქურთმებიანი ტრიბუნა მოიტანეს და სცენის შუაში დადგეს.
მალე ტაშის გრიალში დაბალი ტანის მოქადაგე გამოჩნდა და ტრიბუნასთან დადგა.
დადგა, მაგრამ ტრიბუნაში ჩაიმალა. აღარ ჩანს. სიმაღლე არ ეყო.
ვიღაცამ ყუთი მოუტანა და ფერხთით დაუდო.

დაბალი მოქადაგე იმ ყუთზე შედგა და, როგორც იქნა, მიკროფონს შეუპირისპირდა.
მის უკან გაბადრულსახიანი მეტაშეები განლაგდნენ.
მოქადაგემ დაიწყო.
დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, ცეცხლი დაანთო ტრიბუნაზე.
კაკაფონიური მუსიკის ფონზე ქადაგებს.
სიტყვებს უაზროდ ისვრის.
ხელებს იქნევს. თმები ფიურერივით ჩამოეშალა.
მეტაშეები (კლაკიორები) წამდაუწუმ ტაშით აწყვეტინებენ.
სცენის მარჯვენა კუთხეში გალია-საკანი გაჩნდა.
საკანში ხუთიოდე ტუსაღი მოკალათებულა.
ისინი მოქადაგისკენ ხელებს იშვერენ და რაღაცას ყვირიან.
სად იყო, სად არა, ტაბურეტით ხელში სცენაზე ზურაბი გამოჩნდა.
ზურაბმა ტაბურეტის სკამი სცენის მარცხენა კუთხეში დადო, ზედ შედგა, მოქადაგისკენ ხელი გაიშვირა, სიტყვას ამბობს.
როგორც ჩანს, სიმართლეს ამბობს, რადგანაც მეტაშეები მისკენ ნელ-ნელა შებრუნდნენ.
მოქადაგე შეცბა.
ჯერ უსმინა „არამკითხე მოამბეს“.
მერე თითისქნევით შეეკამათა.
ბოლოს ყურებში თითები დაიცო.
მისმა წითელსამკლავურიანმა ამალამ სცადა ტრიბუნა აეღო და ექსტაზში შესული მოქადაგე სცენიდან გაეყვანა.
მოქადაგე ჯიუტობს.
იგი ზურაბისკენ მუშტს იშვერს და ემუქრება.
კაკაფონიურ მუსიკას სტვენაც შეერია.
წითელსამკლავურიანებმა მოქადაგე შუაში ჩაიყენეს, ტრიბუნა აიღეს და სცენიდან სტვენა-ღრიანცელის თანხლებით გავიდნენ.
ერთი წითელსამკლავურიანი მობრუნდა, ყუთი, რომელზეც მოქადაგე იდგა, ამოიღლიავა და წასულებს გაეკიდა.
უეცრად პოლიციის მანქანების, სირენების, წყლის შხუილის ხმა გაისმა.
შეშინებული ხალხი გარბის.

ზურაბი მარტო რჩება, მაგრამ სიტყვას აგრძელებს განწირული კაცის ხელების ქნევით და შთამბეჭდავი მიმიკებით.
წითელსამკლავურიანებმა ზურაბის ირგვლივ წრე შეკრეს.
ზურაბი შუაში მოიქციეს.
ისინი, როგორც კატები თაგვს, ნელ-ნელა ნაბიჯ-ნაბიჯ ეპარებიან ზურაბს.
ზურაბი ისეა ქადაგებით გართული, რომ საფრთხეს ვერ ამჩნევს.
წამიც და ზურაბს თავზე ტომარა ჩამოაცვეს.
ზურაბი ხვანცალებს, ცდილობს თავი გაითავისუფლოს, მაგრამ ამაოდ.
წითელსამკლავურიანებმა ზურაბი ბაწრით მაგრად შეკონეს, მხარზე გაიდეს და გზას გაუდგნენ ჩვენთვისა და მაყურებლისთვისაც სრულიად გასაგები მიმართულებით.
სამგლოვიარო მარში.

მერვე სურათი

ბრბოს ღრიანცელში წითელსამკლავურებიანებს მოჰყავთ გაკოჭილი ზურაბი.
სამარშო, მბრძანებლურ-იმპერიული მუსიკა.
გაკოჭილი ზურაბი წითელსამკლავურიანებმა სცენის შუაგულში დააყენეს.
ერთმა წითელსამკლავურიანმა ჯიბიდან დახვეული ეტრატი დააძრო და განაჩენს კითხულობს.
ერთი-ორი პატიოსანი კაცი ცრემლებს იწმენდს, მაგრამ რა ჰქნას, სხვა არაფერი შეუძლია.
წითელსამკლავურიანებმა ზურაბის კედელში ჩაშენება დაიწყეს.
სინათლე ნელ-ნელა მუქლურჯ, ბაც ფერში გადადის.
ხელფეხშეკრული ზურაბი დგას.
სახეზე მთვარისფერი გადაჰკრავს.
წითელსამკლავურიანებს, იმ სამ ნაძირალას, მეხანძ-

რისზუჩიანებს, მხვრინავ კაცსაც კი... ყველას მოაქვს აგური, ბლოკი, ქვა...

მოაქვთ და წითელსამკლავურიანებს წინ ულაგებენ.

ზურაბის კედელში ჩაშენება გრძელდება.

ჯერ წელამდეა ჩაშენებული.

ზურაბი წარბშეუხრელად დგას.

აჰა, მხრებამდე ჩააშენეს.

ბოლო აგურიც და... ჩააშენეს კაცი კედელში.

ღრიანცელი და მარშისებური მუსიკა უცებ შეწყდა.

სამარისებური სიჩუმე.

ამ დროს ჯერ ძლიერმა ქარმა დაჰბერა და უეცრად მიწისძვრამ შეარყია ყველა და ყველაფერი.

ადამიანები და ხეები ლერწმებივით ირწევიან.

მიწაზე გართხმულნი ხელებს იშვერენ და შველას ითხოვენ.

ყველაფერი თრთის და ცახცახებს.

სცენის შუაგულში აღმართული კედელი, რომელშიც ეს-ესაა ზურაბი ჩააშენეს, ნელ-ნელა ბლოკ-ბლოკ, აგურ-აგურ ინგრევა.

ბოლოს სულ დაინგრა.

სცენა კაშკაშა შუქმა აავსო.

ხელფეხშეკრული, გადარჩენილი ზურაბი დგას.

მასთან პირველი სურათიდან ჩვენთვის ცნობილმა პატარა მიმიმ მიირბინა მაკრატლით ხელში.

პატარა მიმიმ ზურაბს შემოსალტული ბაწარი ააჭრა.

ზურაბი თავისუფალია.

მან მიმი ხელში აიყვანა და ავანსცენისკენ წამოვიდა.

ფარდა

თებერვალი, 2013 წ.
თბილისი

ასარჩევი

სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის 5
გაღმა-გამოღმა 83
უფანდუროდ ნამღერი 143
ყურადღება 181
ქუხილი 239
გუშინ, დღეს, ხვალ 273
მ ე ლ ა 333
ცრემლი 369
ტერენტი გრანელი 417
წმინდა გიორგი 425
ქრისტე 439
ამირანი 451
არ შემიშინდე 459

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ XVI

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси, 2013